ედიტორ შანტორდანია

ფიქრი ხანისუდსა და ტრამპაუდზე

მეთხუთრები

პალიტრა L

თბილისი
2006

უაკ (UDC) 32947.922
შ 392

მთავარი რედაქტორი
კობა იმედაშვილი
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

კონსულტანტი
პაატა შევარდნაძე

© ედუარდ შევარდნაძე, 2006
© პაატა შევარდნაძე, 2006
© პალიტრა L, 2006

ISBN 99940-53-03-5

„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ მეტად მნიშვნელოვანი წიგნია, რადგან მისი გათვალისწინების გარეშე საბჭოთა კავშირის ბოლო პერიოდისა და მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის აღქმა ამომწურავი არ იქნება, სრულად ვერ გაანალიზდება ბევრი მოვლენა და ვერ აღდგება მოვლენათა ჭეშმარიტი არსი.

მოგონებათა ამ წიგნის ავტორი — ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს გადამდგარი პრეზიდენტი, მანამდე სსრკ-ის გადამდგარი საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო უფრო ადრე, 1972 წლიდან, საქართველოს პარტიული ლიდერი — დიდი პოლიტიკური მოვლენებისა და ბრძოლების უშუალო მონაწილე და მოწმე გახლავთ, მან ბევრი იცის. მაგრამ ეს წიგნი არ განეკუთვნება მხოლოდ მემორიალურ ჟანრს, რადგან საარქივო მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით იგი არა მარტო აღადგენს გარდასულ წლებს, არა მარტო აანალიზებს განვლილსა და მომხდარს, არამედ მომავლის პროგნოზებსაც აკეთებს.

ეს არის ბევრისმცოდნე და ბევრისმნახველი ადამიანის წიგნი, რომელიც დააინტერესებს როგორც პროფესიონალებს, ისე განათლებულ და ცნობისმოყვარე მკითხველს.

მცირე წამძღვარება წიგნისთვის „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“

წინამდებარე მემუარების ავტორზე შვიდი წლით უფროსი ვარ. მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა თვრამეტი წლის ასაკიდან იწყება. ამ დროისთვის ოცდახუთისა ვიყავი, ოცდახუთწლიან სასჯელს ციმბირში ვიხდიდი, მაგრამ პრესა, რადიო და საქართველოსთან მიწერ-მოწერა, საბედნიეროდ, არ მომკლებია. დამწყებ მწერალს, როგორც იტყვიან, დაკვირვებისა და ანალიზის უნარი ღვთისგანვე მქონდა ნაბოძები. ჩემს გონებასა და თვალთახედვას არც ედუარდ შევარდნაძე გამორჩენია, რადგან ქართველი ერისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლო ადამიანთა ღირსებებისა და ხასიათის შესწავლა, შეიძლება ითქვას, ჩემი ძირითადი თუ არა, მთავართაგანი ამოცანა და საქმე გახლდათ. ედუარდ შევარდნაძემ ჭაბუკობაშივე გამოამჟღავნა სერიოზული მოღვაწისთვის დამახასიათებელი ღირსებები, ერის ცხოვრებაში არაორდინარული ადგილი დაიკავა და ცხადია, ჩემი ყურადღებაც მიიპყრო. ამჟამად ოთხმოცდახუთისა ვარ და სამოცი წლის მანძილზე სადაც უნდა ვყოფილიყავ, იგი ჩემი ყურადღებისა და დაკვირვების არეში იყო — ჯერ, როგორც ჩემი თანამედროვე, მაღალნიჭიერი მოღვაწე; ერთხანს, როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე და ბოლოს, როგორც პრეზიდენტი. მე ამ ორგანოების წევრი ვიყავი, უშუალო დაკვირვების საშუალება მქონდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავს უფლება მივეცი, როგორც ყოველდღიურ, ისე უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში მის მიერ გამჟღავნებული ხასიათისა და ადამიანური ღირსებების ერთობლიობას ჩავწვდომოდი და ამ წამძღვარებაშიც მომეყვანა.

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე მშვიდი, აუმღვრეველი, გამჭრიახი გონებისა და თვალის მქონე, კეთილგანწყობილი თანამოსაუბრე, დახვეწილი იუმორის პატრონი (რასაც იგი როგორც ყოველდღიურობაში, ისე დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ამჟღავნებდა), ხელოვნებამდე აყვანილი მომსმენი და მთქმელი, საჭიროებისას თავზეხელაღებულად გამბედავი, სახელმწიფოს ხელმძღვანელის, პოლიტიკოსისა და დიპლომატისთვის აუცილებელი, დაბადებითვე დაყოლილი პოტენციისა და ცხოვრებით დახვეწილი ღირსებებით აღჭურვილი პიროვნება იყო და არის. ამ დახასიათებას ვინმე მისი თანამედროვე რაიმეს თუ დაუმატებს, თორემ ჩამოთვლილ ღირსებათაგან რომელიმეს უარყოფა, მგონია, აზრად არავის მოუვა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ საოცრად მართალი, ალალი და მიუკერძოებელი წიგნია, შეიძლება ითქვას, გამონაკლისიც კი, რამეთუ მკითხველი ამ მოცულობის ისტორიოგრაფიულ ნაწარმოებში მიკერძოებისა თუ ცალმხრივი გაშუქების ფაქტსა და მაგალითს ერთსაც ვერ იპოვის.

რა გააკეთა, რას მიაღწია ედუარდ შევარდნაძემ როგორც პიროვნებამ საქართველოში თუ მის გარეთ მოღვაწეობის შედეგად, წამკითხველი თავად დაინახავს და მის თანამედროვეთა ჩანაწერებშიც, ვფიქრობ, მისი ნაღვაწის აღნიშვნა მრავლად იქნება და ჩამომავალთათვის ყოველივე გაცხადდება, მაგრამ მინდა, იმ საქმესა და დანატოვარს შევეხო, რომელიც ჩვენი ერის აწყმო თუ მომავალი სახელმწიფოებრიობისათვის უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია.

საქართველო, როგორც სახელმწიფო, საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა მხოლოდ ისტორიის იმ პერიოდებში, როდესაც მის ტერიტორიაზე უსაფრთხოდ მოძრაობდნენ ქარავნები, როდესაც ჩვენი მიწა-წყალი აბრეშუმის დიდი გზის ნაწილი

იყო. ქარავნები და საერთაშორისო აღებმიცემობა არა მარტო ჩვენი ხაზინის მკვებავი საწყისი, არამედ ჩვენივე სახელმწიფოებრიობის, მისი უსაფრთხოების დარაჯი, გარეშე მტრის მადის დამაოკებელი ფაქტორიც იყო; ანუ ვფლობდით სხვა ერთა ინტერესების, მათი ეკონომიკების მომსახურების ფუნქციას. ცნობილია, საერთაშორისო ფუნქციასმოკლებული ერები ან უკვე აღიგავენ პირისაგან მიწისა, ან უმწეო არსებობას ეწევიან. ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ჩვენს გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან ქვეყანას საერთაშორისო ფუნქციაც შესძინა ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენებისა და ბაქო-თბილისი-არზრუმის აირსადენის სახით. ამ სამივე მაგისტრალს საქართველოზე რომ გაევლო, მკითხველი დამეთანხმება, ჩრდილოელი ზვიგენის მუქარით თანხლებული პრეტენზიების ვითარებაში, დიდი პოლიტიკური ალღო და დიპლომატიური ნიჭი სჭირდებოდა. აღარას ვამბობ იმ შეუპოვრობაზე, რომელიც ამ ღონისძიებას ახლდა. ედუარდ შევარდნაძემ შეძლო ის, რომ ორივე მილსადენი ამჟამად მსოფლიო ინტერესების საგანია და მაშასადამე, საქართველოს უსაფრთხოების დამცველი ფუნქციაც.

ფ უ ნ ქ ც ი ა ც!

არ ვიცი, ბატონ ედუარდის მიერვე წამოწყებულ საქმეს — ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას მივაღწევთ თუ არა, რასაც ძირითად მიზნად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და ქართველი ერის უსაფრთხოების ფუნქციის განმტკიცება აქვს დასახული, მაგრამ ამ დიდი ისტორიული საქმის დაგვირგვინება მილსადენებით მნიშვნელოვანწილად განხორციელებულია. წინამდებარე მემუარების წამძღვარება სრული არ იქნება, თუ არ ვიტყვი, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე ოცდათხუთმეტი აკადემიის,

უნივერსიტეტის, ქალაქისა და ქვეყნის საპატიო წევრი და ოცდასამი ორდენისა და მედლის კავალერია. მის მოღვაწეობაზე დაწერილი და გამოცემულია თხუთმეტიოდე წიგნი და თანამედროვე პოლიტიკოსთა წიგნებშიც ედუარდ შევარდნაძისადმი მიძღვნილი სერიოზული ნაკვეთებია. ეს ჩამონათვალი ალბათ მხოლოდ ნაწილია მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსთაგან აღიარების, ყურადღებისა და დაფასებისა, მე აღვნიშნე მხოლოდ ის, რასაც მივაგენი. ბატონ ედუარდს ხუმრობა უყვარს და თავს უფლებას მივცემ, ვიხუმრო: თუ გინესის წიგნმა ზემომოყვანილ საპატიო თუ ნამდვილი წევრობის, ორდენებისა და მედლების რაოდენობას გვერდი აუარა, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ედუარდ შევარდნაძე სამ ჩინებულად ორგანიზებულ ტერორისტულ აქტს გადაურჩა და საფიქრებელია, კიდევ დიდხანს იცოცხლებს და არც ის არის გამორიცხული, რომ თავისი ეპოქის საქართველოსა და მსოფლიოს კიდევ ერთი წიგნი აჩუქოს. გავბედავ და ამ წამძღვარებას ერთი სურვილით ვამთავრებ – კერძოდ, კარგი იქნებოდა, თუ ავტორი წიგნის რუსეთ-საქართველოს ტრაგიკული ურთიერთობის შემცველ ნაწილს ცალკე წიგნად გამოსცემდა. ჩემი აზრით, ამას ეპოქა და ბოლო ათწლეულებში ჩამოყალიბებული ვითარება გადაუდებლივ მოითხოვს.

ჭაბუა ამირეჯიბი
თბილისი
მაისი – 2006

ორიოდე სიტყვა ფინათქმის მაგივრად

ეს წიგნი უპირველესად წარსულის შეფასების სურვილმა დაბადა, იმ მოვლენათა და ადამიანთა გახსენების სურვილმა, რომლებმაც განსაზღვრეს ყოფილი საბჭოთა კავშირის, ჩემი ქვეყნისა და თანამედროვე მსოფლიოს ისტორია. ამავე დროს, იგი იწერებოდა მომავალზე ფიქრით, მისი უპირველესი ადრესატი მომავალი თაობაა, რომელსაც ამ წარსულის მძიმე ტვირთად ზიდვა, საბედნიეროდ, აღარ მოუწევს.

მინდა ჩემი ნაფიქრი გავუზიარო არა მარტო ჩემს ხალხს, არამედ ყველა ჩემს თანამედროვეს, რათა გავიხსენოთ და ერთად განვსაჯოთ ის, რაც იყო და როგორც იყო. მსურს მთლიანობაში მიმოვიხილო ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენს მეზობლებთან, უპირველესად კი რუსეთთან გვქონდა; წარმოვაჩინო ის წვლილი, რომელიც მე, როგორც ჩემი ხალხის შვილმა, შევიტანე მეოცე საუკუნის ბოლო მეოთხედის იმ პოლიტიკურ პროცესებში, რომლებმაც ძირეულად შეცვალეს მსოფლიო: „ახალი ზნეობრივი საგარეო პოლიტიკა“, „ცივი ომის“ დასრულება, ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, გერმანიის გაერთიანება, საბჭოთა იმპერიის დაშლა, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლება, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობა.

„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ 2003 წლის ნოემბერში ჩემი გადადგომის შემდეგ იწერებოდა, მაგრამ მოგონებებისა თუ განსჯა-შეფასებების დიდი ნაწილი მანამდე ჩამოყალიბდა და თავისი ადგილი დაიკავა ჩემს სხვა წიგნებში, პუბლიკაციებსა თუ საჯარო გამოსვლებში. ამ წიგნს ჩემი მრავალწლიანი ცხოვრება უძღოდა წინ – უმეტესად წარმატებული, ზოგჯერ კი წარუმატებელი, გზა აღმამავალი,

მაგრამ დაქანებულიც, თანმდევი მარცხით, იმედგაცრუებითა და პოლიტიკური გადადგომებით.

მინდა მოგითხროთ იმ მსოფლიო პრობლემების, ქვეყნებისა და სახელმწიფო მოღვაწეების შესახებ, რომლებთანაც ბედმა დამაკავშირა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, მწერლებთან ურთიერთობისას მათში ერთი რამ სახასიათო მიდრეკილება მენიშნა — წერისას ისინი არა მხოლოდ სამყაროს სურათს გარდაქმნიდნენ თავისებურად, არამედ თავის პიროვნებასაც სხვაგვარი ფერებით წარმოაჩენდნენ. როგორც ჩანს, მოგონებების წერის დროსაც იგივე რამ ხდება — საკუთარ თავს, განზრახ თუ უნებლიეთ, უფრო უკეთესად წარმოაჩენ, ვიდრე სინამდვილეში იყო და არის. სწორედ ამგვარი მიდრეკილების დაძლევის მძაფრი სურვილითაა დაწერილი ეს წიგნი — მინდოდა ობიექტური ვყოფილიყავი დროისა და საკუთარი თავის მიმართ.

ჩემი ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში ის, რაც თქვენი ყურადღების ღირსად მივიჩნიე, აქ არის: შეგიძლიათ თავისუფლად განმსაჯოთ — შეუბრალებლად, უკომპრომისოდ.

თუმცა ჩემზე მკაცრად მაინც ვერავინ განმსჯის. ვიცი — მქონდა შეცდომები, ვიცი — ზოგთან არ ვიყავი მართალი, ვიცი — ბევრსაც გული ვატკინე და თუ შეძლებენ, იქნებ მომიტევონ... მეც დავივიწყე ყოველი წყენა, არავის ბოლმა არ მიმყვება და არც არავისი შემშურებია, თუნდაც იმიტომ, რომ შემეძლო დასახული მიზნებისთვის თავადვე მიმეღწია. ყოველთვის ვცდილობდი ღვთისაგან ბოძებული ნიჭი და უნარი სრულად გამომეყენებინა და მეკეთებინა ის, რაც შემეძლო და რისთვისაც მოვედი ამქვეყნად. ვფიქრობ, ბევრი რამ კარგიც მიკეთებია — და არა მარტო საქართველოსთვის.

სიყვარულისა და სიმშვიდის განცდა მივსებს სულს და იმავეს ვუსურვებ ჩემს ხალხსა და ჩემს შთამომავლობას.

* * *

„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ იმ დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, რომელსაც თავის დროზე მეც ვაგროვებდი და ჩემი თანაშემწეებიც — თეიმურაზ სტეპანოვი და სერგეი ტარასენკო. ასევე ბევრი რამ იქნა მოძიებული საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებში, რომლებიც რუსეთის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა იგორ ივანოვმა გადმომცა. ამ მასალამ წიგნს მეტი სიზუსტე და დოკუმენტურობა შესძინა.

დიდი მადლობელი ვარ კობა იმედაშვილის, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძნელ დროს გვერდში ამომიდგა. სწორედ მისი დახმარებით შევძელი სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტების, ჩემი ხელნაწერებისა და აუდიომასალის ერთ მთლიანობაში მოქცევა.

მადლობას ვუხდი ჩემს შვილებს — პაატას და მანანას, ჩემს სიძეს — გია ჯოხთაბერიძეს, ჩემს რძალს — ნინო ახვლედიანს, ისტორიკოს მანანა შეყილაძეს, მწერალ ზურაბ ქარუმიძეს, რომლებმაც გულდასმით წაიკითხეს წიგნის ხელნაწერი და მეტად საყურადღებო შენიშვნები მომცეს, მადლობა მინდა ვუთხრა ციცო ჩიხლაძეს, რომელიც წლების მანძილზე უვლიდა ჩემს არქივს და ახლაც უვლის.

დასასრულ, მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი მეუღლის, ნანულის სულს, რომელიც ახლაც ჩემთან არის — ამ წიგნის ყოველ სიტყვასა და ყოველ პწკარში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მცირე წამძღვარება წიგნისთვის „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ 4

ორიოდე სიტყვა წინათქმის მაგივრად 8

საბოლოო გადადგომა: ნოემბერი, 2003 17

ჩემი სამშობლო — საქართველო 29

საქართველო — ჯორჯია, გრუზია, გურჯისტანი; პრომეთე — ამირანი, ოქროს საწმისი; საქართველოში ნაპოვნი მილიონ რვაასი ათასი წლის ევროპელი; ქართული მრავალხმიანი სიმღერა; წარმართული და ქრისტიანული კულტურა; ქართული დამწერლობა; ჩემი მშობლიური კუთხე — გურია; მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქართული კლასიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ — ქართული ხასიათის გამოვლინება; სწრაფვა ევროპისკენ; რუსეთთან 1783 წელს დადებული ხელშეკრულება; საქართველოს სამეფოს გაუქმება; ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; 1918 წელს დამოუკიდებლობის დაბრუნება; 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირება; კომუნისტური იმპერიის რეპრესიები საქართველოში: 1921, 1924, 1937, 1950, 1956, 1989 წლები... საქართველო რუსეთის ომებში; ჩემი ოჯახი, ჩემი მეუღლე; სტალინი, ბერია; კომუნისტური წარსული; ბრძოლა ქართული კულტურისა და ქართული ენის გადარჩენისათვის; კინოხელოვან სერგო ფარაჯანოვის დახსნა კგბ-სგან; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი — საპატიო მილიციელი; მსტისლავ როსტროპოვიჩის წერილი; საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების მცდელობანი; გორბაჩოვი, კოსიგინი; ებრაელთა ისრაელში ასვლისათვის ხელშეწყობა; მასობრივი კონფლიქტები და მათი გადაჭრის წარმატებული და წარუმატებელი ცდები; ბრეჟნევი, სტალინის შვილი სვეტლანა და შვილიშვილი ოლგა თბილისში; თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“ — საბჭოთა სინამდვილის ტრაგიკული ასახვა; გზა ღმერთისკენ; სამების კათედრალური ტაძრის მშენებლობა. 11

ახალი, ზნეობრივი საგარეო პოლიტიკა 118

მოულოდნელად ვხდები საგარეო საქმეთა მინისტრი; ჩერნენკო; გორბაჩოვი; ჩემი თანაშემწეები და თანამოაზრეები; რეიგანი; შულცი; „С этим человеком

нельзя иметь дело“... რეიგანისა და გორბაჩოვის შეხვედრები — ჟენევასა და რეიკიავიკში;
ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა;
მოულოდნელი კომპლიმენტი რიჩარდ ნიქსონისგან;
ირანი: აიათოლა ხომეინი;
ჩერნობილი და სპიტაკი;
„ცივი ომის“ დასასრულის დასაწყისი;
შეხვედრა მალტაზე და განაწყენებული გორბაჩოვი;
სალი აზრის გამარჯვება ვაიომინგში;
ერაყის აგრესია ქუვეითში:
პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვილებ;
„საბჭოთა შეტევა“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონზე;
დენ სიაოპინი.

ბრიტანული გამოცდილება 194

გერმანიის გაერთიანება 200

პოლონური ტრიადა:
ვალენსა, იარუზელსკი, ვოიტილა 219

ქართველების დასჯა —
სისხლიანი 9 აპრილი 222

დაკარგული პაქტის ძიებაში 232

გორბაჩოვისა და ელცინის
ურთიერთდაპირისპირება 234

პირველი გადადგომა 237

გადადგომის შემდეგ 241

საბჭოთა იმპერიის დანგრევა 252
სამთა თათბირი — ელცინი, კრავჩუკი, შუშკევიჩი; საბჭოთა კავშირის გადარჩენის ამაო ცდა; გორბაჩოვი, იაკოვლევი, შევარდნაძე; გადადგომა და დაბრუნება; რამ დაანგრია საბჭოთა კავშირი.

დაბრუნება საქართველოში 279
სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში; ზვიად გამსახურდია — საქართველოს პირველი პრეზიდენტი; სამხედრო საბჭო; საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან სიონში მისვლა, ჩემი მონათვლა; საქართველოს ეკონომიკის გამოცოცხლება; პოლიტიკური სტაბილიზაცია — ჯეკ მეტლოკის შეფასება.

მარტოობის ასი დღე... 304
საერთაშორისო მხარდაჭერა; ჰანს-დიტრიხ გენშერისა და ჯიმ ბეიკერის თანადგომა; აჯანყება ზუგდიდში; საქართველოს დანაწევრების ელცინისეული გეგმა; კრავჩუკის დახმარება; დაძაბულობის სამი კერა — შიდა ქართლი (ე.წ. „სამხრეთ ოსეთი"), სამეგრელო, აფხაზეთი; რუსეთის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ რუცკოის მუქარა; საქართველოს წინააღმდეგ გეგმაზომიერი ბრძოლა; შეთანხმება დაგომისში.

რუსეთი — კავკასია — საქართველო 340
რუსეთის გაფართოებისა და მიწათდაპყრობის მრავალსაუკუნოვანი პროცესის თანამედროვე გაგრძელება; ცოტა რამ ისტორიიდან: რუსეთის დიდი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი და სხვები კავკასიაში; კავკასიის ომები (1817-1864); ჩრდილოკავკასიელთა ლიდერები: შეიხ მანსური, ყაზი მოლა, ჰამზათ ბეგი, შამილი; მუჰაჯირობა; პასკევიჩის მიერ სომხების ჩამოსახლება საქართველოში (ჯავახეთში).

კავკასიის დაპყრობა 13

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ეტაპები:

XI-XVIII საუკუნეები

1021 წელს ქართველი და კიევის რუსეთის მეომრები ერთმანეთს სცემენ თივის გამო; ქართველი ხუროთმოძღვრები მონაწილეობდნენ კიევის სოფიას ტაძრის მშენებლობაში; ქართველ და რუს სამეფო ოჯახთა კავშირები;

ერეკლე მეორის წერილი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთექვსმეტესთან; როგორ დააღალატა რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე; როგორ შეატოვა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინემ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე აღა-მაჰმად-ხანს; 1795 წელს თბილისის აოხრება; 1801 წელს იმპერატორ პავლესა (18 იანვარს) და იმპერატორ ალექსანდრე პირველის (12 სექტემბერს) მანიფესტებით გეორგიევსკის (1783) ტრაქტატის გაუქმება და საქართველოს რუსეთთან მიერთების პროცესის დაწყება.

1801-1921 წლები

რუსული წარმოდგენები საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე; რუსეთის მიერ მისი დანაწევრების იდეოლოგიური და ფსევდომეცნიერული საფუძვლების მომზადება; 1917 წლის გადატრიალების შედეგად იმპერიის დაშლა და 1918 წელს გერმანიის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება; 1920 წელს რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრული ხელშეკრულების დადება; 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირება; ქართველი ბოლშევიკების როლი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვაში – სტალინი, ორჯონიკიძე.

გამოუცხადებელი ომი რუსეთთან 386

აფხაზური და ოსური პროვოკაციები; კანონთა ომი; აპარტეიდული საარჩევნო კანონის მიღება აფხაზეთში; 1992 წლის 24 ივნისის ამბოხი თბილისში; რუსეთი ბლოკავს საქართველოს მიღებას გაერო'ში; სისტემური დივერსიები; ბაბურინის დეპეშა; კანონთა ომი გადადის სისხლიან ომში; სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება რკინიგზის დაცვის შესახებ; ხრუშჩოვი: „თუ ქართველები ჭკუით არ იქნებით, აფხაზებს მოგისევთ"; პირველი გასროლა; 1992 წლის 3 სექტემბერს ელცინის ინიციატივით სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა; 20-25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭო უცერემონიოდ ერევა საქართველოს შინასაქმეებში; პირველ ოქტომბერს გამსახურდიას მომხრეები იღებენ ხობს; 2-3 ოქტომბერს აფხაზთა, რუსთა და ჩრდილოკავკასიელთა რაზმები იღებენ დაუცველ გაგრას; რუსები სისტემურად ბომბავენ სოხუმს; რუსი მფრინავის, მაიორ ვაცლავ შიიკოს დაღუპვა; სოხუმის დაცემა; ჟიული შარტავას მოწამებრივი დაღუპვა; ქართველთა გამოდევნა აფხაზეთიდან; გოლგოთის გზა; აფხაზეთში ეთნოწმენდისა და ქართველთა გენოციდის ეტაპები; სამოქალაქო ომი; კრავჩუკი; დსთ-ში შესვლა.

ტერაქტები და ტერორიზმი 440

პირველი ტერაქტი

გაფრენა ომის დროს განთიადსა და ლესელიძეში; რუსეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდის მიერ რადიოდაბრკოლების შექმნის მცდელობა; „უცხო" ვერტმფრენის მიერ ავარიული სიტუაციის შექმნა.

მეორე ტერაქტი

კონსტიტუციის მიღება და მისი ხელმოწერის ცერემონია; აფეთქება პარლამენტის ეზოში; ტერაქტის ორგანიზატორები.

მესამე ტერაქტი

ნავთობსადენი: ბაქო-სუფსა; ნავთობსადენი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; ჰეიდარ ალიევი, ბილ კლინტონი, სულეიმან დემირელი; ნურსულთან ნაზარბაევი; ტერაქტი – დაღუპულები და დაჭრილები; „მერსედესი" – საიმედო საფარი; ელცინის ზარი.

ბოლოთქმა, ანუ ბარათი შთამომავლობას 464

პაატა შევარდნაძე – წამი, წამიერება, წამება 472

საბოლოო გადადგომა: ნოემბერი, 2003

– ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?
– სახლში...

ისე მოხდა, რომ საქართველოს პირველ პირად საკმაოდ დიდხანს მომიწია ყოფნამ – 1972 წლიდან 2003 წლამდე, იმ შვიდი წლის გამოკლებით, როდესაც მოსკოვში გადავედი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად. ამ წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ მომიხდა საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებათა გადაფასება. შესაბამისად, იცვლებოდა საზოგადოებრივი სტერეოტიპები ჩემი პოლიტიკური ფიგურის მიმართ. მიუხედავად ამისა, მუდამ ვცდილობდი, და თითქოს ვახერხებდი კიდეც, საერთო ენა გამომენახა ჩემს ხალხთან. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი ჩემი მმართველობის ბოლო ხანებზე, როცა მე, როგორც პოლიტიკოსმა, გაუცხოება ვიგრძენი ჩემსა და საზოგადოების ერთ ნაწილს შორის. სწორედ ამ პერიოდში გამძაფრდა და გამოაშკარავდა დაპირისპირება პოლიტიკოსთა იმ ნაწილთან, რომელმაც ჩემივე ხელშეწყობით დაიმკვიდრა ადგილი ხელისუფლებაში.

როდესაც 1992 წელს სამშობლოში დავბრუნდი, საქართველო სრულ იზოლაციაში იყო, ამ დროისთვის მხოლოდ უკრაინამ აღიარა იგი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქვეყანა ქაოსში იყო ჩაფლული, ეკონომიკა – დანგრეული; მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, „საძმოების“ თარეში, ძარცვა და განუკითხაობა. ავად თუ კარგად, საქართველო გამოვიყვანე ამ მდგომარეობიდან, მაგრამ გავიდა დრო და ხალხისთვის ყოველივე ეს ნაკლებად საინტერესო გახდა. ეს არც არის გასაკვირი, კოლექტიურ მეხსიერებას თან სდევს დავიწყების ელემენტები.

ამ წლების განმავლობაში ჩემს ხალხსაც ჩამოუყალიბდა ჩემზე გარკვეული მყარი შეხედულება და თავად მეც. ხალხის ნაწილი, არცთუ უმნიშვნელო, ძნელად და იჭვნეულად

შეეგუა ჩემს ცვლილებას და ბოლომდე ვერ დამიჯერა. მეც, ეტყობა, ბოლომდე ვერ გავიგე მისი, მით უფრო ახალი თაობის, რომლისთვისაც საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე ყველა ჩემი დამსახურება ფაქტობრივად არაფერს ნიშნავდა.

ნოემბრის მოვლენებს წინ უძღოდა ოპოზიციის მიერ კარგად დაგეგმილ მოქმედებათა მთელი რიგი. სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო აპარატი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მეტიც, ზოგიერთი ჩემი ნდობით აღჭურვილი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, მზად იყო, წასულიყო ოპოზიციასთან გარიგებაზე, რაც შემდეგში გაცხადდა კიდეც.

მოკლედ, თამაშდებოდა „იუგოსლავიური სცენარი“ სპეციფიკური ქართული ელემენტებით, შესაბამისი რეჟისურითა და ინსპირირებით. თუმცა, ვფიქრობ, ამ მოქმედებათა მიზანს უშუალოდ შევარდნაძის გადადგომა არ წარმოადგენდა – ყოველ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე. ეს უფრო ჰგავდა ძალაუფლებისათვის ბრძოლას პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაში ადგილის დასაკავებლად – მე ხომ მხოლოდ თექვსმეტი საპრეზიდენტო თვე დამრჩენოდა.

ოპოზიციის სამზადისი საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი გახლდათ. ასევე, ნუ დავივიწყებთ ზოგიერთ რუსულ და ამერიკულ ორგანიზაციას, რომლებიც საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართული ამ პროცესებში. რუსეთის რეაქციულ წრეებში ბევრს ეამებოდა ჩემი პოლიტიკური მარცხი, რადგან შევარდნაძე მათთვის გაიგივებული იყო საბჭოთა კავშირის „ვერაგ“ დამანგრეველთა ჯგუფთან და კიდევ მრავალ სხვა „უბედურებასთან“, „დერჟავას“ რომ დაატყდა თავს.

რაც შეეხება ამერიკელებს: ვიცი, რომ ჩემ მიმართ ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულება, მანამდე და მაშინაც, უაღრესად დადებითი იყო; მათ იცოდნენ, რომ ჩემ მიერ თავიდანვე აღებული პროგრესული პოლიტიკური კურსი შეუცვლელი დარჩებოდა, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ოპოზიციის საქმიანობაში ჩართული იყო რამდენიმე ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ფაქტობრივად დაუფარავად მოქმედებდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯორჯ სოროსის ფონდი, რომელიც ანტისაპრეზიდენტო ღონისძიებების მთავარი დამფინანსებელი გახლდათ. თუმცაღა, ვეჭვობ, ამ

საქმეზე სოროსს იმაზე მეტი თანხა დაეხარჯოს, ვიდრე იგი პრეზიდენტ ბუშის საწინააღმდეგო კამპანიებზე ხარჯავს.

სიტყვამ მოიტანა და, ჯორჯ სოროსთან თავის დროზე კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთობლივად და თანადაფინანსებით, ჩვენ საქართველოში დავაარსეთ „სოროსის საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელმაც ათი წლის განმავლობაში შიმშილს გადაარჩინა ბევრი ქართველი მეცნიერი და მასწავლებელი, გაარიდა ჩვენი ნიჭიერი ბავშვები ქუჩას – მიღებული გრანტებით მათ ოჯახის რჩენაც კი შეეძლოთ.

ამ დახმარების შედეგი იყო გამარჯვებები მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებზე, ზუსტ მეცნიერებებში ჩვენი ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება.

სხვათა შორის, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა მეისონის უნივერსიტეტის ინიურპროფესორმა, ვალერი სოიფერმა, ამ საერთაშორისო პროგრამის უშუალო დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა. სწორედ მისი მეთოდიკით შემუშავდა ეს პროგრამა – სამაგალითო თავისი გამჭვირვალობითა და პროფესიონალიზმით. მან რუსეთსა და საქართველოში სკოლებისთვის დააარსა უფასო საგანმანათლებლო-სამეცნიერო ჟურნალი და მხოლოდ სინანული შემიძლია გამოვთქვა იმის გამო, რომ სოროსი გულგრილი გახდა ამ პროგრამის მიმართ.

ჩემი რეკომენდაციით სოროსმა დააფინანსა ანტიკორუფციული საბჭო, რომელიც ის-ის იყო შეუდგა მუშაობას, რომ აღარაფერი ვთქვათ, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებულ უამრავ სამეცნიერო თუ კულტურულ პროგრამაზე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ნოემბრის გადატრიალების წინა პერიოდში ოპოზიციის საქმიანობა, ქუჩისა თუ სხვა ტიპის აქციები, მთლიანად თავსდებოდა დემოკრატიული ნორმების ფარგლებში. ამას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

გავერანებულ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ორი რამ დავისახე მიზნად – საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ჩაყრა და რეალური დემოკრატიის დამკვიდრება (ქვეყანას სამხედრო საბჭო მართავდა). იმ დროისათვის საქართველოში, ისევე როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, დასავლური დემოკრატია „უცხო ხილი“ იყო – მისი

არანაირი გამოცდილება არ არსებობდა. გამოვყოფდი მხოლოდ საბჭოთა დისიდენტურ მოძრაობას, რომელსაც საქართველოში, გასაგები მიზეზების გამო, იმთავითვე ნაციონალისტური ხასიათი ჰქონდა. ჩვენ უნდა გვესწავლა ცხოვრება ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში: ხელისუფლების ლეგიტიმაცია, დემოკრატიული არჩევნები, სიტყვის თავისუფლების დამკვიდრება, დამოუკიდებელი მასმედიის ჩამოყალიბება და მისი განვითარების პირობების შექმნა, და რაც მთავარია – სამოქალაქო საზოგადოებისათვის საარსებო სივრცის გახსნა. 90-იანი წლების ბოლოსათვის ჩვენ ამას ნაწილობრივ მივაღწიეთ კიდეც – არასამთავრობო სექტორის სიდიდის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი პირველი გახლდათ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის.

მეორე მხრივ, დემოკრატიზაციის პროცესის სრულყოფა ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა – ვერ ჩამოყალიბდა ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის განვითარების მდგრადობას უზრუნველყოფდნენ. შედეგად, მივიღეთ მყიფე სახელმწიფო, ძლიერი და დინამიკური სამოქალაქო საზოგადოებით. საზოგადოების ლიბერალიზაციაზე ჩემი მიზანმიმართული პოლიტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა სახელმწიფო სტრუქტურების ძირეული რეფორმირებისათვის.

ზემოთქმულის ნათელ დადასტურებად მიმაჩნია 2001 წლის შემოდგომაზე განვითარებული მოვლენები. ერთ-ერთ დამოუკიდებელ ტელეკომპანიას, საგადასახადო საქმიანობის შესამოწმებლად მიაკითხეს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებმა. ეს ვიზიტი იმდენად მოუმზადებელი და პროფესიონალურად უსუსური გამოდგა, რომ მას თბილისში მასობრივი საპროტესტო გამოსვლა მოჰყვა. საქმე თითქმის კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივ კრიზისამდე მივიდა, რის შედეგად მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა. და მხოლოდ ასე მოხერხდა ერთობ რთული სიტუაციის კონსტიტუციურ და დემოკრატიულ ჩარჩოებში მოქცევა და განმუხტვა.

ბევრს მიაჩნია, რომ იმ დღეების საპროტესტო აქცია 2003 წლის მოვლენების რეპეტიციას წარმოადგენდა, თუნდაც იმიტომ, რომ მთელ ამ პროცესს ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი უმაგრებდა

ზურგს, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობდი: ჩემთვის ესეც დემოკრატიის თავისებური გაკვეთილი იყო. იმავეს ვიტყოდი 2003 წლის ივნისის აქციაზე საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. თუმცა, ამჯერად კრიზისული სიტუაციის დასარეგულირებლად საჭირო გახდა ჩემი მეგობრის, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჯიმ ბეიკერის თბილისში ჩამოსვლა და ახალი რეკომენდაციების მიღება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით.

ახლა, როდესაც უკან ვიყურები და ვფიქრობ იმ ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა 2003 წლის ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალება, მახსენდება უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია – ბრწყინვალე პიროვნება, საქმის შესანიშნავი მცოდნე, პროფესიონალი, ჩემი თანამოაზრე და მეგობარი, უაღრესად პატიოსანი და უღალატო კაცი, რომელიც წარმატებით კურირებდა ძალოვან სტრუქტურებს. ამ სტრუქტურების ბოლომდე ჩამოუყალიბებლობის ფონზე, რაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, ნუგზარის საქმიანობა უაღრესად ეფექტიანი იყო, მაგრამ 2002 წლის გაზაფხულზე მან თავი მოიკლა – დარწმუნებული ვარ, იგი შეგნებულად მიიყვანეს აქამდე და ამაში საკმაოდ სერიოზული ძალები იყვნენ ჩართული – არ გამოვრიცხავ გარეშე ძალასაც. ასეა თუ ისე, დღევანდელი გადასახედიდან სრულიად აშკარაა, რომ სწორედ ნუგზარ საჯაიას წასვლის შემდეგ თანდათანობით ვკარგავდი კონტროლს ჩემივე უახლოეს გარემოცვაზე და ჩემ ირგვლივ მეთოდურმა დეზინფორმაციამ იმძლავრა, რამაც 2003 წლის ნოემბრისათვის პიკს მიაღწია.

2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. იმ დღემ გარეგნულად მშვიდად ჩაიარა, მაგრამ როგორც შემდგომ გაირკვა, ორივე მხარე – სახელმწიფო ბლოკიცა და ოპოზიციაც – ამომრჩევლებით უსინდისო მანიპულირებას მიმართავდა. და თუ მოსახლეობის მობილიზაცია ამ არჩევნებისათვის მთლიანობაში წარმატებულად ჩატარდა – ამომრჩეველთა კომპიუტერიზებული სიების შედგენის პროექტის შემსრულებლებთან უამრავი შეკითხვაა; მათზე პასუხი დღესაც არ არის გაცემული. რამდენადაც ცნობილია, სწორედ არასწორი სიები გახდა იმთავითვე კრიზისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი,

მაგრამ ვინ აურ-დაურია საგანგებოდ სიები? — ამას აღარავინ კითხულობს და იკვლევს. როგორც ჩანს, ვიღაცას მართლა აძლევდა ხელს, რომ ამომრჩეველი უბანზე მისულიყო და თავისი თავი სიაში ვერ ეპოვა; ამას შესაბამისი აჟიოტაჟი უნდა მოჰყოლოდა და ასეც მოხდა.

მეორე დღეს გამოქვეყნდა ჯერ ეგზითპოლის, ხოლო შემდეგ ოფიციალური წინასწარი შედეგები. მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა იყო. ამასთან, მოდიოდა ინფორმაცია ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, აჭარაში არჩევნების ტოტალური გაყალბების შესახებ, რასაც საერთაშორისო დამკვირვებლების მკვეთრად ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. ორიოდ დღეში ოპოზიციურმა ბლოკმა ქუჩის აქციები ააგორა. პროცესები უმართავი ხდებოდა და მე რამდენიმეჯერ შევეცადე სიტუაციის განმუხტვას.

10 ნოემბერს, დილაადრიან, ყველასათვის მოულოდნელად გავეშურე პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მომიტინგეებთან. დაახლოებით 100 კაცი იქნებოდა, უპირატესად ახალგაზრდები. დამინახეს თუ არა, წამოიშალნენ და ჩემი მისალმების პასუხად ატეხეს ყვირილი: „გადადექი! გადადექი!“ მომიტინგეებთან პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე იმყოფებოდა. მიხეილ სააკაშვილი ჩემი წასვლის შემდეგ გამოჩნდა. დიალოგი ამ ხალხთან ვერ მოხერხდა. ჩემს ცხოვრებაში პირველად ვერ შევძელი ადამიანებთან დალაპარაკება. ასე კოლექტიურად — „გადადექი!“, პირველად მოვისმინე. ამ ახალგაზრდების ერთობლივმა მოთხოვნამ შემაძრწუნა. ვიცი, ამაზეც იყო ეს გათვლილი. ალბათ ვიღაცას, რბილად რომ ვთქვა, იმ მომენტში ნაკლებად აწუხებდა ქვეყნის ინტერესები, მაგრამ ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ჩემს ქვეყანაში პირველად მოვისმინე სკანდირება ჩემი გადადგომის მოთხოვნით — „გადადექი!“ ეს სიტყვა ტვინის რომელიღაც უჯრედში ჩამიჯდა და სულ თავში მიტრიალებდა. ვფიქრობდი — ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან თავად გადავდექი, არ მოვრიდებივარ სახიფათო შედეგებს, არც არანაკლებ მწვავე სიტუაციაში ხალხთან მისვლასა და დიალოგის წარმართვას... მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო... ისეთი მძიმე შთაბეჭდილება, როგორიც ამ „გადადექი!“-მ მოახდინა ჩემზე, მანამდე არასდროს მქონია.

ერთი წლით ადრე, მუხროვანის სამხედრო ბაზაზე, თბილისის მახლობლად, ბატალიონი ამბოხდა; ვითარება მეტად დაძაბული იყო. მე თავი არ ავარიდე სიტუაციას – პირდაპირ მათკენ გავეშურე – ისიც ვიცოდი, რომ იქ ჩემზე ანგარიშსწორება მზადდებოდა. ოფიცრებთან ერთად რიგითი ჯარისკაცებიც დამხვდნენ. ბატალიონის მეთაურის კაბინეტში დავსხედით; 150 კაცი იქნებოდა. ვისაუბრეთ და საათნახევრის განმავლობაში სიტუაცია განიმუხტა, სამხედროები თავიანთ ნაწილებში დაბრუნდნენ. ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი...

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ სადაც ქვეყნისთვის რაიმე საშიშროება ინასკვებოდა, უმალ იქ მივდიოდი ხოლმე – არა ხიფათის საძებნელად, არამედ ხიფათის თავიდან ასაცილებლად. თითქოს აქამდე კიდეც ვახერხებდი კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას, მაგრამ მაშინ, 10 ნოემბერს, მომიტინგეებთან სხვა რამეს წავაწყდი: ამ ყვირილში – „გადადექი!“ – პოლიტიკური მოთხოვნის გარდა, სხვაც იყო – შეურიგებლობა, უკომპრომისო აგრესიულობა, შეუვალობა. უკვე შემდეგ, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებას რომ ვიღებდი, ამ ახალგაზრდების ჯგუფი წარმომიდგებოდა თვალწინ; ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ამ ეპიზოდმა ძლიერ იმოქმედა.

ამის შემდეგ აჭარაში, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთან, ასლან აბაშიძესთან შესახვედრად გავემგზავრე. თბილისში შექმნილი მდგომარეობა არა მარტო მძაფრად ასახავდა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, არამედ უფრო ართულებდა მას, განსაკუთრებით საქართველოს ისეთ კუთხეებში, სადაც რუსული სამხედრო ბაზები იდგა. ეს ისტორიულად რთული რეგიონები გახლდათ და ფრთხილ მოპყრობას საჭიროებდა. საზოგადოდ, ადრეც ყოველთვის ვცდილობდი, გამეთვალისწინებინა ყოველივე ეს აფხაზეთთან, აჭარასთან, სამხრეთ ოსეთსა თუ ჯავახეთთან ურთიერთობისას. ხშირად მსაყვედურობდნენ კიდეც გადამეტებულ სიფრთხილეს, თუმცა ვფიქრობ, მართალი ვიყავი.

ახლაც, ნაცმოძრაობის ლიდერები და აქტივისტები ბათუმში რომ ჩავიდნენ და იქ ცემა-ტყეპა ატყდა, საჭიროდ ჩავთვალე სიტუაციის განსამუხტავად სასწრაფოდ ბათუმში ჩასვლა. ადგილზე ვეთათბირე ამ კუთხის ლიდერს და მერე რამდენჯერმე ტელეფონითაც ველაპარაკე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მიუხედავად გამომწვევად დამოუკიდე-

ბელი პოლიტიკისა, ასლან აბაშიძე არასდროს გადადგაძდა ქვეყნის მთლიანობისთვის საშიშ ნაბიჯს. ბოლოს და ბოლოს, იგი იმ დიდი ქართველი მოღვაწის, მემედ აბაშიძის შვილიშვილი იყო, რომელმაც აჭარის საქართველოში დაბრუნებაში დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ აჭარაში უცხოეთის აგენტურა ყველაფერს გააკეთებდა და ყველაფერს გამოიყენებდა ამ კუთხის საქართველოსგან ჩამოსაცილებლად, მთელ საქართველოში სეპარატისტული მოძრაობის უფრო გასამძაფრებლად. ერთი სიტყვით, საქართველოს დაშლის აშკარა საშიშროების წინ ვიდექით, საჭირო იყო ოპოზიციისთვის ამ საკითხის სრულად დანახვება. საფრთხეს კი მხოლოდ მე არ ვხედავდი, პრესაშიც იყო ამაზე ლაპარაკი... მე ვთხოვე ასლანს, თავადაც განემარტა ეს ოპოზიციის ლიდერებისთვის...

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებლად საჭირო იყო.

მაშინაც და დღესაც ბევრს მიაჩნია, რომ უაღრესად მცდარი ნაბიჯი იყო როგორც ოპოზიციასთან დიალოგზე უარის თქმა, ისე აბაშიძესთან ალიანსის დემონსტრირება. გარეგნულად ეს მართლაც ასე ჩანდა და ვიცი, ამ ეპიზოდმა ბევრი თბილისელი გაანაწყენა. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო. ასლან აბაშიძე ჩემგან დაჟინებით მოითხოვდა აჭარის საარჩევნო შედეგების ლეგიტიმაციას, რაც მის პარტიას („აღორძინება“) ქვეყნის პარლამენტში სოლიდური წარმომადგენლობის გარანტიას აძლევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო აჭარის საქართველოს იურისდიქციიდან გაყვანის მცდელობაც კი. მე ამას ვერ დავუშვებდი! ყოველივე ამას ემატებოდა ქვეყანაში შექმნილი დაძაბული ფონიც.[1]

დადგა 22 ნოემბერი – ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დღე. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მოგვახსენა, რომ არჩევნები კანონიერად ჩატარდა და ახალი პარლამენტის შეკრებაც ლეგიტიმური იყო. რეგლამენტის მიხედვით ეს სხდომა მე უნდა გამეხსნა. იგი დანიშნული იყო ოთხი საათისთვის, მაგრამ ხუთის ნახევრამდე ვერ დავიწყეთ, – რამდენიმე დეპუტატს ველოდით, რათა

[1] ჯემ ბეკერი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს კიდეც, რომ აჭარის ფაქტორმა ნოემბრის მოვლენების დროს მანევრირების საშუალება ალარ დამიტოვა.

კვორუმი შემდგარიყო. როგორც იქნა, სხდომა გაიხსნა. დავიწყე ჩემი გამოსვლის კითხვა — მოკლე გამოსვლა იყო და საკმაოდ ნელა ვკითხულობდი. რამდენიმე სტრიქონილა მრჩებოდა წასაკითხად, როდესაც არაადამიანური შეძახილები გაისმა — ერთხელ, ორჯერ... სხდომათა დარბაზის კარი შემოამტვრიეს. ჩამესმა ვილაცის როყიო წამოძახილი — „გადადექი!“, „გადადექი!“ თავი რომ ავწიე, ნაცნობი ადამიანები დავინახე, რომლებიც რამდენიმე დეპუტატისა და ჩემთვის უცნობი ახალგაზრდების გარემოცვაში იყვნენ. მე მოხსენების კითხვას ვაგრძელებდი. უცებ სხდომათა დარბაზის კართან ჩოჩქოლი ატყდა. ერთი პირობა, შემოჭრილების ნაწილი თითქოს გაიყვანეს კიდეც დარბაზიდან, მაგრამ ეტყობა გარედან მათი მომხრეების ტალღა მოაწვა და ისინიც ჯიქურ წამოვიდნენ ტრიბუნისკენ. დეპუტატები ერთბაშად გაიხვეტნენ დარბაზიდან. დაცვის ბიჭები შემომეხვივნენ და გამიყვანეს — ისინი თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ, რასაც ვერ ვიტყვი იმათზე, ვისაც პარლამენტის შენობაში წესრიგის დაცვა ევალებოდა. უკვე შემდეგ შევიტყვე, რომ მომიტინგეები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შემოიჭრნენ შენობაში.

დაცვამ პარლამენტის ეზოში ჩამიყვანა; იქ მანქანაში ჩავსხედით და მარცხენა ჭიშკრიდან გავედით პარლამენტის შენობის წინ, სადაც თბილისიდან, აჭარიდან და კახეთიდან ჩემს მხარდასაჭერად მოსულ მომიტინგეებს შევხვდი. მოკლედ მივმართე ხალხს და მომხდარი შევაფასე როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. შემდეგ მანქანაში ჩავჯექი და ჩემი რეზიდენციისაკენ გავემგზავრე. საღამოს, ძალოვნებთან თათბირის შემდეგ, კონსტიტუციის შესაბამისად საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადე. სათანადო განკარგულება ტელერადიომაუწყებლობით გადაიცა, მეორე დღეს კი გაზეთებში დაიბეჭდა.

მაგრამ ამ ფორმალურ პროცედურათა დროს და შემდეგაც, თვალწინ საშინელი სურათი მედგა: მომიტინგეები და ჯარი (მე ხომ მთავარსარდალიც ვიყავი) ერთმანეთს ეჯახება, სისხლის ღვრა გარდაუვალია, შემდეგ შეტაკებები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც გადაინაცვლებს. ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ მხარეს დაიღუპებოდნენ ადამიანები — იქითაც და აქეთაც საქართველოს მოქალაქეე-

ბი იდგხეხ. აძასვე ძეუბხებოდხეხ ჩეძი ძეუღლე და ჩეძი შვილი პაატაც, რომელიც აღელვებული მირეკავდა პარიზიდან (იგი იუნესკოში მუშაობს). მე ისინი დავამშვიდე და ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უკვე მივიღე და არავითარი საგანგებო მდგომარეობა არ იქნებოდა. ქვეყანაში, რომელმაც გადაიტანა სისხლიანი 1921, 1924, 1937, 1956, 1989 წლები და სამოქალაქო ომი, ეროვნული ხელისუფლების მიერ სისხლის დაღვრა უდიდესი ბოროტება იქნებოდა. მეტსაც გეტყვით, დარწმუნებული ვარ — თვით ოპოზიციის ლიდერებსაც მიაჩნდათ, რომ შევარდნაძე სისხლის ღვრაზე არ წავიდოდა — ამიტომაც მოქმედებდნენ ასე თამამად პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიაში შეჭრისას.[2] თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთებს ჩემი სრული დისკრედიტაციისათვის მართლაც ხელს აძლევდა სისხლის დაღვრა.

23 ნოემბერს, გვიან საღამოს, ჩემთან, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში, მიხეილ სააკაშვილი და. ზურაბ ჟვანია მოვიდნენ. რეზიდენციას დაახლოებით ათასამდე მომიტინგეც მოადგა. მიშამ და ზურამ ჩემი გადადგომის შესახებ დაიწყეს საუბარი — თუმცა არც ისე მტკიცედ და კატეგორიულად. ჩემი პასუხი უბრალო იყო — „ბიჭებო, ტყუილად ნერვიულობთ, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მივიღე და მის შეცვლას არ ვაპირებ. უმჯობესია ახლა ხვალინდელ დღეზე იფიქროთ — ქვეყნის მართვა მთელი ხელოვნებაა და არ მინდა ამ საქმეში მარცხი განიცადოთ... თუ რამეში გამოგადგებათ ჩემი კონსულტაცია — მზად ვიქნები“. რა თქმა უნდაო, მიპასუხა ორიევმ.[3] შემდეგ კი ვკითხე — „დავამთავრეთ საუბარი?“ — შევატყვე, მათთვის ეს მოულოდნელი იყო — ეტყობა, ფიქრობდნენ, რომ დავიწყებდი მთელი რიგი დათმობების ან კომპრომისების მოთხოვნას.

---

[2] სხვათა შორის, კანცელარიაში შეჭრისას ერთი კურიოზი მოხდა: მომიტინგეთა ჯგუფმა შენობიდან ხის სავარძელი გამოათრია, დაამტვრია და დაწვა. ერთ-ერთი ტელეკომპანიის წამყვანმა პირდაპირ ეთერში დაიტრაბახა კიდეც — შევარდნაძის სავარძლის ნატეხი ჩავიგდეო ხელში. უნდა გავაწბილო — ჩემი სავარძელი. ლითონისგან და პლასტმასისგან ნაკეთი. ჩემი კაბინეტიდან არც არაკის გამოუტანია. იმ დღეს მომიტინგეებმა კანცელარიის მორიგე თანამშრომლის სავარძელი დაწვეს... ეს იმათ გასაგონად, ვისთვისაც სავარძელი ხელისუფლების სიმბოლოა.

[3] სამწუხაროდ, პოსტრევოლუციურ პერიოდში მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. დაიწყო ლიბერალურ ფასეულობათა იგნორირება, მასობრივი „ტელელატირებები“ და სამსახურებიდან მასობრივი დათხოვნა. უპრეცედენტო ზეწოლა სასამართლოსა და ბიზნესზე — ფაქტობრივი „სახელმწიფო რეკეტი“.

დაღლილი ვიყავი, მაგრამ გულზე სიმშვიდე მომეფინა – დაპირისპირება უმსხვერპლოდ და უსისხლოდ დამთავრდა. შევთავაზე, ჟურნალისტებთან სასაუბროდ ჯერ ისინი გასულიყვნენ, მაგრამ უარი თქვეს. ვატყობდი, ემოციურად ძალზე დატვირთულები იყვნენ. მაშინ გამოვეთხოვე და ქვედა სართულზე ჩავედი, სადაც უამრავ ჟურნალისტს მოეყარა თავი. შემომეხვივნენ და მეკითხებოდნენ, რით დამთავრდა შეხვედრა. ვუპასუხე, რომ გადავდექი, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინჯვას არ ექვემდებარება. მკითხეს:

– ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?

– სახლში, – ვუპასუხე.

– კი მაგრამ, მერე?

– მერე ცხოვრება გვიჩვენებს.

პრესასთან ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. ყველა ნაცნობი სახე იყო. ვკითხე: „გრძნობთ, როგორ შეიცვალეთ ამ წლების განმავლობაში?“ და ერთმა მიპასუხა – „დიახ. თქვენც შეიცვალეთ, ბატონო პრეზიდენტო“.

მადლობა გადავუხადე და მართლაც სახლში წავედი.

გადადგომიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ მოგონებებზე მუშაობას რომ შევუდექი, ამერიკის პრეზიდენტის, უმცროსი ჯორჯ ბუშის წერილი მივიღე:

დეკემბერი, 2003
მის აღმატებულებას
საქართველოს პრეზიდენტს
ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ თავისუფლების დამკვიდრებაში თქვენ მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის. თქვენი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ცივი ომის დამთავრება, ყოფილ საბჭოთა სივრცეში თავისუფლების დამკვიდრება, სამოქალაქო ომის წყვდიადიდან საქართვე-

ლოს გამოყვანა და ქვეყანაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დაფუძნება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მტკიცე მეგობრობის ჩამოყალიბება. მინდა მადლობა მოგახსენოთ, როგორც ერაყის საკითხში მხარდაჭერისთვის, ისე პანკისში განხორციელებული კონტრტერორისტული ოპერაციისთვის.

თქვენი ღირსეული გადადგომა 23 ნოემბერს და მზადყოფნა, გაუზიაროთ თქვენი სიბრძნე და გამოცდილება საქართველოს ხელმძღვანელობის ახალ თაობას, რომლებიც თქვენი აღზრდილები არიან, თქვენს კიდევ ერთ დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. თქვენი გადაწყვეტილება გადადგომის თაობაზე, თბილისის ქუჩებში ძალის გამოყენების ნაცვლად, თქვენი შესანიშნავი კარიერის ღირსეული დაგვირგვინებაა.

მჯერა, რომ თქვენ, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ძალისხმევას არ დაიშურებთ საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიის განმტკიცებისა და ქვეყნის განვითარებისთვის.

პატივისცემით, ჯორჯ უ. ბუში

„Я знаю:
глупость эдемы и рай!
Но если
пелось про это,
Должно быть
Грузию,
Радостный край,
подразумевали поэты."

ეპიგრაფად მოხმობილი პოეტური პწკარები ვლადიმერ მაიაკოვსკის ეკუთვნის („Владикавказ-Тифлис"), მეოცე საუკუნის დიდ რუს პოეტს, საქართველოში დაბადებულსა და გაზრდილ კაცს, „რევოლუციის მეხოტბეს", რომელმაც ვერ გაუძლო რევოლუციური რომანტიზმისა და ბოლშევიკური რეალობის სასტიკ კონფლიქტს და თავი მოიკლა. მის პიროვნულ ტრაგედიაში ჩემი ქვეყნის ტრაგედიაც აისახა.

ჩემს ქვეყანას თავად ქართველები საქართველოს ვუწოდებთ, რუსები – გრუზიას, თურქები – გურჯისტანს, ინგლისელები – ჯორჯიას. ფიქრი არ გაგექცეთ ამერიკის ჯორჯიის შტატისკენ. ჩემი ქვეყანა სულ სხვა მხარესაა, იგი სამხრეთ კავკასიაში, ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს.

გადმოცემის მიხედვით, ბერძნული მითოლოგიის გმირი პრომეთე კავკასიონის იმ მთებზე იყო მიჯაჭვული, რომელიც საქართველოს აკრავს, პრომეთეს კი ქართულ ფოლკლორში ამირანი ჰქვია; ოქროს ვერძი ბერძენმა იაზონმა დასავლეთ საქართველოდან, ანუ კოლხეთიდან გაიტაცა, მისი შემწე კოლხი ასული მედეა იყო; 1976 წელს ამერიკულმა ხომალდმა „ჩელენჯერმა" კოსმოსში, სხვა ინფორმაციასთან ერთად, დედამიწის ცივილიზაციის ერთ-ერთ ნიმუშად ქართული მრავალხმიანი სიმღერა „ჩაკრულო" გაიტანა; ევრაზიის სივრცეში „პირველი ევროპელის" ნაშთები სწორედ საქართველოში, „აბრეშუმის გზის" გზაჯვარედინზე, დმანისშია ნაპოვნი და ქართველი

და უცხოელი მეცნიერების ერთობლივი დასკვნით მისი ასაკი ძილიონ რვაას ათას წელს აღემატება, და თუ ამ ყოველივეს იმასაც დავუმატებთ, რომ საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, მაშინ ნათელი გახდება, რატომ გადაიქცა შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული ეს ქვეყანა ხალხთა და ცივილიზაციათა ისტორიულ გზაჯვარედინად. ამ ხალხის ხასიათი შთამბეჭდავად აისახა მისივე ფოლკლორში, მის ენაში, მის მრავალხმიან სიმღერაში, მის ტოლერანტულ ბუნებასა და მის ისტორიულ ბედში. ბოლოს და ბოლოს, ვინ არ მოსულა აქ მახვილით: მიდიელები, ხეთები, ბერძნები, რომაელები, სპარსელები, მონღოლები, ბიზანტიელები, თურქები, ჩრდილოეთ კავკასიის ტომები, რუსები — ისინი წავიდნენ, საქართველო და ქართველი ხალხი კი მაინც გადარჩა ისე, რომ თავისთავადობა არ დაუკარგავს.

2000 წელს აღინიშნა ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი იუბილე. საქართველოს მთელი ისტორია ამ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების, დაცვის, დაკარგვისა და აღდგენის ისტორიაცაა.

ისიც მინდა ვთქვა, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. აქ, დასავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, იქადაგეს ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, ხოლო მეოთხე საუკუნეში, მირიან მეფის დროს, უკვე აღმოსავლეთ საქართველოში, წმინდა ნინოს ქადაგებით ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა აღიარებული.

ქრისტიანობას აქ დიდი წარმართული კულტურა დახვდა თავისი სახელმწიფო თუ სამოქალაქო სტრუქტურებით, დამწერლობით. ქრისტიანობა მას მკვეთრად დაუპირისპირდა, მაგრამ რაც დაპირისპირებას გადაურჩა, უდიდეს მხატვრულ და არქეოლოგიურ ღირებულებას წარმოადგენს.

ქართული სული ხალხის კულტურასა და ცხოვრების წესშია. სწორედ ამიტომ დამპყრობლები, ქართველთა ამოძირკვა რომ სურდათ, უპირველესად ქართულ ენას, ქართულ დამწერლობას სპობდნენ. ებრძოდნენ სარწმუნოებას, ვაზის კულტურას, ადათ-წესებს — იკრძალებოდა ქართულ ენაზე ლაპარაკი, ისპობოდა ქართული დამწერლობის ნიმუშები, ინგრეოდა ეკლესიები, იჩეხებოდა ვაზი...

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — აფხაზეთსა თუ სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა თუ ჰერეთში — ეკლესია-მონასტრებზე, ხიდებზე, სამწერლო ძეგლებში მეოთხე საუკუნიდან ფიქსირებულია ქართული ანბანით შესრულებული ტექსტები. ისიც უნდა ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ნეკრესის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია თიხის ფილებზე ამოტვიფრული ცალკეული ქართული ასოები და სიტყვათა ფრაგმენტები, რომელიც წინარექრისტიანულ ხანას ეკუთვნის.[4]

მოგეხსენებათ, მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასამდე ენაა, დამწერლობა კი — მხოლოდ თოთხმეტი. ერთ-ერთი მათგანი ქართულია. ქართული ანბანის ყოველ ბგერას შეესაბამება ცალკეული ასო, რომელიც ყოველთვის ერთი და იმავე ბგერის აღმნიშვნელია. ბგერისა და მისი აღმნიშვნელის, — ასოს იდენტურობით იგი მართლაც უნიკალურია და საოცრად დახვეწილი.

საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა, მოსახლეობა მცირერიცხოვანი — 5 მილიონამდე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეტად მრავალფეროვანია — დიალექტებით, ვერბალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორით, ეთნიკური ხასიათით, ჩაცმულობით, ადათ-წესებით, კულინარიით.

მინდა მჯეროდეს, რომ გლობალიზაცია ზიანს ვერ მიაყენებს ისეთი ქვეყნების კულტურებს, როგორიც საქართველოა, რადგან აქ სიმცირე-სიდიდეში კი არ არის საქმე, არამედ თვითმყოფადობასა და შინაგან სიძლიერეში. იმის იმედიც მაქვს, რომ დიდი ქვეყნები, საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით (იუნესკო, გაერო) შექმნიან კულტურათა დაცვის უნივერსალურ მექანიზმებს (ამ თემას კიდევ დავუბრუნდები).

კაცობრიობის სიდიადე და სიმდიდრე ერთა კულტურულ მრავალფეროვნებაშია და ამ კულტურათა ნიველირება სრულიად დაუშვებელია. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმ ყოველივეს შენარჩუნებასა და განვითარებაზე, რაც უამრავ დამპყრობელს გადაურჩა. იგულისხმება არა

[4] აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი ამ ხანას ძვ. წ. ბოლო საუკუნეებიდან ახ. წ. IV საუკუნემდე პერიოდს აკუთვნებს (ლევან ჭილაშვილი, ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2004, გვ. 126).

მხოლოდ ერთიანი კულტურა და ენა, არამედ კუთხეთა მრავალფეროვნებაც, ადამიანთა განსხვავებულობაცა და მხოლოდ ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი ეთნოთავისებურებებიც.

* * *

მე საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ მხარეში, გურიაში, სოფელ მამათში დავიბადე 1928 წლის 25 იანვარს.

ჩემი ბავშვობა, ჩემი კუთხე — გურია და გურულები, ჩემი სოფლელები, ჩემი ოჯახი დღესაც ფეთქავს ჩემში და რომ ვარ ასეთი და არა სხვაგვარი, რომ ვფიქრობდი და ვფიქრობ ასე და არა სხვაგვარად, სწორედ იმ გარემოსა და იმ ადამიანების დამსახურებაა, რომელთაც ვხედავდი, ვუსმენდი და რომელთა შორის ვიზრდებოდი...

ბავშვობის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩვენი ხის სახლის, ანუ ოდის მშენებლობა იყო, რომელიც ჩემმა ძმამ წამოიწყო. ჩვენი წესითა და ადათით ოდას მთელი სოფელი აშენებდა, დიდიან-პატარიანად, რადგან ჩემს ქვეყანაში არც ლხინში და არც ჭირში არა ხარ მარტო. მშენებლობასა და სხვა საქმეში ასეთ ერთობლივ დახმარებას გურიაში „ნადი" ჰქვია. ამ დროს მუშაობა რომ ხალისიანი და რიტმული იყოს, მღერიან „ნადურს", ოთხხმიან ხალხურ შრომის სიმღერას. ეს საუკუნეების სიღრმიდან წამოსული მრავალხმიანი სიმღერაა, ქართული პოლიფონიის უნიკალური ნიმუში: მასში ყოველი მომღერალი თავის ხმას მიჰყვება, თავის სათქმელს ამბობს, მაგრამ ერთობლიობაში საუცხოოდ გამართული მრავალხმიანობა იქმნება. მრავალხმიანობა ავალდებულებს მომღერალს, ყური უგდოს პარტნიორს, ხმა ხმას შეუწყოს; განსხვავებულთა ერთიანობა სხვაგვარად არ მიიღწევა. საერთოდ, პოლიფონიური სიმღერა საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული, მაგრამ ყოველი კუთხე სტილური და ჰარმონიული სპეციფიკით გამოირჩევა. რაც შეეხება ქართულ საეკლესიო პოლიფონიას, რომელიც საგალობლებშია წარმოჩენილი, იგი ჯერ კიდევ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებშია ჩაწერილი მუსიკალური ნიშნებით — ნევმებით — ჩვენი დიდი საეკლესიო მოღვაწეების, მიქაელ მოდრეკილისა და იოანე მინჩხის მიერ.

ქართული მრავალხმიანობა არქაული ხანიდან მოდის. მან გაუძლო ათასწლეულებს და იმედი მაქვს, რა მძაფრიც უნდა იყოს გლობალიზაციის პროცესი, ქართული მრავალხმიანი სიმღერა ყოველთვის დარჩება ქართული ხასიათის საუკეთესო გამოხატულებად.

ამ მრავალხმიანობაში ის დიდი საიდუმლოება ძევს, რომლის წვდომაც მაშინ არ შემეძლო. მხოლოდ მერე, წლების შემდეგ მივხვდი — არ კმარა მხოლოდ შენი ხმა გქონდეს, თუ შენსას სხვათა ხმებს ვერ შეუწყობ. ისტორიაში ქართველობის გადარჩენის ერთი უმთავრესი მიზეზი, ალბათ, ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ასეთ ტრადიციულ ნაზავში უნდა ვეძიოთ.

საქართველოს მოსახლეობა მრავალეთნიკური და მრავალკონფესიურია. ქართველთა უმრავლესობა მართლმადიდებელია, მაგრამ ისინი ტოლერანტულნი არიან სხვა ეროვნებისა და განსხვავებული ალმსარებლობის ადამიანთა მიმართ. ამის შესანიშნავი მაგალითია უძველეს ებრაელ ხალხთან ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრება, რომლის დროსაც, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ებრაელთა დევნა არ ყოფილა.

საქართველოს ისტორია გადარჩენისათვის მუდმივი ბრძოლის ისტორიაა. ეს დიდ ქვეყნებთან რთული ურთიერთობისა და მსოფლიო კონტექსტში თავისი ადგილის დამკვიდრების ისტორიაა; ეს არის გარედან მხარდაჭერის აქტიური ძიების უსასრულო პროცესი, რომელიც ახლაც გრძელდება ამერიკასთან, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრირებით.

ქრისტიანობამდელი დროიდან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე მყოფ საქართველოს მუდმივად უხდებოდა ბალანსირება — რომსა და პართიას, ბიზანტიასა და ირანს, რუსეთსა და მაჰმადიანურ სახელმწიფოებს — ოსმალეთსა და ირანს შორის. და ხშირად იყო ერთობლივი ბრძოლების შთამბეჭდავი ეპიზოდებიც — რომთან, ბიზანტიასთან, ევროპასთან, ირანთან თუ რუსეთთან ერთად. იყო დროც, როდესაც საქართველო საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს თამაშობდა და როგორც სახელმწიფოს თავისი საერთაშორისო ფუნქცია ჰქონდა, მას ანგარიშს უწევდნენ. მაგალითად, ჯერ კიდევ სახელგანთქმული მეფის, დავით აღმაშენებლის

დროს, 1121 წელს, მუსლიმანურ სამყაროსთან გადამწყვეტი ბრძოლისას (დიდგორის ბრძოლა) ქართველთა მეფის ლაშქარში ჯვაროსნებიც („ფრანგები“) იყვნენ, შემდეგ უკვე თავად ქართველებმა ითამაშეს დიდი როლი იერუსალიმის გათავისუფლებაში და ამ წმინდა ქალაქში აღმართული დროშებით შესვლის უფლება მოიპოვეს...

მაგრამ მეცამეტე საუკუნიდან ევროპა უკვე იცვლება, მისი სახელმწიფოებრივი ინტერესები და პრიორიტეტები უკვე სხვაა. ჯერ მონღოლების შემოსევამ, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლის დაცემამ მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს დანგრევა. მაჰმადიანთა გარემოცვაში მყოფი საქართველოსთვის ერთადერთ რეალურ პარტნიორად ქრისტიანული რუსეთი ჩანდა – სახელმწიფო, რომელიც ნელ-ნელა იკრებდა მიწებსა და ძალას.

ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზები ძნელი იყო, შორი და მათ გავლას დიდი დრო უნდოდა. მართალია, ქართველები უკვე გაშინაურებულნი იყვნენ რუსეთის საიმპერატორო კარზე, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება მხოლოდ 1783 წელს დაიდო. იოსებ სტალინის შეფასებით, ეს იყო „ნაკლები ბოროტება“, რომელიც საქართველოს ემუქრებოდა. ამან საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. თუმცა, რუსეთს ხელი არ გაუნძრევია 1795 წელს, როდესაც მასთან ქართველთა კავშირის გამო აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი მიწასთან გაასწორა. შემდეგ, 1801 წელს, რუსეთმა კოლონიური უღელი დაადგა საქართველოს, როდესაც იმპერატორ ალექსანდრეს მანიფესტით 1783 წლის ხელშეკრულება გაბათილდა და საქართველოს სამეფო გაუქმდა.

საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ქართველი ხალხი ვერ შეეგუა თავისუფლების დაკარგვას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მმართველობამ მას მშვიდობა მოუტანა, დაშლილი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხე რუსეთის იმპერიის ფარგლებში კლავ გაერთიანა, ქართველობა ევროპის კულტურას აზიარა და, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად გადაარჩინა. ერთი კია, პეტრე პირველის მიერ ევროპაში გაჭრილი ფანჯარა ქართველთათვის კარად ვერ იქცა. ყოველი ქართველის სასიცოცხლო ოცნება დამოუკიდებლობის დაბრუნება იყო – აჯანყებები 1804 წლიდან დაიწყო და მხოლოდ

დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, 1990 წელს დასრულდა. თუმცა დღესაც არ დამთავრებულა რუსეთის მცდელობა — კვლავ თავის წიაღში დააბრუნოს ჩვენი ქვეყანა, რაც თუნდაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსირების მცდელობაში ვლინდება კიდეც.

ვიცი, ამ წიგნის ცალკეულ დებულებას ბევრი მოიწონებს, ბევრიც კრიტიკულად განეწყობა.

სხვა საკითხებთან ერთად, პირველ რიგში, ეს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ცალკეულ შეფასებას შეეხება. შემახსენებენ, გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავი რომ აღინიშნა, ან მაშინ, როცა მე საქართველოს კომუნისტების ლიდერი ვიყავი, რატომ არ ვამბობდი სრულ სიმართლეს ორი ხალხის ურთიერთობის ჩრდილოვან წერტილებზე?

მართალია, მე მქონდა რესპუბლიკური თუ საკავშირო მნიშვნელობის მაღალი ტრიბუნები, მაგრამ რა შედეგი მოჰყვებოდა ჩემს გაბედულ დემარშებს? პირველ რიგში ის, რომ მე სამუშაოდან გამათავისუფლებდნენ და ყველაფერი, რასაც ქართული კულტურის, მისი თვითმყოფადობის უზრუნველსაყოფად ვაკეთებდი, შეიძლებოდა წყალში გადაყრილიყო.

სხვათა შორის, როცა გეორგიევსკის ტრაქტატის მეორასე წლის იუბილეს ვამზადებდი, ვიცოდი, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც არ ჰქონდა ტრაქტატზე, არც იმაზე, რა იყო ტრაქტატამდე საქართველო და რა მოხდა შემდეგ. ეს იუბილე ეროვნული წარსულით ჩვენი ხალხის დაინტერესების მცდელობა იყო, ამასთან იმის ხაზგასმაც, რომ ჩვენ ტრაქტატის სულისკვეთებას ვუჭერდით მხარს. და მაინც... მოკლედ, წინასწარვე ვგრძნობდი, იქნებოდნენ მხარდამჭერნიც და იქნებოდნენ კრიტიკოსებიც.

ყოველი მათგანის გასაგონად მინდა ვთქვა: მოვიდა დრო, როცა შემიძლია სიმართლე ვუთხრა ხალხებს, პირველ რიგში, ქართველებსა და რუსებს. მისი თქმა, მჯერა, ახლა იმუშავებს, დროულიცაა და საჭიროც, მაშინ კი ახალი უსიამოვნებების, თუ გნებავთ, ახალი მსხვერპლის საფუძველიც გახდებოდა.

დამოუკიდებლობის დაბრუნების რეალური შანსი საქართველოს 1917 წელს მისცა რუსეთის იმპერიის დაშლამ. 1918 წლის 26 მაისს

გერმანიისა და საფრანგეთის მნიშვნელოვანი დახმარებით საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, ამ რესპუბლიკამ მხოლოდ სამ წელს იარსება. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. მან მეორედ მოახდინა საქართველოს ოკუპირება.

რუსეთის იმპერიას საბჭოთა იმპერია ჩაენაცვლა, რომლის სათავეშიც, ბედის ირონიით, ათწლეულების განმავლობაში წარმოშობით ქართველი, ყმაწვილკაცობაში შესანიშნავი ქართული პატრიოტული ლექსების ავტორი, იოსებ ჯუღაშვილი, იგივე იოსებ სტალინი იდგა.

საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელებისთვისა და მათ შორის მყოფი ქართველებისთვისაც იდეოლოგიურადაც და ეკონომიკურადაც მიუღებელი იყო სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების: აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის არსებობა და სწორედ ამიტომ საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად 1920-21 წლებში სამივე რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. ისინი ერთმანეთის მიყოლებით გასაბჭოვდნენ. საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა უცხოეთში, საფრანგეთში გაიხიზნა.

დამოუკიდებლობის დაკარგვას ქართველები არ შეეგუვნენ, საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მოძრაობამ მოიცვა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ქვეყნის ყველა რეგიონი, ყველა ფენის წარმომადგენლები, თავადაზნაურობა და გლეხები, ჩინოვნიკები და სამღვდელოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ამ ბრძოლის ისტორიის ბევრი ფურცელია ცნობილი, მაგრამ ბევრ რამეს, რაც ერის ისტორიის უბრწყინვალეს ფურცლებს წარმოადგენდა, დავიწყების ფერფლი წაეყარა. ეს მოძრაობა იმდენად გმირული და თავგანწირული იყო, რომ მისი თითოეული დეტალიც კი საქართველოს შთამომავლობის კუთვნილებად უნდა იქცეს, ვიცით, ეს არ არის იოლი საქმე, მაგრამ დღევანდელი დამოუკიდებელი ქვეყნის ვალია, ყველაფერი მოიძიოს და ჭეშმარიტება აღადგინოს.

რამდენიმე ხნის წინ საფრანგეთიდან ჩამოასვენეს და მთაწმინდაზე (სადაც ერის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები განისვენებენ) მშობლიურ მიწას მიაბარეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერთ-ერთი ლეგენდარული მეთაური და ორგანიზატორი ქაქუცა (ქაიხოსრო)

ჩოლოყაშვილი, რომელიც შიშის ზარს სცემდა კოლონიზატორებს, მაგრამ ამ გიგანტურ ძალას ვერ სძლია და დამარცხებულმა, ისევე როგორც ბევრმა ემიგრანტმა, თავი საფრანგეთს შეაფარა.

ასეთები ბევრნი იყვნენ, სახელიანნი თუ უსახელონი, მათი უმრავლესობა უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. მახსენდება მამაჩემის ბიძაშვილი დათიკო (დავით) შევარდნაძე, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში – ნასაკირალში, 1905 წელს აჯანყებულთა რაზმს მეთაურობდა. ისიც ჭეშმარიტი გმირი იყო, მაგრამ დამარცხდა და თანამებრძოლებთან ერთად ტყეს შეაფარა თავი, სადაც ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, მაშინდელი ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა პირმა მოწამლა.

1921 წელს მოჰყვა სისხლიანი 1924 წელი, როდესაც თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების რეალური თუ ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგენი, შემდეგ იყო 1937 წლის რეპრესიები, იყო 1950 წლის მასობრივი გადასახლებანი, 1956 წელს – საპროტესტო დემონსტრაციის სისხლიანი ანგარიშსწორება და 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილი. შემდეგ, 1991-93 წლებში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში – რუსეთთან გამოუცხადებელი ომი, რომელშიც, არასრული მონაცემებით, ექვსი ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა და სამას ათასამდე კაცს სახლ-კარის მიტოვება მოუხდა. ისინი სამშობლოში დევნილებად იქცნენ. ეს იყო კლასიკური ეთნოწმენდის „ნიმუში“ საზარელი შედეგებით.

ისიც უნდა ვთქვა, რომ მანამდე, 1941-45 წლების სამამულო ომში სამას ათასზე მეტი ქართველი დაიღუპა, საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის ათი პროცენტი. მოკლედ, რუსეთთან ურთიერთობა და მისი „მფარველობის“ ქვეშ ყოფნა 1801 წლიდან დღემდე საქართველოს ბევრი სისხლი დაუჯდა. თუ ეს არ გავიაზრეთ და არ გავაანალიზეთ, ჩვენი მეზობლობა ერთმორწმუნე დიდ მეზობელთან, დიდი და შესანიშნავი კულტურის ხალხთან, ვერ იქნება გულწრფელი, ვერ იქნება სრული, ვერ იქნება ორმხრივი სიკეთის მომტანი.

საქართველომ, ქართველმა ხალხმა, ქართულმა კულტურამ ძალზე ბევრი რამ მიიღო რუსეთისგან, რუსი ხალხისგან, რუსული კულტურისგან. თუმცა არც ჩვენ დავრჩენილვართ ვალში, ჩვენც ბევრი რამ გავეცით, რუსეთის ომებში ქართველებიც იბრძოდნენ და იღუპებოდნენ

– როგორც 1812 წლის სამამულო ომში, ისე კავკასიის ომებში (1817-44 წწ.), რუსეთ-ოსმალეთის ომებში (1828-29, 1877-78), რუსეთ-ირანის ომებში (1804-13, 1826-28 წწ.), პირველ თუ მეორე მსოფლიო ომებში. ბევრი ქართველი შეეწირა ამ პროცესებს და ბევრი ქართველი გმირი ჰყავს ამ ომებს. მათგან თუნდაც ერთის, ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის გახსენებაც იკმარებდა.

ახლა სხვა დრო მოვიდა...

დაინგრა მეფის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიები, ხალხებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შენება დაიწყეს, მათაც კი, ვისაც სახელმწიფოებრიობის ისტორია საქართველოსთან შედარებით მოკლე ჰქონდათ...

დღეს რუსეთში ზოგიერთებს, მათ შორის პოლიტიკოსებს, უჭირთ იმასთან შეგუება, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებს, მაგრამ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უგულებელვყოფთ რუსეთს და შესაძლებლად მიგვაჩნია ქართული ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის სრულფასოვანი და სწრაფი განვითარება რუსეთის ეკონომიკასთან, მეცნიერებასა და კულტურასთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე. გეოგრაფიულადაც ხომ იქვე დავრჩით, სადაც ვიყავით...

რუსეთში დღეს ასიათასობით ქართველი ცხოვრობს, აბსოლუტური უმრავლესობა კარგი სპეციალისტი, მეცნიერი, ხელოვნების მოღვაწეა. ბევრი სხვადასხვა საწარმოში მუშაობს და უაღრესად საჭირო პროდუქციას ქმნის, ბევრი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს.

მართალია, საქართველოში მცხოვრებ რუსი ეროვნების მოქალაქეთა რიცხვი ერთგვარად შემცირდა, მაგრამ ეს რთული სიტუაციებითაა გაპირობებული, რომლებზეც ამ წიგნში იქნება ლაპარაკი. ამავე დროს, კვლავ ფუნქციონირებს რუსული სკოლები, ფაკულტეტები, მოღვაწეობენ რუსი მეცნიერები და მსახიობები, ეს ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოქროს ფონდია, მით უმეტეს, რომ ისინი, როგორც სხვა ეროვნული უმცირესობანი, სწავლობენ სახელმწიფო ენას, რაც მათ უადვილებს სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას.

ქართველები უმადურები არ ვართ – ჩვენ ყველა ის სიკეთე

გვახსოვს, რაც რუსეთს ჩვენთვის გაუკეთებია, ავის დავიწყებაც შეგვიძლია. ჩვენი სახლის კარი და ჩვენი საზღვარი ისევ ღიაა ყველასათვის, ვინც სიყვარულით მოდის ჩვენთან. ქვეყნების დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავს საუკუნოვანი კავშირების გაწყვეტას. ჩვენ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მზად ვართ თანამშრომლობისთვის და მეგობრობისთვის.

რაც იყო, კარგიც და ცუდიც, ორივე მხარემ მშვიდი გონებითა და ემოციების გარეშე უნდა გავაანალიზოთ, რათა ჩვენი მომავალი ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებაზე, ურთიერთპატივისცემასა და მეგობრობაზე იყოს დამყარებული.

საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა და ფაქტობრივად, ოჯახს ვერ ნახავთ, მასზე თუ მის სანათესაოზე არ იყოს გადავლილი ყველა ის უბედურება, რომელიც რუსეთს დამართნია. ყველას ჰყავს ვინმე დაღუპული, დაკარგული, რეპრესირებული. ამა თუ იმ დროს ჩემს ოჯახსაც და სანათესაოსაც შეეხო ყველაფერი ეს, დავით შევარდნაძეზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ჩემი გვარის კაცი (ნათესავი) გახლდათ დიმიტრი შევარდნაძეც — ევროპაში (პეტერბურგსა და მიუნხენში) განსწავლული ცნობილი მხატვარი. იგი წინ აღუდგა თბილისში მეტეხის ტაძრის დანგრევის კომუნისტურ მცდელობას და ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ინტელიგენციის იმ ჯგუფისა, რომელიც მაშინდელი საქართველოს ხელმძღვანელთან, ლავრენტი ბერიასთან შევიდა მოთხოვნით — ტაძრისთვის ხელი არ ეხლოთ. ტაძარი კი გადარჩა, მაგრამ ვერ გადარჩა დიმიტრი შევარდნაძე — იგი 1937 წელს დახვრიტეს.

ახლა რომ ვფიქრობ, მართლაც არეულსა და ძნელ დროში ვცხოვრობდი. რამ არ გადაიარა ჩემი თაობის თავზე. და როცა ახალგაზრდებისაგან საყვედურები მესმის, მინდა ვუთხრა — წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩვენს ადგილზე და ისე განსაჯეთ ყველა და ყველაფერი.

* * *

ახლა ჩემს მშობლებსა და ოჯახზე მინდა მოგითხროთ.

როგორც ზემოთ ვთქვი, დავიბადე 1928 წელს, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებიდან ოთხი წლის შემდეგ. ეს აჯანყება სისხლში

ჩაახრჩვეს. დასტა-დასტა, ჯგუფურად ხვრეტდნენ ხალხს. მერე, როცა წამოვიზარდე, ჩვენს ოჯახში ამ ამბების შესახებაც იყო ხოლმე ლაპარაკი და კამათი, ბევრი შინაური ჯერ კიდევ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგა, მაგრამ როდესაც დაჭერები გახშირდა, დავაკამათიც ჩურჩულზე გადავიდა. ხალხი დაშინდა, თუმცა არ გამტყდარა. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს თემა, ხალხისა და პიროვნების დათრგუნვის თემა, პირადად ჩემს ბედსა და ჩემი ოჯახის ბედს, ჩემი მეუღლის ბედს დაღს დაასვამდა და განსაზღვრავდა.

ჩვენს ოჯახში ბევრნი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდები ვიყავით — ოთხი ძმა და ერთი და. ვკამათობდით კიდეც, მაგრამ ქვეყანასთან, ოჯახთან, პატიოსნებასთან, სიყვარულთან, შრომასა და ერთგულებასთან მიმართებაში მაინც ერთიანნი ვიყავით. სწორედ ამან გაგვატანინა თავი მართლაც ძნელსა და რთულ ეპოქაში.

მამაჩემს ამბროსი ერქვა, მამამისს — გიორგი.

დედაჩემი, სოფიო, გლახუნა პატეიშვილის ქალი გახლდათ, აზნაური.

მამაჩემი რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სოფელ მამათის საშუალო სკოლაში. არც ისე დიდი ხნის წინ არქივში იპოვეს ლევ ტოლსტოის თხზულებათა კრებულის რევოლუციამდელ გამოცემაზე პირველ ქართველ ხელმომწერთა სია, რომელშიც მამაჩემის გვარი და სახელი ერთ-ერთი პირველია (ეს დოკუმენტი პროფესორმა გურამ შარაძემ მოიძია). თავის ამ მისწრაფებაში მამაჩემი გამონაკლისი არ გახლდათ — ქართველი კაცი ყოველთვის ცდილობდა გარემოების მიერ მისთვის მოზომილი სამყაროს გაფართოებას, მსოფლიო ცივილიზაციის საუკეთესო ნიმუშებთან თანაზიარობას.

მამაჩემი სკოლიდან დაბრუნდებოდა, ისადილებდა და სიმინდის სათოხნელად, ვენახის მისახედად, სკების შესაბოლად წავიდოდა. ასე შრომობდა იგი გვიანობამდე. წვებოდა, როცა ჩვენ უკვე გვეძინა; უთენია რომ დგებოდა, მაშინაც გვეძინა, ნავთის ლამპას აანთებდა, მოსწავლეების რვეულებს ასწორებდა, გაკვეთილისთვის ემზადებოდა.

დედაჩემს უფრო მეტი საზრუნავი ჰქონდა. ხუთი შვილი ვყავდით. უფროსი, ევგრაფი, პოლიომიელიტით დაავადდა და სამუდამოდ შეეზღუდა მოძრაობის უნარი, მაგრამ ისიც კი რაღაცას ახერხებდა, სხვებთან

ერთად შრომობდა, შემდეგში კი თავი გამოიჩინა, როგორც თავისი რაიონის ცნობილმა მოღვაწემ.

პირველი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ხუთი წლისამ მოვკრიფე. მამაჩემი გვასწავლიდა ფუტკრის მოვლას, ამიტომ თაფლიანი ფიჭის ცქერა დღესაც სიამოვნებას მგვრის. სწორედ აქ, ჩემს სოფელსა და ოჯახში მივეჩვიე გლეხკაცის შრომას, ვიგრძენი მისი სიმძიმეც და სიკეთეც და მეამაყება, რომ ყოველთვის ტოლიევით შემეძლო მესაუბრა მხვნელთან თუ მწყემსთან, მევენახესთან თუ მეფუტკრესთან, ჩაის მკრეფავთან თუ მშენებელთან. და თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, აქამდე ვამაყობ იმით, რომ საკუთარი ხელით შემიძლია რაღაც-რაღაცების კეთება.

1937 წელს ჩემი სოფლიდან, ისევე როგორც ახლომახლო სოფლებიდან, ადამიანების გაუჩინარება დაიწყო. ქრებოდნენ ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე ავტორიტეტული ადამიანები. ერთ დღეს გაუჩინარდა მამაჩემიც, სოფელში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და პატივსაცემი პიროვნება, რომელმაც იმ დროისთვის მამათში საშუალო სკოლა გახსნა. დედაჩემი გულჩათხრობილი გახდა, კითხვებზე არ გვპასუხობდა. სახლს გარეთ, ჩემ ირგვლივ, გაუცხოების სიცივე ვიგრძენი. სხვათა შორის, ასეთივე გაუცხოება ვიგრძენი სულ ბოლო გადადგომის შემდეგაც, 2003 წელს. სკოლაში მანამდე ლიდერად მთვლიდნენ, პიონერთა რაზმეულის თავკაცადაც ამირჩიეს, ბიჭები სულ ჩემ ირგვლივ ტრიალებდნენ, ახლა კი სრულ მარტოობას ვგრძნობდი, არავინ მეკარებოდა, სათამაშოდ აღარ მეძახდნენ... „ხალხის მტრის“ შვილის იარლიყი მომეწება და როცა შევიტყვე, რომ სოფლის პიონერთა ბანაკში არ წამიყვანდნენ, შევძრწუნდი. ეს დიდი დარტყმა იყო ჩემთვის.

რამდენიმე ხანში მამაჩემი დაბრუნდა. მერე გავიგე, რომ მისი დაპატიმრების ორდერი გამოეწერათ, მაგრამ რეპრესიას მამა მისმა ერთმა ნამოწაფარმა, შინსახკომის რაიონული განყოფილების თანამშრომელმა გადაარჩინა. მან მამაჩემი გააფრთხილა, რომ დაპატიმრებას უპირებდნენ და ურჩია, შფოთიანი დროის გადავლამდე სადმე მიმალულიყო. მაშინ ასე ბევრი იქცეოდა.

1937 წლის რეპრესიები იმდენად მასშტაბური იყო, რომ ქვეყანა

გაუკაცრიელდა და 1938 წლის თებერვალ-მარტში ტერორის მანქანა ოდნავ შეაჩერეს. იმ დროს მე ეს არ ვიცოდი და მიხაროდა, რომ მამაჩემი „ხალხის მტერი“ არ აღმოჩნდა, მაგრამ უკვე მაშინ დავიწყე ფიქრი იმ მიზეზებზე, რომლებიც ოჯახებს ხლეჩდა. მთავარ მიზეზად ასახელებდნენ კლასობრივ ბრძოლას, რომლის ნებასა და კანონებს ნათესაობის, ადამიანური სიახლოვის, ახლობელთა შორის უბრალო და ადამიანურ ურთიერთობათა კანონებზე მაღლა აყენებდნენ. ამ ახლობელ ადამიანებს ვუყვარდი მე, სიკეთეს მინერგავდნენ, ზრუნავდნენ ჩემზე და შეუძლებელი იყო იმ აზრთან შეგუება, რომ ისინი „მტრები“ იყვნენ. მე მწამდა ამ ხალხის სიმართლე, მაგრამ დროს თავისი, სხვა, სასტიკი არგუმენტები ჰქონდა. მოზარდისათვის ძალიან ძნელი იყო მათი უარყოფა. ჩემთვის განსაკუთრებით დამაჯერებელი არგუმენტი გახდა ომი — ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. თეზისი ბნელი ძალის შესახებ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დამონება სურდა, დადასტურდა. მე, სოფლის ფოსტალიონის ნებაყოფლობით დამხმარე, „უბედურების მაცნედ“ ვიქეცი.

მალე მწუხარებამ ჩვენს სახლსაც მოაკითხა: ჩემი უფროსი ძმა აკაკი, რომელიც ჯარში ომის დაწყების წინ გაიწვიეს, ომის პირველივე დღეებში ბრესტის ციხესიმაგრის დაცვისას დაიღუპა. მეორე ჩემი ძმაც, იპოკრატეც გაიწვიეს ჯარში და ყოველდღე ველოდით ფრონტზე მის გაგზავნას.

გავა წლები და მე, მომავალი მშვიდობის იმედითა და სურვილით, არცთუ იოლად მომიწევს ამ ტკივილის დათრგუნვა, როცა გერმანიის გაერთიანებას შევუწყობ ხელს.

ომმა მეც ისევე გამომაწრთო, როგორც მილიონობით ჩემი თანატოლი. ის აყალიბებდა ჩემს მრწამსს და მისახავდა მიზნებს. ფაშიზმთან ომი ბოროტებასთან ჩემი პირადი საქმე და ბრძოლა გახდა. ფაშიზმი კომუნიზმს ებრძოდა, კომუნიზმი კი ჩემი რელიგია იყო. ასე გვზრდიდნენ. ამ ბრძოლაში გამარჯვება კომუნიზმის გამარჯვება იყო, მაშასადამე, ეს ჩემი გამარჯვებაც უნდა ყოფილიყო.

საბჭოთა კავშირი ომიდან დიდ სახელმწიფოდ, ფაშიზმისგან მსოფლიოს ერთ-ერთ მხსნელად გამოვიდა. მაშინ გამარჯვება გაუიგივდა იოსებ სტალინის სახელს, პარტიის ნებასა და ძალას. შემდეგ, როდე-

საც სისტემის კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ რეპრესიებსა და ძალადობაზე, აბსოლუტურად გამორიცხავდნენ იმ საყოველთაო რწმენას, რომელიც ხალხს შენებისათვის აღანთებდა, შემოსეული მტრის მოგერიებისა და დანგრეული ქვეყნის აღდგენისათვის რაზმავდა. არადა, ეს ხომ ნამდვილად იყო, ხომ ნამდვილად სწირავდნენ თავს მაგიური შეძახილით; „За Родину, за Сталина“. და ამ ყველაფერს სერიოზული გაანალიზება სჭირდება, მით უფრო, რომ ასეთი რამ მარტო საბჭოთა კავშირს არ სჭირდა.

* * *

მამათში რვა კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო ტექნიკუმში შევედი. ეს ახლობლების დაჟინებული თხოვნით მოხდა, ყველას უნდოდა, ექიმი გავმხდარიყავი (იმ დროს მეც გული ექიმობისკენ მიმიწევდა, იქნებ ასეც აჯობებდა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე დაგვიანებულია).

თბილისში ჩემს დასთან დავბინავდი, ძველ სახლში, ფასანაურის ქუჩაზე. სარდაფის მსგავს რვაკვადრატულმეტრიან ოთახში ცხოვრება დიდ სიხარულს არ მანიჭებდა, მაგრამ იმ დროს ისე ვიხსენებ, როგორც ძალზე ნათელ ხანას. არსებითად, ტექნიკუმში ვათენ-ვაღამებდი და ჩემს ბნელ და ნესტიან სადგომს მხოლოდ იმიტომ ვაკითხავდი, რომ დისთვის ის ფიქრები და გრძნობები გამეზიარებინა, ჩემში რომ ღვიოდა და აღმავსებდა. სწავლა საინტერესო იყო, მაგრამ უფრო საინტერესო იყო ახალ ადამიანებთან შეხვედრები, მათი გაცნობა, მათში მეგობრებისა და თანამოაზრეების პოვნა, საკუთარი თავის შეგრძნება ენერგიული ახალგაზრდობის არა მარტო ნაწილად, არამედ ლიდერად. ჩემი თანატოლები და ჯგუფელები გულისყურსა და ამხანაგურ მხარდაჭერას არ მაკლებდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი დახმარება ტექნიკუმის დირექტორმა, პროფესორმა ბატონმა შოთა გორდეზიანმა გამიწია. ჩემდა მოულოდნელად, იგი სულიერ მოძღვრად მომევლინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მანაც ვერ დამარწმუნა, რომ ექიმი გავმხდარიყავი (სხვათა შორის, ბატონი შოთა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ლეგენდარული რექტორის, კონსტანტინე ერისთავის სიძე გახლდათ).

ტექნიკუმის დამთავრების დროისთვის სერიოზულად დავეჭვდი ჩემი არჩევანის სისწორეში და როცა კომკავშირის რაიკომში დამიბარეს და ინსტრუქტორის თანამდებობა შემომთავაზეს — ულაპარაკოდ დავთანხმდი.

მშობლებმა, ვიდრე სული ედგათ, ეს ვერ მაპატიეს.

კომუნისტურ პარტიაში 1948 წელს შევედი. მაშინ კომკავშირი და კომუნისტური პარტია პოლიტიკური თვითგამოვლენის ერთადერთი ასპარეზი იყო და მეც სრულიად ახალგაზრდა შევედი პარტიაში.

ცხოვრება მცდიდა. თავდაუზოგავად ვმუშაობდი. ღამის სამ საათამდე რაიკომში ვრჩებოდი, მერე კი მელოდა სიმყუდროვეს მოკლებული ღარიბული ოთახი, ხანმოკლე და მოუსვენარი ძილი და ისევ დილა, ახალი დღე, სავსე ახალი შეხვედრებით, საქმეებითა და იმედებით. ბევრი ცხოვრობდა ასე, მარტო მე არა — გვწამდა, თუ თავს არ დავზოგავდით, უკეთ ვიცხოვრებდით.

ასეთი შრომისა და მატერიალური გაჭირვების მიზეზითაც წლინახევრის შემდეგ ტუბერკულოზით დავავადდი. უცხოურ წამლებს თავისი წონა ოქრო უნდოდა. ოქრო არ იყო, მაგრამ იყვნენ მეგობრები და იყო ჩვენი შესანიშნავი ბუნება. სწორედ ამან გადამარჩინა. რამდენიმე თვე დავყავი გურიის მაღალმთიან სოფელ ბახმაროში, ცხოვრებისა და მკურნალობისათვის თითქოს სრულიად კეთილმოუწყობელ სოფელში, სადაც ფიჭვის მორებით შეკრული რამდენიმე სახლი და საცოდავი ამბულატორია იდგა, მაგრამ იყო ზღვის ჰავასთან შეზავებული ალპური ბალახებისა და ფიჭვის ტყეების სურნელით გაჟღენთილი მთის გამჭვირვალე ჰაერი, იყო ყინულივით ცივი წყაროები და განსაცვიფრებელი ბუნება, სულს რომ ფრენას მოანდომებს, ისეთი. ღარიბული ყოფის კონტრასტი ბუნების დიდებულ სიმდიდრესთან იმდენად თვალში საცემი გახლდათ — არ შეიძლებოდა ადამიანი არ დაფიქრებულიყო: ყველაფერი, რაც გვაბადია, რატომ არის გამოუყენებელი? ჩვენ, ასეთი სიმდიდრის პატრონები, რატომ ვართ ასე ღატაკები?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რომ გავხდი და, თითქოს, ჩემი ნება-სურვილის შესაბამისად მოქმედების შანსი გამიჩნდა (ნაწილობრივ მაინც), დავუბრუნდი ფიქრს რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის, მისი შესანიშნავი საკურორტო

ადგილების გამოყენების შესახებ. შევქმენით საგანგებო სამმართველო, დავიწყეთ სახსრების მოძიება. საქმე ძნელად მიიწევდა წინ. ცენტრალიზებულ განაწილებაზე დაპროგრამებული სისტემა ეწინააღმდეგებოდა გონივრულ ინიციატივას. და მაინც, რაღაცის გაკეთება მოხერხდა, თუმცა რის ფასად! ისე კი, ბახმაროსთან მაინც ვალში დავრჩი და ეტყობა, ახლა უკვე ველარ ამოვალ ამ ვალიდან. ეს უნიკალური, მსოფლიო მნიშვნელობისა და შესაძლებლობების ადგილია. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და მას ოქროს ფასი დაედება.

* * *

1951 წელს მე და ჩემი და შვებულებას ბორჯომის ხეობაში, წაღვერში ვატარებდით.

სწორედ აქ, შესანიშნავ და რომანტიკულ ალაგას, გავიცანი ნანული ცაგარეიშვილი, ჩემი მომავალი მეუღლე.

ახალგაზრდები ვიყავით და სწრაფად მოვნახეთ გზა ერთმანეთის გულებისაკენ. სწორედ ბორჯომის ულამაზეს პარკში ვთხოვე ცოლად გამომყოლოდა.

წინა დღეს მკითხა, სად ვსწავლობდი.

— უმაღლეს პარტიულ სკოლაში, — ვუპასუხე.

— რა, ესე იგი პარტიული მუშაკი უნდა გამოხვიდე? — ჩამეკითხა.

მაშინ ყურადღება არ მივაქციე მის დაძაბულ ტონს, მეორე დღეს კი, ალბათ, უძილო ღამის მერე, გამომიტყდა და მისმა სიტყვებმა გამაოგნა.

— მამაჩემი, ერთი პატიოსანი, სამშობლოსა და ოჯახის ერთგული კაცი, ქალაქ გორში პოლკის მეთაური იყო. ერთ ღამეს იგი პირუტყვივით წაიყვანეს და დახვრიტეს! ახლა თუ შევუღლდებით, შენ პარტიულ კარიერას უნდა გამოემშვიდობო. არ მინდა, ამის მიზეზი გავხდე. ჰო, ჰო, მომავალი წაგართვა, დაგღუპო. ამის უფლება არ მაქვს. არ იფიქრო, შენგან რამე მეწყინოს, ჩემი ბრალია ყველაფერი, დროზე უნდა მეთქვა. რატომღაც მეგონა, ისტორიულზე სწავლობდი (მაშინ ასეთი წესი იყო — თუ ახლო ნათესავი პოლიტიკურ „დანაშაულში“ გყავდა მხილებული, პარტიული წინსვლის გზა გადაკეტილი გქონდა).

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ნანული ასე იხსენებს ამ წუთებს თავის ავტობიოგრაფიულ ნოველაში: ,,განაჩენს ველი! ერთიანად გაფითრებულა (წერს ჩემზე – ე. შ.), მეჩვენება, ქვედა ტუჩი უთრთის...

...ორიოდე წუთი იყუჩა, მერე მოვიდა, მხრებზე ხელი მომხვია და სკამზე დამსვა. თვითონ ისევ ფეხზე დგას, ხელები მუჭებად შეუკრავს და დაჟინებით ჩამცქერის.

– იცი, რას გეტყვი, ღმერთმა დალახვროს ყველა კარიერა. რა არის კარიერა სიყვარულთან შედარებით. კარიერის დაკარგვა რა ბედენაა.

ვიგრძენი, როგორ შვებით ამოისუნთქა. თავი რატომ უნდა მოვიტყუო. მშვენივრად მივხვდი, იმ ულამაზეს, მთვარიან ღამეს როგორი სინატიფით ჩატარდა მსხვერპლშეწირვის რიტუალი“.[5]

იმ საღამოს ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, რათა მალე სამუდამოდ შევუღლებულიყავით და ერთმანეთს აღარასოდეს დავშორებოდით. ნანულის აღსარებამ უკან ვერ დამახევინა. აზრი არც მაშინ შემიცვლია, როდესაც ერთმა მაღალი თანამდებობის ფუნქციონერმა, სხვათა შორის, ნანულის ნათესავმა და კეთილისმსურველმა, მირჩია, ნანულიზე არ დავქორწინებულიყავი – ბიოგრაფიას გაიფუჭებ, მამამისი, პოლკოვნიკი რაჟდენ ცაგარეიშვილი, როგორც ხალხის მტერი, დახვრიტესო.

ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი რომანი იყო, აღსავსე ბედნიერებით, სიხარულით, ტრაგედიებით. ჩვენს შეხვედრასა და შეუღლებას შემთხვევითს ვერ დავარქმევ. იყო რაღაც საერთო ჩვენს ხასიათებში, ბუნებაში, ადამიანურ ურთიერთობებში.

როცა ერთმანეთი გავიცანით, მასზე უფრო ნატანჯი ადამიანის წარმოდგენა ძნელი იყო. მამა რომ დაუჭირეს და დაუხვრიტეს, მთელი ოჯახი უსახლკაროდ დატოვეს.[6] მერე ერთად ბევრი სიკეთეც

[5] ეს ნოველა ნანულის ორმოცზე გამოქვეყნდა მისიეე დაარსებულ გაზეთში ,,მშვიდობა ყოველთა“. მან მართლაც გამახსენა ის საოცარი დღე.

[6] ოცდაჩვიდმეტი წლის ტრაგედია და მასთან დაკავშირებული თავისი განცდები ნანულიმ შესანიშნავად გადმოსცა უკვე შემდეგ, ოთხმოცდაათიან წლებში, თავის მოთხრობაში ,,მიმოზებს მოვიტან, დედა“, რომელიც მართლაც დიდი ტკივილით იკითხება.

ვნახეთ, ჩვენმა ნიჭმა და უნარმა მოგვაძებნინა ჩვენი გზა — გზა ეკლიანი, სირთულეებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე, რომელიც ურთიერთსიყვარულითა და თანადგომით გამოვიარეთ. თითქოს ბედნიერი სიბერისთვის ვემზადებოდით, შვილებმა და შვილიშვილებმაც გაგვიმართლეს; მე ამ წიგნის წერას შევუდექი, ის რომანის დაწერას აპირებდა ჩვენს განვლილ ცხოვრებაზე... მაგრამ უცებ ყველაფერი დაინგრა...

მე გერმანიაში ვიყავი მიწვეული კონფერენციაზე, როცა სამუდამოდ დამტოვა.

უღალატო ადამიანი იყო, მაგრამ ალბათ უფალმა ინება ასე.

* * *

ოცდაათიანი წლების რეპრესიები საქართველოს განსაკუთრებული სისასტიკით დაატყდა თავს, არადა იოსებ სტალინს თავისი სამშობლოსადმი თითქოს ლმობიერება უნდა გამოეჩინა. ეს თვალსაზრისი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ იგი საფუძველშივე მცდარია. კლასობრივი ბრძოლის ამოცანები და ინტერესები უგულებელყოფენ ეროვნულ გრძნობებს. „ეროვნული საკითხი“, რომლის თეორიულ გააზრებაშიც სტალინმა თავისი წვლილი შეიტანა, პრაქტიკაში უნდა განხორციელებულიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრ თანამემამულესთან ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. რა დაავიწყებდა მას, მაგალითად, ე. წ. „ქართულ საქმეს“, როცა თანაპარტიელების ჯგუფმა, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებმა, წინააღმდეგობა გაუწია „ავტონომიზაციის“ მისეული გეგმის განხორციელებას. გეგმა უნიტარული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა და მასში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობას თითქმის უსპობდა. „ქართული საქმე“ გადაიზარდა საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ მწვავე პოლემიკაში, ხოლო ეს პოლემიკა „ნაციონალ-უკლონისტებთან“, როგორც სტალინის ოპონენტები მონათლეს, ანგარიშსწორებაში.

სტალინს სხვა პოლიტიკური ყაიდის მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა — ისინი, ვისთან ერთადაც იწყებდა მოღვაწეობას. მათ იგი პირადად იცნობდა და ისიც იცოდა, რომ საქართველოში შემორჩა წინააღმდე-

გობის ბირთვი და ამიტომაც რეპრესიული მანქანა განსაკუთრებული სისასტიკით ამუშავდა. მან მოიცვა ოციანი, ოცდაათიანი, ორმოციანი წლები და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიც კი.

ოცდაჩვიდმეტ წელზე უამრავი რამ არის ცნობილი, მაგრამ ნაკლებად ცნობილია 1950 წელს საქართველოდან ყაზახეთში რამდენიმე ათასი ქართული ოჯახის გადასახლება ერთადერთი მოტივით: უცხოეთში ნათესავები ჰყავდათ. იმავე პერიოდში მოხდა ე.წ. „თურქმესხთა“ დეპორტაციაც.

ევროპაში გადახვეწილ ქართველ ემიგრანტებსაც „ხალხის მტრებთან“ აიგივებდნენ. მტრებად თვლიდნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს.

შეშფოთებული ვიყავი იმით, რაც ირგვლივ ხდებოდა. იმ დროს კვლავ დაუწყეს დევნა ათასობით უდანაშაულო კომუნისტს. მათ შორის ბევრს პირადად ვიცნობდი, ზოგმა მათგანმა ჩემი მომავალი საქმიანობაც განსაზღვრა — ისინი ჩემი კეთილისმყოფელნი იყვნენ. მე სტალინისა მწამდა, მაგრამ ამ ადამიანების დამნაშავეობა, როგორც ბევრმა, ვერც მე ვირწმუნე. ასეთი გაორების დროს ხსნა იყო აზრი: „სტალინმა არ იცის რა ხდება!“ და მაინც ვგრძნობდი, რომ ჩემში ნელ-ნელა იღვიძებდა პროტესტი უმრავლესობის ნებისადმი პიროვნების უსაზღვრო მორჩილების წინააღმდეგ; არადა ის კოლექტივიზმი, რომელსაც მე თავდაუზოგავად ვემსახურებოდი, პირდაპირი მნიშვნელობით სასწაულებს ახდენდა, როცა ფაშიზმს ამარცხებდა, ქვეყანას ნანგრევებიდან აღადგენდა, ყამირს ტეხდა, კოსმოსს ითვისებდა. და ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ იგივე კოლექტივიზმი იქცეოდა საშინელ, დამთრგუნველ ძალად, როცა ის ადამიანს ათანაბრებდა ჭანჭიკთან, რომლის დამსხვრევა იოლი იყო. „და თუ ადამიანი მხოლოდ დეტალია მანქანისა, — ვფიქრობდი საკუთარ თავთან განმარტოებისას, — მაშინ რა მოუვა თვით მანქანას, თუ განუწყვეტლივ დავუმსხვრევთ დეტალებს?“

როცა წლების შემდეგ ამ სახელმწიფო მანქანამ ჩემ თვალწინ დაშლა დაიწყო, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ფიქრები გამახსენდა. 1951 წელს კი მე უბრალოდ დავუსვი თავს კითხვა: „სიძულვილს ჩემი სიყვარული რატომ უნდა შევწირო?“

მოკლედ, ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო. ალბათ, ღმერთმა სწორედ

ამ ჩემი გულწრფელი გადაწყვეტილების გამო დამაჯილდოვა — ორმოცდაათ წელზე მეტხანს ვიყავით მე და ნანული ერთად.

2003 წლის 23 ნოემბერს, გადადგომის წინაც, როცა უკვე საგანგებო წესები გამოვაცხადე, იგი კვლავ ჩემ გვერდით იდგა და მეუბნებოდა: „განა შეგიძლია შენი ხალხის სისხლი დაღვარო?“

მაგრამ ეს მრავალი წლის შემდეგ მოხდება. იმხანად კი ჯერ სულ ახალგაზრდა და ბედნიერი ვიყავი; მე სიყვარული ყველასა და ყველაფერზე მაღლა დავაყენე.

* * *

1953 წელს გარდაიცვალა სტალინი. იმავე წელს დახვრიტეს ბერია, ასევე ქართველი, რეალურად მეორე კაცი საბჭოთა იმპერიაში. აქ მინდა ორიოდე სიტყვა მათზე ვთქვა.

მიუხედავად თავისი ეროვნული წარმოშობისა, იოსებ სტალინი რუს სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბდა. მსოფლიო მნიშვნელობის ამ პოლიტიკოსმა შექმნა საბჭოთა იმპერია და მისი ერთპიროვნული მმართველი გახდა. მან კომუნისტური უტოპიის დედამიწაზე აღსრულებას მილიონობით ადამიანი შესწირა, „ბრწყინვალედ“ შეასრულა ლენინის ანდერძი — შექმნა ძალადობასა და მიუღწეველ მიზნებზე დამყარებული სახელმწიფო და ლამის ნახევარი მსოფლიოც გადააყოლა ამ სოციალურ-პოლიტიკურ ექსპერიმენტს.

საბჭოთა იმპერიის სათავეებთან და ხელმძღვანელობაში სხვა ქართველებიც იყვნენ — თუნდაც სერგო ორჯონიკიძე, 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ერთ-ერთი ავტორი და ორგანიზატორი. მოგვიანებით, მან ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე — თავი მოიკლა.

მსოფლიოსათვის დაზვერვის გენიად ცნობილი ლავრენტი ბერია ჯერ საბჭოთა საქართველოს მეთაური იყო და ლომის წილი უძევს იმაში, რომ მის სამშობლოში ოცდაათიანი წლების რეპრესიები განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა. სწორედ ამ დამსახურებისათვის დაიყენა იგი გვერდში სტალინმა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა. ლავრენტი ბერია შიშის ზარს სცემდა ყველას, დაწყებული პოლიტბიუროს წევრებით, უბრალო

ადამიანებით დამთავრებული. სტალინის იდუმალებით მოცული სიკვდილის შემდეგ იგი თავისი გავლენით პირველ კაცად გადაიქცა. ამანაც დაღუპა – მეორე ქართველს რუსეთის პირველ კაცად ვერავინ მოითმენდა და ბერია ნიკიტა ხრუშჩოვის შეთქმულებას ემსხვერპლა (იმ ხრუშჩოვისა, რომელსაც ბერიაზე ნაკლები ცოდვები როდი ჩაუდენია).

ლავრენტი ბერია შიშსა და მზაკვრობაზე დამყარებული ბოლშევიკური სისტემის ტიპური და ნიჭიერი განსახიერება იყო. საბჭოთა ქვეყანაში მან შექმნა უშიშროების ქსელი, რომელსაც მთელ მსოფლიოში ჰქონდა საცეცები გაბმული – მან იცოდა ყველა საიდუმლო, ყველა შესაძლო, არსებული თუ არარსებული შეთქმულების თარიღი, ადგილი და მონაწილე, მაგრამ ბედის ირონიით, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ ვერაფერი გაიგო – ვერც დრო, ვერც მონაწილეთა ვინაობა და ვერც ადგილი.

დიდია მისი აგენტურის როლი ფაშიზმზე გამარჯვებაში, ასევე მნიშვნელოვანია მისი როლი საბჭოთა ბირთვული პროგრამის განხორციელებაში (ბერია ბირთვული იარაღის შესახებ სტალინური მითითების შესრულების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო).

მაგრამ ლავრენტი ბერიამ ქვეყანაში ტოტალური შიში დათესა – მისგან არავინ იყო დაცული, თვით სტალინიც კი. ერთი სარწმუნო ვერსიით, სტალინი სწორედ ბერიას შეთქმულების მსხვერპლი გახდა (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სტალინს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ბერიას მოცილება, რის შესახებაც ამ უკანასკნელმა შეიტყო და დაასწრო).

ტრაგიკულია ეს ყველაფერი, მაგრამ ტრაგედიაც კი ნიჭიერი მწერლის ხელში შეიძლება ფარსად იქცეს და გამოავლინოს ოდიოზური პიროვნებისა და მოვლენის მთელი სიმახინჯე.

ის ამბავი, რაც ახლა უნდა მოგითხროთ, ბერიას დახვრეტიდან დიდი ხნის შემდეგ მოხდა: ჩემს უახლოეს მეგობარს, უბრწყინვალეს ქართველ მწერალს, ნოდარ დუმბაძეს შავი ზღვის სანაპირო აგარაკზე დაურეკა მეზობლად მცხოვრებმა დიდმა რუსმა მწერალმა კონსტანტინ სიმონოვმა და ღვინო სთხოვა, მოსკოვიდან ორი მეგობარი ჩეკისტი მეწვია და უნდა გავუმასპინძლდეო. ნოდარს ღვინო არ აღმოაჩნდა, მაგრამ შესთავაზა – აქვე სოფელი მერხეულია, შესანიშნავი რესტორნით და სტუმრები საპურმარილოდ იქ წავიყვანოთო.

აფხაზეთის სოფელი მერხეული კარგი რესტორნის გარდა იმითაც იყო ცნობილი, რომ ლავრენტი ბერიას მშობლიური სოფელი გახლდათ და ჩეკისტების იქ მიპატიჟება ამ მხრივაც ერთგვარ „სიმბოლურ“ აზრს ატარებდა. კონსტანტინ სიმონოვს ეს წინადადება მოეწონა და ოთხივე მერხეულში წავიდა.

ლაზათიანად მოულხინეს და როცა კარგად შეთვრნენ, ერთმა ჩეკისტმა დაიჩემა, მდინარეში უნდა ვიბანაოო. ვერაფრით გადაათქმევინეს, გაიხადა და წყალში გადაეშვა, მაგრამ ამოყვინთვით ველარ ამოყვინთა. იქვე მყოფი სოფლელები მდინარეში შეცვივდნენ, ცოცხალ-მკვდარი კაგებეს ოფიცერი ნაპირზე გამოათრიეს და რის ვაი-ვაგლახით მოიყვანეს გონზე. მან კი თვალი როგორც გაახილა, მეგობარი ჩეკისტი თითით მიიხმო და უჩურჩულა: „На дне, в речке Лаврентий Павлович! На дне, в речке Лаврентий Павлович!“

ყველა გაშტერებული შეაჩერდა ერთმანეთს, რაღაც ვერ იყო კარგად — დიდი ხნის დახვრეტილი იყო ლავრენტი პავლოვიჩი. ჩეკისტმა კი ერთი-ორჯერ კიდევ გაიმეორა ეს ფრაზა და გული წაუვიდა.

რესტორნის დირექტორმა რომ ნახა, საქმეს ცუდი პირი უჩანდა, ნოდარ დუმბაძე გვერდით გაიხმო და საიდუმლო გაანდო: „აქ, რესტორნის ახლოს, ბერიას ძეგლი იდგა, როცა დაიჭირეს, ავიღე და მდინარის ფსკერზე დავმალე, რა ვიცი, ხვალ რა მოხდება, დღეს კი ლანძღავთ, მაგრამ იქნებ დრო მოვიდეს, თქვათ, დიდი კაცი იყოო — ხალხის ერთგული შვილი. ჯაჭვით მყავს დაბმული, მდინარემ რომ არ წაიღოს. ამ უბედურმა წყალში რომ ჩაყვინთა, ეტყობა, ძეგლი დაინახა და ამიტომ არის ასე შეშინებული“.

ეს ამბავი შემდეგ საკავშირო მნიშვნელობის ანეკდოტად იქცა. აქ ის დროა ასახული, როცა მკვდრისაც უნდა შეგშინებოდა ადამიანს.

სხვათა შორის, ბერიასთვის წაყენებული ერთ-ერთი ბრალდება, თუ არ ვცდები, გერმანიის გაერთიანების იდეა იყო. იგი სწორედ მაშინ დააპატიმრეს, როდესაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოფრინდა, სადაც ამბოხის ჩასაწყნარებლად იმყოფებოდა.

იოსებ სტალინმა, რომელმაც შექმნა უდიდესი საბჭოთა იმპერია, და ამ იმპერიის თვალმა და ყურმა ლავრენტი ბერიამ შეიწირეს ქართული არისტოკრატია, ინტელიგენცია, სამღვდელოება, გლეხობა —

ქართველი ერის ელიტა, ერის გენოფონდი. თუ დღევანდელი ტერმინოლოგიით ვიტყვით, ფაქტობრივად, მათ ქართველი ერის გენოციდი განახორციელეს.

ისტორიის მანძილზე ქართველები არაერთხელ ყოფილან სხვადასხვა ქვეყნის მმართველ თუ სამხედრო ელიტაში (ბიზანტია, ეგვიპტე, ირანი, მონღოლეთი, თურქეთი, რუსეთი...), მაგრამ ისინი უპირატესად ამ დიდი ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდნენ და სამშობლოსთვის აღარ ეცალათ, ხოლო ვინც მოიცალა, სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი სააკაძე, დიდი ქართველი მხედართმთავარი, რომელიც მე-17 საუკუნის დასაწყისში ირანის შაჰის კარზე მოღვაწეობდა.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

* * *

1956 წელს გაიმართა კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. მასზე „სტალინის ეპოქის“ დანაშაულების შესახებ „საიდუმლო“ მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი. მოხსენებაში მოხმობილი მონაცემები და ფაქტები ეჭვს არ იწვევდა: მათ ადასტურებდა ჩემთვის ცნობილი მრავალი ადამიანის ბედი, მაგრამ შემაძრწუნა პირდაპირმა კავშირმა ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკასა და მხოლოდ სტალინის მოღვაწეობას შორის. ეს ილუზიების ნგრევა იყო. საშინელებაა იმის გაცნობიერება, რომ მოტყუებული ხარ.

ამასთან, სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ ჩემი ეროვნული გრძნობები შერაცხყო, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩამოთვლილ ბოროტებათა მიღმა ქართველი იდგა. ხრუშჩოვის მოხსენება, ნებსით თუ უნებლიეთ, ქართველთა თავმოყვარეობის შემლახველ გამოთქმებს შეიცავდა. მან არ იკმარა მოტანილი ფაქტები, კარგა ხნის განმავლობაში აბუჩად აგდებული და განაწყენებული კაცის ემოციები გადმოაფრქვია და გარდაცვლილი „პატრონის“ მისამართით დამამცირებელი გამოხდომები იკადრა. ის სტალინს არა მარტო ტირანად (ტირანი კი ნამდვილად იყო), არამედ უვიც და უჭკუო კაცადაც ხატავდა. „თუ ის ნამდვილად უჭკუო იყო, — კითხულობდა ბევრი, —

როგორღა შეძლო ძლევამოსილი სახელმწიფოს შექმნა და მილიონების აყოლიება? როგორ შეძლო თავისი დროის უდიდეს პოლიტიკოსთა შორის ჩადგომა? მხოლოდ ვერაგობით, სისასტიკით, ძალმომრეობით? ეს შეუძლებელია!“

ახლა ვფიქრობ, რომ 1956 წლის მარტის დღეებში ქართველი ახალგაზრდობის აღშფოთების მიზეზი ეროვნული გრძნობის შელახვასთან ერთად, იყო გაუცნობიერებელი პროტესტიც ბრძოლის იმ მიუღებელი ხერხების წინააღმდეგ, რომლებიც ემყარებოდა ულირსი საშუალებებით ბოროტების ამოძირკვას, უსამართლობის უსამართლობით აღმოფხვრას. ბოროტების დამამხობელი წმინდანის სამოსლით იმოსებოდა, ის კი წმინდანი არ იყო და ვერც იქნებოდა.

ბევრს მაშინვე დაებადა კითხვა: მასობრივი რეპრესიების წლებში რა როლს ასრულებდა ხრუშჩოვი, ოცდაათიან წლებში მას ხომ დიდი თანამდებობები ეკავა (ხრუშჩოვს ჰქონდა დამსახურებები, ისევე როგორც სტალინის ყველა თანამებრძოლს, მაგრამ ამავე დროს ორპირი, მლიქვნელი და გაქნილი ავანტიურისტი გახლდათ — ეს ჩემი აზრია)?

ხალხი შეურაცხყოფილი იყო. ბერიას დაჭერა და დახვრეტაც როგორც მოსკოვში, ისე თბილისში ქართველთა დევნისა და რეპრესიების საბაბად იქცა, საქმე ისეთ კურიოზამდეც მივიდა, რომ ბერიას დროს დაჭერილი და გადასახლებამოვლილი, შემდეგ დაბრუნებული დიდი ქართველი მეცნიერები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ბერიასთან კავშირის აბსურდული ბრალდებით დაითხოვეს. მოკლედ, ქართველებს კიდევ ერთხელ შეუტიეს.

1956 წლის 9 მარტისთვის ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ყველაფერი სტუდენტებმა დაიწყეს. თბილისში სტუდენტთა ერთ-ერთმა კოლონამ საქართველოს კომპარტიის მაშინდელი პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ჩაიყენა თავის რიგებში და სტუდქალაქიდან ასე გაემართა ჯერ უნივერსიტეტისკენ, შემდეგ რუსთაველის პროსპექტისა და სტალინის სანაპიროსკენ, მისი ძეგლისკენ. პროცესი უმართავი გახდა, მოთხოვნები დღითი დღე უფრო და უფრო კატეგორიული და გულუბრყვილო ხდებოდა.

ახალგაზრდობამ დახმარებისთვის საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ჩინეთის თავდაცვის მინისტრს, მარშალ ჯუ დეს

მიაკითხა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. რა თქმა უნდა, უშედეგოდ. ჯუ დემ იმ დღესვე დატოვა საქართველო.

მჟავანაძემ ვერ შეძლო სიტუაციის ჩაწყნარება, ასეთ დროს ცეკას მდივანს არავინ აღარაფერს ეკითხებოდა: საკავშირო ორგანოები მის გარეშე აკეთებდნენ თავის სისხლიან საქმეს.

აქაც ასე მოხდა. მტკვრის სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, ხალხმა შეიმუშავა პოლიტიკური მოთხოვნები და ცენტრში გასაგზავნი პეტიციებითა და საპროტესტო დეპეშებით დემონსტრანტები კავშირგაბმულობის სახლს მიადგნენ, სადაც მომაკვდინებელი პასუხი მიიღეს: ტყვიამფრქვევისა და ავტომატური იარაღის ზალპი ფეთქებადი ტყვიებით. მტკვრის სანაპიროზე ტანკები დაიძრნენ.

შედეგი შემაძრწუნებელი იყო: ასობით დაღუპული და შემდეგ მალულად დამარხული ახალგაზრდა. მათთან ერთად, ვფიქრობ, ბევრმა ქართველმა კომუნისტური უტოპიისადმი რწმენაც საბოლოოდ დამარხა.

მარტის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში საკავშირო ცკ-ის პირველი მდივანი ალექსანდრ შელეპინი (რომელსაც ქვეყანაში უკვე მოხვეჭილი ჰქონდა უნარიანი და პერსპექტიული მუშაკის სახელი) და პარტიის ცკ-ის წარმომადგენელი კოლესნიკოვი ჩამოვიდნენ. თბილისში მდგომარეობის გაცნობის შემდეგ ისინი ქუთაისს ეწვივნენ.

მოხდა ისე, რომ სტუმრებმა არ ისურვეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და პირდაპირ საავტომობილო ქარხნის კოლექტივის გაცნობა გადაწყვიტეს, თანაც მეგზურობა მე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს, შემომთავაზეს. მეც, რა თქმა უნდა, პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელთან მოთათბირების შემდეგ წინადადებას დავთანხმდი და მეგზურობა ვიკისრე.

საავტომობილო ქარხნის კოლექტივს შესანიშნავად ვიცნობდი, ერთერთი მოწინავე მუშა ანატოლი აგაპოვი კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრიც იყო.

როგორც შევატყვე, სტუმრები ქარხნის კოლექტივთან ჩემი ურთიერთობით კმაყოფილი დარჩნენ, სათანადო ობიექტურ ინფორმაციასაც

ჩემგან დიდი ინტერესითა და ნდობით იღებდნენ. ქარხნის გაცნობა დღის ბოლოსთვის დამთავრდა. სტუმრებიც და მეც მშიერები ვიყავით. როცა საქმეებს მოვრჩით, გელათის მონასტრის დათვალიერება შევთავაზე, რომელიც იქვე, ქუთაისის გარეუბანში მდებარეობს და რომლის ისტორიაც შესანიშნავად ვიცოდი. ჩემი წინადადება იმით დავასაბუთე, რომ ეს იქნებოდა საქართველოს წარსულისა და მისი კულტურისადმი სტუმრების პატივისცემის გამოხატულება. ამავე დროს მძღოლს ვთხოვე, რამდენიმე ბოთლი ღვინო ეყიდა და ქუთაისური პურმარილიც ჩაედო მანქანაში.

გელათმა სტუმრები მოხიბლა თავისი განუმეორებელი ბრწყინვალებით. გამგზავრებამდე (ისინი თბილისში მატარებლით ბრუნდებოდნენ) შევთავაზე: შეიძლება რესტორანში ვისადილოთ, მაგრამ მაშინ ოფიციალურ პირებსაც უნდა შევხვდეთ, მე ქუთაისური პურმარილი და ორიოდე ბოთლი ღვინო წამოვიღე, შეიძლება აქვე, ამ ზღაპრულ ბუნებაში წავიხემსოთ და შემდეგ მატარებლამდე გაგაცილებთ-მეთქი.

შევატყვე, სტუმრებს ესიამოვნათ, მდგომარეობიდან ასეთი მარტივი გამოსავალი რომ გამოიძებნა. მე და მძღოლმა სუფრა გავშალეთ, საფუძვლიანადაც წავიხემსეთ, ღვინოც ზომიერად დავლიეთ და კარგ ხასიათზედაც დავდექით. შემდეგ იყო სტუმრების რკინიგზის სადგურამდე გაცილება.

ალექსანდრ შელეპინს მეორედ შევხვდი, როცა საქართველოს კომკავშირის ცკ-ის მეორე მდივნად მამტკიცებდნენ, მას შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა და ქუთაისში ყოფნის ყველა დეტალი გაიხსენა. სხვათა შორის, მოგვიანებით საკავშირო კომკავშირის ცკ-ის მდივნად ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველი ქალი ნათელა ვასაძე აირჩიეს, რომელმაც კარგი სახელი და მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭა.

დავუბრუნდები იმ ავადსახსენებელ მარტის მოვლენებს.

მაშინ მე ქუთაისის კომკავშირულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი. იქაც იყო ახალგაზრდობის გამოსვლები, მაგრამ ახალგაზრდობამ დაგვიჯერა და საქმე კატასტროფამდე არ მისულა. შემდეგ მთელ რესპუბლიკაში ტარდებოდა კრებები, რომლებზეც, მათი ორგანიზატორების განზრახვით, „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი“ გადაჭრით

და სამუდამოდ უნდა დაეგმოთ. საერთო-საქალაქო კრებაზე თავს უფლება მივეცი, არ დავთანხმებოდი თბილისში მომხდარი მოვლენების ამგვარ შეფასებას. ვთქვი, რომ მიტინგისა და დემონსტრაციების დაშლის დროს დახოცილთა ნაციონალისტებად შერაცხვა არა მარტო ზნეობის თვალსაზრისით არის დაუშვებელი, არამედ პოლიტიკურადაც საშიშია. ვთქვი, რომ საზოგადოებაში გაბატონებულ განწყობილებათა ჩახშობა ძალისმიერი საშუალებებით აუცილებლად გამოიწვევს ახალგაზრდობის ყველაზე უფრო მოქმედი ნაწილის განდგომასა და იზოლირებას, პარტიის მიერ დაგმობილი მეთოდების ხელახალი გამოყენება ჩრდილს მიაყენებს იმ პოლიტიკურ განაცხადს, რომ წარსულისკენ მიბრუნება დაუშვებელი და შეუძლებელი იყო.

აუდიტორიამ მხარი მხურვალედ დამიჭირა. ამ სხდომას ვასილ მჟავანაძეც ესწრებოდა. ეტყობა, ჩემი გამოსვლა მოეწონა და მისი თანხმობით, რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად ამირჩიეს.

რამდენიმე სიტყვა ვასილ მჟავანაძის შესახებ. იგი მთელი ცხოვრება საბჭოთა ჯარში მსახურობდა და ქართულად ლაპარაკი უჭირდა (ესეც კიდევ ერთი პარადოქსი საბჭოთა სინამდვილისა); და როდესაც ერთი მწვავე, დაუსაბუთებელი გამოსვლის პასუხად ქართული ხალხური ლექსით მიმართა აუდიტორიას: „თეთრსა და წითელ ღვინოსა, განა ორივეს სმა უნდა, პირზედ მომდგარსა სიტყვასა განა ყველასა თქმა უნდა“, მოულოდნელობისგან დარბაზი ლამის ტაშით დაინგრა.

მერე, როცა წლები გავიდა, ვასილ მჟავანაძესთან დაახლოებულ ჩვენს შესანიშნავ პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს ვუამბე ეს ეპიზოდი. ირაკლის გაეღიმა და როგორც იცოდა, ენის ბორძიკით მითხრა: „მმაგაზე მმე ბევრი ვიმუშავე“.

ლექსი ლექსად და სწორედ ირაკლი აბაშიძის მუშაობის შედეგად და მჟავანაძის აქტიური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ეროვნული კულტურისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება — ქართული ენციკლოპედიის რედაქციის შექმნა და გამოცემა, რუსთაველის იუბილეს საერთაშორისო მასშტაბით ჩატარება, ოცდაჩვიდმეტ

წელს რეპრესირებულ მწერალთა რეაბილიტაცია და იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც ხელისუფლებასთან გარკვეული პრობლემები ჰქონდათ. რაც მთავარია, ირაკლი აბაშიძემ ქართულ კულტურასა და ქართულ მენტალიტეტში გაუთვითცნობიერებელი პირველი პირი აზიარა ქართულ სამყაროს, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავდა.

როგორც ითქვა, ვასილ მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად ხრუშჩოვის რეკომენდაციით აირჩიეს. ეს იყო დანიშვნა მხოლოდ პირადი ერთგულების ნიშნით, ხრუშჩოვისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს ხელმძღვანელი მისი კაცი ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს ხშირად ხდება პოლიტიკაში, მჟავანაძემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხრუშჩოვის გადაყენებაში. ახლობლებთან ურთიერთობაში მჟავანაძე არ მალავდა, რომ სტალინის პიროვნების კულტის ასეთი ფორმითა და მასშტაბით მხილებაში ხრუშჩოვის თანამოაზრე არ იყო, ხოლო როცა 1961 წელს, პარტიის XXII ყრილობაზე სტალინის ნეშტის მავზოლეუმიდან გამოსვენების საკითხი დაისვა, მჟავანაძემ, როგორც იტყვიან, აქტიური პოზიციის დაკავებას არცთუ ვაჟკაცური ხერხით აარიდა თავი.

მისგან მაქვს გაგონილი (რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ) – მაშინ როცა სიტყვით უნდა გამოსულიყო, წინა ღამით სასტუმროში ცივ წყალში იბანავა, გაცივდა და მეორე დღეს ხმაჩახლეჩილი და ყელშეხვეული ცკ-ის მეორე მდივანთან გამოცხადდა. ლაპარაკი მართლა უჭირდა და გამომსვლელთა სიაში საქართველოს მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი ჩააწერინა. რა თქმა უნდა, ეს „მაქინაცია“ ხრუშჩოვის ნებართვის გარეშე არ მოხდებოდა. გამოსვლის ტექსტი მზად იყო და მჟავანაძემ მთავრობის თავმჯდომარეს, გივი ჯავახიშვილს შესთავაზა სიტყვით გამოსვლა. ამავე დროს შეჰპირდა, ამ გამოსვლასთან დაკავშირებით თუ რამ გართულდა, მე, როგორც ცკ-ის პირველი მდივანი და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, დაგიცავო. გივი ჯავახიშვილი წესიერი კაცი იყო, თანაც მჟავანაძისგან დავალებულიც და იძულებულიც გახდა, სხვისი ტექსტით, მავზოლეუმიდან სტალინის ნეშტის გამოსვენების წინადადების მხარდაჭერით, ყრილობაზე გამოსულიყო. რა თქმა უნდა,

საქართველოში ამ გამოსვლას ცუდი რეაქცია მოჰყვა, მაგრამ მჟავანაძემ სიტყვა შეასრულა და სანამ ის ცკ-ის პირველი მდივანი იყო, ჯავახიშვილისთვის ხელი არ უხლიათ. სხვათა შორის, გივი ჯავახიშვილი ჩემი პირველი მდივნობის დროსაც 5-6 წელი კვლავ დარჩა მთავრობის თავმჯდომარედ.

ეს ეპიზოდი იმიტომაც გავიხსენე, რომ პოლიტიკაში არცთუ იშვიათია ასეთი და მსგავსი „ეშმაკობანი", ხოლო როცა ხრუშჩოვი გადააყენეს, ორივემ შვებით ამოისუნთქა.

მჟავანაძე სუფთა კაცი იყო, მაგრამ ნელ-ნელა მოექცა არცთუ პატიოსან გარემოცვაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შინაინტრიგებმა ირაკლი აბაშიძე „სამეფო კარს" ჩამოაცილა.

* * *

1956 წელს ჩემი ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო.

ხშირად მიწევდა ყოფნა მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. გავიცანი ჩემი კოლეგები, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკური და საოლქო კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. იწყებოდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. ახალგაზრდა მოხალისეთა ეშელონები ყაზახეთსა და ალტაიში მიდიოდნენ. მე დამავალეს ქართველ კომკავშირელთა რაზმის მეთაურობა. რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ ყაზახეთის სტეპში.

მაშინ პირველად შევხვდი იმ ადამიანებს, რომლებმაც შემდეგ თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სტრუქტურებში.

ახალ ნაცნობებს შორის იყო მიხეილ გორბაჩოვიც, სტავროპოლის (ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მხარე) კომკავშირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი. ერთმანეთი ჯერ კიდევ მოსკოვში, ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გავიცანით. მე მასთან ბევრი რამ მაახლოებდა.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვში, თბილისში, სტავროპოლში; ხშირი სატელეფონო ურთიერთობა გვქონდა და თანდათან, ჩვენთვისაც შეუმჩნევლად, ყველაზე იდუმალ ზრახვებს ვუმხ-

ელდით ერთმანეთს. მოკლედ, მაშინაც და მერეც, ბევრი რამ გვქონდა საერთო.

მახსენდება 1984 წლის ზაფხული: მყუდრო პარკი შავი ზღვის უკაცრიელ ნაპირზე, ბიჭვინთის კონცხის მიდამოებში. ჩვენ ორნი აუჩქარებლად მივუყვებით ხეივანს. ეს იყო „ტყეში გასეირნება“ შორს მიმავალი შედეგებით. იმ დროისათვის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი — სკკპ ცკ-ის მდივანი, პოლიტბიუროს წევრი და მე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, ასევე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ჩვენს აზრებს ერთმანეთს უკვე აღარ ვუმალავდით. სწორედ მაშინ იყო, რომ ვუთხარი — Все прогнило... შემომხედა და უხმოდ დამეთანხმა.

გორბაჩოვთან მუდმივი შეხვედრები და საუბრები თანამოაზრეთა საუბრებად იქცა, იმ ფუნდამენტად, რომელზეც აშენდა არა მარტო ჩვენი შემდგომი დამოკიდებულებები, არამედ საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ურთიერთობანიც — რადგან წლების შემდეგ იგი ქვეყნის პირველი პირი გახდა, კომპარტიის გენერალური მდივანი, მე კი, მისი მიწვევით, — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

* * *

ყველა ტრადიციული საზომით ჩვენი გზა ნამდვილად წარმატებული გზა გახლდათ — ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. ჩვენ, ქუდბედიანი კომკავშირულ-პარტიული ფუნქციონერები, კარიერას ვიქმნიდით, მაგრამ ამავე დროს ეს იყო სინამდვილის სიღრმისეული წვდომის, არსებული მდგომარეობის განმაპირობებელ მიზეზთა ამოხსნისა და ამ მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების გზა. თუმცა ერთი კია, თავიდან ჩემთვის ეს ძიებები საქართველოთი ისაზღვრებოდა. ამასთან, ყოველივე ამას წინ ელობებოდა საბჭოთა ნომენკლატურულ-იერარქიული ურთიერთობები.

ყველგან, სადაც კი ვმუშაობდი, ერთი უმთავრესი პრობლემა მქონდა — პიროვნული და თანამდებობრივი დამოუკიდებლობა. ეს იყო ჩემი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი. მე, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, შემდეგ კი სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ხშირად უმარტივესი

საკითხის გადაჭრაც კი არ შემეძლო, თუ ცენტრში ქედს არ მოვიდრეკდი. მოსკოვის დაუკითხავად, მისი ნებართვის გარეშე, ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგამდით – ვერც ელსადგურების მშენებლობას დავიწყებდით, ვერც უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში შემსვლელი ქართველი ყმაწვილების მოსამზადებელ სკოლას დავაარსებდით, ვერც საზოგადოებრივი დანიშნულების დიდი ობიექტების მშენებლობის ძირითად ფონდებს განვაახლებდით. ჩემმა თანამემამულე კრიტიკოსებმა რაც უნდა თქვან ჩემზე, რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის მიღწევის პრობლემა ჩემ წინაშე მუდმივად იდგა. თუმცა იმ დროს ამგვარ სუვერენიტეტს, ობიექტური მიზეზების გამო, მე საბჭოთა სივრცეში მოვიაზრებდი.

გამოსვლები ყრილობებზე, პლენუმებზე, აქტივის კრებებზე – ერთი სქემით წარიმართებოდა: ჯერ ხელმძღვანელის ქება-დიდება (რომელთა გამო ახლაც უხერხულობას ვგრძნობ), ხოლო შემდეგ ის მთავარი სათქმელი, ხშირად მწვავე და კრიტიკული, რომელსაც ვერ ვიტყოდი ამ შესავლის გარეშე. ყოველივე ეს მხოლოდ სიმართლის სათქმელად კი არ მჭირდებოდა, არამედ ჩემი ქვეყნის, საქართველოს პოზიციების გასამყარებლად, მისთვის იმ შეღავათების მოსაპოვებლად, რომელთაც ჩემი რესპუბლიკა ყოველმხრივ მოწინავე რესპუბლიკად აქცია საბჭოთა კავშირში.

ერთი კია, საკავშირო ხელისუფლება არც იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ კრიტიკისა და ახალი აზროვნების სუსხი არ შეეგრძნია. სწორედ ამიტომ იყო – ნიკოლოზ შჩოლოკოვმა, თავის დროზე საბჭოთა კავშირის მეტად გავლენიანმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჩემმა დიდი ხნის ნაცნობმა, სრულიად გულახდილად რომ მითხრა: „როგორც თქვენი მეგობარი, გირჩევთ, თავი დაანებოთ გაუთავებელ გამოსვლებს ნეგატიური მოვლენების შესახებ, ეს მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს და ბევრს აღიზიანებს“.

აქვე ერთი ჩემი ნათქვამი მახსენდება, რომელსაც ჩემი თანამემამულეები დიდხანს ვერ მპატიობდნენ, თუმცაღა იგი ჩემი ქვეყნის ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

თავის დროზე გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით ვთქვი (რაკიღა ამ ტრაქტატით რუსეთი საქართველოს სამეფოს მფარველ-

ობას კისრულობდა): საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოვიდა-მეთქი.

ერთი ამბავი ატყდა, არადა ეს იყო ერეკლე მეორის[7] მრჩევლის, სოლომონ ლიონიძის იმ სიტყვების პერიფრაზი, რომლითაც მან ერეკლე მეფე დაიტირა: „შენ აირჩიე გზა ჩრდილოეთისა და მზე ჩრდილოეთისა“. ეს რუსეთის გასაგონად ვთქვი, რათა საქართველოში შემძლებოდა ბევრი ეროვნული საქმის გაკეთება. ასეთ დროში ვცხოვრობდით: მუდმივი ლავირება მჭირდებოდა ისევ ქართველი ერის, ქართული კულტურის, ქართული ენის გადასარჩენად.

ჩემს ასეთ ქმედებაში არაფერი იყო ახალი. თავს არავის ვუდარებ, მაგრამ ჩვენი სახელოვანი მეფეები ხომ იძულებულნი იყვნენ გარკვეული კომპრომისებისა და თუნდაც საკუთარი თავმოყვარეობის ხარჯზე იმპერატორთა, შაჰთა, სულთანთა თუ ნოინთა კეთილგანწყობა მოეპოვებინათ ისევ თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

რას იზამ — პატარა ქვეყნის ხელმძღვანელის ხვედრი ასეთია. ამა თუ იმ პოლიტიკური ნაბიჯით, ზოგჯერ მეორეხარისხოვანის დათმობით, ზოგჯერ პიროვნული თავმოყვარეობის ხარჯზეც, მაინც ვახერხებდი მიმეღწია დამოუკიდებლობის იმ ხარისხისათვის, რომელიც თუნდაც მინიმალურად მაინც შესაძლებელი იყო საბჭოთა სინამდვილეში — იქნებოდა ეს კორუფციასთან საკმაოდ ეფექტიანი ბრძოლა, საბაზრო ეკონომიკის ტიპის წარმატებული ექსპერიმენტები, რესპუბლიკის მასშტაბით საბჭოთა ცენზურის შერბილება, სახელმწიფო პოლიტიკაში ხალხთან უშუალო დიალოგის გათვალისწინება, ებრაელთა საკითხის უპრეცედენტო გადაწყვეტა და ა.შ.

დიახ, უკვე მაშინ (მოსწონს ეს ზოგიერთ ჩემს „თავგამოდებულ“ კრიტიკოსს თუ არა), საბჭოთა კავშირის მასშტაბით, საქართველო ლიბერალიზმის ოაზისად გადაიქცა.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ქართული კულტურისა და ქართული ცხოვრებისთვის, არამედ რუსული კულტურისთვისაც — ჩვენთან, სულის მოსათქმელად, რუსეთიდან მოეშურებოდნენ იქ შერისხული პოეტები (ბორის პასტერნაკი, ევგენი ევ-

[7] სწორედ მისი, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის (1762-95) ნებით მოეწერა ხელი 1783 წელს რუსეთთან ხელშეკრულებას — გეორგიევსკის ტრაქტატს.

ტუშენკო, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი და ა.შ.). სწორედ აქ იბეჭდებოდა ყველაფერი ის, რაც იმ დროისთვის მოსკოვში დღის სინათლესაც ვერ ელირსებოდა (თუნდაც ბორის პასტერნაკის – Письма к грузинским друзьям).

ჯერ იყო და, შესანიშნავმა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა საქართველოს კომკავშირის ცეკასთან, მისი ხელმძღვანელის, თამაზ ჯანელიძის ხელშეწყობით, დააარსა ესთეტიკის სემინარი და შემოიკრიბა ახალგაზრდა შემოქმედნი – მწერლები, მხატვრები, კინოსა და თეატრის მოღვაწენი, ახალი სამოციანელთა ბრწყინვალე თაობა, რომელიც შემდეგ ახალგაზრდული ჟურნალ „ცისკრის“ გარშემო გაერთიანდა. ესენი იყვნენ ლიბერალურად მოაზროვნე პატრიოტი ახალგაზრდები. მათ დიდი კავშირი ჰქონდათ თავიანთი თაობის რუს, ბალტიისპირელ, აზერბაიჯანელ, სომეხ კოლეგებთან.

ანალოგიური პროცესები მიდიოდა მეცნიერებაშიც. მახსენდება მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სკოლა (ანგია ბოჭორიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, მერაბ მამარდაშვილი, გურამ თევზაძე, გელა ბანძელაძე, თამაზ ბუაჩიძე). ის სწორედ მაშინ იქცა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ლიბერალური აზროვნების ცენტრად. ბუნებრივია, ეს არ მოსწონდათ. ერთხელაც მორიგი ცილისმწამებლური კამპანია ატყდა. საკავშირო პარტიის ცეკაში ერთი ამბავი იყო, მოსკოვი კომისიას კომისიაზე აგზავნიდა. საქართველოშიც გამოჩნდა ხალხი, ვინც ამ ყველაფერში მარქსიზმის საფუძვლების ხელყოფას ხედავდა და მოსკოვს „სიგნალებს უგზავნიდა“. სხვათა შორის, მოსკოვის მიერ გამოგზავნილ კომისიაში იყო ორი ახალგაზრდა (მათი გვარები აღარ მახსოვს), რომლებიც ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს: „თქვენ გაქვთ უნიკალური ფილოსოფიური სკოლა და, უბრალოდ, ვალდებული ბრძანდებით მოსკოვში თქვენი მდგომარეობა და მხარდაჭერა იმისთვის გამოიყენოთ, რომ სკოლა გადაარჩინოთ განადგურებას“.

ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ყველა ინსტიტუტის დახურვას ელოდა. საჭირო იყო დროის გაყვანა. შევქმენი კიდევ ერთი კომისია. ცხრა თვის განმავლობაში მუშაობდნენ და რამდენიმეტომიანი უმკაცრესი, ცალმხრივი დასკვნა მოამზადეს. არ წაიკითხებოდა. საკითხი

ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე გავიდა. ეს თვეები საკმარისი იყო, რომ შედარებით სრულად შემესწავლა საკითხი, ხოლო მოსკოვში კი ამ პრობლემას სიმწვავე დაჰკარგვოდა. თბილისში პარტიის ცკ-ის ბიუროს სხდომის ბოლოს, რომელიც ძალიან დიდხანს გაგრძელდა, ნიკო ჭავჭავაძეს, ინსტიტუტის დირექტორს ეკითხე, რას იტყვითმეთქი. „ახლა არაფერს, — მიპასუხა, — დიდი მადლობელი ვარ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ამდენი დრო მოანდომა ფილოსოფიის ინსტიტუტს, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, რაღაცისკენ შემობრუნებას, მაგრამ ობიექტურობაზე თუ ვიტყვი, სალაპარაკო ბევრია, ძალიან დიდი დრო დამჭირდება“. ნიკო ჭავჭავაძე ძალზე ღრმა, მცოდნე, უკომპრომისო, მაგრამ მორიდებული ადამიანი იყო და რაც თქვა, მისგან ისიც ძალიან ბევრი იყო.

მერე კიდევ ვიღაც გამოვიდა, იქნებ კიდევ კარგად ვნახოთო. რაღა უნდა გვენახა, ცხრა თვე ამოწმებდნენ? — შევთავაზე: „გავგზავნოთ შემოწმების ეს მასალები ინსტიტუტში, გაეცნონ, რათა მათაც შეეძლოთ პასუხის გაცემა და ჩვენც იქ მივიდეთ. ცოტა ადრე დანიშნონ სხდომა, რომ სათქმელი ყველამ თქვას“. დღევანდელი საზომით ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ კი დაწესებულ ნორმებს ეწინააღმდეგებოდა.

მივედით. შემმოწმებლებმა მოხსენება წაიკითხეს. ამ მოხსენების მიხედვით, ინსტიტუტი ფაქტობრივად უნდა დახურულიყო.

მერე ინსტიტუტის თანამშრომლები გამოვიდნენ. მოხსენებიდან ქვა ქვაზე არ დატოვეს. პროფესიონალები შემმოწმებლებზე ბევრად მაღლა იდგნენ.

ბოლოს მე გამოვედი. მოკლე გამოსვლა მქონდა. ვთქვი, მიმაჩნია, რომ ამ მაღალპროფესიულმა ინსტიტუტმა უნდა გააგრძელოს მუშაობა და გაითვალისწინოს ის შენიშვნები, რომლებიც მათ სამართლიანად მიაჩნიათ-მეთქი.

ასეც დამთავრდა. ამგვარ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ელოდნენ. ინტუიციით ვმოქმედებდი, თანაც ამ თვეების განმავლობაში მეც ბევრი რამ წავიკითხე. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მართალი ვიყავი. არ შეიძლებოდა ამ ინსტიტუტის დახურვა, ქართული ფილოსოფიური სკოლის განადგურება, არ შეიძლებოდა იმ პრეცედენტების რეან-

იმირება, როდესაც არასპეციალისტები სპეციალისტებს თავს ახვევდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებს.

ძალიან ბევრისთვის საქმის ასე შემოტრიალება მოულოდნელი აღმოჩნდა. მათ დაინახეს, რომ მე განსხვავებული, ადამიანური, გონივრული თვალით ვუყურებდი პრობლემას.

მხოლოდ ერთ ფაქტს დავიმოწმებ, ქართული პროზის კლასიკოსის, დიდი ქართული რომანის „დათა თუთაშხიას" ავტორის ინტერვიუდან:

„1972 წლის მაისის დასაწყისში მანქანით ნაბეჭდი და ვეებერთელა ტომეულად აკინძული „დათა თუთაშხია" „ცისკარში" ჯანსულ ჩარკვიანთან, ანუ ჟურნალის მთავარ რედაქტორთან მივიტანე, მაგიდაზე დავუდე და ვუთხარი, — ჯანსულ, ძმაო, არა მგონია, ჩვენს დროში ამის დაბეჭდვა გაბედოთ. ამის გამოქვეყნება, ვფიქრობ, თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ მოხერხდება, მაგრამ გთხოვ, წაიკითხო და აზრი მითხრა. ვლელავ, ერთ კვირაში მოვალ... თოთხმეტი თუ თხუთმეტი მაისი იყო, მივედი. ვკითხე, — წაიკითხე-მეთქი? მითხრა, — ყველამ წავიკითხეთ და მეექვსე ნომრიდან ბეჭდვასაც ვიწყებთო!

ჯანსული დღესაც თავზეხელაღებამდე გამბედავი კაცია, იმ დროს ხომ რა იქნებოდა, მაგრამ მე მოულოდნელობისგან ყბა ჩამომივარდა...

...გამოვიდა მეექვსე ნომერი — მეშვიდეს მთავლიტი გადაელობა, ვიზა არ მისცა რედაქციას. წავედით მე და ცხონებული ოტია პაჭკორია თერთმეტსართულიან სახლში, მაგრამ თანამშრომელი, ვისაც „დათას" საქმე ებარა, შვებულებაში აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, განზრახ — საქმის იქამდე გაჭიანურების მიზნით, სანამ უშიშროების სამინისტრო თავის აზრს იტყოდა.

ასე მოხდა და ამ დროს იყო, ორმა ჩემმა აწ განსვენებულმა, ნეტარხსენებულმა მეგობარმა, ოთარ ქინქლაძემ და თენგიზ ბუაჩიძემ მითხრეს, — პირველ მდივანს (ე. შევარდნაძეს) დასასვენებლად აფხაზეთში მივყვებით. გაგვატანე „დათა", წავაკითხებთ და იქნება დავიყოლიოთ გამოქვეყნებაზეო. თავად წაკითხული ჰქონდათ. გავატანე და საქმე სხვაგვარად დატრიალდა. ბატონი ედუარდი ჩემი ძმაკაცების სიტყვას დაჰყვა, წაკითხული არ ჰქონდა, რომ მეშვიდე ნომრიდან ბეჭდვა გაგრძელდა და უკვე წაკითხვისა და დაბრუნების შემდეგ ცკის ბიურო მოიწვია „ჟურნალ „ცისკრის" რედაქციის მუშაობის შესახებ"

საკითხის განსახილველად. შეფასება დადებითი იყო, მაგრამ მაინც ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგეს, ბატონ ნიკა ჩერქეზიშვილს დაეცალა, რომანი გაემრავლებინა და აზრის გამოსათქმელად ოცდახუთი მწერლისა და კრიტიკოსისთვის დაეგზავნა. ოცდასამი დადებითი პასუხი მოვიდა. უარმყოფელი ორივე ვიცი, მაგრამ ცოცხალი აღარც ერთია და „მიცვალებულთა გამო ან კარგი, ან არაფერი“...

ასე იყო ეს. ბატონ ედუარდს მანამდე ცენზურის მიერ ტაბუდადებული თეატრალური სპექტაკლისათვის მწვანე გზა უკვე მიცემული ჰქონდა და ამას წიგნიც დაუმატა“.

სწორედ იმ პერიოდში დაიბეჭდა ქართველი მწერლების კრიტიკული პათოსით გამსჭვალული ნაწარმოებები, მაშინ იფეთქა ქართული კინოსა და თეატრის ფენომენმა, რის გვირგვინადაც შემდგომში თენგიზ აბულაძის „მონანიება“ იქცა. სწორედ მაშინ მოხერხდა კრემლის დიქტატის საწინააღმდეგოდ 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსით დატოვება და 1956 წლის ანალოგიური სადამსჯელო ოპერაციის თავიდან აცილება; დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენა და ეკლესია-მონასტრების თუ კულტურის ძეგლთა გადასარჩენად ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის შექმნა; ქართული ენისათვის ბრწყინვალე ძეგლის (ავტორი — ელგუჯა ამაშუკელი) დადგმა და ა.შ.

დღევანდელი ახალგაზრდებისთვის ყოველივე ეს შეიძლება არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ეს გაუგონარი მკრეხელობა და თავისუფალი სულის მიუტევებელი გამოვლენა იყო.

ეტყობა, სწორედ ამის გამო ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადიმირ შჩერბიცკიმ გამაფრთხილა, უკრაინაში ვინმე თბილისელი ფარაჯანოვი იხდის სასჯელს და შეიძლება ის ვადამდე ადრე გაათავისუფლონო. ისიც დაამატა, რომ ფარაჯანოვი „განსაკუთრებულ“ აღრიცხვაზეა საკავშირო ორგანოებში და ცალკეული უკრაინელი მოდისიდენტო შემოქმედი მასთან გარკვეულ ურთიერთობაშიაო. ლაპარაკი იყო სერგო ფარაჯანოვზე, შემდგომში მსოფლიოში აღიარებულ დიდ ხელოვანზე.

ეს მისი მეორე პატიმრობა იყო. როგორც შემდეგ ამბობდა: „მე,

სომეხი, საქართველოში დაბადებული ნაღდი თბილისელი, ციხესა და გადასახლებაში უკრაინული ნაციონალიზმის გამო ვიჯექი“.

არც დამიჩქარებია მოვლენები და არც ხელი შემიშლია. ჩემგან განსაკუთრებული დაინტერესება უკუეფექტს გამოიწვევდა.

ჩემი მეგობრებისგან ვიცოდი, ვინ იყო ფარაჯანოვი... მე ვენდობოდი ამ ადამიანებს და მართალია, მაშინ პირადად მას არ ვიცნობდი, მიმაჩნდა, რომ იგი უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში და აქ გაეგრძელებინა შემოქმედებითი მოღვაწეობა.

საქართველოს უშიშროების სამსახური კატეგორიული წინააღმდეგი იყო მისი დაბრუნებისა, ვიცოდი, რომ ისინი მოსკოვშიც ელაპარაკნენ მაღალი თანამდებობის პირებს, მაგრამ იქ უპასუხეს, რომ არსებობს სიტყვიერი შეთანხმება შჩერბიცკის და შევარდნაძეს შორის ფარაჯანოვის თბილისში დაბრუნების თაობაზე. მოკლედ, მალე ფარაჯანოვი თბილისში ჩამოვიდა.

თბილისში ჩამოსვლის მერე ფარაჯანოვი მარტო უშიშროების ყურადღების ცენტრში არ იყო, იგი ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც მოექცა. უნდა ითქვას — მისი ცხოვრების წესისა და შემოქმედების შეფასება არ იყო ყოველთვის ერთგვაროვანი, მიუხედავად იმისა, რომ ვერავინ უარყოფდა მის განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს — ეფიქრა, ემოქმედა და გადაეღო მხოლოდ ისე, როგორც ეს ტოტალიტარულ აზროვნებას დაპირისპირებულ დიდ შემოქმედს შეეძლო.

ჩემთან ფარაჯანოვზე ორი წყაროდან მოდიოდა ინფორმაცია: უშიშროების სამსახურიდან და ჩემი მეგობრებისგან — კინოს, თეატრისა და ლიტერატურის მოღვაწეებისგან.

შესაბამის ორგანოებს მიაჩნდათ, რომ ფარაჯანოვის გამოსწორება შეუძლებელი იყო და სწორიც იყვნენ — სერგო არ გამოსწორდებოდა და კიდევ კარგი, რომ არც გამოსწორებულა.

ჩემი თხოვნით, მას საქართველოს კინოსტუდიაში, როგორც კინორეჟისორს, სამუშაო მისცეს. ბუნებრივია, მის გარშემო ნელნელა შეიკრა მისი თაყვანისმცემლებისა და მასავით თავისუფლად მოაზროვნეთა წრე, რასაც უშიშროება „გულგრილად“ არ დაუტოვებია.

მალე უარყოფითი იმპულსები საკავშირო კინემატოგრაფიის კომიტეტიდანაც წამოვიდა. ყველაფერში იგრძნობოდა, რომ საქმე ცუდად დამთავრდებოდა. საჭირო იყო ჩარევა. მაშინ კომპარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში პასუხისმგებელ თანამდებობაზე ერთი შედარებით ლიბერალი კაცი, გვარად შაურო, მუშაობდა, საქართველოს კულტურაზე დიდად შეყვარებული პიროვნება. დავურეკე და ვთხოვე, ზეგავლენა მოეხდინა საკავშირო კინოკომიტეტზე, ხელი არ შეეშალათ ფარაჯანოვისთვის. ისიც ვუთხარი, რომ მის ქუჩაში ყოფნას, ისევ ჩვენივე მხედველობის არეში ყოფნა სჯობდა, მათ გვერდით, ვინც მას პატივს სცემდა და ვისთანაც ერთად აკეთებდა კარგ კინოს-მეთქი. შაურო ამას გაგებით მოეკიდა და ერთხანს სერგოსთვის ხელი მართლაც აღარ შეუშლიათ.

საერთოდ, მოსკოვში შეგუებულნი იყვნენ, რომ საქართველოში შეიძლებოდა იმის გადაღება, დაბეჭდვა თუ დადგმა, რაც სხვაგან, საბჭოთა კავშირში, დღის სინათლესაც ვერ იხილავდა. ჩვენს რუს მეგობრებს ყოველთვის უკვირდათ, როგორ დაიბეჭდა თბილისში პასტერნაკის „წერილები“, როგორ გამოიცა ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ოთარ ჩხეიძისა და გურამ ფანჯიკიძის რომანები, ანა კალანდაძის ბრწყინვალე ლირიკა, როგორ იქნა გადაღებული თენგიზ აბულაძის, მიხეილ კობახიძის, ოთარ იოსელიანის, გიგა ლორთქიფანიძის თუ ელდარ და გიორგი შენგელაიების ფილმები, როგორ აღიარეს რეზო გაბრიაძის შემოქმედება, როგორ დაიდგა მიხეილ თუმანიშვილის, რობერტ სტურუას, გიგა ლორთქიფანიძის, თემურ ჩხეიძის სპექტაკლები, გაჟღერდა ბიძინა კვერნაძისა და გია ყანჩელის მუსიკალური ქმნილებები, აღიმართა მერაბ ბერძენიშვილისა და ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკებები და ა.შ. აქ კიდევ ბევრი გვარისა და ბევრი ფაქტის დასახელება შეიძლება და ვფიქრობ, ეს კულტურულ-იდეოლოგიური მოვლენა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი.

მაგრამ დავუბრუნდეთ სერგო ფარაჯანოვს, რომლის გარშემო სიტუაცია კვლავ დაიძაბა. 1980 წელს, მოსკოვში, პოპულარული რუსი ბარდისა და მსახიობის ვლადიმირ ვისოცკის დაკრძალვის შემდეგ, სერგო ფარაჯანოვმა პოეტის სიკვდილში ხელისუფლება დაადანა-

შაულა. ეს უკვე აშკარა გამოწვევა იყო. პასუხმაც არ დააყოვნა. ფარავჯანოვი პროვოკაციას წამოეგო და უკვე თბილისში, და არა მოსკოვში, დააპატიმრეს. მაშინ საქმეში ვერ ჩავერიე. იურიდიულად ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი.

ცოტა ხნის შემდეგ ქართული კულტურის მოღვაწეებმა: ეთერ გუგუშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ნოდარ ჩხეიძემ, ნოდარ დუმბაძემ, თენგიზ აბულაძემ შუამდგომლობით მომმართეს – ის გენიალური შემოქმედია და საცოდაობა იქნება მისი დაკარგვაო.

ერთადერთი გზა სერგო ფარავჯანოვის ციხიდან გამოხსნისა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მისი შეწყალება იყო. ჩემი თხოვნით სერგო ფარავჯანოვის საკითხი შეწყალების კომისიაზე განიხილეს და რეჟისორი, გამონაკლისის სახით, ადრე გაათავისუფლეს.

ფარავჯანოვთან ახლო ურთიერთობა არ მქონია. სულ ერთხელ ვარ მასთან სახლში ნამყოფი, თბილისის ძველ უბანში, მთაწმინდაზე, კოტე მესხის ქუჩაზე. ამ სახლს ახლა მემორიალური დაფა აქვს და, ალბათ, ადრე თუ გვიან მუზეუმიც გაიხსნება. შეიძლება ახლა ძნელი დასაჯერებელი იყოს, მაგრამ მაშინ საქართველოს უშიშროების მინისტრი ინაური წინასწარ გავაფრთხილე, რომ ფარავჯანოვთან შინ ვაპირებდი მისვლას. მერე ერთი-ორჯერ მასთან კინოსტუდიაშიც ვიყავი. ეგ იყო და ეგ.

თაეს ბედნიერად ვთვლი, რომ, მართალია, შეფარვით, მაგრამ მაინც შევძელი კრიზისულ მომენტში მას დავხმარებოდი და თუნდაც კულისებიდან მომეხდინა გავლენა მისი ბედის სასიკეთოდ გადაწყვეტაზე.

სერგო ფარავჯანოვი იმ უნიკალური კულტურის წარმომადგენელი გახლდათ, რომელიც თბილისში ჩამოყალიბდა, როგორც სხვადასხვა კულტურათა შესანიშნავი ნაზავი – თბილისური კულტურის. ამასთან, მისი ხელოვნება ბევრად სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს.

სერგო ფარავჯანოვი ყველა და ყველანაირ საზღვარს არღვევდა, იგი ყველა და ყველანაირ შეზღუდვას უპირისპირდებოდა, ყველა და ყველანაირ შტამპს უარყოფდა და ამიტომაც გახდა მიუღებელი იმ სისტემისათვის, რომლისთვისაც ყველაფერი რეგლამენტირებული იყო.

მენანება ის ყოველი წუთი და წამი, სერგო ფარაჯანოვმა დიდი ხელოვანის ცხოვრებით რომ ვერ იცხოვრა. ამაში გარემოებათა გარდა, უპირველეს ყოვლისა, თვით ადამიანები იყვნენ დამნაშავე. ეს ერთდროულად იმ დროისა და მისი პირადი ტრაგედიაც გახლდათ.

* * *

ყველა ზემოთქმულის გვერდით, რა თქმა უნდა, იყო ვერგანხორციელებული ან სულაც განუხორციელებელი იდეებიცა და სურვილებიც, იყო ნებსითი თუ უნებლიე შეცდომანი, ზოგჯერ ტრაგედიებიც; სამწუხაროდ, ისტორიას ვერ შეცვლი, მაგრამ სურვილი განახლებისა და თავისუფალი ცხოვრებისა ნამდვილად იყო და არა მხოლოდ ხალხში.

ეს სურვილი სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა დროში, ჩვენი ყოფის სხვადასხვა სფეროში, მეტ-ნაკლებად კიდეც განხორციელდა.

როგორც ვთქვი, ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოციან წლებში საქართველოს პირველი პირი ვასილ მჟავანაძე გახლდათ. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზე იგი ნიკიტა ხრუშჩოვმა წამოაყენა, რომელიც მას ომის წლებიდან კარგად იცნობდა. იგი მოქმედი არმიის გენერალი — ნაბრძოლი, ძალზე ლმობიერი, მიმნდობი და გულუბრყვილო კაცი იყო. ბევრი სარგებლობდა მისი ამ ხასიათით, ხელს ითბობდა მისი უახლოესი წრეც.

ვასილ მჟავანაძე მე კარგად მეპყრობოდა, რამაც გამაბედვინა მისთვის სიმართლე მეთქვა იმაზე, რაც ხდებოდა რესპუბლიკაში, რას ამბობდა ხალხი, რა უკმაყოფილება მწიფდებოდა საზოგადოებაში. ამის პასუხად და, ალბათ, სხვა რამის გამოც, ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დამნიშნა, შემდეგ მინისტრად დამაწინაურეს. ახალგაზრდა, უკომპრომისო იდეალისტი ვიყავი. თანამოაზრე ბევრი მყავდა, ჩემ გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები — დიდი იმედებით აღსავსე ენერგიული ადამიანები — მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, მეცნიერები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომელთაც ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა

სურდათ. ისინი ჩემში ლიდერს ხედავდნენ და გვერდში ამომიდგნენ. ჩემთან დადგნენ უფროსი თაობის ცნობილი ადამიანებიც, რომელთა გვერდით ყოფნასაც არაფერი დამავიწყებს. ერთ-ერთი მათგანი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი გახლდათ.

მე ბედნიერება მქონდა საკმაოდ დიდხანს და საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონოდა ამ გამორჩეულ პიროვნებასთან, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი, პარტიის ბიუროს წევრი ვიყავი და ოფიციალურ შეხვედრებსა თუ ღონისძიებებზე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ამ ოფიციალური შეხვედრების გარდა იყო სხვა, არაოფიციალური შეხვედრებიც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სერგი დურმიშიძის ბინაში. ჩვენ, მე და ბატონი სერგი, თბილისში, მცხეთის ქუჩაზე, მეზობლები ვიყავით. იგი გასაოცარი პიროვნება გახლდათ, დიდად განათლებული, ენამჭევრი, პირად ურთიერთობებში უაღრესად ღრმა და ფაქიზი. მას ხშირად სტუმრობდნენ ბატონი ნიკო, ბატონები ილია ვეკუა, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, აკადემიკოსები შოთა და აკაკი ძიძიგურები, პოეტი-აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე. ჩვეულებრივი თავშეყრა იყო, სუფრით, საუბრით, მეტად საინტერესო და თბილი ურთიერთობებით, გონებამახვილობით.

აქ იყო ის, რასაც ვერც ერთ წიგნში ვერ წაიკითხავ, ვერც ერთ უმაღლესში ვერ ისწავლი. წარმოიდგინეთ ერთად თავშეყრილი ოთხიხუთი აკადემიკოსი, რომლებიც ტოლს არ უდებენ ერთმანეთს არაფერში და მათ შორის ახალგაზრდა კაცი, რომელიც ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს.

შემდგომ უცხოეთის ბევრ უნივერსიტეტში მომიწია სტუმრობამ და ლექციების წაკითხვამ, ბევრი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორიც ვარ, მაგრამ ამ დიდი ქართველების თავყრილობის თანაბარ წევრად ყოფნა ჩემთვის მაინც ყველაზე დიდი პატივი იყო.

თუმცა, ირონიულად (მათივე სტილში) სატრაბახოც მაქვს. რა თქმა უნდა, ამ ირონიის ობიექტი უპირველესად თავად მე ვარ და ის დრო, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ ნიკო მუსხელიშვილი, ეს

ბუმბერაზი პიროვნება, ჩემი, შინაგან საქმეთა ახალგაზრდა მინისტრის ბრძანებით, "საპატიო მილიციელი" გამხდარიყო.

საქმე კი ასე გახლდათ: შინაგან საქმეთა მინისტრად რომ დამნიშნეს, ვისთანაც მეთქმოდა, ყველას ვთხოვე, გვერდით დამდგომოდა, რომ ამ დაშლილ-დანგრეული და ავტორიტეტშელახული უწყებიდან ისეთი სისტემა შეგვექმნა, რომელიც საზოგადოებასთან თანამშრომლობით ნდობას მოიპოვებდა.

მოკლედ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოვაყალიბეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი. ჩემ გვერდით, უპირველეს ყოვლისა, მწერლები ნოდარ დუმბაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, რეზო ამაშუკელი დადგნენ. ბევრი სხვაც მიჭერდა მხარს, რჩევებს მაძლევდნენ და მეხმარებოდნენ. საზოგადოების დიდად ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმაც არ ითაკილეს ჩვენთან ყოფნა. ხშირად ეს მათში ღიმილსაც იწვევდა. სად მილიცია და სად, მაგალითად, როგორც უკვე ვთქვი, დიდი მეცნიერი ნიკო მუსხელიშვილი ან სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე თუ მათი რანგის მოღვაწენი!

ბატონმა ნიკომ „სერიოზულად" მიიღო ეს „წოდება", თუმცა გაკვირვებული კი ჩანდა.

მეორე დღეს, სამსახურში რომ მივიდა, მეცნიერებათა აკადემიაში, კარი სერგი დურმიშიძემ შეულო, ვიცე-პრეზიდენტმა და, როგორც მოგახსენეთ, მისმა მეგობარმა. ჩვეულებრივად მიესალმა, ნიკო კი სხვანაირად უყურებს, ამრეზით და გოროზად, მერე უხეში ტონით ეკითხება:

— როგორ მესალმები?!

სერგი დაიბნა, ამას არ ელოდა.

— გუშინდელი დღიდან, — მკაცრად უთხრა ბატონმა ნიკომ, — მე საპატიო მილიციელი ვარ! ახლა ფორმა არ მაცვია, მაგრამ იცოდე, როგორც წესია, ისე უნდა მომესალმო!

იყო ამაზე მერე სიცილ-ხარხარი.

მახსენდება ანეკდოტად ქცეული ამბავიც, სადაც მკაფიოდ ჩანს ბატონ ნიკოს ხასიათი, იუმორისა და თვითირონიის გრძნობა, ნამდვილი არისტოკრატიული ბუნება.

ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას ბატონ ნიკოს ასეთი შეკითხვა დაუსვეს:

— Говорят, что вы бывший князь...

— А почему „бывший“?

შეუბრუნა კითხვა ბატონმა ნიკომ:

— Разве о сетере можно сказать, что он „бывший“?

ნებისმიერ სიტუაციაში ეს კაცი თავის სიმაღლეზე რჩებოდა.

აი, ასეთ ხალხთან მარგუნა ბედმა ურთიერთობა.

ეს არის ჩემი ხალხი, ეს არის ჩემი ქვეყანა და თუკი რამ ხეირიანი გამიკეთებია ამქვეყნად, მხოლოდ მათი რჩევით, მათი გავლენით, მათი თანადგომით, მათი მიბაძვით, მათი სიყვარულით.

ისინი ახლაც ჩემში არიან და ალბათ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც „იქაც“ ერთად ვიქნებით.

მე მათ პირნათელი ვეახლები, ღირსეულ პასუხს გავცემ მათ ყოველ კითხვას და ალალად ვეტყვი: „რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი ხალხის სისხლი არ დამიღვრია, მაგრამ რაც ვერ შევძელი, მომიტევეთ, ყველაფერი ჩემზე არ იყო დამოკიდებული. დაწყებული საქმეები, ახლა ახალმა თაობამ გაასრულოს“.

* * *

ამ დიდი ადამიანების გარდა იყვნენ სხვებიც, რომლებიც ყველა ხერხით ცდილობდნენ ჩემი საქართველოდან მოცილებას. ერთი ეპიზოდი მახსენდება. წლების მერე ეს ეპიზოდი, მისმა მთავარმა გმირმა, დიდმა მუსიკოსმა მსტისლავ როსტროპოვიჩმა მომითხრო. ეს ამბავი მას აგრეთვე აღწერილი აქვს ჩვენი ცნობილი პიანისტის, ელისო ვირსალაძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც მისი ნებართვით აქვე გაახლებთ:

„Моя любовь и тревога за судьбу замечательной и любимой Грузии, обогатившей мир своей культурой, заставляют меня поделиться с Вами воспоминанием об одном эпизоде моей жизни.

Мой знакомый, родившийся в Тбилиси, позвонил мне и попросил к нему зайти по важному вопросу. Мы приехали вместе с Г.Вишневской. Он был хорошо осведомлён о нашей дружбе с

министром внутренных дел Н. А. Щелоковым и спросил нужны ли нам деньги(!!!), а затем предложил нам уговорить Н. А. Щелокова забрать из Тбилиси Э. А. Шеварднадзе, за что нам, т.е. Гале и мне, будет вручен чемодан с деньгами – миллион рублей. Нет надобности объяснять, что это предложение тут-же было отвергнуто.

Ясно, что оно исходило от мафии, которой присутствие Э. Шеварднадзе мешало для разворота ее деятельности. Этот эпизод убедил меня в том, что г-н Э. Шеварднадзе был неподкупен, и я думаю, что его международный авторитет и большой опыт могут быть исключительно полезны.

Я не хочу вмешиваться в Вашу жизнь. Вы сами найдете путь к спокойствию и миру в вашей стране, но я позволяю себе рассказать Вам историю, которая прольёт свет на качества человека, который призван теперь Вам помочь.

Мстислав Ростропович."

როსტროპოვიჩს შემდეგ არაერთხელ შევხვედრივარ, გვყავს ბევრი საერთო მეგობარი. მილიონთან დაკავშირებით კი მას, რა თქმა უნდა, ხუმრობით ვუთხარი – ეგ საქმე იმიტომ არ გამოგივიდათ, რომ ნახევარი მე არ შემომთავაზეთ-მეთქი.

როსტროპოვიჩი, მართლაც უდიდესი მუსიკოსი, ბრწყინვალე პიროვნება და საზოგადო მოღვაწე, ჩემს გონებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა ერთი სიმბოლური სურათით, რომელიც კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიას სცილდება და დროის ჭეშმარიტ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

1991 წლის აგვისტოში, მოსკოვში კონტრრევოლუცია გვიტევდა. ჩემს მეგობრებთან ერთად თეთრ სახლში ვიყავი. პირველ სართულზე ერთ-ერთ ოთახში შევედი და ვხედავ როსტროპოვიჩს, თეთრი სახლის დამცველს, რომელსაც სავარძელში ჩასძინებია და კალთაში მისთვის ჩვეული ვიოლონჩელის ნაცვლად კალაშნიკოვის ავტომატი უდევს.

საოცარი სურათი იყო.

* * *

1972 წელს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივნად ამირჩიეს. მართალია, მეორე მდივნად რუსეთიდან გამოგზავნილი კაცი მყავდა, მოსკოვის თვალი და ყური, სოლო უშიშროების მინისტრი ფაქტობრივად უშუალოდ მოსკოვს ემორჩილებოდა, მაინც ბევრად მეტი უფლება მივიღე, რომ თუნდაც ექსპერიმენტის სახით მეკეთებინა ის, რასაც საჭიროდ ვთვლიდი, მემოქმედა ისე, როგორც ვფიქრობდი. ამ ფიქრში მარტო არასოდეს ვყოფილვარ – მხარს მიჭერდნენ როგორც თბილისში, ისე მოსკოვში.

ზემოთ მიხეილ გორბაჩოვი ვახსენე. ჩვენ ორივე ვგრძნობდით და ვსაუბრობდით კიდეც ამაზე, რომ საბჭოთა კავშირის შექმნაში თავიდანვე იყო ჩადებული გადაულახავი წინააღმდეგობანი, მე ვიტყოდი, ცივილიზაციური ხასიათის შეუთავსებლობანი. საბჭოთა იმპერიამ მოიცვა ერთი მხრივ – ტრადიციულად განვითარებული ქრისტიანული და მაჰმადიანური ქვეყნები, მეორე მხრივ – ეკონომიკურად და სახელმწიფოებრივად განუვითარებელი ხალხები. ვფიქრობ, საბჭოთა კავშირი ამ წინააღმდეგობებმაც დაანგრია.

ამის პარალელურად ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა მთლიანად უგულებელყოფდა პიროვნების თავისუფალი შრომის მნიშვნელობას და სახელმწიფოს შიგნიდან ანგრევდა. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ყოველივე ამას ვგრძნობდი მეც და, რასაკვირველია, გრძნობდა გორბაჩოვიც და მისი მეუღლე რაისა მაქსიმოვნაც, მეტად განათლებული, შესანიშნავი ქალბატონი.

მოკლედ, წარსული უნდა დაგვეძლია, ისტორიული ფასეულობანი უნდა გადაგვეფასებინა. როგორ? – 70-იან წლებში ეს მე არ ვიცოდი.

დავიწყე გამოსავლის ძიება – თუნდაც მხოლოდ ეკონომიკის, თუნდაც მხოლოდ ერთი რაიონის მასშტაბით: საქართველოს რეგიონის – აბაშისა და ქალაქ ფოთის გახმაურებული ეკონომიკური ექსპერიმენტები მაქვს მხედველობაში. მაშინ ჩემთვის სრულიად აშკარა გახდა საბჭოთა ეკონომიკის დეცენტრალიზაციის აუცილებლობა. თუმცა ამ რეფორმას უფრო შორს მიმავალი მნიშვნელობაც ჰქონდა. სხვათა შორის, ამ ტიპის რეფორმა, საქართველოს მასშტაბით, რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის ჩასახვის პირველი მცდელობა იყო.

მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის განვითარება გლეხკაცის სამეურნეო საქმიანობის შეზღუდვის გამო ჭირდა, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი, თითქმის ყველაზე ჩამორჩენილი კუთხის, აბაშის რაიონის გლეხებს მეტი თავისუფლება მივეცით. საბჭოთა იდეოლოგია და კანონმდებლობა კრძალავდა კერძო საკუთრებას და მიწის სამუდამო მფლობელობაში გადაცემა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ და მიწა ხანგრძლივი სარგებლობის უფლებით გადავეცით.

და აი, საქართველოში ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს გორბაჩოვი აბაშაში წავიყვანე, ერთი გამრჯე გლეხი კაცის, ომის ინვალიდის ფერმაში. გაგიჟდა გორბაჩოვი, მისი ძროხები რომ ნახა. არ სჯეროდა, რომ ყველაფერი ეს ამ ერთი კაცის საკუთრება იყო.

— ბალახი კოლხეთში ბევრი და რძიანია, — უთხრა გლეხმა გორბაჩოვს, — პროდუქციის ოთხმოც პროცენტს სახელმწიფო ყიდულობს, ოცი პროცენტი მე მრჩება.

გორბაჩოვმა გადმომხედა და მითხრა:

— ხომ იცი, რომ ამის გამო შეიძლება მოგხსნან.

— თუ კარგი საქმისთვის მომხსნიან, მომხსნან, — ვუპასუხე.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსი კოსიგინმაც მოისურვა, თავისი თვალით ენახა, რაში იყო საქმე.

ბიჭვინთაში შვებულება დაუმთავრდა, მთხოვა: საქართველო დამათვალიერებინე, თუ ხვალ დილით აქ იქნები, ერთად ვიმოგზაუროთ და დარწმუნებული ვარ, ბევრ რამეს საინტერესოს ვნახავთ, აბაშის რაიონი კი აუცილებლად შეიტანე გეგმაში, მინდა გავიგო, რა სასწაული მოახდინეთ ამ რაიონშიო. აბაშის ყანებს რომ მივუახლოვდით, მძღოლს უთხრა — „აქ გავჩერდეთ“. გადმოვედით მანქანიდან და სიმინდის ყანებში შევედით. როცა მივუახლოვდით ცხენიანი კაცის სიმაღლე სიმინდის ყანას, ალბათ, იფიქრა, რომ ეს საჩვენებელი ნაკვეთი იყო. კილომეტრზე მეტი ფეხით იარა, სანამ არ დარწმუნდა, რომ საჩვენებელთან არ მიმიყვანია. მოეწონა. მეურნე, ჭკვიანი კაცი იყო, სხვაგვარად არც იქნებოდა.

ალექსი კოსიგინი მეტად საინტერესო პიროვნება გახლდათ — წლების განმავლობაში (1964-1980) საბჭოთა კავშირის მინისტრთა

საბჭოს თავმჯდომარე. სტალინმა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა შეამჩნია და წინ წამოსწია. შესანიშნავი სპეციალისტი და უაღრესად პატიოსანი კაცი იყო.

შემდეგ ქუთაისის ავტო და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები მოვინახულეთ, რომლის დათვალიერება გეგმით გათვალისწინებული არ იყო. როცა კოსიგინმა ზესტაფონში მოწმენდილი ცის ფონზე მხრჩოლავი გაზებით ჩაბნელებული გარემო დაინახა — ნახევრად დანგრეული საამქროები, შავი მტვრით მოთხუპნილი სახეები, მიხვდა, რაშიც იყო საქმე; მითხრა: „ეს ქარხანა ალბათ ძალიან ძველია". მეც დავუდასტურე. არადა ქარხნის პროდუქცია უმნიშვნელოვანესი იყო სამხედრო მრეწველობისთვის. ადმინისტრაციაში შეველით და იქიდანვე უკარნახა თანაშემწეს დეპეშის ტექსტი საკავშირო მინისტრის სახელზე: „ორი წლის ვადას გაძლევთ — ქარხანა წესრიგში მოიყვანეთ". გზაში ქარხანასთან დაკავშირებულ დეტალებზე მესაუბრებოდა, როცა გაიგო, რომ უკვე რამდენჯერმე მივმართე მძიმე მრეწველობის მინისტრსაც და მის აპარატსაც — კაცმა წონასწორობა დაკარგა, მერე მითხრა: „იცით, რამ გამაოცა? ასეთი მძიმე პირობები დემიდოვის ქარხნებშიც არ იყო რევოლუციამდე, ხოლო აქ მომუშავე რამდენიმე ათასი კაციდან ერთიც არ მოსულა ჩემთან საჩივლელად. ოქრო ადამიანები არიან, ამდენს იტანენ, მართლაც რა სულგრძელი ხალხია, — და დასძინა, — თუ ჩემი განკარგულების შესრულება გაჭიანურდეს, პირდაპირ მე დამირეკეთ". მეც მეტი არაფერი მინდოდა, მასთან აღარ დამირეკავს, მაგრამ მინისტრს მოსვენებას არ ვაძლევდი. მართლაც, ქარხნის რეკონსტრუქცია ორ წელიწადში დამთავრდა და იქ მომუშავეებმა და მთელმა რეგიონმაც შვებით ამოისუნთქეს.

ზესტაფონიდან კოსიგინი ბორჯომში წავიყვანე. რომ ჩავედით, ვიავადმყოფეთ. კოსიგინი ღვინოს არ სვამდა, მსუბუქი ვახშამი გვქონდა. ვუთხარი, აქ რომანოვების სახლია, შეგიძლიათ მოისვენოთ-მეთქი.

— არა, ცოტა ხანს გავისეირნოთ, — მითხრა.

ორსაათნახევარი ვისეირნეთ ლიკანის შესანიშნავ პარკში, სტალინზე მელაპარაკა, ბერიაზეც ბევრი ისაუბრა.

„სტალინმა წამომიყვანა და ოცდათხუთმეტი წლის კაცი მინისტრად დამნიშნა, შემდეგ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ, დიდად

მადლიერი ვარ მისი — ყველაფერი ქვეყნისთვის უნდოდა, თვითონ კი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა". ბერიაზე კი მითხრა: „მსოფლიოში საუკეთესო ხალხმა და ამ საუკეთესო ქვეყანამ ასეთი გველი როგორ შობა?!"

ბერიამ კოსიგინის ქვისლიც დაახვრეტინა, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი, რომელიც სტალინმა ჯერ მოსკოვში გადმოიყვანა და ადმინისტრაციული ორგანოების კურირება დაავალა (ანუ ბერიასიც). არადა, სწორედ ბერიამ მოულო მას ბოლო.

სეირნობის დროს კოსიგინმა ყურადღება მიაქცია ერთ-ერთი ლამაზი შენობის, რომანოვების სახლის კედელზე უადგილო ადგილას მიჭედებულ დიდ ლურსმანს — რა არისო. არ ვიცი-მეთქი. თანამშრომელს დავუძახე და მან განგვიმარტა: „აქ თავის დროზე სტალინი რომ ისვენებდა, ჩაქუჩი და ლურსმანი მომატანინა, მერე ჩააჭედა და ქუდი დაჰკიდა. სეირნობისას აქ ჰკიდებდა ქუდს და უქუდოდ სეირნობდა".

ბევრი იცინა კოსიგინმა და გვითხრა: „ძალიან გთხოვთ, ხელი არ ახლოთ ამ ლურსმანს".

რომ ვკითხე, აქამდე რატომ არ ამოაძრეთ-მეთქი, მიპასუხეს — გეეშინოდაო.

თუ არ ვცდები, ის ლურსმანი დღესაც იქ არის. რამდენადაც ვიცი, ერთი ასეთი ლურსმანი, იქვე, ლიკანში, საწერ მაგიდაზეცაა მიჭედებული, ისიც ქუდის დასაკიდად.

ეს საკურორტო ადგილი სტალინს ძალიან უყვარდა — აქ მას პოლიტბიუროს სხდომებიც კი მოუწვევია. თვითმხილველები იხსენებენ, ერთხელ, ჩამოსვლისთანავე, როგორ მოითხოვა ნიკიტა ხრუშჩოვმა, ჭაჭა (არაყი) დამალეთინეთო. მოზრდილი ჭიქით მიართვეს, გადაყლურწყა, ალბათ, სტალინთან შეხვედრამდე გულის გამაგრება სჭირდებოდა.

* * *

ცოტა ხნის შემდეგ აბაშის ანალოგიური ექსპერიმენტის დანერგვა საქართველოს უმთავრეს საპორტო ქალაქ ფოთში ვცადე. რეფორმის პრინციპი იგივე რჩებოდა, იმ განსხვავებით, რომ მასშტაბები დიდი იყო. აქ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის გაძლიერებაზე გავამახვილეთ ყურადღება. სქემა დაახლოებით ასე გამ-

ოიყურებოდა: ქალაქში შემავალი ყველა საწარმო, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარებისაც, პორტის ჩათვლით, მოგების ნაწილს თავისთვის იტოვებდა, ხოლო დანარჩენი ქალაქის ბიუჯეტში ირიცხებოდა. თავის მხრივ, დაგროვილ ფონდებს ფოთის მუნიციპალიტეტი ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ხარჯავდა. ეკონომიკის დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით, ეს მართლაც მასშტაბური პრეცედენტი გახლდათ.

მოხდა ისე, რომ აბაშასა და ფოთში უნიჭიერესი ახალგაზრდები მუშაობდნენ: გურამ მგელაძე და ბაკურ გულუა. აბაშისგან განსხვავებით ფოთში, როგორც უკვე აღვნიშნე, ნავსადგურის ჩათვლით, მრავლად იყო საკავშირო დაქვემდებარების ობიექტი. არგუმენტები ექსპერიმენტის სასარგებლოდ საკმაოზე მეტი გვქონდა, მაგრამ სალ კლდეს რას გაარღვევ! იძულებული ვიყავი, დამერეკა საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ტიხონოვისთვის, რომელმაც ამ პოსტზე კოსიგინი შეცვალა; ვთხოვე, მოესმინა გულუასთვის, თან გავაფრთხილე, რომ ამას ორ საათზე მეტი დასჭირდებოდა. ტიხონოვმა უარი ვერ მითხრა, ჩემს ჩასვლას ისევ გულუას მოსმენა ამჯობინა. საუბარი მართლაც დიდხანს გაგრძელდა და ტიხონოვზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საუბრის შემდეგ ტიხონოვმა დამირეკა და მთხოვა, გულუა ცოტა ხნით დარჩენილიყო მოსკოვში. გადავწყვიტე, გამოვცე განკარგულება ფოთის ექსპერიმენტის მხარდასაჭერად. მან მართლაც შესანიშნავ დოკუმენტს მოაწერა ხელი. ეს კი ნამდვილი გამარჯვება იყო. თუნდაც მცირე მასშტაბით, მაგრამ ეს მაინც თავისუფლება იყო, სულ მცირე ნაწილი თავისუფლებისა, მაგრამ მაინც თავისუფლება. შემდეგ ამ პრინციპების მთელ საქართველოში გავრცელება დავიწყეთ. ასეთი მუშაობის შედეგად ქვეყანაში შემცირდა საკავშირო ბიუჯეტიდან დოტაციების აუცილებლობა. ხალხმა უკეთ ცხოვრება დაიწყო, თუმცა ნაკლიც ბევრი გვქონდა.

* * *

საბჭოთა საქართველოს პირველ პირად ყოფნის დროს მომიხდა ისეთ, იმ დროისთვის რთულ პრობლემასთან შეჯახება, როგორიც ებრაელთა ისრაელში „ასვლა“ იყო. საბჭოთა კავშირის ხელმძღვ-

ანელობა მაშინ ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელი შეეშალა ებრაელთათვის ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში დაბრუნებაში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მათი ყოფნა ტრადიციულად გულზე არ ეხატებოდათ.

სხვათა შორის, ამით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა აკეთებდა იმას, რასაც თავის დროზე გაერთიანებული სამეფო, როდესაც პალესტინის სანაპიროს მიმდგარ ებრაელთა გემებს უკან აბრუნებდა და რეპატრიანტებს ნაპირზე გადასვლის უფლებას არ აძლევდა (ამ გაუგონარ სისასტიკეზე, სხვათა შორის, შთამბეჭდავად ჰყვება გოლდა მეირი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „Моя жизнь" (1993).

მე მაშინ ჩვიდმეტი ებრაელის სამშობლოში გამგზავრებას შევუწყვე ხელი. ეს იყო საბჭოთა კავშირიდან ისრაელში „ასვლის" დასაწყისი და მე ვამაყობ ამით, რადგან გავაგრძელე ებრაელებთან ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის ტრადიცია და მცირედით მაინც შევუწყვე ხელი ისტორიულად მეტად მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებას.

გავა წლები და ისრაელის პრემიერ-მინისტრი იეჰუდ ბარაკი თავად მიმანიშნებს: „ჩვენ მუდამ გვემახსოვრება, რომ თქვენ ითამაშეთ ცენტრალური როლი ყოფილი საბჭოთა კავშირის კარის გაღებაში და ებრაელებს მიეცით ისრაელში ამოსვლის საშუალება".[8] უფრო ადრე, იმავეს ხაზი გაუსვა ჯორჯ შულცმა, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა: „ედუარდ შევარდნაძემ უფრო მეტად, ვინემ სხვამ, ხელი შეუწყო საბჭოთა ებრაელების გამგზავრებას მათ ისტორიულ სამშობლოში"[9]. მეტიც, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნიდან მეორე წელს, შიმონ პერესთან შეხვედრის შემდეგ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით მოსკოვში გაიხსნა ისრაელის საკონსულო, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „ასვლის" პროცესს.

გული მტკიოდა, რომ ებრაელები საქართველოდან მიდიოდნენ, ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ ოცდაექვსი საუკუნის წინ ჩამოსახლდ-

[8] აბონ ციციშვილი. „ებრაელები და საქართველო". თბილისი, 2000, გვ. 308

[9] იქვე.

ნენ და მათთვის უკულმართი სიტყვა არავის უკადრებია. ისინიც, როგორც ერთგული მოქალაქენი, პირნათელი იყვნენ საქართველოს წინაშე, მაგრამ მათ თავიანთი ქვეყანა ეძახდა, საიდანაც საუკუნეების წინ გამორეკეს და მათ ლტოლვას საშშობლოსაკენ ვერაფერი დააკავებდა.

ტირილით ტოვებდნენ ებრაელები საქართველოს, მეორე სამშობლოს, სადაც რჩებოდნენ მათი მეგობრები, ქართველები, რჩებოდა მათი სახლ-კარი, წინაპრების საფლავები, მაგრამ მიწის ძახილს ვერაფერი შეაჩერებს... სხვათა შორის, ახლაც კი, ამდენი წლის მერე, ებრაელთა საფლავები მოვლილია, სახლები — ხელუხლებელი. მოსახლეობა უფრთხილდება მათ, როგორც ძმების მოსაგონარს. ვფიქრობ, ეს ბევრს ლაპარაკობს ჩემი ხალხის ხასიათზე.

შემდეგ, უკვე 1999 წლის თებერვალში, თავისუფალ საქართველოში ჩამოვიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელსაც თან ახლდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი არიელ შარონი — მის მშობლებს თბილისში უცხოვრიათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ და აქვე დაქორწინდნენ. შარონის ბებია თბილისის ებრაელთა სასაფლაოზე განისვენებს. მან პატივი მიაგო ბებიის ხსოვნას და ისიც ნახა, როგორაა სასაფლაო მოვლილი.

ებრაულ-ქართულ უნიკალურ ურთიერთობათა ისტორია არ იცნობს ანტისემიტიზმს, დარბევას, რასაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი; პირიქით, საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ეს ურთიერთობა ეფუძნებოდა და ეფუძნება ჰუმანიზმის, კულტურათა დიალოგის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეალებს და ჩვენ მართლაც გვაქვს საამაყო.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ 26 საუკუნის განმავლობაში ასეთი რამ შესაძლებელი ყოფილა! ეს კაცობრიობის ისტორიაში ერების თანაცხოვრების ერთ-ერთი უნიკალური მოვლენაა და ვფიქრობ, მისი ფართო და ღრმა მეცნიერული კვლევა ბევრს შესძენს არა მარტო საქართველოსა და ისრაელის ისტორიას, არამედ მსოფლიო ისტორიასაც.

სინას წმინდა მთასთან ქართველებს გვაკავშირებს არა მხოლოდ თორა და ძველი აღთქმა, არამედ ქართველთა დიდი სასულიერო და სამეცნიერო მოღვაწეობაც. საუკუნეების იქით სინას მთაზე ნათარგ-

მნი თუ გადაწერილი რელიგიური ქართული ხელნაწერები ცნობილია მსოფლიო სამეცნიერო წრეებში.

ისრაელში, პალესტინაში (იმ მხარეს დღეს ღაზის სექტორი ეწოდება), მეხუთე საუკუნეში მოღვაწეობდნენ უდიდესი ქართველი ფილოსოფოსი პეტრე იბერი — არეოპაგიტიკის მამა და მისი ქართველი მოძღვარი — იოანე ლაზი. იერუსალიმში იყო და არის ქართველთა ორი ისტორიული მონასტერი: ჯვრის მონასტერი, რომელშიც აღმოსავლური რენესანსის ქართველი გენია — შოთა რუსთაველი იყო ბერად შემდგარი და სადაც მისი ფრესკაა დაცული. იქვეა ლაზთა მონასტერი, რომელიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა.

ისიც სიმბოლურია, რომ ქართველი მეფეები — ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავებად თვლიდნენ თავს. წინააზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს დამაარსებელი, მახვილი მესიისა — დავით აღმაშენებელი და მისი შთამომავალი მეფე ლაშა-გიორგი ქრისტეს საფლავის დასაცავად იღვწოდნენ ჯვაროსნული ომების დროს.

ასე რომ, ჩემი დამოკიდებულება ებრაულ საკითხთან მხოლოდ პიროვნული პრობლემა არ გახლდათ, იგი განპირობებული იყო ქართულ-ებრაული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ჩვენი წინაპრების ნებით, ჩემი ეროვნული მენტალიტეტითა და აღზრდით.

1998 წელს ჩვენ საზეიმოდ და საერთაშორისო მასშტაბით გადავიხადეთ ქართველთა და ებრაელთა მეგობრობისა და თანაცხოვრების 26 საუკუნის იუბილე.

* * *

მოხდა ისე, რომ ჩემი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში დიდსა თუ პატარა კონფლიქტურ სიტუაციებში მომიხდა უშუალოდ ჩარევა და მათი მოწესრიგება.

ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებული სიცხადით მახსოვს:

ეს იყო 1977 წელს თბილისში, „დინამოს“ საფეხბურთო სტადიონზე, რომელიც ასი ათასამდე მაყურებელს იტევს... ენებათაღლეგა მსაჯის შეცდომებმა გამოიწვია. ამას ისიც დაემატა, რომ მან თამაშის დასასრულს მოწინააღმდეგის კარში პენალტი არ დანიშნა. არ ვიცი, განზრახ გააკეთა ეს თუ უნებლიეთ, მაგრამ სტადიონის ტრიბუნები

თითქოს ჩამოინგრა. ათასობით მაყურებელი მინდვრისკენ გაიჭრა, რომ არბიტრი დაესაჯა. ძლივს მოვახერხეთ მსაჯის დამალვა სტადიონის მიწისქვეშა ოთახში და მაშინ გულშემატკივრების რისხვა წესრიგის დამცველებს დაატყდა თავს. ქვებს ესროდნენ სამთავრობო ტრიბუნასაც, სადაც მე ვიდექი. ორჯერ მივმართე მაყურებლებს მეგაფონით, შევპირდი, რომ ყველაფერს გავარკვევდით, მაგრამ ამაოდ. არავითარი არგუმენტი აღარ ჭრიდა. საჭირო იყო შოკისმომგვრელი მოქმედება. იძულებული გავხდი, ტრიბუნიდან პირდაპირ ხალხში გავსულიყავი (ეს უფრო გადახტომა იყო), ამას ნამდვილად არავინ ელოდა. რამდენიმე თანამშრომელი გამომყვა. ჩემთვის მოულოდნელად მაყურებელმა გზა მომცა და პირდაპირ მინდორზე გავედი. მთელი მოედანი ახალგაზრდებით იყო სავსე.

— ბიჭებო, — მივმართე მათ, — ხომ ხედავთ, თქვენთან ვარ, მსაჯებს კი ჩვენ მოვუვლით, — ეს ვთქვი და გასასვლელისაკენ გავემართე. ჩემთვის მოულოდნელად ეს უზარმაზარი მასა მე გამომყვა. გაგანია ზაფხული იყო და დიდი სიცხე იდგა, თან „გამცილებელთა“ ცხელი სუნთქვა მდევდა, სული მეხუთებოდა. ჩემი ტანსაცმელი ოფლით ისე გაიჟღინთა, რომ იტყვიან, გასაწური იყო. ნახევარი კილომეტრი ვიარე სტადიონიდან, მეტი აღარ შემეძლო, სუნთქვა მიჭირდა და გარშემომყოფთ მივმართე: „გამიგეთ, უბრალოდ ცუდად ვარ, სადაცაა წავიქცევი“... ეტყობა, ადამიანის ფერი აღარ მედო. ახალგაზრდებმა წრე გააკეთეს და ამოსუნთქვის საშუალება მომცეს. შემდეგ თანდათანობით დამშვიდდნენ და ნელ-ნელა დაიშალნენ კიდეც.

გადაჭარბების გარეშე უნდა ვთქვა — იმ დღეს სტადიონზე დიდი სისხლის ღვრა ავიცილეთ თავიდან, რადგან ვიცოდი, რომ „საქმეში ჩასარევად“ უკვე ემზადებოდნენ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ასეთი სასწაულები მხოლოდ განგების ძალით ხდება.

* * *

პოლიტიკოსის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა კონფლიქტების დროულად აღკვეთა და განმუხტვაა. იქნებ ამიტომაც მახსენდება სწორედ ის კონფლიქტები, რომლის მოგვარებაც ვერ შევ-

ძელი. მახსენდება არა მხოლოდ საკუთარი მარცხის, არამედ იმ ტკივილის გამოც, რომელიც მათ მოუტანეს ქვეყანას, საზოგადოებას, კონკრეტულ ადამიანებს. ამ კონფლიქტების მასშტაბები და ხარისხი სხვადასხვა იყო. ისინი ერთნაირი სიმძაფრითა და სიძლიერით აღიბეჭდა ჩემში, ჩამრჩა გულში და დანაშაულის გრძნობას მიღვივებენ.

არადა, ღმერთმანი, ძალა არ დამიშურებია, რომ ისინი ჩამეცხრო, მაგრამ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ვერ შევძელი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის შესაძლებლობასაც ხომ აქვს საზღვარი.

ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტური სიტუაცია „თვითმფრინავის ბიჭებს“ უკავშირდება. მისი მოგვარება გარკვეული ეტაპის შემდეგ გასცილდა ჩემს უფლებამოსილებას და სიტუაციას მთლიანად მოსკოვი აკონტროლებდა; როცა კონფლიქტში მესამე ძალაა ჩართული, იმ კონფლიქტის ჩაქრობა ძალზე ძნელი, ხშირად შეუძლებელიცაა. თბილისის აეროპორტიც მოსკოვის ქვედანაყოფი იყო.

1983 წლის ნოემბერი: ახალგაზრდების ჯგუფმა თბილისის აეროპორტიდან აფრენის შემდეგ სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა. მათი გულუბრყვილო ჩანაფიქრით ეს იყო საბჭოთა კავშირიდან გაქცევის რეალური საშუალება, რომელსაც მსხვერპლი არ უნდა მოჰყოლოდა. ეს ახალგაზრდები საკმაოდ შეძლებული ოჯახებიდან იყვნენ, სტუდენტური, პიროვნული კარიერაც წარმატებული ჰქონდათ. მათთვის, პრივილეგირებული ოჯახების შვილებისათვის, უცხოეთში წასვლა არ უნდა ყოფილიყო ძნელი – ერთი მათგანი, ჩემი მეგობრის, აკადემიკოსის შვილი გახლდათ, მეორე – სახალხო მხატვრის შვილიშვილი, მესამე და მეოთხე – ცნობილი ექიმის, სამედიცინო კლინიკის მთავარი ექიმის შვილები, მეხუთე – მსოფლიოში ცნობილი კინორეჟისორის შვილი, თავად შესანიშნავი მსახიობი, რამდენიმე ფილმის მთავარი გმირი... მათ საბჭოთა კავშირში ცხოვრება აღარ სურდათ და ალბათ, ცალ-ცალკე წასვლასაც შეძლებდნენ, მაგრამ მაინც ასე, ერთად მოინდომეს წასვლა, ჭორწილის იმიტაციით, ხმაურით, თვითმფრინავის გატაცებით. კინოფილმივით იყო მათი წასვლა ჩაფიქრებული და სამწუხაროდ, ყველაზე ტრაგიკული ფილმივით განვითარდა – ადამიანთა დიდი მსხვერპლით და თავად რამდენიმე გამტაცებლის დაღუპვით.

შემდეგში ამას მოჰყვა გადარჩენილი გამტაცებლებისა და ორგანიზატორის სასამართლო პროცესი და მათი დახვრეტა.

გამტაცებლებმა ვერ მოახერხეს საბჭოთა კავშირის სივრცის დატოვება და თვითმფრინავი კვლავ თბილისის აეროპორტში დაეშვა, სადაც მას შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებმა შემოარტყეს ალყა. მე მივედი თვითმფრინავთან, ვთხოვე გამტაცებლებს, გაეთავისუფლებინათ მძევლები და დაეტოვებინათ თვითმფრინავი, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროისათვის თვითმფრინავში უკვე იყო მსხვერპლი — ბორტგამცილებელი, მგზავრი... შემდეგ ერთმა გამტაცებელმა თავი მოიკლა, ამასობაში საქმეში მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოფრენილი „სპეცნაზი“ ჩაერია, რამაც კიდევ უფრო გაზარდა დახოცილთა რიცხვი.

საბჭოთა მართლმსაჯულება (ისევე, როგორც საერთაშორისო) ამ შემთხვევაში ძალიან მკაცრი იყო, იგი თვითმფრინავის გამტაცებლებს, ორგანიზატორებსა და მგზავრთა მკვლელებს მკაცრად სჯიდა.

დღესაც ასეა.

მართალია, მაშინ ბევრმა მომმართა თხოვნით, სასიკვდილო განაჩენი ამეცილებინა მათთვის, ვინც გადარჩა, მაგრამ უძლური აღმოვჩნდი — მე აღარაფერი შემეძლო. არაფერი შემეძლო, როგორც თანამდებობის პირს და როგორც მოქალაქეს. მათი ქმედების გამო ხომ ადამიანები დაიხოცნენ. უმიზეზოდ და უგუნურად დახოცილთა მხარეს, მათი ჭირისუფლების მხარესაც ხომ იყო მწარე სიმართლე. როგორც ვთქვი, ამ ახალგაზრდებიდან ერთი შესანიშნავი მსახიობი, მეორე ალბათ დიდი მხატვარი დადგებოდა. საერთოდ, ყველა რაღაცით გამორჩეული და ნიჭიერი გახლდათ, მაგრამ უმიზეზოდ დახოცილი მგზავრებიც ხომ იყვნენ განუმეორებელნი... თუნდაც თავიანთი ახლობლებისთვის?

ამ ტრაგედიის თავიდან აცილება მე ვერ შევძელი; მივედი მათთან, ვცადე, დავლაპარაკებოდი, მაგრამ, ეტყობა, ვერ მოვძებნე შესაბამისი სიტყვები, მათ კი ჩემი მოსმენა არ ისურვეს. ვერ შევძელი ისინი დამერწმუნებინა, შეჰგუებოდნენ დამარცხებას და ჩაბარებულიყვნენ, ვერ შევძელი...

მერე უკვე აღარაფერი შემეძლო... მოვლენებს მე აღარ ვმართავდი... ეს ჩემი მარცხი და მოუშუშებელი ტკივილია.

* * *

სამოცდაათიანი წლების დამლევს, თბილისის სტადიონზე მომხდარი ინციდენტიდან ერთი თუ ორი წლის შემდეგ, აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სტადიონზე კვლავ მომიწია უფრო მწვავე და უფრო რთულ კონფლიქტში ჩარევამ.

საქართველოს ეს ნაწილი, აფხაზეთი, ეროვნული შემადგენლობით პოლიეთნიკური, ქართველების უმრავლესობითა (48%) და აფხაზების უმცირესობით (17%), იმ წელს კვლავ მღელვარებამ მოიცვა.

ჩემთან ერთად ლიხნის სტადიონზე (სადაც მრავალათასიანი აფხაზური თავყრილობის მონაწილეები მოითხოვდნენ საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გასელას), იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ივან კაპიტონოვი. ტრიბუნაზე რომ გამოვჩნდით, მაშინვე ქვები დაგვიშინეს, კაპიტონოვს შლაპა პირდაპირ ცემენტის იატაკზე დაუვარდა და მაშინ ისევ მომიხდა გამძვინვარებულ ბრბოში გადასვლა, რომელიც თითქოს სახეს მწვავდა ველური სიძულვილით.

...ის კაცი მაშინვე გამოვარჩიე, როგორც კი დავინახე. მეტისმეტად განსხვავებული იყო: მაღალი, ლამაზი მოხუცი კავკასიური ფაფახით, ჩოხა-ახალუხითა და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით. თეთრი წვერი, მშვიდი, გამჭოლი მზერა, ამაყი გამომეტყველება და მიხრა-მოხრა მასში არ ავლენდა იმ საშინელ სიძულვილს, რომელმაც ხალხი მოიცვა, მხოლოდ სიამაყე ჩანდა მის თვალებში.

— თქვენ დაარღვიეთ საუკუნებრივი წეს-ჩვეულება, — მშვიდად ვუთხარი, — სტუმრებს შეურაცხყოფით შეხვდით და ამით ჩვენ კი არა, აფხაზური სტუმართმოყვარეობის წესი, ტრადიცია და კანონები შეურაცხყავით.

— თქვენ სტუმრები კი არა, მტრები ხართ, — მშვიდად მიპასუხა მან, — ჩვენც როგორც მტრებს, ისე შეგხვდით. უკეთესია, თუ წახვალთ.

— უხუცესსა და ხანდაზმულს ჩემგან არ გესწავლებათ; თქვენ ყველაზე კარგად იცით წეს-ჩვეულება, მაგრამ მე მახსოვს მოხუცების ნათქვამი: თუ სახლში მტერიც კი, როგორც სტუმარი, ისე მოდის, უფლება არ გაქვს, უარი უთხრა თავშესაფარზე. რატომ ვლაპარაკობთ სტადიონზე? განა სახლი არ გაქვთ, სადაც შეძლებდით ჩვენს

მიღებას და მოგვისმენდით? იქნებ ის, რისი თქმაც გვინდა, არის მეგობრების და არა მტრების სიტყვა?

მოხუცმა ჩაიცინა.

— ჩავთვალოთ, რომ ვერ მიგიხვდი ცბიერებას... მაგრამ შენ მართალი ხარ: მე მაქვს სახლი და თუ გინდა შეაბიჯო მასში, უარს ვერ გეტყვი. წავიდეთ, გეპატიჟები...

ხალხმა გზა გაგვითავისუფლა.

ეს ძალიან ლამაზი და მდიდრული სახლი იყო. სანამ ჩვენ მივიდოდით, სტუმრების დასახვედრად იქ უკვე ყველაფერი მოამზადეს: სუფრა გაშალეს, ბუხარში ცეცხლი დაანთეს, დოქებში ღვინო ჩამოასხეს.

სუფრასთან მთელი ღამე გავატარეთ. ბევრს ვსვამდით და ასევე ბევრს ვლაპარაკობდით. რაზე? — აფხაზებისა და ქართველების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შესახებ, მათ ფესვებზე, რომლებიც ერთმანეთშია გადახლართული. იმ ღამის ჩვენი საუბარი ჩვეულებრივად რომ მომეთხრო, კიდევ ერთი დიდი და რთული წიგნი გამოვიდოდა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობაზე, რომლის მსგავსი მრავლადაა დაწერილი. ბევრი მათგანის პათოსი, სამწუხაროდ, სწორედ დაპირისპირებას აძლევს სტიმულს და არა დაახლოებას, ბევრ მათგანში აქცენტი გადატანილია იმაზე, აფხაზებიდან და ქართველებიდან ვინ უფრო ადრე დასახლდა ამ მიწაზე და შესაბამისად — ვის აქვს მასზე მეტი უფლება (თუმცა ამ საკითხში სიცხადის შეტანა სულაც არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი).

არადა, მიწაზე ცხოვრების უფლება ყველას აქვს, ყველანი ღვთის შვილები ვართ და ვალდებული ვართ მივხედოთ ჩვენს წინაპართა საფლავებს, დავიცვათ ჩვენი შთამომავლობის სიცოცხლე.

ვინ მოვიდა პირველი? — ამის გარკვევა ხშირად მითოლოგიზებული ისტორიებითაც ხდება, პატარა ერებისთვის დამახასიათებელი „გამონაგონებით“.

მითების შეთხზვას კი სჯობია ის გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოში არსებობს საერთაშორისო ნორმებით აღიარებული ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს არა მარტო შენს, არამედ სხვის უფლებებსაც, რომ არსებობს საზღვრების ურღვეობაც — და რომ ეს

ყველაფერი უნდა დავიცვათ. რაც შეეხება ისტორიულ საკითხებს — ეს მეცნიერებს დავუთმოთ. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ვინ მოვიდა პირველი „აქ“ ან „იქ“; ეს არ არის ბავშვური თამაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ამქვეყნად ყველანი დროებით ვართ მოსულნი და იმის უფლება არ გვაქვს, ამა თუ იმ სადავო აზრის დასამტკიცებლად ვინმეს სიცოცხლე გავწიროთ.

მასპინძლის დელიკატურობამ და ჩემმა ტაქტმა კამათის სიმწვავე შეანელა და მაშინ ეს კონფლიქტი თითქოს ჩაცხრა, მაგრამ რუსეთის მეშვეობით ეს შენელებული ნაღმი მაინც აფეთქდა 1992 წელს რუსეთ-საქართველოს ომით აფხაზეთში და აფხაზეთის დროებითი დაკარგვით, მაგრამ ამაზე შემდეგ...

* * *

მწვავე და მასშტაბური კონფლიქტის დროულად, გონივრულად და გაბედულად გადაჭრის მაგალითად მინდა მოვიყვანო თბილისში, 1978 წელს, 14 აპრილს უსისხლოდ მოგვარებული სახელმწიფოებრივად და ეროვნულად მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც დიდი სისხლის ღვრა აგვაცილა თავიდან — ქართული ენისათვის ახალ კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნების პრობლემა მაქვს მხედველობაში.

ვეცდები, აღვადგინო მოვლენები, რადგან ჩვენთვის, ქართველებისთვის დამახასიათებელი უზრუნველობის გამო, სამწუხაროდ, იმ დროის ინფორმაციული თუ დოკუმენტური მასალა ფაქტობრივად არ დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ იქაურობა სავსე იყო ჟურნალისტებით, ტელეკამერებით, დოკუმენტური ფილმების გადამღები ჯგუფებით, ფოტორეპორტიორებით... იყო საიდუმლო გადაღებები ყველასათვის კარგად ცნობილი ორგანოების მიერაც და ა.შ...

საერთოდ, ისეთი დაძაბული ვითარება იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის დროს, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა სსრკ-ის ახალი კონსტიტუციისთვის, რომ არც ერთ სიტყვას და არც ერთ კადრს სათანადო აღნუსხვისა და აღნიშვნის გარეშე არ ტოვებდნენ.

ასე რომ, როდესაც გარკვეული დროის შემდეგ დაებრუნდი საქართველოში და მასალები მოვიძიე — აღარაფერი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, არა მარტო ეს, არამედ უამრავი დოკუმენტიც აღარ არის, რომელიც თავისთავად ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენდა. თუნდაც იმავე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულს, მაგრამ ვიღაცისთვის მიუღებელს. უამრავი დოკუმენტი მოისპო, უამრავი დოკუმენტი განადგურდა. ამას არ აკეთებენ არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში, დოკუმენტებს ყოველთვის უფრთხილდებიან, რადგან ეს ისტორიაა. წყობა იცვლება, ხელისუფლება იცვლება, დოკუმენტები რჩება. ყოველთვის ასე იყო და ყოველთვის ასე უნდა იყოს.

მე მეამაყება, რომ თავიდან ბოლომდე ამ მოვლენების მონაწილე და გარკვეულად წარმმართველიც ვიყავი.

1978 წლის კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო, შეუქცევადი გაეხადა საერთო-სახალხო საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირება, ერთიანი ენობრივი (რა თქმა უნდა, რუსული) სივრცით, ერთი მენტალიტეტით. მოკლედ, ეს იყო გზა ეროვნულობის დაკარგვისკენ, გარუსებისკენ.

მე კონსტიტუციის საკავშირო კომისიის წევრი ვიყავი და, რა თქმა უნდა, რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარეც. ბუნებრივია, გულზე სადგისივით დამესო, როდესაც წავიკითხე, რა ეწერა პროექტში ენასთან დაკავშირებით. პროექტი ჯერ კიდევ ახალი გამოქვეყნებული იყო, როდესაც მუშაობა დავიწყე იმაზე, როგორ განმემარტა ეს ყოველივე ხალხისთვის.

თითქოს ყველაფერს წინასწარ ვგრძნობდი, როდესაც ერთი წლით ადრე საქართველოში დადგენილება მივიღეთ რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ეს დადგენილება შემდეგ არგუმენტად გამომადგა.

როდესაც კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა, ფაქტი იყო, რომ შემოთავაზებული ფორმულირებით (76-ე მუხლი) ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი უქმდებოდა: „საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებებში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსულის, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარე-

ბაში არ დაიშვება“. ე. ი. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი უქმდებოდა.

მე მოვახერხე შევხვედროდი ბრეჟნევს და ყველაფერი ავუხსენი. მაშინ ის თავს ჯერ კიდევ კარგად გრძნობდა.

ვუთხარი, რას ნიშნავდა ქართველი კაცისთვის ენა, რომ ლენინის, თვით სტალინის დროსაც კი სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ ენას საქართველოს რესპუბლიკაში შეუნარჩუნდა, ხოლო თქვენი გენერალური მდივნობისას, ლიბერალური შეხედულებების მქონე ადამიანის მმართველობის დროს, ამგვარი ცვლილებების შეტანა ძალიან მძიმე ლახვარი იქნება, რომელსაც თქვენ ხალხი ვერ გაგიგებთ-მეთქი.

ბრეჟნევმა მითხრა: „მე ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ, ალბათ, შენ მართალი ხარ, მესმის შენი. მოდი, ასე მოვიქცეთ – მიდი სუსლოვთან, მერე ჩერნენკო და კაპიტონოვი ნახე, შეეცადე, დაარწმუნო და თუ ვერ მოახერხებ და გაგიჭირდება, მე მერე ჩავერევი“.

მაშინდელი ჩასვლა საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჩემმა მეგობრებმა, ზოგიერთი, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის, იციან, რომ მე კიდევ ჩავედი მოსკოვში.

პირველი, ვინც მოვინახულე, ჩერნენკო იყო. მოვინახულე იმიტომ, რომ მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ ფენომენთან. გაგებით ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც ვეუბნებოდი და პირადად ჩემ მიმართაც დიდი სიმპათიით იყო განწყობილი. ამასთან, ბრეჟნევთან ყველაზე ახლოს იყო და მის დავალებებს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

მე ავუხსენი ჩერნენკოს მდგომარეობა და ვუთხარი, რომ ვიცი, თქვენ ამას სუსლოვის გარეშე ალბათ ვერ გადაწყვეტთ (სუსლოვი სკკპ-ის მთავარი იდეოლოგი, ამ კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი იყო), მაგრამ გთხოვთ, ბრეჟნევს ესაუბროთ-მეთქი. შემპირდა, რომ ბრეჟნევს დაელაპარაკებოდა, მაგრამ ეს საუბარიც, ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა. შემდეგ გახლდით სუსლოვთან. შეიძლება არც არის საინტერესო ყოველივე ეს, მაგრამ ეს ისტორიაა და ახლანდელმა თაობამ უნდა იცოდეს, რა იყო და როგორ. სუსლოვიც ჩემ მიმართ გარკვეული სიმპათიით იყო განწყობილი, მაგრამ – სიფრთხილით, ძალიან დიდი სიფრთხილით: იოსებ სტალინის საქართველო-

დან ვიყავი, აქედან იყო ლავრენტი ბერიაც. ვატყობდი, რომ ბოლომდე გახსნილი და გულწრფელი ჩემთან არასდროს ყოფილა. თუმცა ცდილობდა, რაშიც კი შეიძლებოდა, მხარი დაეჭირა.

ვუთხარი, რა დილემის წინაშეც ვიდექით. ავუხსენი, რომ ენა განსაკუთრებული ფენომენია ქართველი კაცისთვის. „თქვენ გახსოვთ, სტალინის „დამუშავებას“ 1956 წელს როგორი გამოსვლები მოჰყვა და თუ მაშინ ახალგაზრდობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი იყო ასე განწყობილი, დღეს ყველა ერთიანია, რადგან ქართული ენის მიმართ გულგრილობა გამორიცხულია. არ არსებობს ქართული ოჯახი, რომელიც ამას დათმობს. ამიტომ სამი ვარიანტი არსებობს. პირველი – ძალიან მტკივნეული, როცა ხალხი შეიძლება გამოვიდეს ქუჩაში და ჩვენ იძულებული ვიქნებით ან უკან დავიხიოთ, ან იარაღი გამოვიყენოთ.

მეორე ვარიანტი ის არის, რომ შეიძლება მოსახლეობამ ვერ შენიშნოს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ სხვა თაობა შენიშნავს ამას და ენის საკითხს აუცილებლად დაუბრუნდება. მესამე ვარიანტი კი ის, რომ ზოგი შენიშნავს, ზოგი – არა და მართლაც უმტკივნეულოდ ჩაივლის ყველაფერი, თუმცა მე არ ვიქნები მართალი ჩემი სინდისის წინაშე, რომ არ ვთქვა – ეს არის ყველაზე მტკივნეული საკითხი და გთხოვთ, აქ დამითმოთ. თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ, რომ მე კომუნისტი ვარ, თქვენ ხომ ეჭვი არ გეპარებათ ჩემს პოლიტიკურ ორიენტაციაში, თქვენ ხომ იცით, ის დადგენილება, რომელიც რუსული ენის შესწავლის შესახებ მივიღეთ (აი, აქ გამომადგა ის ყოველივე)?! ჩვენ გვინდა ჩვენი ბავშვები კარგად ფლობდნენ რუსულ ენას, რადგან თუ ერთიან სახელმწიფოს აშენებ, უნდა იყოს ერთი საურთიერთობო ენა, რომელსაც ფლობს ყველა, სხვანაირად სრულყოფილი მოქალაქე ამ ქვეყნისა ვერ იქნები, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ახლა საქმე ეხება დედაენას. ბავშვი რომ იბადება, პირველი სიტყვა ამ ენაზეა ნათქვამი, ე. ი. სისხლში აქვს გამჯდარი ეს ყველაფერი“. სხვა მაგალითებიც მოვუყვანე.

მაშინ თურქეთს კარგად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ იქ თურქეთის ბევრი მოქალაქე წარმოშობით ქართველი იყო და მათ საუკუნეების განმავლობაში მშობლიური ქართული ენა შემოინახეს.

ესეც ვუთხარი და დავძინე: მე შევხვედრივარ ასეთ ადამიანებს, ისინი ფლობენ ქართულ ენას, თაობიდან თაობას გადასცემენ და ინახავენ მას, ენა მათთვის ეროვნული სიწმინდეა-მეთქი.

არაფერი გამივიდა. სხვათა შორის, თითქოს ძალიან მოინდომა, მაგრამ თქვა, რომ ენასთან დაკავშირებით ჩანაფიქრს ვერ შეცვლიდნენ, მირჩია, სხვა ვარიანტზე მეფიქრა.

საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მტკიცე გახლდათ: საერთო-სახელმწიფოს გასაღები ენა იყო. თუ ენის საკითხში შეარყევდნენ რესპუბლიკებს და ისინი ამ აზრს შეეგუებოდნენ, უპრობლემოდ ააშენებდნენ იმ სახელმწიფოს, სადაც ყველა რუსულად ილაპარაკებდა და გაბატონებული რუსული კულტურა იქნებოდა.

შემდეგ ისევ მოსკოვიდან მოვიდა ვარიანტი, ისევ სუსლოვისგან, რომ არა მარტო გარანტირებულია ენის თავისუფლად ხმარება, თუ არ ვცდები ზუსტად ეს ტერმინი იყო, არამედ სახელმწიფო იზრუნებდა ეროვნული ენების განვითარებაზე.

სუსლოვს მიაჩნდა, რომ ეს მეორე ფრაზა დიდი მონაპოვარი იყო, ე. ი. სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას არასახელმწიფო ენების განვითარებაზე.

მე ველოდი, რომ ამ პროექტს გამოქვეყნებისთანავე მოჰყვებოდა ჩვენი ხალხის სათანადო რეაქცია, მაგრამ შევცდი.

ორი თვით ადრე გამოვაქვეყნეთ ეს პროექტი პრესაში, მერე შესწორებების წინადადებანიც, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ჩავატარე რამდენიმე საჯარო შეხვედრა, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა ორგანიზაციაში; პრესაში გამოვაქვეყნე კონსტიტუციის ჩემეული განმარტებები, სადაც ყურადღებას ვამახვილებდი იმაზე, რომ, რა თქმა უნდა, ყველაზე მგრძნობიარე საკითხი ჩვენთვის ენის სტატუსია და ჩვენ ალბათ კიდევ დაგეჭირდება მუშაობა, ფიქრი და კამათიც აღნიშნულ საკითხზე, მაგრამ ამ გამოსვლებს რაიმე სერიოზული რეაგირება და კამათი არ მოჰყოლია. თუ არ ჩავთვლით თითზე ჩამოსათვლელ რამდენიმე კრიტიკულ პუბლიკაციას.

„ახალი კონსტიტუციის“ პროექტი არავის აინტერესებდა. ვიცოდი რატომაც — მიაჩნდათ, რომ ფარატინა ქაღალდი იყო, ამიტომ იძულებუ-

ლი ვიყავი, კიდევ ერთხელ და განსაკუთრებულად ხაზგასმით მეთქვა, რომ არის ერთი პუნქტი, ერთი ფორმულირება სახელმწიფო ენასთან დაკავშირებით, რომელიც დასამუშავებელია, მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენი ენათმეცნიერები და მწერლები შესაბამის ფორმულირებას მოგვაწვდიან.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ში დიდი თათბირი ჩატარდა ქართველი საზოგადოების მონაწილეობით. პროექტის 76-ე მუხლის მკვეთრი კრიტიკით მხოლოდ რამდენიმე კაცი გამოვიდა, განსაკუთრებულად მწვავედ – ცნობილი პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე.

შემდეგ მწერლები გამოერკვნენ. ამის შემდეგ წინადადებით შემოვიდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, მერე – უნივერსიტეტიც გამოფხიზლდა, სტუდენტობა... მოკლედ, აგორდა ტალღა.

ყველაფერი კარგად მახსოვს... განსაკუთრებულად ბობოქრობდა და ჩემთან ხშირად მოდიოდა – მწერალი რეზო ჯაფარიძე. ასეთ საკითხებში მოურიდებელი კაცი იყო და მაშინაც კი იმას ამბობდა, რისი თქმაც ძალიან ძნელი იყო. იგი ყოველთვის მძაფრად იბრძოდა ქართული ენის სახელმწიფო უფლებებისა და მათი რეალიზებისათვის. ჯერ კიდევ 1976 წელს, საქართველოს მწერალთა ყრილობაზე, ბატონი რეზო მკვეთრად დაუპირისპირდა საკავშირო გადაწყვეტილებას – „მთელი რიგი დისციპლინების რუსულ ენაზე წაკითხვის თაობაზე“ და „უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებისა და დისერტაციების მხოლოდ რუსულ ენაზე გამოქვეყნების შესახებ“.

ახალი კონსტიტუციის მიხედვით, დისერტაციის დაცვაც მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

მახსოვს მწერლების: ნოდარ წულეისკირის, ნოდარ დუმბაძის, გრიგოლ აბაშიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის, რეზო გაბრიაძის და სხვათა ჩემთან მოსვლა და საუბარი; ირაკლი აბაშიძის პოზიცია, იზა ორჯონიკიძის გამოსვლა მწერალთა კავშირში, მანანა გიგინეიშვილისა და კობა იმედაშვილის – ლიტერატურის ინსტიტუტში... არ დარჩენილა თითქმის არავინ, ვინც არ მოსულა ან არ გამოუთქვამს თავისი აზრი.

სხვათა შორის, უნივერსიტეტშიც გვიან გამოერკვნენ. პროცესებს ბიძგი იმ ადამიანებმა მისცეს, რომლებსაც ოფიციალურად უნდა დაეცვათ

კონსტიტუციის შემოთავაზებული პუნქტი. ესენი იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი რისმაგ გორდეზიანი და კიდევ რამდენიმე მეცნიერი, ისტორიკოსი ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებმაც მიაქციეს ყურადღება ამ ფორმულირებას.

კონსტიტუციის კითხვა ყველამ დაიწყო, ვისაც აინტერესებდა და არ აინტერესებდა.

ხალხი მიჩვეული იყო იმას, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდა. ხმა ყველა შემთხვევაში უნდა მიგეცა – ისე, როგორც არჩევნების დროს, ვისაც დაასახელებდნენ, ის უნდა აგერჩია. ამ საკითხთან დაკავშირებითაც დაახლოებით ასეთი ვითარება იყო.

მწერალთა კავშირში ძალზე მწვავე კრება ჩატარდა. ზოგი მხარს უჭერდა ამ ფორმულირებას, ზოგი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. ხელისუფლების მიერ არდათმობის მოლოდინი პესიმიზმს ბადებდა, რაც აკაკი ბაქრაძის მიერ მწერალთა კავშირში გაცხადებულ პოლიტიკურ მაქსიმალიზმში გამოვლინდა: „სულ ტყუილია ჩვენი მცდელობა, აქ რომელიმე მუხლი შევცვალოთ. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. ამას არავინ გვკითხავს. კრემლს ასეთი კონსტიტუცია უნდა, ასეთს მიგვალებინებენ. ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ: მთლიანად, თავიდან ბოლომდე უარვყოთ ეს კონსტიტუცია. ამასაც ჩვენ არავინ დაგვიჯერებს, მაგრამ მართალი ვიქნებით შთამომავლობის წინაშე. გავაგებინებთ ქართველ ხალხს, რომ ქართული მწერლობა მკვდარი არ არის – ქართულ ენას ის არ დათმობს“.

იყვნენ კომპრომისის მოსურნენიც. ზოგი ამბობდა, რომ რადგან ზრუნვაზეა ლაპარაკი და სახელმწიფო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას, შეიძლება ერთხანს შევეგუოთ ამას. დიახ, ასეთი გამოსვლები და პუბლიკაციებიც იყო, მაგრამ ბოლოს მაინც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს მუხლი საერთოდ ამოღებულიყო კონსტიტუციიდან. სხვათა შორის, სწორედ ეს იყო იმ სიტუაციაში ყველაზე რაციონალური, რაც მწერალთა კავშირში მოძებნეს.

მაშინ, თუ არ ვცდები, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ გამოაცხადა, რომ იყო ცენტრალურ კომიტეტში და რომ ასეთი ვარიანტი არ არის გამორიცხული.

მოსკოვში უკვე დაიწყეს ლაპარაკი, შევარდნაძე სპეციალურად ქმნის არეულობასო. ერთი კვირაღა რჩებოდა სესიამდე.

მიმაჩნდა, რომ ადრე თუ გვიან ახალგაზრდობა აქტიურად ჩაერთვებოდა და მართლაც, ჩაერთო კიდეც უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების თანადგომით. უნივერსიტეტში ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მასზე მოდიოდა ინფორმაცია, ეს კაცი არ აკეთებს იმ საქმეს, რასაც პარტიის საქმე ჰქვიაო. საიდან – კარგად მოგეხსენებათ. რისმაგი მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, ნიჭიერი მეცნიერი, ელინისტი, ყველა დიდ პატივს სცემდა. მან ძალიან ბევრი იმუშავა, რომ კონსტიტუციის ამ მუხლისადმი ახალგაზრდობის ინტერესი გაღვივებულიყო. ასევე იყო პოლიტექნიკურსა და სხვა ინსტიტუტებშიც.

პრესაშიც უფრო გაბედულად გამოჩნდა წერილები ამ ფორმულირების მიუღებლობაზე.

მაშინ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გენადი კოლბინი გახლდათ. როგორც ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, მეორე მდივანი რუსი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მართალი არ ვიქნები, თუ არ ვიტყვი, რომ კოლბინი ჩემს პოზიციას სრულად იზიარებდა. სესიის წინა დღით სწორედ კოლბინმა მირჩია, კიდევ ერთხელ შევხმიანებოდი ბრეჟნევს, მაგრამ ბრეჟნევს მე არ დაველაპარაკე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, მისი ჩარევა ამ საკითხში ახლა უკვე არარეალური იქნებოდა.

სწორედ ამიტომ 14 აპრილს, დილით, მაშინ, როდესაც უკვე ვიცოდი, რომ იმართებოდა სტიქიური შეკრებები და რომ ამ დღესაც აუცილებლად გამოვიდოდა ახალგაზრდობა და ისიც ვიცოდი, რომ იმ ღამეს თბილისის ქუჩებში უკვე ტანკები იდგა (აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არავინ ეკითხებოდა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გინდა გამოიყვანო ტანკი თუ არაო, ეს ავტომატურად წყდებოდა – მოსკოვიდან მოდიოდა მითითება და ამით ყველაფერი თავდებოდა). სასწრაფოდ დავუკავშირდი მოსკოვში სუსლოვს, ის უკვე მანქანაში იჯდა და კრემლში მიდიოდა. ვუთხარი, რომ მდგომარეობა კატასტროფულია, რომ ხალხი ფეხზე დადგა და ძალიან დიდ უსიამოვნებას გადავეყრებოდით, და თუ ძალის გამოყენებაზე მიდგება

საქმე, ამაზე წამსვლელი არ ვარ-მეთქი. „ამიტომ, სანამ გვიან არ არის, გთხოვთ, გემუდარებით, გარწმუნებთ, გადავხედოთ ამ საკითხს. ამას გეუბნებით როგორც ნამდვილი კომუნისტი“, – ვუთხარი.

რა თქმა უნდა, თავდაპირველად უარი მითხრა. მე განვუცხადე, რომ ვიმოქმედებდი ისე, როგორც სინდისი მიკარნახებდა: „საკმარისია, რაც საქართველოში 1956 წელს მოხდა. თუ ეს განმეორდება, ქართველთა მრავალი თაობა მორალურად განადგურდება“.

სუსლოვმა არ იცოდა ბუზღუნი და გაჯავრება. მითხრა, რითაც შემეძლო, უკვე დაგეხმარეთ. მეტს ვერაფერს გეტყვით, იმოქმედეთ და აგეთ პასუხიო.

„აგეთ პასუხი“ ნიშნავდა ჯერ პოლიტბიუროზე გამოძახებას, შემდეგ მოხსნას, და ასე შემდეგ... მაშინ სხვა სალაპარაკო ენა არ არსებობდა და მით უმეტეს, ისეთ დროს, როდესაც კონსტიტუციის ასეთი საკვანძო ფრაზა უნდა შეცვლილიყო, ფრაზა იმ დიდი კონცეფციისა, რაზეც შენდებოდა ეს „ჩვენი ახალი სამყარო“. მაშინ ასე ვამბობდით – „ახალი სამყარო“, „სამაგალითო ქვეყანა“, სადაც ყველა ერი და ეროვნება ძმაა და მეგობარი და ა.შ.

შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომაზე, სანამ საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის საკითხს შევეხებოდი, სხდომა შევწყვიტე და შესვენება გამოვაცხადე: „რა დროს თათბირია, გარეთ გავიდეთ, შვილები გველოდებიან!“

შენობიდან გასვლისას ჩემი მეგობრები, მწერლები ნოდარ დუმბაძე და ჯანსულ ჩარკვიანი მოვიხმე, ჩემი მოხსენების ბოლო აბზაცი ვუჩვენე ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვის ტექსტით და ვთხოვე, წადით, სტუდენტები გამიჩერეთ, დარბაზში დასხედით და მისმინეთ-მეთქი. პირველი განდობილები ესენი იყვნენ. მერე მითხრა ჯანსულმა, შენი ორსაათიანი მოხსენების კითხვის დროს დარბაზი სამსხვერპლოდ განწირულებივით გვიცქერდა. ნოდარმა მიჩურჩულა: ჯანსულ, ძამა, პაატას ერთი თავი გამიგია, მაგრამ პაატას ორი თავი არაო...[10]

[10] ახალგაზრდობას სჯეროდა ნოდარისა და ჯანსულის, ისინი ხომ უპირატესად სწორედ მათზე და მათთვის წერდნენ. მწერალთა კავშირშიც ბევრი აკითხავდა მათ კაბინეტებს.

მერე რაც იყო, ყველამ იცის. მაშინ ნოდარმა და ჯანსუღმა კარგად იმუშავეს. მათი დამსახურებაცაა, რომ სიტუაცია გარკვეულად განიმუხტა.

სესია გაგრძელდა. ჩემი მოხსენება დაახლოებით ორსაათიანი იყო. ენის საკითხი ბოლოსთვის შემოვინახე. რა თქმა უნდა, ყურს ვერავინ მიგდებდა. თვალებში ეტყობოდათ, რომ ეს ხალხი სხვაგანაა, აქ არ სხედან, ამ დარბაზში არ არიან. ამას ისიც ემატებოდა, რომ უშიშროების სამსახურის უფროსი ინაური წარამარა ტოვებდა დარბაზს. სხვათა შორის, პარტიულმა აქტივმა იცოდა, რომ ინაური ტყუილად არასდროს გადიოდა გარეთ, თუ გავიდოდა, ე. ი. რაღაც ხდებოდა.

წინასწარ მოველაპარაკე კოლბინს, რომ სიტუაციის გართულების შემთხვევაში ბარათს მომწერდა.

მივიღე პირველი ბარათი – „ახალგაზრდობა უნივერსიტეტიდან დაიძრა“; მეორე ბარათი – „ისინი ოპერის თეატრს მოუახლოვდნენ“; მესამე აღარ იყო საჭირო, რადგან უკვე ისმოდა ყვირილი: „დედა-ენა!“, „სა-ქარ-თვე-ლო!“... ვხვდებოდი, რომ გარეთ ხალხის უზარმაზარი მასა იყო შეკრებილი. როგორც შემდეგ თქვეს, 50-60 ათასი კაცი. ამ დროს დარბაზი შოკირებული და გარინდებული იჯდა, არავინ იცოდა, რა მოხდებოდა.

ნებისმიერ შედეგზე, სისხლიანსა თუ უსისხლოზე, თუმცაღა ტყვიის სროლას მე არავინ შემეკითხებოდა, პასუხისმგებელი მე ვიყავი.

ბოლოს ვთქვი, რომ „ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა ვითათბირეთ (არავითარი თათბირი არ ყოფილა) და მივიღეთ გადაწყვეტილება – ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს“.

სიმართლე გითხრათ, ამას რომ ვამბობდი, ჟრუანტელმა დამიარა; მთელი დარბაზი (750 კაცი ეტეოდა) ფეხზე ადგა და ტაშისცემა დაიწყო, არა მარტო ტაში, ტირილიც... მე არ მინახავს არც ერთი სახე, რომელსაც ცრემლებით არ ჰქონოდა თვალები სავსე. ამიტომაც მწყდება გული იმაზე, რომ ამ ყველაფრის ამსახველი კადრები და დოკუმენტები არ შემორჩა.

ეს ყველაფერი რადიოთი გადაიცემოდა რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ ახალგაზრდობას მაინც არ სჯეროდა.

ცეკას მდივნებმა, სოლიკო ხაბეიშვილმა და ჯუმბერ პატიაშვილმა გამოიტანეს მიკროფონი და დადგეს უზენაესი საბჭოს აივანზე, გამოვედი და ყველას მივმართე – „შვილებო, ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად არის, ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე, კონსტიტუციის ეს მუხლი იქნება ისეთივე, როგორიც ადრე იყო. დედაენა გადარჩა! მას სახელმწიფო სტატუსი ექნება!“

მაინც არ დაიშალნენ. მიკროფონი ქვევით ჩავატანინე. არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ბოლოს მათთან ჩავედი, როგორც ეს სტადიონზე იყო. რა თქმა უნდა, სხვებიც გამომყვნენ – სოლიკო, ჯუმბერი. კიდევ ერთხელ მივმართე: „ვაცხადებ, დედაენას ხელს ვერავინ ახლებს, დედაენა შენარჩუნებულია, მას სახელმწიფო სტატუსი აქვს“.

მერე ფეხით რუსთაველის პროსპექტს ჩამოვუყევი – გამიკეთეს დერეფანი და როცა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ნელნელა დაიშალნენ.

სხდომათა დარბაზში დავბრუნდი. შენობის ეზო ტანკებით იყო სავსე. იმწუთასვე ვიკითხე, ვინ გასცა განკარგულება-მეთქი. მითხრეს, რომ ასეთი განკარგულება გაიცა მთავრობის დასაცავად (რა თქმა უნდა, მოსკოვიდან).

ამით საქართველოს ისტორიის ეს ეტაპი დამთავრდა.

ჩვენთან რომ მოხდა ეს ამბავი, შემდეგ ზოგიერთმა სხვა მოკავშირე რესპუბლიკამაც მოგვბაძა.

შეიძლება ითქვას, რომ მაშინ თბილისში იმპერიასთან მეტად მნიშვნელოვანი ბრძოლა მოვიგეთ და თანაც არა მარტო საქართველოს მასშტაბით.

ეს იყო ნამდვილი ბრძოლა და უნდა გითხრათ, რომ აქ პასუხისმგებლობა ერთ კაცს უნდა აეღო თავის თავზე. ჩვენ ვერ ვიტყოდით, რომ სესია წინააღმდეგი იყო, ერთ კაცს უნდა ეთქვა – „მე მხარს ვუჭერ ძველ ვარიანტს, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს“.

შემდეგ, სანამ მოსკოვში დამიძახებდნენ (რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან დამიძახებდნენ), უნდა მიგველო აფხაზეთისა და აჭარის კონსტიტუციები. ბუნებრივია, აქაც იგივე პრობლემები დადგა. ველარ

გავბედე მოსკოვში დარეკვა და თქმა: „აქ კი დაგვიტოვეთ, მაგრამ აფხაზეთისა და აჭარის კონსტიტუციებშიც დაგვიტოვეთ ანალოგიური ფორმულირება“.

აფხაზეთში ჩავედი და იქაც დემონსტრაცია დამხვდა, რომელზეც ქართველებიც იყვნენ და აფხაზებიც, ყველა, ვისაც პატრიოტული გრძნობა ჰქონდა. იძულებული გავხდი, კაპიტონოვთან დამერეკა. ის კარგად იცნობდა აფხაზეთის ამბებს.

საბოლოოდ, სახელმწიფო სტატუსით იქ სამი ენა ჩაიწერა – ქართული, აფხაზური და რუსული.

აფხაზეთიდან გადავედით აჭარაში, სადაც უარესი ამბავი დამხვდა. ქუჩები გაჭედილი იყო სტუდენტებით, მუშებით, ქარხნები არ მუშაობდა. როგორც იქნა, შეიკრიბა სესია. ამ შემთხვევაშიც დავუკავშირდი კაპიტონოვს. იგი ძალზე ზრდილობიანი კაცი იყო, მაგრამ, თუ არ ვცდები, შეიგინა კიდეც, რა გახდა ეს საქართველო, ერთი კონსტიტუცია ვერ მივიღეთო.

უნდა გითხრათ, რომ ვინც მაშინ ჩემთან მუშაობდა, ყველამ შეიტანა წვლილი ამ საქმეში. ზოგი მამხნევებდა, რჩევას მაძლევდა, როგორც თანამოაზრე, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვისაც მიაჩნდა, რომ მოსკოვისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდა. დაიბეჭდა კიდეც საკმაოდ ცნობილი ხალხის შესაბამისი წერილები... ვინ ატანდა ძალას? – არც არავინ...

ყოველივე ამის შემდეგ ძალიან რთული იყო მოსკოვში ჩასვლა. ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში მოეწყობოდა ჩემი საქმის გარჩევა პოლიტბიუროს სხდომაზე, უარეს შემთხვევას – ნუღარ იკითხავთ, მაგრამ ბრეჟნევმა უარი თქვა ამგვარ გარჩევაზეც კი, რადგან არ უნდოდა უკიდურესი გადაწყვეტილებების მიღება და ხალხის კიდევ უფრო გაღიზიანება.

შედგა სამუშაო თათბირი სუსლოვთან, რომელსაც ესწრებოდნენ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივნები კირილენკო და კაპიტონოვი, ჩვენგან – უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გილაშვილი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პატარიძე, კიდევ ორი თუ სამი კაცი.

სუსლოვმა წაიკითხა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. დაიწყო იმით, რომ საქართველოში მრავალი სასიკე-

თო რამ ხდება, მრეწველობა აღმავლობის გზაზეა, სოფლის მეურნეობაში კარგი შედეგებია. მაგრამ შემდეგ დაიწყო და რა დაიწყო — თქვა, რომ ჩვენ, საქართველოს კომპარტიის წარმომადგენლები, წინ აღვუდექით პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნებას და ასე შემდეგ. დაახლოებით ნახევარ საათს ილაპარაკა. შემდეგ სიტყვა კირილენკომ აიღო. პირდაპირ მითხრა, რომ ყველაფერი ჩემი პარტკომების მიერ იყო ორგანიზებული. უპირველესად რისმაგ გორდეზიანი ჰყავდა მხედველობაში და სხვებიც. ინფორმაციას სრულად ფლობდნენ. როგორც ჩემთან მოჰქონდათ ინფორმაცია, ისე მიჰქონდათ იქაც, ოღონდ ორჯერ მეტი.

ბოლოს მე გამოვედი და ვთქვი: ყველაფრისათვის მზად ვარ. მიმაჩნია, რომ თავიდან ავიცილე და კომპარტიას ავაცილე ძალიან დიდი უბედურება, რასაც მოჰყვებოდა დიდი მსხვერპლი-მეთქი. ვილაპარაკე ქართველი კაცისთვის რუსული ენის მნიშვნელობაზე და დავძინე, რომ არაფერი ვიცოდი ტანკების შესახებ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემი „საქმის“ გარჩევა ბრეჟნევის შემდეგი ვერდიქტით დასრულდა: „ხომ დაელაპარაკეთ შევარდნაძეს — საკმარისია!“

იმ დღეებში ჩემს ოჯახში ტრაგედია ტრიალებდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნანული, რა თქმა უნდა, თანამიგრძნობდა, როგორც ყველა გაჭირვების ჟამს, მამხნევებდა. იგი გრძნობდა, რომ ამ ყველაფერს დიდი პრობლემები მოჰყვებოდა, ქალური ინტუიცია მაინც სხვა არის. როცა გამოფიტული მივდიოდი სახლში, ძალას ოჯახური ატმოსფერო მმატებდა. აქ არ არის არავითარი გადაჭარბება და არც იმაზეა ლაპარაკი, რომ მე კარგი მეუღლე მყავდა და სხვას — არა.

ახლა წინ კიდევ ბევრი ბრძოლა გველის, რათა მსოფლიო ენებსა და კულტურებთან ურთიერთობასთან ერთად შევინარჩუნოთ ქართული ენაც და ქართული კულტურაც. ამ თვალსაზრისით, 1978 წელი მხოლოდ კონსტიტუციაში შეტანილი ერთი მუხლის წელი კი არ არის, 1978 წელი ქართული ენის მარადიული სიცოცხლის მაჩვენებელიცაა. ამ ყველაფრის დაგვირგვინება იყო თბილისში ქართული ენის ძეგლის აღმართვა (ავტორი ელგუჯა ამაშუკელი). ენისადმი მიძღვნილი ძეგლი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს.

* * *

ეს ამბავი ასე მშვიდობიანად რომ დამთავრდა, ბრეჟნევის პოზიციამაც განაპირობა — მისმა შემწყნარებლურმა დამოკიდებულებამ როგორც საკითხისადმი, ისე საქართველოსა და ჩემდამი. ამიტომ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ადამიანზე, რომელიც ჩვიდმეტი წლის მანძილზე საბჭოთა ქვეყნის ლიდერი იყო.

1964 წლის ოქტომბერში ნიკიტა ხრუშჩოვის გათავისუფლების თუ გადაგდების შემდეგ სკკპ გენერალურ მდივნად ლეონიდ ბრეჟნევი აირჩიეს. მე მასთან დაახლოებული არ ვიყავი, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ საქართველოს მიმართ კეთილად იყო განწყობილი. პირველ წლებში ბევრს დადიოდა რესპუბლიკებში, უყვარდა ზეიმებში მონაწილეობა. ყველა რესპუბლიკის მიმართ გულისხმიერი იყო. საზღვარგარეთის ქვეყნებშიც (განსაკუთრებით „სოციალისტური ბანაკის" სახელმწიფოებში) ბევრს მოგზაურობდა, კარგი თანაშემწეები და დამხმარეები ჰყავდა. მათ თითქმის ყველას ვიცნობდი, კარგადაც აზროვნებდნენ და კარგადაც წერდნენ. გენერალური მდივნობის პირველ წლებში ბრეჟნევის ავტორიტეტი მაღალი იყო. ისვენებდა ძირითადად ყირიმში. მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა ბიჭვინთაში, 1974 წელს, ისიც იმიტომ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს, პომპიდუს უნდა შეხვედროდა. მე და ჩემი კოლეგები, ვინც საქართველოს მხრიდან დახვედრაში ვმონაწილეობდით, შემდეგ, ორიოდე დღე, იქვე, პატარა სახელმწიფო აგარაკზე დავბინავდით და ველოდით, როდის დაგვიძახებდნენ. უშუალოდ მოლაპარაკებებში ჩვენ არ ვმონაწილეობდით; მხოლოდ დასკვნით შეხვედრაზე მიგვიწვიეს, — ეს უფრო ვახშამი გახლდათ, რომელიც სწრაფად დამთავრდა. პომპიდუს დასვენება სჭირდებოდა.

ჯერ დაღამებული არ იყო. ბრეჟნევმა მითხრა, ცოტა გავისეირნოთო. ამ გასეირნებით ვისარგებლე და საუბრისას ერთი კითხვაც დავუსვი: „ლეონიდ ილიჩ, რატომ არ გიყვართ ბიჭვინთა და რატომ არ ჩამოდიხართ აქ დასასვენებლად?" სავსებით გულახდილად მიპასუხა: „არ მიყვარს ბიჭვინთა, თუნდაც იმიტომ, რომ ის ხრუშჩოვის აშენებულია და თანაც, როგორ შეიძლებოდა ასეთ ადგილზე, ნაძვნარში, თუნდაც ერთი ხის მოჭრა?!" მერე ცოტა ხანს საქართველოზე ვი-

საუბრეთ და ის დასასვენებლად წავიდა. მეორე დღეს ერთად გავაცილეთ პრეზიდენტი პომპიდუ, რომელიც იმ დროს უკვე თურმე უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. სულ მალე, პარიზში დაბრუნების შემდეგ, პომპიდუ გარდაიცვალა.

* * *

1976 წელს პარტიის XXV ყრილობა ჩატარდა. სხვებთან ერთად სიტყვით მეც გამოვედი, როგორც მაშინ მითხრეს, კარგი გამოსვლა მქონდა.

მეორე დღეს, შესვენებისას, ჩემთან მოლდავეთის ცკ-ის მდივანი ბოდიული მოვიდა; ის ბრეჟნევის ერთგულ კაცად ითვლებოდა (მანამდე ბრეჟნევი კარგა ხანს მოლდავეთის ხელმძღვანელი იყო). და აი, ბოდიული მეუბნება: „დღეს საღამოს ან ხვალ დილით პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს დაასახელებენ, ლაპარაკია ალიევზე (ალიევი ჩემზე სამი წლით ადრე გახდა აზერბაიჯანის ხელმძღვანელი და ძალიან სწრაფად მოიხვეჭა ავტორიტეტი – ე.შ.), მაგრამ ჩემი აზრით, სწორი არ იქნება პოლიტბიუროში საქართველო არ იყოს წარმოდგენილი“. მაშინვე მივხვდი, რომ ბოდიული მოგზავნილი იყო; ჩემი აზრი აინტერესებდათ „ზევით“.

მე სრულიად გულწრფელად მხარი ალიევს დავუჭირე – ეს უფრო სამართლიანი იქნებოდა. ბოდიული ყასიდად შემეკამათა: იყო სტალინი, იყო ბერია, იყო მჟავანაძე, შენ რომ არ აგირჩიონ, ხალხი რას იტყვისო... „ეს ჩემი საქმეა“, – ვუპასუხე და მივანიშნე, რომ საუბარი დამთავრებული იყო. თან დავძინე, – ივან ივანიჩ, ეს საკითხი ხომ თქვენი გადასაწყვეტი არ არის-მეთქი. ჩაის ბოლო ყლუპი მოსვა და წავიდა.

მე ახლაც ბედნიერი ვარ, რომ ჰეიდარ ალიევის სასარგებლოდ ვთქვი რამდენიმე სიტყვა, თუმცა მას ეს არც სჭირდებოდა.

ჰეიდარ ალიევზე მე ქვემოთ კიდევ ვიტყვი, მაგრამ აქ მინდა შევნიშნო, რომ იგი დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო, როგორც საბჭოთა სინამდვილეში, ისე დამოუკიდებელ აზერბაიჯანში, როგორც მისი პრეზიდენტი. სწორედ ალიევმა დააყენა ფეხზე და ფაქტობრივად შექმნა თანამედროვე აზერბაიჯანული სახელმწიფო იმ ნგრევის შემ-

დეგ, რაც მისი წინამორბედის, პრეზიდენტ ელჩიბეის უხეირო მმართველობის შედეგი იყო.

ჰეიდარ ალიევი, უღალატო, ჭეშმარიტი მეგობრობის მცოდნე კაცი, თავისი ერის ტიპური წარმომადგენელი გახლდათ. იგი გაჭირვების ჟამს არაერთხელ დაგვიდგა გვერდით მეც და საქართველოსაც, ხოლო რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის – საქართველოსთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში მან გადამწყვეტი, სარისკო სიტყვა ჩვენს სასარგებლოდ თქვა. დიახ, მთელი ეს წამოწყება ძალიან დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

და აი, გავიდა XXV ყრილობიდან წელიწად-ნახევარზე ცოტა მეტი. მიმდინარეობს ცკ-ის პლენუმი. ძირითადი საკითხი განვიხილეთ და ველით, რომ ბრეჟნევი პლენუმს დახურულად გამოაცხადებს, მაგრამ ის ამბობს, რომ მას კიდევ ერთი საკითხი დარჩა განსახილველი. დარბაზი გაირინდა – კიდევ რაღა უნდა იყოსო? ბრეჟნევმა პაუზა გააკეთა და შემდეგ თქვა: შემომაქვს წინადადება, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად ავირჩიოთ ედუარდ შევარდნაძეო და დიდი ახსნა-განმარტების გარეშე საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. ყველამ მხარი დაუჭირა. „ამრიგად, ამხანაგებო, ედუარდ შევარდნაძე ერთხმად არჩეულია პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად“, – განაცხადა ბრეჟნევმა. ეს ამბავი ვიღაცას, ალბათ, ესიამოვნებოდა, ვიღაცას გააღიზიანებდა, მაგრამ ბრეჟნევის განცხადების შემდეგ ატყდა ერთი ტაშისცემა. ამით პლენუმიც დამთავრდა და დაიწყო მოლოცვები.

მეორე დილით ადრიანად შევედი ბრეჟნევის მოსაცდელში, თუმცა თავად გენერალური მდივანი სამუშაოზე გვიან მოდიოდა ხოლმე. მოსვლისთანავე ჩემ შესახებ მოახსენეს; – შემოვიდესო, ბრძანა. კარში შემეგება, გადამკოცნა და მთხოვა, ცოტა ხნით ჩამოვმჯდარიყავი. მე მაშინვე მივმართე, ლეონიდ ილიჩ, ერთი დღით ადრე მაინც გეთქვათ, ასეთ რამეს თუ აპირებდით-მეთქი.

პასუხი მეტად გონებამახვილური იყო: „გუშინ რომ მეთქვა, შენ მთელი ღამე აღარ დაგეძინებოდა, ეს ერთი, და მეორეც, ამ ხნის კაცი ვარ და მე ჯერ შემთხვევა არ მქონია, ვინმეს ასეთ დაფასებაზე

უარი ეთქვას. ასე რომ, დარწმუნებული ვიყავი, შენ დათანხმდებოდი".

ბუნებით კეთილი კაცი იყო, თუმცა ვინმე კონკურენტის მსგავსი თუ გამოჩნდებოდა, ვერ ეგუებოდა. ერთი მაგალითი: როგორც ითქვა, კარგად ვიცნობდი შელეპინსა და სემიჩასტნის. პირველი ცკ-ის მდივანი იყო, მეორე — უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. მანამდე ორივე ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერები იყვნენ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ხრუშჩოვის გადაყენებაში. როგორც ჩანს, შემდგომში ბრეჟნევმა მათში ამბიციური კონკურენტები დაინახა და ორივე გზიდან ჩამოიშორა; შელეპინი, ცკ-ის ერთ-ერთი წამყვანი მდივანი, კარგი ორგანიზატორი და ინიციატივიანი, შედარებით ახალგაზრდა კაცი, ბრეჟნევმა პროფკავშირების „გამაგრების" საბაბით ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ დანიშნა, ხოლო სემიჩასტნი უკრაინაში გაგზავნა.

კოსიგინის მიმართაც არ იჩენდა დიდ სიმპათიებს, თუმცა, სინამდვილეში კოსიგინი მთელ პოლიტბიუროდ ღირდა. მართალია, მას ბოლო დროს ასაკმა შეუტია და იქნებ ძველებური დატვირთვით ველარ მუშაობდა, მაგრამ მისი ცოდნა და გამოცდილება ფაქტობრივად შეუცვლელი იყო.

მე სრულიად შემთხვევით შევესწარი ბრეჟნევთან ანდროპოვის საუბარს, როდესაც ანდროპოვმა, მაშინ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, დაურეკა ბრეჟნევს და უთხრა, რომ „ჩაზოვის (კრემლის ექიმის — ე.შ.) ჩარევა საჭირო აღარ იქნება, ის (კოსიგინი — ე.შ.) განცხადებას გამოგიგზავნით". ეს საუბარი ხმის გამაძლიერებლით მიმდინარეობდა და ჩემდა უნებურად მესმოდა.

მართლაც, რამდენიმე დღეში პლენუმზე გამოაქვეყნეს კოსიგინის განცხადება ბრეჟნევის სახელზე, რომელშიც ის მადლობას უხდიდა მას დიდი ხნის ერთად მუშაობისთვის. კოსიგინი გაათავისუფლეს და მის თანამდებობაზე ტიხონოვი დანიშნეს. ტიხონოვი ჩვეულებრივი სამეურნეო მუშაკი იყო, კარგი ადამიანი, მაგრამ კოსიგინთან მისი შედარება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. 1980 წელს მოხდა ეს ყველაფერი.

მალე ბრეჟნევს სიბერე კიდევ უფრო მოერია, მაგრამ პოსტს მაინც

ვერ ელეოდა. სიგარეტის მოწევა კატეგორიულად აუკრძალეს, სიარული ძალიან უჭირდა, სამუშაოზე მხოლოდ საღამოობით მიდიოდა. როცა მას საზღვარგარეთ მივლინებაში მიეყვებოდი, ჩემი ტანჯვაც მაშინ იწყებოდა. მისი თვითმფრინავით მივფრინავდით ხოლმე. დამიბარებდა თავის სალონში, ცოტას გავისაუბრებდით, შემდეგ დაცვის ბიჭებს შემოიყვანდა და უბრძანებდა — აბა, გააბოლეთო. ბიჭებიც აბოლებდნენ. დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე ისინიც გაგუდულნი იყვნენ და მეც. დიდი იყო ბრეჟნევის ლტოლვა სიგარეტისადმი, თუნდაც სხვისი გამონაბოლქვი თამბაქოს ბოლის სახით. სწყენდა, მაგრამ თავს ველარ ებრძოდა.

ხშირად ამბობენ, შევარდნაძე ბრეჟნევს ზედმეტად აქებდაო. ეს შენიშვნა არცთუ უსაფუძვლოა, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თუ სასიამოვნო სიტყვები რამდენიმე ფრაზისგან შედგებოდა, გამოსვლის ძირითადი ნაწილი კრიტიკული იყო, მე ვიტყოდი, ზედმეტად კრიტიკულიც კი.

ბრეჟნევის დაბადების 70-ე წლისთავი კრემლის გეორგიევსკის დარბაზში პომპეზურად აღნიშნეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელებს გვითხრეს, სამწუთიანი სადღეგრძელოს წარმოთქმის საშუალება გაქვთო. სამ წუთში რა უნდა გეთქვა ისეთი, რაც საყურადღებო იქნებოდა. როცა ჩემი ჯერი მოვიდა, დაახლოებით შემდეგი ვთქვი: „ლეონიდ ილიჩი იმიტომ არის დიდი კაცი, რომ შესანიშნავად იცის, ქვეყანაში ყველა როდია დალხინებული და ახლაც, ამ წუთებშიც, რამდენი მშიერი, უმუშევარი და ავადმყოფია, მაგრამ ამ ადამიანებს ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევის იმედი აქვთ“. ბოლოს იმით დავამთავრე, რომ მათი იმედების გამართლებას, ე. ი. ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევს გაუმარჯოს-მეთქი. ზოგის აზრით, სწორი ვიყავი, გაჭირვებული ხალხი რომ ვახსენე, ზოგსაც, უფრო გულახდილებს, მიაჩნდათ, რომ ადამიანისათვის იუბილეზე ხასიათის გაფუჭება არ ღირდა.

ასე იყო ყოველთვის — იყო შექებაც და იყო უმძაფრესი კრიტიკაც. ბრეჟნევი როგორც კი გარდაიცვალა, პარტიის გენერალურ მდივნად იური ანდროპოვი აირჩიეს. მანამდე ანდროპოვთან სულ ორჯერ ვიყავი ნამყოფი: ერთხელ, როცა ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ძირითადად, დისციპლინის მნიშ-

ვნელობაზე მელაპარაკა, სტალინის დროც გაიხსენა, ამ თვალსაზრისით, ბევრი რამ უნდა გავითვალისწინოთ იმ ეპოქიდანო. მეორედ მასთან გამოვცხადდი, როცა გენერალურ მდივნად აირჩიეს, ჩემი თავი წარვუდგინე. კარგად გიცნობო, მითხრა და ადრე დაწყებული საუბარი გააგრძელა.

ნიჭიერი კაცი იყო, გენერალური მდივნის რანგში სულ ორჯერ ელირსა საჯარო გამოსვლა – ორივე ეფექტური იყო, მაგრამ უკურნებელმა სენმა არ მისცა მუშაობის გაგრძელების საშუალება და ისიც მალე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ გენერალურ მდივნად კონსტანტინ ჩერნენკო აირჩიეს, ხანდაზმული კაცი, მძიმე ავადმყოფი. იგი ბრეჟნევთან განსაკუთრებით დაახლოებული პირი იყო, თავმდაბალი, ბუნებით ერთგული, როგორც მე ვიცი, კალამიც უჭრიდა და დიდ „შავ სამუშაოს“ ასრულებდა. ამ დროს გორბაჩოვი უკვე ცკ-ის ერთ-ერთი მდივანი იყო, მაგრამ პოლიტბიუროს უმრავლესობამ უპირატესობა ჩერნენკოს მიანიჭა – იცოდნენ, გორბაჩოვი ბევრ რამეს შეცვლიდა, მათ კი ნებისმიერი ცვლილების ეშინოდათ.

აქვე, თბილისში ჩერნენკოს ჩამოსვლაც მინდა გავიხსენო. ეს მისი გენერალური მდივნობის ხანმოკლე პერიოდს ეხება.

იგი თბილისში რესპუბლიკისთვის ორდენის გადმოსაცემად ჩამოვიდა. კარგად დაუხვდით და დიდი პროგრამაც მოვუმზადეთ. ის კი აღარ გავითვალისწინეთ, რომ ძლივს დადიოდა.

ბაღშვთა ქალაქ „მზიურში“ წავიყვანე, ნოდარ დუმბაძის სახელობის პარკის სანახავად. კიბეზე ფეხით ჩავედით. ჩასვლით კი ჩამოვიდა, მაგრამ ამოსვლა გაუჭირდა. მერე მანქანაში მითხრა, თუ შეგიძლია, პროგრამა შეამოკლეო. პროგრამიდან ყველაფერი ამოვყარე, მარტო ვახშამი დავტოვე.

ვახშამზე სადღეგრძელო ვუთხარი, მადლობა გადავუხადე საქართველოსთან კეთილი დამოკიდებულებისა და საქართველოს სიყვარულის გამო. შემდეგ, საპასუხოდ, მან თქვა ორიოდე სიტყვა. ამ ყველაფერს სულ თხუთმეტი წუთი მოუნდა.

სუფრას ხომ არ ავშლიდი, ვუთხარი – ქართული წესით თამადა გვჭირდება. მე და თქვენ ვერ ვიქნებით და ქალაქის ხელმძღვანელი

იყოს-მეთქი. თენგიზ მენთეშაშვილი მყავდა მხედველობაში, საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მართლაც შესანიშნავად ითამაშა. დაამახსოვრდა ჩერნენკოს თენგიზ მენთეშაშვილი ამ თამაშობით და როდესაც უმალლესი საბჭოს მდივანი გიორგაძე უეცრად გარდაიცვალა, ჩერნენკომ შემთავაზა, ის ახალგაზრდა კაცი ხომ არ ჩამოვიყვანოთ მოსკოვში გიორგაძის ადგილზე, ქართველს ქართველი შეცვლისო. იქნებ ჯერ არ ვიჩქაროთ-მეთქი.

— დრო არ იცდის, შენ არ იცი, ხვალ რა ამბავი ატყდებაო ამ ადგილზე.

დავუძახე თენგიზ მენთეშაშვილს, ვუთხარი: „შენთვისაც და საქართველოსთვისაც სჯობს, რომ მოსკოვში გადახვიდე.“ დამეთანხმა, მართლაც კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას. მერე ეს თანამდებობა გაუქმდა, მაგრამ თენგიზი თბილისში აღარ დაბრუნებულა.

ჩერნენკოსთან არის დაკავშირებული სტალინის ქალიშვილის, სვეტლანა ალილუევას თბილისში დამკვიდრების მცდელობა.

ერთხელ პოლიტბიუროს დახურულ სხდომაზე, მისი გენერალური მდივნობის დროს, ჩერნენკომ თქვა: „სვეტლანა ჰაერშია გამოკიდებული, მოსკოვში ცხოვრება არ სურს და მინდა შევარდნაძეს ვთხოვო, თუ ალილუევა დათანხმდება, იქნებ საქართველოში შეუქმნას პირობები“...

სვეტლანა ცენტრალურ კომიტეტში დაიბარეს, შესთავაზეს თბილისში გადმოსვლა. ისიც დათანხმდა.

არ იყო იოლი დავალება. ბინას, სამსახურსა და მანქანას კიდევ მოევლებოდა; მთავარი მაინც სხვა იყო; სვეტლანა ალილუევა მეტად რთული პიროვნება გახლდათ. თუმცა სტალინის შვილს მოსკოვის შემდეგ, რა თქმა უნდა, თბილისში უნდა ეცხოვრა და მეც დავთანხმდი.

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ახალ სახლში, სამოთახიანი ბინა გავურემონტეთ და ავეჯით გავუწყვეთ. სვეტლანა, თავის ქალიშვილთან, ოლგასთან ერთად ჩამოვიდა. ერთი-ორჯერ შევხვდი, ვუთხარი, პირველ ხანებში გაგიჭირდებათ, მაგრამ აქ თბილი ხალხია, მამათქვენს დიდ პატივს სცემენ და მალე მიეჩვევით-მეთქი აქაურობას.

ყველანაირად ხელს ვუწყობდით. ოლგა ქართულ სკოლაში შევიყვანეთ (მათივე თხოვნით) და ცალკე, ქართულის მასწავლებელიც

მივუჩინეთ, ოჯახს მანქანა მივეცით. შემოიარეს საქართველო. ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ. ოლგა მიეჩვია ბავშვებს, მეგობრებიც გაიჩინა, მაგრამ სვეტლანა ვერ შეეგუა აქაურობას, ქართველებიც და საქართველოც, ისევე როგორც მამამისი, მისთვის უცხო იყო.

წასვლამდე რამდენჯერმე შევხვდი, არ მინდოდა, წასულიყო, ყველაფერს გაგიკეთებთ-მეთქი. არა, ვერ შეეგუე აქაურობას, ოლგამაც ვერ ისწავლა ქართული, უნდა წავიდეო.

თბილისიდან სვეტლანა ჯერ მოსკოვში დაბრუნდა, შემდეგ, თუ არ ვცდები, ლონდონში გადავიდა, იქიდან — ამერიკაში, მერე ისევ — ლონდონში.

სტალინს ძალიან უყვარდა სვეტლანა, ცოლის თვითმკვლელობის შემდეგ ის იყო ერთადერთი ძაფი, ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებასთან რომ აკავშირებდა. სტალინის უფროსი ვაჟი, იაკობი ტყვეობაში დაიღუპა, უმცროსი ვასილი, გენერალი, კარგი მფრინავი იყო, მაგრამ გალოთდა. სტალინისთვის ეს მიუღებელი იყო. ასე რომ, სვეტლანა მისთვის თითქოს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო, მაგრამ მანაც ბევრი ტკივილი და სირცხვილი აწვნია. სვეტლანას წიგნში ჩანს, რომ მას მამა არ უყვარდა. საერთოდ, სტალინის ოჯახი ტრაგიკული იყო. ყოველმა მისმა წევრმა თავისი პირადი ტრაგედიით თითქოს ზღო ის დიდი უბედურება, რომელიც სტალინის მმართველობამ ბევრ საბჭოთა ადამიანს თავს დაატეხა.

* * *

ახლა რომ ვკითხულობ ამ ჩანაწერებს, ვხედავ, ეს თხრობა კომუნისტურ საქართველოში ჩემს მოღვაწეობაზე სრული არ იქნება, თუ ერთ ამბავს არ გავიხსენებ. მხედველობაში მაქვს თენგიზ აბულაძის ფილმის, „მონანიების“ გადაღება. სწორედ საქართველოში გახდა შესაძლებელი კინემატოგრაფის მიერ შეფასებულიყო საბჭოთა ავტორიტარული რეჟიმი და მონანიებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგმულიყო. ამ ნაბიჯის გადადგმაში მეც ვმონაწილეობდი და მეც მოვინანიე ღვთისა და ერის წინაშე, თუნდაც იმით, რომ ასეთი ფილმის გადაღებას შევუწყვე ხელი. ამ ფილმმა მსოფლიო შემოიარა და ბევრი პრიზიც მოიპოვა.

ერთხელ მირეკავს კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე და მეუბნება, მოსვლა მინდაო. დრო დავუნიშნე — დღის ბოლო. მისთვის ჩემი კარი ყოველთვის ღია იყო, თათბირიც რომ ყოფილიყო, გამოვიდოდი და შევხვდებოდი.

თენგიზი დანიშნულ დროს მოვიდა და მაგიდაზე ნაბეჭდი ქაღალდების დასტა დამიდო: ეს არის ჩემი ახალი ფილმის სცენარი. ძალიან მინდა, რომ წაიკითხოთ. უფრო პრაგმატულად შეხედავთ ყველაფერს, ძალიან რთული ფილმი იქნებაო. „მონანიების“ სცენარი იყო.

დავთანხმდი, თუმცა ვუთხარი: ამაღამ ვერ წავიკითხავ. ხვალ დილით მე და ჩემი მეულღლე მოსკოვში უნდა გავფრინდეთ და საღამოს, მოსკოვში გავეცნობი სცენარს-მეთქი.

მართლაც, მოსკოვში ჩემი საქმეები მოვითავე, დღის ბოლოს სახლში დავბრუნდი და კითხვას შევუდექი. ვკითხულობ, ვკითხულობ და სული მეხუთება. წარმოვიდგინე, რა იქნებოდა ეს ეკრანზე და რა შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი ჩვეულებრივ ადამიანზე, რა განცდებთან გვექნებოდა საქმე. ნანულიმ შემატყო, რომ შიგადაშიგ სული ყელში მებჯინებოდა და მკითხა — „ასე რამ აგაღელვა?“ სცენარი მივეცი. წაიკითხა და ისიც ჩემს დღეში ჩავარდა. როგორც ზემოთ ვთქვი, თავის თავზე ჰქონდა ბევრი რამ გადატანილი. ყველაფერი გაახსენდა და ქვითინი აუვარდა.

თბილისში რომ დავბრუნდი, ბატონი თენგიზი ერთი-ორი დღის შემდეგ შემეხმიანა. თვითონ არ დავურეკე, რადგან ჯერ კიდევ ვფიქრობდი, რა მომავალი ექნებოდა ამ ფილმს, ნახავდა თუ არა მზის სინათლეს, როცა გაკეთდებოდა? თანაც არ მინდოდა, ცუდ ხასიათზე დამეყენებინა თენგიზი, იმიტომ, რომ სიმართლე უნდა მეთქვა. თვითონ დამირეკა — არ მინდა ზედმეტად შეგაწუხოთ და როდესაც გეცლებათ, დღეს, ხვალ, ზეგ, იქნებ ერთმანეთს შევხვდეთო.

შეხვედრა მეორე დღისთვის დავუნიშნე. მანამდე კიდევ გადავათვალიერე სცენარი, ცალკეული ადგილი უკვე თითქმის ზეპირად ვიცოდი. შეხვედრისას ვუთხარი: „ორი დიდი პრობლემა იქნება. პირველი ის, რომ ამ სცენარს მოსკოვში კინოკომიტეტი არ მიიღებს, ე. ი. დაფინანსების საკითხი; და მეორე — ვთქვათ, დავარწმუნეთ და გადაიღე

კიდეც – ეს ფილმი რამდენიმე წელი მზის სინათლეს მაინც ვერ ნახავს, თაროზე უნდა იდოს. ამისთვის ხარ განწირული, ამ აზრს უნდა შეეგუო, მაგრამ ეს ფილმი რომ არ გადაიღო, დამნაშავე იქნები საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე, და არა მარტო ქართველი ხალხის წინაშე".

შეწუხდა.

– აბა რა გამოსავალია, რა გავაკეთო? – მკითხა.

ვუთხარი:

– კიდევ შევხვდეთ ხვალ-ზეგ, ვიცი, რა გზებიც არსებობს, მთავარია ფილმი გადავიღოთ. მერე ვნახოთ, რა როგორ იქნება...

კინოსტუდიის დირექტორის, რეზო ჩხეიძის აზრით, გამოსავალი ერთადერთი იყო – „მონანიების" სატელევიზიო ფილმად გადაღების დაწყება. საქართველოს ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე გვერდით დაუდგა ამ საქმეს და აქტიურად ჩაერთო, მაგრამ საკითხი მაინც მოსკოვში უნდა გადაწყვეტილიყო. საკავშირო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე სერგეი ლაპინი დიდ პატივს მცემდა. იგი განათლებული კაცი იყო, თითქმის ყველა ჩვენს მოსაზრებას ეთანხმებოდა და ქართულ კინოსაც კარგად აფინანსებდა. თუ არ ვცდები, 600 ათასი მანეთი ვთხოვეთ გადაღების დასაწყებად. ამ კაცმა თანხა ისე გამოგვიყო, რომ სცენარი არც მოუთხოვია. ნუგზარ ფოფხაძეს უთხრა, ხომ იცით, როგორ ვენდობი შევარდნაძეს, თქვენც გენდობით და ამიტომ ყველაფერში ხელს შეგიწყობთო.

ამის შემდეგ დავუძახე თენგიზს და ვუთხარი: „ასეთი გამოსავალია – თუ შენთვის შეურაცხმყოფელი არ იქნება, დავიწყოთ როგორც ტელეფილმი და მერე შევეცდები ავუხსნა მოსკოვში ვისაც ეს ეხება, რა მნიშვნელობის ფილმი შეიძლება გამოვიდეს". დამეთანხმა: „ვხვდები ყველაფერს და საერთოდ, ველოდი, რომ უარს მეტყოდით". მაშინ კიდევ გავუმეორე: „თენგიზ, იმ აზრს უნდა შეეგუო, რომ დაახლოებით ოთხი წელი ეს ფილმი დღის სინათლეს ვერ ნახავს".

დაიწყო მუშაობა. ფინანსები საქართველოს ტელერადიოკომიტეტის ბიუჯეტში იჯდა, მაგრამ კინოსტუდიის ბაზაზე იღებდნენ. სწორედ ეს იყო გონივრული გადაწყვეტილება.

როგორც უკვე ვახსენე, მოსკოვში ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგესთან, შაუროსთან, ძალიან კარგი პიროვნება იყო, აბსოლუტურად მენდობოდა ყველაფერში. მას ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის. მოსკოვში ყოფნისას შევხვდი და ვუთხარი, ისეთი უნიკალური სცენარია, რომ შეიძლება ეპოქალური ფილმი გამოვიდეს-მეთქი. ისიც ვუთხარი: „თუ გნებავთ, გამოგიგზავნით სცენარს, მაგრამ რუსულად არ გვითარგმნია. მერწმუნეთ, ცოდვაა ტელეფილმად მისი გადაღება. ჯერჯერობით ჩვენ ის მოვახერხეთ, რომ ტელერადიოკომიტეტისაგან ფინანსდება და უნდა დამეხმაროთ, რომ კინოკომიტეტში სცენარის წაკითხვის გარეშე მოგვცენ ფილმის გადაღების უფლება და დაგვაფინანსონ“.

— რა არის ამისთანა ამ სცენარში? — მკითხა.

ვუპასუხე:

— როდესაც დამთავრდება, მერე დარწმუნდებით, რომ საშვილიშვილო საქმე გავაკეთეთ.

მაშინვე, ჩემი თანდასწრებით, დაურეკა კინოკომიტეტის ხელმძღვანელს და უთხრა: „ჩემთან ედუარდ შევარდნაძეა, თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება მისადმი, როგორ ვენდობი. გადაღება უკვე დაწყებული აქვთ, ტელეფილმად აკეთებენ, მაგრამ მე არ მინდა ეს ტელეფილმი იყოს, სჯობია, კინოფილმად გადავიღოთ“.

მგონი მხოლოდ ერთხელ გამოიძახეს თენგიზი რაღაც გასაუბრებაზე. მერე, მეორე წელს, ჩვენი ფილმი ჩაჯდა კინოსტუდიის გეგმაში — ეს კი უკვე ძალიან სერიოზული ამბავი იყო.

დაიწყეს გადაღება. ერთხელ დამირეკა თენგიზმა და მითხრა, თუ გნებავთ, გადაღებული მასალა ნახეთო. ვუთხარი, იქნებ დაამთავრო და როცა გასინჯვა იქნება, აუცილებლად მოვალ კინოსტუდიაში და საბოლოოდ გეტყვით ჩემს აზრს-მეთქი.

ბატონმა რეზო ჩხეიძემ და ბატონმა თენგიზმა გასინჯვაზე მართლაც დამპატიჟეს. დღეც დაინიშნა. მასალის გადაღების პროცესში მე არ ვერეოდი, არ იყო ჩემი საქმე, დამთავრებულის სანახავად მიწვევა კი სიამოვნებით და მღელვარებით მივიღე.

ფილმი ვნახე. სიმართლე გითხრათ, შინ რომ დავბრუნდი, აღელვე-

ბული ვიყავი. ფილმმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ადამიანი უცნაურსაც და არაჩვეულებრივსაც ადვილად ეჩვევი, მაგრამ ის პირველი შთაბეჭდილება წარუშლელი იყო.

რაღაც პატარა შენიშვნები თვითონ კინემატოგრაფისტებმა მისცეს, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო. შევატყვე, ყველა მე მიყურებს.

— თქვენთვის მისაღებია? თქვენ იღებთ პასუხისმგებლობას ამ ფილმზე? — თვალებით ყველა ამას მეკითხებოდა.

არ მითქვამს, წლების განმავლობაში ვიცოდი, თენგიზი რომ ამ ფილმს იღებდა-მეთქი. ისიც საიდუმლოდ ინახავდა ამ ფაქტს.

მოკლედ, გადაღება დამთავრდა. ფილმი მზად არის ეკრანზე გასასვლელად, მე კი ამ დროს მოსკოვში გადამიყვანეს საგარეო საქმეთა მინისტრად.

ეტყობა, თბილისში ცოტა იჩქარეს. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა. როგორც ჩანს, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის უჩუმრად ფილმი საზოგადოებას აჩვენეს. ერთი ალიაქოთი ატყდა. რამდენიმე კაცი მოხსნეს სამსახურიდან, რამდენიმეც, მგონი, პარტიიდან გარიცხეს.

რეაქცია ფილმზე ძალზე მწვავე იყო. ზუსტად არ ვიცი, რამდენი პროცენტი იქნებოდა საქართველოში ბოლშევიკურად მოაზროვნე ადამიანებისა, იმ ხალხისა, რომლებიც იტყოდნენ, რომ ეს არის ცილისწამება და ა.შ., მაგრამ შედეგი ის იყო, რომ ფილმი თაროზე დაახლოებით ორი-სამი წელი დაიდო. მოსკოვში ჩასვლისთანავე მე ვერ მივიდოდი გორბაჩოვთან და ვერ ვეტყოდი, საქართველოში ასეთი ფილმი გვაქვს-მეთქი, მიმაჩნდა, რომ მომწიფდებოდა დრო, როცა ამ თემაზე ლაპარაკს დავიწყებდი.

„პერესტროიკა“ უკვე დაწყებულია, მინდა დემოკრატიზაციის პროცესი ცოტა უფრო გაღრმავდეს და მერე უფრო იოლი გადასაწყვეტი იქნება ეს საკითხი. უფრო იოლი სათქმელადაც, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ფილმი ერთ-ერთი არგუმენტი უნდა ყოფილიყო იმ პროცესების მხარდასაჭერად, იმხანად საბჭოთა კავშირში რომ მიმდინარეობდა.

მერე ისე მოხდა, რომ საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მიეიდა გორბაჩოვთან და

უთხრა, ასეთი და ასეთი ფილმი არსებობს და უხერხულ მდგომარეობაში ვარ. ორი თუ სამი წელია თაროზე დევს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, კარგი ფილმიაო და მისი ეკრანზე გაშვებაში დახმარება სთხოვა. ვნახავო, უთქვამს გორბაჩოვს. მართლაც, გორბაჩოვმა და მისმა მეუღლემ, რაისა მაქსიმოვნამ, ფილმი იმ ღამესვე ნახეს.

მეორე დღეს გორბაჩოვმა დამირეკა:

— რატომ არ მითხარი, ასეთი ფილმი თუ იყო საქართველოში? (სხვათა შორის, გორბაჩოვი ქართული კინოს შესანიშნავი მცოდნე იყო).

— არ გითხარით, რადგან შესაფერის დროს ველოდი, ახლა კი, მგონი, დადგა დრო, როდესაც ამ ფილმის გაშვებაზე უნდა ვიფიქროთ. მისი თაროზე დატოვების ყოველი დღე დანაშაულია. ხალხმა უნდა ნახოს იგი. ფილმს ტირაჟირება სჭირდება, კიდევ ათასი რამ არის გასაკეთებელი.

— მე და რაისა მაქსიმოვნას (აქვე უნდა შევნიშნო, რომ თავისი მეუღლის ნათქვამისა ჩემს ნათქვამზე ნაკლებად არ სჯეროდა) ფილმი განსაკუთრებით მოგვეწონა. ალბათ, უნდა გავუშვათ, მაგრამ მინდა პირადად გთხოვო, მიხვიდე ლიგაჩოვთან და მას მოელაპარაკო, — მითხრა გორბაჩოვმა.

მივედი ლიგაჩოვთან:

— ძალიან უცნაურ საკითხზე მოვედი. მე საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ და ფილმებისთვის არ მცალია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ეს საქმე ჩემი მონაწილეობით არის დაწყებული და მიმაჩნია, რომ ხელოვნების დიდ ნიმუშზეა ლაპარაკი, ნამდვილ შედევრზე. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას — იდეოლოგიურად ძალიან ბევრი შემოგვედავება, რომ კომუნიზმსა და სოციალიზმს არ ამშვენებს ის, რაც იქ არის ნაჩვენები.

— რა გნებავთ? — მკითხა, — გინდათ, რომ ფილმი ვნახო?

— დიახ, მინდა.

— კარგი, ამაღამ მე და ჩემი მეუღლე ვნახავთ ფილმს...

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მან ყველაფერი უკვე იცოდა, თუმაცაღა, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ფილმმა მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. რა თქმა უნდა, ლიგაჩოვს ჰქონდა თავისი იდეოლოგიური შეხედულებები, მაგრამ მანაც ვერ გაუძლო. მერე გავიგე, მისი მეუღლის ოჯახიც რეპრესირებული ყოფილა — მის ცოლს 1937 წელს მამა დაუპატიმრეს და დახვრიტეს. თურმე, ფილმის ნახვისას უტირია. მეორე დღეს დამირეკა ლიგაჩოვმა და მითხრა, თუ გორბაჩოვი წინააღმდეგი არ არის, გავუშვათო.

ამავე აზრისა იყო ფილმის დიდი ქომაგი, ალექსანდრ იაკოვლევიც — „პერესტროიკის“ ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი.

დავურეკე გორბაჩოვს. ფილმი ტირაჟირებისათვის ჩამოიტანეს მოსკოვში და დაიწყო ჩვენება.

ატყდა ერთი აურზაური პრესაში. რა თქმა უნდა, ის თაობა, ის ადამიანები, რომლებიც „პერესტროიკის“ მხარეზე ვიყავით, რომლებიც დემოკრატიზაციის გზით მივდიოდით და რომელთაც ახალი ქვეყნის აშენება გვინდოდა, ფილმს მივესალმებოდით, მაგრამ პრესაში გამოჩნდა ისეთი წერილებიც, რომლებიც არ წაიკითხებოდა — „იდეოლოგიურად საშიში ფილმი“ — ასეთი იყო მათი შეფასება.

გორბაჩოვმა მითხრა: „ამ ამბავს აუცილებლად უნდა მივადევნოთ თვალყური, ჩვენ ზომები მაინც უნდა მივიღოთ“.

მართლაც, მოვძებნეთ რამდენიმე თანამოაზრე ჟურნალისტი და მათ გამორჩეულად კარგი სტატიები მოამზადეს „მონანიებაზე“.

ამის შემდეგ უკვე მე ვიზრუნე, რომ ფილმი კანის ფესტივალზე მოხვედრილიყო. კინოკომიტეტის თავმჯდომარეს ვუთხარი, რომ თუ ფილმი კანის ფესტივალზე არ მოხვდებოდა, დანაშაული იქნებოდა. კინოკომიტეტშიც ამ აზრისა იყვნენ. სხვა უკეთესი არც ჰქონდათ — რა უნდა წაეღოთ?! ამავე დროს ამ ფილმს იდეოლოგიურადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესების სრულ ილუსტრირებას ახდენდა, ადასტურებდა, რომ კინო, კინოხელოვნება თავისუფალია. ასეთი ფილმი საბჭოთა კავშირში რომ გადაიღეს, ეს თვითონ „პერესტროიკის“ სასარგებლოდ მუშაობდა, ჩვენი პოლიტიკის სასარგებლოდ.

პოლიტბიუროს წევრებს ფილმი წინასწარ უჩვენეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდა ერთსულოვნად, რომ „მონანიება“ კანის ფესტივალზე წარდგენილიყო.

მერე იყო ტრიუმფი — მსოფლიო მასშტაბით ფილმის საყოველთაო აღიარება და საბჭოთა შეცდომების გამო შეძრწუნება.

მე, როგორც პიროვნებას, და გნებავთ, როგორც მოქალაქეს, მართლა მჯერა, რომ ამ „მონანიების" გარეშე ცხოვრების გაგრძელება ჩვენს საზოგადოებას, და პირადად მეც, გაგვიჭირდებოდა.

სხვათა შორის, მოგვიანებით, უკვე თავისუფალ საქართველოში, ბატონ თენგიზს სურდა ახალი ჩანაფიქრი განეხორციელებინა — გადაეღო „მონანიება-2". მანამდე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამგვარი ფილმის გადაღება ვინმეს აზრად მოუვიდოდა. „დამოუკიდებელი" ქვეყნის რეალობა ხელოვანისთვის არანაკლებ შემზარავი აღმოჩნდა, ვიდრე „ტოტალიტარიზმის კოშმარი". ფილმის გადაღება მან ვეღარ მოახერხა. ვერ მოასწრო — ამ ქვეყნიდან უდროოდ წავიდა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

* * *

თენგიზ აბულაძის „მონანიება", რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოების ცნობიერებაზე, მეტად მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ფრაზით მთავრდება: „რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანს?!"

ერთი შეხედვით, თითქოს შიშველი მითითებაა, მაგრამ ათეისტურ საზოგადოებაში, ეტყობა, სწორედ ასე პირდაპირ, ხისტად უნდა დასმულიყო ეს კითხვა. ულმერთო ადამიანები უნდა ჩაფიქრებულიყვნენ არა მარტო იმ გზაზე, რომელმაც ისინი ჩიხში შეიყვანა, არამედ უზენაესზეც, გზის დასაწყისშივე რომ უთხრეს უარი.

მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვიყავი. ათეისტი. ათეისტი იყო მამაჩემიც. დედა მორწმუნე გახლდათ, ჩუმად ლოცულობდა ხოლმე.

არ ვიტყვი, რომ ამ ფილმისა და ამ ფრაზის გამო, ალბათ, სხვა მიზეზებითაც, მოსკოვში ყოფნისას სერიოზულად დავფიქრდი იმაზე, რისთვის მოვედით ამქვეყნად და საით მივდივართ, რა განსაზღვრავს ჩვენს ნაბიჯებს და ადამიანების გარდა, ვინ აფასებს ჩვენს ცხოვრებას. ეს არაცნობიერად ღმერთთან მისასვლელი გზების ძიება იყო და პირველი ნაბიჯების გადადგმაც ღვთისკენ სავალ გზაზე.

საქართველოში რომ დავბრუნდი, პირველი რაც იყო, მის უწმინდესობას, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს ვეახლე. მას დიდი ხანია ვიცნობდი და დიდ პატივს ვცემდი.

კათალიკოს-პატრიარქთან საუბარმა და შემდეგ მასთან შეხვედრებმა სხვა სიმშვიდე და სინათლე შემოიტანა ჩემს სულში, მოვინათლე კიდეც. ჩემი ნათლია ილია მეორე გახდა — ჩემი ნათლობის სახელი — გიორგი, სახელი, რომელიც ქართველობისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს.

ვერ ვიტყვი, რომ ღრმად მორწმუნე გავხდი, მაგრამ სული ჩემი ისწრაფვის ღვთისკენ, მე მწამს და ეს სიმშვიდითა და რწმენით მავსებს. ორ ტერაქტს რომ გადაეურჩი, ჩემმა მეუღლემ, ნანულიმ, რომელიც მორწმუნე ქალი იყო, წმინდა ნიკოლოზის პატარა ხატი მაჩუქა, რომელსაც მუდამ თან ვატარებდი. მესამე ტერაქტის შემდეგ შინ რომ მომიყვანეს, მკითხა, ხატი სად არისო, მოვიძიეთ და ვერ ვნახეთ. დაცვის ბიჭები გააგზავნა, მოაძებნინა, ტერაქტის ადგილას ბუჩქებში იპოვეს. ახლაც მუდამ თან დამაქვს, როგორც ჩემი გადამრჩენი.

1995 წელს სწორედ ილია მეორისა და ჩემი ინიციატივით დაიწყო სამების დიდებული საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ქართული სულიერებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას.

ვამაყობ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე ამ ტაძრის მშენებლობაში, რომელიც კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს მოსახლეობის შენაწირით აშენდა.

ადგილი ერთად შევარჩიეთ. ტაძარი მთელი ქალაქიდან შესანიშნავად ჩანს, მეტროსადგურიც იქვეა და თბილისის უძველეს უბანშიცაა. ჩამოვაყალიბეთ „წმინდა სამების სახალხო ტაძრის მშენებლობის ფონდი“. მშენებლობის დასაწყისისთვის პირველი მილიონნახევარი პრეზიდენტის ფონდიდან მე გამოვყავი. მშენებლობის ფონდში, ვისაც რა შეეძლო, შეჰქონდა, თანხა კი მაინც არ კმაროდა: ტაძარი ტაძრად, გარშემო სახლებიც ასაღები იყო და მოსახლეობა ბინებით დასაკმაყოფილებელი.

გადავწყვიტე, დახმარებისთვის ქართველი ბიზნესმენებისთვის მიმემართა და მათთან საშუამავლოდ მაშინ საქართველოში ნაკლებად

ცნობილ, მაგრამ რუსეთის მასშტაბით ერთ-ერთ წარმატებულ ქართველ ბანკირს, ბიძინა ივანიშვილს მოვუხმე. ვთხოვე, იქნებ ორგანიზება გაუკეთოთ ქართველ ბიზნესმენებს, რომ ტაძრის აშენება ქართულმა ბიზნესმა ითავოს-მეთქი. ჩვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან და ამანაც მათქმევინა, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ძირითად ტვირთს თავის თავზე სწორედ ის აიღებდა.

მითხრა, ორიოდე დღე მადროვეთ, შევისწავლი ყველაფერს და დაგირეკავთო.

მართლაც, ორ დღეში დამირეკა, მერე მოვიდა და მითხრა: „მე დავაფინანსებ ტაძრის მშენებლობას. დაფინანსება კი იმაზე ბევრი იქნება, ვიდრე გგონიათ“. მართლაც, მშენებლობა ათეულობით მილიონზე მეტი დაჯდა.

ეს ამბავი მაშინ არ გახმაურებულა, რადგან ბიძინა ივანიშვილი იმ ქართველი მეცენატების ტრადიციას აგრძელებს (სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ხოშტარია, ლაღიძე), რომლებიც ჩუმად და უხმაუროდ ეხმარებოდნენ ქართულ კულტურას და მის მოღვაწეებს. ივანიშვილის მსგავსად ბევრმა მოქალაქემაც არ ისურვა ვინაობის გაცხადება და მესმის მათი. სხვებმაც შეიტანეს შეძლებისდაგვარად თავიანთი წვლილი, მთელმა მოსახლეობამ, ბავშვებმაც და ჯარისკაცებმაც. „სამების“ მშენებლობა მართლაც სახალხო მშენებლობად იქცა. შემომწირველი იმდენია, რომ მათი სია რამდენიმე წიგნს მოიცავს. ისიც უნდა ვთქვა, რომ როდესაც 1996 წლის 3 მარტს ტაძრის საძირკველში ბეტონი ჩაისხა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსულმა მორწმუნეებმა კენჭები ჩაატანეს თავიანთი ინიციალებით.

ცხრა წელი შენდებოდა ეს ტაძარი. იგი ჩემთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მახსოვს, როცა გუმბათი აღმართეს, რა სიხარულით, ყმაწვილივით ავიარე ვიწრო კიბე და სულ ზევით ავედი — ახალგაზრდებსაც კი ავასწარი.

ამ დიდი მშენებლობის ორგანიზაციისათვის პატრიარქის და ჩემი თანათავმჯდომარეობით ორგკომიტეტი შევქმენით, პასუხისმგებელი მდივანი და, ამავე დროს, „სამების ტაძრის ფონდის“ ხელმძღვანელი ირაკლი ანდრიაძე იყო, მაგრამ თავიდათავი ამ მშენებლო-

ბისა არჩილ მინდიაშვილი გახლდათ, შესანიშნავი არქიტექტორი, ტაძრის პროექტის ავტორი. იგი ამ ტაძრით ქვეყნის ისტორიაში შევიდა.

ღვთის შეწევნით ტაძარი მართლაც მშვენიერი და განსაკუთრებული, ევროპული მასშტაბის გამოვიდა, მისი სიმაღლე 98 მეტრია, სიგრძე – 70 მეტრი, სიგანე – 64 მეტრი, მთლიანი ფართობი – დაახლოებით 5000 კვმეტრი. ტაძარში ცხრა ეკლესია და თორმეტი სატრაპეზოა, მისი გუმბათის მოოქრული ჯვარი შვიდი მეტრი სიმაღლისაა. ტაძრისთვის ცხრა ზარი, მათ შორის 8200-კილოგრამიანი დედაზარი, გერმანიაში ჩამოისხა. „სამება“ მართლაც მთლიანი საქართველოს ღვთივაღვლენილი ლოცვაა, ქვასა და მარმარილოში განსხეულებული.

2004 წლის 23 ნოემბერს „სამების“ ტაძარი საზეიმოდ გაიხსნა. მე ვიდექი მრევლს შორის და ვგრძნობდი იმ სულიერ სიმშვიდეს, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მხოლოდ ღმერთთან მიახლოებას მოაქვს.

ვიდექი და ვლოცულობდი ჩემი ოჯახისთვის, ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, ჩემი ქვეყნისთვის. ნანული ელოდა ამ დღეს და ვერ მოესწრო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

1985 წლის შვიდ ივლისს, საბჭოთა კავშირში მიღებული წესის თანახმად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამათავისუფლა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით.

ეს ჩემთვის სრული მოულოდნელობა იყო. მოულოდნელობა იყო იგი როგორც საქართველოსთვის, ისე მთლიანად საბჭოთა კავშირისთვის. მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები თუ პრესის წარმომადგენლები გაკვირვებას ვერ მალავდნენ: ,,ვინ არის ედუარდ შევარდნაძე? – კითხულობდნენ ისინი, – კაცი, რომელსაც მანამდე არათუ გამოცდილება, შეხებაც კი არ ჰქონია საგარეო ურთიერთობებთან, დიპლომატიასთან, როგორ აღმოჩნდა ზესახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს, წამყვან პოსტზე?“ არადა, სწორედ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს უნდა ელაპარაკა მათთან, ემოქმედა, მიეღო მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანი უამრავი გადაწყვეტილება საკვანძო და სადავო საკითხებთან დაკავშირებით.

როდესაც საკავშირო კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა დამირეკა და მითხრა, მოსკოვში უნდა გადმოხვიდე საგარეო საქმეთა მინისტრადო, მოულოდნელობისაგან ისე დავიბენი, რა მეთქვა, არც კი ვიცოდი, შემდეგ კი უარი განვაცხადე. ჩემი ამგვარი პასუხი პოლიტბიუროს სხდომაზე ასე განვმარტე: მე არანაირი გამოცდილება არ მაქვს, თანაც ეს თანამდებობა ტრადიციულად რუსს ეკავა. მე, არარუსი, ჩემს გადაწყვეტილებებში თავისუფალი ვერ ვიქნები-მეთქი. შემდეგში, უმეტესწილად, ამიტომაც მსაყვედურობდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას, რომ თითქოს მე რუსეთის ინტერესები დავაზარალე. არადა, ვინც ოდნავ მაინც იცნობს საბჭოთა კავშირში გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს, კარგად იცის – პირველი პირის თანხმობის გარეშე ვერაფერს გადაწყვეტდი.

მოკლედ, არგუმენტებმა არ გაჭრა და პოლიტბიურომ ერთხმად დამამტკიცა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ „Часть русского общества с возмущением подсчитывала, не слишком ли много инородцев руководили внешней политикой России со времён Нессельроде?“ (Леонид Млечин, МИД Министры иностранных дел, М., Центрополиграф, 2001, გვ. 443).

ახალ თანამდებობაზე ჩემს დანიშვნას (რაც გორბაჩოვის ქვეყნის სათავეში მოსვლიდან ორიოდე თვეში მოხდა) საბჭოთა კავშირის ისტორიაში ფრიად „საყურადღებო“ გარდაცვალებათა სერია უძღოდა წინ. ეს თითქოს სიმბოლური გამოხატულება იყო საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური იდეოლოგიის აღსასრულისა. 1982 წლიდან, სამი წლის განმავლობაში, ზედიზედ საბჭოთა ქვეყნის სამი პირველი პირი გარდაიცვალა – ბრეჟნევი, ანდროპოვი და ჩერნენკო. სამივე ლიდერი უძლურების, ავადმყოფობისა და გამოფიტვის ტრაგიკული ნიშნებით იყო დაღდასმული.

თითქოს ანდროპოვმა სცადა ისტორიის ბორბლის შეჩერება, მაგრამ ვერ შეძლო. არა მარტო იმიტომ, რომ არ დასცალდა. უბრალოდ, გარეთ უკვე სხვა დრო იდგა. ქვეყნის გადასარჩენად (თუკი მას გადარჩენა ეწერა) სხვა აზროვნება, სხვა ხალხი და სხვა პოლიტიკური ნება იყო საჭირო. ანდროპოვს ბევრის გაკეთება სურდა (პირველ რიგში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში ახალგაზრდების მოზიდვა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ მისი ანდერძით იგი მიხეილ გორბაჩოვს უნდა შეეცვალა), მიუხედავად ასაკისა, იგი მშვენივრად გრძნობდა გარდაქმნების აუცილებლობას, თუმცა როგორ უნდა განხორციელებულიყო ყოველივე – ეს უკვე სხვა საკითხია.

ასე იყო თუ ისე, ხანდაზმულმა პარტიულმა ელიტამ ანდროპოვის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინ ჩერნენკოს დაუჭირა მხარი, რომელიც საერთო აზრით, იოლი სამართავი იქნებოდა, მაგრამ დანიშვნიდან ერთი წლის შემდეგ მან დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება ამერიკასთან ურთიერთობის მკვეთრად გაუმჯობესების შესახებ. სწორედ მისი დამსახურებაცაა, რომ საბჭოთა კავშირი მიუბრუნდა ჟენევის მოლაპარაკებებს ბირთვული შეიარაღების თაობაზე. საბჭოთა დელე-

გაციამ ეს მოლაპარაკებები ანდროპოვის მითითებით 1983 წელს მიატოვა.

სხვათა შორის, ჩერნენკოს ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის, ანდრეი გრომიკოს ხისტ პოზიციას. შეიძლება ითქვას, რომ გორბაჩოვის დროინდელი საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის საწყისები გარკვეულწილად სწორედ ჩერნენკოს ამ, ახალ და დამოუკიდებელ პოლიტიკაშია საძიებელი. ეს, ერთი შეხედვით, საშუალო შეძლებისა და მომზადების ჩინოვნიკი მიხვდა, რომ ძველი საგარეო პოლიტიკის კურსის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

კონსტანტინ ჩერნენკო 1985 წელს გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლოს მის მოვალეობას უკვე მისივე აპარატი ასრულებდა; მას, მძიმე ავადმყოფს, აიძულებდნენ სადღაც გამოჩენილიყო და რაღაც ეთქვა, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში და ა.შ. ეს სცილდებოდა ყოველგვარ ადამიანურობას. ხალხი დაიღალა მოხუცი და მძიმედ ავადმყოფი ლიდერების ცქერით და როდესაც მიხეილ გორბაჩოვი, 53 წლის ენერგიული და ევროპული ტიპის ლიდერი აირჩიეს პარტიის ცეკას გენერალურ მდივნად, ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა.[11]

მიხეილ გორბაჩოვი არაორდინარული პიროვნება გახლდათ, საბჭოთა ხელმძღვანელის ახალი ტიპი, ენამჭევრი, განათლებული და კარგი გემოვნების მქონე. იგი გრძნობდა დროის მოთხოვნას. თუ რამ ღირებული იყო, წარსული თაობის პოლიტიკოსებისგან აიღო და თავისი თაობის პოლიტიკოსებთან ერთად შექმნა საბჭოთა საზოგადოების, საბჭოთა ქვეყნის გარდაქმნის სრულიად ახალი კონცეფცია. ის ითვალისწინებდა ძირეულ ცვლილებებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ეს ცვლილებები, პირველად საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში, კომუნისტური იდეოლოგიის რევიზიას ისახავდა მიზნად. მაშინ ბევრი კითხულობდა: „რას ნიშნავს „გარდაქმნა", „საჯაროობა", ეს ხომ სოციალიზმზე უარის თქმაა?" მართლაც ასე იყო, მაგრამ ამის ხმამაღლა გაცხადება მაშინ არაფრით შეიძლებოდა.

[11] აქვე უნდა გაეიხსენო, რომ ჩერნენკოს არჩევის შემდეგ გაძლიერდა ბრძოლა ე.წ. „მოსკოვის დაჯგუფებასა" და „რეფორმატორთა" შორის. მოსკოველ „კონსერვატორებს" მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი გრიშინი ედგა სათავეში, აქეთ – გორბაჩოვი და მისი მომხრეები, რომელთა შორის მეც დაუფარავად მოვიაზრებოდი.

როდესაც 1985 წლის კომპარტიის ცეკას მარტის პლენუმმა გორბაჩოვი გენერალურ მდივნად წამოაყენა, ანდრეი გრომიკომ მასზე თქვა: „ამხანაგებო, ამ ადამიანს კარგი ღიმილი და რკინის ხელი აქვს“. გორბაჩოვმა იცოდა ხალხთან ურთიერთობა, იცოდა კარგი მუშაობაც და კარგი იუმორის ფასიც. იმხანად გახმაურდა ლენინგრადის ერთი ეპიზოდი: ლენინგრადში ყოფნისას გორბაჩოვს ხალხი შემოეხვია, ერთ-ერთმა ქალმა უთხრა: „იყავი ახლოს ხალხთან და ჩვენ არ დაგაღალატებთ“; მან ღიმილით უპასუხა: „ამაზე ახლოს როგორღა ვიყო?“

ზემოთ უკვე ვთქვი, როგორ შემაცბუნა გორბაჩოვის გადაწყვეტილებამ — გავმხდარიყავი საგარეო საქმეთა მინისტრი. მე ხომ გრომიკოს შემდეგ უნდა მივსულიყავი საგარეო საქმეთა სამინისტროში, გრომიკო კი — „მისტერ ნეტ-ი“ („ბატონი არა“) — მთელი ეპოქა იყო საბჭოთა კავშირის დიპლომატიის ისტორიაში, თუმცაღა ეპოქა, რომელიც უკვე გასრულდა. სამინისტროში ჩემს მისვლას აზრი მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ სიახლეს, ახალ აზრს შევიტანდი ამ უწყებაში და ახალ სტიმულს მივცემდი მის მაღალინტელექტუალურ თანამშრომლებს.

სამინისტროში მისვლისთანავე, ჩემს შესახვედრად შეკრებილ მინისტრის მოადგილეებს გულახდილად განვუცხადე: „მეტად ძნელ მდგომარეობაში ვარ. საგარეო პოლიტიკის სფეროში დიდი ცოდნით ვერ გაგაკვირვებთ, მაგრამ იმას კი შეგპირდებით, რომ ისე ვიმუშავებ, არც მე შევირცხვინო თქვენ წინაშე თავი და არც თქვენ შეგრცხვეთ ჩემ გამო. ეს განსაკუთრებით ძნელი იქნება ისეთი ავტორიტეტის ფონზე, როგორიც ანდრეი ანდრეევიჩი იყო. იგი ხომ საგარეო პოლიტიკის კრეისერია, მე კი მასთან შედარებით ნავი ვარ — ოღონდ მოტორიანი“. შემდეგში თანამშრომლები ხუმრობდნენ, მოტორიანი ნავი წყალქვეშაც შეიძლება იყოს, ხოლო ზოგიერთ წყალქვეშა ნავს ბირთვული იარაღის გადატანა და გასროლაც შეუძლიაო.

ამ გულახდილმა ნათქვამმა ღიმილით გაათბო სახეები და უკვე მერე, როდესაც რეფორმების განხორციელებას შევუდექი და თვისებრივი ცვლილებები წამოვიწყე ახალი საერთაშორისო თუ დიპლომატიური პრინციპების ჩამოყალიბების მიზნით — სამინისტროს თანამშრომლები გულწრფელად ამყვნენ. რაც შემდეგ გაკეთდა, უპირველეს

ყოლისა მათი ინტელექტის, ნიჭის, ენერგიისა და პატიოსნების წყალობით გახდა შესაძლებელი. მე ყოველი მათგანის უზომოდ მადლობელი ვარ. თამამად შეიძლება ითქვას — იმ დროს საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი გენერატორი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივი უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებით იყო დაკომპლექტებული და მართალია, მათ წინადადებებს საერთაშორისო ასპარეზზე მე წარვადგენდი, ეს ყოველივე მაინც კოლექტიური გონისა და კოლექტიური შრომის ნაყოფი გახლდათ.

სამინისტროს ყოველ წევრზე მსურს დავწერო, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ამჟამად ჩემი თანაშემწეებით, თეიმურაზ სტეპანოვითა და სერგო ტარასენკოთი შემოვიფარგლები. წიგნში, რა თქმა უნდა, სხვებზეც იქნება საუბარი, მაგრამ უფრო ზოგადად.

თეიმურაზ სტეპანოვი-მამალაძე თბილისელი იყო, ახლო ურთიერთობა გვქონდა და მჭიდროდ და ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით. საქართველოში მას იცნობდნენ როგორც სახელმწიფო მოღვაწეს და უნიჭიერეს ჟურნალისტს.

სერგო ტარასენკო კი სამინისტროს აპარატში მუშაობდა, ამერიკის მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამშრომელი იყო და დიდად განათლებული პიროვნების ავტორიტეტით სარგებლობდა. მინისტრის მოადგილეებს, რომლებიც ამერიკის მიმართულებას კურირებდნენ, უჭირდათ მისი „დათმობა“, მაგრამ მინისტრის ნების წინააღმდეგ ველარ წავიდნენ.

ისინი მარტო თანაშემწეები როდი იყვნენ, დროულ რჩევებსაც მაძლევდნენ, დოკუმენტებზეც მუშაობდნენ და ჩემი გულითადი მეგობრებიც იყვნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ჩემი საუბრის ჩანაწერებს, შთაბეჭდილებებს ცალკეულ შეხვედრასთან დაკავშირებით, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთ სატელეფონო საუბარსაც კი, დამოუკიდებლად აფიქსირებდნენ (ბუნებრივია, ჩემი თანხმობით).

მოხდა ისე, რომ თეიმურაზ სტეპანოვი მოულოდნელად მოსკოვში გარდაიცვალა, მისი ანდერძის თანახმად იგი თბილისში დავკრძალეთ, ჩანაწერები კი ვერ აღმოვაჩინეთ. ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი ალექსანდრ ბესსმერტნიხის მონათხრობის საფუძველზე გავიხსენე.

ალექსანდრ ბესმერტნიხი ჩემი მინისტრობის დროს აპარატში მუშაობდა, ნიჭით და კაცურკაცობით გამოირჩეოდა, შემდეგ კი საგარეო საქმეთა მინისტრიც გახდა.

რაც შეეხება სერგოს, იგი თბილისიდან სტეპანოვზე ადრე წავიდა, ხოლო „ჩანაწერები" (ეს მთელი წიგნია) ჩემს სამდივნოს დაუტოვა. უნდა გითხრათ, რომ „ჩანაწერების" გარეშე გამიჭირდებოდა მემუარების დაწერა. ასე რომ, სერგო ტარასენკოს ამაგს დიდად ვაფასებ, იგი იდეალური თანაშემწე, ჭეშმარიტი თანამოაზრე და მაღალკვალიფიციური დიპლომატი იყო.

სამინისტროს თანამშრომელთა დიდმა უმრავლესობამ მხარი აუბა გარდაქმნის პოლიტიკასა და მუშაობის ჩემს სტილს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თანამშრომლებს და ისიც შევნიშნო, რომ მათი ხელშეწყობის გარეშე არ გადაწყდებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ის პრობლემები, რომელთაც მნიშვნელოვნად შეცვალეს მსოფლიო მეოცე საუკუნეში და ოცდამეერთე საუკუნისთვის შესაფერისი კლიმატი შექმნეს.

დანიშვნიდან რამდენიმე დღეში, 1985 წლის ივლისის ბოლოს, ჰელსინკიში გავემგზავრე — უნდა დავსწრებოდი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის დასკვნითი დოკუმენტის, „ჰელსინკის აქტის" ხელმოწერის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ შეკრებას. სწორედ იქ შედგა ჩემი პირველი გამოსვლა საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში.

გულწრფელად რომ ვთქვა, ჩვეულებრივი გამოსვლა იყო, თუმცაღა შეიცავდა ისეთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი 6 აგვისტოდან ცალმხრივად წყვეტდა ნებისმიერ საცდელ ბირთვულ აფეთქებას.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ შულცის გამოსვლა მაშინ პირველად მოვისმინე. მისი ძირითადი თეზისი ეხებოდა „გაყოფილი ევროპის ტრაგედიას" და „ადამიანის უფლებათა დარღვევებს სოციალისტურ ქვეყნებში".

ჩვენ ნამდვილად სხვადასხვა ბანაკში ვიყავით და იმის წარმოდგენა, რომ სულ მალე ვითანამშრომლებდით ევროპის გასაერთიანებლად და მსოფლიო პოლიტიკაში პარტნიორებად და მეგობრებად ვიქცეოდით — თითქმის შეუძლებელი იყო.

იმავე წლის სექტემბერში ნიუ-იორკში მონაწილეობა მივიღე გაეროს მეორმოცე გენერალურ ასამბლეაში. ასამბლეაზე გამოსვლის გარდა, შევხვდი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს. მთავარი შეხვედრა, 27 სექტემბერს, ამერიკის პრეზიდენტთან, რონალდ რეიგანთან შედგა. მან ჩემს პატივსაცემად საუზმე გამართა, რომელსაც ამერიკის მხრიდან ესწრებოდნენ ვიცე-პრეზიდენტი (და შემდგომში პრეზიდენტი) ჯორჯ ბუში (მამა) და სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი.

მაშინ და შემდეგაც რეიგანთან შეხვედრები ერთი სცენარით მიმდინარეობდა – თავის „შპარგალკას“ რომ ჩაიკითხავდა, მე ვპასუხობდი, მერე შულცი იტყოდა თავისას. ამის მერე ლანჩზე ჩავდიოდით, სადაც ყველანი რეიგანს, ანეკდოტების შესანიშნავ მთხრობელს, ვუსმენდით. საოცრად ბევრი ახსოვდა. დობრინინმა, ამერიკაში ჩვენმა ელჩმა, მითხრა – იქნებ თქვენც უამბოთ რამეო. რეიგანის ფონზე რაიმე ანეკდოტის მოყოლა უხერხულიც კი იყო, მაგრამ დობრინინი ჩამაცივდა – რაღაც ისეთი გეცოდინებათ, რაც მან არ იცისო.

მაშინ ის პოლიტიკური ანეკდოტი გამახსენდა, მარგარეტ ტეთჩერი ღმერთს იქით რომ შეედავა:

„ღმერთმა დაიბარა რეიგანი, გორბაჩოვი და ტეთჩერი ანგარიშის ჩასაბარებლად. რეიგანს ჰკითხა:

– როგორ არის საქმე?

– კარგად, ხუთი-ექვსი მილიონი სამუშაო ადგილი შევქმენი, – უპასუხა რეიგანმა.

მერე გორბაჩოვს ჰკითხა ღმერთმა:

– შენთან როგორ არის საქმე?

გორბაჩოვი:

– „პერესტროიკის“ საქმე კარგად მიდის, დემოკრატია ვითარდება.

ბოლოს ტეთჩერს მიუბრუნდა:

– შენი საქმეები როგორ არის, შვილო ჩემო?

ტეთჩერი:

– კარგად, მაგრამ მთავარი ეს სულაც არ არის: ჯერ ერთი, მე შენი შვილი არა ვარ და მეორეც – შენ ჩემს ადგილზე ზიხარ“.

დიდი არაფერი, მაგრამ, ეტყობა, რეიგანმა არ იცოდა. ბევრი იცინა, ათჯერ მაინც მომაყოლა.

მარგარეტ ტეთჩერი, მეოცე საუკუნის ეს გამორჩეული პოლიტიკოსი ქალი, განსაკუთრებული და ძლიერი პიროვნება გახლავთ, მოურიდებელი კამათისა და მძაფრი გამონათქვამების მოყვარული (ტეთჩერზე ქვემოთ კიდევ მოგახსენებთ). რეიგანს ამ ანეკდოტში ტეთჩერის ხასიათის ერთი მთავარი თვისება ეცნო — ლიდერობისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. აქვე აღვნიშნავ, რომ მსოფლიოს ეს ორი გამორჩეული პოლიტიკური ლიდერი ერთმანეთს განსაკუთრებულ პატივს სცემდა.

ჩემსა და რეიგანს შორის ადამიანური ურთიერთობების პირველი ძაფები სწორედ იმ შეხვედრაზე გაიბა, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ამერიკის ეს დიდი პრეზიდენტი მართლაც უბრალო და მომხიბლავი პიროვნება გახლდათ, ტკბილად მოუბარი და მახვილგონიერი კაცი; ამავე დროს — საბჭოთა კავშირის უმძაფრესი ოპონენტიც. სწორედ მან უწოდა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია".

რეიგანს დიდად აფასებდნენ როგორც ამერიკელები, ისე მსოფლიო პოლიტიკური ელიტა. შეფასებათა მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ლაკონიური სწორედ მარგარეტ ტეთჩერის სიტყვებია, რომლებიც მან თავის წიგნს წაუმძღვარა: „ეს წიგნი ეძღვნება რონალდ რეიგანს, რომლისგანაც მსოფლიო ძალზე ბევრითაა დავალებული".

ჩემი ის პირველი გამოსვლა გაეროს სესიაზე საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ტრადიციულ სტილში იყო. მაშინ, როდესაც შულცმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ „საბჭოთა ჯარის გამოყვანა ავღანეთიდან, რასაც გაერო სისტემატურად ითხოვს, ავღანეთის პრობლემას გადაჭრიდა", გულში დავეთანხმე, რადგან იქ ჯარების შეყვანის წინააღმდეგი მე და გორბაჩოვი თავიდანვე ვიყავით, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხა. მაშინ ორმა კაცმა მიიღო გადაწყვეტილება ავღანეთში ჯარის შეყვანის შესახებ — ბრეჟნევმა და იმდროინდელმა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა.

ავღანეთში საბჭოთა კავშირის ჯარის შეყვანის ერთპიროვნულად გადაწყვეტა, ისევე, როგორც ამ ქვეყანაში სისხლიანი გადატრიალებები, რომელიც წინ უძღოდა ამ ავანტიურას, უდიდესი შეცდომა გახლ-

დათ. ამან დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ზარალი მიაყენა როგორც თავად ავღანეთს, ისე საბჭოთა კავშირს. ეს შეცდომა რაც მალე გამოსწორდებოდა, მით უკეთესი იქნებოდა — ათასობით ადამიანი, ქალი თუ ბავშვი გადარჩებოდა სიკვდილსა და დასახიჩრებას, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ დანაკარგებზე, ასე მძიმედ რომ დააწვა საბჭოთა კავშირს.

გადაჭარბების გარეშე ვიტყვი: ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანაში მე გადამწყვეტი სიტყვა ვთქვი. ამას ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ და ვამაყობ კიდეც. ავღანეთზე უფრო ვრცლად ქვემოთ კიდევ მოგითხრობთ.

ასე რომ, შულცის განცხადება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ეს იყო ის, რის საფუძველზეც ჩვენ და ამერიკელებს ერთიანი პოზიცია უნდა გამოგვეხატა. ამასვე მოითხოვდა გენერალური ასამბლეაც. ავღანეთის მაგალითზე ჩვენ შეგვეძლო მსოფლიოსთვის დაგვენახვებინა, რომ საბჭოთა კავშირი მართლა იცვლება. არადა, ჯერ კიდევ არ ვიყავით მზად, თანაბრად გველაპარაკა ამერიკასთან, დასავლეთთან — გველაპარაკა წინასწარ ჩამოყალიბებული „მტრის ხატის“ გარეშე, გაგვემართა პრაგმატული და გულწრფელი დიალოგი საერთო ინტერესების გათვალისწინებით. საამისო დრო ჯერ კიდევ უნდა დამდგარიყო — შინაპოლიტიკის ცვლილებებთან ერთად, რასაც სწორედ ჩვენი „პერესტროიკა“ ისახავდა მიზნად.

ეს იყო მტკივნეული და მეტად რთული პროცესი, მაგრამ სწორედ ამან გახადა შესაძლებელი საზოგადოების დემოკრატიზაცია, კომპარტიის როლის შესუსტება და პიროვნული თავისუფლებების ფასეულობათა დამკვიდრების შეუქცევადობა. უნდა ჩამოყალიბებულიყო ახალი ხედვა დასავლეთთან დამოკიდებულებაში; დასავლეთთან, რომელსაც ჩვენ აქამდე მხოლოდ კლასობრივ მტრად აღვიქვამდით და რომელთან თანამშრომლობაც მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლებოდა.

ამერიკელებმა, ბუნებრივია, ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდნენ და მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, როდესაც იმავე წლის ოქტომბერში გაეროს საბჭოთა წარმომადგენლობაში ჯორჯ შულცის დახვედრის დროს მკაცრი ეტიკეტი დავარღვიე. კარგად მახსოვს — ფოიედან კიბეზე გავედი და როდესაც შულცი ამერიკის დელეგაციის სხვა

წევრებთან ერთად ჩემკენ გამოემართა, მე, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ტროტუარზე ჩავედი და შევეგებე. მერე შენობაში შევედით და ფოტორეპორტიორების წინ ბოდიში მოვუხადე სახელმწიფო მდივანს იმის გამო, რომ ვერ შევძელი ორშაბათს დავსწრებოდი მის გამოსვლას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. ჩვეულებრივ, ასეთი საქციელი მხოლოდ კეთილი ნების გამოხატულებად უნდა აღქმულიყო, მაგრამ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან ამგვარ საქციელს ნამდვილად არავინ ელოდა. მე იმის დემონსტრირება მსურდა, რომ საბჭოთა კავშირს გააზრებული ჰქონდა საზოგადოებრიობის თვალში მასზე წარმოდგენის გაუმჯობესების აუცილებლობა.

ჩემი და შულცის ეს პირველი შეხვედრა ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. შემდეგ შენობიდან გავედით ჟურნალისტებთან დასალაპარაკებლად.

„ჩვენ ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას რომელიმე საკითხზე, მაგრამ დიდი ყურადღებით განვიხილეთ ერთმანეთის პოზიციები, — თქვა შულცმა და დასძინა, — საბჭოთა მხარემ დღეს ახალი წინადადებები არ შემოიტანა. ახლა ოფიციალური პირები კიდევ ერთ შეხვედრას ელიან შევარდნაძესთან, თეთრ სახლში, პარასკევს, ამჯერად პრეზიდენტ რეიგანთან“. თქვა ისიც, რომ შეხვედრა სასარგებლო იყო, ატმოსფერო — გულახდილი და რომ ჩვენ ძალზე გულახდილად ვსაუბრობდით ერთმანეთთან.

მეც დავეთანხმე მისეულ შეფასებას: „ბატონ შულცის აზრს ჩვენი შეხვედრის შესახებ სავსებით ვეთანხმები. შეხვედრა საინტერესო იყო, გულახდილი და სასარგებლო. როგორც ცნობილია, გულახდილობა ჭეშმარიტების წვდომის აუცილებელი პირობაა. ჩვენი დღევანდელი დიალოგი ბოლო არ გახლავთ. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა პრეზიდენტ რეიგანთან, მერე დიალოგს განვაგრძობთ ბატონ შულცთან, შემდეგ იქნება ნოემბრის შეხვედრა უმაღლეს დონეზე. საქმე, როგორც ხედავთ, ბევრი გვაქვს, კიდევ არაერთხელ შევხვდებით“.

ამ შეხვედრამ — საქმიანმა, გულახდილმა, ადამიანურმა — ვფიქრობ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩვენი შემდგომი ურთიერთობის ხასიათი, ინტონაცია და სტილი. სწორედ აქ იყო, ამ შეხვედრის დასასრულს, შულცს რომ ვუთხარი: „მსოფლიოში ბევრი რამ არის დამოკიდებული

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობებზე. პირადად ჩვენზეა ბევრი რამ დამოკიდებული. მე მსურს თქვენი პატიოსანი და საიმედო პარტნიორი ვიყო და თუ თქვენი ნება იქნება — მეგობარიც“.

მაშინ ჯორჯი ფეხზე წამოდგა:

— მე მზად ვარ საამისოდ, — მიპასუხა და ხელი მეგობრულად გამომიწოდა.

მას აქეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ურთიერთობა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები, ყოველთვის უხინჯო და ჰარმონიული არ გახლდათ, მე ყოველთვის ვგრძნობდი ჯორჯის გულწრფელობას.

სხვათა შორის, იმ დღესვე, ჩვენი საუბრის შემდეგ, გენერალურ ასამბლეაზე ჩემი გამოსვლის დროს, შულცი დარბაზში იჯდა და ყურადღებით მისმენდა. წინა წელს გრომიკოს გამოსვლას მან აღშფოთებული პასუხი გასცა. ახლა, ჩემს გამოსვლაზე, რომელიც საკმაოდ ხისტი იყო, იგი იღიმებოდა — ეტყობა, ყინულმა მართლა დაიწყო დნობა.

ჩემი და ჯორჯ შულცის ურთიერთობები სრულიად განსაკუთრებული იყო. მინდა ამ თემას ცალკე შევეხო.

ჩვენ, ქართველებს, გვაქვს გამორჩეული ნიჭი და უნარი სტუმრისა თუ მეგობრის პატივისცემისა, მაგრამ ჯორჯის გამომგონებლობა და სითბო ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, მართლაც მოულოდნელი და გასაკვირი იყო. მის ფანტაზიას არ ჰქონდა საზღვარი. ერთხელ, ჩემს პატივსაცემად მოწყობილ შეხვედრაზე, სახელმწიფო დეპარტამენტში, იელის უნივერსიტეტის გუნდს ქართული მრავალხმიანი სიმღერა „მრავალჟამიერი“ შეასრულებინა. იმ დღეს ჩვენი ერთობლივი მცდელობით ვაშინგტონში ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულებას საშუალო და დაბალი სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის თაობაზე და ამ დიდებული ქართული სიმღერით ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნამ ჩემზე განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მეგობრობა უმნიშვნელოვანეს, ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა ორი სახელმწიფოს თანამშრომლობასა და დაახლოებაში. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი იტყოდა — „ამის მეტი მე არაფერი შემიძლია“, რაზეც

მეორე სრული გაგებით მიუგებდა – „ასეც არის – ჩვენ ხომ არ ვთვალთმაქცობთ“.

მეც და შულციც ჩვენი ქვეყნების პირველი პირების მითითებებს ვასრულებდით და ძალაუნებურად შეზღუდულები ვიყავით გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ერთმანეთთან გულწრფელი დამოკიდებულება და საკუთარი ქვეყნის ინტერესთა დაცვა ყოველთვის განსაზღვრავდა ჩვენს ურთიერთობებს. ამასთან, ეს მეგობრობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას პროგნოზირებადს ხდიდა; ეს კი, თავის მხრივ, უაღრესად პოზიტიურ ზემოქმედებას ახდენდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. საბჭოთა დიპლომატიისათვის ეს აბსოლუტური სიახლე იყო.

ახლახან, ჩემი ბოლო გადადგომის შემდეგ, რუსეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა რაკიღა გაიგო, რომ მოგონებების წიგნზე ვმუშაობდი, მოსკოვიდან ჩემი იქ მოღვაწეობის ამსახველი საარქივო მასალები გამომიგზავნა. იქ არის ჩემი მოხსენებაც, რომლითაც საგარეო საქმეთა სამინისტროს კრებაზე გამოვედი. ამ გამოსვლის ლაიტმოტივი სწორედ პოლიტიკასა და სახელმწიფო ურთიერთობებში პატიოსნების თემა გახლდათ. ეს გამოსვლა ეხებოდა და განავრცობდა მიხეილ გორბაჩოვის სიტყვას გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე 1988 წლის 7 დეკემბერს. გორბაჩოვის ეს გამოსვლა შინაარსით მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ; იგი სახელმწიფოთა შორის ახალი ურთიერთობების თვალსაზრისით სრულიად ახალ პრინციპებს შეიცავდა. ამან საშუალება მომცა, ძალზე ბევრი ფუძემდებლური შეხედულება გამომეთქვა საგარეო პოლიტიკის შესახებ. უმთავრესი აქ სიმართლის, გულახდილობის, გულწრფელობის პრინციპების დამკვიდრება იყო. „უნდა ვიყოთ გულწრფელნი“ („Надо быть честными“) – ასეთი იყო ჩემი უმთავრესი მოთხოვნა თანამშრომლებისადმი. პოსტულატი იმის შესახებ, რომ არ გვეცრუა და პარტნიორთან პატიოსნად და ღიად გვეთამაშა, საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობათა პრაქტიკაში მართლაც დიდი სიახლე იყო, რადგან მე უარი ვთქვი საბჭოთა დიპლომატიის იმ ფუძემდებლურ პრინციპზე, რომელიც საკუთარი ხელშეკრულებების დაცვისადმი უპატიოსნო დამოკიდებულებით გამოირჩეოდა და დიპლომატია სი-

ცრუის შენიღბვასთან იყო გაიგივებული. ისიც პრინციპული სიახლე გახლდათ, რომ უარი ვთქვი საგარეო პოლიტიკაში კლასთა ბრძოლის პრინციპზე. ყოველივე ამან ბევრი სიკეთე მოუტანა ქვეყანას.

მახსენდება, იმხანად გაზეთ „Московские новости“-ში ჩემი ინტერვიუ დაიბეჭდა და „რადიკალურად“ პროგრესული ხასიათის გამო დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. მან აშკარად დადებითად იმოქმედა დასავლეთის პოზიციაზე. ამავდროულად, საბჭოთა კავშირში ყველას როდი მოუვიდა თვალში ადამიანის უფლებათა ლიბერალიზაციასა და საერთაშორისო საქმეებში გამჭვირვალობაზე მსჯელობა. კონტრასტი ჩემს პოზიციასა და საბჭოთა ნომენკლატურის მენტალიტეტს შორის ძალიან დიდი აღმოჩნდა. სწორედ ამ ინტერვიუს შემდეგ იწყება თითქმის აშკარა დაპირისპირება ჩემსა და პოლიტბიუროს კონსერვატიულ ნაწილს შორის.

ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი“ წერდა: „ტონითა და შინაარსით „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ გამოქვეყნებული შევარდნაძის ინტერვიუ საბჭოთა კავშირის მაღალჩინოსნების გამონათქვამებთან შედარებით ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე გულახდილია და აშკარად უკავშირდება ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო საქმეების გამჭვირვალობას. ეს ინტერვიუ შევარდნაძეს აშკარად გამოარჩევს საბჭოთა ხელისუფლების სხვა წევრებისგან, მედვედევისა და ლიგაჩოვის ჩათვლით, რომლებიც, ჩვენი აზრით, უფრო ფრთხილნი არიან აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში“.

იმავე თემას ასევე გამოეხმაურა ბი-ბი-სიც (22.12.88): „შევარდნაძის ინტერვიუ შეიცავს ყველაზე გულწრფელ გამონათქვამებს, რომლებიც ოდესმე გაკეთებულა პოლიტბიუროს წევრების მიერ საერთაშორისო არენაზე საბჭოთა კავშირის ქმედებებთან დაკავშირებით.

განაცხადა რა ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების ერთგულებისა და ქვეყანათა შორის ერთიერთობაში სანდაროობის შესახებ, შევარდნაძე უფრო შორს წავიდა, ვიდრე ეს გააკეთა გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე 7 დეკემბერს.

შევარდნაძის გამონათქვამები მოწმობს, რომ იგი მიეკუთვნება პოლიტბიუროს იმ წევრთა ჯგუფს, რომლებიც ჭეშმარიტ სანდაროობას

მოითხოვენ, თუმცაღა, შესაძლოა, მათივე აზრით, იგი ალბათ ძალზე ჩქარობს და ძალზე შორს მიდის".

მინდა სრულიად გასაგებად ვთქვა — მე ზედმეტად არასოდეს ვჩქარობდი და თუ ეს ვიღაცისთვის ასე ჩანდა, ჩემთვის ყოველივე სკრუპულოზურად გათვლილი და ბოლომდე აწონილ-დაწონილი გახლდათ.

დავუბრუნდეთ ისევ ჩემი და შულცის ურთიერთობებს. სწორედ ამგვარი ზნეობრივი და იმავდროულად, საქმესთან პრაგმატული დამოკიდებულება განსაზღვრავდა ჩემი და ჯორჯის მოლაპარაკებებს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიც იყო განიარაღება, რეგიონული კონფლიქტები, ადამიანის უფლებები, ორმხრივი ურთიერთობები.

შულცთან მეორე შეხვედრის შემდეგ, ჩემი წინადადებით, ყოველი საუბარი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით იწყებოდა, ხოლო როდესაც შულცი ბეიკერმა შეცვალა, განსახილველ საკითხებს მეხუთეც დაემატა — ტრანსეროვნული პრობლემები: სტიქიური უბედურებები, ნარკომანია, ეპიდემიები, საერთაშორისო ტერორიზმი და ა.შ. საკითხების ნუსხა მნიშვნელოვნად სცილდებოდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების ორმხრივ ურთიერთობებს და მთელ მსოფლიოს მოიცავდა.

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არ იყო ის გადამწყვეტი არგუმენტი, რომელიც ამერიკასა და ევროპას ბოლომდე დაარწმუნებდა ჩვენი განზრახვების გულწრფელობაში. უმთავრესი მაინც ის გახლდათ, რომ საბჭოთა კავშირს უარი უნდა ეთქვა იმ იდეოლოგიურ დოქტრინაზე, რომელიც საგარეო ურთიერთობებს კლასობრივ შეურიგებლობაზე აფუძნებდა. მარქსისტული დოქტრინით, ჩვენი საბოლოო და უმთავრესი მიზანი კაპიტალისტური სამყაროს, ჩვენი კლასობრივი მტრის განადგურება იყო. აი, სწორედ ამაზე უნდა გვეთქვა უარი და როდესაც „მოსკოვსკიე ნოვოსტიში" გამოქვეყნებულ ზემოხსენებულ ინტერვიუში მე ამის შესახებ განვაცხადე და ვთქვი, რომ ჩვენ უარს ვამბობთ საერთაშორისო ურთიერთობებში კლასთა ბრძოლისა და კლასთა შეურიგებლობის პრინციპით მოქმედებაზე, შულცმა ეს მაშინვე შენიშნა და ჩემი ტექსტი სასწრაფოდ დაუგზავნა ევროპელ კოლეგებს. თუ არ ვცდები, აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა საბჭოთა

კავშირში – ჯეკ მეტლოკმა შემდეგში ბრძანა: „როგორც იქნა, ვიხილე ის, რასაც ვეძებდი: კლასობრივი ბრძოლის, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი საფუძვლის ავტორიტეტული უარყოფა“.[12]

ამის საწინააღმდეგოდ, ეგორ ლიგაჩოვმა სმოლენსკში, თავის გამოსვლაში, განაცხადა, რომ მე ვეწინააღმდეგებოდი მარქსიზმის ფუძემდებლურ პრინციპებს. მაშინ გორბაჩოვმა წაუყრუა, რადგან იგი მხარს უჭერდა ამ ახალ კურსს, რაც მან მსოფლიო მასშტაბით საჯაროდ დაადასტურა კიდეც ზემოხსენებული გამოსვლისას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო საგარეო ურთიერთობებში პრინციპული შემობრუნება და ჩვენდამი ნდობის ხარისხიც პრინციპულად გაიზარდა. გაეროში ამ გამოსვლის შემდეგ, კემპ-დევიდში, გორბაჩოვმა უთხრა ახალარჩეულ პრეზიდენტ ბუშს: „საბჭოთა კავშირი არ აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოწინააღმდეგედ მიიჩნიოს“, რაზეც ბუშმა უპასუხა: „შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს დაემუქრება საბჭოთა ქვეყნის უსაფრთხოებას“. ამ ორი ზესახელმწიფოს მიერ ურთიერთუსაფრთხოების გარანტიების მიცემა მსოფლიო უსაფრთხოების გარანტიაც იყო.

ჩემსა და შულცს შორის სხვა მნიშვნელოვან შეხვედრათაგან გამოვყოფდი შეხვედრას 1986 წლის სექტემბერში ვენის კონგრესზე, რომელიც ავსტრიის ტერიტორიაზე 1814-15 წლებში ჩატარებული კონგრესის შემდეგ ყველაზე დიდი პოლიტიკური თავყრილობა გახლდათ. თავყრილობის მიზანი ევროპაში დაძაბულობის შენელების იმ პროცესის გაგრძელება იყო, რომელსაც საფუძველი ჯერ ჰელსინკიში ჩაეყარა 1975 წელს და შემდეგ ბელგრადსა და მადრიდში გაგრძელდა. ევროპის ქვეყნების დელეგაციების გარდა, ამ შეხვედრაში მონაწილეობდნენ აშშ-ისა და კანადის დელეგაციებიც. საბჭოთა დელეგაციას მე ვხელმძღვანელობდი.

კონფერენციის მთავარი თემები იყო: განიარაღება, ადამიანის უფლებები, ტრანსპორტი, გარემოს დაცვის პრობლემები.

ვენაში განსაკუთრებულად ელოდნენ საბჭოთა კავშირის და ამერიკის

12 Jack Matlock, „Autopsy on an Empire“, 1996, ს. 144

დელეგაციების ხელმძღვანელთა შეხვედრას, რომელსაც გორბაჩოვისა და რეიგანის რეიკიავიკში შეხვედრის შემდეგ, რეიგანისავე თქმით, შეეძლო „გაემყარებინა და გაეგრძელებინა“ იქ მიღწეული დადებითი შედეგები. და საერთოდ, სწორედ ამ შეხვედრაზე იყო დამოკიდებული მთლიანობაში ვენის შეხვედრის ხასიათი.

შულცთან შეხვედრამდე სხვები უნდა მენახა. შევხვდი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯეფრი ჰაუს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟან-ბერნარ რაიმონდს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰანს-დიტრიხ გენშერს, რომელმაც გერმანიის მთავრობის წერილობითი განცხადება გადმომცა გორბაჩოვსა და ჰებელსს შორის კოლის მიერ გავლებული იმ უხერხული პარალელის გამო (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). ეს განცხადება და კოლის შესაბამისი გამოსვლა ბუნდესტაგში ხაზგასმითი მობოდიშება იყო და გაუგებრობა ამით ამოიწურა.

შემდეგ, როგორც ზემოთ ვთქვი, შულცთან შეხვედრა გაიმართა. იგი ხუთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. აქედან სამი საათი კონფიდენციალური საუბარი გვქონდა. ამ მოლაპარაკებაზე შემდეგი საკითხები განვიხილეთ: ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული რეგიონული პრობლემები, სამოქალაქო კოსმოსური პროგრამები, ბირთვული სინთეზი, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ბირთვული შეიარაღების კონტროლი და სხვა.

გულახდილი და ღრმა საუბარი გამოვიდა, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ვერ შევთანხმდით. სამაგიეროდ დავთქვით, რომ მათზე (სტრატეგიული შეიარაღების შემცირება, კოსმოსური თავდაცვა და ზოგიერთი სხვა) მუშაობას ჩვენც და ჩვენი ექსპერტებიც გავაგრძელებდით.

ერთი ან ორი შეხვედრით, სახელმწიფოთა შორის კი არა, ადამიანთა ურთიერთობაში არ წყდება პრობლემები. მთავარი სხვა იყო — ჩვენ გულწრფელად დავადასტურეთ, რომ ჭეშმარიტად გვსურს საკამათო პრობლემების გადაჭრა და რომ გვჯერა ერთმანეთის. ამას კი მოლაპარაკების დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ურთიერთობის დამყარება, ერთმანეთისკენ სავალი გზების ძიება, ერთმანეთის მოსმენა ადამიან-ურ ურთიერთობებში ძალიან ბევრს ნიშნავს, დიპლომატიაში ხომ მით უფრო.

ამის საილუსტრაციოდ მინდა გავიხსენო გორბაჩოვსა და რეიგანს შორის შეხვედრები ჯერ ჟენევაში და შემდეგ რეიკიავიკში.

გორბაჩოვისა და რეიგანის პირისპირ შეხვედრას მხოლოდ თარჯიმნები ესწრებოდნენ. მე და შულცი გარეთ ვიყავით, რაღაცებზე ვსაუბრობდით. მთავარზე მთავარი აქ შეხვედრის ფაქტი იყო, მერე კი ის, რას მოილაპარაკებდნენ.

გორბაჩოვს გული ეთანაღრებოდა, არ უნდოდა ჟენევაში წასვლა. ნახევარი საათი ვიქნებით სასაუბროდო. არადა ის შეხვედრა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. მერე გამოვიდნენ. ორივე აპილპილებული იყო. გორბაჩოვი მეუბნება:

— Поехали на дачу.

მანქანაში არაფერი მითხრა. მივედით ვილაში. რაისა დაგვხვდა, საქმე როგორ არისო?

გორბაჩოვი მეუბნება:

— Пусть подготовят самолёт. Улетаем. С этой администрацией нельзя иметь дело.

მშვიდად ვუთხარი, მთავარი მაინც შეხვედრის ფაქტია და იქნებ არ ღირდეს-მეთქი ჩაშლა. რაისამაც იგივე გაუმეორა.

— Нет, нет, с этим человеком нельзя иметь дело, — დასძინა გორბაჩოვმა.

მთელი საათი, სანამ წავიხემსებდით, ვარწმუნებდით, რომ შეხვედრის ჩაშლა არ შეიძლებოდა...

მართლაც მივუბრუნდით მოლაპარაკებას — ზოგად თემებზე ვისაუბრეთ. ეს მათი პირველი შეხვედრა იყო, რომელიც ჩაშლის პირას იდგა და წკიპზე გადარჩა. სხვა შეხვედრები ჯერ კიდევ წინ იყო. ჟენევის შეხვედრა, არცთუ დიდად წარმატებული, აუცილებელი იყო დიდი და ძნელი გზის დასაწყებად, რომლის გავლამაც მსოფლიო ნამდვილად შეცვალა და იგი საცხოვრებლად უფრო უსაფრთხო გახადა.

* * *

გორბაჩოვმა მთხოვა: „გაფრინდი ვაშინგტონში და იქნებ რეიგანს მოელაპარაკო. ჰკითხე, ხომ არ მოვიდა ჩვენი შეხვედრის დრო?“

ჩავედი ვაშინგტონში. შულცი მელოდა. არ იცოდა, რისთვის ჩავე-

დი. ვუთხარი, გორბაჩოვს ასეთი იდეა აქვს-მეთქი. იქვე აიღო ტელეფონი და პირდაპირ რეიგანს დაურეკა: ჩემთან შევარდნაძეა, გორბაჩოვმა გამოაგზავნა, ხომ არ დადგა ჩვენი მეორე შეხვედრის დროო. რეიგანი იქიდან რაღაცას ეუბნება, შულცი ჩუმად ზის. მივხვდი, მთლად ვერ იყო საქმე კარგად.

შულცმა მეორე დღისთვის რეიგანთან დამიბარა. ერთად მივედით. რეიგანი ადრე ყოველთვის ღიმილით მხვდებოდა, კეთილგანწყობილი იყო ჩემდამი, თავის მოგონებებში აღნიშნავს კიდეც: საბჭოთა კავშირის სიმპათიური მინისტრიო.

ცოტა ცივად შემხვდა.

— რა საკითხი უნდა განვიხილოთ?

— გორბაჩოვს მიაჩნია, რომ მეორე შეხვედრის დრო მოვიდა.

— მე ხომ უნდა მოვიფიქრო?

— მაგრამ მე ხომ უნდა ვიცოდე, რა პასუხი ჩავიტანო? — ცოტა განაწყენებულმა შევუბრუნე კითხვა.

მიპასუხა:

— თანახმა ვარ, მაგრამ სად შევხვდეთ? ვაშინგტონში ალბათ მას არ აწყობს, მოსკოვში — მე... რეიკიავიკი რომ იყოს? ფაქტობრივად, შუა გზაზეა.

რეიკიავიკი, ისლანდიის დედაქალაქი, მართლაც შუალედური ვარიანტი იყო. როცა მოსკოვიდან მივფრინავდით ხოლმე ამერიკაში, საწვავის ჩასასხმელად თვითმფრინავი იქ ჯდებოდა.

ვუპასუხე:

— გორბაჩოვს მოვახსენებ, მაგრამ ჩანს, თქვენ რეიკიავიკისკენ იხრებით.

დამეთანხმა.

მოსკოვში ჩავლისთანავე გორბაჩოვს ყველაფერი მოვახსენე.

— მგონი, რეიკიავიკი ნახევარ გზაზეაო.

გორბაჩოვი დათანხმდა.

მოკლედ, რეიკიავიკში შედგა შეხვედრა. გორბაჩოვი და რეიგანი ისევ მარტო სხედან, ჩვენ — მე და შულცი — გარეთ ვართ. შულცმა იცოდა თქმა, რაც უფრო დიდხანს არიან ერთად, მით უკეთესი — შეეჩვევიანო ერთმანეთს.

მერე გამოვიდნენ, კიბეზე დაეშვნენ და პირდაპირ მანქანებისკენ წავიდნენ. რეიგანი გალიზიანებული ჩანდა. გორბაჩოვი უფრო მშვიდად გამოიყურებოდა. გამომშვიდობებისას რეიგანმა უთხრა: „თქვენ მე არ დამითმეთ ერთი სიტყვა, არ დამითმეთ და შეთანხმებაც არ გამოვიდა“.

გორბაჩოვი: „გინდათ შევბრუნდეთ?“ რეიგანი არ დათანხმდა და წავიდა. გორბაჩოვი ჩუმად იდგა, სულაც არ ჩანდა აღელვებული.

მანქანაში ჩავსხედით, მგონი, ალექსანდრ იაკოვლევიც იყო ჩვენთან ერთად. ვთქვით, რომ თავად შეხვედრის ფაქტი შეიძლება დადებითად შეფასდეს.

მიგვიყვანეს იმ შენობასთან, სადაც გორბაჩოვის პრესკონფერენცია უნდა ჩატარებულიყო. ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი. პარალელურად, ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მიმდინარეობდა რეიგანის პრესკონფერენცია. ჩვენ, ცხადია, არ ვიცოდით რას ამბობდა იგი, ხოლო მან არ იცოდა, რას იტყოდა გორბაჩოვი.

გორბაჩოვმა განაცხადა: „კოლეგები დამიდასტურებენ — შეხვედრა შედგა. ეს კარგი შეხვედრა გახლდათ, მე ვიტყოდი — ეს იყო ინტელექტუალური გარღვევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობებში“. ეს ფრაზა ისტორიას შემორჩა.

რეიგანმა რა ილაპარაკა, არ ვიცი, მაგრამ ამ შეხვედრამ მომავალ წარმატებულ მოლაპარაკებებს დაუდო სათავე. რეიგანმა ირწმუნა, რომ ჩვენთან მოლაპარაკება შეიძლებოდა. რეიკიავიკში იგი უკვე სხვაგვარი იყო. უფრო კეთილგანწყობილი.

რეიგანთან ურთიერთობა ნამდვილად არ იყო იოლი. არ დამავიწყდება მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სიტყვები, რომელიც მისგან მოვისმინე ვაშინგტონში რეიგანთან პირველი შეხვედრის წინ: „საქმის გაკეთება თუ გინდათ, რეიგანთან გამონახეთ საერთო ენა, იგი ნამდვილი მემარჯვენეა — მასზე მარჯვნივ მხოლოდ ნაძირალებლა არიან“.

ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა

საბჭოთა კავშირის ახალი შიდა და გარე პოლიტიკა მოითხოვდა ძირეულ და პრინციპულ ცვლილებებს. ერთ-ერთი მთავარი, რაც

სასწრაფოდ უნდა გადაწყვეტილიყო და შეწყვეტილიყო – ავღანეთში ომი გახლდათ, რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ახალი დანიშნული ვიყავი მინისტრად, როცა 1985 წლის ბოლოს, დეკემბერში, მოსკოვში ჩამოიყვანეს ავღანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ბაბრაქ ქარმალი, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ნაჯიბი, იგივე – ნაჯიბულა (განსხვავება „ნაჯიბსა“ და „ნაჯიბულას“ შორის შემდეგ თავად ნაჯიბულამ აგვიხსნა – როდესაც ახალგაზრდა იყო, ნაჯიბი ერქვა, ხოლო უფრო ასაკოვანს, თანაც პირველ პირს, პატივისცემის ნიშნად ნაჯიბულა შეეფერებოდა) და კიდევ ოთხი-ხუთი თანამდებობის პირი.

თუ არ მეშლება, მათთან თათბირს ვესწრებოდით გორბაჩოვი, გრომიკო და მე. ავღანური დელეგაციის წევრებმა ჩვეულებისამებრ ანგარიში ჩაგვაბარეს – რა როგორ არის, რა გაუმჯობესდა, რა გაუარესდა. ძალზე მძიმე სურათი დაიხატა. მე და გორბაჩოვს ნათქვამი გექონდა, რომ ადრე თუ გვიან ეს საკითხი უნდა გადაგვეწყვიტა, ჯარები გამოგვეყვანა, რადგან იქ არაფერი გვესაქმებოდა, თავად ჩვენს ქვეყანაში გვქონდა პრობლემები მოსაგვარებელი, თანაც ავღანეთი უძირო ჭა იყო, ადამიანური და ფინანსური რესურსების უძირო ჭა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიტიკური, ჰუმანური და სამხედრო ასპექტით, ჩვენს ქვეყანას აღარ შეეძლო ამ ტვირთის ზიდვა.

ყოველივე ამაზე ლაპარაკი, როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენ კარგა ხნის წინ გვქონდა, ბიჭვინთაში – მაშინ იგი გენერალური მდივანი ჯერ არ იყო. გენერალური მდივნის როლში კი ძალიან ფრთხილობდა. ორჯერ რომ შევახსენე, დამეთანხმა და ამათაც უთხრა – „ჩვენი ჯარი გამოვა, იარაღს რამდენსაც გინდათ, მოგცემთ, მოგცემთ ყველაფერს და თქვენ თვითონ იომეთ“. სტუმრები ამას არ ელოდნენ – მოვიფიქრებთ, თუმცა გაგვიჭირდებაო.

გორბაჩოვმა დაჟინებით გაუმეორა – „ჩვენი ჯარი უნდა გამოვიდეს ავღანეთიდან, იარაღს დაგიტოვებთ, დამატებით რამდენსაც გინდათ, იმდენს მოგცემთ. თქვენი ჯარი შეაიარაღეთ და ჩაანაცვლეთ ჩვენს ჯარს“.

გავიდა ორი-სამი წელიწადი და არაფერი იძერის. დანიშნული იყო

პარტიის, თუ არ ვცდები, XXVII ყრილობა და გორბაჩოვს ვთხოვე, საანგარიშო მოხსენებაში შეეტანა თეზისი ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის შესახებ. შეიტანა, მაგრამ შემდეგ პოლიტბიუროს წევრებში ატყდა ერთი ხმაური — ეტყობა, ყველა არ ეთანხმებოდა, თუმცა აშკარა შეწინააღმდეგებაც ვერავინ გაბედა. ამ მითქმა-მოთქმამ მაინც ეჭვი გამიჩინა, ვაითუ გადათქვას-მეთქი.

ყრილობის წინ, ღამის თორმეტ საათზე დაგვირიგეს მოხსენების საბოლოო ვარიანტი. ასეთი წესი იყო, პოლიტბიუროს წევრებს უნდა წაგვეკითხა.

წავიკითხე. სად არის ავღანეთის საკითხი?! არ არის... ღამის პირველი საათი იქნებოდა, გორბაჩოვს შინ რომ დავურეკე. დარეკვაც არ იყო იოლი, მაგრამ მე რომ ვურეკავდი, ყოველთვის მპასუხობდა ხოლმე.

დავურეკე და ვუთხარი: „მივიღე მოხსენების საბოლოო ვარიანტი. ავღანეთი აქ არ არის.“

— Может немножко повременим? — ზუსტად ასე მითხრა.

ამაზე მივუგე, ამ თემას ჩემს გამოსვლაში მე გამოვიტან, ამის დრო მოვიდა, ხალხი მხარს ნამდვილად დამიჭერს, თქვენ კი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებით-მეთქი.

— Что ты, что ты, разве так можно?

ისევ ვუთხარი, რომ მთელი სერიოზულობით ვამბობდი ამას.

— Будет, — მიპასუხა, — завтра я восстановлю эту формулировку.

მეორე დილით, სამსახურში რომ მიდიოდა, დამირეკა. მე უკვე კაბინეტში ვიყავი და ყრილობაზე წასასვლელად ვემზადებოდი. შემრიგებლური ტონით, შინაურულად და ცოტა ირონიულადაც კი მითხრა:

— Твое задание выполнено.

არ მინდა ვინმემ არასწორად გაიგოს ყველაფერი ეს და ალბათ პატარა წიაღსვლა უნდა გავაკეთო.

მართალია, საგარეო საქმეთა სამინისტროდან ბევრი ინიციატივა მიდიოდა ზემოთ, მაგრამ იქ პოლიტბიურო იდგა და იყო გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი. ყველა შესაბამისი პრინციპული გადაწყვეტილება წინასწარ მასთან და პოლიტბიუროსთან იყო შეთანხმებული — არა დეტალებში, მაგრამ ძირითად მიმართულებებში აუცილე-

ბლად. რაც შეეხება ავღანეთს, ამ ქვეყნის პრობლემებს მე კარგად ვიცნობდი, ათჯერ მაინც ვიყავი ავღანეთში ნამყოფი (ჩემთან ერთად, როგორც წესი, უშიშროების მინისტრის მოადგილე ვლადიმირ კრიუჩკოვიც იყო ხოლმე).

გორბაჩოვის მოხსენებაში იყო ასეთი პრინციპული ფრაზა: „Мы хотели бы уже в самом ближайшем будущем вернуть на родину Советские войска находящиеся в Афганистане". ეს ათასობით ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას ნიშნავდა.

1988 წლის 5-7 იანვარს ავღანეთში გავფრინდი ცეკას მდივან ანატოლი დობრინინთან ერთად. რაკიღა ავღანეთის საქმე დაიძრა, სწრაფად და ენერგიულად უნდა გვემოქმედა. იქ დამხვდნენ ავღანეთის კომპარტიის მდივანი ნაჯიბულა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქეშთმანდი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ვაქილი, თავდაცვის მინისტრი რაფი, უშიშროების მინისტრი იაკუბი, შინაგან საქმეთა მინისტრი გულიაბზოი.

რაც მითხრეს, იმის მიხედვითაც კი უმძიმესი მდგომარეობა იყო, მაგრამ რაც არ მითხრეს?

მოსალმებისას ნაჯიბულამ მითხრა: „ინტერნაციონალისტ მეომრებს შორის თქვენი თანამემამულენიც არიან, 1649 კავკასიელი, მათგან – 314 ქართველი". არ შევიმჩნიე – ვიცოდი, რომ იქ მარტო იმ საბჭოთა ჯარისკაცებისათვის კი არ ვიყავი ჩასული, ვისაც ხოცავდნენ და ვინც ხოცავდა, ან მხოლოდ ავღანელების გადასარჩენად, არამედ იმ კავკასიელებისა და ქართველების გადასარჩენადაც, რომელთაც საერთოდ არაფერი ესაქმებოდათ ამ ქვეყანაში. ვფიქრობდი, თუ ერთი ადამიანი მაინც გადავარჩინე, ეს მაინც ხომ ჩამეთვლება მადლად განკითხვის ჟამს?!

უკვე შემდეგ, მოსკოვში, პოლიტბიუროს წევრების მხარდაჭერა რომ მომეპოვებინა, მათ წინაშე მოხსენებით წარვდექი და ყველაფერი დაუფარავად მოვახსენე. ვთქვი, რომ: „ავღანეთი ომისგან დაიღალა. ავღანელთა უმრავლესობა ჩვენს მხარეზე არ დგას, მათ ვერაფერი მივეცით, ქვეყანაში ყველაფერი გაჩანაგებული და განადგურებულია. ხალხი შიმშილობს, არმია არაფრად ვარგა, ბრძოლისუნარაროა, ბევრია „მკვდარი სული", ჯარისკაცებისა და ოფიცრების ფულს ითვისებენ, ბევრია დეზერ-

ტირიც“... ამასთან დაჟინებულად: „ავღანეთი უძირო ჭაა, რომელშიც უამრავი ფული იყრება, მეც არ ვიცი, რამდენი. თუ იაპონელებისა და ამერიკელების გათვლას ვენდობით, წელიწადში დახლოებით ორ მილიარდამდე. ამასთან, იქ მარტო ჩვენი ხალხი კი არ იღუპება, არამედ ჩვენი ავტორიტეტიცა და ღირსებაც ილახება. მოკლედ, ავღანეთი ის ჭაობია, რომელიც უფრო და უფრო გვითრევს და იქიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა ამოვიდეთ, ოღონდ ისე, რომ არც ჩვენი მეგობრები მივატოვოთ უპატრონოდ და არც ქვეყანა. ავღანეთიდან ჯარის გამოყვანა უპირველესად საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებისა და მისი საგარეო თუ საშინაო პრობლემების გადასაჭრელად არის საჭირო“.

ყველაზე რთული მაინც „ავღანელ“ სამხედროებთან შეხვედრა იყო. ხალხით გაჭედილ დარბაზში მე ერთი ვლაპარაკობდი. შემაშფოთებელი დუმილით შემხვდნენ, არც შეკითხვები იყო, არც გამომსვლელები — ჩანდა, გენერალიტეტის ერთ ნაწილს ავღანეთიდან გამოსვლა არ სურდა. რატომ? ხალხი ხომ იღუპებოდა?! იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების გასაღება იქ დიდ მასშტაბს აღწევდა. ძნელია ამის თქმა, მაგრამ ხომ ვერ დავმალავდი?! ისიც სათქმელია, რომ დარბაზში უმეტესად ქვეყნის ერთგული და პატიოსანი, მრავალჭირგადანახადი ოფიცრობა იჯდა, მაგრამ ისინიც დუმდნენ — არ სურდათ ამ სიბინძურესთან შეხება. მაშინაც არაფერი უთქვამთ, როცა გამოვაცხადე, სამშობლოში ბრუნდებით, სადაც ოჯახები გელიან-მეთქი. პასუხად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩემთვის ნაწილობრივ გასაგებიც იყო ეს სიჩუმე. არავინ იცოდა, რა ელოდათ მათ სამშობლოში — ალბათ ტრადიციული უბინაობა, სიღატაკე, დამარცხებული ჯარის შელახული ავტორიტეტი. მე მესმოდა მათი, მაგრამ ცხოვრება და ქვეყანა სხვა, სწორი გზით რომ წასულიყო, ეს ომი უნდა შეწყვეტილიყო.

ამ შეხვედრამ ძალიან შემაშფოთა და განმიმტკიცა აზრი, რომ არმიაში საქმე კარგად ვერ იყო. შემდეგ, როგორც კომისიის თავმჯდომარე, რამდენიმეჯერ შევხვდი სამხედროებს. მათ ვუხსნიდი, რომ პრინციპული გადაწყვეტილება ჯარის გამოყვანაზე უკვე მიღებულია და ახლა უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება სწრაფად და უმსხვერპლოდ მოხდეს ეს ყველაფერი.

მოგეხსენებათ, ავღანეთში ძალზე რთული გზებია, არც ჩასაფრება და დივერსია იყო გამორიცხული, მაგრამ რაკიღა ავღანელები თავად ესალმებოდნენ საბჭოთა ჯარების გამოსვლას, მათი მხრიდან არავითარი წინააღმდეგობა აღარ ყოფილა — არც ერთი საბჭოთა ჯარისკაცი არ დალუპულა. იარაღიც მათ დავუტოვეთ — ჩვენს მომხრეებს, რა თქმა უნდა.

გავიდა ხანი და მე და გორბაჩოვი ნაჯიბულასა და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებს ტაშკენტში შევხვდით. საინტერესოა, რომ ჩვენი ტაშკენტში ყოფნის პარალელურად, ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟენევაში განაცხადა: „მე არაფერი ვიცი ჯარების გაყვანაზე, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ამას ავღანეთი არ დაეთანხმება“. ერთი აურზაური ატყდა. მერე ავღანეთის პირველმა პირმა, ნაჯიბულამ დაურეკა და განუმარტა, რომ ეს გადაწყვეტილი საკითხია. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ხაზი გავუსვა, თუ პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად რაოდენ ძნელი იყო ჯარების გამოყვანა.

ავღანეთიდან ბევრი თუთიის კუბოთი დაბრუნდა შინ, ბევრი — დასახიჩრებული. იქითა მხარესაც მრავალი დაიღუპა და გაუბედურდა. ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთი საბჭოთა გენერალი და ოფიცერი მილიონერი გახდა, მათ ხელი მოითბეს იარაღისა და ნარკოტიკების ვაჭრობით. ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში ამაზე კიდევაც მივუთითე: ამგვარი სიგნალები მომდის-მეთქი.

ასე იყო თუ ისე, ჯარი მშვიდობიანად გამოვიყვანეთ. შემდეგში ავღანეთისთვის დახმარების პროცესის კურირება მე დამევალა. აქაც უამრავი პრობლემა იყო გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი — დაწყებული იარაღის მიწოდებით და დამთავრებული ჰუმანიტარული ტვირთებითა და მათი ტრანსპორტირებით. სად საგარეო საქმეთა მინისტრი და სად ტრანსპორტი? მაგრამ რას ვიზამდი — დავემორჩილე პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას, ოღონდ იმ პირობით, რომ რასაც მოვითხოვდი, მომცემდნენ. ავღანეთის ხელმძღვანელობას დავუკავშირდი და ვუთხარი, სასწრაფოდ შემატყობინეთ, რა გჭირდებათ და რამდენი-მეთქი. მართლაც, პირველი პარტია მაშინვე გავუგზავნეთ; გავუგზავნეთ მეორე პარტიაც, მაგრამ მერე მე გადავდექი თანამდებობიდან და ავღანეთიც მიაგდეს. მიაგდეს, თორემ ნაჯიბულას თავისი გავლენის შენარჩუნება ნამდვილად შეეძლო.

ნაჯიბულა, ავღანეთის მაშინდელი პირველი პირი, ჩემთან მეგობრობდა. ძალიან კარგი პიროვნება იყო. ასე 38-39 წლის კაცი გახლდათ, ძალზე ჭკვიანი და განათლებული, გაბედული, შესანიშნავი გამოსვლები ჰქონდა, ბრწყინვალე ოჯახის პატრონი იყო, მეულღლედ გადატრიალების შედეგად გაძევებული მეფის – მუჰამედ დაუდის შვილიშვილი ჰყავდა.

სხვათა შორის, მუჰამედ დაუდს თავის დროზე გამორჩეულად კარგი დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა კავშირთან. 1917 წლის რევოლუციის მერე ავღანეთმა პირველმა ცნო საბჭოთა კავშირი. ურთიერთდახმარების ხელშეკრულებაც ჰქონდა დადებული, მაგრამ მაინც მოუწყვეს ავღანეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, თარაქის მეშვეობით გადატრიალება და მერე აირია ყველაფერი. ავღანეთი დღესაც ვერ დალაგებულა.

მაშინ ნაჯიბულას ვუთხარი, მეფის დაბრუნების საკითხი ხომ არ განვიხილოთ, იმ პირობით, რომ შენ ხელს არ გახლებს-მეთქი. არ ჩამოვაო, მითხრა.

მაინც წავედი იტალიაში მუჰამედ დაუდთან მოსალაპარაკებლად. თბილად მიმიღო თავის დიდ ვილაში. მითხრა, ვიცი თქვენი განწყობილება ავღანეთის მიმართ, მუდმივად ვიღებო ინფორმაციას. სამშობლოში დაბრუნება და ქვეყნის ხელმძღვანელობა შევთავაზე. კატეგორიული უარი განაცხადა: „არ არის იქ შესაბამისი სიტუაცია. აუცილებლად აირევა ყველაფერი. ჩემზე უკეთ ავღანელებს არავინ იცნობს. თქვენ ჩაგეთვლებათ, რომ რაღაც გადაწყვიტეთ, მერე გეტყვიან, რომ არაფერიც არ გაგიკეთებიათ და თქვენც ბრალდებას წაგიყენებენ და მეც. ასე რომ, არც თქვენ გირჩევთ ამას და არც მე ვარ ამის გამკეთებელი“.

თუმცა, ახლა, როდესაც იქ ამერიკელები შევიდნენ, მეფე დაბრუნდა. ეტყობა, იმ დროს მის თვალში საბჭოთა კავშირს საბოლოოდ დაკარგული ჰქონდა ნდობა. ნდობა მართლაც ბევრის თვალში დაკარგეთ.

1989 წლის 15 თებერვალს, ჟენევის შეთანხმების შესაბამისად, დამთავრდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა.

საბჭოთა ავანტიურა კრახით დასრულდა, მაგრამ ავღანელთა უბედურებას დასასრული არ ეწერა. ის დიდი სამოქალაქო დაპირ-

ისპირება, რომელიც საბჭოთა ჯარების იქ შესვლას მოჰყვა, ფაქტობრივად დღესაც არ დასრულებულა. მე ეს მაშინაც კარგად ვიცოდი; ვიცოდი, ჯარების გამოყვანის შემდეგ ქვეყანა აირეოდა, ჩვენს მომხრეებს ანგარიშს გაუსწორებდნენ. ნაჯიბულასა და მის მეუღლეს შევთავაზე, საბჭოთა კავშირში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. ორივემ უარი თქვა, უცხოეთში ყოფნას აქ სიკვდილი გვირჩევნია. ჩვენ აქ დავრჩებით ბედნიერ დასასრულამდე ან უბედურ აღსასრულამდეო.

მართლაც, ორივემ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე — ჩამოახრჩვეს. ეს ცოდვაც იმათ კისერზე იყოს, ვინც საბჭოთა ჯარი შეიყვანა ავღანეთში და ხალხს დალაგებული ყოფა აურია.

საკუთარი ცხოვრების წესის სხვისთვის თავზე მოხვევა ყოველთვის გამოუსწორებელ შედეგებს იწვევს. თუ ხალხების მსოფლმხედველობრივი, კულტურული და რელიგიური თანადამთხვევა არ არსებობს და ამასთან, სურვილიც არ გაგაჩნია ამ თავისებურებებში გარკვევისა — შედეგი ყოველთვის სავალალოა.

ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა მსოფლიომ და იქ მებრძოლი საბჭოთა თუ ავღანელი ბიჭების დედებმა სიკეთედ ჩამითვალეს, მაგრამ ბევრი იყო ისეთი, ვინც ეს ჰუმანური აქტი ლამის სახელმწიფო ღალატად მონათლა. მათი აზრით, დამნაშავე მხოლოდ მე ვიყავი, და არა გორბაჩოვი ან პოლიტბიურო. ისევე როგორც ევროპიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა და გერმანიის გაერთიანება, ისევე როგორც ბევრი რამ, მხოლოდ ჩემი „ბრალი“ აღმოჩნდა. იძულებული გავხდი, გავლენიან „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მათთვის პირდაპირ მეპასუხა: „დიდია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ რით? ტერიტორიით? მოსახლეობის სიმრავლით? იარაღით? თუ ეროვნული უბედურებებით? ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების დეზორგანიზაციით? რა არის საამაყო, რომ ჩვენთან ყველაზე მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობა? რანი ვართ და რანი გვინდა ვიყოთ: ერი, რომლისაც ეშინიათ, თუ ერი, რომელსაც პატივს სცემენ?“

სიმართლე გითხრათ, ამ წერილის კონკრეტული ადრესატები მასწავლებლები იყვნენ, ჩემთვის ყველაზე პატივსაცემი ხალხი. ისინი ხომ თავის მსგავსებს ზრდიან, რომელნიც შემდეგ ან პარლამენტიდან დაუ-

ქნევენ მუშტს მსოფლიოს, ან ბოევიკის ფორმაში გადაცმულნი „დერჟავას“ სახელით სხვის სახლსა და სახელმწიფოს აფეთქებენ. საშინელებაა, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ სიმართლე მხოლოდ შენს მხარესაა და ვინც სხვაგვარად ფიქრობს, მზად ხარ, გაანადგურო.

მოულოდნელი კომპლიმენტი რიჩარდ ნიქსონისგან

რიჩარდ ნიქსონს მანამდე არასოდეს შევხვედრივარ. ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი სხდომის შემდეგ, სასტუმროში ვისვენებდი. ჩემდა გასაკვირად, თანაშემწემ მომახსენა, რომ ტელეფონით დაგვიკავშირდნენ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის — რიჩარდ ნიქსონის სამდივნოდან. გაირკვა, რომ იგი საავადმყოფოში ყოფილა, იმხანად თავს უკეთ გრძნობდა და ძალიან უნდოდა ჩემთან შეხვედრა. ცხადია, დავთანხმდი და ნიქსონიც საავადმყოფოდან პირდაპირ ჩემთან, სასტუმროში მობრძანდა.

დავიწყეთ საუბარი სსრკ-აშშ-ის ურთიერთობის თაობაზე, უფრო გლობალურ საკითხებსაც შევეხეთ, შემდეგ კი მითხრა:

— კარგა ხანია, თვალს გადევნებთ. თითქმის ყველა თქვენი პრესკონფერენცია მახსოვს. მინდა გითხრათ, რომ თქვენ პოლიტიკოსისათვის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს თვისებას ფლობთ. ჯერ ერთი, კარგად გამოიყურებით ტელეეკრანზე; სიმპათიური გარეგნობა გაქვთ, ეს კი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის ძალზე ბევრს ნიშნავს (ალბათ, ქალებს თუ გულისხმობდა, ჩემთვის ჩამეცინა.). მეორე, მეტყველებთ პირდაპირ და სერიოზულად, ყოველგვარი წვრილმანების გარეშე. თქვენთვის უცხო არ არის იუმორის გრძნობა, რაც აგრეთვე იზიდავს მაყურებელს. მოკლედ, ყველა თვისება გაქვთ საიმისოდ, რომ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოთ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ყველაფერი ეს მოულოდნელი იყო. ჩემ წინაშე იჯდა უდიდესი პოლიტიკოსი, რომელმაც პოლიტიკური აღმავლობის სიხარულიც უწყოდა და მარცხის სიმწარეც. ვფიქრობ,

მისი ვიზიტი ჩემი მსარდაჭერაც იყო და ერთგვარი გაფრთხილებაც — პოლიტიკოსის გზა ყოველთვის აღმავალი ვერ იქნებაო.

მადლობის გარდა რა მეთქმოდა. ვუთხარი:

— საბჭოთა კავშირში თქვენს ვიზიტს 1972 წელს განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებდი თვალს. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ორ ზესახელმწიფოს შორის დაწყებული დათბობის ერთ-ერთი უმთავრესი ინიციატორი თქვენ ბრძანდებით.

შევატყვე, ესიამოვნა.

ჩვენმა შეხვედრამ დაახლოებით ერთ საათზე მეტხანს გასტანა.

რაც შეეხება ჩემს პრესკონფერენციებს თუ საჯარო გამოსვლებს, ერთი რამეც მახსენდება. მოგვიანებით, უკვე პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა პირველივე შეხვედრისას მითხრა: „როგორც კი საშუალება მეძლეოდა, დიდი ინტერესით ვუყურებდი თქვენს პრესკონფერენციებს. მახსოვს, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადება რომ გააკეთეთ, ტელევიზორის წინ წამოვდექი და ტაში დავუკარი“.

რესპუბლიკელი ნიქსონისა და დემოკრატი კლინტონის შეფასებები ერთმანეთს დაემთხვა: არგუმენტირებულობა, წვრილმანი დეტალებისათვის თავის არიდება და იუმორით ნაზავი სერიოზულობა...

კომპლიმენტი მხოლოდ ქალებს არ უყვართ...

ირანი: აიათოლა ხომეინი

მსოფლიოში ბევრგან მომიწია ყოფნამ — დაწყებული ამერიკითა და სკანდინავიით, იაპონიით, აფრიკითა თუ ავსტრალიით დამთავრებული. საოცარი სხვაობებია — მისალმების ჟესტებიც კი სხვადასხვაგვარია და ეს სხვადასხვაგვარი გამოხატვა და აღქმა რეალობისა შეიძლება ზოგჯერ გაუგებრობების საფუძვლადაც კი იქცეს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩემი ვიზიტი ირანში აიათოლა ხომეინისთან, 1989 წელს.

ამ დროისათვის ირანთან, რომ იტყვიან, ნელთბილი ურთიერთობა გვქონდა. იგი შვიდი წელი ეომებოდა საბჭოთა კავშირის მეგობარს, ერაყს. ამ დროს ჩვენ ჯარი გვყავდა შეყვანილი ავღანეთში და ისე

გამოვიდა, რომ ირანში რეზა ფეჰლევის გადაყენების შემდეგ საბჭოთა კავშირიდან მთელი შვიდი წლის განმავლობაში, ოფიციალურ ვიზიტად, არც ერთი მაღალი პირი არ ჩასულა. მოკლედ, რაიმე მნიშვნელოვანი კონტაქტები ამ ხნის განმავლობაში არ გვქონია და გადაწყდა, რომ ჩემი აღმოსავლური ტურნეს ფარგლებში, სირიისა და ერაყის შემდეგ ირანში ჩავიდოდი ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის მოსაგვარებლად.

ურთიერთობის ნორმალიზების სურვილი ირანის მხრიდანაც შეიმჩნეოდა და ამის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო იმამ ჰომეინის ექვს-შვიდგვერდიანი წერილი მიხეილ გორბაჩოვისადმი, რომელიც მოსკოვში 1989 წლის 4 იანვარს ჩამოიტანა და ადრესატს გადასცა იმამის პირადმა წარმომადგენელმა აიათოლა ჯავად-ამოლიმ. ჰომეინის რაიმე სახელმწიფო პოსტი არ ეკავა, მაგრამ ირანის სულიერი ლიდერი და ფაქტობრივად, პირველი პირი გახლდათ.

25 თებერვალს მე უკვე თეირანში ვიყავი მიხეილ გორბაჩოვის საპასუხო წერილით იმამ ჰომეინისადმი. ჰომეინის წერილმა ძალზე შეაფიქრიანა გორბაჩოვი – რა უნდა მიეწერა პასუხად, არ იცოდა, მეც არ ვიცოდი.

თავის წერილში ჰომეინი პოზიტიურად აფასებდა გორბაჩოვის გამბედაობას რეალობასთან დამოკიდებულებაში და ამასთან, აღნიშნავდა, რომ კომუნიზმის წარუმატებლობანი თვალსაჩინო გახლდათ. თუმცა მთავარი ირანის ლიდერისთვის არც ეს იყო.

ჰომეინის წერილი ღრმად ფილოსოფიური ხასიათის ტექსტი გახლდათ. როგორც თავად იმამი ბრძანებდა: „მე მსურდა გორბაჩოვისთვის შემექმნა წარმოდგენა უმაღლეს და მარადიულ სამყაროზე, რომელიც გარდაცვალების შემდეგ არსებობს. ამაშია ჩემი წერილის ძირითადი არსი“.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ათეისტი ლიდერი ირანის უმაღლეს სასულიერო პირს ამ თეოლოგიურ საუბარში, რა თქმა უნდა, ვერ აჰყვებოდა. გადავწყვიტეთ, გორბაჩოვის წერილი ჩვენი ორი სახელმწიფოს ურთიერთობის, მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებსა და რეგიონის პრობლემებზე მსჯელობით შემოსაზღვრულიყო.

ირანისათვის ჩემი იქ ჩასვლა ძალიან ბევრს ნიშნავდა. სხვათა შორის, ირანული პრესა ჯერ კიდევ ჩემს ჩასვლამდე დიდ იმედებს

ამყარებდა ამ ვიზიტზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმამ ჰომეინისთან ჩემს მომავალ შეხვედრას და მიხეილ გორბაჩოვის საპასუხო წერილს.

ჰომეინის გარდა, დაგეგმილი მქონდა ოფიციალური შეხვედრები ირანის ხელმძღვანელობასთან — ირანის პრეზიდენტ ჰამენეისთან, პრემიერ-მინისტრ მუსავისთან, პარლამენტის თავმჯდომარე რაფსანჯანისთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ვილაიეთისთან, რომელთანაც ძალზე მეგობრული ურთიერთობა მქონდა. იგი პროფესიით ექიმი, განათლებული პიროვნება გახლდათ. ვერანაირად ვერ მიაკუთვნებდით ფანატიკოსთა რიგებს.

თეირანის პოლიტიკური წრეების აზრით, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის ირანში ჩასვლა დიდ მნიშვნელობას იძენდა იმდენად, რამდენადაც სწორედ მე ჩამქონდა გორბაჩოვის პასუხი იმამ ჰომეინისთან. მათთვის ეს საპასუხო წერილი, რეგიონში პროცესების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ძალზე ბევრს ნიშნავდა.

ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხითაც, რომ დასავლეთმა, და განსაკუთრებით ამერიკამ, ირანის ისლამურ რესპუბლიკას სიტყვით მძაფრად შეუტია და ირანთან თავისი ურთიერთობები ბოლო ათი წლის განმავლობაში ხარისხობრივად ყველაზე დაბალ დონეზე დაიყვანა. ირანში ვიზიტის წარმატების გასაღები გორბაჩოვის წერილის შინაარსზე იყო დამოკიდებული.

ჩასვლისას საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვილაიეთიმ მითხრა, რომ იმამი მზად იყო ჩემთან შესახვედრად. ვიზიტზე მეც დიდ იმედებს ვამყარებდი და სწორედ ასეთი მოლოდინით გავემგზავრე ჰომეინის წმინდა ქალაქ ყუმში.

ჰომეინი ავად იყო და ექიმების აკრძალვის გამო არავის იღებდა. ჩემთან შეხვედრას რომ დათანხმდა, ეს გამონაკლისი გახლდათ და, რა თქმა უნდა, პატივისცემის გამოვლენაც იმ დიდი ქვეყნისადმი, რომელსაც, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, მე წარმოვადგენდი, მაგრამ იქნებ აქ სხვა მიზეზიც იყო, თუნდაც ართქმული, თუნდაც შეფარული — ისტორიულად მუდამ არსებული: საქართველოში სპარსეთის (ამჟამად ირანის) სახელმწიფო ინტერესები მაქვს მხედველობაში, ყოველ შემთხვევაში, ეს აზრიც მიფეთქავდა გონებაში.

თოვდა. ჰომეინი შემაღლებულზე ცხოვრობდა. შესვლისას, როგორც მეჩეთში, ფეხსაცმელი უნდა გამეხადა. გავიხადეთ. წინდებით შევედით. თავისთავად ეს უკვე ქმნიდა უხერხულობას. გაცვია დიპლომატიური პროტოკოლის ყველა მოთხოვნით და უფეხსაცმლოდ ხარ, თანაც, როგორც სალოცავში, შენთვის განმარტოებულად კი არ უნდა იყო, არამედ ილაპარაკო და მოსაუბრე შენს მხარეზე გადმოიყვანო, დაარწმუნო.

თავიდანვე გამაფრთხილეს, თქვენ ერთადერთი უცხოელი ბრძანდებით, ვისაც იმამი ხვდება ირანის რევოლუციის შემდეგ. მისი დრო ძალიან შეზღუდულია და თხუთმეტ-ოც წუთში უნდა ჩაეტიოთო.

დავსხედით და ჩუმად დავიწყეთ ლოდინი. ოთახს მოვავლე თვალი — ჰომეინის ხაზგასმით ასკეტურ საცხოვრისს. ეტყობოდა, აქ უმთავრესი ცხოვრების არსის წვდომა იყო; იმამს ხელი არაფერში უნდა შეშლოდა. ყველაფერი სადა იყო — იატაკზე თეთრი, მონაცრისფრო ხალიჩა დაეფინათ. მოკლედ მხოლოდ ის იყო, რაც აუცილებელია. ოთახში ჩემთან და თარჯიმანთან ერთად მასპინძლებიც იყვნენ — ისინი მდუმარე მოწიწებით ელოდნენ იმამის შემოსვლას.

ფიქრი ისტორიისკენ გამექცა. რამდენი ქართველი მჯდარა ასე სპარსეთის შაჰის მისაღებში. მართალია, ახლა მე სხვა ქვეყანას წარმოვადგენ, მაგრამ მაინც... მოლოდინის უხერხულობის განცდა დამეუფლა; ისიც გამახსენდა, რომ ამავე დიდი ქვეყნის ქართველი ხელმძღვანელი, არცთუ დიდი ხნის წინ, თავის კოლეგებთან ერთად, თეირანში იჯდა და მსოფლიო გავლენის სფეროებს ანაწილებდა... მაშინ ირანის ბედი დიდწილად სწორედ ამ ქართველზე იყო დამოკიდებული.

თოვლი იქ ხშირად არ იცის, მაგრამ როდესაც მოდის, მაგარი ყინვებია. წინდებისამარა ვიყავით და გავითოშეთ. დაახლოებით თხუთმეტი წუთი გვალოდინა, მერე გავიგე, ასე ყოფილა მიღებული, ირანელ ხელისუფლებთან შეხვედრა 10-15 წუთით გვიან იწყებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანიშნეს — მოდისო. ჯერ შვილი გამობრძანდა. მანაც თავაზიანად გამაფრთხილა, მობრძანდებაო. ერთი ჩია მოხუცი შემოვიდა ოთახში, სიმპათიური, თეთრწვერა, იქ მიღებული წესით — შავი თავსარქმლითა და ნაცრისფერი ეროვნული ხალათით. ჩვენი სავარძლების გვერდით, ტახტის კუთხეზე ჩამოჯდა.

წარმადგინეს. ჩვენ გარშემო თითქოს არავინ ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ყოველი ჩემი ჟესტი, სიტყვა, სულ უმნიშვნელო გადახედვა თუ გადალაპარაკება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო. ვერც ტელევიზია შევამჩნიე — არავინ ჩანდა.

ვილაიეთიმ წინასწარ გამაფრთხილა, შეხვედრის სასურველად წარმართვის ერთადერთი შანსია, თუ მოუყვებით, რასაც გორბაჩოვი იმამს სწერს თავის წერილში, თხუთმეტი-ოცი წუთის ფარგლებშიო.

მიველსალმე. ვუთხარი, თქვენი წერილის პასუხად (როგორც ვთქვი, ეს იყო ფილოსოფიური ხასიათის წერილი) გორბაჩოვმა წერილი გამოგიგზავნათ ასეთი და ასეთი შინაარსის-მეთქი. თხუთმეტი წუთი მისმინა. ხანდახან თავს დააქნევდა ხოლმე. მერე ერთხანს თითქოს ფიქრებში წავიდა და პასუხად მითხრა:

— მე იმედგაცრუებული ვარ. გამიგია, რომ გორბაჩოვი მოაზროვნე კაცია. შემთხვევითი არ იყო, რომ მას წერილი გავუგზავნე, სადაც გააზრებულია ადამიანის როლი და ადგილი არა იმდენად მიწიერ, არამედ ზეციურ სამყაროში. მე არ მაინტერესებს, რა ხდება მიწაზე; მე, იქ, ზეცაში ვიყურები და ამაზე პასუხი ჯერ ვერ მივიღე. რაც შეეხება ურთიერთობის ნორმალიზებას, მე ამას ხელს შევუწყობ", — ეს სიტყვები კმაყოფილებით წარმოთქვა.

ეს იყო და ეს. შემდეგ წამოდგა, დამემშვიდობა და ოთახიდან გავიდა.

ცოტა არ იყოს, ხასიათი გამიფუჭდა. გამოველი, ჩავიცვი ფეხზე, მაგრამ რას ჩაიცვამ, გაყინულია. ჩავთვალე, რომ ვიზიტიც ვერ შედგა სასურველ დონეზე. ჩემებს ვუთხარი, დაგეგმილი შეხვედრები (რაფსანჯანისთან, ჰამენეისთან, ოფიციალური ვახშამი) იქნებ გავაუქმოთმეთქი. ერთ რამეზე ვზრუნავდი, საგარეო საქმეთა მინისტრის თავმოყვარეობა არ მსურდა შელახულიყო.

ვილაიეთი ყველაფერს მიხვდა, მითხრა — დაგირეკავთო.

ირანს ნამდვილად არ აწყობდა საბჭოთა კავშირის განაწყენება. ჰომეინისთან ვიზიტის შემდეგ, საბჭოთა კავშირში ირანის ელჩი ხეირანი ნობარი დაუკავშირდა ჩემებს და სთხოვა, ჩემთან შეეთანხმებინათ იმამ ჰომეინისთან შეხვედრის გაშუქების ხასიათი:

— ირანის მხარეს განზრახული აქვს, პოზიტიურად შეაფასოს ეს საუბარი, რომელსაც იგი როგორც მეგობრულს, ისე აღიქვამს. ირანის

მხარე ალნიშნავს საუბრის დადებით მომენტებს, ხაზი გაესმება ირანისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის სურვილს ურთიერთობის განვითარების შესახებ. როდესაც შევარდნაძემ იმამს მოუთხრო გორბაჩოვის წერილის შინაარსი, იმამმა მხარი დაუჭირა გაცხადებულ აზრებს. ინფორმაციაში, რომელსაც ამზადებს ირანის მხარე, იმამის ეს რეპლიკები სრულად იქნება ასახული. სამწუხაროდ, ექიმების მოთხოვნით, შეხვედრა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. იგი ისედაც უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ.

მე დავეთანხმე ირანის პოზიციას შეხვედრის ამგვარად გაშუქების შესახებ. და მართლაც — ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ტელეფონში ვილაიეთის ხმა გაისმა: „იმამი საოცრად კმაყოფილია. თუ თარჯიმანი გყავთ, ტელევიზორი ჩართეთ!“

ჩავრთე და რას ვხედავ — ყველაფერი აკლებულია: „ეს არის ისტორიული შეხვედრა და ამით იწყება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ახალი ეტაპი! გაიმართა ერთსაათიანი საუბარი — ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა! თბილად მიესალმა, თბილად გამოეთხოვა... იმამმა დიდი შეფასება მისცა გორბაჩოვის წერილს!“ და წავიდა... ტელევიზია... რადიო... გაზეთები... თითქოს იზოლაციაში იყვნენ და ახლა გაეხსნათ დასავლეთის კარი.

ორი დღე დავრჩი იქ.

საღამოს ვახშამზე ვილაიეთიმ კვლავ გამიმეორა — იმამი საოცრად კმაყოფილია შეხვედრით, ეს განსაკუთრებული შეხვედრა იყოო (რა თქმა უნდა, ვილაიეთი იმამის თანხმობის გარეშე ასეთ განცხადებას ვერ გააკეთებდა).

— მაგრამ მან მხოლოდ ორიოდე სიტყვა თქვა, ასე მგონია, ხეირიანად ვერ ვისაუბრეთ.

— თქვენ ვერ შეამჩნიეთ, მან სამჯერ დაგიქნიათ თავი. ეს იცით, ჩვენთვის რას ნიშნავს?! უდიდესი პატივისცემა და ყურადღებაა, — მიპასუხა ვილაიეთიმ.

მოკლედ, ყველა ნიშანს, ყველა ჟესტს, კულტურის ყოველ კოდს შესაბამისი წაკითხვა და გაშიფვრა სჭირდება. თავისი შედეგებით ვიზიტი მართლაც ისტორიული გამოდგა. ირანში დღემდე ახსოვთ ეს ვიზიტი. უკვე მას შემდეგ, რაც მე საქართველოში დავბრუნდი, რაფ-

სანჯანი თბილისში რომ ჩამოვიდა, მითხრა: „შენ ერთადერთი უცხოელი იყავი, რომელსაც ჰომეინი შეხვდა“.

დიდი კაცი იყო ჰომეინი. მან თავისი წერილით გაარღვია ის იზოლაცია, რომელშიც ირანი თვითონვე მოაქცია. პარადოქსია, მაგრამ სწორედ მაშინ, თუნდაც პიროვნულ ასპექტში, იქ საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ირანის ახალ ურთიერთობასაც — სხვაგვარ, თანაბარ ურთიერთობას. შემდეგ, წლების მერე, რაფსანჯანისთან, ხათემისთან და ირანის სხვა ლიდერებთან ჩემს, როგორც საქართველოს მეთაურის ურთიერთობას, სწორედ ჰომეინისთან ვიზიტი განსაზღვრავდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ზოგჯერ არ ემთხვეოდა (თუნდაც ნავთობსადენის საკითხებში), თითქოს ჰომეინის უსიტყვო თანხმობით საქართველოსა და ირანს შორის საოცრად პოზიტიური, განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

* * *

სხვათა შორის, სანამ ირანში ჩავიდოდი, ქალაქ ბასრაში სადამ ჰუსეინს შევხვდი — ერაყში ხომ თორმეტ ათასამდე საბჭოთა მოქალაქე მსახურობდა. სადამი ხაზგასმით ცდილობდა ჩემდამი პატივისცემა გამოეხატა. რაღა თქმა უნდა, საუბარში ერაყ-ირანის ომის უაზრობასაც შევეხე. აშკარად ვაგრძნობინე, რომ ეს მართლაც უაზრო ომი იყო და ადრე თუ გვიან ერაყისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაზეც იმოქმედებდა.

ჩემმა მასპინძელმა ერთობ ჯიუტი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. აბა, მაშინ რას წარმოვიდგენდი, რა ჩანაფიქრი ჰქონდა სადამს ქუვეითთან დაკავშირებით.

ჩერნობილი და სპიტაკი

1988 წელი განსაკუთრებული და მეტად მნიშვნელოვანი წელი იყო არა მარტო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებითაც, რომელთაც დააჩქარეს შორს

მიმავალი პროცესები. მე თუ მკითხავთ, ახალი მსოფლიოს აქტიურ მშენებლობაში ამ წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის პარტნიორული ურთიერთობების დაწყების გარდა, სწორედ ამ წელს გახსნა საბჭოთა კავშირმა რკინის ფარდა – პირველად, 35 წლის განმავლობაში, გათიშა თავისი ორი ათასი ხმის ჩამხშობი სადგური და რადიოსადგურ „თავისუფლებასა" და „თავისუფალ ევროპას" შესაძლებლობა მისცა მთელი ქვეყნის მასშტაბით დაუბრკოლებლად ეწარმოებინა გადაცემები საბჭოთა კავშირის შიდაპოლიტიკაზე. ეს მოხდა პრეზიდენტ რეიგანსა და ვიცე-პრეზიდენტ ბუშთან გორბაჩოვის ნიუ-იორკში შეხვედრის წინ.

1988 წლის დეკემბერს სომხეთში სპიტაკის მიწისძვრა მოხდა, უამრავი მსხვერპლითა და სისხლით. ამ მიწისძვრამ დაგვანახვა, რომ ძლიერი და მდიდარი ქვეყანაც კი უძლურია სტიქიური უბედურებების წინაშე და სხვათა დახმარების გარეშე გადარჩენა შეუძლებელია. სწორედ დიდ გაჭირვებაში იგრძნობა, რომ ყველა ადამიანს ერთნაირად სტკივა და მზადაა, მოყვასს დახმარების ხელი გაუწოდოს.

მახსოვს, იმ დღეებში გორბაჩოვი და მე ნიუ-იორკში ვიყავით. სპიტაკის ტრაგედიის შესახებაც იქ გავიგეთ. პრესა, საზოგადოება ელოდა, ჩვენ რას ვიტყოდით. ყველას სურდა რაღაცით თანაგრძნობა გამოეხატა, მაგრამ საბჭოთა კავშირი ასეთ დროს ყოველთვის უარს ამბობდა დახმარების მიღებაზე. საჭირო იყო ახალი, ადამიანური პოზიციის გამოვლენა. ორივე ამ აზრის ვიყავით.

შევთანხმდით, რომ პრესასა და საზოგადოებრიობას მე შევხვდებოდი. უამრავი ხალხი შეიკრიბა. პირველი ჩემი სიტყვები, რა თქმა უნდა, სომეხი მეგობრებისთვის სამძიმრის გამოცხადება იყო. მეორე ნაწილი ჩემი გამოსვლისა – მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, მოწოდება – ვისაც როგორც შეეძლო, ისე დაგვხმარებოდნენ. ესეც სიახლე იყო – პირდაპირი თხოვნა: „ვუშველოთ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას, სომხეთს, დიდი კულტურის ერს, თავი დააღწიოს უბედურებას, თავს რომ დაატყდა!"

ეს ახალი სიტყვა იყო საბჭოთა დიპლომატიაში. საბჭოთა კავშირი უკვე რაღაც განყენებულ ცნებად კი არა, მსოფლიოს ორგანულ

ნაწილად მოიაზრებოდა, რომელიც თანაბრად იზიარებდა პლანეტის ჭირსაც და ლხინსაც. მე ვიცი, რომ სომეხმა მეგობრებმა მაშინ დიდი ყურადღება მიაქციეს ამ გამოსვლას. ბევრი ახლაც იხსენებს მის მნიშვნელობას. ამ განცხადებას დიდი რეზონანსი ჰქონდა მსოფლიოში, თურმე შართლა რაღაც იცვლებაო საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებაში დასავლეთთან.

ჩემი მიმართვა ამ ცვლილებების ერთ-ერთ გამოვლენად ჩათვალეს. მერე დავრეკე მოსკოვში, რომ შეეტყობინებინათ სომეხი მეგობრებისთვის დახმარების თაობაზე გენერალური მდივნის გადაწყვეტილების შესახებ. მართლაც, მთელი მსოფლიო ჩავიდა სომხეთში, მთელი მსოფლიოდან დაიძრა დახმარება.

ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ მეორე, ტრაგიკული ამბავი მახსენდება.

ორიოდე წლით ადრე, 1986 წლის 26 აპრილს, უკრაინაში მოხდა ჩერნობილის კატასტროფა — ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგურის აფეთქება, რომელიც ბევრად აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიაში ატომური ბომბის აფეთქების სიძლიერეს. ამან გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე — აღმოჩნდა, რომ დედამიწა ისე პატარაა, დიდი კატასტროფები და ტრაგედიები არ ეტევა ერთი ქვეყნის ფარგლებში, მაგრამ ჩერნობილის ინციდენტი მხოლოდ იმით კი არ იყო ტრაგიკული და ნიშანდობლივი, რომ უდიდესი ავარია მოხდა, რომ მოიწამლა მიწა, ჰაერი და დაიღუპა და კიდევ იღუპება ათასობით ადამიანი, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ ამ უბედურების მიჩქმალვა მოისურვა. დიახ, იდეოლოგიური დოგმების გამო გაიწირა ათიათასობით ადამიანი, ქვეყნის გენოფონდი — ყველამ დაინახა, რომ საბჭოთა კავშირში ადამიანი სრულიად დაუცველია.

მთელი კვირის განმავლობაში არსად არაფერს ამბობდნენ, მხოლოდ სპეციალისტები იგზავნებოდნენ ადგილზე, ენერგეტიკის მინისტრი, ატომური ელსადგურის პროექტის ავტორი და როგორც უნდა გაგიკვირდეთ — ბავშვები სპორტულ შეჯიბრებებზე, ქალაქ გომელში, რადიოაქტიური ეფექტის მისაწვდომ ფარგლებში. ხომ უნდა დაერწმუნებინათ მსოფლიო — არაფერიც არ მომხდარაო.

მეორე თუ მესამე დღეს მოსკოვში პარტიის ცეკაში საგანგებო

კომისიის თათბირი შედგა, რომელსაც ლიგაჩოვი ატარებდა. მე ვესწრებოდი ამ თათბირს. ასეთი ღონისძიებების დროს, როგორც წესი, ჩემთან ვუხმობდი ხოლმე იმ მოადგილეს, რომელიც განსახილველ საკითხში ყველაზე კომპეტენტური იყო, ან ყველას ერთად ვეძახდი ხოლმე. ამჯერად ჩემს მოადგილეს, ცნობილ დიპლომატს ანატოლი კოვალიოვს ვუხმე – ძალზე გამჭრიახი და კომპეტენტური პიროვნება იყო. ვკითხე, ასეთ თათბირზე ჩემს ადგილზე რას იზამდი-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ თათბირზე უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი – გახმაურებულიყო ეს ამბავი თუ არა.

ამასთან, როგორც მახსოვს, ჩვენთან შეხვედრამდე ლიგაჩოვი უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს ელაპარაკა. მერე გავიგე: მათი აზრით, ეს ამბავი არ უნდა გახმაურებულიყო.

კოვალიოვმა ერთი რამ მითხრა გულახდილად და გადაჭრით: როგორიც უნდა იყოს სიტუაცია, თქვენ უნდა მოითხოვოთ, რომ ინფორმაცია სასწრაფოდ გამოქვეყნდესო. ეს სავსებით დაემთხვა ჩემს შეხედულებას, მაგრამ თათბირზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ რვიდან მხოლოდ ორნი მოვითხოვდით ინფორმაციის გამოქვეყნებას. ლიგაჩოვი წინააღმდეგი იყო. მაშინ ითქვა სწორედ – კატასტროფული არაფერი ხდება, ყველაფერი ჩაცხრება და მსოფლიო მასშტაბით აურზაურის ატეხა არ გვჭირდებაო. ეს პოზიცია პოლიტბიუროზე განხილვამდე ერთი დღით ადრე დაფიქსირდა, საბოლოო გადაწყვეტილება კი პოლიტბიუროს უნდა მიეღო.

პოლიტბიუროს სხდომაზე გორბაჩოვმა ჯერ ენერგეტიკის მინისტრს ჰკითხა აზრი – პოლიტბიუროს წევრებისთვის მინისტრის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მინისტრმა განაცხადა:

– საგანგაშო არაფერია, არის პატარა მასშტაბის ჩვეულებრივი ავარია, რომელიც მხოლოდ ერთ ბლოკში მოხდა. მე დღეს მივდივარ ჩერნობილში და იმ მილში ძირამდე თავად ჩავძვრები, იმდენად უსაფრთხოა იგი.

ლიგაჩოვმა პოლიტბიუროს გააცნო კომისიის სხდომის ოქმი, სადაც ჩანდა, რომ უმრავლესობა ინფორმაციის გამოქვეყნების წინააღმდეგი იყო. მე აღვნიშნე, რომ ჩემი აზრი მოვახსენე კომისიას, მაგრამ უმცირესობაში მოვხვდი.

გორბაჩოვი ორჭოფობდა. იმ დღეს პოლიტბიუროში გადაწყვეტილება ვერ მიიღო. მალე უცხოეთში ძალზე დიდი ხმაური ატყდა, გაჩუმება აღარ შეიძლებოდა და გორბაჩოვმაც გასცა განკარულება ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ.

რატომ არ ვიყავი უფრო პრინციპული? — პრობლემას არ ვიცნობდი, ატომური სადგური ნანახიც არ მქონდა და მინისტრის, კომპეტენტური კაცის, აზრს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ უკრაინის ცეკას მდივანი შჩერბიცკი იყო და მასაც არ მიაჩნდა, რომ მდგომარეობა კატასტროფული იყო.

მოკლედ, საბჭოთა კავშირი, ამა თუ იმ მიზეზით, მალავდა მომხდარს — სრულ ინფორმაციას ძალიან ძუნწად ან საერთოდ არ იძლეოდა. დრო იყო ასეთი. საზოგადოება (უპირველესად ხელისუფლება) ჩვენს ცოდვებს, შეცდომებსა და დანაშაულს ჯერ კიდევ მალავდა. დამალვისა და მიჩქმალვის პრაქტიკა ხშირად იდიოტურ ხასიათს იღებდა. მაგალითად, ნახევარმა მსოფლიომ იცოდა, რომ სვერდლოვსკის ოლქში აწარმოებდნენ მასობრივი განადგურების იარაღს, საბჭოთა ხალხმა კი არ იცოდა. ერთხელ მოვითხოვე ამ სადგურის ნახვა — ათასი რამ მოიმიზეზეს, არასგზით არ მიმიშვეს.

ჩერნობილში და მოგვიანებით სპიტაკში მომხდარმა ნგრევამ დაგვანახვა, რომ უპირველესად ყალბი დოგმები უნდა დაგვენგრია — სიმართლე ბევრად მომგებიანი იყო. ჩვეული ტყუილი, რეალობის ჩვეული მიჩქმალვა, მსოფლიოსაგან ჩვეული გამიჯვნა აღარ შეიძლებოდა — გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ სიმართლისა და პატიოსნების გზა იყო.

ზემოთ უკვე გავიხსენე, რომ სწორედ მაშინ ვთქვი, 1988 წლის დეკემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტივის კრებაზე: „В ответах тоже надо быть честными“. ამ ფრაზის უკან მთელი ჩემი ცხოვრება იდგა, თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვობაც და მამაჩემიც, რომელსაც უთქვამს ჩემთვის მავანსა და მავანზე: „ეგ უზნეო კაცია“. ჩემთვის მამა ყოველთვის უეჭვო ავტორიტეტი იყო და მისი ეს სიტყვები ძალზე ბევრს ნიშნავდა. სოფელში, გლეხებისთვის ვინმეს მისამართით ნათქვამი სიტყვა „უზნეო“ — ყველაზე სამარცხვინო დახასიათება გახლდათ.

ეს დამოკიდებულება, ზნეობის კუთხით შეფასება სახელმწიფო

მოღვაწისა თუ სახელმწიფო მოვლენისა, ჩემში წლიდან წლამდე გამყარდა და იმ ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად იქცა, რომელიც პოლიტიკაში ამა თუ იმ მოვლენის ჩემეულ შეფასებასა და ჩემეულ მიდგომას დაედო საფუძვლად.

პროცესი თავად ჩემს ცნობიერებაში, ეტყობა, მუდმივად და ფარულად მიმდინარეობდა, მაგრამ როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ვუთხარი: „კმარა ტყუილები, დროა ჩვენს სიტყვებს შესაბამისი საქმეებიც მოჰყვეს“ და როდესაც პოლიტბიუროზე არაერთგზის დავაყენე ჩვენი საგარეო პოლიტიკის ზნეობრიობის პრობლემა, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენციაზე უკვე ჩემმა თანამშრომლებმაც აიტაცეს ეს მოთხოვნა და ჩვენი საქმიანობა „ზნეობრივი პოლიტიკის“ კრიტერიუმებით მიმდინარეობდა, ამან უდიდესი დადებითი შედეგი მოიტანა ქვეყნისთვის და ხალხისთვის.

ვფიქრობ, საბჭოთა დიპლომატიის (ან იქნებ, საერთოდ რუსული დიპლომატიის) ისტორიაში ჩემი მოკრძალებული წვლილი ესეც იყო – ზნეობრიობაზე დამყარებული პოლიტიკის გატარება, რომელიც მომგებიანია, როგორც შენი ქვეყნისთვის, როგორც პარტნიორისთვის, ისე მსოფლიოსთვისაც.[13] სიცრუეზე აგებული პოლიტიკა არა მარტო უზნეო, არამედ უპერსპექტივოცაა (მიუხედავად ზოგჯერ დროებითი წარმატებისა). მისი „გამართლება“ მხოლოდ იმ სისხლითა და ძალადობით ხერხდება, რომელსაც არაერთგზის მიმართავენ ძლიერი სახელმწიფოები. ამგვარ ძალადობას მიმართავდა რუსეთიც, მისი მოკავშირეებისა და საქართველოს მიმართ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

დიდი პოლიტიკის ზნეობრიობის ერთი მარცვალი მამაჩემის იმ ერთ ფრაზაშიცაა საძიებელი – „შვილო, ეგ უზნეო კაცია“.

ამას წინათ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, ვინ იყო ჩემი იდეალი პოლიტიკაში, ვის ვბაძავდი, ვისი გამოცდილების გაზიარება მეხმარებოდა რთულ სიტუაციებში?

ვუპასუხე, რომ ჩემი პოლიტიკური იდეალი მამაჩემი იყო, სოფ-

[13] შდრ. Леонид Млечин, МИД: Министры иностранных дел. Романтики и Циники. М., 2001

ლის მასწავლებელი, უგანათლებულესი ადამიანი. იგი თავის შეხედულებებს არასოდეს მახვევდა თავს, მაგრამ გზას საკუთარი ცხოვრების წესით მიკვალავდა. ბევრი დიდი სახელმწიფო მოღვაწის ბიოგრაფიას ვიცნობ და უნებურად პარალელებსაც ვავლებ – ჩემი პოლიტიკური გზა თვითმყოფადი მინდა ყოფილიყო და, მგონი, იყო კიდეც.

„ცივი ომის“ დასასრულის დასაწყისი

1988 წელს მთელი რიგი წარმატებებისა თუ წარუმატებლობების შემდეგ და მათი გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ისინი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ პროექტში აისახა და თავს იჩენდა ხოლმე მიხეილ გორბაჩოვის ამა თუ იმ მოხსენებასა და გამოსვლაში. არადა ეს ყველაფერი პოლიტბიუროსთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული, რაც უკიდურესად რთული და დამქანცველი ბრძოლების გადატანის ტოლფასი იყო. დღეს სათქმელად ეს ერთი ფრაზაა, თავის დროზე კი იდეათა, შეხედულებათა, ადამიანთა თუ სტრუქტურათა ის მორგვი იყო, რომლის გაჭრა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მსოფლიოს გადარჩენას ნიშნავდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, 1988 წლის 25-27 ივლისს მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაზე ძირითადი მოხსენებითა და დასკვნითი სიტყვით გამოვედი. ჩემი გამოსვლის ტექსტი ცალკეც დაიბეჭდა.[14] როგორც ვიცი, ჩემმა გამოსვლამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში. ეს გახლდათ საბჭოთა კავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის სრული და ჩამოყალიბებული განაცხადი. მასში ჩემი და ჩემი თანამოაზრეების მიერ ამომწურავად იყო შეფასებული საბჭოთა კავშირის ადრინდელი საგარეო პოლიტიკა; პირუთვნელად იყო მითითებული ის შეცდომები,

[14] „Внешняя политика и дипломатия“. Международные Отношения, Октябрь, 1988, М.

რომელთაც ჩვენი ქვეყანა იზოლაციამდე მიიყვანეს. მომავალში მსგავსი შეცდომები უნდა გამორიცხულიყო, უნდა განსაზღვრულიყო საბჭოთა კავშირის ახალი საგარეო პოლიტიკის კურსი. აქ იყო ავღანეთის ავანტიურა, დავა ჩინეთთან, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შეუფასებლობა, ძვირად ღირებული გამალებული შეიარაღება, ჟენევის 1983-84 წლების მოლაპარაკებების მიტოვება, გადაწყვეტილება SS-20 რაკეტების შესახებ, საბჭოთა თავდაცვითი დოქტრინა, საგარეო ურთიერთობებში კლასობრივი მიდგომა.

ეს ყოველივე დასავლელი ექსპერტების მიერ მაშინვე იქნა შემჩნეული და თავისი ადგილიც პოვა ჰენრი კისინჯერის ფუნდამენტურ წიგნში „Diplomacy" („დიპლომატია". Научно-издательский цетр „Ладомир", М., 1997, გვ. 730). მინდა აღვნიშნო, რომ ახალი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც უნდა იყოს, უპირველესად მაინც ნაკარნახევი იყო საბჭოთა საშინაო პოლიტიკის ცვლილებებით, თავად საბჭოთა საზოგადოების ტრანსფორმაციით, რომლისთვისაც უკვე პრინციპულად მიუღებელი გახდა ის საგარეო კონფრონტაციული პოლიტიკა, რომელსაც წლების განმავლობაში აწარმოებდა კრემლი.

მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნა დემოკრატიზაციის, დემილიტარიზაციისა და ჰუმანიზმის ეპოქაა, როდესაც ქვეყნის უსაფრთხოება სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში ინაცვლებს და ვითარდება სახელმწიფოთა და ხალხთა მრავალგვარი და თანაბარუფლებიანი ურთიერთობანი მათი მატერიალური და სულიერი ურთიერთგამდიდრებისთვის, საერთაშორისო მშვიდობის სტრუქტურის გაძლიერებისთვის.

გარდაქმნის სამი წელი (1985-88) საგარეო პოლიტიკაში არის პარიზისა და ჟენევის, ვლადივოსტოკისა და რეიკიავიკის, 15 იანვრის განცხადებისა და დელის დეკლარაციის სამი წელი, გაბედული გადაწყვეტილებების მიღების წლები. თითქოს ამ წლებში ისტორიის დახვეული ზამბარა ერთბაშად გაიშალა. მოვლენები საგარეო ურთიერთობებში ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა. თუმცა მოუფიქრებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არც ერთი ნაბიჯი არ ყოფილა.

და მაინც, მუდამ თან მდევდა იმის განცდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა – შეიძლებოდა უფრო პრინციპული და მომავლის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების მიღება, იმ ინტელექტუალური პოტენციალის უფრო სრულად გამოყენება, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობდა. მისთვის თავისუფალი აზროვნების ასპარეზის მიცემა იყო საჭირო. და როცა ეს მოხდა, ჩემი მოლოდინი გამართლდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა წარმოადგინეს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და დროის შესანიშნავი განცდით განპირობებული უამრავი წინადადება. ჩემი მოხსენებაც ამ კონფერენციაზე სწორედ ამ თავისუფალი, კოლექტიური გონის ნაყოფი იყო.

„თავისუფალი არჩევანის კონცეფცია, რომელსაც მიხეილ გორბაჩოვის მოხსენების მიხედვით XIX პარტკონფერენციაზე, საკვანძო ადგილი უკავია „ახალ აზროვნებაში“, იმ მზადყოფნას ნიშნავს, რომელიც მსოფლიო ისტორიის ობიექტური სვლის გათვალისწინებას გულისხმობს; ეს არის უარის თქმა ძალის პოლიტიკაზე, მის ნებისმიერ გამოვლინებაში, – აქ ხაზგასმით ვთქვი, – რამაც თავისი თავი ისტორიულად უკვე ამოწურა“.

იქვე მკაფიოდ იყო უარყოფილი ნაციონალური უსაფრთხოების ტრადიციული დაკავშირება, უპირველესად, შეიარაღების სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორსა და ბუნებრივ რესურსებთან. ისიც კატეგორიულად აღვნიშნე, რომ „საგარეო საქმეთა შესაბამისი სამსახურებისთვის თავდაცვის სისტემაში არაფერი არ უნდა ყოფილიყო გასაიდუმლოებული, არ უნდა ყოფილიყო გასაიდუმლოებული არც სამხედრო ბიუჯეტის ფორმირება, რომელიც ვიწრო წრის ხელში იყო მოქცეული. ეს ბიუჯეტი ღია უნდა იყოს, რაც ხალხისა და მშვიდობის ინტერესებშია. მეტიც, საჭიროა ისეთი საკანონმდებლო პროცედურის შემუშავება, რომლის შესაბამისადაც ყველა უწყება, რომლებიც დაკავებული არიან სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო საქმიანობით, ქვეყნის საერთო-სახალხო არჩევითი ორგანოს კონტროლქვეშ მოექცევა. ეს ეხება ქვეყნის ნაციონალური საზღვრების გარეთ სამხედრო ძალის გამოყენებას, თავდაცვითი მშენებლობის გეგმებსა და სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალობას“.

რა თქმა უნდა, სამხედრო ელიტას არ ეპიტნავა ჩემი გამოსვლა და მით უმეტეს, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, ამ გამოსვლას რომ მოჰყვა. აქ მხოლოდ ავღანეთიდან და გერმანიიდან ჯარების გამოყვანა არ მაქვს მხედველობაში. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ათწლეულების განმავლობაში უკონტროლოდ შედგენილი და დახარჯული ბიუჯეტის მონოპოლიაზე უარის თქმის მოთხოვნა. ამის გაგონება ცოტას თუ სურდა.

გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც მოლაპარაკების მეორე მხარემ ჩემზე მეტი იცოდა ჩვენი შეიარაღების შესახებ და მე ჩემდა უნებურად მატყუარა გამოვდიოდი. ვინღა დაგიჯერებდა რამეს ასეთ დროს.

ზემოთ კრასნოიარსკის რადიოლოკაციური სადგურის მაგალითი მოვიყვანე; მასთან ბევრი უსიამოვნება იყო დაკავშირებული. ასევე იყო ჩერნობილის ატომური ელსადგურიც, რომლის აფეთქებასაც ასე გულდაგულ და ბრიყვულად ვმალავდით, — ოღონდ გაუგებარია, ვის ვუმალავდით? საბჭოთა ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელი მაამებლური პოლიტიკა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან ,,კეკლუცობით" გამოიხატებოდა, ამჯერად ქვეყანას დანგრევით ემუქრებოდა. ყველაფერთან ერთად, ესეც გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზი. არ ვითვლიდით პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზარალს, როდესაც აზროვნების ინერციით ვებღაუჭებოდით ძველ დოგმებსა და გადაწყვეტილებებს და მათ ბრმად მივყვებოდით. კიდევ ერთი მაგალითი მოვიხმე:

,,მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1969 წელს შეწყვიტა ქიმიური იარაღის წარმოება, ჩვენ თექვსმეტი წელი მაინც ვაგრძელებდით ამას, ვხარჯავდით უამრავ ფულს, ადამიანურ თუ სხვა რესურსს. ახლა დაგროვებული იარაღის გასანადგურებლად კიდევ ვხარჯავთ ფულს და საამისოდ ობიექტებს ვაშენებთ. წლების განმავლობაში მსოფლიოს თვალწინ ჯიუტად ვაწარმოებდით იმ იარაღს, რომელიც თავად ბარბაროსულად მიგვაჩნდა და რაზეც ჩვენმა მთავარმა ოპონენტმა დიდი ხანია, უარი თქვა. რამხელა ზარალი მოგვადგა — პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური. ეს არის ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა?!"

მეორე მაგალითი — ჩინეთთან დაპირისპირება: ,,ჯერ კიდევ გასარკვევია,

გაკეთდა თუ არა ყველაფერი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად და ისიც დასაანგარიშებელია, ეკონომიკის თვალსაზრისით, რამდენი იზარალა ამ დიდ მეზობელთან კონფრონტაციით ჩვენმა ქვეყანამ".

* * *

ახლა უცბად გამახსენდა, როდესაც დენ სიაოპინთან ვიყავი ჩინეთში, 1989 წელს, ვკითხე, რა საჭირო იყო 1967 წელს კუნძულ დამანსკის გარშემო ამდენი ჭიდილი, ამდენი მსხვერპლი-მეთქი. მან საოცარი რამ მითხრა: „ეს არ არის ჩვენი საქმე, მას სხვები მიხედავენ; თუმცა ერთი რამ კი უნდა გითხრათ — ჩვენ დიდი მიწები გვაქვს სადავო, ჩინეთის ისტორიული მიწები. მოვა დრო, ჩინეთი მათ ალბათ დაიბრუნებს". გავშრი, მაგრამ ამ ბრძენკაცმა იცოდა, რასაც ამბობდა.

მოგვიანებით ერთ-ერთ შეხვედრაზე ამ დიალოგის შესახებ პუტინს ვუამბე. ის ზუსტად მიხვდა ჩემს სათქმელს.

* * *

კვლავ ჩემს მოხსენებას მინდა დავუბრუნდე.

„ქვეყნის ჭეშმარიტმა პატრიოტებმა, სამხედროებმა, არადა ასეთი სამხედროები უმრავლესია, შესანიშნავად იციან, რომ არ შეიძლება მთელ მსოფლიოს ეჭიდაო; არ შეიძლება ამერიკას, ევროპას, იაპონიას ერთდროულად შეეჯიბრო შეიარაღების ზრდაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები ბევრად ჩამოუვარდება ცალ-ცალკე ყოველ მათგანს. სწორედ ასეთმა არათანაბარმა შეჯიბრებამ დააძაბუნა საბჭოთა კავშირი. ეს შესანიშნავად იციან სამხედროებმა, მაგრამ მათ ისიც იციან, რომ თავად ჩვენი სამხედროები, ოფიცრები თუ საშუალო რანგის შემადგენლობა და ჯარისკაცები ძალზე ცუდად ცხოვრობენ, პერსპექტივაც მათ და მათი ოჯახის წევრებს უიმედო აქვთ, მაშინ როდესაც ავღანეთში, გერმანიაში თუ სხვაგან ზოგიერთ გენერალს მილიონები და უცხოეთში ვილები აქვს"...

ამ გამწარებული ხალხისთვის სიმართლის თქმისა ყველას ეშინოდა, მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა? ხომ გვსურდა გვეხსნა საბჭოთა კავშირიც და მსოფლიოც ღატაკი, მაგრამ ატომური იარაღით შეიარაღებული მშიერი ჯარის ძალადობისაგან?

აუცილებელი იყო სამხედროების გაკონტროლება. ცხადია, ის ხალხი, ვინც ჩვენი ჯარის ხარჯზე დიდ ფულს აკეთებდა, წინააღმდეგი იქნებოდა საქმის ამგვარი შემოტრიალების. ტრაგიკული აქ ის არის, რომ ჩემ მიმართ, როგორც ქართველისადმი, სიძულვილი ზოგმა სამხედრომ და პოლიტიკოსმა ჩემს სამშობლოზე, საქართველოზე გადმოიტანა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩემზე ნადირობა ჩემს ქვეყანაზე ნადირობად იქცა.

თუმცა ამ სიძულვილს უფრო ღრმა საფუძველიც აქვს, რადგან ახლაც, როცა მე აღარ ვარ პრეზიდენტი, საქართველო მაინც რჩება რუსი შოვინისტების სიძულვილის საგნად.

* * *

1988 წელი იმითაც გახლდათ მეტად მნიშვნელოვანი მიჯნა როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიო საგარეო პოლიტიკის ისტორიაში, რომ ამ წელს გაეროს ასამბლეის სხდომაზე მიხეილ გორბაჩოვის მოხსენებაში „ცივი ომის" დასრულების გულწრფელი სურვილი გაცხადდა. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირს თავისი ჯარის უდიდესი ნაწილი გამოჰყავს ცენტრალური ევროპიდან.

ამ მოხსენების პროექტი, მასში შემავალი ძირითადი დებულებებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ იყო მომზადებული და როგორც მისი მოხსენება, ისე ჩემი და ჩვენი სამინისტროს მთელი საქმიანობა, უნისონში მიმდინარეობდა.

გორბაჩოვის ამ გამოსვლამდე კი იყო მიზანმიმართული და ურთიერთგანპირობებული პრინციპული ნაბიჯები, რომლებსაც ნაწილობრივ უკვე შევეხე. ისინი იმდენად ლოგიკურად ებმიან ერთმანეთს, რომ მსურს კიდევ ერთხელ გავიხსენო ისინი: საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდაზე ცალმხრივი მორატორიუმის გამოცხადება (რომელიც ორჯერ, ასევე ცალმხრივად, გაგრძელდა), გორბაჩოვის შეხვედრა რეიგანთან ჟენევასა და რეიკიავიკში; 1988 წელს ნიუ-იორკში გორბაჩოვის ვიზიტი, დასასრულ, ზემოხსენებული გამოსვლა გაეროს ასამბლეაზე.

ჩვენ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით არაერთგზის დავადასტურეთ, რომ აშშ-სა და დასავლეთში მტერს აღარ ვხედავდით. აქედან გამომდინარე, აღარც ჩვენ ვიყავით ამერიკის მტერი. „ახალი

აზროვნება“ ბირთვული იარაღის ეპოქაში პრიორიტეტს აძლევდა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს და მშვიდობიან თანაარსებობაში უარყოფდა კლასობრივ დაპირისპირებას.

ამერიკამ და დასავლეთმა ეს დაიჯერა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახლდათ „ცივი ომის“ დამთავრებისა და ურთიერთნდობის აღდგენის გზაზე. თუმცა უმთავრესი მაინც ის იყო, რომ უნდა შეცვლილიყო საბჭოური მმართველი ელიტის მენტალიტეტი. საკუთარ თავზე გამარჯვება ხომ ყველაზე დიდი გამარჯვებაა. ვიზიარებდით რა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა უნივერსალურობას, ჩვენ თვითონვე ვთავისუფლდებოდით ტრადიციის „მარწუხებისგან“ და იმის საწინააღმდეგოდ, როგორც ამას მაშინაც და დღესაც ფიქრობენ რუსეთში, გამარჯვებულები გამოვდიოდით. როგორც ინგლისელები იტყვიან, „საღი აზრის“ გამარჯვება ყველაზე სასარგებლოა, რადგან წაგებული ამ დროს არავინაა, ყველა გამარჯვებულია. „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირში, უპირველესად, სწორედ „ახალმა აზროვნებამ“ დაამარცხა და „ახალი მსოფლიო წესრიგი“, ახალი საგარეო პოლიტიკა და საერთოდ, ახალი ფილოსოფია სწორედ მისი შედეგია.

როგორი იქნება „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ოცდამეერთე საუკუნეში? აი, ყველაზე მთავარი კითხვა, რომელზეც პასუხის გასაცემად ერთი რამ უნდა ითქვას ხაზგასმით: ოთხმოციან წლებში „ცივი ომის“, როგორც მსოფლიო წესრიგის საფუძვლის უარყოფის დროს, საბჭოთა კავშირმა უარი თქვა სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობის შეხედულებებსა და დოგმებზე, მაგრამ შეძლებს კი დღევანდელი რუსეთი უარი თქვას იმ იმპერიულ შეხედულებებსა და დოგმებზე, რომლებიც რუსი ადამიანის შეგნებაში საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა მეზობელი ქვეყნების მიწებისა და მეზობელი ხალხების დაპყრობის საფუძველზე?

უპირველეს ყოვლისა, ეს ევროპას ეხება. სწორედ მან უნდა დაიცვას ის ქვეყნები, რომლებიც კომუნისტური იმპერიის დანგრევის შემდეგ გამოეყო რუსეთს. ზოგმა დაიბრუნა სახელმწიფოებრიობა, ზოგმა ახლა შექმნა — იმ რწმენითა და იმედით, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ტრადიციული აგრესია აღარ განმეორდება. სხვა შემთხვევაში, ევროპა თვით იქნება დაუცველი და მუდმივად ფეთქებადი.

სწორედ ამიტომ გადაიდგა ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოსა და აზერბაიჯანში ის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯები, რომელთაც ეს ქვეყნები მსოფლიოსთვის, აშშ-ისთვის და ევროპისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახადეს. სწორედ ამიტომ გაწევრდა საქართველო ევროსტრუქტურებში და ამიტომ ელოდება ნატო-ში გაწევრებასაც; სწორედ ამიტომ აყალიბებს საქართველო ამერიკის დახმარებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ჯარსაც. რა თქმა უნდა, ეს პროცესი რუსული იმპერიული აზროვნებისა და ფსიქოლოგიისთვის მიუღებელი და მტკივნეულია და ამიტომაც არის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტების უკან მუდმივად რუსეთი რომ დგას.

მაგრამ დრო მაინც თავისას აკეთებს და გააკეთებს. დროა, რუსეთიც შეიცვალოს, დროა, თავისი პრობლემები თავად რუსეთში მოაგვაროს...

ნუ დაგვავიწყდება ჩეჩნეთი... დროა, რუსეთმა გაითვალისწინოს, რომ მას, როგორც ქვეყანას, დიდი საფრთხე ელის შიგნიდან — საქართველო აქ არაფერ შუაშია.

შეხვედრა მალტაზე და განაწყენებული გორბაჩოვი

1988-89 წლებში სრულიად ახალ საფეხურზე ავიდა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, რამაც, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოზე კეთილი გავლენა მოახდინა.

ამ სამშვიდობო პროცესის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბუშისა და გორბაჩოვის მალტის შეხვედრას (1989, 2-3 დეკემბერი), რომელიც წინარე მოვლენათა ლოგიკური განვითარების შედეგი იყო.

მალტაზე ჩვენ დიდი ხომალდით ცოტა ადრე ჩავედით და მალტის ხელმძღვანელობას შევხვდით. ბუში თანმხლები პირებით ცოტა გვიან ჩამოვიდა სამხედრო გემით, კრეისერით.

ზღვაზე დიდი ღელვა ატყდა. ძლივს მიაყენეს ნავი კრეისერს, ამერიკის პრეზიდენტი რომ გადმოსულიყო. პირველად მცველი ჩამოვიდა, მერე

პრეზიდენტი. მოულოდნელად ბუშს რკინის კიბეზე ფეხი დაუცდა და დაიზიანა, თუმცა ჩვენს გემამდე მაინც გამოაღწია. იმ ღამეს საბჭოთა ხომალდზე დარჩა, მოლაპარაკებაც ჩვენს გემზე გაიმართა.

ასეთი რამ ადრე სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა. აქ გაფორმდა მალტის ცნობილი ხელშეკრულება. მაშინ ორი სახელმწიფოს მეთაურებმა განაცხადეს, რომ ამერიკა და საბჭოთა კავშირი ამიერიდან მტრულად განწყობილი ქვეყნები აღარ არიან, ამ ორ ქვეყანას შორის მტრობის ეპოქა დასრულდა.

ეს უკვე მეორე, პრინციპული ნაბიჯი იყო ამ ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში: საბჭოთა კავშირმა ჯერ უარი თქვა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში კლასობრივ მიდგომაზე, ახლა ორივე ქვეყნის მეთაურმა ეს ერთობლივად და ოფიციალურად დაადასტურა. ორი ზესახელმწიფოს, ორი ბირთვული შეიარაღების მქონე ქვეყნის ხელმძღვანელთა ეს განცხადება მართლაც მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების ტოლფასი გახლდათ.

აქვე ერთი, სხვათათვის შეუმჩნეველი, მაგრამ ჩემთვის ნიშანდობლივი და იქნებ მომავლის განმსაზღვრელი რამ მოხდა.

ბუში და გორბაჩოვი რაღაც ინფორმაციასთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ: გორბაჩოვმა შეუსწორა, ასე არ არისო. ბუშმა შესწორება არ მიიღო: „ეს ინფორმაცია შევარდნაძისგან მოდის“. გორბაჩოვმა გადმომხედა. ბუშმა დაამატა: „ჩვენ ვენდობით შევარდნაძეს“.

უხერხული სიტუაცია შეიქმნა. გორბაჩოვს არაფერი უთქვამს, მაგრამ, რომ იტყვიან, „გაშავდა“, არ ესიამოვნა. ბუშს კი ეგონა, კარგი საქმე გამიკეთა.

ამ დროისთვის მე უკვე ვგრძნობდი, რომ გორბაჩოვის დამოკიდებულება ჩემ მიმართ აღარ იყო ისეთი, როგორიც ადრე — თითქოს გაცივდა და გამერიდა, თითქოს აწუხებდა ჩემი მზარდი ავტორიტეტი, პოპულარობა... დასცდა კიდეც ჩემი გადადგომის შემდეგ, ვიცე-პრეზიდენტად მინდოდაო შევარდნაძის გადაყვანა. მოკლედ, ჩემი აქტიური პოლიტიკისაგან ჩამოცილება სურდა. ვიცე-პრეზიდენტი საბჭოთა კავშირში რა იქნებოდა, ყველამ იცოდა — ერთი უფუნქციო კაცი (რა თქმა უნდა, შედარებით).

ბოლო ხანებში გორბაჩოვს ველარ ვცნობდი, თავისივე წამოწყებული

საქმისადმიც და ძველი თანამებრძოლებისადმიც სხვაგვარად იყო განწყობილი.[15] რეაქციული ძალები თავად მასში ამარცხებდნენ „პერესტროიკას“, სწორედ ამან, ან ამანაც, მიიყვანა ქვეყანა რეაქციული გადატრიალების მცდელობამდე შემდგომში განვითარებული მოვლენებით.

მე ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ ჩემს პოსტზე უცხოეთში საბჭოთა კავშირის ინტერესები ღირსეულად წარმომეჩინა და საიმედოდ დამეცვა. ეს უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად ძლიერ სულიერ და ფიზიკურ დატვირთვასაც გულისხმობდა. გავიხსენებ მხოლოდ ერთ, 1988 წელს – თექვსმეტ ქვეყანაში ვიყავი და შევხვდი მსოფლიოს უმთავრესი ქვეყნების პირველ პირებს; ამავე წელს მოსკოვში სხვადასხვა დროს შევხვდი დაახლოებით ოცდახუთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრსა და ორმოცამდე ქვეყნის ელჩს. და ეს უბრალოდ შეხვედრები ხომ არ იყო – ყველა მათგანისთვის ის სათქმელი და ის სიტყვა უნდა შემერჩია, რომელსაც ჩემგან ელოდნენ, რომელსაც შენი ქვეყნისთვის სიკეთე მოაქვს და მტერს მეგობრად აქცევს.

როგორი საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, სხვამ განსაჯოს, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა წარმატებები საგარეო ასპარეზზე, მით მეტად იზრდებოდა ჩემი ოპოზიცია ქვეყნის შიგნით. თითქმის მარტოს მიწევდა თავის დაცვა. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ჩემი გადადგომა ამანაც გამოიწვია. თუმცა ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მე ვხედავდი მზარდ წინააღმდეგობას შიდაგარდაქმნის კურსისადმი და მინდოდა სხვასაც ახელოდა თვალი.

საღი აზრის გამარჯვება ვაიომინგში

1989 წლისთვის ჩემსა და ბეიკერს შორის მეტად უნიკალური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ჩვენ მხოლოდ საქმიანი პარტნიორები კი არა, მეგობრები ვიყავით და სისტემატურად ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს მეგობრობა კეთილად წაადგა ჩვენს ქვეყნებს.

[15] ალექსანდრ იაკოვლევი თავის მოგონებებში გულისტკივილით აღნიშნავს: „Горько было и то, что Горбачёв, как правило, уходил с моих выступлений и даже мизинцем не пошевелил, чтобы хоть как-то поддержать меня.“ (Александр Яковлев, Сумерки, М., 2005, с.454)

ერთხელ, როდესაც ვაშინგტონში ჩავედი, სახელმწიფო დეპარტამენტში საუბრისას ბეიკერმა მითხრა:

— რა არის, სულ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში რომ ვხვდებით? არ გინდა ულამაზეს ადგილას წაგიყვანო, სადაც ვილა ავიშენე? ვიცი, რომ თქვენი ქვეყანა ლამაზია, მაგრამ ეს ამერიკაში გამორჩეული ადგილია და მინდა გაჩვენო.

— სად? — ვკითხე.

— ვაიომინგში, — მიპასუხა.

ოთხ-ხუთ საათში ჩავფრინდით. მარტო არ ვიყავით, იქაც დაგვხვდნენ სტუმრები. მეორე დღეს ღია ცის ქვეშ დავიწყეთ მოლაპარაკება. საუცხოო ამინდი იყო. ნაკრძალში ვიყავით, ტბასთან ახლოს. იქაურმა ხედმა ალაზნის ველი გამახსენა, სიღნაღიდან რომ გადმოსცქერი. ოთხას-ხუთას მეტრში ცხოველები დააბოტებდნენ, ადამიანებს არ უფრთხოდნენ.

არაჩვეულებრივი განწყობა გვქონდა. ალბათ, ამანაც განაპირობა და, რა თქმა უნდა, ადრე გადადგმულმა ნაბიჯებმაც, რომ შევთანხმდით — დადგა დრო ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობანი უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს და ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად ჭეშმარიტად პარტნიორული გახდეს. ეს ყველაფერი სათანადო განცხადებით გაფორმდა.

მართლაც საკმაოდ ახალი ეტაპი იყო. პირველად ისტორიაში, ორი ქვეყანა შეთანხმდა, რომ ამიერიდან ჩვენ არათუ მტრები, არამედ პარტნიორები ვართ და რომ ვალდებულებას ვიღებთ მთელი პლანეტის მასშტაბით ვითანამშრომლოთ. ურთიერთობის ასეთი უპრეცედენტო ხარისხი მთელ მსოფლიოს ბევრად უკეთეს პერსპექტივას უსახავდა. ვაიომინგი იმ საღი აზრის ნამდვილი გამარჯვება იყო, ზემოთ რომ ვახსენე. ორივე ზესახელმწიფომაც გაიმარჯვა, რაკიღა ერთმანეთს თანაბარ პარტნიორებად აღიარებდნენ — ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი ნამდვილად არ დასუსტებულა. ასეა თუ ისე, 3-4 წლის განმავლობაში გატარებულმა რეფორმებმა და ახალმა საგარეო პოლიტიკამ საბჭოთა კავშირი, ცივილიზებული სახით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად დააყენა ამერიკის გვერდით. ეს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება გახლდათ.

მოლაპარაკების შემდეგ ვითევზავეთ. ბეიკერმა სათევზაო რეზინის ჩექმები მაჩუქა, რომელსაც დღემდე ვინახავ. ერთი ჭიჭყინა იმან დაიჭირა, მე არაფერი, მაგრამ პოლიტიკური ნადავლი მართლაც მნიშვნელოვანი იყო.

ის საღამოც შესანიშნავად გავატარეთ. გაიმართა შეხვედრა ბიზნესმენებთან. ყველა აღტაცებული იყო — ვაიომინგის შეხვედრა ისტორიაში შევაო. მგონი, მართალნი იყვნენ.

კიდევ ერთხელ მსურს განვმარტო, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი თუ სახელმწიფო მდივანი საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში დამოუკიდებელი არ არის, რადგან იგი მოქმედებს ქვეყნის უმაღლესი პირისა და საკანონმდებლო ორგანოს მიერ განსაზღვრული კურსისა და ინსტრუქციების შესაბამისად, მაგრამ მას მაინც აქვს იმის თავისუფლება, რომ თავისი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად ლოგიკური გაგრძელება მოუძებნოს ამ კურსს.

მე და ბეიკერმა სწორედ ასეთი ნაბიჯი გადავდგით ვაიომინგში და ისტორიამ დაამტკიცა ამ ნაბიჯის სისწორე და დროულობა.

ვაიომინგის კურსმა შესაბამისი გაგრძელება პოვა მეორე ულამაზეს ტბაზე, ბაიკალზე და შემდეგ ვნუკოვოს აეროპორტში — როცა პარტნიორობის შესახებ განცხადების უკვე საქმით დადასტურების დრო დადგა.

ერაყის აგრესია ქუვეითში: პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ

მე და ბეიკერი მონაცვლეობით ვხვდებოდით ერთმანეთს. მისი ჩამოსვლის დროც მოვიდა და მოსკოვში ჩამოფრინდა. მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა „რუსულ საოცრებაზე", ბაიკალის ტბაზე მისი წაყვანა. სხვათა შორის, ბაიკალის გარშემო მაშინ დიდი ხმაური იყო ატეხილი. ტბის პირას ცელულოზის ქარხანა და სხვა საწარმოები იყო აშენებული და სპობდნენ ამ უნიკალურ ტბას. დიდი მოძრაობა იყო გაჩაღებული მის დასაცავად. ანდრეი სახაროვიც, ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი საბჭოთა დისიდენტი და ადამიანის უფლებათა

უკომპრომისო დამცველი, მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. ბოლოს გორბაჩოვმა გამოსცა განკარგულება ბაიკალის აუზის დაცვის შესახებ.

ვისაც ბაიკალი არ უნახავს, მას რუსეთიც არ უნახავსო, ამბობენ და სწორიცაა.

ერთი სიტყვით, მოსკოვში მოვითხოვე და მომიტანეს ბაიკალის ამსახველი მასალა — სურათები, ვიდეოფირი. შემდეგ ეს ბეიკერსაც ვუჩვენე და გადავწყვიტეთ ბაიკალზე წასვლა. ჩავფრინდით ირკუტსკში, მერე იქიდან ვერტმფრენით — ბაიკალზე. ბეიკერი აღფრთოვანდა ბაიკალის სილამაზით — საოცრებააო. ვუთხარი — ეს რუსეთისათვის იგივეა, რაც ამერიკისთვის ვაიომინგი-მეთქი. ვითევზავეთ. ისევ უშედეგოდ. ბეიკერი მონღოლეთში მიფრინავდა, მე — მოსკოვში. სწორედ აქ, წასვლის წინ მითხრა: „ვაშინგტონიდან შემატყობინეს, რომ ერაყი ქუვეითში აპირებს შეჭრას“.

ვერ დავიჯერე — ეს ის დროა, როდესაც ერაყ-ირანის ომია გაჩაღებული და ახალი ფრონტის გახსნა ერაყისთვის წარმოუდგენელი იყო. ამ ომის დამთავრებას პირი არ უჩანდა. ვცდილობდი ორივე მხარესთან ომის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებას, მაგრამ უშედეგოდ. ახლა კი ქუვეითი... ვიმეორებ: დაუჯერებელი იყო, არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა. ბეიკერს ასეც ვუთხარი. დამეთანხმა — მართალი ხარ, მაგრამ დაზვერვის მონაცემებს რა ვუყოო. შემდეგ მონღოლეთში გაფრინდა.

მეორე დღეს მირეკავს — „მოსკოვში უნდა ჩამოვფრინდე, არ მინდა გახმაურდეს და იქნებ „ვნუკოვო-2“-ის აეროპორტში დახვედრა შეძლო“.

დავხვდი. პატარა ოთახში დავსხედით. შეწუხებულმა მითხრა:

— ერაყის ჯარებმა უკვე გადალახეს ქუვეითის საზღვარი, დაზვერვა მართალი აღმოჩნდა.

— რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

— ჩვენ დავიცავთ ქუვეითს, მაგრამ ეს გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით უნდა გაკეთდეს, რათა ისლამურმა სამყარომ სხვანაირად არ გაიგოს. ჩვენ გვჭირდება საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა უშიშროების საბჭოში და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად.

დავეთანხმე. აშკარა აგრესია იყო და თუმცა, საბჭოთა კავშირს ერაყთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, აგრესორს ვერ დავიცავდით.

რაც ყველაზე მთავარია, ერაყმა ეს ნაბიჯი ჩვენ ზურგს უკან გადადგა – იცოდა, წინააღმდეგი რომ ვიქნებოდით. ამიტომ ერაყთან სერიოზული არგუმენტი გვქონდა იმის თაობაზე, რატომ უნდა დაგვეჭირა მხარი ამერიკისთვის.

ბეიკერს დახმარების პირობა მივეცი. ჩემს თავზე ავიღე ყველაფერი – დარწმუნებული ვიყავი, გორბაჩოვი ამის წინააღმდეგ არ წავიდოდა. იქვე, აეროპორტში, მოვამზადეთ საბჭოთა-ამერიკული ერთობლივი განცხადების პროექტი. შევხვდით პრესას. ბეიკერმა გამოაცხადა, ერაყი თავს დაესხა ქუვეითს და გვინდა უშიშროების საბჭოს მოსალოდნელი გადაწყვეტილების შესაბამისად დავეხმაროთ. მადლობელი ვარ შევარდნაძის, ამ საქმეში რომ მხარი დაგვიჭირაო. ეს იყო 1990 წლის სამი აგვისტო.

როგორც კი ბეიკერი გავაცილე, აეროპორტიდანვე გორბაჩოვს დავურეკე. ყველაფერი ავუხსენი; ისიც ვუთხარი, რომ წინააღმდეგობა არ შეიძლებოდა, იმისდა მიუხედავად, რომ ერაყში დიდი ინტერესები გვქონდა და იქ რამდენიმე ათასი ჩვენი მოქალაქე მუშაობდა. დამეთანხმა, თუმცა დაუმატა, მთელი პასუხისმგებლობა შენ დაგეკისრებაო. ამის უკან კი მარტო ჩვენი ხალხისა და ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებლობა კი არ იგულისხმებოდა, არამედ საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების წინაშეც.

დიდი ჯაფა დამადგა მაშინ. რა გასაკვირიც უნდა იყოს, ამ განცხადების განხილვისას სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა პრობლემები. უმცირესობაში აღმოვჩნდი. ზოგიერთი ჩემი მოადგილე და ექსპერტი წინააღმდეგი იყო: ერთნი – ფორმულირებებისა, მეორენი კი, საერთოდ – განცხადებისა. ერაყსა და ახლო აღმოსავლეთთან ჩვენ მართლაც განსაკუთრებული ურთიერთობანი გვქონდა, ამდენად, მათ პოზიციას სერიოზული საფუძველი ჰქონდა, მაგრამ საფუძველიანი იყო ჩემი პოზიციაც, რომელიც მხოლოდ ერთ ქვეყანასა და ერთ რეგიონთან ურთიერთობის პრობლემებს კი არ ითვალისწინებდა, არამედ მთელი მსოფლიოს მომავალსა და საბჭოთა კავშირის როლს ამ მომავალში, საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკის კურსის გაგრძელებას...

სხვა გზა არ იყო – კოლექტიური გადაწყვეტილების ნაცვლად,

ერთპიროვნული გადაწყვეტილება მივიღე, პასუხისმგებლობაც მთლიანად ჩემს თავზე ავიღე და...

დრომ დაადასტურა, რომ მართალი ვიყავი.

მე ბეიკერს სიტყვა მივეცი, რომ უშიშროების საბჭოში მხარს დავუჭერდით და გორბაჩოვის თანხმობით, სიტყვა შევასრულე კიდეც. თუმცა ეს მაინც ეპიზოდი იყო და არა სისტემა, მაგრამ გამოხატავდა ახალი საგარეო პოლიტიკის ხასიათს.

ერაყში ჩემი თანამშრომლები გავაგზავნე და სადამ ჰუსეინს შევუთვალე, თუ სასწრაფოდ არ დაიწყებოდა ერაყიდან ჩვენი მოქალაქეების გამოყვანა და ის ამას ხელს არ შეუწყობდა, კონფლიქტში ჩვენც ჩავერთვებოდით, ამერიკელები კი ბაღდადში შეიდოდნენ. მართლაც ერთობ სწრაფად და უდანაკარგოდ მოხერხდა ჩვენი მოქალაქეების ევაკუაცია.

სახელმწიფოს მიერ ასე აშკარად გამოხატული პოზიციის გვერდით მაინც იყო მცდელობა სადამის „დაშოშმინებისა“ და მასთან საერთო ენის გამონახვისა, რაკილა იგი საბჭოთა კავშირის მეგობრად ითვლებოდა. ამ მიზნით ჯერ ბაღდადში, შემდეგ კი ვაშინგტონში საშუამავლო ვიზიტით სადამის პირადი მეგობარი ევგენი პრიმაკოვი გაემგზავრა. მე წინააღმდეგი ვიყავი ამ ვიზიტის, ვუთხარი კიდეც გორბაჩოვს: „არ შეიძლება ქვეყანას ორი საგარეო პოლიტიკა ჰქონდეს“.

ვიზიტებიდან არაფერი გამოვიდა, პრიმაკოვმა სადამ ჰუსეინი ვერანაირ დათმობაზე ვერ დაითანხმა, ბუშმა კი მკვახედ მოუჭრა სადამის პროტეჟეს — „სადამმა ჰიტლერის მსგავსი დანაშაულები ჩაიდინა, მასთან ლაპარაკი და მისთვის რაიმეს დათმობა არ შეიძლება!“

მერე, როდესაც „უდაბნოს ქარიშხალი“ ამოვარდა, ბეიკერმა დამირეკა და მკითხა (ეტყობა, საჭიროდ ჩათვალა ჩემი, როგორც პარტნიორის, აზრი გაეგო და გაეთვალისწინებინა):

— ასი კილომეტრია ბაღდადამდე, როგორ ფიქრობ, უნდა შეიდეთ?

— ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ბაღდადში არ შევიდოდი.

— რატომ?

— ბაღდადი ამ რეგიონისათვის სრულიად განსაკუთრებული ქალაქია, თავისი ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით. ეს ჩრდილს მოგაყენებთ, ეჭვქვეშ დააყენებს თქვენს სამართლიანობას.

მოგვიანებით დამირეკა და მითხრა: „მართალი იყავი, პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ არ შეიძლება ბაღდადში შესვლა“.

აი, სწორედ მაშინ თქვა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა: „დადგა ქვეყნებს შორის ახალი პარტნიორული ურთიერთობების დრო. დღეს ჩვენ უნიკალური და ღირსშესანიშნავი მომენტის წინ ვდგავართ. სპარსეთის ყურის კრიზისმა, მისი მთელი სერიოზულობის მიუხედავად, ჩვენ მოგვცა იშვიათი შესაძლებლობა თანამშრომლობის ისტორიულ პერიოდზე გადასასვლელად. ამ წინააღმდეგობრივ დროთა წიაღიდან შეიძლება დაიბადოს „ახალი მსოფლიო წესრიგი“.

გავა დრო და ბეიკერი დაწერს თავის მემუარებში:

„ცივი ომი“ დამთავრდა მაშინ, როდესაც მე და შევარდნაძე შევხვდით ვნუკოვოს აეროპორტში და მან მხარი დაგვიჭირა. ჩვენი ერთობლივი განცხადებით, ბოლო ლურსმანი ჩაეჭედა „ცივი ომის“ კუბოში“.

მართლაც ასე იყო.

„საბჭოთა შეტევა“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონზე

1987-88 წლებში ბევრი რამ გაკეთდა, რომ მოწესრიგებულიყო ურთიერთობა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან, დაწყებული ჩინეთით და ტაილანდით დამთავრებული. აქ ძალზე ბევრი რამ იყო გაფუჭებული და ხშირად ურთიერთობის დაწყება, ფაქტობრივად, ნულიდან გვიწევდა.

ჩემი ოფიციალური ტურნე ავსტრალიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში იმანაც განაპირობა, რომ OSEAN-ის (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ორგანიზაცია) ქვეყნების განვითარებული ეკონომიკის ფონზე ინდოჩინეთი, განსაკუთრებით კი ვიეტნამი, ისე უიმედოდ ჩამორჩა, რომ ჩვენი დახმარება მათ ველარაფერს შველოდა, ხოლო საბჭოთა კავშირს დიდ ზიანს აყენებდა — ეკონომიკურს, პოლიტიკურს და მორალურს. ამ ქვეყნებში დიდ სამხედრო და ფინანსურ დახმარებასთან ერთად ჩვენი უყაირათობა, ეკონომიკის კანონების პოლიტიკური მართვა და ის უტოპიური

ქმედებები შევიტანეთ, რომლებმაც ისედაც ღარიბი ქვეყნები კიდევ უფრო გააღარიბა.

საჭირო იყო მდგომარეობას ადგილზე გავცნობოდი, დაუყოვნებლივ უნდა გადაგვედგა გარკვეული ნაბიჯები და დაგვესახა სამომავლო გეგმები. მთავარი კი ვიეტნამის იმ სამხედრო ამბიციების ჩაცხრობა იყო, რომელიც მთელ რეგიონს სერიოზულად აფიქრებდა. საკმაოდ ძნელი მისია მქონდა. ვიცოდი, განსაკუთრებული სირთულე სწორედ ვიეტნამში მელოდა და ამისთვის ჩემს თავსაც და მასპინძლებსაც იმთავითვე ვამზადებდი.

ბუნებრივია, ამ ცამეტდღიანმა ვიზიტმა (1-13 მარტი) საერთაშორისო საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო. სანამ ვიეტნამში ჩავიდოდი, ავსტრალიაში, ინდონეზიასა და ტაილანდში ვიყავი, შემდეგ — ლაოსსა და კამბოჯაში. ამგვარი სქემა იმდროინდელი თუ სამომავლო მომხრეების წარმოსაჩენად აუცილებელი იყო და ვითარების დეტალური, ოპტიმალური შესწავლის საშუალებას მაძლევდა. ის საქმე, რომელიც ყველას ასე აფიქრებდა, ბოლოს ვიეტნამში უნდა გადაწყვეტილიყო. მანამდე მარტო მე კი არა, ვიეტნამელებიც უნდა მომზადებულიყვნენ. წინასწარი ინფორმაციით, მათ საკმაოდ ხისტი და შეუვალი პოზიცია ეკავათ. სხვათა შორის, სწორედ ამიტომ წინასწარმა ინფორმაციამ ჩემგან საკვებით შეგნებულად გაჟონა. ჩემმა ამა თუ იმ ფრაზამ, რომელიც გამგებისთვის იყო გამიზნული — ზუსტად იმუშავა. ასე მაგალითად, ტაილანდში ყოფნისას მივანიშნე, რომ ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა შეიძლება კამბოჯის პრობლემის გადაწყვეტისთვის მისაბაძი მაგალითი გამხდარიყო. მე ხომ ღიადაც მივესალმე ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის იმ პოლიტიკას, რომლითაც იგი ჩინეთსა და ტაილანდთან ურთიერთობის ნორმალიზებას ესწრაფოდა. ეს კი ფრიად სერიოზული განცხადება გახლდათ.

დიდი და ძლიერი ქვეყნები საკუთარ შეხედულებებს, ჩვევას, მსოფლმხედველობას ხშირად უნივერსალურად მიიჩნევენ და სხვა ხალხებს ახვევენ თავს. ასეთი ტენდენცია თავის დროზე დამახასიათებელი იყო ფრანგი თუ ინგლისელი კოლონიზატორებისთვის, ამერიკელებისთვის, რუსებისთვისაც. არადა ქვეყნები და ხალხები ისე განსხვავდე-

ბიან ერთმანეთისგან, ღმერთმა ისეთი სხვადასხვაობა შექმნა, რომ მათი ერთმანეთში გათქვეფა და ნიველირება მართლაც დიდი დანაკლისი იქნება მსოფლიოსთვის, მაგრამ ვერც ინგლისელებმა, ვერც ფრანგებმა, ვერც რუსებმა, ვერც ამერიკელებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს თავიანთი კულტურით ჩაენაცვლებინათ დაპყრობილი ერების კულტურები.

ლაოსში სულ დღენახევარი დავყავი. მკაფიოდ დამამახსოვრდა მათი საოცარი სიმშვიდე, სიდინჯე, თავდაჭერილობა და გულითადობა. იმდენად ხმადაბლა ლაპარაკობენ, რომ ძალიან ყურადღებით უნდა უგდო ყური, რომ გაიგო. მათთვის უცხოა ლტოლვა გამდიდრებისა და დაგროვებისკენ, რაც იმითაც ვლინდება, რომ ძირითადი საკვები, ბრინჯი მხოლოდ იმდენი მოჰყავთ, რამდენიც ოჯახს გამოსაკვებად სჭირდება. იმანაც გამაკვირვა, რომ დაბადების დღე მათთვის განსაკუთრებულ დღედ არ ითვლება. ასეთი დღე მათთვის ახალი წელია, რომელსაც აპრილის შუა რიცხვებში აღნიშნავენ, როდესაც წვიმის სეზონი დგება. ეს დღესასწაული სამი დღე გრძელდება.

კომპარტიის წევრები, ხელმძღვანელებიც კი, ბუდიზმის მიმდევარნი არიან, რაც სულაც არ უშლის ხელს მათ პარტიულობას. ისინი ორთოდოქსები არ არიან, თანაც მათთვის სამყაროს მშვიდი ჭვრეტა უფროა დამახასიათებელი, ვიდრე ათეისტური აგრესიულობა.

კამბოჯაში, გენოციდის რეჟიმის დანაშაულთა მუზეუმ „ტუოლ სლენგაში“ შემაძრწუნა იმ მასალებისა და დოკუმენტების ხილვამ, რომლებიც პოლ პოტის ხროვის მიერ საკუთარი ხალხის გენოციდს ასახავს. ნანახმა სულით ხორცამდე ისე შემძრა, რომ განვაცხადე:

— ჩვენ მხოლოდ მატერიალურად და ეკონომიკურად კი არ უნდა დაგეხმაროთ, არამედ მორალურად და სულიერადაც, რათა დაგიბრუნდეთ საკუთარი ძალების რწმენა, დაიჯეროთ ის, რომ ხალხის გენია ცოცხლობს და ყველა სიძნელეს გადალახავს, ააღორძინებს ერის სულს.

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ კამბოჯა ამ რეგიონის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში აქ უკვე არსებობდა ქხმერთა სახელმწიფო ბაპნომი.

ტრაგიკული და აღმაშფოთებელია, რომ მეოცე საუკუნის სამოცდაა-

თიან წლებში ეს უძველესი ქვეყანა და ეს შესანიშნავი ხალხი სოციალური ექსპერიმენტის ობიექტად იქცა, როდესაც გადატრიალების შედეგად ხელისუფლება ხელთ იგდო კომუნისტ-ფანატიკოსთა ჯგუფმა პოლ პოტისა და იენგ სარის მეთაურობით. მათ არაადამიანურ ექსპერიმენტს მილიონობით კამბოჯელი შეეწირა, მოსახლეობის თითქმის ნახევარი — ერის საუკეთესო, უგანათლებულესი ნაწილი, სასულიერო ფენა, ინტელიგენცია. ვინც გადარჩა, ქალაქის მოსახლეობა, სოფლად გადაასახლეს, სოფლის მცხოვრებნი კი — ქალაქში. მოსპეს ოჯახური ურთიერთობის ტრადიციები, დაანგრიეს ეკონომიკა. კამბოჯის საზოგადოება, როგორც ასეთი, აღარ არსებობდა. 1979 წელს ვიეტნამის დახმარებით ხალხმა პოლ პოტის დიქტატურა დაამხო, მაგრამ დამხობილებმა, რომელთაც ჩინეთი უჭერდა მხარს, იარაღი არ დაყარეს, ჯუნგლებში გავიდნენ და სამოქალაქო ომი გააჩაღეს.

ჩემი ტურნეს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში დაპირისპირებულთა შორის დიალოგის გამართვისთვის ხელშეწყობაც იყო. ეს გულისხმობდა რეგიონის გადაქცევას მშვიდობის, სტაბილურობისა და თანამშრომლობის ზონად, სადაც სწორედ კამბოჯის არეალზე მოიხსნებოდა ჩინეთისა და ვიეტნამის კონფრონტაციის ფაქტორი. ამასთან, კამბოჯას გაეროში მისი კუთვნილი ადგილი უნდა დაბრუნებოდა. მოკლედ, „კამბოჯის საკითხის“ მოგვარება უპირველესად კამბოჯიდან 1990 წლისთვის ვიეტნამის ჯარების ეტაპობრივ გაყვანას გულისხმობდა. თუმცა ეს უკანასკნელი ფაქტორი შემდეგ გამოიკვეთა. მანამდე კი თავად ვიეტნამისა და ჩინეთის ხელმძღვანელობასთან უნდა გვემუშავა.

კამბოჯაში ფეთქებადი მდგომარეობა, ბუნებრივია, მისი მეზობლების — ჩინეთის, ბირმის, ტაილანდის, ლაოსის შეშფოთებას იწვევდა. ყოველ მათგანს იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირი ვიეტნამს ხელს ააღებინებდა კამბოჯაში შეიარაღებული ჩარევისაგან.

ჩემზე გულისშემძვრელად იმოქმედა ტაილანდის სამეფო ავიაციის მთავარი მარშლის, საგარეო საქმეთა მინისტრის სიტტი სავეტსილას სიტყვებმა. როდესაც იგი რეგიონში მშვიდობის დამყარებისკენ ტაილანდის გულწრფელ სწრაფვაზე ლაპარაკობდა, მან უცებ აღელვებით, ძალზე უბრალოდ და შთამბეჭდავად მითხრა: „თქვენ შეგიძლიათ თვალებში

ჩამხედოთ და დარწმუნდებით, რომ მე სიმართლეს ვამბობ!“ პასუხად გავიფიქრე, რომ მშვიდობაზე დიალოგის დროს სიმართლე ყველაზე ძლიერი არგუმენტია. ეს იყო სწორედ ის ახალი, გულწრფელი, მართლაც ხალხთა ინტერესების გამომხატველი დიპლომატია, რომლის დანერგვასაც ვცდილობდი დღიდან „პერესტროიკის“ დაწყებისა.

სხვათა შორის, შემდეგ, ჩემი მოწვევით, სავეტსილა მოსკოვში ჩამოვიდა და დიალოგი კამბოჯასა და რეგიონში მშვიდობის დამყარებაზე იქ გავაგრძელეთ. სწორედ მოსკოვში ვუთხარი მას: „ბევრისმთქმელია, რომ ჩვენი მნიშვნელოვანი განსხვავებულობის მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთისკენ დავიწყეთ მოძრაობა. ჩვენ მივდივართ ერთმანეთისკენ არა როგორც მხოლოდ ორი სახელმწიფო, არამედ როგორც იმ ერთიანი მსოფლიოს ურთიერთდაკავშირებული ნაწილები, რომელთა გადარჩენასაც მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრიობის შეთანხმებული მოქმედებით შევძლებთ“. და ეს მხოლოდ სიტყვები როდი იყო.

ახლა, გასულ წლებს რომ ვიხსენებ, წინ დადებითი შთაბეჭდილებები მოდის, ყველაფერი ის, რამაც მსოფლიოს ბედი სასიკეთოდ შემოატრიალა, თუმცა ყოველთვის ასე კარგად როდი იყო საქმე... ადამიანი ასეა მოწყობილი – უმეტესად კარგი უფრო გამახსოვრდება, ვიდრე ცუდი.

ამერიკაც, ევროპის ქვეყნებიც, ჩინეთიც, იაპონიაც, ვიეტნამიც, ინდოეთიც, ირანიც, ერაყიც და ა.შ. ყველგან, რა თქმა უნდა, უპირველესად თავიანთ სახელმწიფო ინტერესებს იცავდნენ. ჩემი მეშვეობით დიპლომატიურ ასპარეზზე ამასვე აკეთებდა საბჭოთა კავშირი და მე ხშირად ხისტი უნდა ვყოფილიყავი ჩემს ქმედებებსა და სიტყვებში. თუმცა უეჭვო იყო ისიც, რომ მსოფლიო მაინც რეალური პარტნიორობისკენ მიდიოდა. პრაგმატულად თუ ვიტყვით, „ცივი ომი“ მომგებიანი აღარ იყო.

ჰანოიში ჩასვლისას ვიეტნამელებს კიდევაც განვუცხადე: „ძალა და იარაღი დღეს აღარაა ყველა პრობლემის, რეგიონულისა თუ გეოპოლიტიკურის, გადაწყვეტის უნივერსალური საშუალება“. მერე ხაზი იმასაც გავუსვი, რომ ჰანოიში ჩასვლამდე ტაილანდში, ავსტრალიაში, ინდონეზიაში, ლაოსსა და კამბოჯაში ვიყავი და ყველა დიდი ინტერესით მოეკიდა იმ სამშვიდობო იდეებს, რომლებიც გორბაჩოვმა

ვლადივოსტოკში 1986 წლის 28 ივლისს გამოსვლისას გაახმოვანა; რომ ლაოსი და კამბოჯა დაეთანხმნენ ჩვენს ყველა შეხედულებას აზიის წყნარი ოკეანის რეგიონებში უსაფრთხოების კონცეფციის რეალიზების თაობაზე.

როგორც ზემოთ ვთქვი, ამ რეგიონში უპირველესად ვიეტნამისა და ჩინეთის კონფრონტაცია იყო დასაძლევი. ისინი კამბოჯაში მოწინააღმდეგე, დაპირისპირებულ ძალებს უჭერდნენ მხარს. ასე რომ, მშვიდობის გასაღები სწორედ აქ უნდა მეძებნა. ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ჩინეთსა და ვიეტნამს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იყო ვიეტნამის საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვები, ჩემი მიღების დროს თავის გამოსვლაში რომ ბრძანა: „ვიეტნამელი ხალხი დიდად უფრთხილდება მოძმე ჩინელ ხალხთან მეგობრობას და მუდამ ცდილობს მის აღდგენას. ჩვენმა მთავრობამ არაერთხელ დაადასტურა მზადყოფნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან შესაბამისი მოლაპარაკების დაწყებაზე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დონეზე ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომლებიც ორმხრივ ინტერესს იწვევს და ამ რეგიონსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის გამყარებას ემსახურება. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ძირეული და მუდმივი ინტერესები ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ჩვენ შორის არსებული ამჟამინდელი დროებითი წინააღმდეგობანი“.

ასეთი განცხადება იმასაც ნიშნავდა, რომ ვიეტნამს უნდა დაეცხრო თავისი ამბიციები კამბოჯაში, რომელიც ალბათ არ გაუჩნდებოდა, ჩვენი დიდი დახმარება რომ არა. ახალ, შეცვლილ სიტუაციაში, მას უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ კამბოჯის საკითხში ვიეტნამის გვერდით აღარ ვიდექით. ჩვენ არ ვიზიარებდით მის პოლიტიკას კამბოჯასთან და აქედან გამომდინარე, ჩინეთთანაც. ჰანოის უნდა გაეცნობიერებინა, რომ მისი პოზიცია მთელი რეგიონის აფეთქების მუხტს შეიცავდა.

სხვათა შორის, ამ მოგზაურობის დროს, სადაც უნდა ვყოფილიყავი — ტაილანდში, ავსტრალიასა თუ ინდონეზიაში, ყველგან ერთი და იგივე მესმოდა: „კამბოჯის პრობლემის გასაღები თქვენს ხელთ არის“.

ჩვენ განცხადებებითა და შემდეგ მოლაპარაკებებით ხელი შევუ-

წყვეთ ვიეტნამის ამბიციების ჩაცხრობას. ვიეტნამისა და კამბოჯის პრობლემა აზიის ასპექტში ჩვენი უსაფრთხოების პრობლემაც გახლდათ. მართალია, ვიეტნამის ჩარევამ კამბოჯის საშინაო საქმეებში ეს ხალხი პოლ პოტის რეჟიმსა და გენოციდს ნაწილობრივ გადაარჩინა, მაგრამ ვიეტნამი მაინც შეიარაღებული ძალით ჩაერია სხვა, მეზობელი ქვეყნის საქმეებში, რაც დაუშვებელი იყო — ვიეტნამის უკან კი ჩვენ მოვიაზრებოდით. ეს მნიშვნელოვნად აქარწყლებდა ჩვენს მცდელობებს მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, რითაც ჩინეთი და აშშ, რა თქმა უნდა, ოსტატურად სარგებლობდნენ, როდესაც ავღანეთის ტოლფარდ „კამბოჯის საკითხს“ გლობალურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ ჩვენ ფსკერისაკენ, ავღანეთის გარდა, ვიეტნამის სახით ფეხებზე მობმული მეორე ქვაც გვექაჩებოდა, რისი მოცილებაც იოლი საქმე არ იყო. არადა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი მეგობრის, ვიეტნამის კონფრონტაცია ჩინეთთან ზრდიდა სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების რისკს, რაც ჩვენს სამშვიდობო ინიციატივებს აქარწყლებდა. ერთი სიტყვით, ამ ქვეყნებს ჩვენ ხოცვა-ჟლეტაში კი არა, გარდაქმნაში უნდა დავხმარებოდით.

მოლაპარაკებები ურთულესი და უმძიმესი იყო. უზარმაზარი ძალისხმევა დაგვჭირდა იმ ეჭვის დასაძლევად, რომლითაც ვიეტნამელი მეგობრები ეკიდებოდნენ ტაილანდისა და ინდონეზიის პარტნიორულ წინადადებებს. ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებში მათ ნამდვილი „ტროას ცხენი“ ელანდებოდათ. ეს წმინდა კლასობრივი ფსიქოლოგია იყო. თუმცა ყინული მაინც დაიძრა.

გარდატეხა თავად ჩვენს აზროვნებაშიც მოხდა, როდესაც აზიასა და წყნარი ოკეანის ამ რაიონთან, როგორც იქნა, „ადამიანური“ სახით შევბრუნდით. მაშინ მთელი სიცხადით გამოჩნდა, რომ აზიას უდიდესი მომავალი ჰქონდა, რომ იგი უფრო და უფრო დიდ როლს ითამაშებდა კაცობრიობის ხვალინდელი დღის განსაზღვრაში. ისიც იოლი სავარაუდო იყო, რომ სულ მალე იაპონიას გვერდით აზიის სხვა ქვეყნებიც ამოუდგებოდნენ. ამას პირველად არ ვწერ, მაშინვე მაქვს დაწერილი და ნათქვამი.

როდესაც ამ ტურნეში მივემგზავრებოდი, კარგად მქონდა გაცნო-

ბიერებული, რომ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი არ იქნებოდა ერთგვაროვანი, მიუხედავად იმისა, რომ „გარდაქმნისადმი“ ცხოველი ინტერესი ყველგან შეიმჩნეოდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ავსტრალია, მაგალითად, აშშ-ის მოკავშირე გახლდათ, ტაილანდი და ინდონეზია — ანტიკომუნისტური რეჟიმის სახელმწიფოები და ისინი გარკვეული სიფრთხილით მოეკიდებოდნენ ამ რეგიონის პოლიტიკურ ავანსცენაზე ჩვენს გამოჩენას, მაგრამ აშშ-ის, იაპონიისა და ჩინეთის გვერდით ჩვენ მათთვის მისაღებ პოლიტიკურ ბალანსს ვქმნიდით. ამერიკასთან, უკვე ზემონახსენები „პარტნიორული ურთიერთობების“ დამყარების შემდეგ, შესაბამისი სტატუსის დასამკვიდრებლად ამ სამივე ქვეყანაში უდავოდ გამოიკვეთა პოლიტიკური სწრაფვა მოსკოვთან დიალოგისაკენ. მოსკოვთან დიალოგი მათთვის სერიოზული პოლიტიკური ამბიციების გაცხადება გახლდათ. ჩვენთან დიალოგი მათ არა მარტო აძლევდა საშუალებას, მიეღოთ მონაწილეობა დიდ პოლიტიკაში, არამედ დაეცვათ საკუთარი ინტერესებიც.

ცხადია, ჩვენ ყველაფერი ეს კარგად გავითვალისწინეთ და სპეციალური პროგრამაც შევიმუშავეთ. რეგიონული პრობლემების განხილვისას თითოეულ ქვეყანას გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა.

ავიღოთ, მაგალითად, ავსტრალია. ჩვენ მხარი დავუჭირეთ რაროტონგის ხელშეკრულებას, რითაც გავამყარეთ ავსტრალიის პრეტენზიები წყნარი ოკეანის სამხრეთში მისი გავლენის ზონის თაობაზე. ამასთანავე, ინდონეზიას თავისი პოზიციები სურდა გაემყარებინა როგორც ასეან-ში, ისე საერთოდ, მთელ რეგიონში. მას, დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყანას, დიდი სამომავლო გეგმები და ამბიციები ჰქონდა. ჩვენთან კონტაქტი მას „ჩინურ სინდრომსა“ და „იაპონურ კომპლექსს“ შორის ბალანსირების საშუალებას აძლევდა. რაც შეეხება ტაილანდს, ჩვენი ინიციატივა მას გარკვეულწილად იცავდა ჩინეთისა და ვიეტნამის ზეწოლისაგან.

სამივე ქვეყანა იმედოვნებდა, რომ ჩვენი აქტიურობის შედეგად „კამბოჯის საკითხი“ გადაწყდებოდა. ამ პრობლემის მოგვარება კი სამივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა.

საქმე ის არის, რომ ტაილანდი თავისი მეზობლის, კამბოჯის გამო,

რისკის ზონაში იყო, აქედან გამომდინარე პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური შედეგებით. ინდონეზიისთვის „კამბოჯის საკითხის“ არსებობა ასეან-ში მის ლიდერობას უქმნიდა საფრთხეს და აძლიერებდა ჩინეთის გავლენას. ავსტრალია კი „კამბოჯის საკითხს“ ისე უყურებდა, როგორც რეგიონში გამძაფრებულ არასასურველ სამხედრო აქტივობას და მისი ჩაცხრობა სურდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქ გაჩაღებულ კონფლიქტში 200000 ვიეტნამელი სამხედრო მონაწილეობდა.

მოკლედ, ამ რეგიონისთვის ეს კონფლიქტი არაფრით იყო ნაკლები ავღანეთის კონფლიქტზე და ყველა ფიქრობდა, და სამართლიანადაც, რომ მისი გასაღები ჩვენს ხელთ იყო.

მაგრამ მე გამაოცა ვიეტნამის ხელმძღვანელობის პოზიციამ, რომელსაც მართლაც მძიმე ტვირთი ჰქონდა წამოკიდებული. აკი მითხრა კიდეც მაშინ სუხარტომ, ინდონეზიის პრეზიდენტმა: „ჩინეთის გადამკიდე, ვიეტნამი იძულებულია ფრონტიდანაც მოიგერიოს იერიში და ზურგიდანაც და რაც უფრო გაგრძელდება ეს ყველაფერი, მით მეტად დასუსტდება ვიეტნამი“.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემას სამხედრო გადაწყვეტა არ ჰქონდა, არც ვიეტნამელები და არც კამბოჯელები არ ფიქრობდნენ სხვა გზაზე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შიდაპროვინციებში ინიციატივა მოწინააღმდეგის მხარეზე გადადიოდა, რომელთაც საკმაოდ მომგებიანი ლოზუნგი ჰქონდათ: „ქხმერები არ ებრძვიან ქხმერებს“. ხალხში იზრდებოდა ანტივიეტნამური განწყობილებანი და ამ რეალობების უგულებელყოფას და პროცესის თვითდინებაზე მიშვებას კატასტროფისკენ მიჰყავდა ყველაფერი.

გულწრფელად რომ ვთქვა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არც ვიეტნამისა და არც კამბოჯის ხელმძღვანელობას არ ესმოდა მდგომარეობის მთელი სერიოზულობა. საჭირო იყო ნათელი პოლიტიკური პროგრამა, რაც არავის ჰქონდა, მეტიც — სურვილიც არ ჰქონდათ, ასეთი პროგრამა შეედგინათ.

ეს ყველაფერი ავღანეთს მაგონებდა. ოღონდ, ავღანეთისაგან განსხვავებით, ჩვენი მეგობრები თუ ჰინდუქუშს იქით რაღაცას მაინც

აკეთებდნენ, მეკონგისა და წითელი მდინარის ნაპირებზე ყველაფერი უძრავად იყო.

მოვახსენე კიდეც მოსკოვში პოლიტბიუროს: „თუ კარდინალურად არ შევცვლით სიტუაციას, კატასტროფა გარდაუვალია. გორბაჩოვი პრინციპულად უნდა დაელაპარაკოს ნგუენ ვან ლინს. ალბათ, ეს საუბარი უფრო ძნელი იქნება, ვიდრე მიხეილ სერგის ძის საუბარი ნაჯიბულასთან, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ახლა იქ მარტო კამბოჯის ბედი კი არა, არამედ ალბათ ვიეტნამის ბედიცა და ჩვენი პრესტიჟის ბედიც წყდება. ვიეტნამისა და კამბოჯის ხელმძღვანელობას უნდა წარედგინოს კამბოჯის კრიზისის მოგვარების ჩვენეული, კონკრეტული რეკომენდაციები. თუ „ავღანეთის გასაღებს“ გამოვიყენებთ, ის მნიშვნელოვნად უნდა გაიქლიბოს და საკეტს მოერგოს“.

ვიეტნამის ხელმძღვანელობასთან ჩემი მოლაპარაკება საკმაოდ რთულად წარიმართა. ვიეტნამელი პარტნიორები „ზრდილობიანად“ უარს აცხადებდნენ ავღანეთის მოდელის მსგავსად კამბოჯის პრობლემის გადაწყვეტაზე. ჰანოისათვის არც „ეროვნული შერიგების“ იდეა აღმოჩნდა მისაღები. მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი მაინც არ გამოიღო. ამის საპროტესტოდ მე დავარღვიე საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობებში მიღებული ეტიკეტი და ტელევიზიით აღარ გამოვედი. ყველა დაგეგმილი შეხვედრა გავაუქმე და მოლაპარაკების შემდეგ, საელჩოში, ჩემს კოლეგებთან ერთად შექმნილ სიტუაციაზე ვთათბირობდი. ასეა თუ ისე, მე მაინც არ ვფიქრობ, რომ ვიზიტი უშედეგო იყო. ჩვენ მაინც ღიად განვაცხადეთ იმ როლის შესახებ, რომელიც ამ რეგიონში საბჭოთა კავშირს უნდა ეთამაშა — იგი უნდა გადაქცეულიყო წყნარი ოკეანის აუზში ამერიკის დამბალანსირებელ ფაქტორად, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით.

მთლიანობაში, ჩემი ცამეტდღიანი მოგზაურობა უაღრესად მნიშვნელოვანი გამოდგა. მან სერიოზული როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის რეალური დამკვიდრებისათვის ამ რეგიონში. ეს ძნელი მისია იყო. მას შესაძლოა არ მოჰყოლია „ბრწყინვალე“ შედეგები, მაგრამ იმ უმნიშვნელოვანესი ინიციატივის დასაწყისად იქცა, რომელიც წყნარი ოკეანის რეგიონზე „საბჭოთა შეტევად“ მოინათლა.

* * *

1988 წელს „შეტევა“ გაგრძელდა ჩემი ოფიციალური ვიზიტით სამ ქვეყანაში — იაპონიაში, ფილიპინებსა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში (18-24 დეკემბერი).

აქ ტერიტორიული ხასიათის ორი გადაულახავი წინააღმდეგობა იყო, რომელიც იაპონიასთან არა, მაგრამ ჩინეთთან კი ფაქტობრივად სისხლიან კონფლიქტში გადაიზარდა — კუნძული დამანსკი და იქ დაღვრილი საბჭოთა მესაზღვრეების თუ ჩინელი ჯარისკაცების სისხლი მაქვს მხედველობაში. თუმცა, ამაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

იაპონიის შემთხვევაში ასეთი კონფლიქტის წყაროდ წყნარ ოკეანეში ოთხი პატარა მცირედ დასახლებული კუნძული იქცა. ეს კუნძულები კურილის კუნძულების გაგრძელებაზე მდებარეობს. იაპონელები მათ „ჩრდილოეთის ტერიტორიებს“ უწოდებენ და მათ დიპლომატიურ ლექსიკონშიც სწორედ ასე შევიდა. თითქოს რა იყო ოთხი მცირე კუნძულის დაბრუნება, მით უფრო, რომ ისინი საბჭოთა კავშირმა მართლაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიიერთა 1956 წლის იაპონია-საბჭოთა კავშირის დეკლარაციის შესაბამისად, რომლის ძალითაც მხარეებმა დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინეს. საბჭოთა კავშირი დათანხმდა იაპონიისთვის ამ კუნძულების (შიკოტანის და ხაბომაის კუნძულები) დაბრუნებას ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ...

1960 წელს საბჭოთა კავშირმა უარი თქვა კუნძულების დაბრუნებაზე. 1973 წელს იაპონიის პრემიერ-მინისტრის კაკუეი ტანაკას მოსკოვში ბრეჟნევთან შეხვედრის დროს, ბრეჟნევი დაეთანხმა იაპონიის მხარის პოზიციას და ცნო ჩრდილოეთის ტერიტორიის „გადაუწყვეტელი პრობლემის“ არსებობა ორი ქვეყნის ურთიერთობაში, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი განცხადება იყო, რომელზეც ერთობლივ დეკლარაციაში არაფერი თქმულა. კუნძულების დაბრუნება მოსკოვისთვის იაპონიასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად საკმაოდ დიდი საფასური იქნებოდა. ჩვენი სამხედრო სტრატეგიისათვის წყნარი ოკეანის რაიონში, კუნძულ ჰოკაიდოს მახლობლად მდებარე ეს პატარა კუნძულები: იტურუპი, კუნაშირი, შიკოტანი და ხაბომაი საბჭოთა სამხედრო უწყებისათვის მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა —

ისინი ოხოტის ზღვაში შესასვლელს კეტავდნენ, ოხოტის ზღვა კი წყნარი ოკეანის საბჭოთა ფლოტის ბასტიონი გახლდათ. საბჭოთა პოზიციით იაპონიისთვის მათი დაბრუნება იმას ნიშნავდა, რომ იქ შეაღწევდნენ იაპონური და ამერიკული ხომალდები და კრიზისის შემთხვევაში მათივე ტერიტორიულ წყლებში დაესხმებოდნენ თავს საბჭოთა ხომალდებს, წყალქვეშა ნავებს. მეორე მხრივ, კონფლიქტის შემთხვევაში ეს ოთხი კუნძული უდიდეს უპირატესობას ანიჭებდა საბჭოთა კავშირს.

ისე კი, ცისქვეშეთში ყველაფერი იცვლება და ახალი ტექნოლოგიებიც მნიშვნელოვნად ცვლის სამხედრო სტრატეგიას. თუ მსოფლიო მასშტაბით საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობა ისე ჩაწყნარდებოდა, რომ გამორიცხავდა ნებისმიერ კონფლიქტს, მაშინ ამ კუნძულების სტრატეგიული ფუნქციაც დაიკარგებოდა, მაგრამ მაშინ ამაზე მხოლოდ გულში თუ იფიქრებდა კაცი — პოლიტბიუროს დონეზე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და მე არაფრის შეცვლა არ შემეძლო.

თუმცა იაპონიასთან ურთიერთობის გაუმჯობესება მაინც აუცილებელი იყო. აუცილებელი იყო ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, რისი ერთი წინა პირობაც იაპონიაში მიხეილ გორბაჩოვის ჩასვლა და ამ ვიზიტის მომზადება გახლდათ. იაპონიაც და საბჭოთა კავშირიც ამ პრობლემაზე სასაუბროდ ფსიქოლოგიურად უნდა მომზადებულიყვნენ.

მოკლედ, 1988 წლის 18 დეკემბერს ოფიციალური ვიზიტით იაპონიაში ჩავფრინდი. 19-ში იმპერატორის სასახლეს ვეწვიე და თანაგრძნობა გამოვხატე იმპერატორ ჰიროჰიტოს ავადმყოფობის გამო. შემდეგ გავმართე მოლაპარაკება საგარეო საქმეთა მინისტრ უნოსთან. იმ დღეს ორი შეხვედრა გვქონდა. მოლაპარაკება ექვს საათს მიმდინარეობდა. დღის წესრიგში მსოფლიო პოლიტიკის ბევრი საკითხი იდგა, როგორც ფილოსოფიური, ისე კონკრეტული. ცალკე, მეორე შეხვედრაზე, განვიხილეთ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ორმხრივი ურთიერთობებისა და ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების პრობლემა, მაგრამ მთავარი მაინც ტერიტორიული პრობლემა იყო — „ჩრდილოეთის ტერიტორიების“ პრობლემა.

ეს საბჭოთა კავშირისთვის ტაბუდადებული თემა იყო. მასზე დიალოგს იაპონელებთან არ მართავდნენ, რადგან „საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო“. ასეთი ხისტი პოზიცია იაპონელებთან ნებისმიერ სხვა საკითხზე მოლაპარაკებას თუ რაიმე სახის დიალოგს იმთავითვე გამორიცხავდა.

სხვათა შორის, ეს იაპონიაში ჩემი მეორე საქმიანი ვიზიტი იყო 1986 წლის შემდეგ, როდესაც შევეცადე ორ ქვეყანას შორის კარგა ხნის წინ შეწყვეტილი პოლიტიკური დიალოგი აღმედგინა. მაშინაც და ახლაც, „ჩრდილოეთის ტერიტორიების“ პრობლემა ფაქტობრივად ბლოკავდა ნებისმიერ მოლაპარაკებას. არადა ის მდგომარეობა, რომელიც სუფევდა ჩვენ შორის, ვერ პასუხობდა ჩვენი ქვეყნის თუ მსოფლიოსა და მშვიდობის ინტერესებს. ჩემი მოსაზრება გავაცანი კიდეც პრემიერ-მინისტრ ტაკესიტას. საჭირო იყო ოდნავი მოქნილობა მაინც გამოგვეჩინა — ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ჩვენ თვალწინ იცვლებოდა, იცვლებოდა სიტუაციებიც და შესაბამისად, ომის საფრთხეებიც მცირდებოდა. სწორედ ამიტომ იყო, წინა დღეს საგარეო საქმეთა მინისტრს რომ ვუთხარი მათთვის უმთავრეს და მტკივნეულ ტერიტორიულ საკითხთან დაკავშირებით: „საბჭოთა კავშირი მომზრეა, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობანი და სირთულეები ორ ქვეყანას შორის ყველა გარემოების გათვალისწინებით მშვიდი, კეთილგანწყობილი და ობიექტური მოლაპარაკებით გადაიჭრას“.

პრობლემას თავი რომ არ ავარიდე და არ განვაცხადე კატეგორიული „არა“, ეს იაპონიის მხარის მიერ შესაბამისი კეთილგანწყობით იქნა გაგებული და მოლაპარაკების დროს ბევრ რამეში მივაღწიეთ ურთიერთგაგებას. ჩვენი წინადადება — ახალ პრინციპებზე დაგვემყარებინა ურთიერთობები, პოზიტიურად იქნა აღქმული. მიღებულ იქნა ის წინადადებაც, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის პრობლემები არ გვექცია „ტერიტორიული საკითხის“ მძევლად.

უფრო ვრცლად იგივე თეზა გავიმეორე ჩემს მოხსენებაში, რომლითაც „საერთაშორისო პრობლემების შესწავლის იაპონიის ინსტიტუტში“ გამოვედი:

„ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ გადავშალოთ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობათა ახალი თავი, ხოლო თუ არის

გადაუწყვეტელი საკითხები — ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ მათზე, გავმართოთ დიალოგი, ვეძებოთ გამოსავალი, მაგრამ დაუშვებელია ყველა დანარჩენი საკითხი მათი გადაწყვეტის მძევლად იქცეს".

ჩემი ეს მინიშნება იაპონელებმა სწორად გაიგეს. ვფიქრობ, ბატონ ტაკესიტას გამონათქვამი: „არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემები, თუ არის მათი გადაჭრის სურვილი", — სწორედ ამისი გამოხმაურება იყო.

როდესაც მე და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უნომ შესაბამისი დოკუმენტებით განვიხილეთ ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემის ისტორიული ასპექტი და მივუბრუნდით წარსულს — 1855, 1875, 1905 და მეოცე საუკუნის 50-იან წლებსაც, გადავწყვიტეთ კომუნიკეში დავყრდნობოდით 1973 წლის 10 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებას. როდესაც პრესკონფერენციაზე, ერთ-ერთ შეკითხვაში, გამოქვეყნებული კომუნიკეს რევიზიის მცდელობა დავინახე, შემდეგნაირად მივუგე — „თუ თქვენ არ მოგწონთ ჩვენი ახალი ერთობლივი ფორმულირება, შეგიძლიათ მიმართოთ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ უნოს".

აქვე მინდა მოვიტანო შესაბამისი ნაწყვეტი კომუნიკედან: „ორივე მხარემ გადმოსცა ისტორიული თუ პოლიტიკური ასპექტების ის გაგება, რომელიც დაკავშირებული იყო ორმხრივ ურთიერთობაში არსებული სიძნელეების დაძლევასთან".

მთლიანობაში ეს მოლაპარაკებანი საკმაოდ კეთილგონივრული და შინაარსიანი იყო. ვფიქრობ, ეს გახლდათ იმ წლებში ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი ვიზიტი.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, დილით, გადავათვალიერე ადგილობრივი გაზეთები. ზოგიერთი მათგანი წერდა იაპონური დიპლომატიის გამარჯვებაზე, მე კი ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებაზე ვფიქრობდი — გაიმარჯვა გონიერმა, ერთმანეთის ინტერესთა გათვალისწინებისა და დაბალანსების რეალისტურმა პოლიტიკამ.

თუმცა ეს მხოლოდ იმ პროცესის დასაწყისი იყო, რომელსაც ეს ორი დიდი ქვეყანა სამშვიდობო ხელშეკრულებამდე უნდა მიეყვანა. საბოლოო ანგარიშით, კუნძულების საკითხის გადაწყვეტის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. მაშინაც და დღესაც კუნძულების საკითხი იდგა და დგას, როგორც რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის მთავარი

ხელის შემშლელი ფაქტორი. სანამ ეს პრობლემა არ მოგვარდება, რუსეთი იაპონიასთან ურთიერთობას ფუნდამენტურად ვერასოდეს გამოასწორებს.

მაშინ, იაპონელებთან საუბრის დროს, რაღაც ხომ უნდა შემეთავაზებინა და ამ თემაზე დიალოგის დასაწყებად და შემდგომში გასაგრძელებლად შევთავაზე: უმაღლესი დონის სხვადასხვა სპეციალისტისაგან შევქმნათ ერთობლივი კომისია, რომელიც გამოიკვლევს საკითხის ისტორიას და მისი გადაწყვეტის რეკომენდაციებს მოგვცემს-მეთქი.

იაპონელები არ დათანხმდნენ ამ წინადადებას და არც საბჭოთა ხელისუფლებას გამოუჩენია დიდი დაინტერესება. რას იზამ, როგორც ჩანს, დრო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა, ეტყობა, არ იყო მომწიფებული.

* * *

ფილიპინების არქიპელაგის 7107 კუნძული სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და წყნარ ოკეანეში მდებარეობს. არქიპელაგი მაგელანმა 1521 წელს აღმოაჩინა და ესპანეთის სამეფო ტახტს დაუქვემდებარა. თავად მაგელანი კუნძულ მაქტანზე დაიღუპა აბორიგენთა ბელად ლაპუ-ლაპუსთან ბრძოლის დროს, რომელიც არ დაემორჩილა დამპყრობლებს.

ისტორიის პარადოქსი: დღეს ფილიპინებზე მაგელანის ხსოვნა უკვდავყოფილია — გადმოცემით, სწორედ მან აღმართა იქ ჯვარი. ასევე უკვდავყოფილია მასთან მებრძოლი ლაპუ-ლაპუს სახელიც, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი პირველი დიდი გმირისა.

ფილიპინები აზიაში ერთადერთი კათოლიკური ქვეყანაა, ესპანური, ადგილობრივი და ამერიკული კულტურის კოლორიტული ნაზავით. ფილიპინელები ხუმრობდნენ კიდეც, რომ „სამასი წელი იცხოვრეს კათოლიკურ მონასტერში, ხოლო შემდეგ ორმოცდაათი — ჰოლივუდში“.

ეს მართლაც პროამერიკული ქვეყანაა, ამერიკული ბაზებით, ინგლისური ენით, ადგილობრივის — ტაგალურის პარალელურად. ამერიკული კულტურა, ამერიკული პოლიტიკა, ამერიკული სტილი აქ ყველაფერში და ყველგან ვლინდება. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მწვავედ დგას ამერიკული ბაზების ყოფნა-არყოფნის საკითხი, ასევე მწვავეა კომუნისტი მეამბოხეების პრობლემა.

აი, ასეთ ქვეყანას ვეწვიე ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით 1988 წლის 21 დეკემბერს. ეს იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ვიზიტი ფილიპინების რესპუბლიკაში.

როგორც ვთქვი, ვიზიტის მიზანი გახლდათ პრეზიდენტთან — ქალბატონ კორასონ აკინოსთან შეხვედრა, რომლითაც უნდა გაგრძელებულიყო ხარისხობრივად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებთან; უნდა დაგვეწყო იდეოლოგიური ელემენტებისაგან თავისუფალი გლობალური, დემოკრატიული დიალოგი.

ფილიპინებზე ჩემი შეხვედრების დროს მეტად მნიშვნელოვანი საკითხების კომპლექსი სამ განზომილებაში განიხილებოდა: საბჭოთა კავშირისა და ფილიპინების ურთიერთობა, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ინტერესებიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყნების ერთობლივი ქმედება და ერთობლივი ქმედება საერთაშორისო ურთიერთობებში საერთო კლიმატის გასაუმჯობესებლად.

ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთი გაზეთი აღნიშნავდა: „საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე მომავალ კვირას ვიზიტით ჩამოდის, რაც მისი ხიბლის მეშვეობით მოსკოვის შეტევის ახალი ეტაპი იქნება“. ქალბატონმა აკინომ შეხვედრის შემდეგ კორესპონდენტებს უთხრა ჩემზე: „იგი ძალზე გულითადი და სასიამოვნო ადამიანია“.

ხიბლისა რა მოგახსენოთ — მოლაპარაკება კი მართლაც ნაყოფიერი გამოდგა. მე ქალბატონ აკინოს მიხეილ გორბაჩოვის წერილი და მისი მოსკოვში მიპატიჟების წინადადება გადავეცი.

მოლაპარაკების დაწყებამდე, ქალბატონ კორასონ აკინოს ლეგენდარული პიროვნებით აღტაცება გამოვხატე და დავუმატე, რომ „საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებულია მისი ბრძოლით, მისი ცხოვრებით, რომელიც ასე დრამატულად წარიმართა და ასე კეთილად გრძელდება.“

ოცდათხუთმეტწუთიანი საუბრისას ვუთხარი ქალბატონ პრეზიდენტს, რომ „საბჭოთა კავშირი არასდროს ჩაერევა ფილიპინების საშინაო საქმეებში. საბჭოთა კავშირი არასდროს უჭერდა, არ უჭერს

და განზრახვაც არ აქვს, ოდესმე მხარი დაუჭიროს ფილიპინების კომუნისტურ პარტიას და „ახალ სახალხო არმიას“. მე ამას საბჭოთა ხელისუფლების სახელით ვამბობ, რადგან ჩვენი საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპებია ორმხრივი პატივისცემა, თანაბარუფლებიანობა და ერთმანეთის სუვერენიტეტის აღიარება“.

ისიც ვთქვი, რომ ფილიპინებზე აშშ-ის სამხედრო ბაზების არსებობა-არარსებობის საკითხი ფილიპინების ხელისუფლებისა და ხალხის გადასაწყვეტია, თუმცა საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ადრე თუ გვიან დადგება დრო, როდესაც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის განლაგება არც ერთი ქვეყნისათვის არ იქნება მიზანშეწონილი და მომგებიანი.

აქ ისიც შევიტყვე, რომ აშშ-ს თავისი სუბიკ-ბეის სამხედრო-საზღვაო ბაზის, კლარკ ფილდის სამხედრო-საჰაერო ბაზის და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ოთხი ობიექტის არსებობა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში კომპენსაციის სახით 962 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ფიქრი გამექცა. ეს ახლანდელი დოლარი არ გეგონოთ, ბევრად მეტია. და რაკიღა რუსები ყველაფერს გვითვლიან, იქნებ ისიც დაგვეთვალა, რა თანხა ეკუთვნოდა და ეკუთვნის საქართველოს ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის ბაზების არსებობის საკომპენსაციოდ.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დავადასტურე ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის განზრახვა, ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გადაწყვეტილება, იაპონიასთან ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყება და კამბოჯის პრობლემის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის სურვილი. ეს სავსებით შეგნებულად გავაკეთე. თუკი ამ რეგიონში საბჭოთა კავშირს თავისი ამბიციების შესაბამისი როლის თამაში სურდა, ზემონახსენები პრობლემები აუცილებლად უნდა გადაეწყვიტა.

ვიზიტის შემდეგ კორასონ აკინომ ბრძანა: „შევარდნაძის ვიზიტს ჩვენ იმის ნიშნად განვიხილავთ, რომ საბჭოთა რუსეთი, როგორც აზიის ერთ-ერთი ქვეყანა, ახლა ჩვენ შორის თავის ადგილს დაიკავებს. იგი უბრუნდება თავის ისტორიულ ფესვებს იმ სივრცეში, სადაც უდიდესი ეკონომიკური და კულტურული პროგრესის მოწმენი ვიქნებით“.

დადებითად შეაფასა ეს ვიზიტი ამერიკამაც. აშშ ამ ვიზიტს განიხილავდა, როგორც საბჭოთა პოლიტიკაში ცვლილებათა ნაწილს.

ეს კი ორი ზესახელმწიფოს დაახლოების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გახლდათ. ჩემ მიერ არაერთხელ ნახსენებმა „ახალმა საგარეო პოლიტიკამ“ ნაყოფი გამოიღო.

* * *

ბოლო ქვეყანა აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში ჩემი საქმიანი მოგზაურობისა იყო კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც 22-24 დეკემბერს ქვეყნის ხელმძღვანელობის მიწვევით ვიმყოფებოდი და მის პრეზიდენტს კიმ ირ სენს ვხვდებოდი. მასთან შეხვედრას ესწრებოდა კორეის შრომის პარტიის ცკ-ის მდივანი, კიმ ირ სენის შვილი — კიმ ჩენ ირი, ახლანდელი პრეზიდენტი.

მაშინ ეს ქვეყანა მყარად და უეჭვოდ იყო ჩვენი გავლენის სფეროში, იგი საბჭოთა კავშირის საიმედო დასაყრდენი გახლდათ.

ჩვენს ხელმძღვანელობას და მეც შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა კიმ ირ სენთან. მას სამჯერ შევხვდი. განსაკუთრებული სითბოთი გვიღებდა — შინაურულად, სიყვარულით მესაუბრებოდა სტალინზე, მიყვებოდა, სულ ახალგაზრდა როგორ გამოარჩია და დაიახლოვა პროლეტარიატის ბელადმა იგი და ალბანეთის კომპარტიის ასევე ახალგაზრდა გენერალური მდივანი ენვერ ხოჯა.

კიმ ირ სენთან საუბრისას მე მხარი დავუჭირე მის წინადადებას ორი კორეის გაერთიანებისა და 1995 წლისათვის გაერთიანებული სახელმწიფოს — კორეის დემოკრატიული კონფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შესახებ. მისაღები და მომწიფებული იყო, აგრეთვე, წინადადება ჩრდილო და სამხრეთ კორეის მაღალი დონის წარმომადგენლების შეხვედრისა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე და კორეის ნახევარკუნძულის უატომო მშვიდობიან ზონად გამოცხადების შესახებ. მოლაპარაკებისას დაისვა საკითხები სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გაყვანისა და კამბოჯის პრობლემის მოგვარების თაობაზე. ბევრ საკითხზე ერთნაირად ვფიქრობდით, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერ დონეზე მჟღავნდებოდა, რადგან სინამდვილეში კიმი მეტად მტკივნეულად განიცდიდა სამხრეთ კორეასთან ჩვენს ნებისმიერ კონტაქტს.

ფხენიანში ჩემს ამ ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონ-

და საბჭოთა კავშირისთვის. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობამ სეულის ოლიმპიურ თამაშებში და სამხრეთ კორეასთან არასამთავრობო დონეზე თუნდაც მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობის დამყარების მცდელობამ ჩრდილოეთ კორეის ლიდერის განაწყენება გამოიწვია.

სიტუაცია ისეთი იყო, რომელსაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება აფეთქებამდე მივეყვანეთ. საჭირო იყო, გულახდილად დავლაპარაკებოდით კორეელებს, აგვეხსნა მათთვის, რატომ გადავდგით ეს ნაბიჯები და რატომ იყო ეს ყოველივე მომგებიანი არა მარტო ჩვენთვის, არამედ მათთვისაც. სანამ ფხენიანში ჩავიდოდი, პეკინში ჩავფრინდი და ჩინელებთან გავმართე კონსულტაცია. სწორედ მათ მირჩიეს, რომ ჩემი ჩასვლა ფხენიანში აუცილებელი იყო.

ფხენიანში რომ ჩავედი, ძველებურად აღარ დამხვდნენ. ჩვენი შეხვედრა წარსულისა და მომავლის შეხვედრას უფრო ჰგავდა — ისინი უიმედოდ ჩამოგვრჩნენ აზროვნების წესით. ჩვენ გავუსწარით და აქ უკვე ადამიანისა და მსოფლიოს აღქმის პრინციპულ სხვადასხვაგვარობასთან გვქონდა საქმე.

თავად განსაჯეთ ერთი დეტალი, რომელშიც ეს სხვაობა მთელი სიმკვეთრით გამოჩნდა.

ვიზიტის დროს მომაწოდეს კორეის ცენტრალური სატელეგრაფო სააგენტოს ბიულეტენი (23 დეკემბერი). ჯერ ზერელედ, მერე კი ინტერესით ჩავიკითხე და 1988 წლის ნაცვლად 1938 წელში აღმოვჩნდი იმ პანეგირიკით, რომელიც კიმ ირ სენის შვილისადმი, მომავალი პრეზიდენტისადმი იყო აღვლენილი:

„Интелигенты Южной Кореи: товарищ Ким Чен Ир — великий мыслитель и теоретик". აქ სიტყვასიტყვით, რუსულად (შესაბამისი შეცდომებით), ეტყობა, პირველ რიგში რუსებისთვის, შემდეგი ეწერა:

„По сообщению радио „Патриотический голос", проживающий в пусане деятель слова по фамилии Ли недавно делясь с своим коллегой – профессором политики впечатлениями от прочитанного труда товарища Ким Чен Ира об идеях чучхе, сказал: идеи чучхе, которые создал великий президент Ким Ир Сен и углубляет и развивает дорогой руководитель товарищ Ким Чен

Ир, освещают человечеству путь вперед и поэтому являются великим направляющим идеалом.

Слушав его, профессор отметил:

Энергичная идеино-теоретическая деятельность дорогого руководителя господина Ким Чен Ира сформулировала идеи чучхе не только как руководящий идеал времени и человечества, но и доставила им широкую известность как совершенный руководящий идеал, представляющий самый высокий этап развития истории человеческой мысли.

Совершенно естественно, что люди мира высоко почитают товарищ Ким Чен Ира как гения мысли и теории.

В действительности, он, великий мыслитель, с дальновидностью освещает путь решения судьбы человека".

საბჭოთა კავშირში ჩვენ თითქმის დაძლეული გვქონდა ასეთი სტილი, თითქმის... მაგრამ ფხენიანში ვიზიტისას, თუნდაც ღიმილის დონეზე არ უნდა შემემჩნია ეს ყოველივე. არც შევიმჩნიე.

საბჭოთა კავშირში შეიცვალა ასეთი ტიპის აზროვნება, შეიცვალა სოცქვეყნებშიც, ჩრდილოეთ კორეაში კი დარჩა და ამიტომაც ეს ქვეყანა დღეს მსოფლიოს თავსატეხია – თავისი ბირთვული ამბიციებითა და საყოველთაო შიმშილით.

როგორც ვთქვი, კიმ ირ სენი ნაწყენი იყო, მაგრამ მადლიერება მაინც გამოხატა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ გამოჩენილი ყურადღების გამო და დაძაბულობა, გარეგნულად მაინც, განიმუხტა.

* * *

ზემოთ ჩემი შეხვედრა ვახსენე დენ სიაოპინთან, ჩინეთის რეალურ ლიდერთან, ბრძენკაცთან, რომელსაც, ჩემი აზრით, ჩინეთი უნდა უმადლოდეს თავის ახლანდელ კეთილდღეობას.

როდესაც 1989 წელს პეკინში ჩავედი საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მისიით, მეტად გულთბილად მიმიღეს და მირჩიეს, აუცილებლად ჩავსულიყავი შანხაიში და დენ სიაოპინს შევხვედროდი, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ოფიციალური თანამდებობა აღარ ეკავა.

ამ კაცმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა. თითქმის ყველა საკითხზე საკმაოდ გახსნილად და გულახდილად მესაუბრებოდა და არც დროით შემოიზღუდა. მთავარი, როგორც ვთქვი, იყო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოწესრიგება და სახელმწიფო საზღვრის პარამეტრების შეთანხმება. განსაკუთრებული იყო კუნძულ დამანსკის კუთვნილების საკითხი. პრეტენზია, არცთუ დაუსაბუთებელი, ორივე მხარეს ჰქონდა. კარგა ხანს ვიკამათეთ — მე ჩემი არგუმენტები მქონდა და შესაბამისი დირექტივის მიხედვით ვმოქმედებდი; მოკლედ, ჩემი პოზიცია უნდა დამეცვა.

დენი დიდხანს უვლიდა გარშემო მთავარ სათქმელს, ბოლოს კი მაინც თქვა, ესეც მის ღირსებაზე მეტყველებს — ბოლოს და ბოლოს, შეეძლო არც ეთქვა არაფერი. ზემოთ უკვე ვწერდი ამ თემაზე, მაგრამ გავიმეორებ: „ჩინეთს სამი-ოთხი მილიონი კვადრატული კილომეტრი კიდევ გვეკუთვნის და დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობები მოაგვარებენ ამ საკითხს. ვის ექნება ეს ბედნიერება, ახლა ვერავინ განჭვრეტს: ჩინელებს დროით განუსაზღვრელი ლოდინი შეუძლიათ. თქვენ კი დღეს იმ იოტისოდენა კუნძულზე გვედავებით, სადაც რამდენიმე ათასი კაცი ცხოვრობს. გთხოვთ, გადასცეთ გორბაჩოვს — თუ არ გადაწყდება ამ კუნძულის საკითხი, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში ბზარი დარჩება, ეს კი არც მე მსურს და ისედაც არაფერს გვარგებს“.

კამათს აზრი აღარ ჰქონდა, მით უფრო, რომ რამდენიმე თვეში გორბაჩოვის ვიზიტი უნდა შემდგარიყო და ამ საკითხსაც მაშინ განვიხილავდით. ასეც მოხდა.

დენმა მირჩია, მენახა ახალი და ძველი შანხაი და ეს დათვალიერება იმის საბაბადაც იქცა, რომ შემედარებინა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ამოზრდილი ახალი შანხაი ძველთან. სხვაობა უდიდესი იყო, როგორც ცასა და დედამიწას შორის. მაშინ დავრწმუნდი, რომ დენი თავის თანამებრძოლებთან ერთად ახალ ჩინეთს უყრიდა საფუძველს.

ცოტა ხნის შემდეგ გორბაჩოვთან ერთად დავბრუნდი ჩინეთში. ჩვენი ვიზიტი პეკინში, ტიანანმენის მოედანზე სტუდენტების გრანდიოზულ გამოსვლას დაემთხვა. ჩვენი რეზიდენცია მოედანთან ახ-

ლოს იყო, ახალგაზრდებმა მას ალყა შემოარტყეს სკანდირებით – „გორბაჩოვ, გორბაჩოვ“... მოითხოვდნენ, რომ გორბაჩოვს მათთვის სიტყვით მიემართა...

არ შეიძლებოდა...

1956 წლის თბილისი გამახსენა ამ ამბავმა – კრწანისში ჯუ დეს, ჩინეთის თავდაცვის მინისტრის რეზიდენციას რომ შემოარტყეს ჩვენმა სტუდენტებმა ალყა... მაშინ ჯუ დემ სასწრაფოდ დატოვა თბილისი. ჩვენც სასწრაფოდ მოგვიხდა პეკინის დატოვება.

დღეს ჩინეთი უკვე სხვაა. ამაში დავრწმუნდი, როდესაც იქ უკვე როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურმა ვიმოგზაურე. საოცრად საინტერესო შეხვედრა მქონდა ძიან ძემინთან, ჩინეთის მაშინდელ ლიდერთან. გვიჭირდა, მაგრამ არაფერი მითხოვია და იმ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დიდი ჩინეთისა და ახალი საქართველოს მომავალ ურთიერთობებს. ჩინეთს თავად უჭირდა, ბევრი პრობლემა ჰქონდა, მაგრამ სამი მილიონი დოლარი უპროცენტო სესხად მაინც გამოგვიყო და კახეთში დააფინანსა ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მათგან ერთი, ხადორის ელსადგური, წელს ჩვენმა ახალმა პრეზიდენტმა გახსნა. არავის გახსენებია, ვინ ჩაუყარა მის მშენებლობას საფუძველი. არადა მაშინ მე მხოლოდ საყვედურები მერგო – ჩინეთთან ურთიერთობა რაში გვჭირდებაო. ახლა კი ჩინეთი დიდ დაინტერესებას იჩენს აზერბაიჯანის ნავთობითა და გაზით, გულდასმით სწავლობს ევროპაში საქართველოს გავლით საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობის პერსპექტივებს. მოკლედ, „აბრეშუმის გზა“ ნელ-ნელა იძენს იმ კონტურებს, რომელზეც ფრთხილად, ძალიან ფრთხილად ვოცნებობდი.

ბრიტანული გამოცდილება

ახლა, წარსულს რომ გადავავლე თვალი, აღმოვაჩინე, რომ ესა თუ ის ქვეყანა, ესა თუ ის ადამიანი ხშირად იმ ფაქტით, მოვლენითა თუ დეტალით გახსოვს, რომელიც სულაც არ არის მთავარი, მაგრამ ამ ყოველივეს გამოარჩევს ჩვეულებრიობათა რიგიდან. ამ დროს ხშირად გამახსოვრდება საკუთარი შთაბეჭდილებების სიმძაფრე ან საკუთარი თავი ამ ყოველივესთან მიმართებაში, რაღაც ახალი და განსხვავებული კუთხით.

განსაკუთრებით მკაფიოდ მახსოვს პირველი ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში.

აქ უამრავი დეტალია – დახვედრის ცერემონია, ისტორიული რეზიდენცია, მოსაწვევი, გზამკვლევი, თავად ჩემი შინაგანი განწყობით, სიფრთხილითა და ცოტა შიშითაც განპირობებული: როგორ მიმიღებენ გამოუცდელ მინისტრს და თავად მე როგორ ჩავატარებ ვიზიტს ევროპის ამ უძველეს ქვეყანაში, დიპლომატიისა და დემოკრატიის მექაში? როგორ მიმიღებს პოლიტიკური ელიტა, პრესა? მოკლედ, სანერვიულო და საფიქრალი ბევრი იყო, მით უფრო, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი აქ არ იყო ნამყოფი, მით უფრო, რომ წინა გაზაფხულ-ზაფხულში ორივე მხარემ ერთმანეთის თანამშრომლები გააძევა სახელმწიფოდან და მით უფრო, რომ დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობანი სიცივისა და ნეიტრალური მდგომარეობის ფაზაში „გაიყინა“. მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა იყო საჭირო.

ამ სამდღიან შეხვედრას დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გულწრფელად ელოდა. აშკარა იყო ლონდონის სურვილი, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა დაეთბო.

გულწრფელად რომ ვთქვა, მე ჩემი მიზნები მქონდა. ისინი მოსკოვში დავისახე. თუმცა დიპლომატმა ისიც უნდა

იცოდე, რომ რა ზუსტადაც უნდა იყოს ყველაფერი წინასწარ გათვლილი, ნებისმიერ მოლაპარაკებაში ადამიანის ფაქტორი უდიდეს როლს თამაშობს და წინასწარ დაწყობილი გეგმები შეიძლება შეიცვალოს.

ინგლისში ერთი შეხვედრა მქონდა პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეთჩერთან, ორი — საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეფრი ჰაუსთან, შეხვედრები პარლამენტში, ოპოზიციასთან, ცალკე — ჟურნალისტებთან. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სერ ჯეფრისთან მე საოცრად გულითადი, მეგობრული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა — იგი გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ, საოცრად მძაფრი პოლიტიკური ინტუიციით.

ქალბატონ ტეთჩერს 14 ივლისს შევხვდი. იგი თავისი რეზიდენციის (დაუნინგ სტრიტის №10) პარმაღის საფეხურებზე შემეგება, რაც თავისთავად მეტად უჩვეულო იყო. ეს დააფიქსირა კიდეც ბრიტანულმა მედიამ — აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობებში გაუმჯობესების ერთი, არცთუ დიდი, მაგრამ შესამჩნევი ჟესტი გაკეთდა. ჩემი მონაცემებით, ჩვეული პროტოკოლი ამგვარ ჟესტს გამორიცხავდა — მე შენობის შიგნით უნდა დამხვედროდნენ.

ვფიქრობ, ეს ჟესტი მანამდე ლორდ ჰაუსთან ჩემი მოლაპარაკების ხასიათმა და შედეგმა განსაზღვრა. მოლაპარაკებები გასცდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების ფარგლებს და გადაიზარდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობათა სხვადასხვა სიღრმისეული ასპექტის განხილვასა და ანალიზში.

გამოცილებაც დახვედრის ანალოგიური იყო: ტეთჩერმა დაბლა ჩამომაცილა, ქუჩაში გამოვიდა და გარეთ გამართა პრესკონფერენცია. ამინდი, როგორც პოლიტიკური, ისე მეტეოროლოგიური თვალსაზრისით, შესანიშნავი იყო. ძირითადად ტეთჩერმა ისაუბრა და მოლაპარაკება წარმატებულად ჩათვალა.

მართლაც, გარდა პოლიტიკური კლიმატის შეცვლისა, ჩვენ სამ ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. მრავალწლიანი ციკლი ურთიერთობების შემდეგ ეს ბევრს ნიშნავდა.

ტეთჩერთან საუბარს მე მაშინვე „დიდი საუბარი“ დავარქვი.

მას მე გორბაჩოვის წერილი ჩავუტანე, მოსკოვში ოფიციალური მიწვევით, რაც მიღებულ იქნა. „რკინის ლედის“ გულწრფელად გაუხარდა გორბაჩოვის ეს ჟესტი. იგი იცნობდა გორბაჩოვს ჯერ კიდევ 1984 წლიდან, როდესაც ის არ იყო საბჭოთა ქვეყნის ლიდერი. სწორედ მაშინ თქვა გორბაჩოვზე ქალბატონმა ტეთჩერმა – „ამ კაცთან შეიძლება საქმის დაჭერა“.

მოსკოვში თავად მე მოვიწვიე ჯეფრი ჰაუ, რაზეც იგი სიამოვნებით დამთანხმდა.

მარგარეტ ტეთჩერთან შეხვედრა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. მანამდე, როგორც აღვნიშნე, სამსაათიანი მოლაპარაკება მქონდა სერ ჯეფრისთან, მის ქალაქგარეთ რეზიდენციაში, „ჩიენინგში“, რომელიც ლონდონიდან 40-50 კილომეტრში, კენტის საგრაფოში მდებარეობს. ბრწყინვალე რეზიდენციაა, რომელიც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენდა და 1967-73 წლებში არანაკლებ ბრწყინვალედ იქნა რესტავრირებული. აქ არის უმდიდრესი ბიბლიოთეკა და, რაც მთავარია, ის განწყობა და დიდ წინაპართა ის აჩრდილები, რომლებიც სერიოზულ და სასარგებლო სახელმწიფო საქმეთა გასაკეთებლად განაწყობს ადამიანს – იგრძნობა დიდი ბრიტანეთი მთელი თავისი დიდებულებით, ტრადიციებითა და ამბიციებით.

ხელი მოვაწერეთ ეკონომიკური და სამრეწველო თანამშრომლობის ხუთწლიან პროგრამას, შეთანხმებას ზღვაზე ინციდენტების აღკვეთის შესახებ და ფინანსური და ქონებრივი პრეტენზიების ხელშეკრულებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო დიდი ბრიტანეთის საშუამავლო როლის შესრულება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში. „რკინის ლედის“ აქ ნამდვილად ეთქმოდა სიტყვა. ტეთჩერის პოზიციას ჯერ ჩემი და შულცის, შემდეგ კი რეიგან-გორბაჩოვის შეხვედრები უნდა დაეჩქარებინა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და ამერიკელებს ერთმანეთთან შეხვედრა გვსურდა, მაინც ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი იყო. მათ გაქარწყლებაში გადამწყვეტი როლი სწორედ ტეთჩერს უნდა ეთამაშა.

ნიშანს ორივე მხარე ელოდა და როდესაც ქალბატონმა ტეთჩერმა მითხრა, რომ შემოდგომით ვაშინგტონში, რეიგანთან ახალ შეხვე-

დრაზე „ჟენევის სულისკვეთება“ უნდა გაგვეგრძელებინა, მე თანხმობის ნიშნად გამეღიმა. ეს ზუსტად ის იყო, რასაც ველოდი და რაც ჩვენს სურვილს ემთხვეოდა. ღიმილიც იმის ნიშანი იყო, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრა უნდა შემდგარიყო.

ლონდონში ამ ვიზიტის დროს მართლაც თვალში საცემი გახლდათ, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრა ინგლისელთათვის აბსოლუტური პრიორიტეტი იყო. ამ სურვილში ის ჭეშმარიტად ღრმა პოლიტიკური ინტერესი ვლინდებოდა, რომლის საშუალებითაც ლონდონი არა მარტო სსრკ-აშშ-ის ურთიერთობის გაუმჯობესებას ელოდა და ამით ამერიკასთან თავის სამოკავშირეო ვალდებულებას ასრულებდა, არამედ თავის მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ამბიციასაც იკმაყოფილებდა — გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე.

სწორედ ამიტომაც იყო, ჯეფრი ჰაუმ რომ მითხრა, საბჭოთა-ამერიკული შეხვედრა უმაღლეს დონეზე მაშინ იქნებოდა გამართლებული, თუ იგი რეალურ გადაწყვეტილებებს მიიღებდაო. ფუჭი შეხვედრის შემთხვევაში, ისეთი პოლიტიკური ინსტიტუტი, როგორიც უმაღლეს დონეზე შეხვედრაა, ნდობას დაკარგავსო. მეც ასე ვფიქრობდი. ასე რომ, ბრიტანელებისთვის უმაღლეს დონეზე წარმატებული შეხვედრა, მთელი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისა და პერსპექტივის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი რამ გახლდათ. ეს კი ბევრს ნიშნავდა.

უკვე მოსკოვში, პოლიტბიუროს მოვახსენე, რომ ლონდონი არა ჯიქურ, მაგრამ უფრო და უფრო აქტიურად ეძებდა თავის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ისიც მოვახსენე, რომ მარგარეტ ტეთჩერი და ჯეფრი ჰაუ, აგრეთვე ოპოზიციის ლიდერები ერთგვარი ეჭვიანობით ადევნებდნენ თვალს ჩვენი ურთიერთობების განვითარებას საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ჩვენ ლონდონში მართლაც მიგვანიშნეს — ინგლისი, შესაძლოა, უხერხული პარტნიორი იყოს, მაგრამ, თუ ჩვენი ურთიერთობა სტაბილური გახდებოდა, მასზე დაყრდნობა თავისუფლად იქნებოდა შესაძლებელი.

„ეტყობა, საჭიროა სერიოზულად და ყურადღებით მოვეკიდოთ

ინგლისთან ჩვენი ურთიერთობის მთელ კომპლექსს, — ხაზგასმით ვუთხარი ჩვენებს, — ჩვენ დღეს ძალიან ბევრს ვკარგავთ, რომ სიტყვებს კავშირების განვითარების შესახებ კონკრეტული საქმეებით არ ვამყარებთ".

ქალბატონ ტეთჩერთან სხვა საკითხებიც განვიხილეთ — ადამიანის უფლებები, შეიარაღებაზე კონტროლი, ქიმიური იარაღის აკრძალვა, საშუალო სიშორის რაკეტები, ავღანეთი, ჩერნობილი... აკი ვთქვი, ორ სააათზე მეტხანს ვსაუბრობდით. სწორედ მაშინ მიიღო პრემიერ-მინისტრმა ჩვენი წინადადება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გზებისა და საბჭოთა და ბრიტანელი ექსპერტების სამუშაო შეხვედრის თაობაზე.

ტეთჩერსა და ჰაუსთან შეხვედრებმა დამანახვა, რომ მართალია დიდი ბრიტანეთი აშშ-ის ერთგული მოკავშირე იყო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იგი ყველაფერში როდი ეთანხმებოდა მას. ინგლისი უმეტესწილად თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. საგარეო საქმეთა მინისტრმაც და პრემიერ-მინისტრმაც ეს ხაზგასმით მაგრძნობინეს. დიდ ბრიტანეთში ჩემი ვიზიტი ამითაც გამართლებული იყო.

მოლაპარაკების შემდეგ ტეთჩერმა მკითხა, ვიყავი თუ არა ნამყოფი ბრიტანეთის პარლამენტში. არ ვიყავი ნამყოფი. ხვალ დილით პარლამენტთან შეხვედრა მაქვს — „კითხვა-პასუხი" — და თუ დაესწრებით, თქვენთვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდესო.

მეორე დილით მივედი. „კითხვა-პასუხის" დაწყებამდე ათი წუთით ადრე პრემიერ-მინისტრი, დღეს უკვე ბარონესა, მარგარეტ ტეთჩერიც გამოჩნდა.

ჩემთვის ეს სანახაობა მეტად შთამბეჭდავი გამოდგა — ოციოცდახუთი შეკითხვა დაუსვეს. ადგება დეპუტატი, შეეკითხება. ტეთჩერი ერთწუთიან პასუხს გასცემს და მასთან ამთავრებს ურთიერთობას. ჩვენთან რომ გაუთავებელი პოლემიკაა, ასე არ არის. არის ზუსტი კითხვები და არის მოკლე პასუხები. შეხვედრა დაახლოებით ორმოც წუთში დამთავრდა. ეს მართლაც თვისებრივად სხვა პოლიტიკური ხარისხის კულტურაა — ბევრისთვის მართლაც მისაბაძი. აქ მარტო რუსეთს ან საქართველოს როდი ვგულისხმობ.

დეპუტატები მხოლოდ აუცილებელ კითხვებს სვამენ, ზუსტად ფორმულირებულს და ასეთსავე ზუსტ პასუხებს იღებენ. შთამბეჭდავი პასუხები იყო.

ტეთჩერი ის პიროვნებაა, რომელსაც შეეძლო ვრცელი აზრი სულ რამდენიმე წინადადებაში ჩაეტია და საკითხი ამოეწურა. ასეთი შეხვედრა „დეპუტატი-პრემიერი“ და ესოდენ შთამბეჭდავი, პირველად ვნახე.

ინგლისთან მოლაპარაკება საბჭოთა კავშირში იაპონელებისა და ფრანგების ჩამოსვლის შემდეგ გაიმართა. ინგლისის შემდეგ, ერთ კვირაში მოსკოვში ჩამოვიდოდა გენშერი. ყველაფერი ეს ქმნიდა საერთო სურათს — ჩვენ მხოლოდ ამერიკას აღარ ველაპარაკებოდით — ჩვენი საგარეო პოლიტიკის არეალი და სპექტრი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, გაიზარდა ჩვენი და ჩვენი პარტნიორების ურთიერთზემოქმედებაც — ეს ბევრს ნიშნავდა — ეს უკვე ახალი მსოფლიო იყო, ახალი მსოფლიო პოლიტიკით და საბჭოთა კავშირი ამ პოლიტიკის რეალური მოთამაშე ხდებოდა.

ეს იყო ის, „რაც ვნახე და რაც შევისწავლე“ ლონდონში ჩემი პირველი ვიზიტის დროს.

დიდ ბრიტანეთში მოგვიანებითაც ჩავედი, იმჯერად უკვე საქართველოს პრეზიდენტის რანგში. ჯონ მეიჯორი მმასპინძლობდა. მან მირჩია ლონდონის „ვაინპოლისის“, „ღვინის ქალაქის“, დათვალიერება. მართლაც დავათვალიერე და სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი: „ქალაქის“ შესასვლელშივე საქართველო აღიარებულია ღვინის აკვნად, სამშობლოდ, სადაც ადამიანმა პირველად მოიშინაურა გარეული ვაზი, დაწურა ყურძენი, დააყენა ღვინო და რელიგიურ-კულტურულ სიმბოლოდ აქცია. შემდეგში ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმაც დამიდასტურეს, რომ ეს ფორმულა სინამდვილეს შეესაბამებოდა.

გერმანიის გაერთიანება

გერმანია და გერმანელები ბედის წყალობით ჩემი და ჩემი ხალხის მუდმივ თანამდევად იქცნენ. ჯერ კიდევ იმპერატორ ეკატერინეს დროს, XVIII საუკუნეში, საქართველოში ჩამოასახლეს გერმანელები, რომლებმაც სანიმუშო დასახლებანი შექმნეს. ეს უაღრესად შრომისმოყვარე, ღვთისმოსავი, მაღალზნეობრივი და კანონმორჩილი ხალხი იყო. საქართველომ ბევრი დაკარგა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს „ქართველი გერმანელები" გაასახლეს. მათი აშენებული მეურნეობები და დაბები გავერანდა, რადგან მათ ნასახლარზე ჩასახლებულებმა ვერ მოახერხეს ამ ყველაფრის შენარჩუნება.

1918 წელს დამოუკიდებლობა ჩემმა ქვეყანამ გერმანიის მხარდაჭერითა და დაცვით მოიპოვა. იქვე, გერმანიაში ეზიარა მეცნიერებას უამრავი ჩემი თვალსაჩინო თანამემამულე, რომელთაც შემდეგ ააღორძინეს ქართული კულტურა და მეცნიერება.

თავდაპირველად, გერმანიასთან ჩემი პირადი შეხება ტკივილიანი იყო. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ჩემი უფროსი ძმა აკაკი ბრესტში დაიღუპა და დიდი დრო უნდა გასულიყო, რომ ჩემს ცნობიერებაში მტრის ხატს, ფაშისტურ გერმანიას, სხვა, დიდი ცივილიზაციის მქონე გერმანელი ხალხი და სახელმწიფო გერმანია ჩანაცვლებოდა.

გერმანია და მისი გაერთიანება იქცა ჩემი ცხოვრების იმ უმნიშვნელოვანეს საქმედ, რომელმაც მე მსოფლიო ავტორიტეტიც მომიხვეჭა და ისეთი მეგობარიც შემძინა, როგორიც ჰანს-დიტრიხ გენშერია. მან საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ, 1992 წლიდან, ყველაფერი იღონა, რათა ქაოსში ჩაფლული ქვეყნიდან სახელმწიფო ჩამომეყალიბებინა — სუსტი, არაიდეალური, მაგრამ მაინც სახელმწიფო, რომელმაც შექმნა თავისი კონსტიტუცია, დააფუძნა პარლამენტი, სასამართლო, ჯარი, ფულად-საკრედიტო სისტემა, ფუნდამენტური რეფორმების გატარების გზას დაადგა.

ჩემთვის გერმანია მარტო დიდი მეცნიერების, ფილოსოფოსების და მუსიკოსების ქვეყანა კი არა, არამედ იმ ადამიანების ქვეყანაცაა, რომელთაც გაპარტახებული გერმანია აღორძინეს და ააშენეს, უბადლო გამრჯეობისა და თავისუფლებისმოყვარე სულის წყალობით, დამარცხებული ხალხი გამარჯვებულზე უფრო ძლიერი და მდიდარი გახადეს.

ბედმა სამუდამოდ დამაკავშირა ამ გერმანიასთან. და თუ ერთმა ქართველმა, საბჭოთა კავშირის ბელადმა, იოსებ სტალინმა, გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის დამარცხებაში, მე, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, შეეცადე ხელი შემეწყო მისი გამთლიანებისთვის.

მინისტრად ახალი დანიშნული ვიყავი, 1985 წელს, როდესაც ჰელსინკიში ჰანს-დიტრიხ გენშერს შევხვდი. ეს იყო ჩვეულებრივი, რიგითი შეხვედრა. ბევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს შევხვდი მაშინ და არ მიფიქრია, რომ ჩემი და გენშერის შეხვედრები შემდგომში არა მარტო ერთმანეთის პატიოსან პარტნიორებად გვაქცევდა ევროპის უსაფრთხოებისა და გერმანიის გაერთიანებისთვის ბრძოლაში, არამედ ნამდვილ მეგობრებადაც.

ამდენი წლის შემდეგ უნდა ვთქვა, რომ ჰანს-დიტრიხის ადამიანურმა თვისებებმა, გამჭრიახობამ, ტაქტმა და ენერგიამ უდავოდ ერთერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა არა მარტო გერმანიის გაერთიანებაში (ეს თავისთავად), არამედ მთელი ევროატლანტიკური სივრცის პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესებში. მან იქნებ ყველაზე ადრე და იქნებ ყველაზე ღრმად დაინახა და ირწმუნა გორბაჩოვისა და ჩემი „ახალი საგარეო პოლიტიკის“ გულწრფელობა და პერსპექტიულობა.

ჩვენ გვესმოდა ერთმანეთის, და როგორც თავად ბრძანებს თავის წიგნში: „საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის სოლიდარობა სისტემათა საზღვრებს მილმაც კი იგრძნობოდა“.[16]

სხვათა შორის, გერმანიის გაერთიანების თემა 1985 წლის 21 იულისს მოსკოვში გენშერისა და გორბაჩოვის პირველი შეხვედრის დროს გაჟღერდა. მე, ცხადია, ვესწრებოდი ამ შეხვედრას და ვფიქრობ,

[16] ჰანს-დიტრიხ გენშერი, მოგონებანი. თბილისი, 2002

რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ახალი ტიპის ურთიერთობების დაწყება სწორედ ამ შეხვედრამ მოამზადა. იგი მნიშვნელოვნად სცილდებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობათა საზღვრებს, არც მხოლოდ ევროპის საზღვრებით შემოიფარგლებოდა და მნიშვნელოვანწილად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენს ურთიერთობასაც აძლევდა სტიმულს.

მეტად საინტერესო საუბარი გამოდგა, რამაც მე და გენშერს შემდეგ, ცალკე შეხვედრაზე, საშუალება მოგვცა, ბევრი რამ სრულიად ახალი კუთხიდან განგვეხილა და დაგვენახა დიდმასშტაბიანი პრობლემების რეალური გადაჭრის გზები. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ მრავალწლიან გულწრფელ შეხვედრებს ჩემსა და გენშერს შორის, რომელთაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს გერმანიის გაერთიანებასა და უსაფრთხო, ახალი ევროპის შექმნაში.

საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზე გერმანიის გაერთიანების იდეამ რეალური კონტურები შეიძინა 1990 წელს, კანადის დედაქალაქ ოტავაში „ღია ცის“ კონფერენციაზე, რომლის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორიც საბჭოთა კავშირი იყო.

მახსოვს, ვზივარ კონფერენციის დარბაზში, ბეიკერი გადმოჯდა ჩემ გვერდით და პატარა შესაველის შემდეგ მეკითხება: „ხომ არ მოვიდა დრო, რომ გერმანიის გაერთიანებაზე ვიფიქროთ?“ ამ დროს ბერლინის კედელი უკვე აღარ არსებობდა. ბუნებრივია, ამ საკითხის დასმა ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა — ყოველივე უამრავჯერ ნაფიქრი და აწონილ-დაწონილი მქონდა. არადა, საამისო დრო აშკარად იდგა. გერმანელი ხალხი უკვე თვითონ გვკარნახობდა ამგვარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ბეიკერს დავეთანხმე. ვუთხარი, რომ რაც უფრო მალე დავიწყებდით შესაბამისი პრინციპების ჩამოყალიბებას, მით უკეთესი იქნებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ ბეიკერის ეს ნაბიჯი გენშერის თხოვნის საფუძველზე გადაიდგა. მერე ვკითხე — კოლეგები როგორ შეხვდებიან-მეთქი ამ ამბავს (მხედველობაში მქონდა, უპირველესად, ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი)?

— მე მგონი, კარგად, — მიპასუხა, — გენშერი თავისთავად მომხრეა, სხვებს რაც შეეხება — შეეგუებიან. ისე, ზოგიერთს არ უნდა.

ინგლისი უფრთხოდა ამ გაერთიანებას. საფრანგეთიც ფრთხილობ-

და. მიტერანსა და ტეთჩერს, ისტორიული მეხსიერებიდან გამომდინარე, ევროპის ცენტრში გიგანტური გერმანული სახელმწიფოს აღდგენისა დაუფარავად ეშინოდათ. თუმცა მერე, ერთობლივად რომ ვიმუშავეთ, ყველა ერთ აზრამდე მივიდა – ევროპის სტაბილურობისთვის გაერთიანებული გერმანია მშვიდობის უფრო სანდო გარანტი იქნებოდა, ვიდრე გაყოფილი.

ბეიკერმა მითხრა: „მაშინ მე მოველაპარაკები გენშერს".

მერე მქონდა ამ თემაზე ცალ-ცალკე საუბარი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჰაუსთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დიუმასთან. ეს „დიდი ოთხეული" (აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) იყო მთავარი. იქვე შევთანხმდით, რომ გერმანიიდან იქნებოდა ორი დელეგაცია, ერთი დასავლეთ გერმანიის, მეორე – აღმოსავლეთ გერმანიის (ფორმულით – „ორი პლუს ოთხი").

ასე დაიწყო ამ საკითხის განხილვა.

– და კიდევ, – მკითხა ბეიკერმა, – გორბაჩოვი როგორ შეხვდება ამას?

არ იყო დარწმუნებული, რომ გორბაჩოვი გერმანიის გაერთიანების იდეას ამ ეტაპზე მხარს დაუჭერდა. მე და გორბაჩოვს ღია საუბარი ამ თემაზე არ გვქონია. ისე კი, როდესაც პრესკონფერენციაზე ეკითხებოდნენ გერმანიის გაერთიანების პერსპექტივაზე, საკითხს ყოველთვის მოხერხებულად უვლიდა გვერდს – არასოდეს იტყოდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, თუმცა არც კატეგორიულად ამბობდა უარს. დარწმუნებული ვიყავი, რომ საკითხს ცუდად არ შეხვდებოდა.

მე და ბეიკერი შემდეგზე შევთანხმდით: მე გორბაჩოვს უნდა მოვლაპარაკებოდი, დანარჩენებს კი თავის თავზე ჯიმი იღებდა. გორბაჩოვის თანხმობის შემთხვევაში შეიქმნებოდა სამუშაო ჯგუფი – სწორედ ის, „დიდი ოთხეული" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი).

დავურეკე გორბაჩოვს – ცოტა შეფიქრიანდა. მერე თქვა: „ეს საკითხი ადრე თუ გვიან გადასაწყვეტია, წინააღმდეგობა დიდი კი იქნება, მაგრამ ჩვენი ვალია, დრო და მოვლენები ხელიდან არ გავუშვათ".

შეგახსენებთ, ეს ის დროა, როდესაც გერმანიაში – ბერლინთან,

პოტსდამთან უკვე დაწყებულია დემონსტრაციები. კარგად მესმის, გორბაჩოვი იმასაც ფრთხილობდა, რომ ევროპაში ნახევარმილიონიანი საბჭოთა არმია იდგა თავისი თანამედროვე შეიარაღებით. ფიქრობდა იმაზეც, რატომ შეიქმნა ეს არმია ცენტრალურ ევროპაში, ფიქრობდა სტალინის იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებითაც მან ამერიკელების ბირთვული იარაღის საპასუხოდ ჩააყენა ეს ჯარი აქ და თუ საჭირო გახდებოდა, ცენტრალური ევროპიდან ატლანტიკის ოკეანემდე გადაუვლიდა კიდეც ყველაფერს.

თანამედროვე მსოფლიოში, როცა ევროპისა და მსოფლიოს უსაფრთხოება აღარ გულისხმობდა დაშინებასა და ძალის დემონსტრირებას, საბჭოთა კავშირს უნდა გადაედგა ნაბიჯი — გამოეყვანა გერმანიიდან ჯარი და ამით გაეთავისუფლებინა გზა გერმანიის გაერთიანებისკენ. სხვა ლოგიკა აღარ არსებობდა.

გერმანიის საკითხი საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების უმთავრესი პრობლემა იყო და სწორედ ამიტომ იქცა იგი ჩვენთვის, გორბაჩოვისა და ჩემთვის, საგარეო-სტრატეგიული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად. და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩემი შეშფოთება, როდესაც თითქმის თავიდანვე ამ ურთიერთობის აწყობას საფრთხე დაემუქრა სწორედ იქიდან, საიდანაც არასგზით არ ველოდი. მხედველობაში მაქვს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერ ჰელმუტ კოლის 1986 წლის ცნობილი ინტერვიუ „ნიუსუიქთან“, რომლის დეზავუირება შემდეგ თავად კოლმა მოახდინა გერმანულ „ველტთან“ ინტერვიუში, მაგრამ რეზონანსი მაინც უზარმაზარი იყო, რადგან ინტერვიუში საბჭოთა კავშირის ლიდერი ჰებელსს იყო შედარებული. თუმცაღა ეს შედარება კომპეტენტურობას ეხებოდა და არა ჰებელსის ისტორიულ ნამოქმედარს.[17]

იგივე დეზავუირება კოლმა შემდეგ ბუნდესტაგშიც გაიმეორა. მანამდე, 4 ნოემბერს, მე გენშერს შევხვდი. ჩვენ შევეცადეთ ამ ჟურნალისტური გაუგებრობის პოლიტიკური შედეგი გაგვექარწყლებინა, თუმ-

ინტერვიუში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გორბაჩოვი საჯარო გამოსვლების დროს თავისი კომპეტენტურობით ჰებელსს უტოლდება. მართალია, იქ ლაპარაკი იყო მხოლოდ კომპეტენტურობაზე, მაგრამ ამ, რბილად რომ ვთქვა, უხერხულმა შედარებამ უარყოფითი როლი ითამაშა ორი ქვეყნის ურთიერთობაში. მაშინვე გაუქმდა გფრ-ის ერთ-ერთი მინისტრის ვიზიტი მოსკოვში.

ცა ეს მარტო პოლიტიკური ლაფსუსი როდი გახლდათ. გერმანიასთან ურთიერთობის ძძიმე ისტორიული მემკვიდრეობის გამო მარტო გორბაჩოვი კი არ იყო ამ შედარებით შეურაცხყოფილი და არც მხოლოდ მე, არამედ საბჭოთა კავშირის ის ყოველი მოქალაქე, რომელთაც გერმანიასთან ომის დროს დიდი პირადი დანაკლისი განიცადეს. და მაინც, გორბაჩოვსა და მეც გულწრფელად გვინდოდა ეს გაუგებრობა სასწრაფოდ გაგვეფანტა, რომ მას ხელი არ შეეშალა გერმანიასთან ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში. ასეთივე გულწრფელი სურვილი და წუხილი ვიგრძენი გენშერისგანაც და კოლის განცხადებაშიც. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ კანცლერისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მისი ეს გამონათქვამი გაუმართლებელი და მოვლენათა საწინააღმდეგო იყო.

ჩვენ, ორივე მხარე, გამოსავალს ვეძებდით და მოვძებნეთ იგი ისე, რომ ამ ეპიზოდს ჩვენს სამომავლო ურთიერთობებსა და გეგმებზე გავლენა აღარ მოუხდენია. მეტიც, ამ ამბავმა გერმანული მხარე დაარწმუნა, რომ ჩვენ გულწრფელად გვსურდა მათთან ურთიერთობათა გაუმჯობესება და ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში კი არა — მთელი ევროპული უსაფრთხოებისა, და თუნდაც, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისითაც იქნებოდა მნიშვნელოვანი.

სწორედ ამ გულწრფელმა სურვილმა და ერთმანეთისაკენ გადადგმულმა, კარგად გათვლილმა ნაბიჯებმა მოამზადა ნიადაგი გერმანიის საკითხის გადასაწყვეტად; მოამზადა არა მარტო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები, არამედ თავად საბჭოთა მოსახლეობაც — გერმანული კომპლექსისაგან გასათავისუფლებლად.

ყოველივე ამას დემოკრატიზაციის ის აჩქარებული პროცესიც უწყობდა ხელს, რომელიც საბჭოთა საზოგადოებას უფრო თავისუფალსა და მიმტევებელს ხდიდა. ასე რომ, როდესაც 1989 წლის 12 მაისს მიხეილ გორბაჩოვი, მეუღლითურთ, და მე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოსალაპარაკებლად ჩავფრინდით, ჩვენ მართლაც სხვანი ვიყავით — სულ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ევროპასა და გერმანიაზე სხვა, სრულიად განსხვავებული შეხედულებებით. და როდესაც გენშერს ვეუბნებოდი: „ალბათ, უახლოეს ხანში დიდი საუბარი

გვექნება კონტინენტის მომავლის შესახებ“ და „ბერლინის კედელიც დაინგრევა, როდესაც საამისოდ დრო მომწიფდება“ – მარტო ჩემს პიროვნულ აზრს კი არ გამოუხატავდი, არამედ სახელმწიფო პოზიციასაც, მომწიფებულსა და შეთანხმებულს ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან. ერთი ეგ იყო, არ ველოდი, მოვლენები თუ ასე ელვისებური სისწრაფით განვითარდებოდა.

დროის ლოგიკითა და მოთხოვნით განვითარებული ამ პროცესის არც შეჩერება იყო სასურველი და ვერც ვერავინ შეაჩერებდა. და როდესაც შევარდნაძეს და უფრო იშვიათად, გორბაჩოვს, მიაწერენ ბერლინის კედლის დანგრევას ისე, რომ არც გერმანელი ხალხის ნებას ითვალისწინებენ, არც ვითარებას მსოფლიოში და პოლიტბიუროსაც თითქმის არასდროს ახსენებენ – ეს დიდი უსამართლობაა. ასეთი პრინციპული გადაწყვეტილებანი პოლიტბიუროსთან შეთანხმების გარეშე არ მიიღებოდა ხოლმე. უკვე აქაც იგრძნეს, რომ ისტორიის სვლას ვერაფერი შეაჩერებდა. რაც შემეხება მე, მოხდა ზუსტად ის, რასაც მინისტრად ჩემი დანიშვნის დროს ვვარაუდობდი – როგორც ქართველს, არავინ მაპატიებდა იმას, რასაც რუსს აპატიებდნენ. ხომ ყველამ იცის, რომ ნებისმიერი, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ნაბიჯი საბჭოთა კავშირში ყოველთვის იყო შეთანხმებული გენერალურ მდივანსა და პოლიტბიუროსთან, მაგრამ რუს ნაციონალისტებს ურჩევნიათ, გერმანიის გაერთიანება, ავღანეთიდან ჯარის გამოყვანა, ევროპის უსაფრთხოება, შეიარაღების შემცირება და სხვა, მათი აზრით, რუსეთისთვის წამგებიანი გადაწყვეტილებების მიღება, მხოლოდ შევარდნაძეს დააბრალონ.

მე არათუ არ ვიხსნი პასუხისმგებლობის ჩემს წილს, არამედ ვამაყობ ჩემი წვლილით, მაგრამ ყველაფრის ჩემს თავზე აღება იმ წვლილის დაკნინებაა, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებაში მიუძღვით მიხეილ გორბაჩოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ლიდერებს – თუნდაც ალექსანდრ იაკოვლევს, რომელთაც ახალ სახელმწიფო აზროვნებას ჩაუყარეს საფუძველი.

ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ორი გერმანია ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდებოდა, ისევე, როგორც ვიცოდი, რომ საბჭოთა კავშირი დაინგრეოდა. არ ვიცოდი მხოლოდ, თუ ყველაფერი ასე სწრაფად მოხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 1988 წელს გენშერმა გაგვაფრთხილა,

გდრ-ში გახლეჩილი ერის გამთლიანების პროცესი მოსალოდნელზე უფრო სწრაფად მიდისო.

ისტორიამ აქ ის ბრწყინვალე გაკვეთილი ჩაგვიტარა, რომელსაც ველარ გამოიყენებ. როგორც ზემოთ ვახსენე, 1989 წლის 2-3 დეკემბერს კუნძულ მალტაზე ჯორჯ ბუშის ინიციატივით გორბაჩოვი და ბუში შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრის მთავარი თემა გერმანიის გაერთიანება იყო. ჩვენ, სხვა ევროპული მოკავშირეების მსგავსად, ამ საკითხში აჩქარების წინააღმდეგნი ვიყავით, მაგრამ ბუში დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიის გამთლიანების გამო ომს არ დაიწყებდა.

1989 წლის 8 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი გაიხსნა და გერმანელები შეერთდნენ. ეს ჯერ არ იყო იურიდიული აქტი, მაგრამ ადამიანებმა დაგვასწრეს და პოლიტიკოსებს გვიკარნახეს მომხდარი ფაქტის შემდეგ გადაგვედგა შესაბამისი ნაბიჯები.

1990 წელს, თუ არ ვცდები, 15-16 სექტემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს გავუგზავნე დადგენილების პროექტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ. მოვლენები სტიქიურად ვითარდებოდა და ჩვენ დროულად უნდა გადაგვედგა საპასუხო ნაბიჯები.

მეტიც, უნდა გვეკონტროლებინა ის მოვლენები, რომლებიც კაბინეტების კარს მიღმა ვითარდებოდა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ლუკიანოვმა, როგორც იტყვიან, მაუდის ქვეშ ამოდო პროექტი და მხოლოდ 30 სექტემბერს გაიტანა განსახილველად. უკვე დაგვიანებული იყო — მეორე დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, უქმდებოდა. რა თქმა უნდა, პროექტი განგებ შეაჩერეს და როდესაც სხდომის დახურვის წინ ლუკიანოვმა, ძალზე ოსტატურად, ვითომ სასხვათაშორისოდ გაიხსენა იგი როგორც დარჩენილი საკითხი, ამას შეთანხმებული აფეთქება მოჰყვა — თავდასხმა ჩემზე და საგარეო საქმეთა სამინისტროზე:

— რატომ გვაჩეჩებს შევარდნაძე უკანასკნელ წუთს ასეთ მნიშვნელოვან საკითხს, როდემდე უნდა აგვიგდონ ასე აბუჩად და უგულებელყონ ქვეყნის ინტერესები?

არადა, დადგენილების პროექტმა ორი კვირის განმავლობაში იარა

სხვადასხვა კაბინეტში. დეპუტატებმა გადაწყვეტილებაც საკმაოდ დაგვიანებით და ძნელად მიიღეს და როდესაც გორბაჩოვი მშვიდობის ნობელის პრემიას იღებდა, მე უმაღლესი საბჭოს ტრიბუნაზე ვიდექი და იმ გადაწყვეტილებების გამო ვიმართლებდი თავს, რომელშიც მას პრემია მიენიჭა.

ამ თავის მართლებისას, მაშინაც, მანამდეც და მერეც, სამწუხაროდ, მარტო ვიყავი. არავინ დამიცავა, მათ შორის — არც გორბაჩოვმა, რომლისგანაც ველოდი დაცვასაც და თანადგომასაც.

1990 წლის 12 სექტემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „ორი პლუს ოთხი", ხოლო მეორე დღეს გორბაჩოვმა და კოლმა ხელი მოაწერეს „კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულებას, რომლის პარაფირება მე და გენშერმა მეორე დღეს, 13 სექტემბერს მოვახდინეთ. ამ ხელშეკრულებით გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პრინციპულად ახალი პერსპექტივები წარმოჩნდა. ორი თვის შემდეგ ხელი მოეწერა გერმანიასთან შეთანხმების პაკეტსაც — „დიდ ხელშეკრულებას".

გამთლიანებული გერმანია უარს ამბობდა ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებაზე, განლაგებასა და შენახვაზე, პირობას დებდა, რომ დაიცავდა ხელშეკრულების მოთხოვნებს ამ იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, შეამცირებდა ჯარს 370 ათას კაცამდე, დაიცავდა საზღვრების ხელშეუხებლობას.

„ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებებით (ბონში, ბერლინში, პარიზსა და მოსკოვში) ევროპისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უსაფრთხოება ბევრად განმტკიცდა. ოცი წლით ადრე პრობლემა, ალბათ, სხვაგვარად გადაწყდებოდა, გდრ-ში საბჭოთა ტანკებს დაქოქავდნენ და დიდ სისხლს დაღვრიდნენ. ახლა ეს აღარ გამოვიდოდა. ამჯერად მთავარი იყო, თავად საბჭოთა კავშირი არ გამოთიშვოდა მოვლენებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა ჯარი იდგა და სანამ ის იქ იყო, მსოფლიო კონფლიქტის საშიშროება მაინც არსებობდა.

ჩემი აზრით, გერმანიის გამთლიანების პროცესში საბჭოთა კავშირის აქტიური ჩარევით კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომს გადაურჩა.

მოლაპარაკებათა რთული პროცესის დამთავრების შემდეგ, როდე-

საც გადაწყდა გერმანიიდან კოალიციის, უპირველეს ყოვლისა კი საბჭოთა ჯარების გამოყვანა, გერმანიის კანცლერმა კოლმა პირადად ჩამოიარა საბჭოთა ჯარის ნაწილები. მას არ სურდა ისინი უკმაყოფილო გამოეშვა გერმანიიდან, მაგრამ რა დასამალია – დასავლეთის ჯარის ნაწილებს მაინც უფრო გულითადად აცილებდნენ გერმანელები, ვიდრე საბჭოელებს. თუმც აქ ისიც უნდა ვთქვა, რომ დღესაც კი გერმანიაში საბჭოთა არმიის მემორიალური ადგილები სანიმუშოდ არის მოვლილი და ნაპატრონები.

ერთი კია, საბჭოთა ჯარების გამოყვანა გერმანიიდან და ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის ნორმალური პირობების შექმნა საბჭოთა კავშირში ვერ მოხერხდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ საქმისთვის გამოყოფილი 15 მილიარდი დოლარი დაიხარჯა; ასევე დაიხარჯა მანამდე სესხად აღებული 5 მილიარდი დოლარი, მაგრამ – რაში?! ნამდვილად არ ვიცი. აქ მხოლოდ ვარაუდების ამარა ვრჩებით. ამ საკითხის კვლევაზე ადვილი კი ის არის, რომ ყველაფერი შევარდნაძეს დააბრალო, გამოიყენო და გააღვივო ის ქვენა გრძნობები, რომელიც რუსი საზოგადოების ერთ ნაწილში კავკასიური ეროვნების პირისადმი – ქართველისადმი, სამწუხაროდ, არათუ ჯერ კიდევ არსებობს, არამედ უფრო გამძაფრდა კიდეც.

რა იყო და როგორ მოხდა ეს ყველაფერი, მე აღწერილი მაქვს ჩემს წიგნში „ჩემი არჩევანი“ და აქ აღარ გავიმეორებ. მით უფრო, რომ მთელი ეს პროცესი უფრო ვრცლად და დეტალურად აქვს აღწერილი ჰანს-დიტრიხ გენშერს თავის შესანიშნავ წიგნში „მოგონებანი“. ჩემი მეგობარი გენშერი აქ თავის თავზე ძალზე ცოტას წერს, მაგრამ მას უდიდესი ჯაფა დაადგა – არა მარტო საბჭოთა კავშირთან მუშაობის კუთხით, არამედ „დიდ ოთხეულსა“ და სხვა ქვეყნებთან: გდრ-თან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთსა და მსოფლიო საზოგადოებრიობასთან მუშაობის თვალსაზრისითაც.

* * *

1986 წლის ივლისში მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირს მე წარმოვადგენდი, დასავლეთ გერმანიას – ფედერალური

კანცლერის მოადგილე, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი. გენშერი საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მოსკოვს. ევროპის უსაფრთხოება გერმანიასთან ურთიერთობების მოწესრიგების გარეშე წარმოუდგენელი იყო. საჭირო იყო ღიად, ყოველგვარი დაფარვის გარეშე გვცოდნოდა ერთმანეთის პოზიციები და ყველაფერი გაგვეკეთებინა ევროპის უსაფრთხოებისთვის, მსოფლიოს გადასარჩენად. ეს კი შეუძლებელი იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების გარეშე. ეს ქვეყანა მარტო ევროპაში კი არა, უკვე მსოფლიოში თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს — როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

მე და გენშერი შევხვდით 22 და 23 ივლისს. კარგად მახსოვს ის საუბრები. ამ შეხვედრას წინ უძღოდა ბუნდესტაგში კანცლერ კოლის მოხსენებით გამოსვლა „ნაციის მდგომარეობის შესახებ გაყოფილ გერმანიაში“, სადაც მან ხაზგასმით თქვა: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკის მიზანია ხელი შეუწყოს გერმანელების მიერ მათი ერის მთლიანობის განცდას, იმ მცდარი ილუზიის გაფანტვას, რომ დღევანდელი მდგომარეობა დიდხანს შენარჩუნდება ისე, რომ მსოფლიოს ვნება არ მიადგეს“. ყველანაირად ჩანდა, რომ გერმანელებს იდეის დონეზე, საერთო-გერმანული ცნობიერების ჩამოყალიბებით უკვე ჰქონდათ გაერთიანება დაწყებული.

ამ შეხვედრისათვის ჩემი თანამშრომლების მიერ მომზადებული ცნობებით, გფრ დასავლეთის სახელმწიფოებიდან გდრ-ის ყველაზე დიდი კრედიტორი იყო. მხოლოდ 1983-85 წელს გფრ-ის ბანკებმა გდრ-ს ორი მილიარდის კრედიტი გამოუყვეს. მნიშვნელოვანი იყო საწარმოო კოოპერაციაც, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი თავად მოსახლეობის საერთო ცხოვრებისკენ მისწრაფება იყო, რაც იმითაც გამოვლინდა, რომ მიუხედავად შეზღუდვებისა, 1985 წელს გდრ-ში გფრ-იდან და დასავლეთ ბერლინიდან 5 მილიონი ადამიანი ჩავიდა, გდრ-იდან — 1,6 მილიონი. გამაკვირვა წერილთა რაოდენობამ — გფრ-იდან 1985 წელს გდრ-ში გაიგზავნა 60 მილიონი წერილი, გდრ-იდან გფრ-ში — 90 მილიონი. ამ სტატისტიკამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შთამბეჭდავი იყო სატელეფონო კავშირების რიცხვიც —

გფრ-იდან გდრ-ში – 30 მილიონი, ხოლო ბანდეროლები და ამანათები – გფრ-იდან გდრ-ში – 45 მილიონი, გდრ-იდან – 9 მილიონი.

დაწყებული 1985 წლიდან, როდესაც ახლოს გავეცანი გფრ-გდრ-ის პრობლემატიკას, ვფიქრობდი: „ეს ხალხი ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობს", თუმცა გენშერთან იმ მოლაპარაკებებზე არაფერი შევიმჩნიე. ყველაფერი მაინც იქით მიდიოდა, რომ გერმანია უნდა გაერთიანებულიყო და საბჭოთა კავშირისთვის წამგებიანი იქნებოდა, თუკი იგი ამ ისტორიული მოვლენის გადაწყვეტას თავს აარიდებდა. მეტიც, თავად საბჭოთა კავშირი უნდა გამხდარიყო ამ პრობლემის გადაჭრის ძირითადი ფაქტორი.

ამ წლების განმავლობაში ყველაფერზე მოვილაპარაკეთ – უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას, მაგრამ გერმანიის გამთლიანებაზე ხმა არ ამოგვიღია – ჯერ საამისო დრო არ იყო. საჭირო იყო, ორი ქვეყნის ლიდერი ისე დაახლოებოდა ერთმანეთს, რომ ხალხს გერმანიაში მტერი აღარ დაენახა. სხვათა შორის, პირველი ასეთი ადამიანური ცვლილების გამოხატულება გორბაჩოვის დავალება იყო ჩემთვის მოცემული: რაკიღა სასწრაფოდ გვჭირდებოდა, გფრ-ის ხელმძღვანელობას 5 მილიარდი დოლარი გამოეყო სესხის სახით საბჭოთა კავშირისათვის. რამდენადაც ვიცი, მტერს სესხად ფულს არ სთხოვენ და არც აძლევენ. ეს უკვე სხვა ურთიერთობის დასაწყისი იყო.

მინდა სესხის თაობაზე ზემონათქვამი გავაგრძელო. გორბაჩოვსა და მე კოლთან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, მე კი გენშერთან ვმეგობრობდი. ამ დროს საბჭოთა კავშირში დიდი ფინანსური პრობლემები შეგვექმნა. ძალიან გაგვიჭირდა, ხელფასებსაც ვეღარ ვისტუმრებდით. გორბაჩოვმა მიხმო და მითხრა, იქნებ ჩახვიდე კოლთან და უთხრა, ხუთი მილიარდი გვასესხოს, ოღონდ არა მიზნობრივად, არამედ საჭიროებისდა მიხედვით სახარჯავადო.

ჩავედი. მიმიღო. იყო თავად კოლი, ჩვენი ელჩი კვიცინსკი და მე. გენშერი არ ესწრებოდა. შეწუხდა კოლი, ძალიან შეწუხდა.

ვუთხარი, ასეთ თხოვნებზე მე არსად დავდივარ, არავის არაფერს ვთხოვ, მაგრამ ახლა მძიმე ვითარებაა, გორბაჩოვმა სპეციალურად გამომგზავნა და ჩვენ ამ დახმარებას დავაფასებთ-მეთქი.

ეს ის დროა, როდესაც გერმანიის გაერთიანებაზე საუბარი ჯერ არ იყო დაწყებული, მაგრამ ურთიერთობის ნორმალიზება გფრ-სა და საბჭოთა კავშირს შორის უკვე მიმდინარეობდა.

გულწრფელად რომ ვთქვა, თხოვნა ნახევრად ოფიციალური იყო და შეხვედრაზეც განმსაზღვრელად უფრო ადამიანური ფაქტორი იქცა. კოლმა ასეთი პასუხი გამცა: „როგორ გითხრათ უარი ან შენ, ან გორბაჩოვს, მაგრამ სულ ახლახან ერთი ცუდი ამბავი მოხდა, რაც საკითხის გადაწყვეტას ართულებს. გარდაიცვალა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ჩემი მეგობარი. ის რომ იყოს ახლა, პრობლემა არ იქნებოდა, პასუხს ახლავე გეტყოდით. მის ადგილას ჯერ არავინ დაგვინიშნავს, ამიტომ ერთი კვირა უნდა მადროვოთ.“ კაცი აშკარად შეწუხებული ჩანდა, მაშინვე რომ ვერ მოაგვარა ეს პრობლემა, მაგრამ მე მაინც დაიმედებული წამოვედი.

ერთი კვირის შემდეგ ბანკის პრეზიდენტი დანიშნეს და პასუხიც მოგვივიდა, მგონი, ჩვენი ელჩის, კვიცინსკის მეშვეობით: „საკითხი, რომელიც შევარდნაძემ დააყენა, გადაწყვეტილია და ხუთ მილიარდს უპროცენტო (რაკილა საბჭოთა კავშირი ფინანსურ კრიზისში იყო) სესხს გამოგიყოფთ“.

ახლა რაც შეეხება ჯარის გამოყვანას.[18]

ამ პრობლემურ საკითხზე მოსალაპარაკებლად გორბაჩოვი, კოლი, გენშერი და მე 1990 წლის 15-16 ივლისს საბჭოთა კავშირში, სტავროპოლის ოლქში შევიკრიბეთ — არხიზში, ულამაზეს მთებს შორის განლაგებულ რაიონულ ცენტრში. თან გვახლდა საბჭოთა არმიის შტაბის უფროსი გენერალი ახრომეევი — სამხედრო საქმის შესანიშნავი მცოდნე, უაღრესად განათლებული, რეალისტურად მოაზროვნე გენერალი პოლიტიკოსი, თუმცაღა ძალზე ჯიუტი კაცი. ხშირად ვკამათობდით და ბოლოს ისევ გორბაჩოვთან ვწყვეტდით ხოლმე საკითხს. თუ მასთან უნდა დამეყენებინა საკითხი, ჯერ გორბაჩოვთან მოვსინჯავდი, მექნებოდა თუ არა მისი მხარდაჭერა, მერე, როდესაც

[18] არცთუ დიდი ხნის წინ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა განაცხადა: „როგორც გერმანიიდან გამოვიყვანეთ ჯარი და ლია ცის ქვეშ დავყარეთ ოფიცრობა, ჯარისკაცები და შეიარაღება, ასე საქართველოდან ჯარს ვერ გამოვიყვანთ, ასე არ მოვიქცევით“. მე კარგად ვიცი, იუნებ ივანოვზე ბევრად უკეთაც, როგორ გამოვიდა ის ჯარი გერმანიიდან.

გორბაჩოვთან შეეხვედებოდით, გორბაჩოვი გაიქნევდა თავს ახრომეევისკენ და იტყოდა – „Ахромеев прав“. მერე გადაუხვევ-გადმოუხვევდა და იტყოდა, ეს საკითხი მაინც გადასაწყვეტია და ისევ შევარდნაძეს უნდა დავუჭიროთო მხარი. ასეთი კაცის წამოყვანა ამ თათბირზე შემთხვევითი არ იყო, რაკიღა ჯარების გამოყვანის საკითხი უნდა განხილულიყო: გაწერილიყო გამოყვანის მთელი პროცესი და რაიმე რომ არ გართულებულიყო, რომ არ ყოფილიყო არავითარი დაპირისპირება გერმანიის შეიარაღებულ ჯარებსა და საბჭოთა ჯარებს შორის, რომ გამორიცხულიყო ყოველგვარი პროვოკაცია, რომ ჯარის გამოყვანისა და მისი საბჭოთა კავშირში გადმოყვანის პროცესი უხინჯო ყოფილიყო – სწორედ ასეთი მცოდნე, ჯიუტი და შეუვალი კაცის ყოფნა იყო იქ საჭირო.

გორბაჩოვი და კოლი ცალკე დარჩნენ – ჩვენ ცალკე დავილაპარაკებთ, შენ და გენშერი ცალკეო. ძირითადი საკითხები ირჩეოდა გორბაჩოვსა და კოლს შორის, ხანდახან ახრომეევს ეძახდნენ. შეხვედრა ღამის ორ-სამ საათამდე გაგრძელდა. ისიც კი მახსოვს, გენშერს მაშინ გულის მძიმე შეტევა ჰქონდა, ერთი თვითმფრინავი აპარატურა ჰქონდა ჩამოტანილი.

შემდეგ ყველანი ერთად შევიკრიბეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გერმანიიდან ჯარის გამოყვანისა და სამშობლოში დაბინავებისთვის 20 მილიარდი მოვითხოვეთ, გერმანელები 15 მილიარდს დათანხმდნენ, ამას დაემატა 5-მილიარდიანი სესხი. თანხა გამიზნული იყო ჯარისკაცების, ოფიცრებისა და მათი ოჯახების კეთილმოწყობისათვის. როგორც მე ვიცი, ამ მიმართულებით საერთოდ ბევრი არაფერი გაკეთებულა. სად წავიდა ეს თანხები? ეს კითხვა სრულიადაც არ არის რიტორიკული. მტკნარი სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ კომპენსაციის გარეშე გამოვიყვანეთ ჯარი. ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს შესაბამისი დოკუმენტები. პოლიტბიუროზეც გავიდა ჯარის გამოყვანის საკითხი – გორბაჩოვმა გაიტანა და მას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. თუმცალა ზოგი ამბობდა, ხომ არ ეჩქარობთ, დემონსტრაცია გერმანიაში ხვალ არ იქნებაო, მაგრამ ეს ტალღა ისე იყო აგორებული, მისი ჩაცხრობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

უკვე ვთქვი, რომ გერმანიიდან თუ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის გამო რუსეთის სამხედროების ნაწილი ჩემ მიმართ ახლაც აგრესიულად არის განწყობილი. ეს გასაგებიცაა — მოლაპარაკებებში ისინი სისტემატურად მხოლოდ მე მხედავდნენ. გორბაჩოვი გერმანიის საკითხზე მხოლოდ ერთხელ დაესწრო „დიდი ექვსეულის“ („ორი პლუს ოთხი“) დასკვნით სხდომას, მაგრამ მარტო დანახვა ხომ არ არის მთავარი — აზრის მიდევნებაცაა საჭირო.

მოკლედ, საბჭოთა ხელისუფლებაში ამ საკითხს სულ უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. როცა ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ ერთი შეხვედრა ბონში, ბერლინში მეორე, გადამწყვეტი შეხვედრის წინ, პოლიტბიუროზე განიხილეს „პროცესის აქტიური მხარდაჭერის“ ტექსტი. ეს ტექსტი პოლიტბიუროზე ლიგაჩოვმა და კიდევ სხვებმა გააცამტვერეს — როგორ შეიძლება, რომ გერმანიას ვთმობთ, რატომ ვთმობთო და ა.შ. პირდაპირ მითხრეს, ტექსტი უნდა გამკაცრდესო. არადა, პოლიტბიუროს სიტყვა კანონი იყო. ზედმეტი იყო მათთვის ამეხსნა ან არგუმენტები მომეყვანა იმის თაობაზე, რომ ჩვენთან დიალოგში თავად ევროპა და ნატო იცვლებოდა და ჩვენი შემხვედრი ნაბიჯები მათ შემხვედრ ნაბიჯებსაც განაპირობებდა.

ორ ცეცხლს შუა ჩავვარდი: გენშერთან უკვე ნათქვამი მქონდა, რომ ბერლინში გამოვალ კონსტრუქციული ტექსტით, იმ მხარდაჭერის პოზიციით, რომელიც ჩემი გამოსვლებით უკვე ცნობილი იყო. ბეიკერმაც იცოდა, რომ ჩემი გამოსვლა დადებითი იქნებოდა — გერმანიის გაერთიანების მხარდასაჭერად, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მე, პოლიტბიუროს ზეწოლით, იძულებული ვიყავი სულ სხვა რამ მელაპარაკა.

ადამიანურად ძალზე გამიჭირდა. ბეიკერიც და გენშერიც მიხვდნენ, რაში იყო საქმე და კიდევ კარგი, ჩემი ეს გამოსვლა პროცესს უკვე ხელს ვეღარ შეუშლიდა.

მეტიც, ისინი იმასაც მიხვდნენ, რაოდენ დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მიწევდა როგორც ხელისუფლებაში, ისე ხალხში და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ოფიციოზშიც“. ამიტომაც საოცრად მადლობელი ვარ ჰანს-დიტრიხის, როდესაც მან დიდი ტაქტით მიმანიშნა: „ჩვენი სახელმწიფოების ინტერესები ბევრწილად ერთმანეთს ემთხვევა. ეკონომიკური

პოტენციალი მომავალი ერთობლივი მუშაობისათვის პრაქტიკულად ამოუწურავია“.

სხვათა შორის, როგორც ვთქვი, საბჭოთა ჯარებს ყოფილი გდრ-ის ტერიტორია მაშინვე არ დაუტოვებიათ. ამის თაობაზე 1990 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი“ 1991 წლის მარტში შევიდა ძალაში, ხოლო რუსეთის ჯარები გერმანიიდან მხოლოდ 1994 წელს გამოვიდნენ – როგორც მე მაშინ, გფრ-ის ხელმძღვანელობისადმი მიმართულ წერილში ვივარაუდე (5-6 წელი).

გავა წლები და გენშერი დაწერს:

„იმ ღამეს დიდხანს არ დამეძინა, რაც იშვიათად დამმართნია. ვცდილობდი ჩემი თავი საბჭოთა ხელმძღვანელობის, პირველ რიგში, ჩემი კოლეგის – შევარდნაძის ადგილას წარმომედგინა, რომელსაც მე წლების განმავლობაში უფრო და უფრო დავუმეგობრდი. კვლავ და კვლავ ვიხსენებდი ჩვენს საუბრებს. ხშირად მხოლოდ ხანმოკლე მზერითი კონტაქტი კმაროდა, ურთიერთგაგებისათვის რომ მიგველწია. რა ძლიერ უნდა შეცვლილიყო მოსკოვში ვითარება უარესობისკენ, თუკი შევარდნაძეს მძიმე ბრალდების მოსმენა უწევდა!..“

„...ვის მოუწევდა პარტიის ამ ყრილობაზე ბრძოლაში გადაშვება: მარტო შევარდნაძეს თუ გორბაჩოვიც ამოუდგებოდა მას მხარში? თუ ორივენი უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ? ნუთუ ახდება ამერიკელების ვარაუდი, რომ გორბაჩოვი გერმანიის უსაფრთხოების სტატუსის ძნელ საკითხს საგარეო საქმეთა მინისტრს შეაჩეჩებსო? წინასწარ შეთანხმებულ როლთა განაწილებასთან გვქონდა საქმე თუ სხვა რამესთან? და საერთოდ, რა ხდებოდა ამ ორ ესოდენ მნიშვნელოვან პიროვნებას შორის? პარტიის ყრილობიდან მოსულმა ცნობებმა მოგვიანებით დაადასტურა, რომ კრიტიკის ტვირთის ტარება ყრილობაზე შევარდნაძეს მარტო მოუწევდა“.

ვთქვი და კვლავაც გავიმეორებ, იმ საქმის გამო, რომელშიც გორბაჩოვმა ნობელის პრემია მიიღო, მე ჯვარს მაცვეს.

თუმცა არა ყველამ. ლეონიდ მლეჩინს ზემოხსენებულ წიგნში (МИД. Министры иностранных дел, გვ. 475-476) მოჰყავს ნაწყვეტი შესანიშნავ დიპლომატთან, ალექსანდრ ბესმერტნიხთან (რომელმაც შემცვალა ჩემს თანამდებობაზე) საუბრისა:

„Дипломатия Шеварднадзе была нашей общей дипломатией. Он работал рука об руку со всем аппаратом министерства, и основные идеи, например, что „наша безопасность зависит от безопасности других" – это мы сочиняли вместе.

Эпоха второй половины 1980-х годов была в дипломатии блистательной, и это позволило стране безболезненно выйти из „холодной войны". Это был период очень творческой и активной дипломатии. Многие дипломаты были воодушевлены новыми возможностями, которые открылись с приходом Шеварднадзе в министерство. Если бы у него было дипломатическое образование, что-то он, вероятно, видел бы тоньше, но суть, основы ремесла он освоил хорошо.

Многие люди, знавшие Шеварднадзе, отмечали, что Эдуард Амвросиевич проявил большие способности к дипломатии, чем можно было предположить. Он умело вёл переговоры, был терпелив, находил компромиссы.

Если бы можно было показать записи его бесед, вы бы почувствовали, как тонко он их вёл. Стиль Шеварднадзе совсем не был похож на стиль Громыко. У него были свои находки, свои способы убеждать собеседника. Я могу ещё раз сказать, что Шеварднадзе один из выдающихся политиков второй половины XX столетия, человек, который очень много сделал для нашей страны и которого несправедливо обвиняют в том, что его политика не дала результатов.

– Принято говорить, что политика Шеварднадзе была политикой сплошных уступок, что он отдал Восточную Европу, потому что интересы России ему были безразличны. Вы согласны с такой оценкой? – спросил я Бессмертных.

– Нет...

...Что касается Восточной Европы, то вариантов было два. Либо мы силовыми методами не позволяем Восточной Европе выйти из Варшавского Договора, либо мы признаём собственные интересы этих государств и пытаемся соотнести их с нашими интересами.

Если бы мы пытались силой помешать развитию событий, против нас восстал бы весь мир... — говорил мне Бессмертных."

ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია ბესსმერტნიხისა და მლეჩინის შეფასებანი: პირველი ჩემ მერე მოვიდა მინისტრად და ასეთ დროს საქებარ სიტყვებს წინამორბედზე იშვიათად თუ ამბობენ ხოლმე, თანაც იგი თავად იყო ბრწყინვალე კადრის დიპლომატი და ავტორიტეტული ექსპერტი ამ დარგში.

რაც შეეხება მლეჩინს... მას ჰქონდა შესაძლებლობა, ღრმად შეესწავლა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ისტორია და ყოველი მინისტრი შეედარებინა წინა თუ მომდევნო მინისტრებთან, გაეკეთებინა ობიექტური დასკვნები.

ადამიანს გინდა ზოგჯერ ვინმემ პირუთვნელად შეაფასოს შენი ნამოქმედარი და თუ შეფასება დადებითია, გსიამოვნებს კიდეც... არ ვიცი, ეს ადამიანური სისუსტეა თუ არა, მაგრამ ამ გრძნობას ვერ დავმალავ.

* * *

უკვე წლების მერე, საქართველოს პრეზიდენტად ყოფნისას, ბერლინში ჩავედი იმანუილ კანტის პრემიის მისაღებად. მეტად პრესტიჟული პრემია გახლავთ. მისი გადმოცემისა და შესაბამისი ცერემონიალის შემდეგ ბერლინის ბურგომისტრმა ბანკეტი მოაწყო, რომელზეც ჩემი მისამართით ბევრი კეთილი სიტყვა თქვა, ბოლოს კი ასე დაამთავრა: „განგებამ ისე ინება, რომ ერთმა ქართველმა, სტალინმა, გაყო გერმანია, მეორე ქართველმა, შევარდნაძემ გააერთიანა". საპასუხოდ მადლობა ვუთხარი ამ სიტყვებისთვის, გადაჭარბებით შეაფასეთ-მეთქი ჩემი წვლილი და ხუმრობით დავამატე: „ისე, რომ იცოდეთ, ქართველების გარეშე დიდი პოლიტიკა არ კეთდება".

თუმცა, ნათქვამია, რომ ყოველ ხუმრობაში სიმართლის მარცვალიცაა. განა საქართველოს დიდი მეფენი — დავით აღმაშენებელი ან თამარ მეფე თავისი დროის დიდ მსოფლიო პოლიტიკაში არ მონაწილეობდნენ?

რაკილა სიტყვამ მოიტანა, ისიც მინდა დავძინო, რომ ჩემს შემთხვევაში, მართალია, არაქართული იმპერიის წარმომადგენლად, მაგრამ მაინც ქართველი მონაწილეობდა თითქმის ყველა კონტინენტის წამყ-

ვან ქვეყნებთან ურთიერთობის მოწესრიგებაში. ზემოთ არ მიხსენებია და აქ მინდა ჩამოვთვალო სამხრეთ ამერიკის ქვეყნები — ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, კუბა, ნიკარაგუა... ჩემი იქ ჩასვლის შემდეგ ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობანი რეალურ, აქტიურ ურთიერთობად იქცა. სწორედ ამ ქვეყნებში ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ სამხრეთ ამერიკა ფიდელ კასტროს, კუბის ლიდერს, პატივს სცემდა და მხარს უჭერდა. ამიტომაც ვერ მოიცილა იგი ამერიკამ.

აფრიკაშიც გახლდით შვიდდღიანი ვიზიტით მეულლესთან ერთად. არ მინდოდა ნანულის წაყვანა, რაიმე ინფექცია არ შეეყაროს-მეთქი, მაგრამ არ დაიშალა, მერე როდისღა ვნახავო. განსაკუთრებული შეხვედრა მქონდა ზიმბაბვეში რობერტ მუგაბესთან, გამორჩეულ ლიდერთან, რომელმაც თეთრკანიანი კოლონისტები არათუ გაყარა ქვეყნიდან, არამედ უკეთესი პირობებიც კი შეუქმნა, რომ ქვეყნის ეკონომიკა მათი გაძევებით არ დანგრეულიყო.

შემდეგ, როდესაც საქართველოში დავბრუნდი, ზიმბაბვეში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, მე ვერ წავედი და ნიკო ლეკიშვილი გავგზავნე. მერე მიამბო, პრეზიდიუმში მუგაბესგან მეხუთე კაცად ვიჯექი და რომ გაიგო, თქვენი წარგზავნილი ვიყავი, გვერდით ვინც ეჯდა, ააყენა და მე დამსვა მის ნაცვლადო.

ეს ქვეყანა ყველაზე კარგად ცხოვრობდა სწორედ მისი ლიდერის გონიერებისა და სამართლიანობის წყალობით.

არ ვიცი, კიდევ როდის ექნება ქართველ კაცს შესაძლებლობა, თითქმის ყველა კონტინენტის ლიდერს შეხვდეს და ყველას გააცნოს თავისი ქვეყანა. კარგად თუ ავად, მე ეს შევძელი, ჯერ როგორც სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მერე როგორც საქართველოს პრეზიდენტმა. სწორედ ქართული ხასიათი, ქართული გულითადობა, ქართული იუმორი და ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი გამჭრიახობა მშველოდა ბევრი რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნაში.

როგორ მოვახერხე, თავად განსაჯეთ.

პოლონური ტრიადა: ვალენსა, იარუზელსკი, ვოიტილა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი) თავის წერილში, პრეზიდენტობიდან ჩემი ბოლო გადადგომის შესახებ, აფასებს რა ჩემს განვლილ პოლიტიკურ მოღვაწეობას, პირველივე ფრაზით საგანგებოდ აღნიშნავს: „დიდ მადლობას მოგახსენებთ თავისუფლების დამკვიდრებაში თქვენ მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის. თქვენი ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა „ცივი ომის“ დამთავრება“... აქ ბევრი რამ იგულისხმება და ერთერთი უპირველესი სწორედ გერმანიის გამთლიანება გახლავთ.

მაგრამ გერმანიის მეზობლების პრობლემების გადაწყვეტის გარეშე ევროპაში სიმშვიდე ვერ დამყარდებოდა, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლების გარეშე მსოფლიო მშვიდად ვერ იქნებოდა. აქ კი უპირველესი პოლონეთის პრობლემა გახლდათ, სადაც ლეხ ვალენსას ხელმძღვანელობით „სოლიდარობის“ მიერ აგორებული გამათავისუფლებელი მოძრაობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ტრადიციული საბჭოთა შეფასების მიხედვით დესტაბილიზაციის დიდ წყაროდ რჩებოდა.

ამ გამწვავებულ ვითარებაში პოლონეთის პირველი პირი გენერალი ვოიცეხ იარუზელსკი გახლდათ, საბჭოთა ჯარის სკოლაგამოვლილი კადრის ოფიცერი. ჩემეული შეფასება ასეთია: ის პოლონეთის დიდი პატრიოტი, გულადი და ჭკვიანი პიროვნებაა. ვალენსას მოძრაობას მთელი პოლონეთი აჰყვა და ამდენად, იარუზელსკის პოლიტიკური ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ჩვენში იყვნენ ადამიანები, პოლონეთი რომ არ ეთმობოდათ და ჯარის შეყვანას არ გამორიცხავდნენ.

ორჯერ თუ სამჯერ ვიყავი იარუზელსკისთან, რომელსაც ერთადერთი თხოვნა ჰქონდა – ჯარები არ შეგვეყვანა პოლონეთში. ჯარების შეყვანის წინააღმდეგი იყო გორბაჩოვიც.

მეც ყველაფერი გავაკეთე, რომ ეს არ მომხდარიყო. ვატიკანშიც ჩავედი, რომის პაპთან, იოანე-პავლე მეორესთან, წარმოშობით პოლონელთან. მას უდიდესი გავლენა ჰქონდა პოლონეთზე, მის ერთ სიტყვას შეეძლო შეეჩერებინა სამოქალაქო ომის დაწყება. მართლაც, იოანე-პავლე მეორე პოლონეთში ჩავიდა და სამოქალაქო ომის საშიშროება ჩააცხრო.

იარუზელსკი მშვიდობიანად წავიდა, პოლონეთი თავსმოხვეული რეჟიმისგან გათავისუფლდა და დემოკრატიული ქვეყანა გახდა.

ზემოთ უკვე ვახსენე და კვლავ მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო რომის პაპის პიროვნებას. იოანე-პავლე მეორემ განსაკუთრებული როლი შეასრულა არა მარტო პოლონეთის პრობლემის მშვიდობიან მოგვარებაში, არამედ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ურთულეს საკითხთა გადაწყვეტაში. მე მას საკმაოდ კარგად ვიცნობდი: საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს სამჯერ შევხვდი – ერთხელ მიხეილ გორბაჩოვთან ერთად. ხანგრძლივი და საინტერესო საუბრები გვქონდა. მახსოვს, ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ ასე ვთქვი: „რომის პაპი მსოფლიოს ნომერ პირველი მოქალაქეა!“

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ძალიან მინდოდა რომის პაპი ჩემს სამშობლოში ჩამოსულიყო, რაც მოვახერხე კიდეც 1999 წელს. კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც მხარი დამიჭირა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პაპის ვიზიტი ვერ შედგა რუსეთში და თითქმის ვერც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სრულიად განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ. საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი საუკუნოვანი სწრაფვა – აღედგინა თავისი ისტორიული ადგილი ევროპულ ცივილიზაციაში. თითქოსდა ხორცი შეესხა XVIII საუკუნის დიდი ქართველი განმანათლებლის და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის ოცნებას, საქართველო კვლავ ენახა ქრისტიანული ევროპის ნაწილად. ცნობილია, რომ ქართველები არ შეუერთდნენ 1054 წლის სქიზმას – განხეთქილებას კონსტანტინოპოლისა და რომის ეკლესიებს შორის, რასაც მოჰყვებოდა ქვეყნის იზოლირება ევროპული სივრცისგან.

იოანე-პავლე მეორის ვიზიტი საქართველოში ორი დღე გაგრძელდა. ბევრი ვისაუბრეთ უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო

საკაცობრიო საკითხებზე. ამ საუბრებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ წლების წინ გამოთქმული ჩემი აზრი სწორი იყო — რომის პაპი მართლაც მსოფლიოს პირველი მოქალაქე გახლდათ.

პაპის გარდაცვალებიდან მეორე დღეს ერთ-ერთმა წამყვანმა ფრანგულმა ჟურნალმა გაშლილ შუა გვერდზე ჩვენი ერთობლივი ფოტო დაბეჭდა — თბილისის აეროპორტში გადაღებული, ვიზიტის დაწყების წინ. ამ ფოტომ სევდანარევი სიამოვნება მომანიჭა.

პოლონეთს სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებიც მიჰყვნენ. ეს პროცესიც მშვიდობიანად განვითარდა. ერთადერთს, რუმინეთს[19] არ ეშველა არაფერი. სისხლიანი რევოლუცია ახალი დამთავრებული იყო, რომ გორბაჩოვს ვუთხარი, დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ რუმინეთში დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას მხარს დავუჭერთ და იქ ახლა ჩემი ჩასვლა საჭიროდ მიმაჩნია-მეთქი. დამეთანხმა. ჩავედი ბუქარესტში, იქ ყველაფერი ჯერ კიდევ დულდა. რუმინეთის ახალმა ხელმძღვანელმა ილიესკუმ ბუქარესტის განაპირას, ერთ ჩვეულებრივ, ტანკებით გარშემორტყმულ სახლში მიმასპინძლა. დიდი მადლიერებით იქნა აღქმული ჩემი მხარდაჭერის ჟესტი და შემდეგაც, უკვე საქართველოს პრეზიდენტობის დროს, მუდამ ვგრძნობდი რუმინელთა სიმპათიებს. ალბათ ისიც გასახსენებელია, რომ რუმინელთა და ქართველთა ურთიერთობას საუკუნეების წინ ისეთმა ქართველმა დაუდო სათავე, როგორიც ანთიმოზ ივერიელი იყო — რუმინეთის ერთ-ერთი დიდი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე, რუმინეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული.

[19] მისი პირველი პირი, დიქტატორი ჩაუშესკუ ვერ მიხვდა, რომ სხვა დრო დადგა. მან ვერ აარიდა სისხლის ღვრას ვერც თავისი ხალხი და ვერც თავისი ოჯახი. ჩაუშესკუც და მისი მეუღლეც სამარცხვინოდ დახოცეს. ეს სასტიკი გაკვეთილი იყო.

ქართველების დასჯა – სისხლიანი 9 აპრილი

1990 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ჩემს გადადგომამდე ადგილი ჰქონდა რამდენიმე სისხლიან მოვლენას, რომლებმაც როგორც სხვებში, ისე თავად ჩემშიც, განამტკიცა მოსაზრება, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების პარალელურად მიმდინარეობდა ძალადობის გზით საბჭოთა სისტემის შენარჩუნების პროცესი: სუმგაითი, თბილისი, ბაქო, მოგვიანებით – ვილნიუსი ამის მკაფიო დადასტურება გახლდათ. ყველა ამ ეპიზოდში საბჭოთა ჯარის რეგულარული ნაწილები გამოიყენეს უიარაღო ხალხის წინააღმდეგ.

თბილისში, ჩემი მშობლიური საქართველოს დედაქალაქში, დატრიალებულმა ტრაგედიამ თავისი სისხლიანი ნაფეხურებით ჩემს სულზეც გადაიარა. ზემოთ უკვე გიამბეთ იმ სამაგალითო სისხლიანი გაკვეთილის შესახებ, რომელიც ჩემს ხალხს ჯერ კიდევ 1956 წელს ჩაუტარეს. და აი, 1989 წლის 9 აპრილს მთელი ერი კვლავ სამაგალითოდ დასაჯეს. მართალია, მე მოსკოვში ვიყავი, მაგრამ თბილისში მეც დამსაჯეს.

რა ნუგეშია, მაგრამ ამ უბედურებაში ქართველები მარტონი არ იყვნენ. უკვე „პერესტროიკის“ დროს, 1986 წელს, როცა ყაზახეთის პარტიულ ხელმძღვანელობაში „პირველი პირების“ გამოცვლამ სტუდენტი ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლები გამოიწვია და შეტაკებები მილიციასა და არმიის ქვედანაყოფებთან სისხლიან ანგარიშსწორებაში გადაიზარდა, პოლიტბიუროს რეაგირება შემოიზღუდა ჩვეული ტრადიციული დადგენილებით, სადაც „უწესრიგობის წამქეზებლები“ მოხსენიებული იყვნენ „ნაციონალისტებად“, „ექსტრემისტებად“.

1988 წელს იყო სუმგაითი, კონფლიქტების აფეთქება მთიან ყარაბაღში და „გარდაქმნა“ კვლავ უსუსური აღ-

მოჩნდა ეროვნებათაშორისი დაპირისპირების ჩიხურ სიტუაციაში.

იმავე 1988 წელს, შემოდგომაზე, რესპუბლიკებში გააქტიურდა „სახალხო ფრონტებისა“ და სხვა ტიპის „ეროვნული მოძრაობების“ საქმიანობა. მათი ლიდერები ხედავდნენ კომუნისტური ცენტრის აგრესიული მმართველობის შესუსტების ნიშნებს და პროგრამულ მიზნად „ზემოდან რევოლუციის“ შესაძლებლობა დაისახეს, მაგრამ „ზეცით“ შეეშინდათ, რომ ეს „გადაიზრდებოდა ნაციონალისტურ, ანტისაბჭოთა მოძრაობებში“ და პრევენციული ზომები მიიღეს. ზოგიერთ რესპუბლიკაში შექმნეს პარტიის მიერ კონტროლირებადი ალტერნატიული „არაფორმალური“ გაერთიანებები. გარდა ამისა, ცენტრმა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში წამოაყენა შესწორებების პროექტი, რომლითაც მნიშვნელოვნად იკვეცებოდა რესპუბლიკების ისედაც მინიმალური უფლებები. ზოგიერთი ლიდერის აზრით, სწორედ ეს იყო „ნაციონალიზმის შეჩერების“ ჯერჯერობით უსისხლო მცდელობა.

ამის პასუხად პროტესტის ახალი, მასობრივი აქციები დაიწყო. 1988 წლის ნოემბერში თბილისში, მთავრობის სახლთან ახალგაზრდების ჯგუფმა გამოაცხადა უვადო შიმშილობა – მოსკოვის მიერ შემოთავაზებული კონსტიტუციის შესწორებების უარყოფის მოთხოვნით. მალე ეს ჯგუფი გაიზარდა და მოძრაობაში ათასობით ადამიანი ჩაერთო. გაჩნდა შიმშილობის ყველაზე სუსტი მონაწილეების ფიზიკური გამოფიტვის პირველი ნიშნები.

მე შევთავაზე მიხეილ გორბაჩოვს მათთვის ზეპირი მიმართვა გაეგზავნა, ეთხოვა აქციის შეწყვეტა და შეჰპირებოდა, რომ განიხილავდა აქციის მონაწილეთა მოთხოვნებს. მიმართვის ქართული თარგმანი ჩავიწერე და ტექსტი ტელეფონით გადავეცი ცკ-ის ერთერთ მდივანს ნუგზარ ფოფხაძეს (ცკ-ის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი მოსკოვში იმყოფებოდა). აქცია აპლოდისმენტებით შეწყდა – გორბაჩოვის ავტორიტეტი ჯერ კიდევ ზენიტში იყო, მაგრამ ნდობის კრიზისი უკვე გარკვევით ჩანდა და იგი ვერ შეაჩერა ვერც დრაკონული კონსტიტუციური შესწორებების შერბილებამ და ვერც საარჩევნო სისტემის დემოკრატიზებამ.

* * *

9 აპრილის ტრაგედიამდე მე და გორბაჩოვი ორიოდე დღით კუბაში ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი და ფიდელის შეხედულებანი ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ჩაუშესკუსგან განსხვავებით, მაინც ვცდილობდით მასთან კარგი ურთიერთობა გვქონოდა. ფიდელი განათლებული, გონიერი კაცია, თავისი ხალხისთვის გმირი და მეზობლებშიც (სამხრეთ ამერიკა) დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს. ამაში მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტების დროს (მექსიკა, ბრაზილია, ურუგვაი და სხვ.) ამიტომაც გაუჭირდათ ამერიკელებს ხელისუფლებისაგან მისი მოცილება.

ვიზიტის ატმოსფერო მეგობრული იყო — კამათი, აზრთა ჭიდილი, მაგრამ არა შეურიგებელი. ფიდელს თითქმის ყოველ წელს ვხვდებოდი. გაერთიანებული ერების ასამბლეიდან, ნიუ-იორკიდან რომ ვბრუნდებოდი, ყოველთვის კუბაში ვრჩებოდი. ბევრს, მაგრამ ჭკვიანურს ლაპარაკობდა.

ორი დღე იქ ვიყავით. მერე დიდ ბრიტანეთში — ტეთჩერსა და ჰაუსთან გვქონდა შეხვედრები. ტეთჩერი და გორბაჩოვი რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, საათობით კამათობდნენ, 5-6 საათი. მე არ ვესწრებოდი შეხვედრებს, მაგრამ ჩანაწერებს მუდმივად ვკითხულობდი.

7 აპრილს დავბრუნდით მოსკოვში. მიღებული წესისამებრ, აეროპორტში მთელი პოლიტბიურო დაგვხვდა. მოიკითხა გორბაჩოვმა, რა ხდებაო ქვეყანაში. მას აქ ლიგაჩოვი ცვლიდა. გორბაჩოვს რეგიონებში მდგომარეობის შესახებ მოახსენეს: „საქართველოში გართულებულია სიტუაცია. დიდი რაოდენობით იკრიბება ხალხი, მაგრამ დაშლა სირთულეს არ წარმოადგენს, ამ დღეებში შეიკრიბება პარტაქტივი და იმსჯელებენ“...

გორბაჩოვი მომიბრუნდა: „Эдуард, может полетишь этим-же самолетом, бери Разумовского“ (რაზუმოვსკი ცკ-ის ერთ-ერთი მდივანი იყო).

— წინააღმდეგი არ ვარ, — ვუთხარი, — მაგრამ იქნებ ჯერ რესპუბლიკის ხელმძღვანელს ვკითხო, ჩემი ჩასვლა დაეხმარება თუ გაურთულებს საქმეს?

სამინისტროში მიველდი და დავურეკე საქართველოს იმდროინდელ ხელმძღვანელს, ჯუმბერ პატიაშვილს, ვუამბე, რა მოხდა აეროპორტში, რა მითხრა გორბაჩოვმა. ვკითხე, შენ რა აზრის იქნები-მეთქი.

ჯუმბერმა მითხრა: „თქვენი ჩამოსვლა ყოველთვის გვიხარია, მაგრამ ახლა დაძაბავს ვითარებას. ხვალ აქტივის კრება გვექნება და ალბათ იქ გადავწყვეტთ, რომ გამთენიისას, როცა ცოტა ხალხია, აქცია მშვიდობიანად დავშალოთ. თქვენ რომ ჩამოხვიდეთ, შეიძლება სიტუაცია გართულდეს“... (ხალხის ახალი ტალღების მოზღვავება ჰქონდა მხედველობაში).

გორბაჩოვს ყველაფერი მოვახსენე. მითხრა, რომ წასვლას აზრი მართლაც არ ჰქონდა. ვთხოვე, ხვალ დილით შევიკრიბოთ და მდგომარეობა შევაფასოთ-მეთქი. იმ ღამეს მოსკოვში დავრჩი..

8-ში დილით, ათი საათი იქნებოდა, შევიკრიბეთ. თათბირი ლიგაჩოვს მიჰყავდა: „საქართველოში აქტივის კრება მიმდინარეობს და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განწყობილია, რომ არ დათმოს პოზიციები“.

თბილისში აქტივის კრება პატიაშვილის მოხსენებით დაიწყო, შემდეგ იყო გამოსვლები, თუ არ ვცდები, ყველა, ვინც გამოდიოდა, ხალხის დაშლის მომხრე იყო. მხოლოდ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ნოდარ ჭითანავა, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, და თუ არ ვცდები, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სახელით მისი პირველი მდივანი სესილი გოგიბერიძე გამოვიდნენ აქციის ძალით დაშლის წინააღმდეგ.

ამ დროს კრების წინაშე წარდგა სამხედროების ჯგუფი, გენერალ კოჩეტოვის ხელმძღვანელობით. მთელი დარბაზი ადგა და ტაშით შეეგება. კოჩეტოვმა ხელმძღვანელობის მხარდამჭერი სიტყვა თქვა, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება არ მოუთხოვია. თუმცა, თავისთავად, სამხედროების ამ ფორმით გამოჩენა აქტივის კრებაზე ჩვეულებრივი მოვლენა ნამდვილად არ იყო (მხედველობაში მისაღებია გენერლების, კოჩეტოვისა და როდიონოვის თანამდებობები სსრკ-ის თავდაცვის სისტემაში).

მიიღეს რეზოლუცია, რომ ყველა ღონე იხმარონ მიტინგის დასაშლელად. ამით აქტივის კრება დასრულდა. ყველაფერ ამას მე მოსკოვში ვიგებდი.

გავრცელდა ხმა, თითქოს 8-ში თვითმფრინავი ჩამოფრინდა თბილისის აეროპორტში და შიგ მე ვიჯექი, მაგრამ თუ ჩამოვფრინდი, მერე რა გავაკეთე? ვის შევხვდი? რა ვუთხარი და რა მითხრა?

როცა ეს ხმა გავრცელდა, სამდივნოს ამოვაღებინე იმ დღის ჩემი მუშაობის განრიგი — თათბირები, ელჩებთან შეხვედრები და ა.შ. ისე იყო ყველაფერი გაწერილი, ნამდვილად ვერ მოვახერხებდი თბილისში გადმოფრენას.

რაღაც თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში, როგორც ამბობენ, მართლაც დაფრინდა, მაგრამ არ ვიცი, რა თვითმფრინავი იყო, ვინ იყო შიგ, რა უნდოდა, იქიდან როდის გაფრინდა ან სად? — არ ვიცი. ეს თემა შემთხვევით არ გაჩენილა, მაგრამ მე არაფერი ვიცი.

იმ საღამოს მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება მომიტინგეთა დაშლის შესახებ: დილისკენ ცოტა ხალხი რჩებოდა — სამასიოთხასი კაცი — და დავშალოთო. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, მაგრამ სამხედროების მისვლამ პარტაქტივის კრებაზე და ჯარის გამოყვანამ ქუჩაში მაინც თავისი საქმე გააკეთა: ისიც კი მივიდა მთავრობის სახლთან, ვინც ადრე არ მიდიოდა. ბევრი ხალხი შეიკრიბა.

მსხვერპლი დიდი იყო — 19 კაცი.

იმავე დღეს თბილისში ჩავფრინდი. ცენტრალური კომიტეტის შენობაში ვზივარ, ვიბარებ სამხედრო ხელმძღვანელობას, რომ გავარკვიო, რა მოხდა. ყველა ყველაფერს მალავს.

კომენდანტის საათი შემოიღეს, ერთი ახალგაზრდა კაცი პატრულის ტყვიას ემსხვერპლა. საშიშროება კონფლიქტის ესკალაციისა დიდი გახლდათ.

სამხედროებს ვერ ვათქმევინე — საბრძოლო ნიჩბები რომ გამოიყენეს, დიდსა თუ პატარას რომ გადაუარეს, ხალხი რომ მოწამლეს. ამ დამალვამ უფრო დაძაბა სიტუაცია.

იმ დღესვე პატიმრებთან ერთად შემოვიარე დაღუპულთა ოჯახები. ღირსეულად შემხვდნენ. გაუსაძლის ტკივილს უძლებდნენ.

გორბაჩოვი დღეში ორჯერ მირეკავდა. ვეუბნებოდი, რა ხდებოდა.

საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ქვეყანაში გამკითხავი არავინ იყო. როგორ შეიძლებოდა ჯარის გამოყენება მთა-

ვარსარდლის ნებართვის გარეშე? თანაც ასეთი რამ მხოლოდ თბილისში ხომ არ მოხდა? ნუთუ გორბაჩოვი არასოდეს იყო საქმის კურსში? — ძალიან მიმძიმს ამ კითხვების დასმა, მაგრამ მათზე პასუხი ხომ დღესაც არ არის გაცემული. თუ მთავარსარდალს არაფრად აგდებდნენ, თუ მის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებებს იღებდნენ და საკუთარი ხალხის სისხლს ღვრიდნენ, გამოდის, იგი ვერ ფლობდა სიტუაციას და გადატრიალება საბჭოთა კავშირში უკვე მოხდენილი იყო.

მაშინ ირაკლი მენაღარიშვილი იყო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი. იგი ზუსტად აღნუსხავდა ყოველ ტრაგიკულ შემთხვევას, პატრონობდა დაშავებულებს. სწორედ მისი თანადგომით შეიქმნა 9 აპრილის პირველი საზოგადოებრივი კომისია, რომელიც სხდომებს მისი ნებართვით ჯანდაცვის სამინისტროში ატარებდა. კომისია საზოგადოებრივი იყო, ამდენად — თავისუფალი და რაკილა მასში ბრწყინვალე ექსპერტები შედიოდნენ, პრინციპული და უშიშარი მოღვაწენი, პირველად სწორედ მან დაარქვა სახელი ყველაფერს — მომწამვლელ გაზებს, საბრძოლო ნიჩბებს, სამხედროთა სიცრუეს. შემდეგ შეიქმნა სახელმწიფო კომისია, მერე ანატოლი სობჩაკის კომისია და უკვე შემდეგ იყო საკავშირო პარლამენტში სობჩაკის კომისიის ანგარიშის მოსმენა.

ამ დროს ჩემთვის მთავარი ამოცანა იყო, ჩამეწყნარებინა სიტუაცია თბილისში, არ გამართულიყო დემონსტრაციები და მიზეზი არ მიგვეცა სამხედროებისთვის, კომენდანტის საათი გაეგრძელებინათ. ხალხის ჩაწყნარება იმითაც რთულდებოდა, რომ სამხედროები ხშირად გამომწვევად იქცეოდნენ.

პატიაშვილთან ერთად ვიყავით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 31-ე ქარხანაში, მეცნიერებათა აკადემიაში, კინოსტუდიაში და, მგონი, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. მე მას გადადგომაზე მივანიშნე და მერე, აკადემიაში რომ მივედით, ჯუმბერმა იქ გააკეთა პირველი განცხადება გადადგომის შესახებ. სხვათა შორის, გორბაჩოვს სიკვდილივით არ უნდოდა მისი გადადგომა, არც მე მინდოდა.

კომენდანტის საათის შესახებ ყველაზე დიდი ხმაური კინოსტუდიაში იყო, განსაკუთრებით ბობოქრობდა ჩემი დიდი ხნის მეგობარი

კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე: „შენ როგორ დაუშვი ეს ამბავი, კიდევ რაღაც გაქვთ ჩაფიქრებული?!“

ჩემი, როგორც პოლიტბიუროს წევრის, პასუხისმგებლობით გავაუქმებინე კომენდანტის საათი, თუმცა ოფიციალურად არ მქონდა ამის უფლება. გორბაჩოვსაც ველაპარაკე კომენდანტის საათზე, დამეთანხმა, რომ მისი გაუქმება იყო საჭირო.

შემდეგ იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმი. მე გამოვედი. შეფასება მივეცი ყველაფერს — პატიაშვილის განცხადებასაც. ნელ-ნელა ჩაცხრობისკენ წავიდა პროცესი. თბილისში ორი-სამი დღე დავყავი.

სიმართლის დამალვა შემდგომშიც გაგრძელდა. მოსკოვში მუშაობდა ტრაგედიის გამოსაძიებელი სახელმწიფო კომისია. იყო დაკითხვები, ყველასი, გარდა გორბაჩოვისა. მერე ეს საკითხი უზენაესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად გაიტანეს. საქართველოს მხრიდან გამოვიდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. შემდეგ სობჩაკი უნდა გამოსულიყო, მაგრამ გორბაჩოვმა მის ნაცვლად სიტყვა მისცა კატუსევს, გენპროკურორის მოადგილეს, სამხედრო პროკურორს. ამან დარბაზში ხმაური გამოიწვია.

კატუსევმა სამხედროების გამართლება დაიწყო. დარბაზში მსხდომნი, განსაკუთრებით სამხედროები, მხარს უჭერდნენ. მისი მოხსენების დროს მე დემონსტრაციულად ავდექი და გავედი დარბაზიდან. ვალდებული ვიყავი, ასე მოქცეულიყავი. კატუსევი დიდი ტაშით გააცილეს. მერე სობჩაკი გამოვიდა — საკმაოდ კარგი მოხსენებით. შემდეგ სიტყვა გორბაჩოვმა აიღო: ისეთი გამოსვლა ჰქონდა, როგორც იცოდა ხოლმე — „აქეთაც და იქითაც“. შემდეგ შესვენება გამოცხადდა.

შესვენებაზე პოლიტბიუროს წევრები ცალკე ოთახში შეიკრიბნენ, აღშფოთებას ვერ ვმალავდი: „პროკურორი აღმაშფოთებლად ლაპარაკობდა, ასე ფაქტების დამახინჯება არ შეიძლება, სიტყვით უნდა გამოვიდე, ეს უკვე ჩემი ღირსებისა და სინდისის საქმეა. სხვაგვარად მე გადავდგები“.

გორბაჩოვმა დამაწყნარა და საქართველოს დელეგაციასთან გავიდა. სიტუაციის განმუხტვა სცადა: „События в Тбилиси это наша общая боль. Я против того, чтобы продолжить обсуждение этой

проблемы. Давайте поручим Верховному Совету довести дело до логического конца".

ქართველებმა აღარ გაამწვავეს მდგომარეობა. ამით იმ ეტაპზე თითქმის ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ყრილობამ მაინც მიიღო დადგენილება, სადაც მიტინგის ძალის გამოყენებით დარბევა დაგმობილ იქნა.

გორბაჩოვს შემდეგ ცხრა აპრილზე ჩემთან აღარ უსაუბრია. ვინ იყო კონკრეტული დამნაშავე? შემდეგ შექმნილმა კომისიებმა ამ კითხვაზე პასუხი ვერ გასცეს.

ეს კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია.

* * *

ცხრა აპრილის შემდეგ ყველგან დაიძაბა სიტუაცია. საბჭოთა კავშირი, თავისი სიმძლავრისა და ერთიანობის ზენიტშიც კი, ეროვნული თვალსაზრისით, ყოველთვის ძალითა და მზაკვრობით გაერთიანებულ სახელმწიფოდ რჩებოდა, რომელსაც მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგია და ეკონომიკის ცენტრალური მართვა აერთიანებდა. ვერ მოხერხდა, და კიდევ კარგი, რომ ვერ მოხერხდა ძირითადი ერების ასიმილირება და გარუსება, მცირე ეროვნებები კი ათეულობით გაქრა და შეერწყა რუსულ ეთნოსს.

ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა განსაკუთრებულად იგრძნობოდა იმ რესპუბლიკებში, რომელთაც სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდათ და „დიდსა და მძლე კავშირში" ძალადობით იყვნენ შეყვანილნი.

„პერესტროიკამ" მისცა საშუალება ინტელიგენციასა და ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, დაეწყოთ იმ დოკუმენტების გამოქვეყნება და ხალხში გატანა, რომლითაც მტკიცდებოდა მათ ქვეყნებში რუსეთისა და კომუნისტური მმართველობის არაკანონიერება. სწორედ ამან მისცა ქართველებს 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის" და 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევაზე აპელირების საშუალება.

ანალოგიურად, ბალტიისპირეთში უკვე ღიად დაიწყეს დებატები ე. წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტისა და მასზე თანდართული

საიდუმლო ოქმის“ დანაშაულებრივ და არასამართლებრივ ხასიათზე. ამ პაქტის საიდუმლო ოქმის არსებობას საბჭოთა კავშირი 1989 წლამდე უარყოფდა. 1939 წლის გერმანია-საბჭოთა კავშირის ამ სამეგობრო პაქტითა და საიდუმლო ოქმით ხელახლა განაწილდა გავლენის სფეროები: გერმანია „თმობდა“ ფინეთს, ლატვიას, ესტონეთს, ლიტვასა და ბესარაბიას, ასევე – პოლონეთის სახელმწიფოს რამდენიმე ოლქს. ამ პაქტითა და ოქმით გაუქმდა ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ისინი, როგორც საქართველო 1921 წელს, ოკუპირებულ იქნენ საბჭოთა რუსეთის მიერ.

საქართველოში რუსეთთან ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტებით დაინტერესებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო 1983 წელს „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მეორასე წლისთავის აღნიშვნამ. ამ იუბილემ და ტრაქტატის ტექსტის გამოქვეყნებამ ბიძგი მისცა ხელშეკრულების დარღვევასა და მეტად მწვავე ეროვნულ პრობლემაზე მსჯელობას. მან წამოსწია წინ რუსეთის იმპერატორის 1801 წლის მანიფესტის უკანონობა, რომელმაც „გეორგიევსკის ტრაქტატის“ გაუქმებით, ყველა იურიდიული ნორმის დარღვევით, გააუქმა საქართველოს სამეფო და იგი რუსეთის გუბერნიად გადააქცია. ანალოგიური რამ მოხდა 1921 წელს, როცა მე-11 არმიამ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპირება მოახდინა, მიუხედავად რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წელს დადებული ხელშეკრულებისა.

სიმართლის მაძიებელ აზრს ვერაფერი შეაჩერებს და რაკიღა ამ მანამდე აკრძალულ პრობლემაზე ღია საუბარი დაიწყო, გაგრძელება შემდეგ მან უკვე ეროვნული მოძრაობის გააქტიურებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნაში პოვა.

ანალოგიურად განვითარდა მოვლენები ბალტიისპირეთში და იქნებ ამიტომაც „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ სწორედ ბალტიისპირეთისა და საქართველოს ეროვნულ მოძრაობებს ჰქონდათ ერთმანეთთან უახლოესი კავშირი.

ბალტიისპირელები მიზანმიმართულად და დაჟინებით ითხოვდნენ 1939 წლის „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტისა“ და მასზე თანდართული საიდუმლო ოქმის გამოქვეყნებასა და შეფასებას, რადგან სწორედ მის საფუძველზე გაასაბჭოეს ბალტიისპირეთი და ბესარა-

ბია. შემთხვევითი არ იყო, რომ ბალტიისპირეთის გასაბჭოება ლეგიტიმურად ყველა ქვეყანამ არ ცნო (კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა).

ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა ხელმძღვანელები ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოვში და ამ ყოველივეს თაობაზე თავიანთ მოთხოვნებს აყენებდნენ. თავდაპირველად ისინი საბჭოთა კავშირის კონფედერაციულ მოწყობაზეც იყვნენ თანახმა. მაშინ ისინი ხვდებოდნენ მიხეილ გორბაჩოვს, ალექსანდრ იაკოვლევს, მეც და პოლიტბიუროს სხვა წევრებსაც. პრესაშიც დიდი ხმაური იყო ატეხილი.

გორბაჩოვის პოზიცია მათთან შეხვედრის დროს, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, გაცილებით ხისტი იყო, ვიდრე ჩემი და იაკოვლევისა. გორბაჩოვი ეწვია კიდეც ბალტიისპირეთს — ესტონეთში იქაურ პარტაქტივს შეხვდა. კმაყოფილი დაბრუნდა. მახსოვს, პოლიტბიუროს სხდომაზე დაუფარავი კმაყოფილებით ჰყვებოდა ესტონეთში მის მიერ წამოყენებული არგუმენტების დამაჯერებლობის შესახებ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ერთია პარტაქტივთან შეხვედრა და მეორე — ხალხის რეალური განწყობილება.

ბალტიისპირელების საკითხი პოლიტბიუროში ხშირად განიხილებოდა. ჩანდა, რომ დროის შესაბამისი რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო. ძალის გამოყენებით ეს საკითხი ვერ გადაწყდებოდა. მსოფლიო უკვე სხვა იყო, სხვა იყო საბჭოთა კავშირიც, ჩვენც სხვანაირები ვიყავით.

მერე, 1990 წლის 8 მარტს, ლიტვის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამი დღით ადრე, როდესაც კლავ გაჩნდა ძალის გამოყენებით საკითხის გადაწყვეტის საშიშროება, ამერიკის ელჩს ჯეკ ფ. მეტლოკს ვუთხარი: „ჯეკ, ერთი რამ უნდა გითხრა, თუ დავინახავ, რომ დიქტატორული მმართველობა უნდა დაბრუნდეს, გადავდგები. ვერ დავრჩები იმ მთავრობის წევრად, რომელსაც სისხლში აქვს ხელები გასვრილი“. 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიამ ფაქტობრივად ყველას დაანახვა, რომ საკითხის სისხლიანი გადაწყვეტა უდიდესი დანაშაული იყო მსოფლიოს წინაშე და პოლიტიკურ თვითმკვლელობას უდრიდა. მან ყველაზე იმოქმედა, ყველა შეცვალა.

დაკარგული პაქტის ძიებაში

მინდა „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს“ ისევ დავუბრუნდე. თუ გვსურდა „პერესტროიკას“ ეცოცხლა, თუ გვსურდა მსოფლიოს დაეჯერებინა ჩვენთვის, პაქტი თავისი საიდუმლო ოქმიანად უნდა გამოგვექვეყნებინა და შესაბამისად, შეგვეფასებინა კიდეც. დაუჯერებელია, მაგრამ თავად პაქტისა და ოქმის დედანი არსად ჩანდა. როგორც წესი, ასეთი დოკუმენტები საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ინახებოდა, მაგრამ ვერ მოვძებნეთ — უკვალოდ გაქრა.

გორბაჩოვთან შეთანხმებით საგანგებო კომისია შევქმენი, ჩემი მოადგილის, აკადემიკოს ილიჩოვის მეთაურობით. მას უნდა გაერკვია ყველაფერი და შესაბამისი წინადადებანი წარმოედგინა. ილიჩოვი ლიბერალი და დიდად განათლებული ადამიანი, ხრუშჩოვის დროს ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო, შემდეგ, გრომიკოსა და ჩემს დროს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. სწორედ მან დაიწყო პაქტსა და ოქმთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, დედნებს ვერა და ვერ მიაკვლია. ყველაფერი ამოაბრუნა, მთელი არქივი შეამოწმა, მაგრამ ამაოდ. დედნების გარეშე კი ყველა მსჯელობა და რაიმე გადაწყვეტილების მიღება იურიდიულად არამართლზომიერი იქნებოდა. დედნის შესაბამისი ეგზემპლარები სავარაუდოდ გერმანიაშიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ (იმ დროს) ვერც იქ ჩატარებულმა მოკვლევამ გამოიღო სასურველი შედეგი.

ბოლოს კომისიამ დაიწყო იმ თანამშრომელთა მოძიება, რომელნიც პაქტის ხელმოწერის დროს სამინისტროში მუშაობდნენ და შეიძლება რამე სცოდნოდათ. და აქ უცნაური რამ გაირკვა: როდესაც ვიაჩესლავ მოლოტოვი მინისტრობიდან გაათავისუფლეს, თურმე, მან ერთადერთი, რაც წასვლის წინ მოიკითხა, სწორედ პაქტი და ოქმი იყო. ამის შემდეგ ორივე გაქრა, როგორც ჩანს, მოლოტოვმა წაიღო.

საბოლოოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ცნობა,

რომელიც ადასტურებდა პაქტისა და ოქმის არსებობას, თუმცა მასში ისიც იყო ნათქვამი, რომ დედნები ვერ იქნა აღმოჩენილი და მათზე მხოლოდ ასლების მიხედვით უნდა გვემსჯელა. ჩემმა მოადგილემ, ანატოლი კოვალიოვმა ამ ცნობის ჯერ კიდევ ხელმოუწერელი ასლი გააცნო ალექსანდრ იაკოვლევს, რომელიც პარტიის ცეკაში საგარეო უწყებას კურირებდა. მან, თავის მხრივ, სხვა კომისია შექმნა, მაგრამ ვერც ამ კომისიამ მიაკვლია პაქტისა და ოქმის დედნებს. თუმცა, ალექსანდრ იაკოვლევის ინიციატივით მაინც დაიწყო პაქტისა და ოქმის შესახებ უმაღლეს დონეზე ოფიციალური მსჯელობა. იმასაც ვიტყვი, რომ ამ დასკვნამდეც არავის ეპარებოდა ეჭვი პაქტისა და ოქმის არსებობაში და არც მათი ოფიციალური განხილვის წინააღმდეგი ვიყავით. მიხეილ გორბაჩოვმა ამ საკითხის განხილვა ლუკიანოვს გადაულოცა. რა თქმა უნდა, საფუძვლად იაკოვლევის ის მასალა გამოიყენეს, რომელიც თავის მხრივ, ილიჩოვის კომისიის მიერ მომზადებულ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას ემყარებოდა.

საკითხის განხილვა წინააღმდეგობრივად მიმდინარეობდა. პირველ სხდომაზე დეპუტატთა დიდმა ნაწილმა სწორედ დედნების უქონლობის გამო დასკვნას მხარი არ დაუჭირა. შემდეგი კენჭისყრა კიდევ რამდენჯერმე გაიმართა. იყო ზემოქმედება დეპუტატებზე. და რაკილა ილიჩოვის საწყისი დოკუმენტიც არ გამორიცხავდა პაქტისა და ოქმის დედნების არსებობას, იაკოვლევის მოხსენების დასკვნები გაზიარებულ იქნა.

საბჭოთა რუსეთის პარლამენტმა დაადასტურა, რომ ბალტიისპირეთი 1939 წელს სტალინისა და ჰიტლერის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ბალტიისპირელები კმაყოფილი იყვნენ საკითხის ასეთი გადაწყვეტით. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ბალტიისპირეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ახლა მათი მოთხოვნა მხოლოდ კონფედერაციით აღარ შემოიფარგლებოდა. დღის წესრიგში ამ რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობა დადგა. ეს კი მხოლოდ მათ კი არა, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსაც აძლევდა ძლიერ სტიმულს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება პაქტისა და ოქმის დედნებს — ისინი მაინც, საგანგებო ძებნის შემდეგ, გერმანიაში აღმოჩნდა, ქვეყანაში, სადაც სათუთად უფრთხილდებიან ისტორიის ყოველ ფურცელს.

გორბაჩოვისა და ელცინის ურთიერთდაპირისპირება

როგორც ვთქვი, იყო პერიოდი, როდესაც ბალტიისპირელები კონფედერაციაზეც კი თანახმა იყვნენ, მაგრამ აქაც დავაგვიანეთ. ხალხი პრინციპულ განახლებას მოითხოვდა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაშიც იყვნენ ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ მოთხოვნებს — ერთპარტიულობაზე უარის თქმას, რესპუბლიკებისთვის მეტი და რეალური დამოუკიდებლობის მინიჭებას... მაგრამ იყო სხვა, უფრო ძლიერი ჯგუფიც — ის საბჭოთა სისტემის შენარჩუნებას ძალის პოზიციიდან მოითხოვდა. ასე მიუახლოვდა ქვეყანა გკჩპ-ს პუტჩს.

ქვეყანაში არასტაბილურობა იყო, ხელმძღვანელობა — დაბნეული. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გორბაჩოვისა და ელცინის კონფლიქტი გახლდათ, რომელიც საბჭოთა იმპერიისათვის საბედისწერო აღმოჩნდა.

მანამდე ელცინსა და გორბაჩოვს სერიოზული პრობლემები ჰქონდათ, როგორც პირადი ურთიერთობის, ისე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც. ერთ-ერთ პლენუმზე ელცინი მეტად მწვავედ გამოვიდა გორბაჩოვის წინააღმდეგ — ბევრ რამეში უსამართლოდ. სწორედ მაშინ გადააყენეს იგი მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელის პოსტიდან და საშენ მასალათა მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს. მეც მომიწია მაშინ სახალხოდ ელცინისთვის ორიოდე სიტყვის თქმამ. მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც — გორბაჩოვის მიმართ მაშინ იგი არ იყო სამართლიანი, მაგრამ, ეტყობა, მაინც არ უნდა გამოვსულიყავი მის წინააღმდეგ.

დადგა სსრკ-ის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ამ დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა სამი რესპუბლიკის: რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტების პოზიციამ.

სიმართლე გითხრათ, ელცინს, უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკსა და ბელორუსიის პრეზიდენტ შუშკევიჩს დამოუკიდებლობა და სლავური ერთიანობა კარგა ხანია გულში ჰქონდათ ჩადებული. ეს აშკარად ჩანდა და დაფარული არც ყოფილა. ბალტიისპირეთი ამ პროცესის განვითარებას მშვიდად და მოლოდინით შესცქეროდა. სხვებიც სწორედ ამ პროცესის განვითარებაში ხედავდნენ თავიანთი მომავლის გადაწყვეტას — ნაკლები მსხვერპლით, საკუთარი სულიერი და ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებით. საქართველო ნგრევის პროცესს უფრო აჩქარებდა და, საუბედუროდ, იმპერიის ნანგრევებში მოყოლა ეწერა.

გორბაჩოვმა მაინც სცადა იმპერია სახეშეცვლილი ფორმებით გადაერჩინა და წამოაყენა იდეა სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესახებ. ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე სიტყვითაც გამოვიდა, მეც ვესწრებოდი. გამოსვლისას ხშირად გამომხედავდა ხოლმე, რაკიღა მისი უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი ვიყავი, თითქოს მეკითხებოდა: „როგორია?“ (ან იქნებ მეჩვენებოდა კიდეც).

რა უნდა მეთქვა: რამდენიმე ხნის წინ ეს ყველაფერი ძალიანაც დროული იქნებოდა, ახლა კი ყველაფერი უიმედოდ დაგვიანებული იყო. მისი შესაბამისი წერილობითი წინადადება მინსკის ახლოს, მონადირის სახლში შეკრებილმა ელცინმა, კრავჩუკმა და შუშკევიჩმა სერიოზული განხილვის საგნადაც კი არ მიიჩნიეს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

გორბაჩოვს რომ ვუსმენდი, გავიფიქრე, რომ საბჭოთა იმპერიის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო, მხოლოდ დამანგრეველი პროცესის შესუსტებას თუ მოვახერხებდით.

ცენტრალიზებული სახელმწიფოს რღვევის თანამდევი მოვლენები ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ის ჯაჭვური რეაქციაა, რომელსაც სეპარატიზმი, მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, ლტოლვილები, კომპაქტურად დასახლებული ისტორიული ადგილებიდან ძირძველი მოსახლეობის განდევნა, ეთნოწმენდა და გენოციდი რომ მოჰყვება.

ადეკვატური პასუხის ძიებისას ქვეყნის ხელისუფლებამ, სამწუხ-

აროდ, გამოცდილ საშუალებას – უხეშ ძალას მიმართა. ეს უკვე დასასრულის დასაწყისი იყო.

როდის დასრულდა გარდაქმნა? – 1990 წლის 20 იანვარს, ზუსტად პასუხობს ისტორიკოსი მიხაილ გეფტლერი, რომელსაც მხედველობაში აქვს სასაკლაო ბაქოში, ჯარმა რომ მოუწყო მშვიდობიან მოსახლეობას, მაგრამ ამ სასაკლაოს წინ უძღოდა ბაქოელი სომხების ხოცვა-ჟლეტა. ამავე საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გარდაქმნას ზურგში დანა ჩასცეს თბილისში, 1989 წლის 9 აპრილს და 1991 წელს ვილნიუსსა და რიგაში. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე საბჭოთა კავშირის დაშლის მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზი იყო.

ისტორიული კანონზომიერებით საბჭოთა იმპერია უნდა დანგრეულიყო და დაინგრა კიდეც.

აქ გენშერის ზემომოხმობილ კითხვებს მინდა დავუბრუნდე: „ნუთუ გამართლდება ამერიკელების ვარაუდი, რომ გორბაჩოვი გერმანიის უსაფრთხოების სტატუსის ძნელ საკითხს საგარეო საქმეთა მინისტრს შეაჩერებს?“... „რა ხდებოდა ამ ორ ესოდენ დიდ პიროვნებას შორის?“

უკვე გარე თვალისთვისაც შესამჩნევი იყო გორბაჩოვსა და ჩემ შორის გაუცხოების პროცესი. ეს პროცესი შედარებით გვიან დაიწყო, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით. იქნებ მალტის შეხვედრის შემდეგ, ან უფრო სწორად, როდესაც სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის ავტორიტეტი მსოფლიოში ძალზე ამაღლდა და მან ბევრ თავის მოქმედებაში ერთგვარ დამოუკიდებლობას მიაღწია (პრინციპული საკითხების გორბაჩოვთან აუცილებელი შეთანხმების ფონზე). ეტყობა, მე უკვე დისკომფორტს ვუქმნიდი გორბაჩოვს. იყო პრობლემები, რომელთა გადაჭრის პატივს მასთან ერთად ვიყოფდი. იყო საკითხები, რომელთაც მარტო ვწყვეტდი. ჩამოყალიბდა ახალი ურთიერთობა მსოფლიოს პირველ პირებთან, ეს სხვებსაც აღიზიანებდა — ბოლოს და ბოლოს, მე არარუსი ვიყავი. ამიტომაც არ მინდოდა თავიდანვე ამ თანამდებობის დაკავება.

თუ მე და გორბაჩოვი „პერესტროიკის“ სათავეში ერთად ვიყავით, თუ თავიდან წარმატებაც საერთო გვქონდა და წარუმატებლობაც, ამ დროისთვის მე უკვე მარტო დავრჩი. ასე რომ, ჩემს გადადგომას ჰქონდა მიზეზები: პიროვნული და სახელმწიფოებრივი, ემოციური და პრაგმატული, მორალური და მომავალზე ზრუნვით გამოწვეული. თავად განსაჯეთ, დეპუტატების საკმაოდ დიდი ჯგუფი სისტემურად და მიზანმიმართულად ყველგან და ყოველთვის ლანძღავს და მიწასთან ასწორებს საგარეო საქმეთა მინისტრს: უზენაესი საბჭოს სხდომებზე, ცეკას პლენუმებზე, საქმიან შეხვედრებზე, რადიოსა და ტელევიზიაში, თავდაცვის სამინისტროს პარტიული კრება ორჯერ მიმართავს გორბაჩოვს და სამშობლოს

ინტერესების ღალატისთვის მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს, ხოლო გორბაჩოვი ამ დროს მის დასაცავად ხმასაც კი არ იღებს. მე ხომ მისი მინისტრი გახლდით... არადა, ყველაფერში ცამდე მართალი ვიყავი. „პერესტროიკის“ იდეოლოგის, ალექსანდრ იაკოვლევის თქმით: „Защищать публично своих сторонников Горбачёв избегал, руководствуясь при этом только ему известными соображениями“ (Александр Яковлев, Сумерки. Изд., „Материк“, М., 2005, გვ. 467)

ერთხელაც იყო, დეპუტატი სტაროვოიტოვა (რომელიც შემდეგ მოკლეს) ძალზე მწვავედ გამოვიდა უზენაესი საბჭოს სხდომაზე, ჟარგონით თუ ვიტყვი, „თავზე დაახურა“ პრეზიდიუმს და პირადად გორბაჩოვსაც: შევარდნაძესავით ოცდაოთხ საათს წარმატებით ვინ მუშაობს, რატომ არ გასცემთ პასუხს ამ ცილისმწამებლებსო...

არადა, დაცვას სწორედ გორბაჩოვისაგან ველოდი – აკი ვთქვი, საკვანძო საკითხებს ყოველთვის მას ვუთანხმებდი. ასეთი თავდასხმები და შეურაცხყოფა ერთი და ორი არ იყო. მე ყველას საკადრისად ვპასუხობდი, მაგრამ რაკილა ეს ყველაფერი გახშირდა, ადრე თუ გვიან, თავად სამინისტროს მუშაობაზეც მოახდენდა ცუდ გავლენას. ბოლოს და ბოლოს, მინისტრის, უწყების პირველი პირის, მუდმივი „დამუშავება“, მისი შეურაცხყოფა, მისი ავტორიტეტის შელახვის მცდელობა თავად სამინისტროსა და მის თანამშრომლებსაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებდა.

ამავე დროს, ეს დემარშები ფარულად მიმდინარე პროცესების გამოვლენა იყო, რაც თავად „პერესტროიკისა“ და გორბაჩოვის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ხალხს სურდა „პერესტროიკის“ გუნდის დაშლა, ჩემი, ისევე როგორც ალექსანდრ იაკოვლევის, ჩამოცილება გორბაჩოვისგან, მისი მარტო დატოვება.

საგანგაშო სიტუაცია იყო. ვუთხარი კიდეც გორბაჩოვს – ცნობები მომდიოდა, როგორც სუკ-იდან, ისე უცხოეთში ჩვენი ელჩებიდან. ჩემს თანაშემწეებსაც საკმაო ინფორმაცია დაუგროვდათ. ამ ინფორმაციის მიხედვით იქმნებოდა ორგანიზაცია, რომელსაც გადატრიალება უნდა მოეხდინა. ყველაფერი ეს მარტო გორბაჩოვისთვის როდი მითქვამს – სხვებსაც ვეუბნებოდი. გორბაჩოვი თითქოს მისმენდა, მაგრამ...

ბოლოს და ბოლოს, ვფიქრობდი: „საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ, ვლაპარაკობ სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, მაქვს არგუმენტები და არავინ აქცევს ყურადღებას ჩემს ნათქვამს, რაღა აზრი აქვს ჩემს აქ ყოფნას, ე. ი. აღარ მენდობიან და აღარც ანგარიშს მიწევენ, ჩუმად მითვალთვალებენ და ჩემს სატელეფონო საუბრებს უსმენენ“.... ამანაც ითამაშა როლი ჩემს გადადგომაში.

იმასაც ვგრძნობდი, რომ „მათი“ გამარჯვების შემთხვევაში პიროვნულად რეალური საფრთხე მელოდა. ბინაც კი, სადაც მაშინ ვცხოვრობდი, უკვე სხვისთვის იყო შეგულებული. იმ სართულზე, რომელზეც მე ვცხოვრობდი, ჩემ გარდა კიდევ ერთი მაღალი თანამდებობის პირი ცხოვრობდა — საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პოლიტბიუროს წევრი ლევ ზაიკინი. ამავე სართულზე იყო ერთი ბინაც, ერთოთახიანი. აი, სწორედ ამ ერთოთახიან ბინაში შემოსახლდა ვიცე-პრეზიდენტი გენადი იანაევი, მომავალი გკჩპ-ს თავკაცი. მიკვირდა, რა უნდოდა ერთოთახიან ბინაში ამ კაცს? მერე მივხვდი: ჩემი ახალი მეზობლის პოლიტიკური მდგომარეობა პერსპექტიული იყო, ჩემი — ერთობ ბუნდოვანი... და თუ გკჩპ საბოლოოდ გაიმარჯვებდა, ჩემი ფიზიკური მოცილება უკვე გადაწყვეტილი იყო (საგანგებო სიაც არსებობდა, რომელშიც ჩემი გვარი ერთ-ერთი პირველი ეწერა). ჩემი ბინაც გამოთავისუფლდებოდა და მის ერთოთახიანს მიემატებოდა. მოკლედ, მიზანში ამომიღეს — ეს მეც ვიცოდი და ამას აღარც ისინი მალავდნენ.

ვინ უნდა გამომსარჩლებოდა ასეთ დროს, თუ არა ქვეყნის პირველი პირი, ჩემი უახლოესი მეგობარი?

პიროვნული ასპექტის გარდა, იყო უფრო მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი ინტერესიც. ქვეყანას ემუქრებოდა დიდი საფრთხე, საზოგადოება კი ვერაფერს ხედავდა და ვერაფერს გრძნობდა, საჭირო იყო ხალხის გამოფხიზლება...

ჩემი გამოსვლა გადადგომის შესახებ, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 1990 წლის დეკემბერში, მოკლე იყო. ასეც უნდა ყოფილიყო. თუმცა თავად ვრცელი გამოსვლის ტექსტი (რაკიღა ვალდებული ვიყავი მოხსენებით გამოვსულიყავი) ჩემი თხოვნით ჩემმა თანაშემწეებმა დაურიგეს დეპუტატებს.

ეს გამოსვლა თოფის გასროლასავით უნდა ყოფილიყო: მყისიერი და შემაშფოთებელი. ვთქვი შესავალში, ეს იქნება-მეთქი ყველაზე მოკლე გამოსვლა ჩემს ცხოვრებაში.

არსი გამოსვლისა შემდეგ ფრაზაში იყო: „Наступает диктатура... Никто не знает, какая это будет диктатура и какой диктатор придёт, какие будут порядки... Пусть моя отставка будет, если хотите, моим протестом против наступления диктатуры“ („გვიტევენ, „პერესტროიკას“ უტევენ! დიქტატურა მოდის, ჩირგვებში ვართ შემძვრალნი, ასე გაგრძელება არ შეიძლება. მე ამ საფრთხისადმი პროტესტის ნიშნად მივდივარ“). ვთქვი ეს და დავჯექი ჩემს ადგილზე, მთავრობის რიგში.

მერე დიმიტრი ლიხაჩოვი, აკადემიკოსი, დიდი მეცნიერი, ნამდვილი პეტერბურგელი ინტელიგენტი გამოვიდა: „მე დიდ პატივს ვცემ ედუარდ ამბროსის ძეს და ვთხოვ მას ხალხის სახელით, დარჩეს და იმუშაოს“.

ვერ დავბრუნდებოდი და არც დავბრუნდი. მაშინ სამოცდაორი წლის ვიყავი, სახელმწიფო მოღვაწისთვის ბრწყინვალე ასაკია – იცი, რა და როგორ უნდა აკეთო. იმ საფრთხესაც ვგრძნობდი, რომელიც ჩემს ოჯახს ელოდა. ისიც ვიცოდი, მეც რას მიქადდა გკჩპ, მაგრამ ჩემი სათქმელი უნდა მეთქვა.

ჩემ შემდეგ ყრილობაზე გორბაჩოვი გამოვიდა. ერთობ „შემაქო“: „მე არაფერი ვიცი რაიმე საფრთხის შესახებ, – გაიკვირვა მან, – ასეთი რამ თუ ხდება, მე რატომ არაფერი ვიცი?!“

არ შეიძლებოდა, გორბაჩოვს არ სცოდნოდა: უშიშროების კურატორი ჩებრიკოვი მორიდებული კაცი კი იყო, მაგრამ ვალდებული იყო, მოეხსენებინა მისთვის ყველაფერი. არ ვიცი, რატომ ვერ ხედავდა საფრთხეს ან თუ ხედავდა, რატომ არ იღებდა სათანადო ზომებს გორბაჩოვი. არა მგონია, ვინმეს გაებედა და მისთვის ინფორმაცია დაემალა.

თუმცა, გორბაჩოვი რომ საქმის კურსში იყო, მისი ის განცხადებაც ადასტურებს, რომელიც მინსკში, პარტიული აქტივის კრებაზე გააკეთა 1991 წელს, ჩემი გადადგომიდან ზუსტად ორი თვის შემდეგ: „დიქტატურის საფრთხე რეალურია და მე მოვუწოდებ ყველას, „პერესტროიკის“ მომხრეებს, ფხიზლად იყვნენ“. ეს განცხადება გააკეთა და დასასვენებლად ყირიმში წავიდა.

გადადგომის შემდეგ

პოლიტიკური განდეგილობის პერიოდში, რომელიც გრძელდებოდა 1990 წლის დეკემბრიდან 1991 წლის ნოემბრამდე, არასდროს ვყოფილვარ მარტო. ჩემს ბინას, მოსკოვში, პლოტნიკოვის შესახვევში და თანამოაზრეებთან ერთად ჩემ მიერ შექმნილ „საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ასოციაციის“ შტაბბინაში, ელიზაროვის ქუჩაზე, ხშირად სტუმრობდნენ ადამიანები, რომლებსაც მე შემიძლია მეგობრები ვუწოდო. ისინი მარტო საბჭოთა კავშირიდან არ იყვნენ: მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ჩემი ყოფილი კოლეგები, როგორც უკვე ვთქვი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები და სხვები, როგორც წესი, ჩემს ოჯახს სტუმრობდნენ.

მე და ჩემს მეუღლეს გვიხაროდა მათი მოსვლა. ისინი არა მარტო ამრავალფეროვნებდნენ ჩვენს ცხოვრებას, — გვამხნევებდნენ კიდეც და გვაგრძნობინებდნენ, რომ ძველებურად აფასებდნენ ჩემში მეგობრულად განწყობილ თანამოსაუბრესა და პარტნიორს. ჯიმ ბეიკერთან, ჰანს-დიტრიხ გენშერთან, როლან დიუმასთან, ჯეფრი ჰაუსთან და არა მარტო მათთან შეხვედრების წყალობით მე, როგორც წინათ, ახლაც ვგრძნობდი დიდ პოლიტიკაში საკუთარ თანამონაწილეობას.

გუშინდელ დღესავით მახსოვს პარიზის მერის, ჟაკ შირაკის სტუმრობა ელიზაროვის ქუჩაზე. მე ისედაც დარწმუნებული ვიყავი და ამ შეხვედრამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ იგი საფრანგეთის პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი იქნებოდა და ასეც მოხდა — სწორედ იგი აირჩიეს პრეზიდენტად.

უკვე მერე, მისი პრეზიდენტობის დროსაც, შევხვდი მას პარიზში, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელი და სწორედ ამ შეხვედრაში ჩამოყალიბდა ორი ქვეყნის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები. გადაწყდა

საქართველოში საფრანგეთის ელჩის დანიშვნა და უნდა გითხრათ, რომ განსაკუთრებით ელჩმა, ქალბატონმა მირეი მიუსომ, აქ მუშაობის დროს ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ის დიდად აქტიურობდა აფხაზეთის კონფლიქტის პრობლემებთან დაკავშირებით. ბევრი ვიმუშაეთ ფრანკოფონიის პრობლემებზე და ამ დარგის მინისტრის ჩამოსვლის შემდეგ სერიოზული პროგრამაც დამუშავდა. ქალბატონი მიუსო ძალზე ღრმად და მტკივნეულად აცნობიერებდა ნაციონალური კულტურის პრობლემებს გლობალიზაციის ეპოქაში, მან ოფიციალურად მთხოვა, რომ იუნესკოში ამ პრობლემის განხილვის დროს საფრანგეთისთვის მხარი დამეჭირა. ჩვენ აქტიურად დავუჭირეთ მხარი საფრანგეთს, რადგან საქართველოს კულტურასაც თითქმის იგივე საშიშროებანი ემუქრება გლობალიზაციის ეპოქაში, რაც ფრანგულ კულტურას (თუ მეტი არა).

საავადმყოფოდან გავიგე – 2003 წელს, ჩემი გადადგომის შემდეგ, ჟაკ შირაკთან ერთმა ჩემმა თანამემამულემ ჩემზე მოჭორილი ნეგატიური ამბების მოყოლა დაიწყო, საფრანგეთის ღირსეულმა პრეზიდენტმა მას მკვეთრად შეაწყვეტინა ტირადა და უთხრა: „შევარდნაძე ჩემი მეგობარია და არ მსურს მასზე აუგი მოვისმინო“. ვიცოდი, რომ ასე იტყოდა.

დავუბრუნდეთ ჩემს სტუმრებთან იმ მოსკოვურ საუბრებს, რომლებიც უპირატესად ერთ საკითხს ეხებოდა – რა დაემართება საბჭოთა კავშირს? ჩემი თანამოსაუბრეების შეშფოთება საავადმყოფოში გასაგები იყო: საბჭოთა კავშირის რღვევა კარგს არაფერს უქადდა არც მათ ქვეყნებსა და არც მსოფლიოს.

ამ მხრივ მინდა ჰენრი კისინჯერის შეფასება გამოვყო. 1991 წლის ნოემბრის ერთ საღამოს იგი საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელ ელჩთან – ბობ სტრაუსთან ერთად მეწვია. სასტუმრო ოთახში მიმოიხედა და მითხრა, რომ ჩემი წინამორბედი ანდრეი გრომიკო ძალიან სტუმართმოყვარე კი იყო, მაგრამ მას ყოველთვის მხოლოდ ოფიციალურ ადგილებში იღებდა.

– მაშინ სხვა დრო იყო, – ვუთხარი მე, – და ანდრეი ანდრეიჩს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო.

წარსულზე ლაპარაკი აწმყოზე მსჯელობაში გადაიზარდა.

— ერთხელ ვკითხე გრომიკოს, რაში მდგომარეობს მისი, როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მოვალეობები, — განაგრძობდა ჰენრი, — და ძალიან გამიკვირდა, როცა პასუხად მოვისმინე: „პრეზიდიუმის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოვალეობა ის გახლავთ, რომ მან უნდა მოაგვაროს უთანხმოებანი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.“ რა უთანხმოებები უნდა ყოფილიყო რესპუბლიკებს შორის საბჭოთა კავშირში? — გავიფიქრე მე. ყველანი ისე არიან შებოჭილი ფოლადის სალტეებით, რომ ამ კასრიდან უთანხმოების ერთი წვეთიც კი ვერ გამოჟონავს. აქ კი, თურმე, თქვენ იმდენი კონფლიქტი დააგროვეთ საკუთარი თავისა და მსოფლიოსთვის, რომ ეს სალტეები მოეშვა და კასრიც იშლება... ჩემს ოპონენტებსა და კრიტიკოსებს შეუძლიათ თქვან: „კასრი იშლება იმიტომ, რომ გორბაჩოვმა და კომპანიამ მოარყიეს სალტეები და თქვენ, ბატონო კისინჯერო, ხელი შეუწყვეთ ამას“.

„რას იზამ, ყველას აქვს უფლება თავისებურად ახსნას მოვლენები“... — თითქოს გაიგონაო ჩემი ნაფიქრი, ჰენრიმ თქვა:

— შვიდი ათეული წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავდით საბჭოთა კავშირში №1 მტერს და ყველანაირად ვცდილობდით მის დანგრევას. დამეთანხმეთ, ჩვენ გვქონდა ყველა საფუძველი, გვშინებოდა საბჭოთა საფრთხის — თქვენი იდეოლოგია და პოლიტიკა მთელ მსოფლიოში დაუფარავად აკეთებდა ძალისმიერი ბრძოლის დეკლარირებას. ყოველგვარი დოქტრინალური განცხადებები ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ ანგარიშგასაწევი არ არის: პრაქტიკაში ასეთი რამის სუნიც კი არ იგრძნობოდა. და აი, ახლა, როცა საბჭოთა კავშირი აშკარად გადის თამაშიდან, ჩვენ არ განვიცდით არც კმაყოფილებასა და არც სიხარულს. მხოლოდ სინანულით ვადასტურებთ: დასავლეთი მზად არ აღმოჩნდა იმისთვის, რაც ასე სურდა და რისკენაც ასე მიისწრაფოდა. ჩვენ თვითონ აღმოვჩნდით იმ ხაფანგში, რომელსაც ექმნიდით.

კისინჯერმა თვალებთან მიიტანა ქართული არყის — „ტარხუნის“ ჭიქა (ამ სასმელს „მწვანე ელვა“ უწოდა ჯორჯ შულცმა) და სინათლეზე გახედა. მახვილი მზერის მქონე ჰენრი თითქოს მაგიურ კრისტალში მომავლის დანახვას ცდილობდა. შემდეგ ჭიქა მაგიდაზე

დადგა და ხმამაღლა მსჯელობა დაიწყო, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა:

– შეერთებულ შტატებში საკმაოდ ბევრი გავლენიანი პოლიტიკოსი და მეცნიერია, რომელნიც ზიზღით არიან გამსჭვალულნი ძალთა თანაფარდობის თეორიის მიმართ. ახლა, როცა იგი დაირღვა, მათ მოუწევთ დაივიწყონ თავიანთი პარტიული პოზიციები. საერთოდ უარი თქვან პარტიულ პოლიტიკაზე კლასიკური დიპლომატიის სასარგებლოდ. მე ვხედავ, რომ იქნება ძნელი ათწლეული – დიდი გამოცდების დრო მსოფლიოსთვის, თქვენთვის, ამერიკისთვის. ჩვენ ზედმიწევნით უნდა განვიხილოთ ეს.

მაშინ ისიც გამახსენდა, მანამდე ნიუ-იორკში თითქოს შემთხვევით რომ მითხრა: „მე არ ვიცი, სად არის საქართველო, მაგრამ ვიცი, რომ წარმოშობით თქვენ იმ ქვეყნიდან ხართ“. იგი ხედავდა საერთო პროცესებისა და თავად ჩემს მჭიდრო კავშირს სამშობლოსთან, გრძნობდა ურთიერთგანსაზღვრულობას. ამასვე გრძნობდნენ ჩემი მეგობრები ბეიკერი და გენშერი და ამისთვის, შემდეგ, თავისუფალი საქართველოსა და ჩემი მუდმივი თანადგომისათვის, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ.

კისინჯერი უთქმელად ჩასწვდა ჩემს დაფარულ ფიქრს... მე სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი, დავბრუნებულიყავი სამშობლოში, საქართველოში. როცა მეკითხებოდნენ, რა სახით შემეძლო დავბრუნებულიყავი, ვპასუხობდი: საკუთარი პიროვნების სახით – მაგრამ ასეთი სახითაც მაშინ არავინ მეძახდა. მათ, ვინც გაჰყვიროდა: „იგი შენ არ მიგიღებს!“ – ჩემთვის ვპასუხობდი: „დავბრუნდები, როცა აუცილებელი იქნება და ვერაფერი შემაჩერებს“. ვიცოდი, რომ ასეც იქნებოდა.

საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი და ამან არ მოუტანა მას ის სიკეთე, რომელსაც იმსახურებდა. მაგრამ, როდესაც ორი შემხვედრი მოძრაობის – გარდაქმნისა და გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად, მან მიაღწია დამოუკიდებლობას, მის წინაშე წამოიჭრა ის რეალური და სერიოზული საფრთხე, რომელიც წარმოუდგენელი იყო „თავისუფალ ერთა მძლე კავშირის“ შემადგენლობაში – შიდაკონფლიქტებისა და სამოქალაქო ომების საფრთხეს ვგულისხმობ.

მე ვუთხარი ჩემს სტუმრებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა აღიაროს საქართველოს რესპუბლიკა. ამაზე მაშინ ბობ სტრაუსმა დიპლომატიურად შენიშნა: „როგორც მახსოვს, სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა თქვა, რა პირობებში შეიძლება ეს მოხდეს". სამწუხაროდ, მაშინ ასეთ პირობებზე ფიქრიც კი შეუძლებელი გახლდათ.

შექმნილი უხერხულობა რომ განემუხტა, კისინჯერმა თქვა:

— პოლიტიკაში ყველაზე ძნელი, თითქმის შეუძლებელი — ეს არის გამოიყვანო ხალხი იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი არის — უჩვენო მას სხვა გზა, თუნდაც უფრო ძნელი, მაგრამ უტყუარი. მეტისმეტად დიდია განვლილი გზების ცდუნება, რომ დაადგე მანამდე უცნობ გზას, მაგრამ თქვენ და გორბაჩოვმა ეს უკვე გააკეთეთ. გაათავისუფლო საკუთარი ქვეყანა საეჭვო პატივისაგან, იყოს მსოფლიოს საფრთხობელა — ეს ხომ ნიშნავს დიდი სამსახური გაუწიო მასაც და კაცობრიობასაც?

მე კი გავიფიქრე, რომ თავის ახლანდელ და შესაძლებელ მომავალ მდგომარეობაში საბჭოთა კავშირი, ან მისი მემკვიდრე უფრო უარესი საფრთხობელა შეიძლებოდა გამხდარიყო...

რატომ? მაინც რა მოხდა? ისეთი რა გავაკეთეთ?

რა გავაკეთეთ და, გარდავქმენით საბჭოთა კავშირში მიღებული ფასეულობათა სისტემა ისე, რომ მან დაკარგა ანტაგონისტური ხასიათი საერთო-საკაცობრიო ნორმებთან მიმართებაში, ვაქციეთ იგი მსოფლიოსათვის მისაღებად, რომელიც ასე გვიფრთხოდა, პრიორიტეტი მივანიჭეთ ამ ნორმებს ისეთ „ფასეულობებთან" შედარებით, რომელთა მიხედვითაც დანარჩენ მსოფლიოს უნდა დავპირისპირებოდით.

გავაკეთეთ თითქოს აუცილებელი და მცირეოდენი, მაგრამ ეს „მცირეოდენი" აღმოჩნდა საკმარისი, რომ სისტემას წამოეწყო აჯანყება და თავის გზაზე ყველაფერი აღეგავა პირისაგან მიწისა — საბჭოთა კავშირს შეეძლო გამხდარიყო სხვაგვარი, მაგრამ არ გახდა — დემოკრატიული გარდაქმნების ტემპი ბოლოს მეტისმეტად შენელდა.

ერთ-ერთი დასავლელი პოლიტოლოგი ამტკიცებდა, რომ „ანდროპოვის წრის ხალხი" (გორბაჩოვი, შევარდნაძე და სხვები) დიდხანს

ემზადებოდა საბჭოთა კავშირის დასაშლელად, მაგრამ ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, ისინი მეტისმეტად ნელა მოქმედებდნენ, რამაც განაპირობა სავალალო შედეგები".

„ნელა მოქმედებაზე" ლაპარაკი ლოგიკურია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გორბაჩოვს არ უნდოდა საბჭოთა კავშირის დაშლა, ისევე როგორც დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებს. ბევრ მათგანს მკაფიოდ ჰქონდა წარმოდგენილი, რა საფრთხეს უქადდა მსოფლიოს ნგრევის მდგომარეობაში მყოფი გიგანტი. ვადასტურებ: ყველაზე ბოლო მომენტამდე ისინი ცდილობდნენ ამ ნგრევის თავიდან აცილებას. დიდ საიდუმლოს არ გავამხელ, თუ ვიტყვი, რომ 1991 წლის შემოდგომაზე ბევრი მათგანი, კერძოდ, ჯეიმს ბეიკერი, სერიოზულად მეკითხებოდა – ხომ არ ვიცოდი, ვინ უჭერდა მხარს დასავლეთში ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სეპარატისტულ მისწრაფებას.

თუ გორბაჩოვი რამეში ყოვნდებოდა, მხოლოდ საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის რეფორმირებაში, მაგრამ მას ქვას ვერ ვესვრი – იგი იმდენად იყო შებოჭილი პოლიტბიუროში თავისი გარემოცვით, რომ სწრაფად და გადამწყვეტად ვერ მოქმედებდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ქვეყნის ოფიციალური დემოკრატიზაცია, რომელიც გორბაჩოვის ინიციატივით დაიწყო (რა თქმა უნდა, ამ პროცესში მეც ვიყავი ჩართული), ბოლოს და ბოლოს, დამოუკიდებლობას მოუტანდა რესპუბლიკებს, მათ შორის ჩემს ქვეყანასაც – საქართველოს. ეს იყო ჩემი ფარული ოცნება. გორბაჩოვი და სხვები დემოკრატიზაციასა და „პერესტროიკას" განიხილავდნენ როგორც საბჭოთა კავშირის განმტკიცების ერთადერთ გზას. მე სხვა ვარაუდი მქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ვარაუდი გაცილებით გვიან ახდებოდა და დრო მანევრირებისათვის საკმარისზე მეტი გვექნებოდა. ასევე ფიქრობდა მსოფლიოს რამდენიმე გამოჩენილი პოლიტიკოსიც, მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო", ნათქვამია. დაახლოებით ჩვენც ასე დაგვემართა.

რაც შემეხება მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს – ყველაზე მეტად იმაზე ვფიქრობდი, როგორ შემექმნა შესაფერისი საგარეო პირობები საბჭოთა კავშირის შიდაკრიზისის დასაძლევად.

ამისთვის საჭირო იყო „ბანაკური კონფრონტაციის“ დაძლევა, ნდობის ატმოსფეროს შექმნა, ჩვენი დასავლელი „მოწინააღმდეგეების“ დარწმუნება, რომ ჩვენ აღარ გვინდა დავინახოთ მათში მტრები და გვსურს მათი პარტნიორები ვიყოთ. მე ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ჩვენ ნამდვილად ვაპირებთ გავხდეთ გეოსტრატეგიული მესიანიზმის მანიისაგან გათავისუფლებული ქვეყანა, რადგან ეს მანია დამღუპველი იყო როგორც ჩვენთვის, ისე მსოფლიოსათვის. სამართლის უზენაესობა, ეთიკური ნორმების უპირატესობა იდეოლოგიურ დოგმებთან შედარებით და არჩევანის თავისუფლება ჩემთვის ჭეშმარიტ პრიორიტეტებად იქცა. ხანდახან მეც კი მიჭირდა იმის წარმოდგენა, თუ როგორ შევიცვალე, არადა მართლაც ძირფესვიანად შევიცვალე.

არ შეესაბამება სინამდვილეს, თითქოს ეს პრინციპები გამოიყენებოდა მხოლოდ საექსპორტო ვარიანტში. ვალიარე რა ჯორჯ შულცთან მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების საკითხის არსებობა, თანამიმდევრულად და ზოგჯერ წარმატებითაც ვცდილობდი, ხელი შემეწყო ჩვენთან ამ უუფლებო საკითხის უფლებების აღდგენისათვის.

ცხადია, მესმოდა, რომ ირყევა სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო სახელმწიფოსადმი ადამიანის უფლებათა აბსოლუტურ დაქვემდებარებაზე. ვიცოდი, რომ ეს სისტემა შეიძლება დაინგრეს, მაგრამ ზვავისებური ნგრევა რომ მესურვა, ეს სიგიჟე იქნებოდა. რაციონალური, მკაფიოდ დაგეგმილი დემონტაჟი კი — სხვა იყო. აქ მე არ ვტყუოდი, როცა ვიცავდი სამართლებრივი სახელმწიფოს თეზისს. სამართლებრივს — არა მხოლოდ მასში შემავალი ყოველი რესპუბლიკისთვის, რომელიც თავისუფლად გამოიყენებდა არჩევანის უფლებას, არამედ, და უპირველეს ყოვლისა — კონკრეტული, თითოეული ადამიანისათვის. სხვაგვარი ლოგიკა ჩემთვის მიუღებელი იყო.

როგორც აღვნიშნე, გადადგომის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დახმარებით შევქმენით „საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობათა ასოციაცია“. ოფიციალურ პირთაგან მხარი არავის დაუჭერია. კერძო პირები გვიწევდნენ დახმარებას. მახსოვს, როგორ მოდიოდნენ ჩვენს ოფისში ახალგაზრდა ბიზნესმენები (მათ

შორის იყო არკადი ვოლსკი – „Союз промышленников"-ის ხელმძღვანელი), ფინანსურად გვეხმარებოდნენ. ინტერვიუებისთვისაც კარგ ფულს გვიხდიდნენ. თვის ბოლოს ჩემი თანაშემწე თემურ სტეპანოვი ხელფასს გაგვიყოფდა ხოლმე. ეს ის დროა, როდესაც გორბაჩოვი გაბუტულია. ერთხელაც არ დაურეკავს და არ უკითხავს, რას ვაკეთებ, რით ვცხოვრობ, მჭირდება თუ არა რაიმე. არადა, ახლო მეგობრები ვიყავით. მწყინდა. მე ხომ არ დავურეკავდი, ბოლოს და ბოლოს მე მიჭირდა და არა – მას.

მოგვიანებით მე, ალექსანდრ იაკოვლევმა, ანატოლი სობჩაკმა, გავრილ პოპოვმა, ლაპტევმა („Известия"-ს რედაქტორი) და სხვებმა, თხუთმეტამდე კაცმა, დავაფუძნეთ ორგანიზაცია „დემოკრატიული რეფორმებისათვის". მე ალექსანდრ იაკოვლევთან ერთად მისი თავმჯდომარე გახლდით. მოაწყდა ხალხი ჩვენს ორგანიზაციას მოსკოვიდან, სხვადასხვა ქალაქიდან. ელცინმა შემომთავაზა: „მეტი წონა რომ ჰქონდეს თქვენს ორგანიზაციას, იქნებ რუცკოი შეიყვანოთ, მისი ავტორიტეტი დაგეხმარებათ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ვიცე-პრეზიდენტია". უარი არ მითქვამს, მაგრამ მერე რუცკოისთან რაღაც უთანხმოება მოგვივიდა და ის ორგანიზაციიდან წავიდა.

ჩვენი ორგანიზაციის პირველი ყრილობა რომ ჩავატარეთ, დარბაზი გადატენილი იყო – ხუთასი-ექვსასი კაცი ესწრებოდა. მე მოხსენებით გამოვედი. კარგი სიტყვა იყო. სამწუხაროდ, არ ვიცი, ახლა სად არის. საქმიან დოკუმენტებს სახლში არასოდეს ვინახავდი. არც ნანულის ვაძლევდი, ჩემს საქმეებში არ ვრევდი, ბევრ რამეს იგი პრესიდან იგებდა. ჩემი გადადგომის გადაწყვეტილების შესახებაც მხოლოდ წინა საღამოს ვუთხარი.

ჩემს მოხსენებაში ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია იყო გაანალიზებული, ვიმეორებდი, რომ საფრთხე რეალურია. მომხსენებელი გახლდათ აგრეთვე ალექსანდრ იაკოვლევი.

1991 წლის აგვისტოს პუტჩამდე ორიოდე დღით ადრე ჩვენი საბჭო შეიკრიბა. პეტერბურგიდან სპეციალურად ჩამოვიყვანეთ სობჩაკი. საბჭომ საჯაროდ განაცხადა: „დღეს თუ არა, ხვალ დაიწყება შეტევა „თეთრ სახლზე". ატყდა ერთი ხმაური. დარეკა ელცინმა, რომელმაც ბევრი რამ იცოდა, უფრო მეტი, ვიდრე გორბაჩოვმა.

მოკლედ, ჩვენმა ორგანიზაციამ დროულად და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვა თავისი სათქმელი.

ჩვენი განცხადების ზუსტად მეორე დღეს ტანკები გამოვიდნენ ქუჩაში და „თეთრი სახლისკენ“ დაიძრნენ.

ამ დროს ელცინი უკვე რუსეთის პრეზიდენტია და ფაქტობრივად, ფლობს სიტუაციას. გორბაჩოვი ფოროსშია. ელცინმა, კრავჩუკმა და შუშკევიჩმა წამოიწყეს მოძრაობა გამოყოფაზე.

მანამდე შევედი ელცინთან: „იცით, რომ „თეთრ სახლზე“ შეტევა მზადდება?“ ვიცი. მაგიდიდან ფურცელი აიღო და წამიკითხა ხელმოუწერელი ბრძანებულება „რუსეთის ტერიტორიაზე არსებული შეიარაღებული ძალების რუსეთის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ“. მკითხა: „მოვაწერო ხელი თუ არა?“

— ახლავე უნდა მოაწეროთ ხელი, მერე გვიან იქნება, — ვუთხარი.

მოაწერა და თვითონ გახდა მოსკოვსა და მთელ რუსეთში დისლოცირებული ჯარის მთავარსარდალი. ეს დიდი ძალა იყო. ფაქტობრივად, ამ ბრძანებულებამ გადაწყვიტა ყველაფერი. გორბაჩოვს ხელიდან ეცლებოდა ძალაუფლება.

როდესაც „თეთრ სახლს“ ტანკები მიუახლოვდნენ, მაშინ შინ ვიყავი. ჩემთან თემურ სტეპანოვი-მამალაძე, გურამ მგელაძე და ნუგზარ ფოფხაძე იყვნენ. ნანულის რომ არ გაეგო, ვანიშნე, იქ უნდა ვიყოთ-მეთქი. ნანულის ვუთხარი: „ბიჭებს პატარა პურმარილზე გავყვები, მალე მოვალ“, და წავედით „თეთრი სახლისკენ“. ფეხით რაღაც ნახევარი საათის სავალზე იყო. ქუჩები გადაჭედილი იყო.

შევედით „თეთრი სახლის“ ეზოში. მოგეხსენებათ, ასეთ დროს ხალხი მეტად მძაფრად აღიქვამს, ვინ არის მის გვერდით. ვიღაცამ დამინახა და იყვირა: Шеварднадзе с нами! სხვებიც აჰყვნენ.

ამ დღეებიდან ყველას ახსოვს კადრი: ელცინი ტანკზე. იქ ვიყავი, როცა ხელი შეაშველეს და ავიდა. იყო ამაში რაღაც სიმბოლური, თითქოს რევოლუციური წარსულის — ლენინი ჯავშნოსანზე — გამოძახილი, მაგრამ ახლა რუსეთი მაინც სხვა იყო, სხვა რუსეთს იწყებდა ელცინი, ყოველ შემთხვევაში, სურვილი და იმედი სიახლისა

ნამდვილად იყო. ელცინს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ამან თავისი საქმე გააკეთა.

დიდი მიტინგი გაიმართა. ელცინი სიტყვით გამოვიდა. შენ ხომ არ გამოხვალო – შემომთავაზა. გამოვედი, როგორც მითხრეს, კარგი გამოსვლა მქონდა.

გორბაჩოვის ჩამოსაყვანად, რომელიც ქვეყნის ბედის განმსაზღვრელ ამ ისტორიულ მომენტში ყირიმში იყო დასასვენებლად, მთელი გკჩპ წავიდა, პოლიტბიუროს დიდი ნაწილი, მაგრამ იგი არ გამოჰყვა, დარჩა ყირიმში და მერე თვითონ, უკვე მარტო ჩამოფრინდა. ელცინის მისაღებში ნათქვამი მქონდა: „თუ გორბაჩოვმა იცოდა, რომ ასეთი საფრთხე იყო მოსალოდნელი და მაინც წავიდა ფოროსში დასასვენებლად, მაშინ ისიც მოღალატეა“. აკი თვითონ თქვა მინსკში – საფრთხე დიქტატურისა ნამდვილად არსებობსო... ამასობაში ელცინმა იმდენად გამოაცალა ყველაფერი ხელიდან, რომ გორბაჩოვს ლამის კრემლში შესვლაც უჭირდა.

„თეთრი სახლი“ სავსე იყო ადამიანებით, რომლებიც იქ არ მუშაობდნენ: საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, რომელთათვისაც დემოკრატიის ბედი რუსეთში და, საერთოდ, რუსეთის ბედი ძალზე ბევრს ნიშნავდა.

სწორედ იქ ვნახე და მკაფიოდ დამამახსოვრდა ის სიმბოლური კადრი (ადრე ნათქვამს ვიმეორებ): როსტროპოვიჩი ჩაძინებული რომ ზის სკამზე და ავტომატი აქვს ჩახუტებული.

ვიცოდი, ნანული ინერვიულებდა: კაცი გავაგზავნე, შევუთვალე, ყველაფერი კარგად არის-მეთქი.

მქონდა მაშინ კიდევ ერთი გამოსვლა, ქალაქის მერიასთან. დაახლოებით ათი ათასი კაცი იქნებოდა. როგორც მახსოვს, ლუჟკოვმა გახსნა მიტინგი და მასვე მიჰყავდა. მგონი ,კარგი, ძარღვიანი სიტყვით გამოვედი. იყო ტაში, შეძახილები „Шеварднадзе, Шеварднадзе“...

ტანკზე შემდგარმა ელცინმა განაცხადა, რომ რეაქცია ვერ გაიმარჯვებს, მისი დღეები დათვლილია, რომ იბადება ახალი დემოკრატიული რუსეთი. მისმა ამ სიტყვებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა მოვლენათა მსვლელობა. მან თქვა ის, რაც უნდა ეთქვა, რისი გაგონებაც

სურდა ათასობით მოქალაქეს — რუსეთის „თეთრი სახლის“ დამცველებს, რომელთა შორის მე ჩემი თანამემამულეებიც დავინახე. მომიტინგეებს შორის გაშლილი დემოკრატიული საქართველოს ისტორიული დროშა ახალშობილი დემოკრატიების ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმებოდა. ეს იყო 21 აგვისტოს, მიტინგზე, რომლითაც მისმა მონაწილეებმა პუტჩზე გამარჯვება იზეიმეს.

გორბაჩოვი ფოროსის ტყვეობიდან დათრგუნვილი დაბრუნდა, დროსა და სივრცეში თითქოს ორიენტაციადაკარგული. მათ, ვინც იგი ტყვეობიდან დაიხსნეს, არ დაინდეს. მტკივნეული იყო იმ საჯარო ეგზეკუციის ყურება, რაც მას ელცინმა და რუსეთის პარლამენტის დეპუტატებმა მოუწყვეს ყირიმიდან მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ. აშკარად ვერ იყო ფორმაში ფოროსის ტყვეობიდან მისი გათავისუფლების თაობაზე გამართული პრესკონფერენციის დროს.

გორბაჩოვმა ისეთი დარტყმა მიიღო, რომლის შემდეგ ფეხზე უკვე ველარ დგებიან. მისი ტრაგედია ის იყო, რომ მან, მისდა უნებურად, თვითონვე მოამზადა ეს ყველაფერი და თვითონვე წამოეგო მასზე. განვიცდიდი? — რა თქმა უნდა. ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვიყავით, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალ.

თუმცა გარეგნულად ეს ჯერ კიდევ არ იყო ნოკაუტი. იგი საკმაოდ ჩქარა გამოერკვა და გააგრძელა ბრძოლა „განახლებული კავშირისთვის“. მე კი ვფიქრობდი, რომ ეს ბრძოლა უკვე წაგებული იყო.

ისტორია არასოდეს აპატიებს მათ, ვინც იგვიანებს.

მერე სამთა სლავური ალიანსი (ელცინი, კრავჩუკი, შუშკევიჩი) ფაქტობრივად შეთქმულებაში გადაიზარდა, ჯერ ფარულ, შემდეგ აშკარა შეთქმულებაში, რომელიც საბჭოთა კავშირიდან რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის გასვლით დამთავრდა. ისინი რომ არ გასულიყვნენ საბჭოთა კავშირიდან, სხვა რესპუბლიკებს ვინ გაუშვებდა, სისხლში ჩაახრჩობდნენ.

საბჭოთა იმპერიის დანგრევა

1991 წლის დეკემბრის ღამეს, მინსკის მახლობლად, ბელოვეჟსკაია პუშჩაში, სამი საბჭოთა რესპუბლიკის – რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ხელმძღვანელებმა საბჭოთა იმპერიის არსებობას წერტილი დაუსვეს.

თავშეყრის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, უკრაინის რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ასე იხსენებს შეხვედრას:

„უკრაინის ინიციატივით, შეხვედრის ადგილად მინსკი შეირჩა, რადგანაც სამი დედაქალაქიდან ეს ყველაზე პატარაა და იქ მეტი შანსი გვქონდა საიდუმლოდ შეგვენახა ჩვენი შეხვედრა, რაც კიდეც მოხდა და საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია...

ელცინმა ჩამოიტანა გორბაჩოვის ტექსტი კავშირის შექმნის შესახებ. გორბაჩოვი ასეთ წინადადებას აყენებდა: უკრაინას უფლება აქვს შეიტანოს ნებისმიერი ცვლილება, გადახედოს მთელ პარაგრაფებს, ახალი რედაქციაც კი შეიტანოს ერთადერთი პირობით – მან ხელშეკრულებას წინასწარ უნდა მოაწეროს ხელი. ელცინმა ტექსტი მაგიდაზე დადო და გადმოგვცა გორბაჩოვის კითხვა: „მოაწერთ თუ არა ხელს ამ დოკუმენტს უცვლელად ან ცვლილებების შეტანით?“ თვითონ მან განაცხადა, რომ ხელს მოაწერს მხოლოდ ჩემ შემდეგ. ამრიგად ხელშეკრულების ბედი დამოკიდებული იყო უკრაინაზე. მე ვუპასუხე: „არა“.

მაშინვე წამოიჭრა ახალი დოკუმენტის შექმნის საკითხი. სპეციალისტებმა მასზე მთელი ღამე იმუშავეს.

...დილის ექვს საათზე ჩვენ ექვსნი შემოვუსხედით მაგიდას: ელცინი და ბურბულისი, შუშკევიჩი და კებიჩი, ფოკინი და მე. ჩვენ თვითონ შევადგინეთ საბოლოო ტექსტი. მაშინდელი ჩვენი მღელვარების აღწერა შეუძლებელია. ამ დოკუმენტის წაკითხვისას გვესმოდა, რომ იმ წუთებში იქმნებოდა ისტორია. წამოსვლის წინ ეს მოვლენა თითო ბოკალი შამპანურით აღვნიშნეთ“...

ელცინისა და მისი კოლეგების დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ პირველად მათ გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და ამით გზა გაუხსნეს სხვებს, ყოველგვარი სისხლის ღვრისა და ტრაგედიის გარეშე.

თუმცა სისხლის ღვრას მაინც ვერ ავცდით.

* * *

ასე დამთავრდა გორბაჩოვისა და ელცინის ორთაბრძოლა. ელცინმა ყველაფერი გააკეთა, რომ გორბაჩოვი უადგილოდ დაეტოვებინა. ბევრი იბრძოლა და ჩაიგდო კიდეც ხელში ძალაუფლება.

ელცინმა რუსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებით მომავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობაში უნიკალური როლი შეასრულა. უკეთესი სცენარის მოფიქრება შეუძლებელი იყო.

გორბაჩოვისა და ელცინის ორთაბრძოლაში უპირატესობა აშკარად ელცინის მხარეს იყო. იგი იმ კაპიტალს ფლობდა, რასაც პუტჩისტების დამარცხება და რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების იდეა ერქვა.

ელცინი გამარჯვებული გმირი იყო. ხალხისთვის კი ეს მთავარია. ხალხი ხომ ძალაუნებურად საკუთარ თავს ლიდერთან აიგივებს.

გორბაჩოვმა უიმედოდ დააგვიანა. ზემოთ უკვე ვთქვი — სამი თვით ადრე რომ დაეწყო ლაპარაკი კონფედერაციაზე, ბალტიისპირეთიც კი თანახმა იქნებოდა. ელოდნენ კიდეც ასეთ გადაწყვეტილებას — მე ეს კარგად ვიცი, რადგან ისინი მენდობოდნენ და ჩემთან ძალიან ხშირად დადიოდნენ. კონფედერაცია მათი მოთხოვნის მწვერვალი იყო.

ასეა თუ ისე, დაიწყო საბჭოთა გიგანტის შედარებით მშვიდობიანი დემონტაჟი.

კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში რესპუბლიკებიდან მოსკოვამდე მოაღწია პირველმა მოთხოვნებმა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის განახლების თაობაზე. პირველად გაისმა სიტყვა „კონფედერაცია“, რამაც გააოგნა პოლიტბიუროს წევრების უმრავლესობა. ახლა, 1991 წელს, გორბაჩოვი უკვე

დაეთანხმა ამ მოთხოვნებს. იგი თანახმა იყო ნებისმიერ დამაკავშირებელ ძაფზეც კი, ოღონდ საბჭოთა კავშირი შეენარჩუნებინა, მაგრამ აგვისტოს პუტჩის შემდეგ უკვე ძალიან გვიანი იყო.

განახლებული კავშირის იდეისა და თვით გორბაჩოვის გადარჩენაც მხოლოდ ერთ ადამიანს – ელცინს შეეძლო. მაშინ, 1991 წლის აგვისტოში, სწორედ ასე ჩანდა. ჩემთვის საკითხი შემდეგნაირად იდგა: სურს მას ეს თუ არა? იგი დადებით პასუხს იძლეოდა. 1991 წლის 14 ნოემბერს მოსკოვის მახლობლად, ნოვოოგარიოვოში, მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ ელცინმა თავდაჯერებითა და მტკიცედ წარმოთქვა: „კავშირი იქნება“.

მაგრამ ათი დღის შემდეგ, როცა გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება პარაფირებისთვის მზად იყო, ელცინმა და ბელორუსიის პრეზიდენტმა შუშკევიჩმა პროტესტი განაცხადეს: ხელშეკრულების პროექტის მხარდაჭერა რესპუბლიკების პარლამენტებში განხილვის გარეშე შეუძლებელიაო.

გორბაჩოვი მარტო გამოვიდა ტელეკამერების წინ და შეცბუნებული ალაპარაკდა იმ იმედზე, რომელსაც მას უსახავდა პრეზიდენტების თანხმობა – ხელშეკრულება პარლამენტებში გაეგზავნათ. იმედი კი უკვე აღარ იყო.

ტელეეკრანზე არ ჩანდა უკრაინის ლიდერი ლეონიდ კრავჩუკი. მიზეზი საპატიო იყო – პირველ დეკემბერს უკრაინაში უნდა გამართულიყო რეფერენდუმი ამ რესპუბლიკის კავშირში შესვლის თაობაზე. რეფერენდუმის შედეგი ეჭვს არ იწვევდა.

თუმცა, იმ დროისათვის მე მომეცა საშუალება, მოვლენებისათვის უკვე არა მხოლოდ ტელევიზორის ეკრანზე მედევნებინა თვალყური. 1991 წლის 26 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია. ერთ-ერთმა დეპუტატმა მოითხოვა, დაებრუნებინათ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ის ადამიანები, „ვისაც ქვეყანა ენდობა“. დასახელებულთა შორის მეც ვიყავი. ორი დღის შემდეგ „საგარეო პოლიტიკის ასოციაციის“ შტაბბინაში – ჩემს თავშესაფარში გადადგომის შემდეგ – მოვიდნენ ჩემი ყოფილი კოლეგები საგარეო საქმეთა სამინისტროდან და მთხოვეს, დავბრუნებულიყავი სამინისტროში. უწყე-

ბის მუშაკთა კოლექტიურ წერილს ხელს აწერდა შვიდი ათასი კაცი.

სულის სიღრმემდე შეძრულმა განვაცხადე, რომ გამიჭირდებოდა ამ თხოვნის შესრულება. იმ დროისთვის უკვე შექმნილი გვქონდა „დემოკრატიულ რეფორმათა მოძრაობა“ და „საგარეო პოლიტიკის ასოციაცია“, რომელთა წინაშე მე ვალდებულებები მქონდა აღებული, თანაც წინადადება მოდიოდა თანამშრომლებისგან და არა — პრეზიდენტისგან. ვამბობდი, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, გამიჭირდება მასთან მუშაობა-მეთქი. გორბაჩოვს მარტო მე კი არ ვაფრთხილებდი მოსალოდნელი შეთქმულების შესახებ, არამედ სხვებიც, შეთქმულების მონაწილეთა გვარებსაც კი უსახელებდნენ. ის არავის უსმენდა. მე არ ვზოგავდი მას საჯარო გამოსვლებში, მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ მთავარი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა პუტჩისათვის სწორედ მას ეკისრებოდა.

იმავე დღეს, შუადღისას, დამირეკა გორბაჩოვმა. 1990 წლის დეკემბერში ჩემი გადადგომის შემდეგ ჩვენ პრაქტიკულად ურთიერთობა შევწყვიტეთ. გადაულახავი ზღვარი გვყოფდა, რომელზე გადაბიჯებაც მე არ მინდოდა, მას კი არ შეეძლო. მის ნაცვლად ეს გარემოებებმა გააკეთეს, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც სიტუაცია სრულიად შეიცვალა, შეიცვალა მისი როლი და შესაძლებლობანი, გორბაჩოვი თავისი თამაშის წესების ერთგული რჩებოდა. თამაში მას წმინდად წაგებული ჰქონდა, მაგრამ ისე განაგრძობდა მოქმედებას, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

— რესპუბლიკებმა თანხმობა განაცხადეს უშიშროების საბჭოს შექმნაზე. გვინდა შეგიყვანოთ მის შემადგენლობაში, კურირებას გაუწევ საგარეო-პოლიტიკურ კომპლექსს. უნდა შევხვდეთ და მოვილაპარაკოთ.

— მაინცდამაინც რიგიანად ვერ წარმომიდგენია, რა არის ეს. იქნებ უფრო დაწვრილებით ამიხსნათ, როგორ ხედავთ ყველაფერ ამას.

— კარგი, მე დაგირეკავ...

იმავე დღეს, საღამოს, გამოაცხადეს ბორის პანკინის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ. ამის

თაობაზე ერთ-ერთმა ჩემმა ახლობელმა ადამიანმა შენიშნა: „გორბაჩოვისთვის ტიპური გადაწყვეტილებაა. ქვეყანაზე კი არ ფიქრობს, არამედ იმაზე, მუშაობა ვისთან უფრო მოსახერხებელია“.

იმ დღეებში მე მრავალი სტუმრის მიღება მომიხდა, ისინი ძირითადად ჩემი ყოფილი კოლეგები იყვნენ, საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. თითქმის ყოველი მათგანი კითხულობდა, ვისთან უნდა ჰქონოდათ საქმე კავშირისა და მისი საგარეო პოლიტიკის აშკარა დეზინტეგრაციის პირობებში. მე ვპასუხობდი, რომ ყველა რესპუბლიკა დაინტერესებულია ერთიანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული სივრცის შენარჩუნებით და მისი უმართავი დანგრევა როგორც რესპუბლიკებისათვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის, უმძიმეს შედეგებს გამოიწვევს. საჭიროა რაღაც მაკოორდინირებელი ცენტრი, რომელიც იმოქმედებს გარდამავალ პერიოდში და საბჭოთა კავშირის დემონტაჟს ისე წარმართავს, რომ ზარალი მინიმალური იყოს-მეთქი. ეს პროცესი უნდა იყოს თანამიმდევრული და მართვადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაშლის პროცესი არაკონტროლირებადი იქნება, რაც შეიძლება ახალი შინაგანი, რეგიონული თუ გლობალური საფრთხეების წარმოშობის საფუძვლად იქცეს.

ვიცოდი, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს საფრთხეები. გადადგომამდე, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოსვლისას, მსოფლიო გაერთიანებას წარვუდგინე ტოტალიტარული რეჟიმების კრახით გამოწვეული სიტუაციის ახალი ანალიზი. მე ვლაპარაკობდი ეკონომიკური კრიზისის დაუნდობელ მოძალებაზე, რომელსაც ვერანაირად ვერ გაუძლებენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები: „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე გამოჩნდებიან ახალი საბედისწერო ფიგურები. იქნება მცდელობა, აღკვეთონ მისწრაფება დემოკრატიისკენ. დაიწყება ტერიტორიული დავები და ეკონომიკური ომები, გაიღვიძებს აგრესიული სეპარატიზმი, წარმოიშობა შიდა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები, მასობრივ ხასიათს მიიღებს იარაღის გაჟონვა და დატაცება, ტერორიზმი, მძევლების აყვანა, წარმოიქმნება პერმანენტული არასტაბილურობის ვრცელი ზონები, რომლებიც შეუტევენ შედარებით კეთილსაიმედო რეგიონებს“. ზუსტად, ოღონდ კონკრე-

ტული მისამართების გარეშე, ვამბობდი ყველაფერს, რაც შემდეგ დაგვემართა.

საბჭოთა კავშირში ტოტალიტარიზმი განწირული იყო, მაგრამ მაინც შეეცადნენ მის გადარჩენას მისთვისვე დამახასიათებელი მეთოდებით — საიდუმლო შეთქმულებით, კანონის უგულებელყოფით, ძალის გამოყენებით.

აგვისტოს პუტჩმა დააჩქარა ცენტრიდანული პროცესი. ამავდროულად, მას ბევრად შეუწყო ხელი პუტჩის ლიკვიდაციის შემდეგ გადადგმულმა ნაბიჯებმაც. საკავშირო აქტების ცალმხრივმა გაუქმებამ, საკავშირო ქონების სეკვესტრმა და განცხადებამ საზღვრების შესაძლებელი გადახედვისა და ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების შესახებ შეაშფოთა რესპუბლიკები და აიძულა ისინი, ეძებნათ გადარჩენის გზები ჩასაძირავად განწირული ხომალდის მიღმა.

ვერც ერთ მათგანს, იმავე რუსეთს, სადაც „ძველი მოედნის“ დიქტატურას სულ უფრო ცვლიდა „თეთრი სახლის“ ექსპანსია („გამარჯვებულს ეკუთვნის ყველაფერი!“), ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანდა უზარმაზარი ქვეყნის ქაოსური დაშლა, მისი სწრაფი რღვევა, დაჩქარებულად მიმდინარე აგონია. ვიმეორებ: საჭირო იყო ახალ მდგომარეობაში შედარებით უმტკივნეულო მართვადი გადასვლა და ეს ამოცანა მოითხოვდა პროცესის რეგულირების მექანიზმს.

30 აგვისტოს გორბაჩოვმა კვლავ დამირეკა და საუბარმა მაშინვე ჩვენთვის მძიმე ხასიათი მიიღო.

— სასწრაფოდ წამოდი კრემლში!

— სასწრაფოდ არ გამოვა, — ვუპასუხე, — ასე უბრალოდ საქმე ვერ აეწყობა. უნდა მოვილაპარაკოთ.

რა ლაპარაკი უნდა გამოგესვლოდა ხუთ წუთში? გორბაჩოვი მოითხოვდა, რომ თანხმობა მიმეცა უშიშროების საბჭოში შესვლაზე, მე კი მოვითხოვდი მთელი რიგი პოზიციების გარკვევას. ჩემთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე მტკივნეულ კითხვაზე პასუხის მიღება. რატომ ჩქარობს იგი ასე? რატომ არიდებს თავს აშკარად არსებითზე სერიოზულ საუბარს (იმასაც დავაზუსტებ, როცა საჭირო იყო ოპერატიული მოქმედება, გორბაჩოვი, სამწუხაროდ, არ ჩქარობდა)?

საუბარი იმით დამთავრდა, რომ ვუთხარი — მისი არ მჯეროდა. იგი აფეთქდა:

— რატომ?

— შემიძლია აგიხსნათ, მაგრამ არა აქ და არა ახლა, თანაც ასე ნაჩქარევად, ჯობს სხვა დროსა და სხვა ვითარებაში.

შემდეგ მაინც ვისაუბრეთ. საუბარში მონაწილეობდა ალექსანდრ იაკოვლევი, ღრმად მოაზროვნე ადამიანი, ღირსეული პიროვნება, რომელთანაც ბევრი რამ მაკავშირებდა.

ეს იყო მკაცრი, ვაჟკაცური საუბარი, რომლის დროსაც არც საკუთარი თავი დავზოგე და არც გორბაჩოვი. ყველაფერი ვუთხარი, რაც დამიგროვდა ამ წლების განმავლობაში: როგორ მოკლა თავისი სიცოცხლის მთავარი საქმე, როგორ ღალატობდა თანამოაზრეებს, როგორ იკრებდა გარშემო „მაამებელ უფერულობას“, რომელმაც საბოლოოდ შებოჭა იგი. გავახსენე, როგორ მოვუწოდებდი მას ელცინთან კომპრომისისკენ, ვთხოვდი, გაეთვალისწინებინა შეცვლილი რეალობა და შესაბამისად ემოქმედა, როგორ მოვითხოვდი გარკვეულობას ჩრდილოვან ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რომელიც ძირავდა მის პოლიტიკას და კინაღამ ისიც ჩამოაშორა საქმეს.

— ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ ეს თქვენ მოახდინეთ პუტჩის პროვოცირება და მე მქონდა ყველა საფუძველი მეფიქრა, რომ თქვენ შეთქმულების თანამონაწილე ხართ, — პირდაპირ ვუთხარი.

იაკოვლევმაც თქვა ყველაფერი, რაც სათქმელი იყო.

ჩემი და მიხეილ გორბაჩოვის ურთიერთობის ისტორია ცნობილია. ჩვენ გულითადი მეგობრები ვიყავით, მან ბევრი ისტორიული საქმე გააკეთა და როგორც ადამიანს ახლაც დიდ პატივს ვცემ. იგი მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსია, მაგრამ ასეთ სიტუაციაში მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობა დამღუპველია. ამიტომ ეს საუბარი უმკაცრესი გამოვიდა, თუმცაღა, ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ გულახდილნი და მართალნი უნდა ვყოფილიყავით ერთმანეთთან და ჩვენი სინდისის წინაშეც.

როგორც ვთქვი, ჩვენ სამნი ვსაუბრობდით: მიხეილ გორბაჩოვი, ალექსანდრ იაკოვლევი და მე.

მინდა ორიოდე სიტყვა ალექსანდრ იაკოვლევზე ვთქვა: იგი ღრ-

მად ერუდირებული, კეთილშობილი და ამავე დროს პრინციპული პიროვნება გახლდათ, „პერესტროიკის“ ურთულეს დღეებში მისი იდეებიც გვეხმარებოდა, მოგვეძებნა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. ჩვენ გვაერთიანებდა ის, რომ „პერესტროიკას“ და მის შედეგებსაც არსებითად ერთნაირად ვუყურებდით.

გორბაჩოვი ორივეს გვისმენდა და როგორც ყოველთვის, სიტყვას არ გვაწყვეტინებდა, ბოლოს კი თქვა, რომ მზადაა ყველაფერი დაივიწყოს და შეცდომები აღიაროს.

რა უნდა „დაევიწყებინა“? — ვერ გავიგე. შეცდომების აღიარებას კი ჩვენ ვერ ვეღირსეთ, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

* * *

1991 წლის 5 ნოემბერს გორბაჩოვმა დამირეკა და შემომთავაზა, სათაოში ჩავდგომოდი რეორგანიზაციისათვის გამიზნულ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც ამის შემდეგ „გაუძღვებოდა“ საგარეო-ეკონომიკურ კავშირებსაც.

გორბაჩოვს სამი თვე დასჭირდა, რომ „ყველაფერი დაევიწყებინა“ და გადაებიჯებინა თავისი წყენისთვის. ეს კი მეტისმეტად დიდი დროა ისეთი ისტორიული პერიოდისათვის, როცა ყველაფერი არნახული სისწრაფით მიედინება და იცვლება. როგორც ყოველთვის, გორბაჩოვმა ახლაც დააგვიანა. მე უკვე აღარ მინდოდა გამოვკიდებოდი დაძრულ მატარებელს. თანაც თუ ამ შედარებას გავაგრძელებ, ვხედავდი, რომ მატარებელი გარდაუვალი კატასტროფისკენ მიექანებოდა და მსხვერპლი დიდი იქნებოდა. ერთადერთი, რისთვისაც ღირდა მისი გამოდევნება, ის იყო, რომ მატარებლის ნელი დამუხრუჭებით კატასტროფა და მსხვერპლი თავიდან აგვეცილებინა.

გორბაჩოვს ვკითხე, რა ფასი აქვს ამ წინადადებას რესპუბლიკების, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთის, უკრაინისა და ყაზახეთის ხელმძღვანელთა თანხმობის გარეშე-მეთქი. მითხრა, რომ ისინი თანახმანი არიან და მე შემიძლია დავრწმუნდე ამაში, თუ მათ დაველაპარაკები.

ასეც მოვიქეცი და დავრწმუნდი: ნამდვილად თანახმანი იყვნენ.

1991 წლის 20 ნოემბერს, 14 საათზე მე შევედი სამინისტროს —

ახლა უკვე სსრ კავშირის საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს — კოლეგიის სხდომათა დარბაზში. გარეგნულად ამ დარბაზში ყველაფერი დარჩა ისე, როგორც ჩემს დროს იყო, გარდა ორი გამონაკლისისა: მხატვარ ნალბანდიანის სურათი — ლენინი კრემლის ფონზე — შეცვალა ფოტოგრაფ ოშუპის ცნობილი ნამუშევრის ფერწერულმა ასლმა, რომელზეც გამოსახულია შესამჩნევად შეწუხებული ლენინის დაჟინებული მზერა. იყო ამაში რაღაც სიმბოლური...

გამოიცვალა თავად აუდიტორიაც. ჩემი კოლეგების ნაცნობ სახეებზე ადვილად იკითხებოდა უთქმელი განცდის კვალი. აგვისტოს მოვლენების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი თანამშრომლებიანად განტევების ვაცად იქცა. ერთი დღეც არ გავიდოდა ისე, რომ არ გამოქვეყნებულიყო მასალები, სადაც ამა თუ იმ დიპლომატს სასტიკად ამუშავებდნენ პუტჩისტების მხარდაჭერის გამო. ზოგიერთმა მართლაც იჩქარა და სოლიდარობა გამოუცხადა შეთქმულებს, მაგრამ მთლიანობაში, როგორც მე ვხედავდი, უმრავლესობამ მოახერხა გარკვეულიყო მოვლენათა აბურდულ გორგალში, ღირსეულად მოქცეულიყო. მიუხედავად ამისა, ცალკეული ძალა ცდილობდა დაერწმუნებინა საზოგადოებრიობა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც პოლიტიკური უწყება, არაკეთილსაიმედოა, რომ მან შელახა თავისი რეპუტაცია და წმენდას საჭიროებს. დიდი დაკვირვება არ იყო საჭირო, რომ ამ კამპანიაში საკავშირო სტრუქტურების დანგრევის საერთო სტრატეგიის ნაწილი დაგენახა.

ჩემს თანამშრომლებს რომ ვაკვირდებოდი, ვფიქრობდი, რაოდენ ბევრი რამ მაკავშირებდა მათთან და რა დიდი იყო ჩემი ვალი მათ წინაშე. მარტო იმისთვის ღირდა დაბრუნება, რომ მათთვის ოპტიმიზმი და საკუთარი თავის რწმენა აღმედგინა. ვიცი, შევარდნაძის დაბრუნებამ ბევრ „სმოლენსკელს“ (საგარეო საქმეთა სამინისტრო სმოლენსკის მოედანზე მდებარეობდა) იმედი გაუღვივა: „თუ ედუარდ ამბროსის ძე დათანხმდა, მაშასადამე, ჩვენი საქმე ჯერ კიდევ არც ისე უიმედოა“, — წერდა იმ დღეებში ერთი გაბედული ჟურნალისტი. არა მგონია, რომ ენთუზიაზმი მხოლოდ „საამქროსა“ და „კორპორაციის“ ფარგლებით შემოიზღუდა. ახლაც, როგორც 1990 წლის დეკემბერში გადადგომის შემდეგ, მივიღე ასობით ტელეგრამა

– მხარდაჭერითა და წარმატების სურვილით და, რაც ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო, ტელეგრამების უმრავლესობა გამოგზავნილი იყო რესპუბლიკებიდან, მათ შორის – საქართველოდან. ადამიანებს აშინებდათ გაურკვევლობა, მოვლენათა განვითარების პროგნოზირების შეუძლებლობა – ისინი ელოდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ვინმე ჩააცხრობდა ვნებათაღელვას.

ჩემთვის სასიამოვნო იყო მხარდაჭერის სიტყვები საზღვარგარეთელი მეგობრებისაგან. პირველები, ვინც დამირეკა და მომილოცა, იყვნენ ჯეიმს ბეიკერი და ჰანს-დიტრიხ გენშერი. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი, რა თქმა უნდა) ასეთი სიტყვებით მიესალმა ჩემს დანიშვნას: „შევარდნაძეს ჩვენს ქვეყანაში ბევრი მეგობარი ჰყავს. ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვექნება და ისე ვიმუშავებთ“... ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი, ალბათ, უნდა ყოფილიყო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების რეაქცია. მთლიანობაში იგი დადებითი აღმოჩნდა. ახალი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა ესოდენ აუცილებელი თანხმობის გარდა, ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო მცოდნოდა პარლამენტარების, კერძოდ, რუსეთის დეპუტატების აზრი. აქაც ყველაფერი წესრიგში იყო. „შევარდნაძის ადგილზე რომ ყოფილიყო დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი, იგი რომ მაკიაველი, ჩერჩილი ან კიდევ სხვა ვინმე ყოფილიყო, – თქვა რუსეთის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის წევრმა მიხეილ ტოლსტოიმ, – იგი არავის დასჭირდებოდა, თუ არ მოიპოვებდა ისეთ წმინდა საგანს, როგორიცაა ნდობა“. „სახალხო დეპუტატებს ესმით, რომ სამართლებრივი არასტაბილურობის პერიოდში პიროვნების როლი პოლიტიკაში განუზომლად იზრდება, მით უმეტეს – საერთაშორისო ასპარეზზე“, – ეხმიანებოდა კოლეგის აზრს იმავე კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმირ ლუკინი; „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შევარდნაძე შორსაა თეთრ სახლსა და კრემლს შორის კინკლაობისაგან, არც არავის აქვს შანსი, იგი ამ კინკლაობაში ჩაითრიოს“, – განაცხადა საპარლამენტო ფრაქციის „რადიკალური დემოკრატების“ ლიდერმა სერგეი იუშენკოვმა.

ერთი სიტყვით, მანდატი, რომელიც მივიღე, საიმედო და საკმარისად

დამაჯერებელი „საშვი“ იყო სმოლენსკის მოედანზე მდებარე შენობაში შესასვლელად. ისლა დამრჩენოდა, მომესმინა გორბაჩოვის რიტუალური გზის დალოცვა და საქმეს შევდგომოდი.

იგი ცოტა დაგვიანებით გამოჩნდა და საგნებს მაშინვე თავისი სახელი უწოდა (მე ისევ გორბაჩოვთან საუბრის თემას ვაგრძელებ, რადგან მიმაჩნია, რომ იგი იმ დროს მეტად მნიშვნელოვანი იყო).

— არ დავფარავ, როგორი ურთიერთობა მაქვს შევარდნაძესთან... ამ ურთიერთობამ ძნელი გამოცდა გაიარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ორივენი ვრჩებით იმ დიდი საქმის ერთგულნი, რომელიც დავიწყეთ. ეს არის მთავარი, დანარჩენი წარმავალია... ჩვენ რთული, ხანგრძლივი და ორივესთვის ძნელი საუბარი გვქონდა. მომეწონა, როცა თქვა: „სხვა, უფრო მშვიდ დროს, მე კიდევ ვიფიქრებდი, ახლა კი, უბრალოდ, არ შემიძლია თავი ავარიდო — ასეთი დრო მოდის“. მე სათანადოდ შევაფასე ეს პოზიცია და მოვუწოდებ ყველას, გამოიყენონ ამ კაცის პოტენციალი, რომ შევინარჩუნოთ ქვეყანა, როგორც მშვიდობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საყრდენი, არ დავუშვათ მისი სტიქიური რღვევა.

გორბაჩოვს რომ ვუსმენდი, გავიფიქრე, რომ მსოფლიოს სტრატეგიული საყრდენის გადარჩენა უკვე ვეღარ მოხერხდებოდა, მხოლოდ დამანგრეველი პროცესის შესუსტებას თუ შევძლებდით, მაგრამ ხმამაღლა ეს არ მითქვამს, უბრალოდ, მადლობა ვუთხარი ნდობისთვის.

თხუთმეტი წუთის შემდეგ შევედი სამინისტროს მაღლივი შენობის ნაცნობ კაბინეტში, რომელიც თერთმეტი თვის წინ დავტოვე. ჩემი ახალი ეპოქა აქ ძალიან ხანმოკლედ წარმომედგინა, საკუთარ თავსა და ახლობლებს ვეუბნებოდი: „თუნდ ერთი დღითაც კი — მაინც საჭიროა დავბრუნდე, რადგან ასეთ დროს ერთი დღეც ძალიან ბევრია“.

როცა ახლა ვკითხულობ იმ დღეების რუსეთისა და უცხოეთის პრესის მასალებს, ვხედავ, რომ მთლიანობაში მათ მართებულად შეაფასეს გორბაჩოვის გადაწყვეტილებაც და ჩემი თანხმობაც საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბრუნებაზე.

თავად განსაჯეთ, როგორი ფონი იყო: რესპუბლიკები პრაქტიკულად, ცარიელ ადგილზე შეუდგნენ სახელმწიფოებრიობის მშენებლობას,

1991 წლის დამლევისათვის წარმოების დაცემამ მძიმე მრეწველობაში 40 პროცენტი შეადგინა, ამდენივე — მსუბუქ მრეწველობაში, 25 — კვების მრეწველობაში. დანაკარგების დიდი ნაწილი რესპუბლიკებს შორის სამეურნეო კავშირების გაწყვეტასა და ინფრასტრუქტურის პარალიზებაზე მოდიოდა. ორმხრივი ეკონომიკური კავშირები, რითაც რესპუბლიკები ცდილობდნენ შეეცვალათ „შრომის საკავშირო დანაწილება“ ეფექტიანობის პერსპექტივას ვერ ქმნიდა — ეს იყო, ძირითადად, ნატურალური, ბარტერული გაცვლა.

ელცინის გუნდმა პრაქტიკულად თავის კონტროლს დაუქვემდებარა ყველაფერი — დაწყებული ყოფილი ცენტრალური კომიტეტის შენობა-ნაგებობებით და საექსპორტო შემოსავლებით დამთავრებული. სიმწრით ამბობდა რუსეთის დემოკრატიული პარტიის ლიდერი ნიკოლოზ ტრავკინი: „რუსეთის მთავრობა მოქმედებდა ლოზუნგით: „აბა თქვენ იცით, ბიჭებო, მიაწექით!“

ახალი, გამარჯვებული ელიტის მომსახურებისათვის საჭირო ავტოპარკი უცებ გაიზარდა შვიდასი პერსონალური ავტომანქანით. იმავე ტრავკინის თქმით, „სკკპ ქონების პრივატიზაციას მხოლოდ ორი დღე მოანდომეს, მაგრამ იმისთვის, რომ საკუთრება შრომით კოლექტივებს დაუბრუნონ, ორი თვეც არ ჰყოფნით“.

ნეობოლშევიკური ენთუზიაზმი, პრაქტიკულად, თავს დაატყდა ყველა საკავშირო სამინისტროს — ზოგს აუქმებდნენ, ზოგი კი რუსეთის იურისდიქციაში გადაჰყავდათ. რაღაც ამის მსგავსი შეიძლება დამართოდა საგარეო ურთიერთობათა სამინისტროსაც. გულისტკივილით ვადევნებდი თვალს ჩვენი ბუდიდან გადაფრენილი „ბარტყების“, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდა ხელმძღვანელების, მოქმედებას. ყოველი მათგანი, ჩემთვის გაუგებარი ვნებით, თავისკენ ექაჩებოდა საბანს და არაფრად აგდებდა თავისი ყოფილი კოლეგებისა და დამრიგებლების გრძნობებს.

ეთიკური კოლიზიების გარდა წარმოიშვა მრავალი სამართლებრივი პრობლემაც: თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა კავშირმა დადო თხუთმეტი ათასზე მეტი ხელშეკრულება და შეთანხმება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისი, როგორც საერთაშორისო სამართლის მოქმედი სუბიექტის უფლებები და მოვალეობანი რუსეთმა

დაინარჩუნა, თანაც ამ ფუნქციებსა და პრეროგატივებს ითვისებდნენ ყველანაირი ნორმის დარღვევით — ეს საერთაშორისო ურთიერთობების აბსურდულ ურთიერთობებად გადაქცევის საშიშროებას ქმნიდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რესპუბლიკებში არ ესმოდათ ეს ან ვერ გადაეწყვიტათ პრეტენზიების ღიად გამოთქმა.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სისუსტე ყველაზე შესამჩნევად საგარეო პოლიტიკის სფეროში გამოვლინდა. მათი მოთხოვნების პასუხად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონების სამართლიანი გაყოფის შესახებ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები გაურკვეველ დაპირებებს იძლეოდნენ ან კიდევ კატეგორიულ უარს ამბობდნენ. არ იყო ბაზა, კადრები, ცოდნა, არ ფლობდნენ არქივებს, კავშირგაბმულობის, შიფრმიმოწერის საშუალებებს... ასეთი „ნულოვანი ხედვის“ პირობებში იღებდნენ რესპუბლიკები სტარტს.

ჩემი პროგრამის პირველი პუნქტი ჩამოვაყალიბე, როგორც ახალი სუვერენული სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერა მათი მისწრაფებისათვის — ეშენებინათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. პირველი ვიზიტებითაც მათ დედაქალაქებში ვაპირებდი ჩასვლას.

მე შემდეგნაირად ვმსჯელობდი: იმპერიის მზიდი კონსტრუქცია დაინგრა. ჩვენ ვაპირებდით მის რეფორმირებას, მაგრამ იმპერია აჯანყდა და დაიშალა. ზესახელმწიფოთა რიცხვი განახევრდა, ხოლო განვითარებადი სახელმწიფოებისა — გაიზარდა. მკვეთრად დაიწია უსაფრთხოების ზღურბლმა. არც ერთი იმპერია უსისხლოდ არ დაშლილა და „ჩვენიც“, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ მემკვიდრეობას, გამონაკლისი არ იყო. შემცირდა რეგიონული კონფლიქტების მოგვარების შანსი, ჩამოყალიბდა შიდაშეტაკებების ახალი გეოგრაფია.

თითქმის ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას ოდესღაც ჰქონდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომლის აღდგენის იდეაც ყოველ მათგანში მუდმივად და მეტ-ნაკლები სიმძაფრით ფეთქავდა. ამ იდეაში განსახიერებული კოლოსალური ენერგია დასაწყისში უდავოდ იმუშავებდა განმხოლოებისა და განდგომის სასარგებლოდ, ხელს შეუწყობდა მომავალი თანამეგობრობის დეზინტეგრაციას — მაშასადამე, ჩანასახშივე მის დაღუპვას.

როგორ უნდა შეგვეჩერებინა ამ ცათამბჯენის ნგრევა, რომ ფოლადისა და ბეტონისაგან შემდგარ ჩამოქცეულ მასას ქვეშ არ მოეყოლოდით?! ასეთი ნგრევა არსად არავის უნდოდა – არც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რუსეთის ჩათვლით, და არც დასავლეთში. მიზანმიმართული დემონტაჟი იყო საჭირო, ვცადეთ კიდეც, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც გვსურდა.

„ცენტრის ბოლო არგუმენტი“ უწოდა ერთმა ჟურნალისტმა მინისტრის თანამდებობაზე ჩემს დაბრუნებას. მეორემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს რღვევის პროცესი ისე შორს წავიდა, ეკონომიკური კრახი კი იმდენად თვალსაჩინოა, რომ დემოკრატიის დახმარება ახლა შესაძლებელია, თუ თვით სახელმწიფოს გადავარჩენთ, როგორიც უნდა იყოს მისი სახელწოდება მომავალში“. მესამემ შენიშნა, რომ „ქართველი შევარდნაძისათვის უფრო ადვილია ყველა რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის აღიარება, ვიდრე ინტერნაციონალისტი გორბაჩოვისთვის...“

მე არ მსურდა და არც შემეძლო ვყოფილიყავი არც „ბოლო არგუმენტი“ და არც „მაშველი რგოლი“ – ფსონი გაცილებით დიდი იყო. ნგრევის მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა კავშირი მსოფლიოსთვის ქმნიდა ბევრად უფრო დიდ საფრთხეს, ვიდრე „მძლე კავშირი, ძმური...“ „საბჭოთა კავშირის ადგილზე რომ ჩამოყალიბებულიყო თხუთმეტი შვეიცარია, მაშინ ტაშის დაკვრაც შეიძლებოდა, მაგრამ როცა ყალიბდება თხუთმეტი ლიბანი – ეს გეოპოლიტიკური კატასტროფაა“, – წერდა პოლიტოლოგი კ. პლეშაკოვი. ეს დიახაც რომ სიმართლე გახლდათ. დავები ბირთვული იარაღისა და ჩვეულებრივი შეიარაღების კუთვნილების თაობაზე, ტერიტორიათა და საზღვართა გამო ძველი და ახალი პრეტენზიების რეციდივები, გეოპოლიტიკური აქცენტების მკვეთრი ცვლილება ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ „დედამიწის ერთი მეექვსედის“ ლიბანიზაცია აუწერელ კოშმარად გადაიქცეოდა.

ჯერ კიდევ არ იყო შედგენილი „მატარებლების მოძრაობის ახალი განრიგი“, არ იყო ჩამოყალიბებული ერთიანი „სადისპეტჩერო ცენტრი“, მაგრამ რესპუბლიკურმა შემადგენლობებმა უკვე დაიწყეს სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა. ვიღაც მიდიოდა ბონში, სხვა

ეძებდა პრივილეგირებულ თანამოსაუბრეებს შუა აღმოსავლეთში... მაშინ მეგონა, რომ ეს ხდებოდა უფრო მეტად ინერციული მექანიზმების ცენტრიდანულობის გამო, ვიდრე „უმცირესობათა“ ნების ძალისხმევით, მაგრამ ძალიან მალე დავრწმუნდი, რომ აქ სხვა „ინერცია“ მოქმედებდა.

— რა სახელი ვუწოდოთ ახლა თქვენს ქვეყანას? — მკითხა ჩემმა ირანელმა კოლეგამ ვილაიეთიმ მოლაპარაკების დროს, 1991 წლის 25 ნოემბერს.

— რომ ვიცოდე, გეტყოდით, — ვუპასუხე შეცბუნებულმა.

ამასთან ეს სახუმარო საქმე არ იყო. იმ დღეს, სახელმწიფო საბჭოს ბოლო სხდომაზე, უნდა განხილულიყო ახალი საკავშირო ხელშეკრულების პროექტი დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის შექმნის შესახებ. როგორც მე მესმოდა, ლაპარაკი იყო კონფედერაციულ სახელმწიფოზე, ერთიანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული სივრცით. მე უნდა დამეცვა საგარეო-პოლიტიკური კურსის ჩემეული ხედვა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის — ბორის ელცინის გარდა არავინ ეწინააღმდეგებოდა.

დისკუსია დიდხანს გაგრძელდა. მგონი, მოვახერხე ელცინის დარწმუნება იმაში, რომ მომავალი თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური კურსის კოორდინაციის გარეშე ყველა ჩვენგანს დიდი სიძნელეები შეექმნებოდა.

სამი დღის შემდეგ ჩემს მაგიდაზე გაჩნდა დოკუმენტი — რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილება. იგი ისე ზუსტად ასახავდა იმ დროის პოლიტიკურ ჩვევებს, რომ ღირს მისი ციტირება:

„Исходя из необходимости обеспечить непрерывность функционирования загранучреждений прежнего Союза ССР как межреспубликанских загранучреждений в период ликвидации союзных министерств и ведомств и создания органов Экономического сообщества, а также исходя из неопределенности условий их финансирования за счет средств союзного бюджета, постановляю:

1. Закрепить за МИД РСФСР в оперативном управлении имущество, находящееся в использовании или владении МИД

СССР на территории РСФСР, а также, впредь, до урегулирования вопросов совместной собственности посольств, постоянных представительств и консульских учреждений СССР за рубежом"...

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ დოკუმენტის ტრადიციულ ბიუროკრატიულ ლექსიკას, მისი მიზანი ნათელი იყო: დანარჩენი რესპუბლიკების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების უგულებელყოფით რუსეთი ცალმხრივად ითვისებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ ქონებას. საქმეს არც სუვერენული რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან კონსულტაციების შესახებ დადგენილების პუნქტი შეელოდა: „Относительно степени заинтересованности в продолжении деятельности тех или иных загранучреждений, а также по другим вопросам связанных с настоящим постановлением".

ბიუროკრატიული ფორმულირებების ბურუსმა ერთბაშად დაფარა სავსებით ცხადი და ანგარიშგასაწევი რამ: დამოუკიდებელი რესპუბლიკების სუვერენულობა – იგი, უბრალოდ, უგულებელყვეს.

პოლიტიკაში, როგორც, სხვათა შორის, ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, კითხვა „როგორ?" არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე – „რა". საშუალებები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც თქვენ ცდილობთ მიზნის მიღწევას, პირდაპირ აირეკლება ამ მიზანზე: მათ შეუძლიათ გააცამტვერონ ყველაფერი, რისი გულისთვისაც თქვენ იყენებთ მათ.

დადგენილება პირადად მეც მეხებოდა. ისე გამოდიოდა, რომ მე სხვისი კაბინეტი მეკავა. მოგვიანებით მიამბეს – როცა ელცინს ხელმოსაწერად მიუტანეს ეს დადგენილება, მან თითქოს იკითხა: „შეუთანხმეთ ეს შევარდნაძეს?" მას უპასუხეს, რომ მე თანახმა ვარ, რადგანაც ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ საზღვარგარეთ ჩვენი ქონების ძარცვა შევაჩეროთ.

რაღაც ვერ ვიხსენებ ცნობებს ჩვენი საელჩოების ძარცვის შესახებ და ჩემს „თანხმობას" – ასეთი გზით აღკვეთილიყო ეს არარსებული ძარცვა. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს გულახდილი საუბრები ელცინსა და გორბაჩოვთან. პირველს მე ვეუბნებოდი: „თუ თქვენ არ

გამორიცხავთ გორბაჩოვის მონაწილეობას აგვისტოს შეთქმულებაში, მაშინ იმოქმედეთ უფლებამონაცვლეობის პრინციპით. სხვებთან გაერთიანებით და ახალი საკავშირო სახელმწიფოს სათავეში დგომით რუსეთი თავიდან აიცილებს ზვავს, რომელიც მასაც შეუქმნის საფრთხეს". ამაზე იგი მპასუხობდა: „ეს შეუძლებელია". მეორეს ვეუბნებოდი: „გაარკვიეთ, რა უნდა რუსეთის პრეზიდენტს. თუ იგი აპირებს ამ ფორმით კავშირის შენარჩუნებას, მაშინ მე თქვენი წასვლის მომხრე ვიქნები". „მზად ვარ ეს გავაკეთო", — მპასუხობდა გორბაჩოვი.

4 დეკემბერს მე კვლავ ვესაუბრე ელცინს, მაგრამ მანამდე მეტად მნიშვნელოვანი რამ მოხდა: 1991 წლის პირველ დეკემბერს სრულიად უკრაინის რეფერენდუმის მონაწილეთა ოთხმოცდაათმა პროცენტმა ხმა მისცა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას. უკრაინის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ლეონიდ მათეს ძე კრავჩუკი.

ევროპისათვის ეს ნიშნავდა მის საზღვრებში ახალი დიდი სახელმწიფოს დაბადებას 50-მილიონიანი მოსახლეობით, საკუთარი ბირთვული პოტენციალით, დიდი შეიარაღებული ძალებითა და ძლიერი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსით, რომელიც აწარმოებდა ყველაზე დიდ სტრატეგიული დანიშნულების რაკეტებს.

რუსეთისათვის ეს ნიშნავდა მისი ისტორიული სლავური ბირთვის მნიშვნელოვანი ნაწილის მოწყვეტას და მისი შემდგომი შემცირების შესაძლებლობას სხვა სლავური რესპუბლიკის — ბელორუსიის ხარჯზე, რუსეთის საზღვრების მკვეთრ გადაწევას აღმოსავლეთისკენ. მოკლედ, ბევრი პრობლემა წარმოიშვებოდა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა არმიასთან, ფლოტთან, საერთოდ, სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიასთან და საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ახალი სახელმწიფოს „აწყობის" შანსის დაკარგვასთან.

სხვა რესპუბლიკებისათვის ეს მისაბაძი მაგალითი იყო.

გორბაჩოვისათვის — ეს ნიშნავდა მისი „ნოვოოგარიოვოს ოცნების" კრახს „განახლებული საკავშირო ცენტრის" აღდგენის შესახებ და პოლიტიკური სცენიდან წასვლას.

ელცინისა და მისი გუნდისთვის, ისევე როგორც რუსეთის ლიდერებისთვის — ახალი კომბინაციების დაჩქარებული ძიების აუცილე-

ბლობას, რომ საიმედოდ დაესაბუთებინათ რუსეთის პრეტენზიები საბჭოთა კავშირის უფლებამონაცვლეობაზე.

ჩემთვის?.. რას ნიშნავდა ეს ჩემთვის?

* * *

ინტერესებისა და მიზნების განსხვავებამ სულ სხვადასხვა, შეუთავსებელი ნაბიჯები და მოქმედებები განაპირობა.

3 დეკემბერს გორბაჩოვმა გამოაქვეყნა თავისი მოწოდება „ქვეყნის პარლამენტარებისადმი". იგრძნო რა მისამართის ბუნდოვანება (რომელი ქვეყნის პარლამენტარებს მოუწოდებდა?), პირველივე სტრიქონში შესთავაზა დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს შეეფასებინათ ის საფრთხე, რომელიც მოჰყვებოდა დეზინტეგრაციას, „რამაც დაარღვია უზარმაზარი და მთლიანი ქვეყნის არსებობის ისტორიული ლოგიკა, დაარღვია გონიერების საზღვარი და იმდენად შორს წავიდა, რომ დამანგრეველი ხასიათი შეიძინა".

ამ დოკუმენტში ყველაფერი სწორი იყო — დეზინტეგრაციის შესაძლებელი შედეგების ჩამონათვალი, მათი დახასიათება, მოთხოვნა, დაცული ყოფილიყო სამართლებრივი ნორმები, მოსაზღვრე სახელმწიფოებისა და მსოფლიოს ინტერესებზე მითითება, თხოვნა — გათვალისწინებული ყოფილიყო იმ მოქალაქეთა განწყობილება, რომელთაც კავშირში ცხოვრება სურდათ... დიახ, ყველაფერი მართალი იყო, ერთის გარდა: გორბაჩოვი, ფაქტობრივად, უკვე წასულ მატარებელს დაედევნა, სადაც აღარავის სურდა მისი მოსმენა. ეს იყო კარგად ნაცნობი ჯადოსიტყვების კონა, რომლებსაც უკვე დაკარგული ჰქონდა ძალა.

ელცინმა სხვაგვარი რეაგირება მოახდინა. მან დაურეკა ვლადისლავ შუშკევიჩს და კრავჩუკთან ერთად მოთათბირება გადაწყვიტეს. რუსეთის პარლამენტში კი ქარიშხალი ამოვარდა. გაისმა მოწოდებები, რომლებიც ფრიად ჩამოჰგავდა 1989 წლის რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა საარჩევნო პლატფორმის დებულებებს: „საბჭოთა რუსეთის ტერიტორიული საზღვრები თვითნებურად დადგინდა 20-იან წლებში და შემდგომ ათწლეულებში თვითნებურად იცვ-

ლებოდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის შემთხვევაში რუსეთი მიაღწევს იმას, რომ მისი სუვერენიტეტი ვრცელდებოდეს ყველა მრავალრიცხოვანი ხალხების კუთვნილ მიწებზე"...

თეზისი მიწების თვითნებური გადანაწილების თაობაზე სავსებით მართებულად ჟღერდა, მაგრამ ეს ხვედრი გაიზიარა პრაქტიკულად ყველა რესპუბლიკამ, რომლებიც თავის დროზე შერეკეს „მძლე კავშირში". გარდა ამისა, მანკიერია ძირძველი მიწების კუთვნილების კონსტატაცია — იმპერიულმა რუსეთმა თვითონ წაართვა იგი დამონებულ ხალხებს. პოლიტიკური ავანტიურიზმის სუნი ასდიოდა მუქარას ამ მიწების რუსეთის გამგებლობაში დაბრუნების შესახებ.

რუსეთის პარლამენტში უკრაინისაგან მოითხოვეს ყირიმის დაბრუნება, ოდესღაც ყირიმის სახანოსი — სწორედ იმ ყირიმისა, რომლის დაპყრობა რუსეთისათვის დაიწყო პეტრე პირველმა, სტალინმა გაწმინდა მკვიდრი მოსახლეობისგან, ნიკიტა ხრუშჩოვმა კი უკრაინას აჩუქა.

რეალური გახდა ამ მწვავე საკითხის კაბინეტებში და რუკაზე წითელი ფანქრით გადაწყვეტის საშიშროება, „ჭრისა და კერვის პოლიტიკის" რეციდივის გამეორებისა, ჩამოყალიბებული ისტორიული რეალობების, ადამიანის უფლებების, ერების, ეროვნული უმცირესობების სურვილთა გაუთვალისწინებლად.

კანონი პრეროგატივების, საკუთრების, თანამდებობების შესახებ, რომელმაც „გორბაჩოვ-ელცინის" („ცენტრი-რუსეთის") დაპირისპირების გაუგებარი ლოგიკით მოშალა ქვეყნის უსაფრთხოება, ახლა ბუმერანგივით თავად რუსეთს შემოუბრუნდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო გამეფრთხილებინა ელცინი ახლო მომავლის შესაძლო შედეგებზე, არამედ გავრკვეულიყავი კიდეც სათანადო ქცევის ელემენტარული ნორმების კატასტროფული უგულებელყოფის წმინდა პირადულ, ფსიქოლოგიურ ნიუანსებში. რად ღირს საქმე, რომელიც აგებულია ორმაგ სტანდარტზე? რას უნდა ველოდოთ ლიდერებისაგან, რომლებიც უგულებელყოფენ კონსტიტუციას, თუნდაც ეს იყოს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია?

თვალწინ მედგა ელცინის დოკუმენტი — დადგენილება საკავ-

შირო საგარეო საქმეთა სამინისტროს ქონების რუსეთის იურისდიქციაში გადაცემის შესახებ.

— როგორ შეიძლება ასე? — ვფიქრობდი, — გადაწყვეტილება საგარეო საქმეთა სამინისტროში გადასვლის შესახებ მიღებული იყო ელცინთან კონსულტაციის შემდეგ. მე იგი მიცნობდა და უნდა ევარაუდა, რომ არ დავკმაყოფილდებოდი სიმბოლური ფუნქციების შესრულებით. იგი დაეთანხმა ჩემს არგუმენტებს და ძალიან ფართო მხარდაჭერას შემპირდა და უცებ, სულ რაღაც ერთი კვირის თავზე, რაც თანამდებობა დავიკავე, მიიღო დადგენილება, რომელიც მხოლოდ ერთ შესაძლებლობას მიტოვებდა — გავსულიყავი და კარი გამეხურა. რა იყო ეს — გადადებული შურისძიება 1988 წლის ოქტომბრისთვის, როცა პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად გამოვედი ელცინის ანტიგორბაჩოვისეული დემარშის წინააღმდეგ? რაღაც არ ჰგავდა, მაგრამ თუ ეს ასე იყო, მაშინ საქმე მქონდა ასეთი მასშტაბის პოლიტიკოსისთვის უაღრესად დაუშვებელ ფუფუნებასთან. საქმის ინტერესების, უზარმაზარი ქვეყნის ინტერესების პირადი ამბიციებისადმი დაქვემდებარება ნიშნავს დასაღუპავად გაწირო არა მარტო საქმე და ქვეყანა, არამედ საკუთარი თავიც.

თუმცა, მე გამონაკლისი არ ვიყავი. საბჭოთა კავშირის ბოლო წლების მთელი პოლიტიკა მსხვერპლად შეეწირა გორბაჩოვისა და ელცინის დაპირისპირებას. არც პირველი და არც მეორე არ ჩქარობდა ხელი გაეწოდებინა ერთმანეთისთვის, ხოლო როცა ბოლოს გადაწყვიტეს, ბევრი რამ უკვე უიმედოდ დაკარგული იყო.

საქმე მაინც არც ჩემში იყო და არც ელცინსა და გორბაჩოვში. რეფერენდუმის შედეგებმა უკრაინაში, მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, ახალი სიტუაცია, ახალი გეოპოლიტიკური სინამდვილე შექმნა. ჩვენ მაშინ უეცრად აღმოვაჩინეთ, რომ ვცხოვრობთ უკიდურესად ცვალებად, უკიდურესად მყიფე მსოფლიოში, რომლის უსაფრთხოება არ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი არავისი და არანაირი ძალით. ვერავინ, მათ შორის რუსეთიც, ვერ შეძლებს საიმედოდ შემოიზღუდოს თავი შიდა და საზღვრისპირა აფეთქებებისაგან — მას თვითონ დაემუქრება რღვევისა და დაქუცმაცების ინერცია, მოსაზღვრე სამყაროთა შემოჭრა, ოდესღაც დათრგუნვილი სულიერი

და იდეოლოგიური პრიორიტეტების, მეზობელი გიგანტების, მსოფლიო და კონტინენტური სახელმწიფოების პრეტენზიების აღორძინება...

ბორის ელცინი დამემოწმება – ყველაფერი ეს მე მას ვუთხარი ჩვენი კონფიდენციალური საუბრის დროს 1991 წლის 4 დეკემბერს.

ეტყობა, ჩემს პროგნოზებსა და გაფრთხილებებს იგი მაინცდამაინც არ „დაუინტერესებია“. როგორც შევამჩნიე, მას უფრო მეტად რაღაც „სლავური კავშირის“ იდეა ამოძრავებდა, სურდა ტრიადაში – რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია – რუსეთისათვის რაც შეიძლება დიდი და საპატიო ადგილის შენარჩუნება. უახლოესი დღეებისთვის მინსკში დანიშნული სამეულის შეხვედრა – ელცინი, შუშკევიჩი, კრავჩუკი – ადასტურებდა ეჭვს პოსტსაბჭოთა „პანსლავური“ ჩანაფიქრის შესახებ. ელცინი მთლიანად მასზე იყო კონცენტრირებული, მაგრამ მაინც თქვა, რომ ძველებურად მხარს მიჭერს და საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტროს ქონების საკითხს დაუბრუნდება მაშინვე, როგორც კი გაირკვევა კავშირის ბედი.

სამინისტროში დავბრუნდი და გორბაჩოვს დავურეკე. ყურმილში ისმოდა, როგორ ცდილობდა იგი დაჰკავშირებოდა ელცინს და როგორ ეუბნებოდა რუსეთის პრეზიდენტის მდივანი გორბაჩოვს: „ბორის ნიკოლაევიჩი ახლა კოზირევს ელაპარაკება და თვითონ დაგირეკავთ, როგორც კი გათავისუფლდება“.

ელცინს გორბაჩოვისათვის უკვე აღარ ეცალა. გორბაჩოვის დრო დასრულდა. ჩემი აზრით, ამჯერადაც იგი თვითონ ამოკლებდა მას. იმ დღეებში გორბაჩოვი წარმომიდგებოდა კიდევ უფრო უმოქმედო პოლიტიკოსად, ვიდრე ადრე. 3 დეკემბერს მე ვიყავი მასთან ნოვოოგარიოვოში, ერთად ვნახეთ მისი გამოსვლა ტელევიზიით, მას აინტერესებდა ჩემი აზრი, მე ხომ ვერ ვეტყოდი, რომ ეს იყო „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“?

იმ დღეებში უნგრელებთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, ხელმოსაწერად მზადდებოდა ახალი ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის – ერთ-ერთი პირველი იმ შეთანხმებათა რიგში, რომელიც ასახავდა ახალ რეალობებს საბჭოთა კავშირსა და მის ყოფილ სატელიტებს შორის ურთიერთობაში. აიტალი და ესენკი ითხოვდნენ ტექსტში 1956 წლის მოვლენათა პოლიტიკური შეფასე-

ბის ჩართვას, გორბაჩოვი თავს არიდებდა, მე გადავეცი მას ბარათი: „ელცინმა დაგმო 1956 წელს უნგრეთში საბჭოთა ჯარების შეჭრა“.

გორბაჩოვს ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, მაგრამ მას არ შეეძლო დასწრებაზე თამაში. იგი მოვლენებს ტენდენციად ჩამოყალიბებას აცდიდა და მხოლოდ შემდეგ ცდილობდა ჩართულიყო მათში. ამიტომაც მოხდა, რომ მოვლენებმა იგი მის მიერვე დაწყებული საქმის მიღმა მოისროლა.

1991 წლის დეკემბრის შემდეგ, როცა „ბელოვეჟის სამეულმა“ ხელი მოაწერა შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ (დსთ) და გააუქმა საბჭოთა კავშირი, გორბაჩოვი, როგორც არასდროს, მარტო იყო. ტელეფონი დუმდა. როგორც ყოველთვის, დამარცხებულს ყველამ ზურგი აქცია. როცა შუალამემდე მასთან ვიჯექი, არ გამიგონია, ვინმეს დაერეკოს და გაემხნევებინოს იგი. მხოლოდ ერთხელ, ჩემი იქ ყოფნის დროს, დარეკა ვადიმ ბაკატინმა, იმხანად შინაგან საქმეთა მინისტრმა.

* * *

პირველი ცნობები ბელოვეჟის ნაკრძალიდან დასავლეთის საინფორმაციო არხებით მოვიდა. „როიტერი“ იტყობინებოდა: „შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან ხელმომწერი ქვეყნების ტერიტორიაზე არ დაიშვება მესამე ქვეყნების ნორმების გამოყენება, მათ შორის – ყოფილი საბჭოთა კავშირის...“

ჩემმა თანაშემწემ წითელი ფლომასტერით მონიშნა შეთანხმების შემდეგი სტრიქონი: „ყოფილი საბჭოთა კავშირის ორგანოების საქმიანობა წყდება“... „ოფიციალურად გაცხადებულია, რომ სსრ კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და როგორც გეოპოლიტიკური რეალობა, წყვეტს თავის არსებობას“.

აქ ჯერჯერობით თავს შევიკავებ კომენტარისაგან და მოსკოვის მერის, ერთ დროს გორბაჩოვისა და ელცინის ლოიალური მოკავშირის, გავრიილ პოპოვის სიტყვებს მოვიხმობ: „То что называлось Советским Союзом, всегда было формой господствующего положения русского народа в стране, в которой живет несколько миллионов людей других национальностей. Эта форма отжила и должна быть

разрушена. России никуда не уйти от миллионов русских живущих за пределами. Точно ей никуда не деться от десятков народов, проживающих на ее территории. Исходя из этого и надо решать вопрос о союзе. У меня создалось впечатление, что *ненависть к центру, стремление разрушить старый центр* (კურსივი ჩემია – ე. შ.), затмила все остальные соображения, хотя, на самом деле, старого центра уже не было. Мне непонятен также такой вопрос: с каких это пор РСФСР стала славянской республикой?

Куда деваться тогда миллионам, живущим на территории РСФСР людям других национальностей? Если не устраивает президент Союза и необходимо его устранить, то почему это надо делать минуя конституционные рамки? Если мы действительно собираемся создавать какое-то содружество, то как могут три республики брать на себя ответственность за большинство остальных?! Конечно, все могут иметь свои точки зрения, но я думаю, что процесс должен быть абсолютно конституционным и законным...“

მეც ასე ვფიქრობდი მაშინ და ახლაც ასე ვფიქრობ, მაგრამ ისინი, ვისაც სხვა აზრი ჰქონდათ, ვინც არ აკეთებდნენ აქცენტს მომხდარის სამართლებრივ შეუსაბამობაზე, მათაც ზუსტად გააცნობიერეს მომხდარის არსი. ერთი გავლენიანი მოსკოველი პოლიტოლოგის თქმით, „ელცინის რუსეთსა და გორბაჩოვის რუსეთს შორის ბრძოლა ფაქტობრივად დასრულდა შეთანხმებით საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციის შესახებ. ამ აქტით ელცინმა და რუსეთის ხელისუფლებამ თავიდან მოიშორეს გორბაჩოვი და ძველი ცენტრის ნარჩენები. უკრაინამ თავიდან მოიშორა ცენტრი, გორბაჩოვი და რუსეთი. ბელორუსია, თავისი ნების მიუხედავად, გამოძევებული აღმოჩნდა დე იურე რუსეთის სახელმწიფოს ისტორიული ბირთვიდან. გორბაჩოვისა და ცენტრის ქირურგიული მოკვეთა დიდი ხანია გადაუდებლად აუცილებელი გახდა, მაგრამ ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთმა უზარმაზარი ფასი გადაიხადა ელცინის გორბაჩოვის წინააღმდეგ ბრძოლასა და გორბაჩოვის თავიდან მოსაცილებლად“...

დავძენ – არა მხოლოდ რუსეთმა, სხვებმაც... და, სამწუხაროდ, ეს ფასი კიდევ რამდენიმეჯერ გაიზრდება შემდგომ.

16 დეკემბერს მოსკოვში ჩამოფრინდა ჯიმ ბეიკერი. მოლაპარაკება გამართა ელცინსა და გორბაჩოვთან. მერე ჩვენ შევხვდით პირისპირ. ჩაწერა არ მიმდინარეობდა. ეს იყო გამოსათხოვარი შეხვედრა. ბეიკერმა უპასუხა კითხვას, რომელიც დიდი ხანია, მაწუხებდა.

— რაც ახლა ხდება, — თქვა მან, — უნდა მომხდარიყო, ოღონდ სავარაუდოდ, უფრო საშინელი შედეგებით. თქვენ გეყოთ გამბედაობა დაგეწყოთ პროცესი, რომელიც აუცილებლად მიიყვანს ამ ქვეყნის ხალხებს ბედნიერებამდე და აყვავებამდე.

18 დეკემბერს ელცინი გაფრინდა იტალიაში, თანაც დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება საკავშირო დიპლომატიური უწყების ქონების რუსეთის იურისდიქციაში გადაცემის შესახებ.

19 დეკემბერს ანდრეი კოზირევის მოადგილე გიორგი კუპაძე შემოვიდა ჩემს (თუმცა ჩემი აღარ იყო) კაბინეტში, რომ წარმოედგინა ჩემთვის რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულება.

— მე ნაბრძანები მაქვს, შეგითანხმოთ იგი.

მე შევეკითხე, რა მომეთხოვებოდა.

— ქონების გადამცემი კომისიის ჩამოყალიბება და ნებართვა, რომ სართულზე ჩემი ხალხი დავაყენოთ.

— ინებეთ, — ვუთხარი მე, — ერთადერთი ჩემი თხოვნა შეეხება კოლექტივს. ნუ იქნებით მეტისმეტად მკაცრი მის მიმართ.

— ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი რჩევებით საკადრო საკითხებში.

— არის კი საჭირო? თქვენ ხომ ხალხს ჩემზე ნაკლებად არ იცნობთ.

ისტორიული დამთხვევა — 1991 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, დაასრულა არსებობა მის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირმა, რომელსაც ერთი წლის შემდეგ სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა. ალმა-ატაში ყოფილი საბჭოთა კავშირის თერთმეტი რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ბელოვეჟის შეთანხმებას.

* * *

საბჭოთა კავშირმა რამდენიმე ეპოქა გამოიარა, თითოეული მათგანის სახელდებას ახდენდა კონკრეტული პერიოდის მთავარი ლოზუნგი, რომელსაც წინა პლანზე წამოსწევდა ხოლმე რომელიმე ბელადი.

ასე იკვეთებოდა თავისი უბედურებებით თუ კეთილდღეობით დიდი ქვეყნის ისტორიული პერიოდიზაცია: კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის, კულტურული რევოლუციის, დიდი სამამულო ომის, ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენის, პიროვნების კულტის, კოსმოსში გასვლის, ვოლუნტარიზმის, უძრაობის, გარდაქმნის ეპოქები... და ყოველთვის „ეპოქის ცვლას“ განაპირობებდა რამდენიმე ადამიანის ნება, ცვლილებათა ზემოდან დეკრეტირება. ისინი კი, ვისთვისაც კეთდებოდა ეს ყველაფერი, უსიტყვო მასის ან აღტაცებული ქოროს როლს ასრულებდნენ.

რაღაც ამის მსგავსი მოხდა ამჯერადაც და მე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ამ გზით შექმნილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ნამდვილად იქნებოდა თანამეგობრობა — მისი დაბადებისას დანგრეული იმპერიის ხარბმა გენებმა მეტისმეტად აშკარად გამოავლინეს თავი.

როგორი სახელწოდება ექნებოდა ახალ ეპოქას, არ ვიცოდი. დარწმუნებით მხოლოდ ერთი რამის მტკიცება შეიძლებოდა: იგი, როგორც ყველა მანამდე არსებული, გორბაჩოვ-ელცინის მეტოქეობით უარყოფდა მეცნიერული მარქსიზმის იმ დებულებას, რომელიც უგულებელყოფდა პიროვნების როლს ისტორიაში — უკეთეს შემთხვევაში, მას მხოლოდ მასების ნების შემსრულებლის ფუნქციას აკისრებდა.

ასე დაინგრა მეოცე საუკუნის ბოლო იმპერია — საბჭოთა კავშირი — სისხლიანი, უტოპიური, ღვთის ნებისა და ბუნებრივ კანონთა საწინააღმდეგოდ შექმნილი. თუ რუსეთის იმპერიაზე ნათქვამი ლენინის სიტყვებით ვიტყვით — „ხალხთა საპყრობილე“, ხოლო თუ საბჭოთა კავშირზე ნათქვამი რეიგანის სიტყვებით — „ბოროტების იმპერია“.

* * *

მეოცე საუკუნემ დაამთავრა ერთი თავისი ისტორიული მისია — იმპერიები დაშალა — დაწყებული დიდი ბრიტანეთის იმპერიითა და საბჭოთა იმპერიით დამთავრებული.

ისტორიის ეს კანონზომიერება, რომ ნებისმიერი იმპერია ადრე თუ გვიან უნდა დაინგრეს, რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, უცხოელი

სოვეტოლოგებით დაწყებული და კომუნისტური სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგებით დამთავრებული. ვიცოდი მეც, მაგრამ რაც უნდა ვთქვა, ამ პროცესის ასე სწრაფად განვითარებას მაინც არ ველოდი.

ზემოთ უკვე ვწერდი, რომ საბჭოთა კავშირის სხეულში ძალადობით იყო ჩადებული ურთიერთშეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი მომენტები, რომლებმაც იგი დაანგრია კიდეც: მასში შეყვანილი ხალხების, სახელმწიფოების, კულტურათა და რელიგიათა პრინციპული განსხვავებულობა, ეკონომიკის კანონების უგულებელყოფა, უტოპიური იდეოლოგიური დოქტრინების შესაბამისად მსოფლიოს მეექვსედის ცხოვრების აწყობა, პრეტენზია მსოფლიო ბატონობაზე, ადამიანის პიროვნული უფლებებისა და ისტორიაში თავად პიროვნების როლის არცნობა და რაც მთავარია, დროის ძირითადი მოთხოვნების ვერგაგება და არგათვალისწინება. ყველაფერი ეს ერთად დაგროვდა და შექმნა ფეთქებადი სიტუაცია, რამაც არაპროგნოზირებადი შედეგების მოლოდინით დასავლეთის ის ძალებიც შეაშფოთა, რომელთათვისაც საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერია" გახლდათ.

გორბაჩოვის „პერესტროიკის" ისტორიული მისია, ისევე როგორც ჩემი პოლიტიკური როლი, ამ მძიმე პროცესის დარეგულირება და დროსთან მისადაგება იყო, მაგრამ სისტემურად ვაგვიანებდით და ამ დაგვიანების შედეგები მეტად მძიმე აღმოჩნდა. მშვიდობიანი დემონტაჟი მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა — რისი მიზეზიც სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი გახლდათ.

სამწუხაროდ, საბჭოთა იმპერიის დანგრევამ არ გააქრო იმპერიული სულისკვეთება. კონკრეტული პირების ქმედებით დაწყებული და რუსეთის სახელმწიფო გადაწყვეტილებებით დამთავრებული, იმპერიული სული ისევ ცოცხლობს. ყოველივე ამან მეტად მძიმე შედეგები მოუტანა ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებს, რომელთაც დამოუკიდებელი სახელმწიფოები შექმნეს.

მძიმე შედეგები მოუტანა მან ჩემს ქვეყანას, საქართველოსაც.

საქართველოში შიდაკონფლიქტების საწყისები სწორედ რუსეთის იმ იმპერიული ძალების პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ, რომლებიც ესწრაფოდნენ და ესწრაფვიან შეინარჩუნონ რუსეთის გეოსტრატე-

გიული კონტროლი კავკასიაში. ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა ოციანი წლების დამდეგთან შედარებით, როცა სეპარატისტული მოძრაობები აფხაზეთში და შიდა ქართლში (ე. წ. სამხრეთ ოსეთში) გამოიყენებოდა „მოძრაობის დასაწყებად“ (სერგო ორჯონიკიძისა და სერგეი კიროვის თქმით) იმპერიული ბატონობის დამყარების მიზნით. რეგიონზე მძლავრი გავლენის რეალური დაკარგვის პრობლემას რომ შეეჯახა, რუსეთმა მაშინვე აამოქმედა თავისი აგენტურა.

ახლაც გამეორდა ოციანი წლები, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოცა და საქართველოც მაინც სხვაა. ასე რომ, იმპერიულმა ზრახვებმა მხოლოდ დროებითი წარმატება შეიძლება მოუტანოს თავად ამ ზრახვათა ავტორებსა და მათ განმახორციელებლებს, თავად რუსეთს კი დიდ უბედურებად შეიძლება მიუბრუნდეს, თუ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას პრინციპულად არ შეცვლის.

საბჭოთა კავშირის ფართოდ დეკლარირებულმა დანგრევამ არ მიგვიყვანა მის ფაქტობრივ გაქრობამდე. ვფიქრობ, რუსეთის სახელმწიფოში იმპერიული აზროვნება არ გამქრალა, რუსეთი კვლავაც განაგრძობს მისთვის ჩვეულ დიქტატის პოლიტიკას. კონფლიქტები აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში (ისევე, როგორც მოლდავეთსა და აზერბაიჯანში) სწორედ ამ პოლიტიკის განხორციელება იყო. ვიცოდით, რა გველოდა, ისტორიული პრეცედენტი თვალწინ გვქონდა, მაგრამ ასეულათასობით ადამიანზე თავს დატეხილი უბედურება ვერ ავიცილეთ თავიდან, ვერ ავიცილეთ საქართველოდან ტერიტორიების დროებითი მოწყვეტა, ასეულათასობით ქართველის აყრა სამშობლოდან, აგრეთვე იმ არაქართველთა დევნილებად ქცევა, რომლებიც დღესაც სხვადასხვა ქვეყანაში გაუსაძლისი ცხოვრებით ცხოვრობენ.

მომაკვდავი იმპერიის შხამი კვლავ წამლავს ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ დროის მსვლელობას წინ ვერაფერი აღუდგება.

დაბრუნება საქართველოში

1992 წლის 7 მარტს, ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით მოსკოვიდან თბილისში გამოვფრინდი.

იმ დღეს ჩემი მეუღლის, ნანულის დაბადების დღე იყო და დილით, როგორც ყოველთვის, მივულოცე.

— ეს შენი დაბადების დღეცაა, — მიპასუხა, — დღეს ყველაფერს თავიდან იწყებ.

— არა, ეს მხოლოდ გაგრძელებაა, — ვუთხარი.

იგი არ დამეთანხმა: — შენ ბრუნდები სხვა საქართველოში, შენც სხვა ხარ და სხვანაირად ცხოვრება მოგიწევს, ვიდრე აქამდე გიცხოვრია.

მართალი იყო. მართლაც სხვა ცხოვრება მქონდა მანამდე — სხვა დროსა და სხვა ქვეყანაში. მეც სხვა ვიყავი.

1985 წლის 7 ივლისის მერე, როცა მე საშშობლო დავტოვე და მოსკოვში გადავედი, მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა. ჩვეულებრივი, დროისმიერი საზომით მხოლოდ შვიდმა წელმა იმდენი რამ დაიტია, რომ იფიქრებ, ამას რამდენიმე სიცოცხლე არ ეყოფა.

თვითმფრინავში იყო ბევრი ყვავილი და ჩემთვის უცნობი ახალი თაობა, ახოვანი, ჯანიანი ჭაბუკები, რომელნიც ეპოქების მსხვრევის წლებში წამოიზარდნენ. ზოგმა მათგანმა უკვე მოასწრო სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვა, ყველაფრისა და ყველას — მეგობრებისა და ახლობლების — დაკარგვა, ახალგაზრდული წლების უზრუნველობასთან დამშვიდობება.

რისი გულისთვის?

მომაგონდა ერთი თანამემამულის სიტყვები, რომლებიც მან 1921 წელს, სამოცდაათზე მეტი წლის წინ წარმოთქვა, იმ დღეს, როცა ჩვენმა სამშობლომ დამოუკიდებლობა დაკარგა: „ქართული დემოკრატიის მთავრობა ევროპაში გაიქცა, მან ეროვნული კატასტროფით დაამთავრა ქვეყანაში თავისი სამწლიანი მოღვაწეობა, ქვეყანაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო და ყველაფერში ენდო. დავიწყებას მიეცემიან ეს პიროვნებანი, დავიწყების ფერფლი გადაეფარება მათ შეც-

დომებს... მაგრამ უკვდავების წყლით დაპკურებული აღდგება ძველი საქართველო და მისი კვლავ მოკვდინება შეუძლია მხოლოდ მისი შვილების სულმოკლეობას...“

რა უძღოდა წინ ჩემს ჩამოსვლას? რა იყო მანამდე და სად მოვდიოდი?

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ყოვლისშემძლე სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას ქართველების რამდენიმე თაობამ შესწირა თავი. იატაკქვეშეთში იქმნებოდა და მოქმედებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციები. მცირერიცხოვნები იყვნენ ისინი, მაგრამ მაინც თავს პოლიტიკურ პარტიებს უწოდებდნენ და მათი პარტიული პროგრამები მსგავს მიზნებს ისახავდნენ, რომელთა შორის მთავარი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო.

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ასეთი ორგანიზაციები ფარულად მოქმედებდნენ საბჭოთა პერიოდშიც – ომისწინა და ომის შემდგომ წლებში. მათ ასევე ფარულად დევნიდნენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები. ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული, რომ ცნობილი გამხდარიყო მონაცემები რეჟიმის საწინააღმდეგო ეროვნული ოპოზიციის არსებობის შესახებ. ამიტომ ასეთ დაჯგუფებათა ლიდერების სასამართლო პროცესები დახურულად იმართებოდა. მხოლოდ სამოცდაათიან წლებში, როცა დისიდენტურმა მოძრაობამ საბჭოთა კავშირში ფართო მასშტაბს მიაღწია, გახდა შესაძლებელი, ეროვნული მოძრაობა იატაკქვეშეთიდან გამოსულიყო. ინტელიგენციის, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მხარდაჭერით ამ მოძრაობათა ლიდერები აყენებდნენ მოთხოვნებს, რომელთა სამართლიანობა ეჭვს არ იწვევდა: მეტი დამოუკიდებლობა ცენტრისაგან, მეტი თავისუფლება ეროვნული განვითარების, ენის, კულტურის, ისტორიის დაცვის პროგრამების განხორციელებაში. ამ მოძრაობათაგან ყველაზე რადიკალურები აყენებდნენ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევის ამოცანას, მაგრამ მათ მხოლოდ გარდაქმნის დაწყების შემდეგ შეძლეს ჩაებათ თავიანთ საქმიანობაში ფართო მასები. 1988 წლის შემოდგომისათვის საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მასობრივი ეროვნული მოძრაობა, როგორც მნიშვნელოვანი ანტიიმპერიული ძალა.

1989 წლის აპრილის შემდეგ, როცა სისტემამ ამ საერთო მის-

წრაფებას ბრძოლა გაუმართა და თბილისში მიტინგის დასაშლელად ჯარი გამოიყენა, კომუნისტურმა პარტიამ, ფაქტობრივად, დაკარგა ძალაუფლება. 9 აპრილს თბილისში დაღვრილმა სისხლმა საბჭოთა საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელებს ძალაუფლებისკენ გზა ფაქტობრივად გადაუკეტა. 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა რადიკალური ნაციონალისტური პარტიების ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, სამართალდამცველისა და ეროვნული მოძრაობის ცნობილი ლიდერის ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. იგი დიდი ქართველი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, დიდი პატრიოტი, კარგი მეცნიერი და დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ, მაგრამ სახელმწიფოს მართვის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ამან და მისი ხასიათის ზოგმა თვისებამ, დისიდენტის ძნელმა ბიოგრაფიამ, ოდიოზურმა გარემოცვამ შემდეგ ტრაგიკული როლი ითამაშა როგორც მის, ისე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

მაგრამ იმ დროისთვის ეროვნული მოძრაობა უკვე გახლეჩილი იყო. მთელმა რიგმა პარტიებმა და დაჯგუფებებმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და ახალი ხელისუფლების ოპოზიცია შეადგინეს. საჯარო გამოსვლებში ფიგურირებდა ბრალდებები ანტიდემოკრატიზმში, იმპერიული ძალების ხელშეწყობაში, „ნაციონალ-ბოლშევიზმში“, სუკ-თან თანამშრომლობაში.

1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩმა გამოძახილი პოვა თბილისის სექტემბრის მოვლენებში. გკჩპ-ს ხანმოკლე ბატონობის დღეებში გამსახურდიამ გაურკვეველი, ორჭოფული პოზიცია დაიკავა: მოსკოვის მოთხოვნით გვარდიას ოფიციალური სტატუსი მოუხსნა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარა. ამით მან მარტო კანონგარეშე კი არ დააყენა გვარდიის რომანტიკოსი მოხალისენი, არამედ ამ მომენტიდან გვარდიის სახით სერიოზული შეიარაღებული ძალა დაიპირისპირა. ეროვნული გვარდიის მნიშვნელოვანი ნაწილი გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლის, გვარდიის მეთაურის, თენგიზ კიტოვანის მეთაურობით თბილისიდან გავიდა და თბილისს გარეთ, რკონში დაბანაკდა. პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა გადადგა და გვარდიელების ბანაკში გადავიდა.

გამსახურდიას ძითითებით დახურული ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორი იელიანე ხაინდრავა წერდა ამ დღეების შესახებ: „პრეზიდენტს უღალატა მისთვის დამახასიათებელმა საფრთხის ჰიპერტროფირებულმა გრძნობამაც კი, რადგან ვერ შეამჩნია ის სასიკვდილო საშიშროება, რომელსაც შეიცავდა ტანდემი სიგუა-კიტოვანი, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ცოტად თუ ბევრად აღჭურვილ სამხედრო ძალას... მალე გამსახურდიასთან დაპირისპირებული ძალა კიდევ უფრო გაიზარდა მერაბ კოსტავას (ეროვნული მოძრაობის ეს აღიარებული ლიდერი მანამდე საეჭვო საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა – ე.შ.) საზოგადოების რაზმების ხარჯზე. ბლოკ „მრგვალ მაგიდას“ ღრმა ბზარი შეეპარა და ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ საბოლოოდ დაკარგეს რეალობის გრძნობა... ჩაკეტილი ცხოვრება მრავალრიცხოვანი მტრებისა და მოჩვენებითი მეგობრების ლანდებს შორის, თანმიმდევრობითი კურსი კონფრონტაციისა და შეურიგებლობისკენ, უხეშ ძალაზე დაყრდნობა და ამ ძალის თანდათანობითი, მაგრამ განუხრელი დაკარგვა აჩქარებდა რეჟიმის დასასრულს“.

სექტემბრისთვის დაპირისპირება უკვე ქუჩაში გადმოიღვარა. 2 სექტემბერს თბილისში, კინოს სახლთან, განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის წარმომადგენლებმა ცეცხლი გაუხსნეს ოპოზიციის მიერ ორგანიზებული მიტინგის მონაწილეებს. იყვნენ დაჭრილები. ხალხის წინააღმდეგ საბჭოთა ძალადობით გამოწვეული სახალხო მრისხანების ტალღაზე ხელისუფლებაში მოსულმა რეჟიმმა თვითონვე მიმართა ძალადობას. ამჯერად უკვე არა „რუსმა ოკუპანტებმა“, არამედ პრეზიდენტმა, ქართველმა, ყოფილმა დისიდენტმა აღმართა ხელი თანამემამულეების წინააღმდეგ. ამას მეტად მწვავე რეაქცია მოჰყვა.

11 სექტემბერს საქართველოს 27-მა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მიიღო განცხადება, რომლითაც მოითხოვეს პრეზიდენტის გადადგომა. „დაუმორჩილებელი“ ეროვნული გვარდიის სარდალმა, თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ თუ 2 სექტემბრის მსგავსი ძალისმიერი აქცია განმეორდება და პრეზიდენტი შეეცდება ძალით შეინარჩუნოს ხელისუფლება, გვარდია გულგრილი არ დარჩება.

16 სექტემბერს თბილისში დემოკრატიის აღდგენისა და გამსახურდიას გადადგომის ლოზუნგით მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. კონტრმიტინგი გამართეს პრეზიდენტის მომხრეებმაც. იმ და შემდგომ დღეებში ხელისუფლებამ დააპატიმრა ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი. რუსთაველის პროსპექტზე ოპოზიციამ ბარიკადები აღმართა. 21-22 სექტემბერს გამსახურდიას მხარდამჭერთა ათასიანმა ბრბომ გაანადგურა ოპოზიციური პარტიების შტაბბინები, დაჭრა და სცემა ათობით მათი მომხრე.

კიტოვანის ეროვნული გვარდიის ნაწილები ქალაქში შემოვიდნენ და ტელერადიოდეპარტამენტის შენობასთან დაბანაკდნენ. ეს შენობა თავიდანვე ოპოზიციას ეკავა. მიზანი იყო პროტესტის მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დაცვა, მაგრამ რეჟიმის იდეოლოგებმა ბრუნვაში გაუშვეს „პუტჩის“ ვერსია, რომელიც თითქოს მოსკოვის მიერ იყო ორგანიზებული. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლების გამო განუწყვეტლივ ხდებოდა საპასუხო ზომების პროვოცირება, თუმცა ოპოზიცია მაინც მოუწოდებდა მოლაპარაკების დაწყებისაკენ. იყო გამსახურდიასთან მოლაპარაკების რამდენიმე მცდელობა, ზოგჯერ ამ მოლაპარაკებების წარმატებულ დასრულებას თითქოს წინ არაფერი ედგა, მაგრამ ბოლო მომენტში ყველა შეთანხმება ყოველთვის ირღვეოდა.

პრეზიდენტის მოწოდებით ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან, ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან, თბილისში ჩამოდიოდნენ შეიარაღებული რაზმები და მოქალაქეთა ჯგუფები. რეჟიმი მობილიზაციას ახდენდა მოსკოვის აგენტებთან ბრძოლის ლოზუნგით. რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლთან გაშალეს კარვები — გამსახურდიას დამცველთა დროებითი საცხოვრებელი. ხელისუფლება განურჩევლად ურიგებდა იარაღს რეგიონებში შექმნილი „საძმოების“ წარმომადგენლებს. გამძვინვარებული ადამიანები ჯგუფებად დაძრწოდნენ ქალაქში და თავს ესხმოდნენ ყველას, ვინც „ანტიზვიადისტად“ ეჩვენებოდათ. 4 და 5 ოქტომბერს კვლავ გაუხსნეს ცეცხლი მშვიდობიან დემონსტრაციას და ისევ იყო მსხვერპლი. ხელისუფლებამ ამაში ოპოზიცია დაადანაშაულა.

დეკემბრის დამდეგს სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. დაიწყო ბრძოლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, ყოველივე მომხდარის საკუთარი ვერსიის ხალხამდე მიტანის შესაძლებლობისთვის. საქმე აშკარა შეტაკებისკენ მიდიოდა. მდგომარეობას ართულებდა კონსტიტუციური ჩიხი. აბსოლუტურმა უმრავლესობამ პარლამენტში უზრუნველყო ისეთი კანონის მიღება, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავდა იმპიჩმენტის ნორმალური პროცედურის დაწყების შესაძლებლობას. რჩებოდა მხოლოდ პრეზიდენტის კეთილი ნების იმედი, რომ იგი დათანხმდებოდა და განცხადებას გააკეთებდა გადადგომის თაობაზე. ეს უმტკივნეულოდ გადაწყვეტდა კრიზისს.

კეთილი ნება არ აღმოჩნდა. ამოეწურათ მისი მარაგი ავტორიტარული რეჟიმის მოწინააღმდეგეებსაც. თავისი მოქმედებით გამსახურდიამ თვითონ შექმნა ოპოზიცია და თვითონვე მოახდინა მისი კონსოლიდაცია.

22 დეკემბერს მთავრობის სახლიდან ცეცხლი გაუხსნეს გვარდიელების ჯგუფს, რომლებიც შენობას მიუახლოვდნენ, რომ კიდევ ერთხელ შეეთავაზებინათ მოლაპარაკების დაწყება. გვარდიამ მთავრობის სახლისაკენ წაიწია და რუსთაველის პროსპექტზე დახვავებული ბარიკადების დაშლა და ჩახერგილი მანქანების გათრევა დაიწყო. მთავრობის სახლის სარდაფიდან („ბუნკერი"), სადაც ოდესღაც განლაგებული იყო სასადილო და მთავრობის სახლის სამეურნეო სამსახურები, გამსახურდიამ ხალხს მოწოდებით მიმართა, დახმარებოდნენ, მაგრამ არავინ გამოეხმაურა.

„რუსთაველის პროსპექტზე ორკვირიანი ომი" დამთავრდა ქალაქის ამ მთავარი მაგისტრალის დანგრევით, ბრძოლის ასობით მონაწილის დაღუპვით და პრეზიდენტის თბილისიდან გაქცევით. საქართველოს ფარგლებს გარეთ რომ აღმოჩნდა, მან თავის მომხრეებს წინააღმდეგობისკენ მოუწოდა.

„საქართველოს კვლავ მოკვდინება შეუძლია მისი შვილების სულმოკლეობას"... არა, სულმოკლეობას არ შესჯახებია იგი ჩვენს დროში, — მას აკვდინებს სიძულვილი და გაბოროტება, მძვინვარება და სასოწარკვეთა და თანაც არა მარტო მისი შვილების.

ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი — ვინ

იყო იგი? რისთვის მოვიდა ხელისუფლებაში და სათავეში ჩაუდგა მას? რას მიაღწია უმაღლეს პოსტზე ყოფნის დროს და რატომ აღმოჩნდა დევნილობაში? რა გახდა მისი თავბრუდამხვევი აღმასვლისა და არანაკლებ შემაძრწუნებელი ფიასკოს მიზეზი? რა კვებავს განდევნილი პრეზიდენტის ათასობით თაყვანისმცემლის მისადმი უსაზღვრო რწმენას?

ამ კითხვებზე მრავალი პასუხი არსებობს: ზოგი გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის პატრიარქს უწოდებს, სხვები – „სატანის მოციქულს"; ბევრი ხატავს მას როგორც სიკეთისა და სამართლიანობის რაინდს, ამდენივე – როგორც სიმხდალისა და ვერაგობის განსახიერებას.

მიუხედავად იმისა, ვინ არის მართალი ამ კამათში, ერთი უდავოა: ზვიად გამსახურდია იმდენად რთული ფენომენია, რომ შეუძლებელია მისი განსჯა უბრალოდ და ცალმხრივად. დაუშვებელია შავთეთრი ფერებით დავხატოთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტი.

ჩემს სიტყვებს გავიმეორებ: „ზვიად გამსახურდია, უპირველესად, ტრაგიკული ფიგურა იყო, რომლის პირადი ტრაგედიაც მსოფლიო სიდიდის ტრაგედიებს შეიძლება შევადაროთ."

ზვიადი მოვიდა „ხავერდოვანი" რევოლუციების ტალღაზე, 80-იანი წლების ბოლოს, როცა სოციალისტურ სამყაროში განახლების ნიავმა დაუბერა. აღმოსავლეთ ევროპაში მასების ნებისა და აღტყინების გამომხატველნი ანტიკომუნისტური კოალიციები უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდნენ. სწორედ ამ დროს მოვიდნენ ხელისუფლებაში „სამოქალაქო ფორუმი" ჩეხოსლოვაკიაში, „სოლიდარობა" – პოლონეთში, „საიუდისი" – ლიტვაში, „სახალხო ფრონტები" ესტონეთსა და ლატვიაში. 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა „მრგვალი მაგიდის" რაინდებმა გააუქმეს კომუნისტური იდეოლოგია და „ეროვნული იდეა" წამოაყენეს. მათი მისწრაფება – აღედგინათ ეროვნული თვითმყოფადობა – გამოვლინდა ეროვნული ცნობიერების საწყისებისკენ მიბრუნებით, მაგრამ ანტიკომუნისტებმა სახელმწიფოს მართვისას ვერ შეძლეს რაიმე არსებითად ახალი შეექმნათ და იძულებულნი

გახდნენ, მიებაძათ ძველისთვის. გამსახურდიას ხელისუფლების ქმედება კომუნისტური ელფერი დაჰკრავდა.

ზვიად გამსახურდიამ ფრიად ოსტატურად გამოიყენა მასობრივ ფსიქოლოგიაში ჩადებული კომპლექსები. პრეზიდენტ-სასწაულმოქმედის ნებით ათასობით ლუმპენმა მიიღო თვითრეალიზაციისა და ახალი არისტოკრატების როლში დამკვიდრების შანსი. ზვიადს შეეძლო გადაექცია რეციდივისტი მინისტრად, ვეტერინარი – იურისტად, მომღერალი-მედოლე – სახელმწიფო მოღვაწედ, სტომატოლოგი ან მხატვარი – სამხედრო გენიად და სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს „უბრალო ადამიანებში“ მის ზებუნებრივ შესაძლებლობათა რწმენა. „პრეზიდენტი-სასწაულმოქმედი“ მათთვის იქცა გადარჩენისა და ახალი ცხოვრების დაწყების თავისებურ გარანტად. „ზვიადიზმმა“ რელიგიური შეფერილობა შეიძინა და რელიგიურ სექტას დაემსგავსა.

ზვიად გამსახურდია ჩვენი საზოგადოებისთვის დღესაც დიდ პრობლემად რჩება და სწორედ ამიტომ საზოგადოების ნაწილს უნდა უგულებელყოს, დაამციროს ან მიჩქმალოს მისი ფენომენი, ამით კი იმათ ემსგავსებიან, ვინც თივის ზვინში ცეცხლის დამალვას ცდილობს.

გამსახურდიას ფენომენის ახსნა არ ძალუძთ არც „ზვიადისტებს“ და არც „ანტიზვიადისტებს“. მხოლოდ ამ სნეულებისაგან განკურნებულ საზოგადოებას შეუძლია საღად იმსჯელოს 1990-91 წლების მოვლენებსა და მათ მთავარ მოქმედ პირზე, რომელიც ყველა არსებული თუ არარსებული ნაკლის მიუხედავად საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც მისი პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და წინააღმდეგობრივ მოვლენათა წინაშე დამარცხებულმა თავი მოიკლა. მიზეზი თუ მიზეზები ამ თვითმკვლელობისა საძიებელია და დასადგენი.

ზვიად გამსახურდიას მე კარგად არ ვიცნობდი, პირისპირ ერთი თუ ორი ეპიზოდური შეხვედრა გვქონდა და ასევე ერთი თუ ორი სატელეფონო საუბარი. სამაგიეროდ, კარგად ვიცნობდი მამამისს – კონსტანტინე გამსახურდიას.

დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გამსახურ-

დია სიცოცხლეშივე ქართული ლიტერატურის კლასიკოსად იყო აღიარებული. მის რომანებზე გაიზარდა და დარწმუნებული ვარ, შემდგომშიც გაიზრდება ქართველების არაერთი თაობა. მან უმაღლესი განათლება გერმანიის ერთ-ერთ უძველეს უნივერსიტეტში მიიღო და კომუნიზმის შეურიგებელი კრიტიკოსი გახლდათ. თავის დროზე იგი მწვავე წერილებს სწერდა ლენინს, შემდგომ მიწერ-მოწერა ჰქონდა ლავრენტი ბერიასთან სტალინური პრემიის მინიჭების თაობაზე ლიტერატურის დარგში, რომელიც მას არაკეთილმოსურნეებმა არ მისცეს. სცადა სტალინზეც დაეწერა რომანი – „ბელადი", მაგრამ მას მაინც ისტორიულ-პატრიოტულმა პროზამ მოუპოვა სახელი და დიდება.

ერთხელ მან მეც მომწერა ბარათი ჩემი საახალწლო მილოცვის პასუხად. მე მგონი, ეს წერილი ღირს იმად, რომ აქ მოვიყვანო. აღწერილი მოვლენების კონტექსტით მას ბევრი რამის თქმა შეუძლია:

„ღრმად პატივცემულო, ყოველი ქართველის დიდებულო მეგობარო, ბატონო ედუარდ!

დიდი მადლობა მოლოცვისათვის.

ჩვენ ვამტკიცებთ: გიორგი ბრწყინვალისა[20] და ბაგრატ მეხუთის[21] შემდეგ საქართველოს არ ღირსებია ასეთი მამაცი მთავრობა.

თუ განგება მომცემს საშუალებას – მე საქმით დავამტკიცებ ამას ამ ქვეყანაში.

მრავალი წლის განმავლობაში მე მემუქრებოდნენ დაპატიმრებით და დახვრეტით ცკ-ს მდივნები: მამულია, ლ. ღოღობერიძე, ფ. მახარაძე, მ. კახიანი, ა. მგელაძე. და ბოლოს, როგორც მე გავიგე შემდგომ, სტალინი განრისხდა მათზე: მოეშვით ამ კაცს მისი მწევრებითა და ქორებითო[22]. სხვა ასეთი მწერალი ჩვენ არ გვყავსო. ერთხელ, მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ა. მგელაძემ ბოდიში მომიხადა, ჩემს არქივში არის მისი წერილი.

---

[20] გიორგი ბრწყინვალე, საქართველოს მეფე 1314-1346 წლებში.

[21] ბაგრატ მეხუთე. საქართველოს მეფე 1360-1393 წლებში.

[22] კონსტანტინე გამსახურდია ტრადიციული ქართული ნადირობის ტრფიალი გახლდათ.

მდაბლად გიხრით თავს და ვუსურვებ ქართველ ხალხს დიდხანს გიხილოთ თქვენ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ხელმძღვანელად. ჩემი საახალწლო თხოვნა: დაეხმარეთ დავით გარეჯს და ქართულ ხელნაწერებს.

საუკუნოდ თქვენი ერთგული

კონსტანტინე გამსახურდია
კოლხური კოშკი
1974.7.1"

გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როდესაც ერთერთმა თბილისელმა მეგობარმა გამოაქვეყნა ეს ტექსტი, ზვიადი გაცეცხლდა. უბრძანა მის მორჩილ გაზეთებს, გამოექვეყნებინათ განცხადება, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მამამისი დასაწყისში ნამდვილად კეთილად იყო განწყობილი ჩემდამი, მაგრამ შემდეგ გული გაუტყდა და მაკრიტიკებდა. გულწრფელად ვამბობ, ამგვარი რამ არ მახსოვს.

თავისი მმართველობის დღეებში და საქართველოდან გაქცევის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ გამოაქვეყნა რამდენიმე ღია წერილი — „საბრალდებო დასკვნა" ჩემს „საქმეზე" და მოითხოვდა, პასუხი გამეცა თითოეულ წარმოდგენილ პუნქტზე. მე არ ვუპასუხე. როცა პრინციპული პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა პირადი შეურიგებლობის სიბრტყეში გადაჰყავდა, იგი მე მიბიძგებდა, გამომექვეყნებინა მისთვის ნაკლებად სასიამოვნო დოკუმენტები, რასაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა მისი სახელისთვის — დაეძაბა საქართველოში ისედაც გართულებული სიტუაცია. 1991 წლის დეკემბერში გამსახურდიამ მოახერხა სუკ-ის არქივების განადგურება, მათ შორის — ლიტერატურის მუზეუმში დაცული სუკ-ის არქივისაც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს წარსულის ზოგიერთი კვალისა და ნიშნის სრულ წაშლას.

მე ახლაც არ შევეხები მისი ბიოგრაფიის ფართოდ ცნობილ ფაქტებს. შეიძლება, მცირე შტრიხის სახით — არა იმდენად ზვიად გამსახურდიას პორტრეტისათვის, რამდენადაც იმ დროისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, — მოვიყვანო მხოლოდ ორი სატელეფონო საუბარი.

პირველი შედგა 1991 წლის 12 მარტს. მე უკვე გადამდგარი

ვიყავი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან. საქართველოდან შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა. 1990 წლის დეკემბერში მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნა თავისი დადგენილებით ამ აქტის უკანონობა და გააუქმა ავტონომია, ეს იყო მაშინდელი დროისათვის დამახასიათებელი „კანონთა ომის“ ტიპური გამოვლინება, რომელიც ან წინ უსწრებდა კონფლიქტებს, ან მათი თანმხლები იყო. როგორც რესპუბლიკის შექმნა, ისე ავტონომიის გაუქმება, ჩემი აზრით, იყო მოუფიქრებელი ნაბიჯი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია საბრძოლო მოქმედების ესკალაცია და სისხლის ღვრა. მოსკოვში განიხილებოდა საკითხი კონფლიქტის ზონაში საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების შეყვანის შესახებ. მე ვუთხარი გორბაჩოვს, რომ ეს ზომა საქართველოში სამოქალაქო ომს გამოიწვევდა, ყოველ შემთხვევაში, რა ზომებიც უნდა დაიგეგმოს, საჭიროა საქართველოს ხელმძღვანელობის თანხმობა.

ასეც გაკეთდა. სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ანატოლი ლუკიანოვმა დაურეკა გამსახურდიას და წაუკითხა მას ბრძანებულების პროექტი, რომლითაც უქმდებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობისა და საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებები. მესამე პუნქტი ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების შეყვანას. გამსახურდია დაეთანხმა.

სატელეფონო საუბრისას მან მთხოვა გამეკეთებინა განცხადება ცხინვალის რეგიონში მოვლენების თაობაზე.

მე უარი განვუცხადე:

— ჯერ ერთი, ამგვარი განცხადება დიდ სამსახურს გაუწევდა იმ ხალხს მოსკოვში, ვინც სპეკულირებს ჩემი გადადგომით და მას უკავშირებს მოვლენებს საქართველოში; მეორეც, — იგი ცეცხლზე ნავთს დაასხამდა. დაბოლოს, — რაც მთავარია, — თქვენ გსურთ, მე დამაკისროთ პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებისათვის, რომელიც

თქვენ მიიღეთ, მე არ მიმაჩნია იგი სწორად — ავტონომიის გაუქმებისათვის ხანგრძლივი და ძვირი ხარკის გადახდა გახდება საჭირო.

გამსახურდიამ დაიწყო ლაპარაკი გორბაჩოვის ბრძანებულებაზე — შინაგანი ჯარების შეყვანას კონფლიქტის ზონაში შეუძლია მკვეთრად გააუარესოსო სიტუაცია.

— ბრძანებულება თქვენთან შეათანხმეს, — შევახსენე მე.

— ეს მართალია, — დაადასტურა გამსახურდიამ, — მაგრამ მე მესამე პუნქტზე თანახმა არ ვიყავი.

— მაშინ არ უნდა დათანხმებულიყავით მთლიანად ბრძანებულებას და ყოველი შემთხვევისათვის, ამ დოკუმენტის თქვენთან განხილვის ფაქტის შესახებ ხალხი ჩაგეყენებინათ საქმის კურსში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს არ გაკეთდა.

დასასრულ, გამსახურდიამ მკითხა, ხომ არ შემეძლო უკან წამეღო განცხადება გადადგომის შესახებ და დავრჩენილიყავი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე.

— იქ თქვენ სარგებლობას მოუტანდით საქართველოს.

— ეს შეუძლებელია, — ვუპასუხე მე. — უნდა გამიგოთ, მე არ შემიძლია სიტყვის უკან წაღება.

რამდენიმე ხნის შემდეგ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ გორბაჩოვს მოსთხოვა ცხინვალში სამხედრო წესების შემოღების შესახებ ბრძანებულების გამოცემა. მე მას გადავათქმევინე, ავუხსენი, რა მოჰყვებოდა ამას, მაგრამ კონფლიქტი ფართოვდებოდა. ათასობით ლტოლვილი ტოვებდა ამ აყვავებულ მხარეს, რომელიც პოლიტიკოსებმა ბრძოლის ველად აქციეს.

გამსახურდიამ კვლავ მოისურვა ჩემთან ლაპარაკი. ეს იყო 1991 წლის 6 აპრილს, შაბათს. მე საქმეებს ჩამოშორებული ვიყავი და გორბაჩოვთან არავითარი კონტაქტი აღარ მქონდა.

ყურმილი რომ ავიღე, გამსახურდიას ყვირილისგან ლამის გავარვარდა. ზოგიერთი რამ მაინც გავარჩიე: ჩემგან მოითხოვდნენ, რომ მე მიმეღწია იმ გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, რომელიც საქართველოში ჯარის შეყვანას ითვალისწინებდა.

— ბატონო ზვიად, — ძლივს მოვახერხე სიტყვის ჩართვა, — მე რატომ მირეკავთ? დაურეკეთ გორბაჩოვს. მე მხოლოდ პენსიონერი

ვარ, ამ ქვეყნის არც ერთ ხელმძღვანელთან ურთიერთობა აღარ მაქვს და ვერაფერზე ვახდენ გავლენას...

— გააკეთეთ განცხადება მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე!

— რომ როგორმე გავათეთრო თქვენი პოლიტიკა, რომელსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები და ვიკისრო პასუხისმგებლობა თქვენი მოქმედებისთვის?

— თქვენ... თქვენ განაწყვეთ ჩემს წინააღმდეგ ბეიკერი და სხვა უცხოელები! 89-ის აპრილში თქვენ ჩამოხვედით თბილისში, რომ გადაგერჩინათ გორბაჩოვი! როცა ლიძავაში ცეცხლს უკიდებდნენ გამსახურდიას სახლს, თქვენ ხელიც არ გაანძრიეთ!

— მომეცით სიტყვის თქმის საშუალება!

— თქვენ ამდენი რამ გააკეთეთ ამ ქვეყნისათვის, მან კი გამოგაგდოთ!

— მიუხედავად ამისა, რაც მე გავაკეთე, დარჩება ჩვენს ხალხს!

— თუ თქვენ არ მიაღწევთ საქართველოდან ჯარის გაყვანას — სამუდამოდ დაკარგავთ საქართველოს და საკუთარ ხალხს! მე გამიძნელდება მისი შეკავება! აქამდე ვაკავებდი, ახლა კი აღარ გავაკეთებ! ყველა თქვენს ახლობელს გავაძევებთ!

— ნება თქვენია, ზვიად, მხოლოდ უნდა იცოდეთ, რომ ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე ვერ დამიშლის სამშობლოში დაბრუნებას.

* * *

როცა საქართველოს ხელისუფლებაში გამსახურდია მოვიდა, მას მილოცვის დეპეშა გავუგზავნე. ჩემთვის მის შესახებ ცნობილი იყო ბევრი ისეთი რამ, რასაც უნდა შევეჩერებინე ასეთი ნაბიჯისაგან, მაგრამ მაინც მივეცი თავს ამის უფლება. ეს მილოცვა მხოლოდ გამსახურდიას კი არ ეკუთვნოდა, არამედ ხალხს, რომელმაც 1921 წლის მერე პირველად, კომუნისტური ტრადიციის საწინააღმდეგოდ, თავისუფლად გამოხატა თავისი ნება. „სწორია თუ არა მისი არჩევანი, ამაში თვითონ უნდა დარწმუნდეს“, — ასე ვფიქრობდი იმ მომენტში და აზრი არ ჰქონდა მეთქვა: „თქვენ შეცდით“...

რაც უნდა ემტკიცებინა ჩემ შესახებ ზვიადისტურ პროპაგანდას, მე არასოდეს წავსულვარ ჩემი ხალხის წინააღმდეგ. მართალია,

ყოველთვის არ ვეთანხმებოდი, მაგრამ „კრემლის №1 აგენტი“ ხალხის ინტერესებს არასოდეს უგულებელყოფდა. ბოლო წლებში გამსახურდიამ გამოაქვეყნა რამდენიმე „საბრალდებო დასკვნა“ „ბრალდებათა“ სტანდარტული ანაკრებით. მე რომ უარყოფის სენით ვყოფილიყავი დაავადებული, ყოველგვარი გართულების გარეშე გაუფანტავდი მთელ ამ სიცრუეს. ყველაზე უარესი ის არის, რომ იგი იყენებდა ამას მოტყუებული და სასოწარკვეთილი თანამემამულეების ცნობიერებით მანიპულირების მიზნით.

1991 წლის 15 დეკემბერს, როცა დაპირისპირებამ თბილისში კულმინაციას მიაღწია, მან გამომიგზავნა მოსკოვში ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილი ქართველების ჯგუფი. კონფლიქტის შედეგად ბევრმა მათგანმა დაკარგა ნათესავები, საცხოვრებელი, წინაპართა საფლავები, თავისი მამული. ვინ უნდა დაედანაშაულებინათ ამაში, თუ არა ის, ვინც ერთმანეთს მიუსია ქართველები და ოსები? მაგრამ მათ შთააგონეს: „ყველაფერ ამაში შევარდნაძეა დამნაშავე!“ და ისინი მოვიდნენ ჩემთან ჩემი „ცოდვების“ გრძელი ჩამონათვალით, რომელიც მათ გამსახურდიამ გადასცა. მათთან რომ ვლაპარაკობდი, მე ვესაუბრებოდი არა მხოლოდ მათ, არამედ მთელ ჩემს ხალხს.

სხვათა შორის, ვიცოდი, რა მწარე შეცდომა იყო ომის დაწყება სამხრეთ ოსეთში და შემდეგ, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა უკვე საქართველოში ვიყავი, მე ბოდიში მოვუხადე ოსებს ყოვლად გაუმართლებელი და დანაშაულებრივი გადაწყვეტილებისათვის. ვფიქრობ, მათაც უნდა მოუხადონ ბოდიში ქართველებს ამ კონფლიქტის პროვოცირებისათვის. ყველამ თავის სულში ჩაიხედოს.

მოლაპარაკების დროს და პირად საუბრებშიც ჩემი პარტნიორები ხშირად ინტერესდებოდნენ, რა აზრის ვიყავი გამსახურდიას შესახებ. ყოველ მათგანს შეუძლია დაადასტუროს: მათ კითხვებზე, ზოგჯერ ფრიად დაბეჯითებულზეც კი, მე ვპასუხობდი, რომ პატივს ვცემ ხალხის არჩევანს.

მხოლოდ 1991 წლის 2 სექტემბრის შემდეგ, როცა თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის გარეკვის დროს ძალა იქნა გამოყენებული და სისხლიც დაიღვარა, როცა ოპოზიციის ლიდერები ციხეში გამოამწყვდიეს, როცა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა „ერის

მტრების“ პროსკრიფციული სიები (6 სექტემბრის ამ სიაში პირველი ნომრით მეც აღმოვჩნდი), როცა მან ერთმანეთს მიუსია პროვინცია და ცენტრი, სოფლის მცხოვრებნი – ქალაქელებს, მუშები და გლეხები – ინტელიგენციას, ერთი სიტყვით, როცა სრულიად ნათელი გახდა, რომ საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, თავისუფლების ყოფილმა ქომაგმა, ნაციონალ-ფაშისტური ტიპის რეჟიმი დაამყარა, თავს უფლება მივეცი მეთქვა სატელევიზიო ინტერვიუში, რომ ამას წინასწარ ვვარაუდობდი.

შეიძლება, დამადანაშაულონ და კიდეც მადანაშაულებენ იმაში, რომ ყველაფერი ეს ადრევე არ ვთქვი. ზოგიერთი აქედან ღრმააზროვან დასკვნას აკეთებს: შევარდნაძე დუმდა იმიტომ, რომ იცოდა, რითიც დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, – მეტიც, მოვლენებს თავისთვის საჭირო მიმართულებით უბიძგებდაო. ყველაფერი ეს გამსახურდიას პასაჟებს ეხმაურება – შევარდნაძის ხელმძღვანელობით მოსკოვის რაღაც ანტიქართული შტაბის თაობაზე, „მოსკოვის ხელზე“, რომლითაც იგი პრეზიდენტის სავარძლიდან მოისროლეს.

ღმერთო ჩემო, ვფიქრობ ჩემთვის, რა იქნებოდა, რომ ექსპრეზიდენტს გამოექვეყნებინა მის ხელთ არსებული „მონაცემები“ – თუნდაც ერთი ფაქტი, რომ მე მერწმუნა საკუთარი მონაწილეობა მის მიერვე პროვოცირებულ აფეთქებაში. არ შეიძლება, მას არ სცოდნოდა, რომ მოსკოვში ჩემთან ბევრი ვინმე მოდიოდა და თანაც არა მარტო მეგობრები. მოდიოდნენ პრეზიდენტის გარემოცვიდანაც, არცთუ იშვიათად მისივე თანხმობით და მთხოვდნენ მხარი დამეჭირა მისთვის. ყველას ვეუბნებოდი, რომ მხარდაჭერა იქნება ერთადერთი პირობით: თუ გამსახურდიას პოლიტიკა ჩაეწერება პასუხისმგებელი და ცივილიზებული სახელმწიფო ქცევის ნორმებში. სამწუხაროდ, ვერ ჩაეწერა...

მიუხედავად ამისა, მხარდაჭერა მაინც იყო. მხარს ვუჭერდი არა იმდენად გამსახურდიას, რამდენადაც – საკუთარ ქვეყანას. ყველაზე მეტი, რაც მაშინ შემეძლო გამეკეთებინა, იყო მცდელობა, თავიდან აგვეშორებინა საბჭოთა კავშირის ისეთი რღვევა, რომელიც რესპუბლიკებს და მათ შორის საქართველოსაც მაქსიმალურ ზარალს მიაყენებდა, მაგრამ ამისთვის შემხვედრი, შეთანხმებული მოქმედებაც იყო

საჭირო. საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან სწორედ ეს არ ჩანდა. მძიმე სანახავი იყო, რა მისტიკური ჟინით შეპყრობილები მიათრევდნენ ისინი ქვეყანას თვითგანადგურებისკენ. ასეთ პირობებში არ არსებობდა რაიმე შანსი, რომ ვინმე გაიგონებდა შენს ნათქვამს, სიტუაციის გამწვავების ბრალდება კი აუცილებლად გაიჟღერებდა...

* * *

„თუ ხელისუფლებაში მოვა გამსახურდია, მე იძულებული ვიქნები წავიდე ჩემი ხალხის წინააღმდეგ", – თქვა ცოტა უფრო ადრე ჩემმა თანამემამულემ, დიდმა მოაზროვნემ, დიდმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა. ამის თქმა შეეძლო დიდ ფილოსოფოსს, მაგრამ არამც და არამც დიდ პოლიტიკოსს. ჭეშმარიტების გაცხადება ფილოსოფოსისათვის არა მარტო პროფესიული ვალია, არამედ მისი ყოფიერების არსიც, რისი გულისთვისაც იგი მზადაა, მსხვერპლად სიცოცხლეც კი შესწიროს. აკი შეეწირა კიდეც: მამარდაშვილის ისედაც შერყეულმა ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო თავის ხალხთან, უფრო სწორად, მის რადიკალურ ნაწილთან დაპირისპირებით გამოწვეულ ზეადამიანურ დაძაბულობას. 1990 წლის ნოემბერში, იგი პარიზიდან (მოსკოვის გავლით) ბრუნდებოდა თბილისში, სადაც გამსახურდია და მისი მომხრეები გამარჯვებას ზეიმობდნენ. გულის მოულოდნელი შეტევით გაშეშებული, იდგა იგი მოსკოვის აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპთან და გულის ტკივილზე მეტად მისი სული შეაძრწუნა იქ მყოფ თანამემამულეთა მტრულმა გამოხედვამ. იგი ხომ მათი კერპის ანტიპოდი იყო, კაცი, რომელმაც გაბედა და ხალხს გამოწვევა ესროლა სიტყვებით – „ჭეშმარიტება ერზე მაღლა დგას". იგი იქვე, აეროპორტში გარდაიცვალა, თვისტომთა მძულვარებით გარემოცული, თავისი ჭეშმარიტებით გაუზიარებელი.

მე ფილოსოფოსი არ გახლავართ, რომელიც მზადაა მოკვდეს საკუთარი იდეებისთვის. თავისი იდეებისთვის პოლიტიკოსმა უნდა იცოცხლოს, რომ განახორციელოს ისინი. ჩემი წარმოდგენით, უფრო ხშირად, ვიდრე ამას შეამჩნევს დაუინტერესებელი მზერა, პოლიტიკოსი ვალდებულია მუდმივად აღდგეს მკვდრეთით, რომ იცოცხლოს იდეისთვის, რომელსაც იწამებს.

მაინც რა არის ჩემი იდეა?

დეკლარაციისაგან თავს შევიკავებ, ჩემ მაგივრად შორეული მეგობარი იტყვის: „ადრე, საუბრების დროს, მე მრავალჯერ გკითხეთ თქვენ საქართველოს შესახებ, მის მიერ არჩეულ გზაზე. თქვენს სიტყვაძუნწ პასუხებში მე ვგრძნობდი დაფარულ ტკივილს. ახლა დადგა ისეთი მომენტი, როცა თქვენი პირადი პასუხისმგებლობა მისთვის და მის წინაშე მრავალჯერ გაიზარდა. თუ იგი გიხმობთ, თქვენ ვერ იტყვით „არა!“

ეს მითხრა ჰანს-დიტრიხ გენშერმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ჩვენ ვსაუბრობდით ვენაში, გერმანიის საელჩოში, 1992 წლის 21 თებერვალს — საქართველოში ჩემს დაბრუნებამდე ნახევარი თვით ადრე.

გენშერი არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც განვიხილე მიღებული გადაწყვეტილება. მაშინდელ ჩემს თანამოსაუბრეებს შორის იყვნენ ბორის ელცინი, ნურსულთან ნაზარბაევი, ლევონ ტერ-პეტროსიანი, ჯეიმს ბეიკერი, იასუჰირო ნაკასონე, ჰენრი კისინჯერი, ჟაკ შირაკი, ბობ სტრაუსი, კოლეგები „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობიდან“. თავიდან რომ ავიცილო შინაური „პატრიოტების“ ბრალდება ქართული საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფის გამო, ვიტყვი, რომ გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ მომწიფდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზემოქმედების შედეგად. ჩემთან მოდიოდნენ ჩვენებურები (ოთარ ლითანიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი ბათიაშვილი და სხვანი); მათ შორის იყვნენ „მოღალატეებიც“ — გამსახურდიას ყოფილი მოკავშირეები და ჩემი გუშინდელი მომიტინგე მლანძღველები. საქართველოდან მიღებული ფოსტა, რომელიც წინა თვეებში მწირი იყო და, ძირითადად, სალანძღავი წერილებისაგან შედგებოდა, ახლა მოულოდნელად გაიზარდა პეტიციების, მოწოდებების, მოთხოვნების, ვედრების ხარჯზე.

მე მჭირდებოდა მეგობრების პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა და მე იგი მივიღე. საჭირო იყო მკაფიო და არაორაზროვანი სახალხო მანდატი — ესეც დაიწერა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები საქართველოში აფიქსირებდა ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის ყველაზე შესაშურ რეიტინგს.

მიუხედავად ამისა, მაინც ვღელავდი.

ერთმა ამერიკელმა მწერალმა შემაგულიანა და მითხრა, რომ ჩემს დაბრუნებასთან დაკავშირებით მას მოაგონდა ერთი ანალოგი — შარლ დე გოლის დაბრუნება.

შედარებისათვის მადლობა გადავუხადე და ვუთხარი:

— რაკიღა ესოდენ ამაღლებულ თემებს შეეხეთ, მე სხვა ანალოგს დაგისახელებთ — ნაპოლეონის დაბრუნებას...

— რომელიც წმინდა ელენეთი დამთავრდა! — განაგრძო ჩემმა ენამწარე თანაშემწემ.

ის მწერალი „საგარეო პოლიტიკურ ასოციაციაში“ პროექტით იყო მოსული — ერთობლივად გამოგვეცა დიდი გაზეთი. მას არ სურდა საუბრის სევდიანი ტონით დამთავრება და ამიტომ დაუმატა:

— გენერალი ჟირო რომ სწორი გზით წასულიყო, ბონაპარტი მოიგებდა ვატერლოოს ბრძოლას!

— ასე რომ არ ყოფილიყო, ან ისე... ბედს ვერ გაექცევი. ჩემი ბედი საქართველოა და თუ იქ მე ნაპოლეონის ბედი მელის, მაშინ თქვენი გამოცემისათვის ეს გამანადგურებელი დარტყმა იქნება.

ჩემი არჩევანი სწორი იყო, მაგრამ ამ გზაზე იმდენი ხაფანგი მელოდა, ჩიხში შემყვანი და დახლართული განშტოება, რომ სხვა ჩემს ადგილას არასოდეს გარისკავდა მასზე ფეხის შედგმას. არც ერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი, რომელიც ისევ და ისევ პოლიტიკის, როგორც შესაძლებლობათა ხელოვნების კანონებით ხელმძღვანელობს, ესოდენ რთულ მისიას არ დათანხმდებოდა. ვიცოდი: ეს მისია სწრაფად და მარტივად ვერ შესრულდებოდა. ჩემზე უკეთესად არავის ესმოდა, რომ ამჯერად რისკი მეტისმეტად დიდი იყო, მე შეიძლება ყველაფერი წამეგო — სიცოცხლეც კი.

„მაშ რატომ ვაკეთებ ასეთ არჩევანს? — ვფიქრობდი მაშინ და საკუთარ თავს ვპასუხობდი, — ვბრუნდები იმიტომ, რომ არ შემიძლია, არ დავბრუნდე“, — და ეს იყო არა პოლიტიკოსის, არამედ ადამიანის, საკუთარი ქვეყნის შვილის პასუხი.

მკაფიოდ მახსოვს: სერგო გახოკიძე, ლაინერის მეთაური, თავდაჯერებულად მართავს საჰაერო ხომალდს, ჟურნალისტები თავიანთი საქმით არიან დაკავებულნი, სტიუარდესები სახემსს არიგებენ —

ქართულ პურს, სულუგუნს, მწვანილს, ადრეულ კიტრს, პომიდორს. მგზავრებიდან ვიღაცამ მაგიდაზე ღვინის ბოთლი დადგა და მკითხა: „შეიძლება თქვენი დაბრუნების სადღეგრძელო შევსვათ?“ „რატომაც არა?!..“

ახლა, როცა უკან ამდენი წელი დარჩა და თითქოს ამიხდა იმ ამერიკელი მწერლის წინასწარმეტყველება, უნდა ვთქვა: სწორი იყო მაშინ ჩემი გადაწყვეტილება, რადგან გარკვეულწილად, ალბათ, ამ ჩამოსვლითაც გადავარჩინე ჩემი ქვეყანა დაშლას, შიმშილსა და მრავალ სხვა უბედურებას.

მე ჩემი გასაკეთებელი, კარგად თუ ავად, გავაკეთე, ახალმა თაობამ თავისი გააკეთოს. მინდა მჯეროდეს, რომ ის ამას უკეთ შეძლებს.

* * *

მშობლიური მიწის ბიძგი თვითმფრინავის დაჯდომისას... თითქოს ჩემი ქვეყანა ფიზიკურად შემეხო. ილუმინატორის თვალში ვხედავ შეკრებილ ხალხს, რომელიც მაშინვე კიბეს მოაწყდა.

მოსკოვიდან გამოფრენამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ-ერთმა ჩემმა მომავალმა კოლეგამ ინტერვიუში განაცხადა: „ეს იქნება კერძო პირის ვიზიტი“. მოსკოველი ჟურნალისტების თხოვნას, კომენტარი გამეკეთებინა ამ სიტყვებისათვის, ასე ვუპასუხე: „საქართველოს, ალბათ, არ სჭირდება კერძო პირი“. ვინც სჭირდება საქართველოს, ეს კარგად იკითხება დამხვედრი ადამიანების სახეებზე: მათი გაწბილება დაუშვებელია, მაგრამ განა მეყოფა ძალა და უნარი, მათი მოლოდინი გავამართლო...

სადღაც ხალხში, თავიანთ კოლეგებს შორის ჩაჭედილი, ოდესღაც გამსახურდიას მიერ დახურული გაზეთის ახალგაზრდა კორესპონდენტი მოიფიქრებს თავისი მომავალი პუბლიკაციის სათაურს: „ჰელოუ, შევი!“ (ასე ამოკლებდა ჩემს გვარს უცხოური პრესა) და რეპორტაჟს აეროპორტში შეხვედრის შესახებ ოც სტრიქონში ჩაატევს:

„ლაპარაკი მიჭირს“ — ეს იყო ედუარდ შევარდნაძის პირველი სიტყვები მშობლიურ მიწაზე მისი დაბრუნების შემდეგ. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა ემოციები დაცხრა და შევარდნაძეს ლაპარაკი

გაუადვილდა, მან წარმოთქვა საკმაოდ უცნაური ფრაზა: „ჩემს სიცოცხლეში ყველაზე სარისკო ნაბიჯი გადავდგი“. „ცბიერი მელა“ შევი ყოველთვის იყო წაუგებელი პოლიტიკური სვლების გენიოსი. ყოველ შემთხვევაში, ასე თვლიდნენ მაშინ. შვიდი წლის წინათ თბილისიდან მიემგზავრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. დღეს საქართველოში დაბრუნდა კაცი, რომელსაც მიმართვისას გინდა უთხრა, „მისტერ შევარდნაძე“. მთელი მისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში მისი თანამდებობის მაღლა ყოველთვის იყო თუნდაც ერთი – უფრო მაღალი ვიღაც და, მსჯელობის მთელი თავისუფლების მიუხედავად, თავის ქცევაში იგი მაინც ცოტად თუ ბევრად შეზღუდული იყო. დღეს მას არა აქვს არც თანამდებობა, არც ვინმეა მასზე მაღლა. გაუძლებთ, მისტერ შევარდნაძე?“

სულაც არ იყო უმნიშვნელო შეკითხვა, – მასზე პასუხიც არ მქონდა, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ ვიმუშავებდი მთელი ძალით, არც თავს დავზოგავდი, არც ჩემს გუნდს, გუნდი კი ჯერჯერობით არ მყავდა – მხოლოდ ორი თანაშემწე, რომლებიც ჩემთან ერთად გადადგნენ და ამ, საფრთხით სავსე გზასაც ჩემსავით დაადგნენ. არ მქონდა არც თანამდებობა, არც უფლებამოსილება და არც მოქმედების კანონიერი საფუძველი... მოკლედ, ერთი საქალაქოს ამარა ჩამოვედი, მაშინ, როდესაც სამხედრო საბჭოს ერთ წევრს შეიარაღებული მხედრიონი ჰყავდა, მეორეს – შეიარაღებული გვარდია, მესამეს კი – სახელმწიფო აპარატი.

საჭირო იყო, რაც შეიძლებოდა მალე ჩაგვეტარებინა არჩევნები და გამოგვეცხადებინა ის დემოკრატიული კურსი, რომელსაც მხარს ვუჭერდით. უამისოდ საერთაშორისო იზოლაციას ვერ გავარღვევდით, ვერ მივაღწევდით საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებას (იმ დროისთვის ჩვენ ხომ მხოლოდ უკრაინამ გვაღიარა). უნდა შეგვეჩერებინა სისხლის ღვრა ცხინვალში და კონფლიქტისაკენ ფარული მოძრაობა აფხაზეთში, საჭირო იყო, აგვემუშავებინა წარმოება და დაგვეწყო ეკონომიკური რეფორმა. ამისათვის კი აუცილებელი იყო კანონების პაკეტი, ხოლო მათ მისაღებად – ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო.

* * *

თვითმფრინავის ტრაპთან მხვდებიან გამსახურდიას დამხობის შემდეგ შექმნილი სამხედრო საბჭოს წევრები: თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი. ერთი — მხატვარი-კერამიკოსი, მეორე — თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი. პირველი ახლოს იყო ექსპრეზიდენტთან, მეთაურობდა ეროვნულ გვარდიას, მეორე — ყოფილი პრეზიდენტის შეურიგებელი მოწინააღმდეგე გახლდათ, რომელმაც პირველმა იწვნია თავის თავზე მისი ხელისუფლების რეპრესიული ხასიათი.

იოსელიანის მიერ შექმნილი მაშველთა კორპუსი „მხედრიონი" მოქმედებდა ირანსა და სომხეთში, როცა იქ მიწისძვრა მოხდა, აშველებდა დაპირისპირებულ მხარეებს ცხინვალის რეგიონში, მაგრამ გამსახურდიამ მასში დაინახა თავისი უშუალო საფრთხე და „მხედრიონი" და მისი მეთაური კანონგარეშე დააყენა. მეტიც, თბილისში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილების ძალებით გაანადგურა მისი ბაზა შავნაბადას მთაზე, დააპატიმრა იოსელიანი და მისი უახლოესი თანამებრძოლები სუკ-ის ციხეში ჩაამწყვდია. ამან დიდი ზიანი მიაყენა გამსახურდიას იმიჯს. რუსთაველის პროსპექტზე ომის დროს კიტოვანის გვარდიელებმა გაათავისუფლეს „მხედრიონის" მეთაური და მისი ხალხი. ისინი მაშინვე შეუერთდნენ მთავრობის სახლის მოიერიშეებს.

იოსელიანსაც და კიტოვანსაც რთული დამოკიდებულება ჰქონდათ კანონთან, რთული დამოკიდებულება — ჩემთან. ორიეე, ისევე როგორც სამხედრო საბჭოს მესამე წევრი, გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლი, დროებითი მთავრობის პრემიერი თენგიზ სიგუა, პირველ ხანებში ჩემი დაბრუნების წინააღმდეგნი იყვნენ, თუმცაღა განიცდიდნენ ინტელიგენციის ძლიერ ზეწოლას და დიდხანს ყოყმანობდნენ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. სასწორი ჯაბა იოსელიანმა გადასწონა. მაშინ ჩემთვის რომ არ მოემართათ პარტიების უმრავლესობის ლიდერებს და რიგით მოქალაქეებს ერთნაირი თხოვნით, არ ყოფილიყო სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის საფრთხე, მე წინადადებას არ მივიღებდი.

„შევარდნაძე ბოლომდე ვერ აფასებს გარემოცვას, რომელთანაც

მას მოუწევს მუშაობა", – ამბობდნენ და წერდნენ მაშინ. ბევრი ამტკიცებდა – და არცთუ უსაფუძვლოდ – რომ მე საბჭოს ვჭირდები, რათა რესპექტაბელურობა შეიძინოს. ყველაფერი ეს ასე იყო, მაგრამ ჩემთვის მთავარი იყო სხვა გარემოცვაც – ის ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ხელის ჩამორთმევას და იმედისა და მხარდაჭერის გამოხატვას.

მართლაც არ შემეძლო ლაპარაკი. ყელში თითქოს ბურთი მებჯინებოდა. ბოლოს, როცა მღელვარებას მოვერიე, წარმოვთქვი რაღაც სიტყვები, მე ისინი არ მიძებნია, თვითონ მიპოვეს.

ერთი საათის შემდეგ სიონის საკათედრო ტაძარში შევედი. „როგორი გამოხვედით ტაძრიდან?" – ირონიით მეკითხებოდნენ შემდეგ ზოგიერთნი. რა უნდა მეპასუხა?! მაშინ ჩემი სახით ტაძარში შევიდა არა პოლიტიკოსი, არამედ ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ამ ქვეყანაში ესაჭიროებოდა სულიერი საყრდენი და ეს საყრდენი სწორედ ქართული ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან საუბარმა მომცა...

შემდეგ იგი საოცარი სიტყვებით გასცემს პასუხს დაეჭვებულებს: „ვფიქრობ, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნამ ბატონ ედუარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ეს იყო მეტად დიდი და მძიმე მოვალეობა. ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფი პირები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ისეთ სიტუაციაში, როდესაც გრძნობენ, რომ ღვთის გარდა სხვა შემწე არავინ ჰყავთ. რუსეთიდან ბატონი ედუარდი უკვე აშკარად, დაუფარავად მორწმუნე დაბრუნდა. საქართველოში ჩამოსული პირველად სიონის ტაძარში მოვიდა. ამის თაობაზე წინასწარ არც შევთანხმებულვართ. ეს მისი სურვილი იყო... დიდია განგება ღვთისა და საკვირველ არიან საქმენი მისნი. ბატონ ედუარდ-გიორგის ცხოვრება ამ სიტყვების ნათელი დადასტურებაა. მას დიდი მისია ერგო წილად და ძალიან დიდ განსაცდელსაც გაუძლო, მაგრამ ვინც მისცა მას ეს მძიმე და საპატიო ჯვარი, იგივე შეეწევა კიდეც იტვირთოს ეს ჯვარი. მთავარია, არ გაწყდეს კავშირი პიროვნებასა და უფალს შორის, ანუ ადამიანური ნება არ დაუპირისპირდეს ღვთისას. გაღებული ღვაწლი მაშინ იქნება სათნო ღვთისთვისაც და ხალხებისთვისაც".

* * *

იმ დღეებში თბილისის ყველაზე დიდ ბაზარში — ე. წ. „დეზერტირების ბაზარში“ მივედი. მინდოდა, ჩემი თვალით მენახა, რას ყიდულობდა, რითი იკვებებოდა ხალხი. ნანახმა გამაოგნა: ერთ კილოგრამ ქართულ პროდუქტს ვერ იპოვიდი — ვერც კომბოსტოს, ვერც კარტოფილს, ვერც კვერცხს, ვერც ხორცს... ყველაფერი თურქული შემოდიოდა. ხალხი არ მუშაობდა, მიწა მიგდებული იყო. ვფიქრობდი — „გლეხი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუბრუნდება მიწას, თუ საკუთრებაში გადავცემთ.“ შემდგომში სწორედ ასე მოვიქეცით: მიწის რეფორმა ჩავატარეთ და სული მოვითქვით. მილიონ ორასი ათასმა ოჯახმა, ბევრმა ქალაქელმაც კი, მიიღო მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, თითქმის მთელმა საქართველომ. ამის შედეგი ის არის, რომ დღეს საქართველოს ბაზარი ქართული პროდუქციითაა სავსე. ეკონომიკაშიც ნელ-ნელა დაიწყო ძერები, რკინიგზა ამუშავდა, გაიხსნა ახალი საწარმოები, შეიქმნა სამუშაო ადგილები, ჩამოყალიბდა საბანკო სისტემა — საბაზრო ეკონომიკის საფუძველი. ამუშავდა საავიაციო ქარხანა, იზოტოპების ინსტიტუტმა შეინარჩუნა თავისი პოტენციალი და უცხოეთში გავიდა თავისი მაღალტექნოლოგიური პროდუქციით, ამუშავდა შაქრის ქარხანა, ცემენტის ქარხანა, ღვინის ქარხნები, ბორჯომის ქარხანა, საკონსერვო ქარხნები, „კოკა-კოლის“ ქარხანა, მასობრივად დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ქვეყანა ამოძრავდა.

საბჭოთა კავშირში აშშ-ის ყოფილი ელჩის, ჯეკ მეტლოკის სიტყვებით: „კანონიერების ნაწილობრივი აღდგენითა და რეფორმებზე ორიენტირებული პარლამენტის ჩამოყალიბების კვალდაკვალ დანგრეულმა ეკონომიკამ გაუმჯობესება დაიწყო. მთავრობამ მოახერხა საგრძნობლად შეემცირებინა ბიუჯეტის საოცარი დეფიციტი (1994 წლის ერთობლივი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარი) და 1995 წლის მიწურულს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით შემოიღო ახალი ფულის ერთეული, ლარი. მას შემდეგ ეროვნულმა ვალუტამ შეინარჩუნა თავისი ღირებულება — თბილისელი გამყიდველები აღარ თხოულობენ დოლარს. ამან დიდად შეუწყო ხელი როგორც ვაჭრობას, ასევე ინვესტიციებს.

საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ დაამყარა ბალანსი საპრეზ-

იდენტო და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის, რაც იშვიათი რამ არის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. 1997 წლის მეორე ნახევარში საქართველოს პარლამენტი შეუდგა კანონპროექტების შედგენას, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო სისტემის რეფორმას და ხელს შეუწყობს კანონის მიერ კერძო საკუთრებისა და ვაჭრობის დაცვას. პარლამენტის ორი კომიტეტის თავმჯდომარეები არიან არა საბჭოთა მემკვიდრეობაზე აღზრდილი ადამიანები, რაც ძალზე ხშირია სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტებში, არამედ ახალგაზრდები კოლუმბიის უნივერსიტეტის იურისტის დიპლომით. ერთერთმა მათგანმა, მიხეილ საკაშვილმა, გვითხრა, რომ შევარდნაძე არ ცდილობს მართოს პარლამენტი ან ჩაერიოს მთავრობის საქმიანობის წერილმანებში. „იგი გვთავაზობს წინადადებებს, მაგრამ გვაძლევს საშუალებას, თავად მივიღოთ გადაწყვეტილებები“. და მაინც, კორუფცია მძვინვარებს და ოფიციალური პირები ქრთამს იღებენ მათგან, ვისაც სურს მიიღოს სახელმწიფო კონტრაქტები, ლიცენზიები, ან გადასახადებისგან გათავისუფლდეს. უმუშევრობის დონე კვლავაც მაღალია. სიღარიბე, განსაკუთრებით აფხაზეთიდან გადაადგილებულთა შორის, ძალზე მწვავეა. საწარმოებში მხოლოდ ახლა იგრძნობა გამოცოცხლება და მომავალი ეკონომიკური განვითარება დიდად არის დამოკიდებული ნავთობსადენზე კასპიიდან შავ ზღვამდე, სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც შეავსებენ, ან საჭიროების შემთხვევაში, შეცვლიან რუსეთზე გამავალ მარშრუტებს. პრივატიზაციის პირველ ეტაპზეც სერიოზული პრობლემებია. განათლების სისტემამ დიდი დარტყმა განიცადა ბიუჯეტის შემცირებისა და საწვავისა და ელექტროენერგიის უკმარისობის გამო. მოსამართლეები ვერც კარგი მომზადებით და ვერც პატიოსნებით ვერ დაიკვეხნიან. პოლიცია, ძირითადად, საბჭოთა წარსულის გადმონაშთს წარმოადგენს და ცნობები ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ალბათ, სიმართლეს შეეფერება. მიუხედავად ამისა, ჩანს, 1997 წელს საქართველოს აქვს წინსვლის ორი მთავარი წინა პირობა, რომლებიც არ გააჩნდა სულ ორიოდ წლის წინ: პოლიტიკური სტაბილურობა და საკუთარი შესაძლებლობების მზარდი რწმენა“.[23]

[23] იხ. Jack Matlock, "Autopsy on an Empire", 1996

როდესაც 2003 წელს გადავდექი, დანგრეული თბილისი უკვე აღდგენილი იყო, შეუქცევად პოლიტიკად ჩამოყალიბდა საქართველოს სწრაფვა ევროპაში ინტეგრაციისკენ, აშშ-ის დახმარებით მყარი საფუძველი ჩაეყარა ნატო-ს პარამეტრების შესაბამისად ქართული ჯარის მზადებას, ჩამოყალიბდა ქართული რეგულარული არმია, რომელიც წარმატებით მონაწილეობს საერთაშორისო პროგრამებში, მიმდინარეობდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. აბრეშუმის გზის აღდგენაც თანდათანობით იდეიდან რეალობად იქცა, მარტო ფოთი-წითელი ხიდის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გზის აღდგენა ამ საქმის წარმატების დასაწყისი იყო (რაშიც დიდია გზების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის, ბორის სარალიძის დამსახურება). საქართველოს სახელმწიფომ შეიძინა საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ფუნქცია.

ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად, 2003 წლისთვის საქართველოს ჰყავდა დამოუკიდებელი პარლამენტი და დამოუკიდებელი, რეფორმირებული სასამართლო, თავისუფალი პრესა, არასამთავრობო ორგანიზაციების საკმაოდ დიდი ქსელი. ქვეყანა მიზანმიმართულად აშენებდა დემოკრატიულ სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოებას. გვერდს ვერ ავუვლით სასკოლო და სამედიცინო რეფორმებსა და მრავალ სხვა საქმეს, რაც ახლა ბევრს დაავიწყდა, არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელსაც რეფორმა არ შეხებოდეს.

„ვილა მთებში“ – ასე უწოდა ერთმა საზღვარგარეთელმა ჟურნალისტმა ჩემს ახალ საცხოვრებელს თბილისში. დარჩეს ეს მის სინდისზე – 1992 წლის მარტიდან ჩემს ცხოვრებაში ყველაფერმა იმდენად გაზვიადებული ხასიათი შეიძინა, რომ ეს ჟურნალისტური ჰიპერბოლა სხვასთან შედარებით სრულიად უმანკოა.

ჩემი ახალი თბილისური კერა გახდა სასტუმრო სახლი მთავრობის რეზიდენციაში, რომელიც განლაგებულია საქართველოს დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში, კრწანისში, თელეთის ვულკანური ქედის ძირში.

თელეთის ფერდობები ჩემი პირადი დაცვისათვის გამუდმებული სადარდებელი გახდა. სახლი, რომელშიც ვცხოვრობდი, შესანიშნავ სამიზნეს წარმოადგენს იმ ნებისმიერი მსროლელისათვის, რომელიც თავისუფლად შეინილბება ეკლიან ბუჩქებში, ასე რომ მოსდებია შენობასთან აღმართულ ფერდობებს. დაცვა მარწმუნებდა, იქ შეიძლება ფარულად გამართო არათუ ოპტიკური სამიზნით აღჭურვილი შაშხანა, არამედ თვით ქვემეხიც კი და ერთი პირდაპირი გასროლით ნანგრევებად აქციო მთელი შენობაო. მცველები სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდნენ, კაბინეტი საძილე ოთახში ან სხვა შენობაში გადაგვეტანა, ან საერთოდ დამეტოვებინა ეს სახლი.

კრწანისი ქართული თერმოპილეა. 1795 წლის სექტემბერში აქედან ახლოს ქართველთა მეფის ერეკლე მეორის ლაშქარი შეება ირანის შაჰის, აღა-მაჰმად-ხანის არმიას. ბრძოლა უთანასწორო იყო. ჯარი რომ გადაერჩინა, ერეკლემ გადაწყვიტა, გაეყვანა იგი კავკასიონის მთისწინეთში და არიერგარდის დაცვა დაავალა მხედრებს მდინარე არაგვის ხეობიდან. სამასნი იყვნენ ისინი და ყველა დაეცა კრწანისის ველზე. ეს იყო დიდი მიზნისათვის თავშეწირვის მაგალითი – საქართველოს ისტორიაში ამგვარი მსხვერპლი

არაერთხელ გაღებულა. მე კი ჩემს თანამებრძოლებს ვთავაზობდი, გვეცოცხლა დიდი მიზნისათვის – ერთად დაგვემარცხებინა გაჭირვება.

იმ დღეებში ფიზიკურ მარტოობას ნამდვილად არ ვგრძნობდი. კრწანისში პირდაპირ შთანმთქა შეხვედრების ზვავმა – ვერსად გავექცეოდი. რა თქმა უნდა, არჩევანი მე მეკუთვნოდა, მაგრამ როცა ყოველდღიურად ვეცნობოდი სტუმრების სიებს, თითქმის ყოველთვის ვრწმუნდებოდი, რომ ვერც ერთ მათგანს შეხვედრაზე უარს ვერ ვეტყოდი. რა ხმამაღლადაც უნდა ჟღერდეს ნათქვამი, ამ ადამიანების პირით საქართველო მელაპარაკებოდა, სხვადასხვა მიმართულებისა და შეხედულების მქონე პარტიებისა და მოძრაობების ლიდერები, მათ შორის, ზვიად გამსახურდიას ამასწინანდელი მომხრეები და ჩემი ანტაგონისტები, მწერლები, მხატვრები, რეჟისორები. ძველი და ახალი ადმინისტრაციის მოხელეები, მეცნიერები, თბილისის საწარმოთა მუშები, ქართველი, რუსი, დასავლელი ჟურნალისტები, ლტოლვილები ქართულ-ოსური კონფლიქტის რაიონიდან და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ იქ მზარდი ძალადობის ტალღით. მოდიოდნენ და მოჰქონდათ ჩემთან თავიანთი პრობლემები, შეკითხვები, აზრები, პრეტენზიები, წინადადებები, იდეები. მთლიანობაში კი ყველაფერი ეს გროვდებოდა ერთ დაუსრულებელ აღსარებად, სადაც დომინირებდა საქართველოს თემა – რომ იგი უნდა გადარჩეს და რომ იგი მე უნდა გადავარჩინო...

ვაღიარებ, რომ ყოველივე ეს საგონებელში მაგდებდა. მოვერევი კი ამ იმედებისა და მოლოდინის ტვირთს? – შეშფოთებით ვფიქრობდი მე, როცა გარს უამრავი ადამიანი შემომეხვია თბილისის ცენტრალურ ბაზარში და ყველასგან ერთი სიტყვა მომდიოდა – „იმედი“. ზოგი მათგანი, ძირითადად, ხანდაზმული ქალები, გარს შემომერტყნენ და შველას მთხოვდნენ, ელემენტარული ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას: „მიეცით ბავშვებს რძე!“ „პური – პენსიონერებს!“, „დაგვიცავით მძარცველებისაგან!“ სათქმელად უხერხულია, მაგრამ ზოგიერთი მუხლებზე ეცემოდა, სხვები ცდილობდნენ, ხელზე ეკოცნათ.

იყო შეხვედრები, რომლებიც სულს მითბობდა, ჩემი კეთილი

თანამემამულეების ცხოვრებასთან შეხებით. სხვები ღრმა ჭრილობას მაყენებდნენ და წყევლა-კრულვას მითვლიდნენ, ხოლო ზოგნი, ვინც დიდი ხანია ერთგულ და საიმედო მეგობრებად მიმაჩნდა, ჩემგან თავს შორს იჭერდნენ.

ახლაც თვალწინ მიდგას საქართველოში დაბრუნების ის დღეები, უფრო ზუსტად – ხელახალი დაბადების, ჩემი განახლების დღეები და თვალწინ მიდგას თანამემამულეთა სახეები, მათი უპირობო მოთხოვნა: „უნდა დაგვესმარო, ვალდებული ხარ!“. ამ ადამიანებმა, დახმარებას და დაცვას რომ მთხოვდნენ, არც იცოდნენ, როგორ მჭირდებოდა თავად მე მათი მხარდაჭერა და დახმარება.

მთის სოფელ ჭერემში ერთმა ქალმა წინასწარმეტყველი მიწოდა და მე ბედნიერად ვიგრძენი თავი. მიზეზიც მქონდა. ოდესღაც, 50-იან წლებში, ეს ძველი მთის სოფელი ბარში გადასახლების საბაბით გააუქმეს. იმ, ჭერემელებისათვის დაწყევლილ დღეს, ყველა მათგანი მოაგროვეს სოფლის მოედანზე, ჩასხეს სატვირთო ავტომანქანებში და ბარის სოფლებში გადაიყვანეს.

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ საქართველოს ეკონომიკას, მის სოფლის მეურნეობას წინ ვერ წასწევ საქართველოს მთიანეთის განვითარების გარეშე. 70-იან წლებში ჩვენ დავიწყეთ მთაში გზების მშენებლობა, რადიო და ტელერეტრანსლატორების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების აგება, მსხვილი სესხების გამოყოფა მათთვის, ვინც სურვილს გამოთქვამდა, მიბრუნებოდნენ მიტოვებულ სახლებს. ზოგს ვურჩევდით, ვთხოვდით, გადაედგათ ეს ნაბიჯი. იმავე ჭერემელებს, რომლებიც დაბლობის სოფლებში დამკვიდრდნენ, ვეუბნებოდი: „თქვენს მამაპაპეულ ადგილებში შესანიშნავი მიწებია, ეს ფასდაუდებელი ქონებაა. მალე ეს მიწა თქვენი გახდება, დაბრუნდით!“

ახლა კი ამ ქალმა გამახსენა მაშინდელი საუბარი. იმით თუ ვიმსჯელებთ, როგორ მიყურებდნენ ის და მისი ახლობლები, როგორ სახლებში ცხოვრობდნენ ის და მისი თანასოფლელები, ჭერემში ცხოვრება აშკარად აეწყო.

სხვა, ბრძანების კილოთი ნათქვამი სიტყვები ამჯერად დაბლობის კახურ სოფელ ნაფარეულში გავიგონე: „გეყო აქეთ-იქით სიარული.

დროა, შენს ქვეყანასაც მიხედო. საქმეს ხელი მოჰკიდე და ჩვენ მხარს დაგიჭერთ!“

მაგრამ, აი, თბილისის უნივერსიტეტი, სააქტო დარბაზი, კეთილმოსურნე, თანამგრძნობ, მხარდამჭერ მზერებს შორის — უნდობლობით სავსე, მტრული, დამცინავი გამომეტყველებით აღბეჭდილი სახეები, შეძახილები სტუდენტური ქანდარიდან: „როგორ გრძნობთ თავს ახალი მეგობრების, კანონიერი ქურდების გარემოცვაში?“ „თქვენ თქვით, რომ გაქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა დამოუკიდებელი საქართველოს აშენებისთვის, ეს არ არის მართალი. თქვენ არა გაქვთ ჩვენი ხალხის სიყვარული!“

შემოტევა კარგად იყო ორგანიზებული, დარტყმებიც წელს ქვევით მოდიოდა და ესეც მოფიქრებული იყო. შეკითხვებზე პასუხის გაცემას რომ შევუდექი, ჩვეულებისამებრ საათი კათედრაზე დავდე. ხმა დამიდაბლდა და დარბაზიდან მაშინვე გაისმა წამოძახილი: „ილაპარაკეთ ისე, რომ ყველამ გაიგონოს!“ „არა უშავს, თანდათან გავთამამდები“, — ვუპასუხე მე. გაისმა სიცილი და აპლოდისმენტები, ოდნავი სიმსუბუქე ვიგრძენი.

ლაპარაკი დავამთავრე, ხელი საათისკენ წავიღე, მაგრამ ვერ ვიპოვე — ან სახსოვრად „დაითრიეს“, ან გადაწყვიტეს, უსიამოვნება მოეყენებინათ (ორი დღის შემდეგ საათი დამიბრუნეს), როგორც ამ, პირდაპირ გამოსროლილი შენიშვნით: „თქვენ ერთი სიტყვაც კი არ თქვით დეკემბერ-იანვრის ამბებში თბილისში დაღუპულ ახალგაზრდებზე“.

არც ეს არის მართალი. დაბრუნების დღეს მე ვიყავი სასაფლაოზე და ყვავილებით შევამკე საფლავები, არც მიკითხავს, ვინ რომელ მხარეზე იბრძოდა. დიახ, არ წარმომითქვამს სამგლოვიარო სიტყვა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ არაფერი მითქვამს — განა იქ ჩემი მისვლა უკვე თქმას არ ნიშნავდა?

სხვათა შორის, საბჭოთა წლებშიც და შემდეგშიც ქვეყანაში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის, ისევე როგორც მეცნიერებათა აკადემიის, ხშირი სტუმარი ვიყავი, აზრები, რომლებსაც იქ ვისმენდი, კრიტიკული შენიშვნებიც კი მეხმარებოდა ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნაში, ახლაც ვურჩევ ჩემს მემკვიდრეებს, უარი არ თქვან ამ ტრადიციაზე.

ხშირად თანამემამულეებთან ჩემი დიალოგი უხმო და უსიტყვო იყო – ჩვენ ვლაპარაკობდით და სიტყვასაც კი არ წარმოვთქვამდით. რა ხშირად მეკუმშებოდა გული უსამართლო, თავხედი, კარგად გათვლილი დარტყმების – ბრალდებების შემდეგ, უნებურად მებადებოდა სურვილი, მეყვირა მთელი საქართველოს გასაგონად: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ჩემო კარგებო! არ გინდათ ასე – არაა საჭირო!“ ასევე ხშირად აღშფოთებული ცნობიერება მშვიდდებოდა მოულოდნელი მხსნელი აზრით: „შენ დაბრუნდი სამშობლოში არა დიდების, პატივის, კეთილდღეობისათვის – არამედ იმისათვის, რომ აკეთო ის, რაც გევალება“.

ბევრი თვალი მიყურებდა დაკვირვებით და ვაღიარებ, იმ დღეებში მართლაც საინტერესო ობიექტი ვიყავი დაკვირვებისათვის. ვიღაც მაკვირდებოდა, რომ დამშვიდებულიყო, დაიმედებულიყო, დარწმუნებულიყო გამოსავლის არსებობაში, ვიღაც კიდევ – რომ გაეგონა პასუხი და თავისი აზრების დადასტურება, ვიღაცისთვის კი, უბრალოდ, ანალიზის ობიექტი ვიყავი.

ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, ჩემს დაბრუნებას ასეთ „საინტერესო“ სტილში აანალიზებდა: „გამსახურდიას დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო-სამოქალაქო მმართველობამ მოიწვია ედუარდ შევარდნაძე, რომ გააკეთილშობილოს თავისი ფასადი და ნაწილობრივ მაინც გახდეს ლეგიტიმური. მას არ გააჩნია არავითარი სხვა პოლიტიკური არგუმენტი, გარდა ნეგატივიზმისა, იდეოლოგიურ ბაზად კი ანტიზვიადიზმი გაიხადა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს აშკარად არასაკმარისი ჯენტლმენური ანაკრებია სერიოზული პოლიტიკისათვის. სერიოზული პროგრამის და რეფორმების ტემპის უქონლობას შეეძლო კვლავ შეეყვანა საქართველო ისტორიულ ჩიხში. შევარდნაძის გამოჩენა საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე აღქმულ იქნა, როგორც პოლიტიკის დაბადება“...

ამგვარ წიაღსვლებს მოსდევდა პასაჟები რისკზე, რომელზეც მე მივდიოდი, და ჩემთვის სასიამოვნო შედარებები კუნძულ ელბის ტუსაღთან, სერ პალმერსტონთან, უინსტონ ჩერჩილთან, ინდირა განდისთან და სხვა „ორმაგ დაბრუნებულებთან“, რაც მაინც მთავრდე-

ბოდა უნუგეშო დასკვნით ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლის შეუძლებლობის შესახებ.

მთლიანობაში ეს იყო უტყუარი, კეთილმოსურნე, თუმცა ზოგჯერ შეუბრალებელი დაკვირვებები. მე, ცხადია, მახარებდა და არ მაღიზიანებდა ზოგიერთი დამკვირვებლის მისწრაფება, განეხილათ ჩემი დაბრუნება საერთო-ეროვნული ბედის კონტექსტით, მაგრამ ზოგი დასკვნა, ვეთანხმებოდი მათ თუ არა, ტკივილს მაყენებდა. რატომ? იმიტომ, რომ ლაპარაკი იყო ჩემს ხალხზე, რომლის განუყოფელი ნაწილიც ვიყავი, ვარ და ვიქნები.

„ზვიად გამსახურდია წავიდა საქართველოდან, ედუარდ შევარდნაძე – დაბრუნდა. იმაზე, წინ გადადგმული ნაბიჯია ეს თუ არა, შეიძლება დიდხანს ვიკამათოთ. ნათელია მხოლოდ ის, რომ ზვიად გამსახურდიას წასვლასთან ერთად საქართველოდან „ზვიადიზმი“ არ წასულა, შევარდნაძის დაბრუნებასთან ერთად კი არ დაბრუნდა კომუნისტური წარსული. გასაგებია, რომ ეს ორი ფიგურა დარჩება ქართველი ხალხისთვის მიზიდულობის ორ „პოლუსად“.

სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა ვყოფილიყავი „პოლუსი“, მაგრამ ვერსად გაექცევი შემდეგ ფაქტს: ქართველი საზოგადოება პოლიტიკურად მკვეთრად პოლარიზებული აღმოჩნდა, რაც ყველაზე ცუდი იყო.

პოლიტიკურად პოლარიზებული საზოგადოება, რომელიც დაყოფილია ამა თუ იმ ლიდერზე ორიენტაციის მიხედვით და დაავადებულია ყველას და ყველაფრის მიმართ პოლიტიკური უნდობლობით, დაუცველი და ადვილად დასანგრევი მყიფე საზოგადოებაა. მე, მაგალითად, მაშინვე შევეჯახე ეჭვებს ჩემი განზრახვის თაობაზე, რაც დაკავშირებული იყო დსთ-სთან: ამტკიცებდნენ, თითქოს მე მინდა შევიყვანო საქართველო ამ თანამეგობრობისა და, შესაბამისად, რუსეთის წიაღში. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობა გაერთიანებული დსთ-ის გუნდის შემადგენლობაში ფასდებოდა, როგორც ეროვნული ღალატის აქტი. ნაციონალისტური საწყისის ამგვარმა ჰიპერტროფიამ კვლავ დამაფიქრა ზვიადიზმის ფესვებსა და ამონაზარდზე. 1990 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების შემდეგ იმავე მერაბ

მამარდაშვილმა თქვა გამარჯვებულ ზვიადიზმზე, რომ ეს არის „წმინდა წყლის ბოლშევიზმი, რომელსაც ჩამოცილებული აქვს მარქსისტული ჩენჩო". ზვიადიზმი ღრმად იყო გამჯდარი არა მარტო ჩემს შეურიგებელ ოპონენტებში, არამედ ზოგიერთ „თანამებრძოლშიც", მათ შორის, ფრიად გავლენიანებშიც და მისი ანგარიშგაუწევლობა არ იქნებოდა სწორი, ისევე როგორც შეუძლებელი იყო თენგიზ გუდავას, ზვიადის ყოფილი თანამებრძოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისი დეკრეტით გაუქმება ან ძალით ჩახშობა".

ვის და რას უნდა დავყრდნობოდი? „გაოცებას იწვევს ის სისწრაფე, როგორითაც მიიღო საქართველოს ყოფილი პარტიული ლიდერი, მერე კი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, არა მარტო ქართველმა ხალხმა, არამედ მრავალრიცხოვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ჯგუფებმა თბილისში", — წერდა იმ დღეებში ერთი უცხო დამკვირვებელი.

სამწუხაროდ, ყველაფერი ასე უბრალოდ არ ხდებოდა. მე მაინც მარტო ვიყავი.

1992 წლის 10 მარტს, ჩემი ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ, სამხედრო საბჭომ მოიხსნა უფლებამოსილება. ეს მოხდა საკოორდინაციო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც გამსახურდიას რეჟიმის ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა შექმნეს. მათ უნდა შეექმნათ რაღაც წინასწარი პარლამენტის მსგავსი ორგანო, რომელიც არჩევნების გამართვამდე იკისრებდა ქვეყნის მართვის ფუნქციებს. ბუნებრივია, ლაპარაკი შეეხო ჩემს როლსა და უფლებამოსილებებს. სიგუამ ორი ვარიანტი შემოგვთავაზა. პირველი: ყალიბდება სახელმწიფო საბჭო პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაში შევლენ ყოფილი სამხედრო საბჭოს წევრები — კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა, აგრეთვე მე — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის უფლებებით. მეორე ვარიანტით — კოორდინატორის როლს მაკუთვნებდნენ. ორივე ვარიანტს განსაკუთრებული მოწინააღმდეგეები არ ჰყოლია, მაგრამ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტის გარშემო მწვავე დებატები გაიმართა. ვინ ირჩევს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს? სახელმწიფო საბჭოს? მის პრეზიდიუმს? რამდენადაც შემეძლო გავრკვეულიყავი, იმ სხდომის

თითქმის ყველა მონაწილეს – დაწყებული ყოფილი კომუნისტებით და რადიკალებით დამთავრებული – აწუხებდა მოვლენათა განვითარების ერთადერთი ვარიანტი – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გადაქცევა მდგომარეობის შეუზღუდავ მბრძანებლად, უბრალოდ რომ ვთქვათ, დიქტატორად. ეს სიტყვა ხმამაღლა არავის წარმოუთქვამს, გარდა თამრიკო ჩხეიძისა – ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერისა, რომელმაც თქვა სწორედ ის, რასაც, ალბათ, დანარჩენებიც ფიქრობდნენ: „ჩვენ ვიბრძოდით არა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, არამედ მისი პრეტენზიების წინააღმდეგ, ყოფილიყო საქართველოს ბედის ერთადერთი განმგებელი. ჩვენმა ხალხმა მძიმე დრო გადაიტანა, ჩვენ კი იმის მაგივრად, რომ დავეხმაროთ მას ამ სენის დაძლევაში, ვეუბნებით, რომ ერთ ზვიადიზმს ვცვლით სხვა ზვიადიზმით“.

რამდენიმე თვის შემდეგ მკვეთრად, უსამართლოდ, საწყენად, თამრიკომ მაინც ამოთქვა იმ დღეს უთქმელი სიტყვები: „თუ შევარდნაძე მოინდომებს, შეიძლება გახდეს დიქტატორი“.

მინდოდა კი დიქტატორობა? მაშინაც და შემდგომშიც მე ვარწმუნებდი კოლეგებს: „არა, პატივცემულებო, მე არც მინდა დიქტატორობა და ვერც შევძლებ ამას“. სიტუაცია შეიძლება უფრო კომიკური ყოფილიყო, რომ არა გარემოებები, რომლის დროსაც „დიქტატორობაზე“ უარის თქმა მიხდებოდა: ომი აფხაზეთში, ქართულ-ოსური კონფლიქტი, დივერსიები მაგისტრალებზე, ელექტროანძების აფეთქება, მძევლების აყვანა, მდგომარეობის სტაბილიზაციის წარუმატებელი ცდები ობიექტურად მოითხოვდა მკაცრი ზომების მიღებას, მაგრამ – „ზვიადის სინდრომისაგან“ განცდილმა შოკმა განაპირობა იმ ყველაფრის უარყოფა, რაც თუნდაც შორეულად მოგვაგონებდა ავტორიტარული ხელისუფლების რეჟიმს. მე ეს მესმოდა და ყველანაირად ვცდილობდი, კოლეგებისათვის ეჭვი გამეფანტა. შემდგომში ხელისუფლების შესახებ მიღებულ კანონში არ იყო დებულება სახელმწიფო მეთაურის იმპიჩმენტის შესახებ, ჩემი დაჟინებული თხოვნით, ეს დებულება კანონში შევიტანეთ. კანონი სახელმწიფო მეთაურს საკმაოდ დიდ და ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებდა, რომლის ძალით იგი არ იყო ვალდებული, თავისი გადაწყვეტილება

ყოველთვის გამოეტანა პარლამენტის დასამტკიცებლად. მიუხედავად ამისა, მე არ მიმიღია არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერის გარეშე.

მაგრამ იმ დღეს ყველაფერი მხოლოდ იწყებოდა და თამრიკო ჩხეიძეს უფლება ჰქონდა ეჭვი გამოეთქვა. მისთვის, ყოფილი უფლებადამცველისთვის, რომელმაც თავისი შეხედულებებისათვის და საქმიანობისათვის ბანაკებში რამდენიმე წელი გაატარა, არც ისე ადვილი იყო დასთანხმებოდა ახალშობილი სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე ისეთი ადამიანის დაწინაურებას, რომელთანაც იგი ყოველთვის აიგივებდა მისთვის საძულველ კომუნისტურ რეჟიმს. და იგი არ იყო ერთადერთი, ვინც ასე ფიქრობდა.

და მაინც, მე, პრაქტიკულად, ერთხმად ამირჩიეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ.

კენჭისყრამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიდა ჰანს-დიტრიხ გენშერის შეკითხვა ორიენტირების შესახებ, რომლებსაც ისახავს საქართველოს ახალი ხელისუფლება. მე ვუპასუხე: „უმოკლეს ვადაში საქართველოში ფართო დემოკრატიულ საფუძველზე გაიმართება პარლამენტის არჩევნები, ჩამოყალიბებულია ხელისუფლების კანონიერი ორგანოები". მოვაწერე ხელი და მივანიშნე ჩემი ახალი თანამდებობა — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

* * *

„ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ჩემს ქვეყანას დაუბრუნდეს ადრინდელი სიძლიერე, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოთაგან დახმარება და სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიან დროს, ისე ომში. მაგრამ რადგანაც ან დროის დინებით, ან ბედის უკუღმართობით, შეიძლება ერთისა და მეორის შედეგადაც ისე დავსუსტდით, რომ სხვას უნდა დავემორჩილოთ, ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, რომ დამოკიდებული ვიყოთ იმათზე, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი, ვინც მყარად იცავს მეგობრობას თავის მოკავშირეებთან"... — ეს სიტყვები ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში თქვა დიდებულთა კრებაზე ჩემმა თანამემამულემ, ტომით ლაზმა — ფარტაძმა, როდე-

საც ქვეყნის ორიენტაციაზე კამათობდა. მაგრამ ისინი შეიძლება თქმულიყო ჩვენს დღეებშიც და მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსაც, მაშინ, როდესაც საქართველო იძულებული ხდებოდა, დაემყარებინა პოლიტიკური კავშირი იმ მეზობელ იმპერიასთან, რომელიც ხალხების ბედს წარმართავდა...

ის-ის იყო დაიწყო ჩემი „ასი დღის" ათვლა საქართველოში, რომ თბილისში ჩემი თხოვნით ჩამოვიდნენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაციები. მათ ხელმძღვანელებთან საუბრის დროს მე ისევ დავადასტურე ჩვენი განზრახვა, რაც შეიძლება სწრაფად გაგვემართა თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები. ჩვენ ვაღიარეთ, რომ ხანგრძლივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განსახორციელებლად საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობა ესაჭიროებოდა. ამასთან, ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყნის გაწევრება მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდში თავისთავად გახდებოდა პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი.

საერთაშორისო აღიარების წვალებაში შობილი და არარეალიზებული იდეა, წარსულში წარუმატებელი ცდები, სხვების თანასწორად გაწევრებულიყვნენ მსოფლიო გაერთიანებაში, გახდა იმის მიზეზი, რომ ქართველები ამ პრობლემისადმი უკიდურესად მგრძნობიარენი გახდნენ. გამსახურდიას რეჟიმი უშედეგოდ ესწრაფოდა საერთაშორისო ხიდების აგებას და როცა ეს არ გამოსდიოდა, თავს ესხმოდა „დამპალ დასავლეთს", ადანაშაულებდა დემოკრატიის იდეალების ღალატში. ცხადია, მისი მტკიცებით, საქართველოს საერთაშორისო აღიარების გზაზე მთავარი დაბრკოლება მე და ჩემი საზღვარგარეთელი მეგობრები ვიყავით. მათაც ჩემზე ნაკლები არ მოხვედრიათ. მაგალითად, პრეზიდენტ ბუშს (მამას), რომელმაც საქართველო არ მიაკუთვნა იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებსაც შეეძლოთ ამერიკის დახმარების იმედი ჰქონოდათ, ჩემსავით „კრემლის აგენტი" უწოდეს.

საქართველოს საერთაშორისო აღიარება და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მიერ განიხილებოდა როგორც პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი. მე არავისთვის მითხოვია აღიარება – არცთუ მთლად ლე-

გიტიმური და, თუ ზუსტი ვიქნებით, სულაც არალეგიტიმური ხელმძღვანელებისაგან ასეთი რამის გაკეთება არნახული პოლიტიკური უტაქტობა იქნებოდა.

მსოფლიო ჩვენგან ელოდა არსებითად ერთ რამეს — საქართველოს მიერ მკაფიო, ნათელ, არაორაზროვან დადასტურებას იმისა, რომ იგი ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ახალი ევროპის პარიზის ქარტიის, ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პრინციპებს აღიარებს, — იგი ელოდა განცხადებას მზადყოფნის შესახებ, ჩაგვეტარებინა თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები და დაუყოვნებლივ მიიღო კიდეც ასეთი დასტური. მაშინვე — ეს იყო 1992 წლის მარტის პირველ ნახევარში — ჯერ დუგლას ჰერდმა ჯონ მეიჯორის დავალებით, შემდეგ კი როლან დიუმამ და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების სხვა საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადმომცეს სიგნალები, რომ დაიწყეს მუშაობა საქართველოსთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად.

* * *

1992 წლის 23 მარტს პორტუგალიამ, რომელიც მაშინ თავმჯდომარეობდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, გამოაცხადა გაერთიანების წევრების მიერ საქართველოს კოლექტიური აღიარების შესახებ. ეს იყო ენერგიული ნაბიჯი საერთაშორისო იზოლაციის გასარღვევად, რომელშიც ქვეყანა ყოფილმა რეჟიმმა მოაქცია.

12 აპრილს თბილისში ჩამოფრინდა გერმანიის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი.

ბიკონსფილდისა და დიზრაელის დროიდან ამტკიცებენ, რომ პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ, არ არსებობს პირადი ურთიერთობები, არის მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ჩვენ, ორიენი, ვიცავდით ამ პრინციპს, ვზრუნავდით ჩვენი სახელმწიფოების ინტერესებზე, მაგრამ ამ მძიმე, მე ვიტყოდი, ფილიგრანული მუშაობის დროს, განსაკუთრებით გერმანიის გაერთიანების ეტაპზე, არაფორმალურ ურთიერთობასაც ვამყარებდით, რაც ეხმარებოდა ორ სახელმწიფოს უფრო ადვილად გამოენახა ერთმანეთთან საერთო ენა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ საქართველოში გენშერი ჩამოიყვანა მხოლოდ მეგობრულმა გრძნობებმა. გენშერი არ იქნებოდა გენშერი, გამოჩენილი დიპლომატი და პოლიტიკოსი, გერმანიის „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ ერთ-ერთი ავტორი და ახალი ევროპის არქიტექტორი, რომ მას პოლიტიკური მნიშვნელობა არ მიეცა ამ თავისი არცთუ ჩვეულებრივი ნაბიჯისთვის — საქართველოში ვიზიტისთვის.

ჩემთვის იმ დაუვიწყარი საუბრის დროს გენშერმა თქვა, რომ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპისა და მსოფლიოს მთლიან მოზაიკაში, რომ იქიდან პატარა ქართული ფრაგმენტის ამოვარდნა შეიძლება დიდი უსიამოვნების მიზეზი გახდეს ევროპისა და მსოფლიოსთვის.

მე და გენშერი, ჩვენი ხშირი შეხვედრების დროს, ვსაუბრობდით და დეტალურად ვაანალიზებდით სიტუაციას, რომელიც პოსტკომუნისტურ პერიოდში ჩამოყალიბდა. განსაკუთრებული ყურადღებით ვიხილავდით შიდაკონფლიქტების პრობლემას, რომლებიც, ჩვენი საერთო აზრით, საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის მაგალითების მოშველიებით გენშერი ამ პრობლემას საზღვრების დაურღვევლობის თვალსაზრისით აფასებდა. კარგად მახსოვს მისი სიტყვები: „ყველა გარემოებაში საზღვრები ურღვევი უნდა იყოს. ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში შევძელით მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში ამ პრინციპის მკაცრი დაცვის წყალობით. არ არსებობს საზღვრები, რომელთა გულისთვისაც ღირდეს ადამიანისა და ხალხების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება“.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ევროპაში, თანამეგობრობასა და ჩვენთან, საქართველოში, დაადასტურა ამ სიტყვების დიდი სიმართლე. საზღვრების გადასინჯვისა და გადაკეთების ცდებისას გარდაუვალი „დომინოს ეფექტი“ არა მარტო აზანზარებს მსოფლიოს, არამედ ანგრევს ხალხების ცხოვრების თვით საფუძვლებს, სპობს ადამიანებსა და ადამიანობას.

ზოგიერთი თანამემამულე ხშირად მეკითხებოდა: „რა გააკეთა ქართველმა შევარდნაძემ თავისი მშობლიური საქართველოსათვის

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას?“ მე არ ვპასუხობდი, მაგრამ ახლა ვისარგებლე გენშერის ყოფნით და ვთქვი: „როცა ხელს ვუწყობდი გაყოფილი დიდი ხალხის გაერთიანებას, ბერლინის კედლის დანგრევას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თვითგამორკვევას და საბჭოთა კავშირში დემოკრატიის განვითარებას, მე ვემსახურებოდი საკუთარ ხალხსაც. ეს მისი მონაპოვარიცაა – ცვლილებების პროცესი ევროპასა და მსოფლიოში, რომლის მიმდინარეობისას გაერთიანდა გერმანია, საქართველომ კი დამოუკიდებლობა მოიპოვა“.

ჩემი ქვეყანა სუსტია, დაუცველი, განიცდის ზემოქმედებას შიგნიდან და გარედან, და ყველა ჩემი აზრი, ბუნებრივად დაკავშირებულია იმ პირობებისა და ფაქტორების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც მას მოეხმარება შეინარჩუნოს საკუთარი თავი. ამ პატარა ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა გვკარნახობს წონასწორობის მდგრადი წერტილების, ძალთა ბალანსის ძიებას. მეტისმეტად დიდი ფუფუნებაა ცალმხრივი ორიენტაცია. მე ვცდილობდი ამეგო ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ გამიჭირდა და უნდა ვთქვა, არა ჩვენი მიზეზით.

1992 წლის აპრილის დამდეგს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, რომელსაც დიდად ვაფასებდი. მიუხედავად თბილისური გაზაფხულის ბრწყინვალებისა, ვიზიტის ფონი პირქუში იყო. მინისტრი არ იშურებდა კომპლიმენტებს: „ჩვენ, ყველანი, შევარდნაძის სკოლის აღზრდილები ვართ“, მაგრამ როცა ლაპარაკი ეხებოდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, გვთავაზობდა, გაგვეხსნა მხოლოდ ინტერესთა მისიები. რუსეთის უმაღლეს საბჭოში ემზადებოდნენ ეგრეთ წოდებული „ოსეთის საკითხის“ განხილვისათვის. მე ვთხოვე, მორიდებოდნენ ენებათაღელვას, თუმცა, ამავე დროს მესმოდა, რომ აქ ყველაფერს კარ-

ნახობდა არასტაბილურობა თავად რუსეთში. „მიუხედავად ამისა, – ვთქვი მე, – საჭიროა შევქმნათ ჩვენს ქვეყნებს შორის ახალი ურთიერთობების სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, შევუდგეთ საქართველო-რუსეთის დიდი ხელშეკრულების შემუშავებას“.

მე მერეც მკვიდრად ვიდექი ჩემს გადაწყვეტილებაზე – მიგვეღ-

წია რუსეთთან ასეთი ურთიერთობებისათვის. ამავე დროს, ჩვენ არ შეგვიძლია მზერა გვქონდეს მიმართული მხოლოდ მისკენ. დრო იცვლება, მასთან ერთად კი სიტუაციაც. ჩვენ ისტორიული მეზობლების, თურქეთისა და ირანის გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და უნდა ავითვისოთ ახალი თანამშრომლობის ველი და, რა თქმა უნდა, საჭიროა აღმოვფხვრათ ისტორიული უსამართლობა, უნდა აღვადგინოთ ბუნებრივი კავშირები დასავლეთთან, რა თქმა უნდა, აშშ-თან.

ვუთხარი კიდეც გენშერს: „რამდენჯერაც ევროპამ ზურგი აქცია საქართველოს, იმდენჯერ ჩვენს ქვეყანას ეს დიდ სახელმწიფოებრივ მარცხად მოუბრუნდა. 1460 წელს ქართველებმა სთხოვეს რომის პაპს, შეეკრა ანტითურქული კოალიცია დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნების მონაწილეობით „ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის“ დროშით, მაგრამ ამ ჩანაფიქრიდან არაფერი გამოვიდა. მაშინ ქართველი ელჩები დახმარებისთვის ეახლნენ საფრანგეთის მეფე შარლ VII-ს – ამაოდ. XV საუკუნის დამლევს ქართული ელჩობა იყო ესპანეთში, ფერდინანდისა და იზაბელა კასტილიელის კარზე. 1713 წელს ვახტანგ VI-ს აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი პაპმა კლიმენტ XI-მ ვატიკანში მიიღო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთი წლის შემდეგ ვერსალის სასახლეში სულხან-საბამ საქართველოსთვის დახმარება სთხოვა ლუდოვიკო XIV-ს, უშედეგოდ: „მეფე-მზემ“ არაფერი მოიმოქმედა.

საქართველო-გერმანიის ფრიად წარმატებულ ურთიერთობათა მოკლე პერიოდის კულმინაცია იყო 1918 წელს გერმანიის მიერ საქართველოს აღიარება და ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულების გაფორმება. რუსეთმა თანხმობა განაცხადა ამ აღიარებაზე, მაგრამ გერმანია დაემხო მოკავშირე სახელმწიფოებისა და რევოლუციის დარტყმებისაგან და მის ნამსხვრევებთან ერთად წარსულში ჩაიძირა ხელმოწერილი ხელშეკრულების პროექტიც. მსოფლიო საქმეებს ახლა ხელი მოჰკიდეს გამარჯვებული ანტანტის ქვეყნებმა. თავდაპირველად ისინი დენიკინის მოხალისე არმიას ეხმარებოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში – არმიას, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა საქართველოზე. ანტანტა დიდხანს უარს ამბობდა საქართველოს აღიარებაზე. ისევ „რუსეთის ფაქტორის“ გამო ვერსალელებმა

ერთა ლიგაში საქართველოს მიღების გადაწყვეტილებას, სამწუხაროდ, ვეტო დაადეს. როცა ბოლოს და ბოლოს დიდი სახელმწიფოების კონფერენციამ დაადგინა, ელიარებინა იგი დე იურე — ბოლშევიკური ანექსიის ბორბალი უკვე დატრიალებული იყო.

„დღეს, — ვუთხარი გენშერს, — როცა აღდგენილია ჩვენი სახელმწიფოებრიობა, გვჯერა, რომ ევროპა და დასავლეთი ზურგს აღარ შეგვაქცევენ, და თქვენი აქ ყოფნა ამის საუკეთესო დადასტურებაა.“

ეს ვიზიტი არ იყო, ასე ვთქვათ, პროტოკოლური რიტუალი. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასთან ერთად (გერმანიის დელეგაციის შემადგენლობაში იყო დანიშნული ელჩი ბატონი გიუნტერ დალჰოფი — საქართველოში დიპლომატიური კორპუსის მომავალი დუაინი) საქართველო იძენდა სოლიდურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. გენშერის მიერ ჩამოტანილი სოლიდური თანხა ერთერთი პირველი იყო ამ უანგარო დახმარებათა მწკრივში (ეს თანხა — სამასი ათასი დოლარი ევროკავშირმა გამოყო).

საჯაროდ გამოვაცხადეთ: პარლამენტის არჩევნები გაიმართება 1992 წლის დამლევამდე. ცოტა მოგვიანებით ჩვენ დავასახელეთ ზუსტი თარიღი — 11 ოქტომბერი.

ნუ დაგვავიწყდება, მაშინ ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

საქართველოში დაიწყო შემოსვლა ჰუმანიტარულმა დახმარებამ, ძირითადად, გერმანიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თურქეთიდან. ჩემს მოწოდებას „კედლის აქეთა მხარეს“, რომელიც გამოქვეყნდა მსოფლიოს ათობით დიდ გაზეთში, გამოეხმაურნენ მრავალ ქვეყანაში. მშიერი და ცივი ზამთრის წინ ეს დახმარება ჩვენი გადარჩენის გარანტია იყო.

„ამ დღეებში, — ვუხსნიდი მსოფლიოს, — ჩემს სამშობლოში, ყოფილი საბჭოეთის ერთ-ერთ რესპუბლიკაში, საქართველოში, მე უსასოობას ჩავხედე თვალებში და სასოწარკვეთამ შემაძრწუნა, იმ დედების სასოწარკვეთამ, რომელთაც არ შეუძლიათ შვილებს ერთი ჭიქა რძე უყიდონ, იმ მოხუცების სასოწარკვეთამ, რომელთაც აღარავის იმედი არ აქვთ, მაგრამ ყველაზე მეტად შემაძრწუნა იმ ბავშვების

თვალებში ჩაბუდებულმა სევდამ, რომელნიც უკვე შეეჩვივნენ მუდმივ შიშსა და გაჭირვებაში არსებობას...

...ახლა მე მხოლოდ მათზე ვფიქრობ და ჩემი ფიქრები თქვენკენ მოისწრაფვიან. ვიხსენებ ყველაფერს, რაც გავაკეთეთ ბერლინის კედლის დანგრევისათვის, კონტინენტის გამთლიანებისათვის და გერმანიის გაერთიანებისათვის, აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ თქვენს ცხოვრებას აღარასოდეს დამუქრებოდა ომის საფრთხე. ვფიქრობ იმ საზღაურზე, რომლის გაღება ყოველივე ამისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებსა და ჩემს ხალხს უწევს.

დაფიქრდით ამ ყველაფერზე და დაგვეხმარეთ, დავძლიოთ ეს გაჭირვებანი. თქვენივე შვილების მომავლისთვის დაეხმარეთ იმ ხალხებს, რომელთაც მოიცილეს ტოტალიტარიზმის უღელი, ცოტა სითბო უწილადეთ მათ, სულ მცირედით შეეშველეთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კაციობრიობის პროგრესსა და აყვავებას შეუწყვეთ ხელი.

დღეს, როდესაც კაცობრიობის ერთიანობის იდეა იმარჯვებს და საზღვრებისა და კედლების გარეშე სამყაროს ვაშენებთ, მოგიწოდებთ, უკანასკნელი კედელიც დაანგრიოთ — გულცივობის კედელი. ნუ გაგვემიჯნებით, გადმოიხედეთ ჩამოშლილი კედლის აქეთა მხარეს.

მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინახავთ ყველაფერს, რასაც მისი ნანგრევები მალავენ — პოლიტიკურ ვაკუუმს, ეკონომიკურ ნგრევას, ადამიანთა ყოფის გაურკვევლობას — ჩვენ შევძლებთ ერთად გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი ყველა ხალხის უკეთესი მომავლისაკენ".

როგორც ზემოთ ვთქვი, სასოწარკვეთის ეს ძახილი მსოფლიომ გაიგონა.

ჩვენ მარტო აღარ ვიყავით.

23 აპრილს გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში. კიდევ სამი დღის შემდეგ ინგლისის ელჩმა, სერ როდრიკ ბრეიტუეიტმა გადმომცა რწმუნების სიგელები. დასავლეთი ახდენდა ფართო და გულუხვი მზადყოფნის დემონსტრირებას — მხარი დაეჭირა საქართველოსთვის და მე არ ვცდებოდი ამ მზადყოფნის თაობაზე. სხვათა შორის, მარტო დასავლეთი არ დგამდა საპასუხო ნაბიჯს. „სპარსეთის ტრანზიტის" იდეა, რომელიც, ძველი

გზამკვლევის ენით თუ ვიტყვით, წარმოადგენდა „ევროპისა და აზიის სავაჭრო ურთიერთობის შუამავალს“, აღდგა ირანის სამთავრობო დელეგაციის წინადადებებში, რომელიც მაშინ თბილისში ჩამოვიდა. 21 მაისს თურქეთმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან, მე მომივიდა მიპატიჟება – მიმეღო მონაწილეობა შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა მეთაურების სტამბოლის კონფერენციაში, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდოვას, რუმინეთისა და ალბანეთის უმაღლესი ხელმძღვანელები.

ვიზიტების მთელი ეს კასკადი, რომელიც გამოხატავდა სულიერ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ მხარდაჭერას, სულ რაღაც რამდენიმე კვირის განმავლობაში რომ დამყარდა, და საქართველოს გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე, იწვევდა ჩემი ძალების მობილიზებას. თანდათანობით მყარდებოდა იმედი: გზა კრიზისიდან გამოსასვლელად არის, პოლიტიკური სტაბილიზაცია მიღწევადია, ეკონომიკური აღმავლობა – შესაძლებელი. ცხადია, მე არ ვტყუვდებოდი საშინაო საქმეების ნამდვილი ვითარების შეფასებაში, რომლებიც დროდადრო იჭრებოდა ქართული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების სწრაფ პროცესში, მაგრამ საგარეო-პოლიტიკური წარმატება საშინაო პრობლემების გადასაწყვეტ ბრძოლაში თავისებური სტიმულატორის როლს ასრულებდა.

1992 წლის 9 მარტს ქალაქ ზუგდიდში, დასავლეთ საქართველოში, აჯანყებამ იფეთქა: ეროვნული გვარდიის ადგილობრივი ბატალიონი გადავიდა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კომიტეტის მხარეზე, რომელიც ექსპრეზიდენტის მომხრეებმა ჩამოაყალიბეს. აჯანყებულები თავს დაესხნენ სამთავრობო მცირერიცხოვანი ჯარისა და მილიციის პოსტებს, მოკლეს ექვსი ჯარისკაცი, მათი ცხედრები დაწვეს და ცოცხლები დაატყვევეს. ზუგდიდისკენ სასწრაფოდ გაეშურნენ ეროვნული გვარდიის სარდალი კიტოვანი და თავდაცვის მინისტრის მოადგილე. ადგილზე ჩასვლისას ისინიც დააპატიმრეს.

ჩემი წინადადებით ზუგდიდში წავიდა სახელმწიფო დელეგაცია. ადრინდელი მოღვაწეობის ინერცია სამშვიდობო დიალოგისკენ მიბი-





„ჩემი დედ-მამა
სოფიო პატეიშვილი,
ამბროსი შევარდნაძე...
...მათ შრომის ფასი მასწავლეს“




უფროს ძმებთან ერთად.



ყაზახეთიდან – მოსკოვში. ძოტლიკლეტით 6000-კილომეტრიანი მარშის შემდეგ. „მაშინ საქართველოს კომკავშირის ცკ-ის მეორე მდივანი ვიყავი“



„ისე, რომ იცოდეთ, ქართველების გარეშე დიდი პოლიტიკა არ კეთდება!..“



საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი ჟიული შარტავა. „კომუნიზმი ჩემი რელიგია იყო. ასე გვზრდიდნენ"



ამიერკავკასიის სამი ლიდერი თბილისში: ალიევი, შევარდნაძე, დემირჭიანი.



შეუღლესთან, ნანული ცაგარეიშვილი-შეკარდნაძესთან ერთად.
„ერთმა მაღალი თანამდებობის ფუნქციონერმა, სხვათა შორის,
ნანულის ნათესავმა და კეთილისმსურველმა, მირჩია,
ნანულაზე არ დავქორწინებულიყავი... ბიოგრაფიას გაიფუჭებ,
მამამისი, როგორც ხალხის მტერი დახვრიტესო“



პოლიტბიუროს წევრები – პირველ რიგში – ბრეჟნევი, სუსლოვი, კოსიგინი,
გრიშინი, გრომიკო, ბოლო რიგში – მოშავალი ცვლა გორბაჩოვი, შევარდნაძე...
მოსკოვის ოლიმპიადა, 1980



ანაგვურაცია.
საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე
საქართველოს კათალიკოს-
პატრიარქთან, უწმინდეს
და უნეტარეს ილია II-სთან
და ოჯახთან ერთად.
30 04 2000



„ჩვენ მეუღლე, შვილები,
რძალი, ხიდე,
შვილიშვილები"
თბილისი.
1998



მეგობრები და თანამებრძოლები —
ნოდარ დუმბაძე და ედუარდ შევარდნაძე.





გარდაჭრის სამი ლიდერი: გორბაჩოვი, იაკოვლევი, შევარდნაძე.
რით დამთავრდება მათი ერთად ხვლა? როდის გაიყრება მათი გზები
და სად მიეა თითოეული მათგანი?
1989



„ამერიკაში ჩასვლისას თითქმის ყოველთვის
კუბაში ვწერდებოდით, ფიდელ კასტროსთან.
შესანიშნავი მოსაუბრე და განათლებული კაცი“



„რეიგანთან ურთიერთობა ნამდვილად არ იყო იოლი. არ დამავიწყდება ჯორჯ ბუშის სიტყვები: „საქმის გაკეთება თუ გინდათ, გამონახეთ რეიგანთან საერთო ენა. იგი ნამდვილი მემარჯვენეა – მასზე მარჯვნივ მხოლოდ ნაძირალებილა არიან“
სექტემბერი, 1985



მეოცე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ლეგენდასთან, ბარონესა მარგარეტ ტეთჩერთან.



აშშ-ის მოქმედი და ახალარჩეული პრეზიდენტები რონალდ რეიგანი და ჯორჯ ბუში *(მარჯვნივ)*, მიხეილ გორბაჩოვი, სსრკ-ის პრეზიდენტი; ედუარდ შევარდნაძე, სსრკ-ის საგ. საქ. მინისტრი; იური დუბრინინი, სსრკ-ის ელჩი აშშ-ში; ალექსანდრ ბესმერტნიხი, სსრკ-ის საგ. საქ. მინისტრის მოადგილე; კოლინ პაუელი, აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში *(ცხრილის სახელმწიფო მდივანი)*; ჯორჯ შულცი, აშშ-ის ჯერ კიდევ სახელმწიფო მდივანი.
ნიუ-იორკი. 1988



რეიკიავიკის მოლაპარაკების კულისებში: დობრინინი, შევარდნაძე, ობაკოვლევი, შულცი.




...ააფეთქებდნენ



„ბეიკერმა მითხრა: „არ გინდა ულამაზეს ადგილზე წაგიყვანო,
სადაც ვილა ავიშენე?... ვაიომინგში წამიყვანა.
ალაზნის ველი გამახსენდა, სიღნაღიდან რომ გადმოსცქერი...
ერთი ჭიჭყინა იმან დაიჭირა, მე – არაფერი“
1989



ქართველი მკითხავი ასე სჯაბნიდათ შაძის მახლობლად.
ძიძიკურა მეზობლად ცხოვრობდა ამის მანდატურებს.
სიცოცხლეშივე" (ჯ.ტ.) იყოს. სასაცილო გარდუვალია"
1989




„ჭეშმარიტი მასპინძელია, სადაც პურსაც ჭამენ,
ერთად ღვინოც ლაღად შეაბეზღებლებს დაღევა"
1989



„გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის გაერთიანებაში. როცა ჩვენი ჯარები გამოდიოდნენ გერმანიიდან, მან პირადად ჩამოიარა საბჭოთა ჯარის ნაწილები. არ სურდა ისინი უკმაყოფილო გაეხეშა... ამ საქმისათვის გერმანიამ 20 მილიარდი დახარჯა."

1989





...ჰანს-დიტრიხ გენშერი
ახალი გერმანიისა და
ევროპის ნამდვილი
არქიტექტორი იყო.
ჩემი და მისი ურთიერთობა
გასცდა ოფიციალური
ურთიერთობის ფარგლებს"



„პოლონეთი გადაურჩა საბჭოთა ჯარების შესვლას"



„დეს სათაბანი, დიდი ჩანგოის დიდი ლიდერი, ბრძენი კაცი იყო“
ჩანგოა, 1989



„თვითმკურნალის სალონი სათამბირო კაბინეტად იქცეოდა ხოლმე. სწორედ ჩემმა მრჩეველებმა სერგეი ტარასენკომ და თემურ მამალაძემ შეიძინეს ბევრი ფაქტი თავიანთ ჩანაწერებში“




„ვიცოდი, ჩვენი ჯარების გამოყვანის შემდეგ ქვეყანა აირეოდა. ნაციონალას და მის მეულლეს შეკოავაზე, საბჭოთა კავშირში გადმოსულიყვნენ ორივემ უარი თქვა... მოკლეს... ეს ცოლიც იმათ კისერზე იყოს. ვინც საბჭოთა ჯარი, აფღანეთში შეიყვანა“

1989



ავსტრალიის პრეზიდენტი,
მშვენიერი ქალბატონი კორასთან
1988



ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის
ლიდერთან კიმ ირ სენთან.
1988



„გადადგომის შესახებ ჩემი გამოსვლა ოფის გასრულასაკით
უნდა ყოფილიყო: მყისიერი და შემაშფოთებელი"
20. 01. 1990



„ვბრუნდები იმიტომ, რომ არ შემიძლია, არ დავბრუნდე“
„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სარისკო ნაბიჯი გადავდგი“
07 03 1992




შეხვედრა ოსების ლიდერებთან – ვალერი ხუგთან, ჩარლზ ჯონსთან, ძასოხთან.



„ეს უკვე დაშარცხება კი არა, კატასტროფა იყო –
ყველა განწირული ვიყავით, ქართველებიც და აფხაზებიც“




...არძინბა ერთ საკითხზე ძალიან გაჯიქდა და ელცინმა გვერდით ოთახში გაიხმო... მაშინ ასე მოჩანდა: ეს „სუფთა თამაში" იყო, მაგრამ მაწუხებდა განგაშის განცდა... ახლაც მიფრრს დავიჯერო, რომ ელცინი ტყუოდა"
03 09 1992



მწვავე კითხვები და მწვავე პასუხები. მარცხნივ ზურაბ ჟვანია.



საქართველოს პრეზიდენტი ესპანეთის მეფე-დედოფალთან ხუან კარლოს პირველთან და დედოფალ სოფიასთან.
მადრიდი, იელისი, 1997



2000 წლის 19 ივლისს მისმა უდიდებულესობამ, დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტმა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა უცხოელებისთვის განკუთვნილი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო „წმინდა გიორგის დიდი ჯვრის ორდენი“




დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ჯონ მეიჯორთან. *ლონდონი, 1995*



მინსკის სამიტი. 2001 წელი – აჯიევი, შეკვრდნაძე, ალიევი, პუტინი, ლუკაშენკო.



გერმანიის პრეზიდენტთან იოჰანეს რაუსთან ქვეყნის უმაღლესი ჯილდოს, „დიდი ჯვრით" დაჯილდოების, ვიუნშეს პრემიის მიღებისა და იენის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალების შემდეგ...
1998



„დიდ მუსიკოსს მსჯახილაც როსტროპოვიჩის არაერთხელ შეხვედრია.
მხლიოთან დაკავშირებით კი ხუმრობდით ვეთხარი – ეგ საქმე ამხელ არ გაძოუდათ.
რომ ნახვარი ძე არ შეძლოთავახეთ-მეთქი"



ჭაბუა ამირეჯიბთან...



თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და თურქეთის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი.
იულიხი. 1995



სტამბოლი, 1999 წლის ნოემბერი. ალიევი, ნაზარბაევი, კლინტონი, დემირელი, შევარდნაძე, ნათხოვი სწორედ აქ მოწერა ხელი საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ტრანსკასპიური ძალისადენის მშენებლობის დოკუმენტებს.



ბაქო, სექტემბერი, 2002 წელი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძალისადენის ფუნდამენტის ჩაყრის საზეიმო ცერემონია.
საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე,
აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი,
თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი,
აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი სპენსერ აბრაჰამი.



საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და
გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი.




ინაუგურაციის მერე. ხალხში...
30 04 2000



ედუარდ შევარდნაძე — ია ჭანიას იმპერატორის ძეგლის მოდელი.



ნანული შევარდნაძე და ია ჭანიას იმპერატორი აკაკი ტ.
1990




ასარჩევი წყვილიდან გაუვალი 2003 წელს. ჩემი გადადგომის შემდეგ. ჟურნალისტთა ერთმა ჩემმა თანამშრომელმა ჩემზე მოჭორილი სენსაციური ამბების მოყოლა დაიწყო. საფრანგეთის ღირსეულმა პრეზიდენტმა მკვეთრად შეაწყვეტინა ტირადა.



ხუფუის ტერიტორიის გახსნა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.
27 04 1999



„შეკრებას ოფიციალურად გახსნილად ითვლიდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც 1998 წელს ჩვენს თანამდებობებზე მეფეებთან ერთად ხანდაზმულები



შეხვედრა ისრაელის პრეზიდენტთან ეზერ ვაიცმანთან
ისრაელი, 2000




„ძახილებს, რომლებიც გუშინათ აღმართებს, რა სახარულოთი,
ცისფერთვალება ალაგარე ჯიხვი კიდე, ახალგაზრდებსაც კი ახასწარად"



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II
მისი ნათლული ცეცილ-გიორგი შევარდნაძე



რომის პაპი იოანე-პავლე II
საქართველოში.



მოლაპარაკება ნატოს სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრთან ტქმანთან ნატო-საქართველოს ახალი ურთიერთობების დასაწყისი
ნატო, 1993




ვაცლავ ჰაველი, ჩეხეთის პრეზიდენტი, ყველაზე წარმატებული სახელმწიფო მოღვაწეა ყოფილ დისიდენტებს შორის"
ბარბი, 1994



ხელშეკრულების ხელმოწერა, 1980


პრეზიდენტებთან ფრანსუა მიტერანთან.



ონასისის სახელობის საერთაშორისო პრემიის გადაცემის ცერემონიალი. ვიცლდის ედუარდ შევარდნაძეს გადასცემს საბერძნეთის პრეზიდენტი კონსტანტინოს სტეფანოპულოსი.
ალური, 16 10. 1999



ამერიკის ხელმძღვანელობა ახალი თაობის წარმომადგენელი ჯორჯ ბუში-უმცროსი.



ძგებდა და როგორც მაშინ ვფიქრობდი, არცთუ უსაფუძვლოდ — მოლაპარაკება ზუგდიდში მძევლების გათავისუფლებით დამთავრდა. ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც თითქოს გამორიცხავდა მომავალში მსგავსი ინციდენტების წარმოშობას. თუმცა, სულ ერთი კვირის შემდეგ შეთანხმება დაირღვა, ცხადია, არა სახელმწიფო საბჭოს მხრიდან.

იმავე დღეს თბილისში ხანძარი გაუჩნდა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმს. ბევრი რამ, რაც ცეცხლს გადაურჩა, გაიძარცვა.

სიძულვილისა და შურისგების მხეცი გალიიდან გამოვიდა. მის მიერ გატკეპნილი კვალი გზის მაჩვენებელი აღმოჩნდა ცეცხლის წამკიდებლებისთვის, მძარცველებისა და მოძალადეებისთვის. ყველაფერზე, რაც ახლა, 7 მარტის შემდეგ ხდებოდა საქართველოში, პასუხი მე მომეთხოვებოდა. გამსახურდიას სახლის ცეცხლის წამკიდებელმა ფაქტობრივად მე გამწირა.

აპრილის დამლევს რუსეთის შინაგანი ჯარების სპეციალური დანიშნულების ნაწილებმა დატოვეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა. ამაში ცუდი არაფერი იყო — ჩვენ თვითონ მოვითხოვდით მათ გაყვანას — ამ ჯარების სარდლობას რომ საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად ემოქმედა. სამწუხაროდ, წასვლის შესახებ ჩვენ არც კი შეგვატყობინეს, ფარულად მოიხსნენ პოზიციებიდან და გავიდნენ. იქ კი მაშინვე ოსი ბოევიკები განლაგდნენ. ისინი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაეუფლნენ მშვენიერად აღჭურვილ ზღუდეებს (და არა მარტო მათ), რაც მათ საშუალებას აძლევდა, გაეფართოებინათ საბრძოლო მოქმედება, ფაქტობრივად, დაუცველი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. თითქმის იმავე დროს სახელმწიფო საბჭომ მიიღო ორი გადაწყვეტილება: პირველი — გაიგზავნოს მეზობელ რაიონებში მილიციის ნაწილები ბოევიკებისაგან ქართველი მოსახლეობის დასაცავად, მეორე — დავადასტურეთ, რომ პარლამენტის არჩევნები გაიმართება 1992 წლის 11 ოქტომბერს. „არჩევნები მზარდი დესტაბილიზაციის პირობებში?“ — რიტორიკულად კითხულობდნენ ოპონენტები, მაგრამ ჩემთვის საბოლოოდ გადავწყვიტე: რადაც უნდა დაგვიჯდეს, არჩევნები გაიმართება.

დესტაბილიზაცია კი ნამდვილად იზრდებოდა. 1992 წლის მაი-

სის დამდეგს დაძაბულობის ორ ძირითად კერას — შიდა ქართლის რაიონებს (ე. წ. სამხრეთ ოსეთს) და სამეგრელოს, დაემატა მესამე — აფხაზეთი. საერთოდ, აქ საშიში დაძაბულობა ბევრად უფრო ადრე წარმოიქმნა, მაგრამ იმ დროისათვის აფხაზური ხელმძღვანელობის ნაწილის მოქმედებამ უკვე აშკარად სეპარატისტული ხასიათი შეიძინა, რამაც ღრმა განხეთქილება წარმოშვა ქართველ და აფხაზ მოსახლეობას შორის. გარეგნულად იგი თითქოს ატარებდა ტიპური ეთნოეროვნული კონფლიქტის ნიშნებს, მაგრამ მე მჭონდა სერიოზული საფუძველი, მევარაუდა სხვა რამ, როგორც, სხვათა შორის, ქართულ-ოსური კონფლიქტის ხასიათში.

ორივე პროცესი გარედან იყო მართული. აფხაზეთიდან ყოველდღე მოდიოდა ცნობები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად მოწმობდა, რომ ამ ავტონომიის ზოგიერთმა აფხაზმა ხელმძღვანელმა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფისკენ აიღო კურსი.

ყველაფერ ამას დაემატა თბილისში ელექტრომავლების მემანქანეთა გაფიცვა. მათი მოთხოვნები სამართლიანი იყო, რადგან მეტისმეტად დიდი იყო იმის რისკი, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამეგრელოსა და აფხაზეთის მონაკვეთებზე დივერსიულ-ბანდიტური თავდასხმის ობიექტი გახდებოდნენ, თუ სამხედრო დაცვის გარანტიის გარეშე დაადგებოდნენ გზას.

მემანქანეებს შეხვედრაზე დავპირდი, რომ უზრუნველვყოფდით დაცვით და ხელფასსაც გავუზრდიდით. რკინიგზელები დათანხმდნენ, წაეყვანათ მატარებლები, თუმცა წინასწარ იცოდნენ, რომ დაშლილი გზა და აფეთქებული ხიდები მათ აიძულებდა უღმერთოდ დაერღვიათ ყოველგვარი გრაფიკი.

სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდი, სულ უფრო ხშირად მაგონებდა სახანძრო რაზმის უფროსის მდგომარეობას, რომელსაც მთელი ქალაქისათვის მხოლოდ ერთი სახანძრო მანქანა ჰყავს — ქალაქი მოცულია ცეცხლით, მანქანა კი დარბის „ცეცხლმოკიდებულ სხვადასხვა კერას შორის“ — ერთგან ჩააქრობს, ალი კი სხვაგან ავარდება.

მაისში ცეცხლი შიდა ქართლში აგიზგიზდა. მოქმედებისათვის სივრცე რომ მიიღეს, ოსმა ბოევიკებმა იერიში მიიტანეს კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებზე. დაჭრილი ადამიანების შემოწმებამ

აჩვენა: ჭრილობების უმეტესობა მიყენებული იყო ჰაერიდან სროლის შედეგად. საქმე ის გახლდათ, რომ ცხინვალის ფარგლებში განლაგებული იყო რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენების პოლკი. ოს ბოევიკებს ჰყავდათ ოთხი ვერტმფრენი, რომლებიც გარეგნულად არ განსხვავდებოდნენ ვერტმფრენთა პოლკის მანქანებისაგან. სწორედ ვერტმფრენიდან უშენდნენ ცეცხლს ქართულ სოფლებს. ოსი ექსტრემისტების ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი რუსეთის უმაღლეს საბჭოში გამოვიდა საქართველოს მისამართით ბრალდებებითა და მოთხოვნით, შეეყვანათ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

13 მაისს, შუადღისთვის, თბილისში რუსთაველის პროსპექტი ბლოკირებული აღმოჩნდა კონფლიქტის ზონიდან გამოქცეული ლტოლვილების მიერ. ასობით მოქალაქე შემოიჭრა სახელმწიფო საბჭოს შენობაში და ჩემთან შეხვედრა მოითხოვა. ამ ხალხის — ქალების, მოხუცების, ბავშვების დანახვამ გამაოგნა. ბევრ მათგანს ძველი, საშინაო ტანსაცმელი ეცვა — გადაცმაც ვერ მოასწრეს, ისე გამოიქცნენ თბილისში და დანგრეული სახლები მიატოვეს.

— თუ მთავრობას არ შეუძლია ჩვენი დაცვა, — მეუბნებოდნენ, — მაშინ მოგვეცით იარაღი და თვითონ დავიცავთ თავს.

— იარაღით თქვენი დაცვა ახალ სისხლს დაღვრის, მხოლოდ მშვიდობიანად შეიძლება...

დავპირდი ამ ადამიანებს, რომ მათთან შეხვედრის შემდეგ დაუყოვნებლივ გავფრინდებოდი ცხინვალში და თუ იქ ვერ მივაღწევდი ცეცხლის შეწყვეტას, გავცემდი ბრძანებას მათ სოფლებში გვარდიის შეყვანის შესახებ.

ცხინვალის გარეუბანში მე და ჩემს მოადგილეს სახელმწიფო საბჭოში, ჯაბა იოსელიანს იქაური ლიდერი ტორეზ კულუმბეგოვი შემოგვხვდა.

— კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ქალაქში თქვენი შესვლისა, — მითხრა, — ჩვენ არ შეგვიძლია უსაფრთხოების გარანტირება.

— ეს ჩემი პრობლემაა, — ვუპასუხე.

— მაშინ დაცვის გარეშე და უიარაღოდ. თქვენი შეიარაღებული ხალხის დანახვას შეუძლია მოულოდნელი შედეგები გამოიწვიოს.

ჩვენ ცხინვალში ორი უიარაღო მცველით შევედით. ქალაქი ვერ ვიცანი, ისე იყო დანგრეული, ადამიანები ადამიანებს აღარ ჰგავდნენ... მივაბიჯებდით გაპარტახებულ ქუჩებში, ზურგს უკან კი ბოვიკებით დახუნძლული მანქანები მიმოდიოდნენ. ისინი გიდებივით გვაჩვენებდნენ რაკეტებითა და არტილერიის ცეცხლით დანგრეულ ქალაქს. ვიცოდი, როგორ და რატომ წარმოიშვა ეს კონფლიქტი, მაგრამ მაშინ ჩემი ყველა ფიქრი დასტრიალებდა იმას, როგორ შეგვეჩერებინა ეს ყოველივე.

ერთმა ქალმა მითხრა: „ყველამ უნდა გაიგოს, რომ ომი არ ირჩევს და არ არჩევს მსხვერპლს – მის წინაშე ყველა თანასწორია, ჩვენ ისევე ვიტანჯებით, როგორც ქართველი დედები“.

რამდენიმე საათის შემდეგ სოფელ თამარაშენში ქართველმა ქალებმა იგივე გამიმეორეს.

ცხინვალში ჩვენ 14 მაისის შუადღიდან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოვილაპარაკეთ. მოლაპარაკება რუსეთის ვერტმფრენების პოლკის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. რეგიონში იცოდნენ, სად ვიყავით და რაზე ვლაპარაკობდით. გადაწყდა, შეწყვეტილიყო სროლა, აღდგენილიყო ქალაქის კავშირი საქართველოს ყველა რაიონთან, მოგვარებულიყო ფოსტისა და გაზეთების მიწოდება, უზრუნველყოფილიყო ობიექტური ინფორმაციის მომზადება და გავრცელება. ეს არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, ვიდრე ცეცხლის შეწყვეტა.

რუსეთის პრესამ ფართოდ გააშუქა ოსების დანაკარგები, ქართული მხარის დანაკარგებზე კი არაფერს ამბობდა. „ასეთი ჟურნალისტები, – ვეუბნებოდი რუს ოფიცრებს, – განმეორებით მკვლელობას სჩადიან, როცა აქცენტს აკეთებენ დაღუპულთა ეროვნულ კუთვნილებაზე. ისინი ფეხქვეშ თელავენ სამართლიანობას, მორალს, ადამიანურ ღირსებას. თითქოს დაღუპული ოსები საქართველოს მოქალაქეები, ჩვენი თანამემამულეები არ იყვნენ და თითქოს ქართველები არ დაღუპულიყვნენ მათთან ერთად. ინფორმაციული ომი, რომელიც უხმობს სისხლის და არა გონების ხმას, აღრმავებს კონფლიქტს და არ აძლევს მას ჩაცხრობის საშუალებას“...

ჩვენი საუბარი შეწყვიტა სარაკეტო სროლის ქუხილმა. ჩემმა თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თქვენები შრომობენ, — თქვა პოლკის მეთაურმა, — ჩვენ გვესვრიან.

ეს მართალი იყო. ქართული მხრიდან ისროდნენ. ვიღაცამ, ჩემს თანამემამულეთაგან, ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩემი პოლიტიკისადმი.

უკვე სამი დღის შემდეგ შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე დაირღვა.

როცა ადამიანები ფრონტის ორივე მხარეს ასე დიდხანს ცხოვრობენ სიძულვილის ატმოსფეროში, რომელიც გააღვივა ახლობლების სიკვდილმა, ქონების დაკარგვამ, საინფორმაციო შეტევებმა, ექსტრემიზმი, როგორც ექსტრემალურ პირობებში ცხოვრების შედეგი, მოიცავს ყველას. საკმარისია, რაიმემ გაიტკაცუნოს „იმ მხარეზე", რომ მაშინვე გაისმის საპასუხო ქუხილი.

ჩვენ ველოდით ეუთოს ფაქტების დამდგენ მისიას, როცა სოფელ კეხვთან დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ოსი ლტოლვილების ავტობუსს. ეს აუტანელი საშინელება იყო.

მკვლელობა კეხვთან ჩაეწერა დივერსიულ-ტერორისტულ მოქმედებათა — სკოლის დაწვის, რკინიგზის ხიდების აფეთქებათა, მძევლების აყვანის, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების გრძელ რიგში. ეს იყო ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და ისინი, ვინც ეს ომი წამოიწყო, მოქმედებდნენ ჩვენთვის მტრულ გარეშე ძალასთან ერთად.

მკვლელებმა ჩაშალეს ზავი ცხინვალში. მეორე დღეს შეწყდა გაზის მოწოდება, რომელიც შემოდიოდა საქართველოში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გაყვანილი მილსადენით. გამოაცხადეს, რომ საქართველოს ენერგობლოკადა მეზობელი ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლებამ მოაწყო, მაგრამ ვიცოდი, რომ მათ არ შეეძლოთ დამოუკიდებლად ასეთი გადაწყვეტილების მიღება. საქართველოსა და მასთან ერთად სომხეთის ბლოკადამ გააფართოვა კონფლიქტის ველი, ჩაითრია მასში რამდენიმე მილიონი ადამიანი, გაწირა ისინი ახალი გასაჭირისთვის. ჩრდილოეთ ოსეთში გაზის ონკანის გადამკეტავი ხელი, ნებსით თუ უნებლიეთ, ეხმარებოდა ხელს, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მოქმედებაში მოჰყავდა ასაფეთქებელი მოწყობილობანი.

ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ დამირეკა ჩემმა კეთილმა მეგობარმა და „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის“ თანადამფუძნებელმა გენერალმა ალექსანდრ რუცკოიმ – რუსეთის ვიცე-პრეზიდენტმა და დამემუქრა: „მე ავაფრენ ჰაერში ესკადრილიებს და დავბომბავ თბილისს“. აღლანელი ბომბდამშენის რეფლექსმა აჯობა მეგობრობას, ყოფილ პოლიტიკურ სიმპათიებსა და სახელმწიფო სიბრძნეს.

და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო. ჩვენი სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით, 26 მაისს დაგეგმილი იყო ექსპრეზიდენტის მომხრეების შეიარაღებული გამოსვლები.

* * *

„დიპლომატიური გარღვევის“ ხსენებულ კვირათა გვირგვინი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლა გახდა. ეს იყო 25 მაისს, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის – ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის – წინა დღეს. ჯიმი თავისი გუნდით ჩამოფრინდა ლისაბონიდან, იქ შეამოკლა თავისი ყოფნა კონფერენციაზე, სადაც განიხილავდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენის საკითხს. მან საკმაოდ დიდი საჰაერო რკალი გააკეთა, რათა თბილისში მოხვედრილიყო. ჩემზე უკეთესად არავის შეეძლო ღირსეულად შეეფასებინა ამ ჟესტის მთელი პოლიტიკური და სუფთა ადამიანური მნიშვნელობა.

სხვების თანდასწრებით, თბილისის აეროპორტში, სადაც უამრავი ხალხი იყო თავშეყრილი, ჯიმმა თქვა:

– ჩვენ ჩამოვიტანეთ იმ ძალისხმევის პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელსაც ეწევა თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა, გვწამს, რომ საქართველო დარჩება დემოკრატიული გარდაქმნების გზაზე...

ჩემს კოლეგებთან ბეიკერი უფრო სხვანაირად ლაპარაკობდა:

– ჩვენ ჩამოვედით, რომ გავუგზავნოთ პოლიტიკური სიგნალი ყველას, ვისაც უნდა, სურს და შეუძლია მხარი დაუჭიროს ჩვენი მეგობრის, ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევას ახალი საქართველოს მშენებლობაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ისე სწრაფად არ აღიარა თქვენი ქვეყანა, როგორც სხვები. თავის დროზე მე ავუხსენი

პრემიერ-მინისტრ სიგუას, რატომ მოხდა ასე. ორი საუკუნეა, რაც ამერიკა მყარად იცავს დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპებს, და მისთვის სულერთი არ არის, როგორი დამოკიდებულება აქვთ ამ პრინციპებისადმი სხვა ქვეყნებში. ჩვენ არ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ საქართველოში იცავდნენ ამ პრინციპებს, მაგრამ ახლა, როცა აქ ედუარდია, გვჯერა. ჩვენ ძალიან ფართო მხარდაჭერას აღმოვუჩენთ საქართველოს, თუ აქ დაიცავენ მსოფლიოში აღიარებულ ყველა ნორმას და ჩაატარებენ თავისუფალ არჩევნებს — ამ უძნელეს გამოცდას ნებისმიერი დემოკრატიისათვის.

ეს სიტყვები ჩემი მისამართით როდი თქმულა. ჩვენ, ორივემ, ვიცოდით, ვის ეუბნებოდა ჯიმი ამ სიტყვებს და რატომ, ხოლო როცა მარტო დავრჩით, უბრალოდ მკითხა:

— როგორაა საქმე?

პასუხის ნაცვლად მე მივუგე:

— თქვენ დროზე ჩამოხვედით.

დიახ, ბეიკერმა მართლაც იცოდა, როდის ჩამოსულიყო. მე ყოველთვის მაღალ შეფასებას ვაძლევდი მის ინტუიციას და ვაჟკაცობას, მაგრამ ამჯერად ეს უბრალოდ აღტაცებას იწვევდა. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ასეთ მომენტში იგი თბილისში იმყოფებოდა, მომენტი კი, ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანი გახლდათ: 1992 წლის 26 მაისს საქართველო დღესასწაულობდა თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენის 74-ე წლისთავს.

მშვენიერი დღე იყო — ნათელი, სუფთა, მზიანი, როგორიც უნდა იყოს ასეთი დღე. და მე ძალიან მინდოდა მომეთხრო ჩემი მეგობრისთვის, რას ნიშნავს ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს დღე. ძალიან მინდა გავაკეთო ეს ახლაც — ვუამბო მკითხველს ამ დღის შესახებ, რადგან იგი ბევრ რამეს განმარტავს ჩვენს დღევანდელ ქცევაში, მიდრეკილებასა და არჩევანში: რატომ ვიქცევით ასე და არა სხვანაირად, ვირჩევთ ამას და არა — იმას... თუმცა ალბათ უკეთესია სიტყვა მივცეთ სხვას, სასურველია, არაქართველს, მიუკერძოებელ და ობიექტურ ადამიანს, რომელმაც ამავე დროს საკმარისად კარგად იცის საქართველო, რომ არ შეცდეს ყველაზე მთავარში. მხედველობაში მყავს რობერტ პარსონსი, რადიოჟურნალისტი, ბი-ბი-სის თანამ-

შრომელი, რომელიც ოდესღაც საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენას სწავლობდა.

„პატარა ქვეყანამ, საქართველომ, რომელიც ძლიერი მეზობლებით არის გარშემორტყმული, გადაიტანა უამრავი შემოსევა და ყოველთვის, დამარცხების შემდეგ, ფენიქსის მსგავსად ფერფლისაგან აღდგებოდა ხოლმე. როგორც სიმღერაშია ნათქვამი: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია... ნუმც გაიხაროს მტერმა ჩვენზედა, არცა რას გაუხარნია“.

ამ სიმღერას „მრავალჟამიერი“ ჰქვია, იგი ერთ-ერთია იმ მრავალ ძალზე ემოციურ სიმღერათაგან, რომლებიც ქმნიან ქართული პოლიფონიის რეპერტუარს, მაგრამ ქართველებისთვის „მრავალჟამიერი“ მეტია, ვიდრე უბრალოდ სიმღერა. ეს არის მათი, როგორც ისტორიაში არსებობის, განდიდება“.

მე და ბეიკერი სამთავრობო რეზიდენციიდან გამოვედით, რომ აეროპორტისკენ აგვეღო გეზი. „ხომ არ გინდათ ნახოთ რუსთაველის პროსპექტი? — ვკითხე ჯიმს, — რაც უნდა იყოს, ეს ჩვენი უახლესი ისტორიის სავალალო ძეგლია“. ბეიკერი დამთანხმდა და გეზი შევცვალეთ.

გვერდი ავუარეთ ზამთრის ომების შედეგად გაერანებული სახლების ნანგრევებს. ჩვენი კორტეჟი რესპუბლიკის მოედანს უახლოვდებოდა, როცა ყურთასმენამ შორიდან რაღაც გუგუნი დაიჭირა. დაცვის უფროსს რადიოტელეფონით შეატყობინეს, რომ მოედანზე შეიკრიბა 50 ათასზე მეტი კაცი. სხვა ცნობით: მოედნიდან რამდენიმე კვარტალის დაშორებით, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის შენობასთან, მიტინგს ატარებდნენ ექსპრეზიდენტის მომხრეები. სულ ორი ათასი იყვნენ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ზვიადისტები იყვნენ, ამის უგულებელყოფაც არ შეიძლებოდა. ვიცოდი, რომ რესპუბლიკის მოედნისკენ გასვლას შეეცდებოდნენ და მათ შეაჩერებდნენ, მაგრამ ცოტა მაინც შევშფოთდი.

მაგრამ, როცა ხალხით სავსე მოედანი დავინახე, შფოთმა გამიარა. ესტრადაზე წითელ-თეთრი ქარბუქი ტრიალებდა — ქორეოგრაფიული ანსამბლი მთიულურ ცეკვას ასრულებდა. ცოცხალმა კაშხალმა შეაჩერა ავტომობილი. მის ფანჯრებს მოეკრა მეგობრული სახ-

ეები. ვიღაცამ დაიყვირა: — „ხალხო, აქ ბეიკერი და ედუარდი არიან!“ შევნიშნე, როგორ დაიძაბა სახელმწიფო მდივნის მცველი, როგორ გამოჟონა მისი სახის უშფოთველ გამომეტყველებაში შეშფოთების ნიშანმა.

— გავიდეთ? — ვკითხე სტუმარს.

— როგორც თქვენ მიგაჩნიათ საჭიროდ, — მშვიდად მიპასუხა მან.

გავიარეთ ცოცხალ დერეფანში, რომელიც ხალხმა ჩვენ წინ გააკეთა და ესტრადასთან მივედით, ჩვენკენ ასობით ხელი იყო გამოწვდილი. მესმოდა, როგორ ლოცავდნენ ბეიკერს. უცნაური გრძნობაა, როცა მშობლიურ ენაზე ისმენ სანუკვარ სიტყვებს, რომელიც უცხოელის მისამართით არის ნათქვამი. ჩემთვის გასაგები იყო ამ ხალხის გრძნობები. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იზიარებს თქვენს ზეიმს, თქვენთვის ძვირფასი ხდება. აქ კი არა უბრალოდ ადამიანია, არამედ საპატიო სტუმარი, დიდი ქვეყნის მაღალი წარმომადგენელი, რომელიც მხარს უჭერს თქვენს ქვეყანას მისთვის ძნელ დროს, მოდის თქვენთან ასეთ დღეს, აშკარად უგულებელყოფს პირად უსაფრთხოებას და არაფრად აგდებს ამასთან დაკავშირებულ წესებსა და აკრძალვებს.

ვიღაცის ძლიერმა ხელებმა აგვიყვანა ესტრადაზე. თეთრფაფახიანმა და წითელჩოხიანმა ბიჭუნებმა გაათავისუფლეს ფიცარნაგი.

ჯიმი ესტრადის ნაპირთან მივიდა და წარმოთქვა სიტყვები, რომლებსაც ყველა ასე ელოდა, ჩვენც და ჩვენი წინაპრებიც: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, წარმომადგენელი იმ ქვეყნისა, რომელმაც სამოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ არ ისურვა მხარი დაეჭირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, დღეს აქ, თბილისის ცენტრში გვილოცავდა ამ დღეს და ჩვენთან ერთად ზეიმობდა.

ბეიკერი გაფრინდა და ყველაფერმა გააგრძელა თავისი რბოლა იმ სიჩქარით, რომელიც გვინახავს იაფფასიან დეტექტიურ ფილმში — ვიღაც უხილავი, მაგრამ რეალურად არსებული, ურევდა მოვლენებს, როგორც ბანქოს მონიშნულ ქაღალდებს.

მაგრამ თამაშში უკვე სხვებიც ჩაერივნენ. მეოცე საუკუნის დამლევს მსოფლიო მაინც სხვა იყო. ეს იმედით მავსებდა. საქართველოს ისე იოლად ვეღარ გადაუვლიდნენ, როგორც 1921 წელს. ისიც

სათქმელია, რომ მსოფლიოს ლიდერებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგა. ეტყობა, იმასაც ანგარიშს უწევდნენ, რომ ჩემი სახით ამ ქვეყნის სათავეში მათთვის კარგად ცნობილი და პროგნოზირებადი ლიდერი იდგა, ბევრი მათგანის მეგობარი.

ჯიმმა ამერიკაში დაბრუნებისთანავე ყველაფერი გააკეთა, რომ პირველი და სასწრაფო დახმარება (ასი ათასი ტონა ხორბალი), რომელიც პრეზიდენტმა ბუშმა (უფროსმა) გამოყო, მაშინვე შემოეშველებინათ ჩვენთვის. სულზე მოგვისწრო.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, ვინ იყო პრეზიდენტად – ჯორჯ ბუში (უფროსი), ბილ კლინტონი თუ ჯორჯ ბუში (უმცროსი) სისტემურად გვეხმარებოდა და გვეხმარება პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ფინანსურად, ჰუმანიტარული, სოციალური თუ თავდაცვითი პროგრამებით. რუსეთთან რთულ ურთიერთობაში ამერიკა ჩვენს ფარად იქცა.

სწორედ ამერიკაა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ერთერთი ხელმომწერი და გარანტი, რომლითაც საქართველოს მხოლოდ გარანტირებული ფულადი შემოსავალი კი არ ექნება, არც მხოლოდ ნავთობი და გაზი, არამედ, რაც უმთავრესია, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში მნიშვნელოვანი ფუნქცია და შესაბამისი დაცვაც. იმასთან დაკავშირებით, რომ აქა-იქ გაისმის ხმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის არამომგებიანობაზე საქართველოსათვის, მინდა განვაცხადო, რომ ეს უბრალოდ უმეცრებაა. რომ არ ყოფილიყო ჰეიდარ ალიევის და ჩემი განსაკუთრებული ურთიერთობები, ღმერთმა უწყის, როგორ გადაწყდებოდა ეს ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი.

კარგად მახსოვს, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ჰეიდარ ალიევმა თბილისში განმიცხადა: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველოსათვის რომ მომგებიანი იყოს, აზერბაიჯანი უარს ამბობს თავის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებული ნავთობის სატარიფო შემოსავლებზე საქართველოს სასარგებლოდ, ეს კი (როცა

მილი შეივსება) ჩვენს ბიუჯეტში 40-50 მილიონი დოლარის შემოსავლის ტოლფასი გახლავთ, ხოლო ტრანსპორტირებული გაზის 6% საქართველოს უფასოდ გადაეცემა, 12% კი შეღავათიან ფასად, მსოფლიოს ფასებში საქართველოს იმდენი გაზის შეძენა შეუძლია, რამდენიც სჭირდება. ყოველივე ეს ქვეყნის სრული გაზიფიცირების პერსპექტივას ქმნის. ეს გაკეთდა იმ ფონზე, როცა რუსეთი კატეგორიულად მოითხოვდა კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის მარაგების მხოლოდ მისი ტერიტორიით ტრანსპორტირებას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მილიონობით დოლარი დახარჯა და მილიონობით დოლარს ხარჯავს ქართული პროფესიული ჯარის შესაქმნელად და მის შესაიარაღებლად.

საქართველო ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში იქცა ამერიკის უპირველეს სტრატეგიულ და ერთგულ პარტნიორად, რაც მან დაამტკიცა კიდეც სხვადასხვა კონფლიქტში ამერიკის გვერდით დგომით.

სწორედ ამერიკისა და სხვა ჩვენი მეგობრების დახმარებით გახდა საქართველო მსოფლიო ორგანიზაციების წევრი და ახლა ნატოს წევრობისთვის ემზადება.

* * *

სხვათა შორის, საქართველოს, როგორც სტრატეგიული პარტნიორისთვის, შესაბამისი სამხედრო პროგრამის მომზადება და დაფინანსება მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისში 2000 წელს აშშ-ის თავდაცვის მინისტრს, დონალდ რამსფელდს შევხვდი, წინასწარ მომზადებული რუკა გავუშალე და საქართველოს გეოპოლიტიკურ როლზე ვესაუბრე.

ანალოგიური საუბარი მანამდე მის წინამორბედთანაც, უილიამ კოენთან მქონდა. საათნახევარი ზრდილობიანად და ღიმილით მისმინა, მაგრამ უშედეგოდ.

დონალდ რამსფელდი მაშინვე ჩასწვდა საქმის არსსა და პრობლემის მნიშვნელოვნებას და სულ მალე ორმოცდაათი სამხედრო სპეციალისტი გამოგზავნა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რაც დღეს გვაქვს: თანამედროვე დონეზე მომზადებული და აღჭურვილი რამდენიმე ბატალიონი და საზღვრის შესაბამისი დაცვა...

ჩვენი პრობლემები მუდმივად აისახება აშშ-ის ბიუჯეტში.

შემდეგ, როდესაც ამერიკელი სპეციალისტების საქართველოში ჩამოსვლა გადაწყდა, დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა ერთ-ერთ შეხვედრაზე პუტინს ვუთხარი, ამერიკელებმა უნდა მოგვიმზადონ-მეთქი ჯარი. შეატყვე, ეწყინა – ჩვენც მოგიმზადებდითო...

იმავე დღეს პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა ქალმა უკვე წასასვლელად გამზადებულ პუტინს ლამის ყვირილით დააწია კითხვა:

– Каково Ваше мнение по поводу участия американцев в становлении грузинской армии?

კიბეზე ფეხადგმული პუტინი შეჩერდა და შებრუნდა. ჩვენც შევბრუნდით:

– Грузия независимая страна и ей самой решать с кем и как строить свою армию, – უპასუხა.

ამით დამთავრდა. სიმართლე უნდა ვთქვა, გულზე მომეშვა, რადგან არმიის მშენებლობის უკან ბევრად მეტი რამ იდგა, ვიდრე არმიაა... გარეგნულად მაინც, რუსეთი შეეგუა, რომ იგი ადვილად ვეღარ ჩაერეოდა ჩვენს საშინაო საქმეებში.

* * *

29 მაისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთხელ ჩაშალეს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

იმავე დღეს გამსახურდიას მომხრეებმა ზუგდიდში დაიკავეს პრეფექტურის შენობა და მთელი მისი პერსონალი დაატყვევეს.

ივნისის დამდეგს გაიფიცნენ დედაქალაქის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები. ძირითადი მიზეზი: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა შეიარაღებული ფორმირებების, უპირველეს ყოვლისა, „მხედრიონისა“ და გვარდიის მეთაურების თვითნებობის ფონზე. ისინი აღარ ემორჩილებოდნენ თვით თავიანთ უმაღლეს ხელმძღვანელებსაც კი. ერთ-ერთი ასეთი უფროსი, ჯაბა იოსელიანი, ჩემი მოადგილე იყო სახელმწიფო საბჭოში, მეორე – თენგიზ კიტოვანი, ვიცე-პრემიერი და თავდაცვის მინისტრი, რომელიც შეიარაღებულ ძალებს, პოლიციასა და დაზვერვას

კურირებდა. ამ ადამიანებმა თავის ხელში მეტისმეტად დიდ ძალას მოუყარეს თავი.

ბეიკერის შეკითხვას, ზვიადისტების ან ჩემი „მოკავშირეების" მიერ სავარაუდო შეიარაღებული გადატრიალების შესახებ, ვუპასუხე: „ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხელები შეკრული მაქვს და იძულებული ვარ, მივმართო ლავირებას – ვითანამშრომლო იმავე თავდაცვის მინისტრთან, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მშვიდობისა და ომის ბედი ცხინვალის რეგიონში".

1992 წლის 12 ივნისს დამირეკა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა. ჩვენ ვილაპარაკეთ ობიექტურ ისტორიულ აუცილებლობაზე – საქართველო-რუსეთის დიდი ხელშეკრულების – რუსეთსა და საქართველოს შორის ახალ ურთიერთობათა მშენებლობის საფუძვლების შესახებ. უკვე მეორე დღეს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც ელცინის დავალებით უნდა განეხილა ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მექანიზმი, დარჩენილი იყო უმნიშვნელო ფორმალური საკითხები, მაგრამ ამ დროს რამდენიმე გამაოგნებელმა მოვლენამ იქუხა.

13 ივნისს თბილისის ცენტრში, ჯაბა იოსელიანის სახლის მახლობლად, ტერორისტული აქტი მოხდა: რამდენიმე წამის შემდეგ, რაც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კორტეჟის ბოლო ავტომანქანამ გაიარა, ამ ადგილზე ტროტილით სავსე ავტომობილი „ზაპოროჟეცი" აფეთქდა. აფეთქება მოახდინეს დისტანციური პულტის მეშვეობით. დაიღუპა ხუთი კაცი, მათ შორის ერთი ბავშვი, დაიჭრა ექვსი, რამდენიმე სახლი დაინგრა.

იმავე დღეს ქალაქ გორში ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრში, მოხდა შეტაკება ქართველ გვარდიელებსა და რუსეთის სატანკო პოლკის სამხედრო მოსამსახურეებს შორის, აქაც დაიღუპნენ ადამიანები. ტანკისტებმა დაქოქეს მანქანები და ქალაქის ქუჩებში გამოიყვანეს... ქალაქში პანიკა ატყდა...

15 ივნისს რუსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხაზბულატოვმა გააკეთა განცხადება, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვე-

რენიტეტის ხელყოფის პოლიტიკურ კურთხევას (ისტორია მეორდება: დღესაც ანალოგიურ განცხადებას აკეთებს რუსეთის დუმაში ზოგიერთი დეპუტატი).

18 ივნისს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სამმა ვერტმფრენმა შეუტია ქართველი გვარდიელების პოზიციებს ცხინვალის რეგიონში, შესაბამისი ბრძანება გასცა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ კონდრაშოვმა, რომელიც, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, თენგიზ კიტოვანის მიწვევით იმყოფებოდა იქ. ამის თაობაზე არაფერი ვიცოდი.

ამ ინციდენტს მე აგრესიის აქტის კვალიფიკაცია მივეცი.

20 ივნისს რუსეთის მთავრობამ და ამ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრ რუცკოიმ ერთდროულად გააკეთეს განცხადებები, სადაც კვლავ მიმართეს ძალის დემონსტრირებას და საქართველოს და მოლდოვას საშინაო საქმეებში ჩარევის მუქარას.

იმავე დღეებში ჩვენ მივიღეთ ცნობა ნიუ-იორკიდან: რომ რუსეთის მოთხოვნით გადაიდო საქართველოს თხოვნის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობაში მისი მიღების შესახებ. მოკლედ, ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ ფართო შეტევას რამდენიმე ფრონტზე ახორციელებდნენ: ეკონომიკურზე (სათბობ-ენერგეტიკული და სატრანსპორტო ბლოკადა), სამხედროზე (რუსეთის ჯარის მონაწილეობა შიდაკონფლიქტებში), დიპლომატიურზე (საქართველოს გაეროში მიღების საკითხის ბლოკირება, ორმხრივი ურთიერთობის განვითარების დაკავშირება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებასთან), ინფორმაციულზე (ქართული ვერსიების დაბლოკვა რუსეთის პრესაში და საქართველოს შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება).

24 ივნისს, როცა მე რუსეთის პრეზიდენტთან სოჭში უნდა გავფრენილიყავი შესახვედრად, რათა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების გზების შესახებ შეთანხმება შეგვემუშავებინა, ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებულმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო შინაგანი ჯარების საწყობი, მერე კი — საქტელერადიოდეპარტამენტის შენობა, საიდანაც მოსახლეობას მიმართა ცრუინფორმაციით: რომ აღდგენილია „კანონიერი ხელისუფლება“ და მოუწოდა ხალხს, მისი

დროშის ქვეშ შეკრებილიყო. მოწოდებას არავინ გამოხმაურებია, პუტჩის მცდელობა მალე აღიკვეთა, რამაც რუსეთის ბულვარულ პრესასა და „სერიოზულ“ პოლიტოლოგებს საბაბი მისცა, ეს გამოსვლა კვაზიპუტჩად მოენათლათ, რომელიც თითქოს ხელისუფლების მიერ იყო ორგანიზებული სამმაგი ამოცანის გადასაწყვეტად: სოჭის შეხვედრის წინ რუსეთის ხელმძღვანელობისათვის ეჩვენებინა საქართველოში დემოკრატიისთვის შექმნილი რეალური საფრთხის არსებობა, დაესაბუთებინა და გაემართლებინა რეპრესიები გამსახურდიას მომხრეების წინააღმდეგ, მოეხდინა მდგომარეობის სტაბილიზაცია თბილისში და მიეღწია ძალების კონსოლიდაციისათვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გარშემო.

ჩემი „ასი დღის“ დასასრული აღინიშნა აფეთქებათა მთელი სერიით: რუსეთთან ურთიერთობაში, შიდაკონფლიქტებში, დასავლეთ საქართველოს მაგისტრალებზე, დეზინფორმაციები რუსეთის გაზეთების გვერდებსა და ტელევიზიის ეკრანებზე...

ძნელი იყო იმ შეგრძნებისაგან თავის დაღწევა, რომ ყველა ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ცხინვალში საომარ მოქმედებათა ესკალაციასთან, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის მრავალრიცხოვან დარღვევასთან და ამავე დროს ქვეყნის დედაქალაქში სიტუაციის დესტაბილიზაციას ისახავდა მიზნად. იმ დღესვე მომხდარი აფეთქება გორში კიდევ ერთი რგოლი იყო მოვლენათა ჯაჭვში, რომელსაც შეეძლო საქართველოს სასიცოცხლო არტერიების გადაჭრა. შეუძლებელია დამთხვევა ვუწოდოთ რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირების განცხადებებს ზვიადისტების მიერ ტელერადიოდეპარტამენტის ხელში ჩაგდების დღეს, 24 ივნისს, და სოხუმში აფხაზეთის ხელისუფლების მიერ ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროზე შეტევის განხორციელებას, იქიდან არასასურველი ქართველი მინისტრის, გივი ლომინაძის გამოძევებას.

მეტისმეტად ბევრი მსგავსი მოვლენა მოგროვდა დროის ამ პაწაწინა მონაკვეთში, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ყველა კარგად კოორდინირებული იყო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამსახურდიას მომხრეებს, აფხაზ და ოს სეპარატისტებსა და რუსეთის რეაქციულ წრეებს შორის ნამდვილად არსებობდა კავშირი.

როგორც გაირკვა, 24 ივნისის აქცია ივლისის დამდეგისთვის იყო დაგეგმილი და იგი სპეციალურად გადმოიტანეს ივნისის თვეში, დაამთხვიეს ჩემი და რუსეთის პრეზიდენტის იმ დღისთვის დანიშნულ შეხვედრას სოჭში (დაგომისში).

ჩვენი შეხვედრის შედეგი იყო შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ და კომუნიკე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველო და რუსეთი „ცნობენ ერთმანეთის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. მათ არა აქვთ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და კისრულობენ საჯარო ვალდებულებებს, ნებისმიერი წამოჭრილი დავა გადაჭრან და მოაწესრიგონ მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, პოლიტიკური მოლაპარაკების გზით და არ გამოიყენონ ძალა".

აქვე ისიც ითქვა, რომ რუსეთის ფედერაცია მიესალმება საქართველოს სურვილს, გახდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ყოველნაირად შეუწყობს ხელს ამ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს შესვლას.

„შეთანხმების" მეორე პუნქტის მიხედვით, რუსეთი კისრულობდა „ოცი დღის ვადაში გაეყვანა ცხინვალის რაიონიდან იქ დისლოცირებული 37-ე ინჟინერ-მესანგრეთა პოლკი და 292-ე საბრძოლო ვერტმფრენთა პოლკი, უზრუნველყოფისა და მომსახურების ქვედანაყოფებითურთ".

მშვიდობის დამყარებისთვის შეიქმნა „შერეული ძალები", მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებად და დაპირებებად დარჩა. იქ, სადაც რუსი სამხედროები იდგნენ, დღეს სეპარატისტული რეგიონის „ბოევიკები" დგანან, ბევრად დიდი შეიარაღებით, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. იარაღის შემოსატანად კი იქ ერთადერთი გზა არსებობს — როკის გვირაბი, სადაც რუსეთის ტერიტორიიდან შემოედინება ყველა და ყველაფერი — შეიარაღებაც, კონტრაბანდაც, ბოევიკებიც, ჩრდილოკავკასიელებიც.

ასე გაგრძელდა რუსეთის ტრადიციული პოლიტიკა საქართველოში.

* * *

და მაინც, ყოველივეს მიუხედავად, ჩვენ ვმუშაობდით, მუშაობდა სახელმწიფო საბჭო — მომავალი პარლამენტის ერთგვარი პროტოტიპი. მივიღეთ კანონი არჩევნების შესახებ. დავიწყეთ ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობა. ძლიერდებოდა პოლიცია, პრაქტიკულად ცარიელ ადგილზე იქმნებოდა დაზვერვის სამსახური, სრულყოფილი ხდებოდა პროკურატურის ორგანოები, დავიწყეთ მიწის რეფორმა — რესპუბლიკის მიწის ფონდის თითქმის სამოცი პროცენტი უნდა გადაგვეცა კერძო საკუთრებაში.

ეს მოძრაობა არ იყო ისეთი სწრაფი, როგორიც მინდოდა. ჩვენ მივიღეთ მრავალი კარგი და დროული გადაწყვეტილება, მაგრამ ისინი არ სრულდებოდა. მაგალითად, გადავწყვიტეთ, რომ ყველა შეიარაღებული ფორმირება, რომელსაც სურდა გამხდარიყო ეროვნული შეიარაღებული ძალების საფუძველი, გარკვეულ ვადაში ყაზარმებში შესულიყო. ვინც ამას არ გააკეთებდა, კანონგარეშე გამოცხადდებოდა. დანიშნული ვადისათვის არც გვარდია და არც „მხედრიონი“ ყაზარმაში არ შევიდა, რადგან ყოველთვის, თითქოს დაკვეთით, რაღაც ხდებოდა: ხან ხმაურიანი ტერორისტული აქტი, ხან ტელევიზიაზე თავდასხმა, ხან კიდევ სხვა რაღაც... მეტისმეტად აშკარა ტენდენცია ცხად კანონზომიერებად წარმოგვიდგებოდა.

კანონზომიერებად იქცა ჩემი შეიარაღებული და უიარაღო თანამებრძოლების გაუჩინარება მაშინ, როცა ყველაზე მეტად საჭირონი იყვნენ. ეს ყოველთვის ემთხვეოდა სადავო პრობლემების მშვიდობიანი, პოლიტიკური მოწესრიგების გამოცხადებული სახელმწიფო კურსის მორიგ დარღვევას. მაგალითად, მატყობინებენ, რომ ცხინვალიდან ქალაქს ქართული პოლკები უახლოვდებიან და მათ გამაგრებული სიმაღლეები დაიკავეს. მე ვეცემი ტელეფონს, ვეძებ პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, მაგრამ ისინი არსად ჩანან. გარკვეული დროის შემდეგ, როცა საქმე უკვე გაკეთებულია, ვპოულობ თენგიზ კიტოვანს და იგი ამბობს, რომ არ გაუცია ბრძანება შეტევის შესახებ. მაშ, ვინ გასცა? როგორც ირკვევა, რომელიღაც საველე მეთაურმა, რომელსაც ამის უფლება არ აქვს, მაგრამ მას ვიღაცამ ხომ მისცა ეს უფლება?

პოლიტიკური დეფინიციები ზოგჯერ ისე გაუგებარია, რომ მომხდარის არსს ვერ დაადგენ. და მაინც, მიჭირს უარვყო იმ ავტორის სიმართლე, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩემმა ჩამოსვლამ „დემოკრატიული საფარი“ შექმნა და „გააკეთილშობილა სამხედრო-პოლიტიკური კენწერო, რომელმაც ხელისუფლებას ჩამოაშორა პრეზიდენტი გამსახურდია და მისი ადმინისტრაცია“.

საკითხავი ის არის, რატომ გავაკეთე ეს? — „გავაკეთილშობილე“, „შეექმენი დემოკრატიული საფარი“. მსგავსი „ქველმოქმედება“ ჩემს გეგმაში არ შედიოდა და დარწმუნებული ვარ, ამის თაობაზე ილუზიები არც ჩემს „თანამებრძოლებს“ ჰქონდათ. ჯეიმს ბეიკერი არ მომცემს უფლებას, ჭეშმარიტების წინაშე შეცოდო: 1992 წლის მაისში ჩემთვის უკვე ნათელი იყო, როგორც მინიმუმი, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის ორი წევრის შეფარული განზრახვა, — ვუთხარი კიდეც ეს მაშინ ამერიკელ მეგობარს. და მის შენიშვნაზე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა გაუზიარა თავისი სურვილი, ვეხილე ქვეყნის ხელმძღვანელობაში, მე არაორაზროვნად ვუპასუხე: „ორმაგი თამაშია!“

სხვათა შორის, ამერიკის სახელმწიფო მდივანთან მაშინდელი საუბრისას, მახსოვს, სიხარულის განცდა დამეუფლა: ისევ ვიქნები ნაცნობ სტიქიაში, ისევ ვითამაშებ ნაცნობი წესებით, უსინდისო სარმების გარეშე. სიცოცხლის საქმე არ დახურდავდება მავან ინტრიგანთა ვერაგობასა და პროვინციულობაზე — მათი ხრიკები ჩანაფიქრშივე იოლად იკითხებოდა....

უნდა ვაღიარო, რომ იმ დროს „ორმაგი თამაშის“ წარმართვა მეც მიწევდა — ჩემი იძულებითი პარტნიორობა ზოგიერთ „თანამებრძოლთან“ იყო ხარკი იმისა, რომ მეტვირთა ჩემი სამშობლოს უბედურებათა ნაწილი, თავად მეკისრა პასუხისმგებლობა მისი მომავლისთვის. როგორც უკვე ვთქვი, ეს პასუხისმგებლობა გულისხმობდა უპირველესად ქვეყნის გათავისუფლებას ისეთი ხელმძღვანელებისაგან, რომლებსაც მისი თავისუფლება ესმოდათ, როგორც საკუთარი ნების თავისუფლება — მოეხვეჭათ კაპიტალი და სიმდიდრე მისი უბედურების ხარჯზე.

იმ დღეებში, ჩემი „უძალაუფლებო მართვის“ პირველ ას დღეს,

როცა დროდადრო ვაწყდებოდი პოლიტიკურ სიმდაბლეს, ორპირობას, სიცრუეს, ვგრძნობდი, როგორ მეძალებოდა სურვილი, ერთბაშად გამეთავებინა ყველაფერი, დამესვა საბოლოო წერტილი, ყველაფერი გამომეშკარავებინა და კარი გამეჯახუნებინა.

რა თქმა უნდა, შემეძლო წავსულიყავი სადმე წყნარ დასავლეთში, თუნდაც გერმანიაში, სადაც მიწვევდნენ – ვიცხოვრებდი გადამდგარი პოლიტიკოსის მშვიდი ცხოვრებით და საკმაოდ ნორმალურად ვიარსებებდი ჩემი ლექციებისა და მოგონებების ჰონორარებით, მაგრამ ეს მართლაც არსებობა იქნებოდა და მეტი არაფერი: აქ დარჩებოდა უკვე გაჩაღებული სამოქალაქო ომი, შიმშილი, უმუშევრობა, ეკონომიკური კრიზისი, პურისა და ბენზინის რიგები, სადაც უკვე ხოცავდნენ ერთმანეთს, ყაჩაღობა, თოფიანი კაცის მორალი, საძმოები და ოდესღაც აყვავებული ამ მხარისათვის (რაც უნდა ითქვას, როდესაც მე რესპუბლიკის ლიდერი ვიყავი, კომუნისტების დროს, საქართველოში ქართველი მათხოვარი არ არსებობდა, მიუსაფარი ბავშვები ხომ მით უფრო, სამსახურიც არ იყო ძნელი საშოვნელი) თავისუფლება ქვეყნის დაღუპვად იქცეოდა.

წასვლა და ყველაფრის მიტოვება მართლა მსურდა, ისევე როგორც მსურდა ყველაფრის მიტოვება მაშინ, როდესაც შემდეგ ჯაბა იოსელიანთან კონფლიქტი მომივიდა.

მაგრამ ვისთვის ჩამეგდო ქვეყანა ხელში – კიტოვანისა და იოსელიანისთვის? ეს ხომ სისხლიან ქაოსში დანთქავდა ყველაფერს.

არა, მე მხოლოდ მაშინ გადავდექი, როდესაც ქვეყანა უკვე სახელმწიფოს ჰგავდა და, ასეა თუ ისე, მის სათავეში მაინც ჩემი გამოზრდილი ახალგაზრდა პოლიტიკოსები მოვიდნენ.

ეს ისტორიული ექსკურსი ვინმეს იქნებ ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ ისტორია, მოგეხსენებათ, განსაზღვრავს არა მხოლოდ ხალხებისა და ქვეყნების, არამედ ყოველი ჩვენგანის სადღეისო თუ სამომავლო ქმედებებს.

რაც დღეს ხდება ჩვენ გარშემო – კავკასიაში, რუსეთსა და საქართველოში, ჩვენს ურთიერთობებში, მნიშვნელოვანწილად ისტორიულ ანალებსა თუ ქვეცნობიერში ჩამარხული მოვლენების გაგრძელება და გამოძახილია.

მინდა ყველამ ვიცოდეთ ან გავიხსენოთ, რაც იყო და როგორც იყო, რომ ავხსნათ ბევრი რამ, გავთავისუფლდეთ ბევრი რამისგან და თვისებრივად ახალი ურთიერთობანი დავიწყოთ რუსეთსა და საქართველოს შორის – ჭეშმარიტად თანაბარი და მეგობრული.

„ფიქრი წარსულსა და მომავალზე“ მაშინ იწერება, როდესაც საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – შიდა ქართლში (რომლის ნაწილსაც რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა 1922 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი მიანიჭეს) კვლავ იფეთქა კონფლიქტმა. აქ ცალ მხარეს – ოსი სეპარატისტები – ბოევიკები და რუსეთის მოქალაქეები არიან, მეორე მხარეს – ქართველები; ერთ მხარეს – რუსეთის სათათბირო, რუსეთის ხელმძღვანელობა, რუსეთის რეგულარული არმია და რუსეთის მხარდამჭერი ჩრდილოკავკასიელები, მეორე მხარეს – ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფო და ქართული ჯარი, ქვეყნის ახალგაზრდა, გამოუცდელი ხელმძღვანელობა. რა თქმა უნდა, არათანაბარი დაპირისპირებაა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რომ საბოლოოდ შეიერთოს როგორც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, ისე აფხაზეთი – მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოს ორგანული ნაწილები, თავის დროზე ერთ ქართულ სახელმწიფოდ გაერთიანებულნი საერთო

კულტურით, საერთო მღვდელმსახურებით, საერთო ენით, ქართული ანბანით, საერთო წარსულითა და საერთო მომავლით.

თანამედროვეთათვის დღეს ეს ყოველივე პიროვნული თუ სახელმწიფოებრივი ტრაგედიაა, მაგრამ თუ ყველაფერი არ გამოსწორდა, გავა საუკუნეები და მხოლოდ ისტორიკოსებს ეცოდინებათ, რა მოხდა სინამდვილეში. აღარავის ემახსოვრება ეს ძალადობა და რუსეთი ისევე გადახარშავს თავის იმპერიულ ქვაბში ერთსაც და მეორესაც, როგორც არაერთი მხარე და ხალხი გადაუხარშავს. თუმცა, მე იმასაც ვფიქრობ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის დანგრევის ამ მცდელობამ კვლავ სისხლიან აფეთქებამდე შეიძლება მიგვიყვანოს, აფხაზთა, ოსთა, ქართველთა და თვით რუსეთის ეროვნულ კატასტროფამდე.

დიდი გულისტკივილით ვამბობ, რუსეთის გაფართოებისა და მიწათდაპყრობის მრავალსაუკუნოვანი პროცესი დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც გრძელდება და თუ მსოფლიო, ევროპა და ამერიკა ახლაც წაუყრუებენ მის აგრესიულ ქმედებას, ქართული ტრაგედიიდან ის მსოფლიო ტრაგედიად გადაიქცევა.

ამ პროცესმა საუკუნეთა მანძილზე „დომინოს ეფექტით“ ხალხთა დიდი გადაადგილებანი გამოიწვია რუსეთის მთელ შემოგარენში – ევროპაში, აზიასა თუ კავკასიაში. იმპერიის მიერ შევიწროებული ადგილობრივი მოსახლეობა კავკასიის ქედს მოაწყდა, რომელიც საქართველოს ბუნებრივი დამცავი ზღუდეა. ზამთარში იგი შეუვალად იცავდა საქართველოს, მაგრამ სხვა დროს, საცალფეხო ბილიკებით, რუსის ჯარისკაცსა და გაჭირვებას გამოქცეული ალანები (ოსები), ქისტები (ჩეჩნები) და კავკასიის მთიანეთის სხვა ხალხები ნელ-ნელა, თითო კაცად თუ თითო ოჯახად შემოდიოდნენ საქართველოში და ხიზნების უფლებით სახლდებოდნენ შავიზღვისპირეთში, პანკისის ხეობასა თუ შიდა ქართლში, ანუ ე. წ. სამხრეთ ოსეთში. მათი ნაწილი ქართველ მოსახლეობას შეერია, ნაწილი კი კომპაქტურად დასახლდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და როგორც დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველივე წლებში (1919), ასევე თანამედროვე საქართველოშიც, არა მხოლოდ თავისი, არამედ რუსების ინტერესების გამტარებლად იქცა. მათ არა მარტო პრივილეგიები, არამედ მიწაც

მოითხოვეს – ერთმა რუსეთის იმპერიასთან შესაერთებლად, მეორემ – რუსეთის სატელიტი სახელმწიფოს შესაქმნელად.

რუსეთის იმპერიული ლოგიკით, ჩეჩნებს, ჩრდილო კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას, დამოუკიდებლობა არ ეკუთვნით, ხოლო დამოუკიდებლობა ეკუთვნით საქართველოს მიწაზე ადრე თუ გვიან ჩამოსახლებულ ოსებს, რომელთა უმეტესობა, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თავად რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული აღწერით, „ხიზნებად“ იწოდებოდა. მთლიანი აფხაზეთის ბედი უნდა გადაწყვიტოს რუსეთის მიერ საკუთარ მოქალაქეებად შერაცხულმა უმცირესობამ, ხოლო ეთნოდევნის შედეგად გამოძევებულ ქართველთა უმრავლესობას (სამასი ათასზე მეტ დევნილს) არავინ არაფერს ეკითხება, არც უშვებენ თავიანთ სახლ-კარში, თავიანთი წინაპრების საფლავების საპატრონოდ, თავიანთი კულტურის იმ მრავალსაუკუნოვანი ძეგლების საპატრონოდ, რომელთა კედლებზე საუკუნეთა წინანდელი ძველი ქართული წარწერებია დაფიქსირებული.

პარადოქსია, რომ მსოფლიო ამას რუსეთის შიშით მშვიდად შესცქერის, არადა ასეთივე ლოგიკით იტალიელებსა და სომხებს ამერიკაში, ისევე როგორც თურქებს გერმანიაში, შეუძლიათ დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, ხოლო ალასკის მკვიდრთ რუსებმა რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭონ და მერე იარაღით დაიცვან ისინი. დაფიქრებულა ვინმე ამ საშიშ იურიდიულ კაზუსზე? რუსეთში ამჟამად მილიონობით ჩინელი ცხოვრობს, მათ შეუძლიათ ციმბირის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნან, ჩინეთმა კი დაიცვას თავისი მოქალაქეები. ხომ აბსურდია? ეს აბსურდი რუსეთის დახმარებით საქართველოში ლამის რეალობად იქცა.

ის, რასაც რუსეთი საუკუნეების განმავლობაში აკეთებდა და აკეთებს საქართველოში, თავისი უარყოფითი თუ დადებითი შედეგებით, რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის ნაწილია, ამ პოლიტიკით განსაზღვრული, მომზადებული და განხორციელებული.

ამიტომ ეს პოლიტიკა მოკლედ მაინც უნდა მიმოვიხილო, რომ მკითხველმა, და, პირველ რიგში, ახალგაზრდა მკითხველმა – მათ შორის რუსმა უპირველეს ყოვლისა – იცოდეს, რომ რუსეთში მეფეთა, ფორმაციათა და საზოგადოების მენტალიტეტის ცვლილება-

თა მიუხედავად, ერთი რამ იყო მუდმივი და უცვლელი — რუსეთის იმპერიული პოლიტიკა კავკასიასა და საქართველოში, და არა მარტო აქ...

ხელოვნური ეთნოკონფლიქტებიც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის საქართველოში ამ პოლიტიკის გამოვლენაა და მეტი არაფერი.

რუსეთსა და საქართველოს შორის პრინციპულად ახალი ურთიერთობის დაწყების აუცილებლობის თაობაზე უშუალოდ გადადგომის წინ საუბარი მქონდა ვლადიმირ პუტინთან, რუსეთის პრეზიდენტთან, სოჭში ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს. საუბრის ერთი მთავარი თემა, რა თქმა უნდა, აფხაზეთი გახლდათ. პუტინს აინტერესებდა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, მე — ლტოლვილთა დაბრუნების დაწყება და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. ეს საუბარი მხოლოდ საუბრად არ დარჩენილა. ათიათასობით ადამიანი დაბრუნდა გალის რაიონში. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს და გადამწყვეტი სიტყვა თქვეს აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებშიც. რკინიგზის აღდგენაზეც მიდის მუშაობა, თუმცა აქ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი და დიდი ფინანსებიცაა საჭირო. ასეა თუ ისე, ეს ფაქტობრივად პირველი შემთხვევაა, როცა სიტყვა საქმედ იქცა. ახლა შეიძლება აღდგეს ეკონომიკური ურთიერთობანი აფხაზებთან, ეს ალბათ გაალღობს ყინულს ადამიანთა ურთიერთობებში... ვფიქრობ, სწორი მიმართულებით მივდივართ...

კავკასიის დაპყრობა

რუსეთის დედაქალაქ მოსკოვსა და საქართველოს დედაქალაქ თბილისს ერთმანეთისგან თვითმფრინავით სულ რაღაც ორი საათისა და ათი წუთის ფრენა აშორებს. არადა, ამ დროის განმავლობაში თვითმფრინავი გადალახავს რამდენიმე კლიმატურ და ლანდშაფტურ ზონას, 1800 კილომეტრს, რუსეთის მიერ ათვისებულ უზარმაზარ სივრცეს, სადაც რუსეთის იმპერიული დაპყრობების დროს ევროპის ბრძოლის ველებზე დიდებით შემოსილი გენიალური რუსი მხედართმთავრები ადგილობრივ „ველურ ურდოებთან“ კოლონიურ ბრძოლებში რუსული

იარალის დიდებას განამტკიცებდნენ. რუსეთი იპყრობდა კავკასიის მწვერვალებს სამხრეთის ტრამალების გაელით, საიდანაც დევნიდა დაუმორჩილებელ „არარუსებს". გრაფი ალექსანდრ სუვოროვი, რომელმაც თურქებზე თუ სხვებზე მრავალი ბრწყინვალე გამარჯვებით უკვდავყო თავისი სახელი და ყირიმი რუსულ პროვინციად გადააქცია, სათავეში ჩაუდგა კორპუსს ყუბანის ხაზზე, რომელსაც მხოლოდ საზღვარი კი არ უნდა დაეცვა, არამედ ქვეშევრდომებად უნდა ექცია ნოღაეთისა და ყუბანსიქითა „ურდოები" და უმნიშვნელო წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი მათთვის სასიკვდილო დარტყმები მიეყენებინა.

იმ დროის მსოფლიოში, სადაც გაბატონებული იყო დაპყრობის იმპერიული პრინციპი და არც შეუბრალებლობა იყო იშვიათი, რუსეთი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. რუს კონკისტადორებს მთელ მსოფლიოში ჰყავდათ ცნობილი წინამორბედები. ერთნიც, მეორენიც და მესამენიც თავიანთ ეგზეკუციებსა და მკვლელობებს ცივილიზატორული მისიის იდეით აკეთილშობილებდნენ, მაგრამ რუსული „მიწების შეგროვების" იდეოლოგები დღესაც რუსეთის „განსაკუთრებულ სულიერ მისიაზე" აკეთებენ აქცენტს და საკითხი დაუნდობლობის შესახებ უნებურად წინა პლანზე გადმოდის. ახლაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც, ისინი ისეთივე დაუნდობლობითა და მზაკვრობით მოქმედებენ, როგორც ადრე.

„Кавказ для нас не может быть чужим: слишком много там потрачено всяческих сил, слишком органически он связан с великим русским мировым призванием". აი, თავიდათავი ყოველივესი: „მსოფლიო მოწოდება", — აი, როგორია კავკასიაზე მისადაგებული მასშტაბი. ციტირებული სიტყვები ნათქვამია მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როცა კავკასია უკვე კარგა ხანია ბრწყინავდა რუსული იმპერიის გვირგვინში. ახლა კი შევადაროთ ამ აღტაცებულ აღიარებას სხვა, არანაკლებ ემოციური მტკიცებულება — სუ-

ვოროვის ბრძანება, რომელიც დათარიღებულია 1782 წლის 29 სექტემბრით: „Войскам отдыха нет до решительного поражения, истребления или пленения неприятелей. Пули беречь, работать холодным оружием!... Добыча делиться пополам: одна половина на государя, другая войскам, из этой половины две трети ка-

закам", ანუ იმ კაზაკების წინაპრებს, რომელნიც აფხაზეთში ხოცავდნენ ქართველებს, იმ კოლონისტების წინაპრებს, რომელნიც ახლა ცხინვალთან ებრძვიან ქართველებს და XXI საუკუნეშიც მდიდრდებიან ხალხის ხოცვა-ჟლეტით.

მოკლედ, რუსები უნდა დასახლებულიყვნენ, აეთვისებინათ სახნავი მიწები და საძოვრები, რომ დაპყრობილ მიწაზე დამკვიდრებულიყვნენ, ფესვები გაედგათ.

„Хронологическое показание достопримечательных событий в Кавказско и Закавказском крае", – 1869 წელს კავკასიის მეფისნაცვლის (ანუ რუსეთის იმპერატორის მიერ დანიშნული მმართველის) დავალებით გამოცემული ეს კალენდარი გამოხატავს კავკასიაში რუსული პოლიტიკის სამ ძირითად მიმართულებას: საყრდენი პუნქტების შექმნა და რუსი კოლონისტების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ათვისება, მზარდი სამხედრო ზემოქმედება გეოპოლიტიკურ მეტოქეებსა და მათ მოკავშირე ხალხებზე, რისი მიზანიც იყო მათი წინააღმდეგობის გატეხა, დასასრულ, იმ ძალების მოძებნა, რომლებიც შეძლებდნენ, მხარი დაეჭირათ რუსეთისთვის „მესამე რომის მსოფლიო ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში" და შეესრულებინათ „ამ ამოცანის გადაწყვეტის ბუნებრივი დამხმარე ბერკეტების როლი წინა აზიაში" (საქართველოში მათ მოძებნეს და გამოზარდეს ასეთი ძალები ოსი და აფხაზი სეპარატისტების სახით).

პირველი მიმართულება უკვე XVI საუკუნეში გამოიკვეთა. 1587 წელს თერგის შესართავთან რუსებმა ციხესიმაგრე ააგეს. „ქრონოლოგიური მაჩვენებელი" მკაფიოდ აფიქსირებს სასტარტო ზღუდეს: „თერგის სავოევოდოს დასაწყისი კავკასიის ხალხების სამართავად". რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მეფე ალექსი მიხეილის ძის მმართველობის დროს, თერგზე ასახლებენ სტრელცებს და დონის კაზაკებს. შემდეგ გენერალ-ადმირალი აპრაკსინი – კაზაკებს, რომლებიც მანამდე ცხოვრობდნენ „მოწინავე ჩეჩნური მთების" გასწვრივ, თერგის ციხესიმაგრიდან 160 კილომეტრის დაშორებით, მოუნიშნავს ახალ საცხოვრებელ ადგილს. ეგრეთ წოდებულმა მეწინავე კაზაკებმა – ავანგარდმა – გამოდევნა ჩეჩნები მათი ბინადრობის ადგ-

ილებიდან. ისინი ამოცანას თავს წარმატებით ართმევენ: მათ საკმაოდ დიდ მანძილზე წაიწიეს ციხესიმაგრიდან წინ, დაიკავეს მთისწინეთი, საიდანაც იხსნება პირდაპირი გზა – სულ წინ და წინ.

უფრო შორს და თერგის ხეობაში უფრო მაღლა მიდის კოლონიზაციის ტალღა და აი, უკვე იმპერატორი ეკატერინე მეორე თერგის სტანიცებში რამდენიმე ასეულ რუსს ასახლებს და დასახლებას აძლევს სახელწოდებას – მოზდოკის პოლკი. კოლონიზაციის მასშტაბი იმ დროისათვის არნახული ტემპით იზრდება: არა ათეულობით და ასეულობით, არამედ ათასეულობით რუსი (20 ათასი) დამკვიდრდა შავიზღვისპირა მიწებზე.

კოლონიზაციას წინ უსწრებს ექსპედიციები და ეგზეკუციები. ჯერ ციხესიმაგრე, მერე ბრძოლა, ბოლოს ქალაქებისა და სტანიცების მშენებლობა. სამხედრო ადმინისტრაციის მიღწევებზე მსჯელობენ არა მარტო სამხედრო ოსტატობის ან პირადი მამაცობის მიხედვით, არამედ მეურნეობის გაძღოლის უნარითა და კოლონისტების დაფუძნებით დაპყრობილ ტერიტორიაზე. ამ მხრივ ტოლი არ ჰყავდა გენერალ ერმოლოვს, ნაპოლეონთან ომის გმირს: „Он первый понял значение русского народного элемента, как начала, сближающего иноверцев с Россией и серьезно упрочивающего русскую власть в краю. Ермолов изобрел и стал вводить в жизнь практичнейший из применявшихся доселе способов русской колонизации – учреждал оседлость для женатых кавказских солдат“...

უნდა ითქვას, რომ რუსული კოლონიზაციის ეს ყველაზე პრაქტიკული ხერხი გამოიყენეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კავკასიაში მებრძოლ ჯარისკაცს საშუალება მიეცა ამ მხარეში ოჯახით დასახლებულიყო. ამისათვის საჭირო იყო, როგორც მინიმუმი, ორი რამ: პლაცდარმის შექმნა კავკასიის დასამორჩილებლად და ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილება. პლაცდარმს თურქეთსა და სპარსეთს ომით ართმევდნენ, თანაც ერთდროულად „ამშვიდებდნენ“ დაუმორჩილებელ კავკასიის ხალხებს. „ქრონოლოგიური მაჩვენებელი“ უხვადაა გაჯერებული ასეთი ცნობებით: იმავე გენერალმა ერმოლოვმა ორჯერ მოამზადა და სათავეში ჩაუდგა ლაშქრობებს, ჯერ – „დაღ-

ესტნის დასამშვიდებლად", შემდეგ კი – დიდ ჩეჩნეთში, რის შემდეგაც მაშინვე, 1826 წელს, მიმართა მზერა სპარსეთისკენ, რომელთანაც რუსეთმა ომი დაიწყო.

ძლიერი მეზობლების შემოსევებითა და თავდასხმებით გატანჯული საქართველოსთვის ამ პოლიტიკაში თითქოს გადარჩენის შანსი გამოიკვეთა: მის დედაქალაქში, თბილისში, ბინა დაიდეს რუსეთის მეფისნაცვალმა და კავკასიის არმიის შტაბმა. რუსეთმა ყველა მიმართულებით მიიღო ყველაზე მომგებიანი პოზიცია, მაგრამ კავკასიაში რუსეთის ექსპანსიამ და გაბატონების მცდელობამ საწინააღმდეგო პროცესებიც წარმოშვა, ე. წ. „კავკასიის ომების" სახით.

„კავკასიის ომები" თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა (1817-64), რაც რუსეთს ყოველწლიურად სამასათასიანი არმიის შენახვად და სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ მეექვსედად დაუჯდა. მაგრამ ვინ დაითვალა ან ვინ ითვლის ორივე მხარეს დაღუპულებსა და დასახიჩრებულებს? საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ორ ძირითად რაიონში: ჩეჩნეთსა და დაღესტანში – აღმოსავლეთით და ადიღეური ტომებით დასახლებულ ოლქში – დასავლეთით, რომლებიც შესაბამისად კასპიისა და შავ ზღვებს ესაზღვრებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ომი სპარსეთისა და თურქეთის საარსებო ინტერესებს ეხებოდა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ომი აელენდა ნიჭიერ და ჭკვიან კავკასიელ ლიდერებს, რომელთა ნებისყოფაც მათი რწმენით იყო გამყარებული. ასეთი იყო, მაგალითად, შეიხი მანსური, რომელსაც ჩეჩნეთში ექვსი წლის განმავლობაში საშინელ დღეში ჰყავდა რუსეთის ჯარები, ბოლოს იგი დაატყვევეს და გადაასახლეს სოლოვეცკის მონასტერში, რომელიც შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა იმპერიამ და პოლიტიკური პატიმრების გადასახლების ადგილად გამოიყენა.

ამის შემდეგ გავიდა ორმოცი წელი და დადგა ყაზი მოლას ჯერი, რომელმაც დაღესტანში „ღიად მოქმედება" დაიწყო. მან დაამყარა კონტროლი დერბენდზე, მაგრამ 1831 წელს მარცხი განიცადა, მომდევნო წელს კი დაიღუპა.

სულიერი და სამხედრო ლიდერების ესტაფეტა არ წყდება მათი დატყვევებით ან დაღუპვით. ყაზი მოლა ჰამზათ ბეგმა შეცვ-

ალა, მისი დაღუპვის შემდეგ კი ხუნძახთან გამოჩნდა – შამილი. კავკასიის ომებში დაიწყო ახალი ეტაპი. შამილის დროს საბოლოოდ ფორმდება იმამატი – თავისებური სამხედრო-თეოკრატიული გაერთიანება სულიერი ბელადის – იმამის მეთაურობით. იმამმა შამილმა ჰაზავათის, ანუ „ურჯულოების“ (გიაურების) წინააღმდეგ წმინდა ომის იდეა აქცია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საერთო საქმედ. გააერთიანა რა დიდი და პატარა ჩეჩნეთი და დაღესტნის მნიშვნელოვანი ნაწილი, მან, ფაქტობრივად, აიძულა რუსეთის ხელისუფლება, ეძებნა კავკასიური პრობლემების მშვიდობიანად გადაწყვეტის გზები. პეტერბურგში მზად იყვნენ, დე ფაქტო ელიარებინათ შამილის სახელმწიფო, მაგრამ მან პასუხად განაცხადა, რომ მოსკოვისა და პეტერბურგის აღების შემდეგ სტამბოლამდე მიაღწევდა, სადაც შეიბილწა ისლამის სიწმინდე. ეს იყო შამილის საბედისწერო შეცდომა.

შერიგება არ მოხდა. ომმა სასტიკი და დაუნდობელი ხასიათი მიიღო, ბრძოლა მიმდინარეობდა მოწინააღმდეგის სრულ განადგურებამდე. რუსი მხედართმთავრები კავკასიაში ახორციელებდნენ „გადაბუგული მიწის“ ტაქტიკას. ახალგაზრდა არტილერიის ოფიცერი გრაფი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი, შემდეგ არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს დიდი მწერალი და დიდი ჰუმანისტი, მონაწილეობდა ზოგიერთი აულის განადგურებაში და ამისთვის სარდლობის მადლობაც დაიმსახურა, თუმცა ამ ომის ასახვით მსოფლიოს შემდეგ ისეთი შედევრიც აჩუქა, როგორიცაა „ჰაჯი მურატი“.

ევროპულად განათლებული რუსეთის ბრწყინვალე ოფიცრები აგრძელებდნენ „დიდების“ ესტაფეტას. ბოროდინოს, ბაუცენის, კულმეს, მაინცის ბრძოლების მონაწილენი მოგვიანებით აჯანყებულ პოლონეთს „აწყნარებდნენ“, რის შემდეგაც ლაშქრული წესით იგზავნებოდნენ კავკასიაში. „Движение, – წერდა ერთ-ერთი ბიოგრაფი, – от Темир Хан шуры к Гюмре следует рассматривать как продолжение польских экспедиций“... „Новая экспедиция состояла из движения против кистинцев и галгаев, в Чечню, ичкеринские горы, к селению Бенет – к истреблению этого селения“.

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ რუსეთს კავკასიაში ხელი გაეხსნა. მან კავკასიის არმია ხელახლა შეაიარაღა და დაუმორჩილებელ რაიონებში რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო. მთიელთა წინააღმდეგობა შესუსტდა, როცა 1859 წელს შამილი ტყვედ აიყვანეს, მაგრამ კავკასიის ომები კიდევ ხუთ წელიწადს გაგრძელდა.

თუმცა შეფარული ომი სხვა ფორმით მაინც გრძელდებოდა — ათასობით მთიელი, ვინც მონაწილეობდა ომში რუსეთის წინააღმდეგ, სამშობლოდან განდევნეს, თანამედროვე ენით თუ ვიტყვით — დეპორტირებულ იქნენ. სტალინს ველოსიპედი არ გამოუგონებია — იგი მხოლოდ დაესესხა თავის წინამორბედებს და აღორძინებული იმპერიის პირობებში თანამედროვე ტექნიკის დონეზე აამოქმედა ომის ეს სახესხვაობა. როცა სტალინი ამბობდა: „მე მხოლოდ ლენინის მოსწავლე ვარ“, აქ მას შეეძლო ასევე ჩამოეთვალა მეფის მრავალი მოხელე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ე. წ. მუჰაჯირობას — ჩრდილოკავკასიელი ხალხების მასობრივ განდევნას მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებში. ათასობით აფხაზი (სწორედ მაჰმადიანობისა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლის გამო შერაცხა იმპერატორმა ალექსანდრემ აფხაზები „დამნაშავე ერად“), ადიღეელი, ყაბარდოელი, ჩეჩენი და ინგუში, რომლებიც ახლა თურქეთში ცხოვრობენ, სამშობლოდან გააძევეს. მრავალათასიანი ჩერქეზული დიასპორები იორდანიაში, სირიაში, ერაყსა და ევროპის ქვეყნებში იმ კავკასიის ომების შორეული ექოა, ისევე როგორც რუსეთ-თურქეთის ომების შორეული ექოა თურქეთში მცხოვრები იმ მუსლიმანი ქართველების ნაწილი, რომელთა წინაპრები ასევე გაასახლეს თურქეთში.

ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის ცნობით: „1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთი მამაპაპეული სამოსახლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთაგან 30000 მცხოვრები ჩაასახლა... მესხეთში, სადაც 1828 წლამდე

ქართველთა მოსახლეობა 90%-ს აღემატებოდა, 1830 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომხები იქცნენ" („ივანე ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს მთავრობას 1926 წელს"; დევი ბერძენიშვილი, ჟურნალი „არტანუჯი", 1998, №7, გვ. 24).

ამიტომაც „ამშვენებდა" საკმაოდ დიდხანს რუსული ჯარის ყაზარმას პასკევიჩის სურათი და წარწერა: „Владей этой землёй без опаски... российская армия тебя защитит".

უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ ჯავახეთსა და მესხეთში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების გახსნა, რამაც ქართველი და სომეხი ახალგაზრდები განსაკუთრებული ძაფებით დააახლოვა. უნდა ვთქვა, რომ ფილიალების გახსნის უმთავრესი ინიციატორი თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი როინ მეტრეველი გახლდათ, სწორედ მასთან ერთად მოვინახულე ეს ფილიალები და მიღებული შთაბეჭდილებებით აღფრთოვანებული დავრჩი (სომეხი ახალგაზრდები სწავლობდნენ ქართულს, ე. ი. სახელმწიფო ენას, ხოლო ქართველები — სომხურს, რაც ორ ხალხს შორის ურთიერთობის სრულიად ახალ დონეზე მიგვანიშნებს).

ქართველები ჯავახეთში ჩასახლებულ სომხებს ძმებივით ექცეოდნენ, მაგრამ ჩანაფიქრი პასკევიჩისა სხვა იყო — იმ დაძაბულობის კერის შექმნა, რომელიც მუდმივ პრობლემად ექცეოდა საქართველოს.

კავკასიის ეს მრავალწლიანი ომები უსასტიკესი იყო. ისტორიკოსის თქმით, სუვოროვის მოქმედებამ ყუბანის მიდამოებში ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა „ნახევრად ველურ მომთაბარეებზე", რომ ისინი მეტად ველარ ბედავდნენ რუსების წინააღმდეგ აჯანყებას და დონის და მანიჩის სანაპირო მიწებსაც აღარ უყურებდნენ როგორც თავიანთ საკუთრებას. სუვოროვის წყალობით უზარმაზარი მხარე — შავი ზღვის სანაპირო ზოლით — რუსეთს დარჩა, მაგრამ რუსი მხედართმთავრის ენერგიამ მარტო „ველურებზე" არ მოახდინა შთაბეჭდილება, არამედ თურქეთსა და სპარსეთზეც — ამ რეგიონში რუსეთის ტრადიციულ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე; ევროპაზეც, საითაც რუსეთი ასევე ისწრაფოდა თავისი „დიდი მსოფლიო მოწოდებით", კავკასიის სხვა ხალხებზეც, რომელთაც ნოღაელების ხვედრი ელოდათ.

შესაძლოა არც ღირს ამ წარსულის გახსენება, მაგრამ რაც იყო,

არ გამქრალა – არც ისტორიულ დოკუმენტებში, არც ერის მეხსიერებაში და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. თუმცალა, არც თანამედროვეობის აჭრა შეიძლება ამ წარსულის თარგზე – ეს სახიფათო თამაშია არა მარტო კავკასიისთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც... ახლაც კი, ოცდამეერთე საუკუნეში, ეს ყოველივე კავკასიის ახალ ომში გადაზრდით გვემუქრება.

ჩემი აზრით, კავკასიის ომები ყირიმის ომის გაგრძელება იყო.

საყურადღებოა, რას წერდა იმ წლებში ერთ-ერთი რუსი ავტორი:

„Наши солдаты, а за ними и народ, назвали Кавказ „погибельным", потому, что покорение его было сопряжено с невероятным напряжением героизма и тяжкими жертвами, но на эти жертвы народ наш не скуп: мёртвые сраму не ищут и подвиги увенчаны славой. „Погибельность" Кавказа приняла иную форму, быть может роковую, а может быть полезную, в итоге раскрыв внутренние язвы нашей жизни, немочи нашего духа, ошибки и грехи нашей окраинной политики, даже смутность и неустойчивость государственно-национального миросозерцания у многих русских людей"...

„ჩვენმა ჯარისკაცებმა და მათთან ერთად ხალხმა კავკასიას „სატიალო" ადგილი უწოდეს, რადგან მისი დამორჩილება დაკავშირებული იყო გმირობის არნახულ გამოვლენასა და მძიმე დანაკარგებთან, მაგრამ ჩვენი ხალხი მზადაა, გაიღოს ეს მსხვერპლი – მკვდრები არ შერცხვენილან და გმირობა დიდებით დაგვირგვინდა. კავკასიის „სატიალობამ" სხვა ფორმა მიიღო, შეიძლება საბედისწეროც, შეიძლება საბოლოოდ სასარგებლოც, რადგანაც მან ჩვენი შინაგანი წყლულები გააშიშვლა, ჩვენი სულის უსასოობა, ჩვენი პოლიტიკის შეცდომები და ცოდვები განაპირა რაიონებში, ბევრი რუსი ადამიანის სახელმწიფო-ეროვნული მსოფლშეგრძნების ბუნდოვანება და სიმყიფეც კი"...

აქ სიტყვათშეთანხმება „განაპირა რაიონი" რომ არ ყოფილიყო, კაცი იფიქრებდა, რომ დღესაა ნათქვამი ერთ-ერთი იმ „ჭეშმარიტი პატრიოტის" მიერ, რომელსაც ღრმად აფიქრებს რუსეთის ხელმძღვანელობის ის „დამღუპველი", „სატიალო" (Погибельная) პოლი-

ტიკა კავკასიასა და საქართველოში, „რუსეთის მსოფლიო მისიას“ რომ ეწინააღმდეგება. არა, ესეც მეცხრამეტე საუკუნის დამლევსაა დაწერილი და კარგად წარმოაჩენს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის რაობას. ციტირებული ავტორის დამოკიდებულება ამ რეგიონისადმი ცოტა რამით თუ განსხვავდება იმპერიული კრედოსაგან. ამას თავადვე განმარტავს შემდეგნაირად: „Они считают, что все чужое, хотя-бы и доступное, должно быть стерто с лица земли, коль скоро оно не сливается достаточно быстро и безследно с нашею народно-государственною стихией“.

ასეთი სახელმწიფოებრივი აზროვნებით მოადგა რუსეთის იმპერია საქართველოს ბუნებრივ საზღვარს – კავკასიონის ქედს, და თუ მას აქამდე მომთაბარე ტომთა ტრამალები აშორებდა მუსლიმანურ ქვეყნებს შორის დარჩენილი ამ ქრისტიანული ოაზისისგან, ახლა უკვე მის უშუალო მეზობლად იქცა და იმ იმედადაც, რომელსაც ეს უძველესი ქრისტიანული ქვეყანა – საქართველო – დიდი ხანია დასავლეთში ამაოდ ეძებდა.

რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ კლავაც დიდი მიწათშეკრებისა და დიდი დაპყრობების პოლიტიკა იყო, მაგრამ პრინციპულად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელებული პირდაპირი და შეუნიღბავი სისხლიანი პოლიტიკისაგან. ამ პოლიტიკის არსი მაშინაც და ახლაც ორმაგი თამაში იყო: პარტნიორისთვის ილუზიების შექმნა, მისი შეგნებულად დასუსტება და იმ კონდიციამდე მიყვანა, როდესაც თავად გახდებოდა იძულებული და თავად შევიდოდა იმპერიის შემადგენლობაში, როგორც მხსნელისა და გადამრჩენის მფარველობაში.

ამ დროისათვის საქართველო, რომელიც ორ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ იყო დაშლილი, სპარსეთისა და ოსმალეთის დავის საგნად იყო ქცეული. დავა კი 1636 წელს იმით დასრულდა, რომ სპარსეთმა და ოსმალეთმა საქართველო გაიანაწილეს – აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის გავლენის სფეროდ იქნა ცნობილი, დასავლეთ საქართველო – ოსმალეთის. და როცა ამ ორთაბრძოლაში რუსეთიც ჩაება, საქართველოს ინტერესები არავის გაუთვალისწინებია – არც ერთს, არც მეორეს და არც მესამეს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ეტაპები

XI-XVIII საუკუნეები

რუსეთთან, უფრო სწორად, კიევის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 1021 წელს, ბიზანტიისა და საქართველოს ომის დროს, როდესაც ბიზანტიელთა მოკავშირე კიევის რუსეთის მაშინდელი მთავრის, იაროსლავ ვლადიმირის ძის მეომრები და ქართველები ერთმანეთს წაეკიდნენ მეტად ბანალური მიზეზის — ცხენის საკვები თივის გამო და ერთმანეთი სცემეს. იყო სხვა მომენტებიც.

შემდეგ, 1037 წელს ქართველი ხუროთმოძღვარნი მონაწილეობდნენ კიევის სოფიას ტაძრის მშენებლობაში.

მეთორმეტე საუკუნის ათიან წლებში ვლადიმირ მონომახს მეგობრული ურთიერთობა ჰქონია დავით აღმაშენებელთან. იმავე საუკუნის შუა წლებში რუსთა მთავარი იზიასლავ მსტისლავის ძე ცოლად ირთავს დავით აღმაშენებლის შვილიშვილს, მეფე დემეტრე პირველის ასულს.

1185 წელს, საქართველოს „ოქროს ხანაში", თამარ მეფე ქორწინდება რუსი მთავრის შვილზე, იური ბოგოლუბსკიზე. მართალია, ეს ქორწინება უიღბლო გამოდგა, მაგრამ იმ დროის უძლიერესი სახელმწიფოს, საქართველოს მიერ რუსეთისკენ გადადგმული ეს ნაბიჯი პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც მნიშვნელოვანი იყო. სხვათა შორის, ჯერ კიდევ თამარის დიდმა პაპამ, მეფე დავით აღმაშენებელმა ცოლად ყივჩაღი ქალი, გურანდუხტი მოიყვანა, ხოლო შემდეგ თამარიც, მეორე ქორწინებით, ბაგრატიონების ოსური შტოს წარმომადგენელზე, დავით სოსლანზე დაქორწინდა. ეს ქორწინებანი იმაზე მეტყველებს, რომ თავისი ზეობის ხანაშივე საქართველო ხელს უწვდიდა კავკასიის ქედს იქით მცხოვრებთ. ასე რომ, ლტოლვა ჩრდილოეთისკენ არ იყო შემთხვევითი და იგი უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა მაშინ, როდესაც მუსლიმანური ქვეყნებით გარშემორტყმულ და შვიდ ნაწილად დაშლილ საქართველოს ევროპამ, მი-

უხედავად ქართველთა არაერთგზისი მცდელობისა, დახმარების ხელი არ ან ვერ გამოუწოდა.[24]

მართლმადიდებელი და უკვე სპარსეთსა და ოსმალეთს დაპირისპირებული რუსეთი სავსებით ლოგიკურად ჩანდა იმ ძალად, რომელთანაც კავშირს საქართველო უნდა გადაერჩინა გამაჰმადიანებისა და გადაშენებისგან.

ქართველებს სურდათ ამის დაჯერება და საუკუნეების განმავლობაში სჯეროდათ კიდეც. 1564 წელს, ივანე მრისხანის დროს, რუსეთიდან დახმარება თითქოს რეალურადაც გამოჩნდა, როდესაც ლევან კახთა (აღმოსავლეთ საქართველოს) მეფის თხოვნით, რუსეთის დამხმარე მხედრობა პირველად შემოვიდა საქართველოში, მაგრამ 1571 წელს თურქეთის სულთან სელიმის მოთხოვნით უკანვე გავიდა.

შემდეგ, წლების განმავლობაში, საქართველოდან რუსეთში დახმარების თხოვნით გაგზავნილი ელჩობანი სისტემური, მაგრამ უშედეგო იყო. ასევე ფარატინა ქაღალდად რჩება 1587 წლის 28 სექტემბერს დადებული ერთგულების ფიცი და 1589 წლის წყალობის სიგელი, რომელიც რუსეთის მიერ კახეთის მფარველობას ადასტურებდა.

ვერც ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი (1733-1744), ვერც იმერეთის (დასავლეთ საქართველო) მეფე ალექსანდრე (1720-1752), ვერც ვახტანგ მეექვსე (1703-1737), ვერც ერეკლე მეორე ვერ ელირსნენ რუსეთიდან რეალურ დახმარებას. რუსეთის იმპერატორებს რუსეთისავე სახელმწიფო მიზნები ამოძრავებდათ და მათ ინტერესებში სულაც არ შედიოდა საქართველოს ძლიერი სახელმწი-

---

[24] ერთ-ერთი მაგალითი უშედეგოდ დარჩენილი თხოვნისა – ერეკლე მეორის ბარათი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI-სთან:

„უბრწყინვალეს, დიდსა და მოწყალე საფრანგეთის ხელმწიფეს.

თუმცა მეტად გეიმბიმს ამ თხოვნით თქვენდამი მომართვა. როგორც წინა წერილში გატყობინებდით, ებრძვით და მოგახსენებთ, რომ ჩვენი თხოვნაა, მოგვცეთ ორი ლეგიონის შესანახად საჭირო სახსრები, რათა გაეწვიოთ ჯარისკაცები და ევროპული წესის მიხედვით მოვაწყოთ ჯარი ისე, რომ ჩვენმა მტრებმა, როცა ამას შეიტყობენ, ვეღარ გაბედონ ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლა.

მეფე ქართლისა, კახეთისა და ა.შ. ერეკლე.“

(იხ. დევიდ ლენგი – „საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები“, თბილისი, 2003. გვ. 194).

ფოს არსებობა, თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკითა და ამბიციებით.[25]

მართალია, საქართველო მუდამ ისწრაფოდა ქრისტიანული სამყაროსკენ (ბიზანტიისკენ, წმინდა მიწისკენ, ევროპისკენ, რუსეთისკენ), მაგრამ გარე მაჰმადიანური სამყაროსგან იგი იზოლირებული არ იყო, ამ ქვეყნებთან მას ბევრი რამ აკავშირებდა (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა) და იქნებ სწორედ ამიტომ ქვეყნის შიგნითაც მათთან კავშირს ბევრი უჭერდა მხარს. რუსეთისათვის უპირველესი ამოცანა იყო საქართველოს მოწყვეტა მისი ტრადიციული მტერ-მოყვრისგან, ასე ვთქვათ — მისი „რეგიონული იზოლაცია", რაც მიზანმიმართულად გაკეთდა კიდეც მეფე ვახტანგ მეექვსესა და ერეკლე მეორის დროს. ორიოდე მაგალითი:

ვახტანგ მეექვსე პეტრე პირველმა ასტრახანის გუბერნატორის ვოლინსკის მეშვეობით დაარწმუნა, რომ ერთად გაელაშქრათ სპარსეთის წინააღმდეგ. ვახტანგმა პეტრეს გეგმის შესაბამისად 30000-40000 ჯარისკაცით განჯისაკენ გაილაშქრა, პეტრემ კი თავისი ჯარით ასტრახანისკენ გასწია და ქართველები მტერს მარტო შეატოვა. მეფის გარეშე დარჩენილ საქართველოს თავის მხრიდან ოსმალებმაც შეუტიეს და ლეკებმაც დაიწყეს ხალხის ძარცვა-ჟლეტა. ვახტანგი თავისი 1200-კაციანი ამალით, ერის ინტელექტუალური ნაღებით, იძულებული შეიქნა, რუსეთში გადახვეწილიყო. ეს გახლდათ პირველი დიდი დარტყმა საქართველოს ინტელექტუალურ-კულტურულ პოტენციალზე.[26] პეტრემ 1724 წლის 12 ივნისს ოსმალეთთან ზავი დადო და აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთს დაუთმო (Бутков, Материалы... I, გვ. 57-59, 62-63) (სხვათა შორის, ბუტკოვი 1796 წელს სპარსეთში რუსეთის ლაშქრობის მონაწილე და რუსეთის ჯარის სარდლის ადიუტანტი იყო, მან იცის, რას წერს).

[25] 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატით" ერეკლეს უარი უნდა ეთქვა რუსეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშე უცხოეთის სახელმწიფოებთან დიპლომატიურ ურთიერთობაზე. ამ პუნქტს რუსეთი მკაცრად და მუდმივად აკონტროლებდა, ისევე როგორც არასდროს იცავდა პუნქტს, რომლითაც საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას ადგილი არ უნდა ჰქონოდა (იხ. დუნდუა ლენგი, საქართველოს... გვ. 198).

[26] შემდეგი და არანაკლებ დამანგრეველი იყო 1924-37-38 წლების რეპრესიები.

ანალოგიურ პოლიტიკას ეწეოდა საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორეც, რომელიც მუდმივად განაწყობდა ერეკლე მეორეს, ზურგი შეექცია მაჰმადიანი მეზობლებისთვის და ერთმორწმუნე რუსეთის დაპირებებს აჰყოლოდა, მაგრამ არასოდეს იცავდა საქართველოს გაღიზიანებული ოსმალებისა და სპარსებისაგან. რუსეთმა სწორედ ერეკლე მეორის დროს მოახერხა და ბოლო მოუღო ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის პერსპექტივას, რასაც წერტილი დაუსვა ფაქტობრივად რუსეთის მიერვე პროვოცირებულმა მაჰმადიანი ქვეყნების შემოსევებმა და 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებამ.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე, ერეკლე მეორის თხოვნაზე – რუსეთს შეესრულებინა სახელშეკრულებო მოვალეობა, სანქტ-პეტერბურგმა დირექტივა გაუგზავნა გრაფ გუდოვიჩს, კავკასიის ხაზის სარდალს: „В случае действительного намерения Ага-Магомета вторгнуться в Грузию, „обнадежить“ Ираклия своею помощью, только „обнадежить“ и более ничего“.

ამგვარ პოლიტიკას თავისი ზუსტი მიზანი ჰქონდა – „რუსეთის უპირობობა და საქართველოს უმწეოდ მიტოვება მტრებთან პრძოლის დროს ჩვენს ქვეყანას მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევასა და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, ხალხის თვალში მეფისა და ხელისუფლების პატივისცემისა და უფლების გაქარწყლებას უწყობდა ხელს. ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის მთელი პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უქადდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს, რომელნიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი იყვნენ. ეს შინაური უთანხმოება და ქიშპი ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულს სახელმწიფოს“ (ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში“, თბილისი, 1919წ., გვ. 56).

მანამდე კი იყო ის, რომ 1783 წლის 24 ივლისს ციხე გეორ-

გიესკში (ჩრდილოეთ კავკასია) ერეკლე მეორისა და ეკატერინე მეორის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველოს დიდი ნაწილი, ქართლ-კახეთის სამეფო, თბილისითურთ, ნებაყოფლობით შედიოდა რუსეთის მფარველობაში. თავის მხრივ, იმპერატორი ეკატერინე თავისი და შემდგომი შთამომავლების სახელით საზეიმოდ იღებდა ვალდებულებას, რომ უცვლელად დაიცავდა საქართველოსა და მისი ხელისუფლების უფლებებს, პატივს სცემდა ეროვნულ კანონმდებლობას, მართლმსაჯულებას, აგრეთვე ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის უფლებებს. საქართველო ასევე ინარჩუნებდა თავის ფულად-საფინანსო სისტემას და არმიას.

„თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ 1783 წ. ხელშეკრულება უნდა მთელ დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი: ყველგან იქ ერეკლე მეფის სახელის გვერდით და ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენების დროს დამატებულია „იმერეთის მეფე სოლომონ“ ან „იმერეთის სამეფო“, მაგრამ ოსმალეთთან ურთიერთობის მოსალოდნელი გართულების შიშით, დასავლეთ საქართველოსთან ხელშეკრულების დადება შემდეგისთვის გადაიდო“ (ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება...“, გვ. 27) და ეს პროცესი 1810 წელს დასრულდა კიდეც საქართველოს უკანასკნელი სამთავროს, აფხაზეთის რუსეთთან მიერთებით.

ტრაქტატის მე-20 მუხლის თანახმად, იგი სამუდამოდ იდებოდა და მასში ცვლილებების შეტანა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით მოხდებოდა.

ამ ხელშეკრულებას საქართველოში ჰყავდა მოწინააღმდეგეები. ბევრს აფიქრებდა ზოგიერთ სხვა მეზობელთან ურთიერთობის მკვეთრი გაუარესების პერსპექტივა, რომლებთანაც ერეკლე მეორემ ნორმალური ურთიერთობის დამყარება მოახერხა. ასეც მოხდა. ივანე ჯავახიშვილის თქმით, საქართველოს მდგომარეობა ტრაქტატის დადების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუარესდა. ხელშეკრულების თანახმად, ქვეყანაში შემოიყვანეს რუსეთის არმიის ორი ბატალიონი. ამაში აზერბაიჯანელმა ხანებმა საფრთხე დაინახეს, ერთმანეთში ყვე-

ლანაირი შუღლი დაივიწყეს და სპეციალურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანდნენ. ერეკლეს ზურგი შეაქცია სულეიმანმა, ახალციხის ფაშამ. თურქეთის მოწოდებით აღდგა დაღესტანი – ოცდაათი ათასი მეომარი შეიჭრა კახეთში. თვით საქართველოს მეფის მეგობარი და ძმობილი, შუშის ხანი განუდგა მას, აიჯანყა ყაზახი, შამშადილი, შამქორი, რითაც ერეკლეს არმიას ძლიერი სამხედრო შევსება მოაკლდა.

ტრაქტატი უნდა დახმარებოდა საქართველოს, გაერღვია მტრული გარემოცვა. ამის ნაცვლად ქვეყნის გეოპოლიტიკური სიტუაცია უფრო გართულდა: ერეკლეს წინააღმდეგ უკვე სამი მხრიდან გამოვიდნენ საქართველოს ის მეზობლებიც კი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ მისი მოკავშირეები იყვნენ.

ამგვარ გეოპოლიტიკურ „დისკომფორტს“ რუსეთი ჯერ კიდევ ტრაქტატის დადებამდეც უქმნიდა საქართველოს.

1768 წელს თურქეთმა მოითხოვა რუსეთის ჯარების გაყვანა საქართველოდან. ერეკლემ უარით უპასუხა. იგივე ულტიმატუმი თურქეთმა რუსეთსაც წაუყენა. ცოტა ხნის შემდეგ რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. ამ ომში ჩართული საქართველო საკუთარი თავის ამარა დარჩა – მოსალოდნელი სამხედრო დახმარების გარეშე.

საქართველოს დამხმარე ინსტრუმენტის როლი მიანიჭეს და მის მიმართ დამოკიდებულებაც შესაბამისი იყო. გრაფი ნიკოლოზ პანინი საიდუმლო წერილში ურჩევდა გენერალ ტოტლებენს, ისე წაეყვანა საქმეები საქართველოში, რომ ყველაფერი გაკეთებულიყო „ჩვენი ხელმძღვანელობით“, ქართველებს კი ჰგონებოდათ, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთი მთავრობის მითითებებს (შდრ. გუდოვიჩისადმი გაგზავნილ დირექტივას.). მეტიც, თვით მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ყველაფერი კეთდება მისი ნების შესაბამისად, მაგრამ ისე, რომ სრულდებოდეს ჩვენი სურვილები. ერთი სიტყვით, რომ „სული იყოს აქაური (ე.ი. რუსული), სხეული კი – ქართული“. („Главнейшая нужда, чтобы Грузины нам в войне помогали таким образом, чтобы.....мнили исполнять повеления своих владетелей, а сии равным образом оказываемую нам услугу своему усердию собственному побуждению прочитать, но

в самом деле все то производилось здешним руководством и просвещением – коротко сказать: была бы душа здешняя, а тело грузинское“ (Ал. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии“) (ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება...“, გვ. 51). გენერალმაც გააკეთა ის, რაც დავალებული ჰქონდა: დაეძაბუნებინა და ოსმალეთთან თუ სპარსეთთან მუდმივ ბრძოლებში ჩაება ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის სამეფოები.

„1770 წელს ერეკლე მეფე საქართველოს ჯარითურთ და ტოტლებენი რუსის ჯარითურთ ახალციხის საფაშოს შეესივნენ და აწყურის ციხეს მიადგნენ. სამი დღის ბრძოლის შემდგომ რუსეთის ჯარის მეთაურმა მოულოდნელად ბრძოლის ველსა და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარს თავი მიანება და მთელი თავისი ლაშქრითურთ უკან გაბრუნდა“ (Бутков, I, გვ. 281-282).

თავზარდამცემი იყო რუსეთის მხედრობის მეთაურის ეს ღალატი და ამიტომ „მეფე ირაკლი მრავალს ეხვეწნა“ ტოტლებენს, მაგრამ „მან არა უსმინა“ (ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება...“, გვ. 18-19).

ზუსტად ასევე 1772 წელს დასავლეთ საქართველოდან რუსეთის დედოფალმა „წარასხნა მხედრობა თვისი მიზეზითა“ (Бутков, Материалы, I, გვ. 285-286). ერეკლე ამაოდ სწერდა იმპერატრიცას და ეხვეწებოდა, შეეცვალა გადაწყვეტილება: „თქვენი უდიდებულესობის ჯარის აქედამ წასვლამ წარმოუდგენელ გასაჭირში ჩაგვაგდო და ჩვენ იმ მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში ჩავცვივდით, როცა სული და ხორცი ერთმანეთს ეყრება“.

რუსეთისაგან მიტოვებულმა ერეკლემ და იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა (1752-1784) 1773 წელს შეთანხმება დადეს და ერთობლივი ძალით გაილაშქრეს თურქების წინააღმდეგ, ჯავახეთში ქართული ქალაქი ახალქალაქი გაათავისუფლეს. სხვათა შორის, ამ ლაშქრობაში ქართველების მხარეს 1000 ოსი და ინგუში იბრძოდა. (დევიდ ლენგი, საქართველოს... გვ. 187).

მხოლოდ ტოტლებენი კი არ იძლეოდა ბრძანებებს, დაეშთოთ ხიშტები და ზარბაზნები უკან მიებრუნებინათ, რუსების სხვა ემის-

რებიც ასე იქცეოდნენ. გუდოვიჩისთვის მიცემულ ბრძანებაზე – ერეკლე მხოლოდ „დაეიმედებინა“ – უკვე ითქვა.

დიდად ჭკვიანი და ქართველი მოსახლეობის მიმართ კეთილგანწყობილი რუსეთის ელჩი ბურნაშოვიც კი იძულებული იყო, ემოქმედა ისე, როგორც სანქტ-პეტერბურგს სურდა და უბრძანებდა. მოკლედ, რუსეთს სურდა არა საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცება და დაცვა, არამედ რუსეთის სრული დამკვიდრება საქართველოსა და კავკასიაში.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ჰაუბიცებისა და მორტირების ისტორიაც. როგორც ცნობილია, რუსეთის არტილერიის ფორმირების სათავეებთან იდგა ალექსანდრე ბაგრატიონი, ქართველი, არჩილ მეფის ვაჟი, პეტრე დიდის მეგობარი, რომელიც მან დანიშნა რუსეთის არმიის გენერალ-ფელდცეხმაისტერის, რუსეთის საარტილერიო უწყების უფროსის თანამდებობაზე. მის შემდეგ რუსეთში წამოვიდა ქართველი არტილერისტების მთელი დინასტიები. ორმა მათგანმა – პოდპოლკოვნიკმა ჩოლოყაშვილმა და თარხან-მოურავმა იკისრეს დახმარებოდნენ ერეკლეს ქართული არტილერიის შექმნაში, რაც მას თავიდანვე ურჩია თვით რუსეთის სარდლობამ, მაგრამ როგორც კი შეუდგნენ საქმეს, ისინი მაშინვე გაიწვიეს რუსეთში. სპეციალურ საიდუმლო მოხსენებაში ამას ქართული არმიის გაძლიერების არასაჭიროებით ხსნიდნენ, „რამეთუ აქ მხოლოდ რუსეთის იმედი უნდა ჰქონდეთ“.

1787 წლის სექტემბერში ერეკლეს მოუხდა დაღესტნის მხრიდან მორიგი შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლა. ქართული ჯარის შემადგენლობაში იყო რუსული რაზმი. გადამწყვეტ მომენტში რაზმის მეთაურმა მინისტრ-რეზიდენტმა ბურნაშოვმა მიიღო ბრძანება, დაბრუნებულიყო რუსეთში. ერეკლემ სთხოვა მას, დარჩენილიყო თუნდაც ლაშქრობის დამთავრებამდე, მაგრამ ამაოდ.

ასევე უარი მიიღო რუსეთიდან ერეკლე მეორემ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინ – 1792 წელს – თავის დაჟინებულ თხოვნაზე გამოეგზავნათ ორი ბატალიონი. მისი თხოვნის პასუხად გენერალმა გუდოვიჩმა მიიღო უმაღლესი რესკრიპტი განმარტებით, რომ საქართველოში ჯარის გაგზავნა რუსეთისთვის სასარგებლო

არ იყო („Высочайший рескрипт генералу Гудовичу, начальствовавшему на Линии с изъяснением, что ныне „отправлять в Грузию войска за благо не приемлется“ (З. Авалов, Присоединение Грузии к России, С. Петербург, 1901, с. 155). მხოლოდ 1795 წლის 4 სექტემბერს გადაწყდა უმაღლესი საიმპერატორო ნებით, რომ საქართველოს დახმარებოდნენ: „Подкрепить царя Ираклия, яко вассала Россиского против неприязненных на него покушений, положенными по трактату с ним двумя полными батальонами пехоты“ (З. Авалов, Присоединение... გვ. 156-157). თუმცა ამ ბრძანებამ გენერალ გუდოვიჩამდე მხოლოდ პირველ ოქტომბერს ჩააღწია – ანუ თბილისის დაცემის (12 სექტემბერს) შემდეგ. სპარსეთის ხანმა, რომელსაც მუდმივად მისდიოდა ცნობები საქართველო-რუსეთის კონფიდენციალური მოლაპარაკებების შესახებ, რუსეთის დაცვის გარეშე დატოვებული ქვეყანა დაარბია, ააოხრა და გადაწვა თბილისი.

ამის შემდეგ საქართველოს გაუჭირდა წელში გასწორება, მისი უსისხლოდ დაპყრობა აღარ იყო ძნელი, რაც მალე განხორციელდა კიდეც რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის ცალმხრივი გაუქმებით და საქართველოს რუსეთთან გუბერნიების სახით შეერთებით (З. Авалов, Присоединение.... с. 157).

ისიც უნდა ითქვას, რომ 1783 წლიდან 1801 წლამდე, რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ, რუსეთის „მფარველობის“ შედეგად, გარეშე მტრების ხელში ჩავარდნილი საქართველოს მოსახლეობა თითქმის განახევრდა. და თუ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში 1783 წლისთვის 61000 კომლი იყო, 1795 წლის შემოსევის შემდეგ 35000 კომლიღა დარჩა (Бутков, материалы, II, 339-340).

„Такое исполнение обязательств, вытекавших из протектората со стороны России, равнялось их неисполнению, и Грузия могла бы считать и себя свободной от обязательств в отношении России“ (З. Авалов, Присоединение...).

გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერიდან 15 წლის შემდეგ უნდა შემდგარიყო მოლაპარაკება მისი გადასინჯვის თაობაზე. ლაპარაკი

იყო საქართველოს სამეფოს შესაძლო შესვლაზე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მას უნდა შენარჩუნებოდა სუვერენული უფლებები, როგორც ეს ტრაქტატით იყო გათვალისწინებული.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგის ქუჩებში ავრცელებდნენ პავლე პირველის მანიფესტს. იმპერატორი საზეიმოდ აცხადებდა შემოსაერთებელი სახელმწიფოს უფლებათა პატივისცემას, მაგრამ შეთანხმება ხელმოუწერელი დარჩა. ერეკლეს მემკვიდრე მეფე გიორგი მეთორმეტე მოულოდნელად გარდაიცვალა, პავლე გაგუდეს. ბედის სასტიკი ირონიით ერთ-ერთი შეთქმული და მეფის მკვლელი ქართველი – იაშვილი (Яшвил) იყო. ეს იაშვილი 1812 წელს პეტრე ბაგრატიონის გვერდით იბრძოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ.

რამდენიმე თვის შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს, იმპერატორ პავლეს მემკვიდრემ ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. „საქართველოს სამეფო სახლის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები არ თანაუგრძნობდნენ XIX საუკუნის დამდეგს საკითხის რადიკალურად გადაწყვეტას“... ამის მიზეზიც არსებობდა: საქართველო შედიოდა რუსეთის იმპერიაში ცალმხრივად და გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების დარღვევით. ამის შემდეგ იმპერატორის ხელისუფლების მიერ მიღებული ყველა აქტი საქართველოს სუვერენული უფლებების დარღვევითაა მიღებული.

სხვათა შორის, თავად იმპერატორი ალექსანდრე I ეჭვობდა ამ ცალმხრივი აქტის სამართლიანობის თაობაზე და სახელმწიფო საბჭოს დაავალა, გაერკვიათ საკითხის უფლებრივ-მორალური ასპექტები, რადგან მას არ სურდა „დაეშვა უსამართლობა – დაეკუთრებინა სხვისი მიწა-წყალი“ (З. Авалов, Присоединение... გვ. 216).

საბელმწიფო საბჭოს ბოლო სხდომა შედგა 1801 წელის 8 აგვისტოს. დუბროვინის მიხედვით: „Шумно было заседание Государственного Совета... Большинство членов было за присоединение Грузии к России. Графы Воронцов, Кочубей и князь Чарторийский не только отвергали пользу нового приобретения, но говорили, что присоединение Грузии к империи про-

тивно выгодам России. Чарторийский говорил, что с принятием страны в подданство ещё более увеличатся и без того слишком обширныя границы России, что на защиту их потребуются весьма значительные издержки и средства"... „Вице-канцлер (т.е. граф Воронцов) объяснял, что находит такое присоединение несправедливым, потому что фамилия Багратионов царствует в Грузии не избирательным образом, а наследственно, что поэтому присоединение царства будет иметь вид насилия".[27]

იმპერატორმა ალექსანდრემ არ გაიზიარა უმცირესობის შეხედულება და საბჭოს რეკომენდაციით მანიფესტს ხელი მოაწერა.

იმავე საბჭომ უარი უთხრა რუსეთში გადაყვანილ ბაგრატიონთა უფლისწულებს სამშობლოში დაბრუნებაზე და საცხოვრებლად, არჩევით, შესთავაზა: კიევი, კალუგა, კურსკი, ვორონეჟი, ასტრახანი. იმპერატორმა ამ გადაწყვეტილებასაც კერი დაუკრა.

„Народ остался не вполне удовлетворенным своею новою судьбою"... „Грузины разочаровались в своем ожидании".[28]

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, საქართველოს სამეფოს სუვერენიტეტს და ავტონომიას ბოლო მოუღეს. რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ პეტერბურგში 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა, მაგრამ რაკიღა იცოდნენ, რომ იგი თავისი უპირობითა და აღთქმის დარღვევით თავზარდამცემი იქნებოდა „ქართველ მოწინავე წრეებისა და მთავრობისათვის, და რომ საქართველო ამის გამო აღშფოთებული იქნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდნენ; ხოლო როდესაც დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა, მაშინაც გენ. კნორინგს იმედი არა ჰქონდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით საკუთარი დამოუკიდებლობის მოსპობაზე თანხმობას განაცხადებდნენ და რუსეთის ქვეშევრდომობის ფაქტს მიიღებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა ეს საქმე მოტყუებით და მუქარით მოეხერხე-

[27] Н. Дубровин, Георгий XII – последний царь Грузии и присоединение ея к России, С.-Петербург, 1987, с.с.241-42

[28] იქვე, გვ.253

ბინა. მან სიონის ტაძარში მოიწვია გავლენიანი წრეები, თავადაზნაურობა და ქ. ტფილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, ბრძანება გასცა, რომ მათთვის საიერიშოდ გამზადებული („аки штурмом") რუსის ჯარი შემოერტყათ. მაშინდელი ერთი რუსული ცნობის მიხედვით „ლომების ხახასავით განხმული იყო" თურმე იქ ზარბაზნების პირი. გენ. კნორინგმა ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულების ფიცი მიეღოთ (მსგავსი სცენარით, თუ არ ვცდები, რუსეთმა კურლანდია შემოიერთა — ე.შ.). ქართველობა გაოცებული და აღშფოთებული იყო ასეთი უმსგავსი საქციელით. მოწინავე წრითგან მრავალმა იმოდენა გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. მაშინვე გენ. კნორინგმა ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ" (Дубровин, История воины... на Кавказе III, გვ. 444), (ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში", ქართული კლუბის გამოცემა, თბილისი, 1919წ. გვ. 64).

1801-1921 წლები

1801 წლის მანიფესტმა ბოლო მოუღო საქართველოს სუვერენიტეტს. ბაგრატიონების სამეფო სახლის სადინასტიო უფლებები გაუქმდა, თითქმის ყველა ბაგრატიონი რუსეთში გადაასახლეს, ქვეყანა გუბერნიებად დაიყო, გაუქმდა ეროვნული კანონები და სასამართლო წარმოება ქართულ ენაზე, საერთოდ, ქართული ენა აიკრძალა ყველა დაწესებულებაში, თვით სოფლის ადმინისტრაციაშიც კი, სკოლებში და ნაწილობრივ — ეკლესიაშიც. ტრაქტატით გარანტირებული ეროვნული სამხედრო სისტემა შეცვალა რუსეთში მიღებულმა სავალდებულო სამხედრო სამსახურმა. დამოუკიდებლობა დაკარგა ავტოკეფალიურმა ქართულმა ეკლესიამაც, მისი ქონება გადაეცა ხაზინას, საეკლესიო საქმეებს რუსი ეგზარქოსები მართავდნენ, რომლებსაც უწმინდესი სინოდი ნიშნავდა. მიწის საკარ-

გულების დიდი ნაწილი გასხვისდა, რუსეთის იმპერიის საკუთრებაში გადავიდა. მეფის რუსეთის ხელისუფლება აქტიურად ახორციელებდა ქვეყნის კოლონიზაციას, ჩამოსახლებულებს სესხს აძლევდა დიდი მიწის შესაძენად. არადა შემდგომ მცირემიწიანობა გახდა გლეხთა მღელვარების ძირითადი მიზეზი. სხვათა შორის, უფრო გვიან, აფხაზეთის მიერთების შემდეგ, ქართველებსა და აფხაზებს, სხვებისაგან განსხვავებით, ეკრძალებოდათ სოხუმთან 25 კილომეტრზე ახლოს დასახლება!

რუსეთში XIX საუკუნეში განხორციელებული არც ერთი რეფორმა, გარდა ბატონყმობის გაუქმებისა (ისიც მოგვიანებით), არ შეხებია საქართველოს. მას წაართვეს ნაფიც მსაჯულთა და მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტი, რომელიც რუსეთში არსებობდა, წაართვეს ეროვნული უნივერსიტეტის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების გახსნის უფლება, „უმაღლესი პირის“ სახელზე პეტიციის გაგზავნისა და ფენობრივ-წარმომადგენლობით ორგანოებში ჩივილის შესაძლებლობა.

ისიც ხაზგასასმელია, რომ ერთმორწმუნეობას, რომელიც ერთი მთავარი არგუმენტი იყო რუსეთთან დაახლოებისა, ხელი არ შეუშლია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, ავტონომია წაერთმია საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიისათვის და ემართა იგი რელიგიური „ცენტრიდან“ გამოგზავნილი იერარქების საშუალებით, უძველესი ფრესკები თეთრად შეეფეთქათ და ყველაფერი გაეკეთებინათ ღვთის სახლში ქართული კვალის წასაშლელად.

ხალხი — სამეფო კარი და დიდებულები, სამღვდელოება, გლეხები და ხელოსნები — ვერ შეეგუა ყოველივე ეროვნულის შეურაცხყოფისა და უარყოფის იმპერიულ პოლიტიკას. 1804 წლიდან პერმანენტული ამბოხი დაიწყო. მარიამ დედოფალმა მისი ღირსების შემლახველი რუსი გენერალი მოკლა, სწორედ ღირსების შელახვა და თავისუფლების დაკარგვა იყო ის, რაც ქართველ კაცს, დაწყებული გლეხით და მეფის ოჯახის წევრით დამთავრებული, ყველაზე უფრო აღაშფოთებდა. ცალკეული შეიარაღებული გამოსვლა 1832 წელს უკვე საერთო-ეროვნულ შეთქმულებად ჩამოყალიბდა, რომლის მოთავე

ქართული არისტოკრატია იყო. შეთქმულები გასცეს და მისი მონაწილენი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში გადაასახლეს.

„ქვეყანამ, ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობით და ძველი ქრისტიანული ცივილიზაციით, თავისი ბედი დაუკავშირა რუსეთის იმპერიას, რომ შეენარჩუნებინა საკუთარი თავი, როგორც სახელმწიფოს და როგორც ეთნოსს ქრისტიანული კულტურითა და ქრისტიანული მენტალიტეტით, მიახლოებოდა ევროპას და ზიარებოდა ევროპულ ცივილიზაციას, ძაგრამ იმის ნაცვლად, რომ ასეთი გზით მიეღწია პროგრესისთვის და ინტელექტუალური განვითარებისთვის, ყოველივე ეროვნულის უარყოფის იმპერიულმა პოლიტიკამ ქვეყანა დააქვეითა, დაიწყო ნგრევა, ქვეყნის ლტოლვა პროგრესისკენ შეუბრალებლად ითრგუნება, – წერდნენ 1907 წელს ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჰააგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს, – გთხოვთ დახმარებას 1783 წლის ხელშეკრულებასთან სრული შესაბამისობით საქართველოს სუვერენული უფლებების აღდგენაში, 1783 წლის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც იძლევა რუსეთის მფარველობით მისი ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის გარანტიებს“.

საქართველო არ წყვეტდა კავშირს რუსეთთან, მხოლოდ სთხოვდა მას, რომ საზეიმოდ ნაკისრ ვალდებულებათა ერთგული დარჩენილიყო.

როგორც უკვე ითქვა, 1783 წელს რუსეთთან ხელშეკრულება საქართველოს მხოლოდ ერთმა ნაწილმა, ქართლ-კახეთის სამეფომ დადო.

ამ დროისათვის შვიდ ნაწილად დაშლილ საქართველოში ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის ოცნება ისევ ცოცხლობდა და სწორედ ამ ოცნების განსახორციელებლად ტრაქტატში ერეკლემ „მეოთხე არტიკულად შეატანინა, რომ რუსეთის ხელმწიფე აღთქმას სდებდა ომის დროს იარაღის საშუალებით, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავგამოდებით ყოველგვარად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნდნენ და მის სამფლობელოდ დარჩნენ ის ადგილები, რომელნიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ“. (ივ. ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება...“, გვ. 27). „მაგრამ რუსეთის მთავრობას ოსმალეთისა ეშინოდა“ და დასავლეთ საქართველოსთან „ამგვარივე ხელშეკ-

რულების დადება გადაწყვეტილი იყო მაშინვე, როცა კი ამისათვის ხელშემწყობი გარემოება იქნებოდა“ (Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа, II СНГ 1869, გვ. 135), (ივანე ჯავახიშვილი, „დამოკიდებულება...“, გვ. 28-29).

ეს ხელშეკრულებანი ძალით, მოტყუებითა თუ დაყვავებით შემდეგ მართლაც გაფორმდა საქართველოს სხვადასხვა კუთხესთან – რუსეთის სიუზერენობა დასავლეთ საქართველოს დანარჩენმა მმართველებმაც აღიარეს. 1809 წელს რუსეთის მფარველობაში მიიღეს აფხაზეთის მთავარი საფარ-ბეი შარვაშიძე. 1811 წელს გურიის მთავარი მამია გურიელი შევიდა რუსეთის სკიპტრის ქვეშ და იმპერატორისაგან რეგალიები მიიღო.

თუ სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის მთავრები რუსეთს ეხმარებოდნენ თურქეთის წინააღმდეგ ომში, იმერეთის მეფე სულ სხვა გზას ადგა. სოლომონს არასოდეს უფიქრია ქვეშევრდომობის ფიცის ერთგული ყოფილიყო, რომელიც მას იარაღის ძალით დაადებინეს 1804 წელს. „სოლომონი სიკვდილამდე თავგამოდებით ებრძოდა რუსის ჯარს“ (დევიდ ლენგი, საქართველოს... გვ. 281).

საქართველოს მთლიანობა არც მაშინ აძლევდა ხელს რუსეთს და არც ახლა და იგი მიზანმიმართულად ცდილობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი აფხაზეთსა და სამეგრელოში, სეპარატიზმი გაეღვივებინა.

ნათქვამი ლიტონ სიტყვად რომ არ დარჩეს, მაგალითებს მოვიხმობ:

„Сухумскую эпархию следует оторвать от весьма нежелательного грузинского влияния“, – წერდა მეცხრამეტე საუკუნეში კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი, ეგზარქოსი ალექსი. ამ დროისათვის გაგრის ეპარქია უკვე სტავროპოლის ეპარქიასთან იყო მიერთებული.

„Учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы потребности в грузинском языке и постепенной замене его языком государственным“, – (ე. ი. რუსულით), – ურჩევდა ხელისუფლებას იმპერიული პოლიტიკის აპოლოგეტი კავკა-

სიაში ვეიდენბაუმი. ამ დროისთვის აფხაზეთს, ისევე როგორც მთელ საქართველოს, ქართული ანბანი და ქართული ენა ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში აერთიანებდა.

„Грузинское движение в Сухумском округе служит тормозом к обрусению края," – ჩიოდა 1897 წელს მაღალი თანამდებობის რუსი სამხედრო მოხელე.

ფენებისა და მიწის საქმეთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარე, თავადი სვიატოპოლკ-მირსკი ურჩევდა ხელისუფალთ, უფრო აქტიურად შეეწყოთ ხელი აფხაზების თურქეთში გაძევებისთვის, რომ შემდეგ გამოთავისუფლებული ცარიელი მიწები რუსებით დაესახლებინათ: „Если в наших руках будут пустые земли по обе стороны Бзыби, то мы сможем положить здесь начало русскому населению."

„Если говорить о границах Грузии, то нужно установить вплоть до Абхазии", – ამბობდა 1918 წელს ყუბანის მთავრობის წარმომადგენელი ვორობიოვი.

მთელი მეცხრამეტე საუკუნე რუსეთი ყველა ხერხითა და ძალით ცდილობდა საქართველოს რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გადაქცევას და ქართველთა გარუსებას, რასაც ხალხი დიდ წინააღმდეგობას უწევდა სისტემური აჯანყებებით, ენის, კულტურის, რელიგიის, ტრადიციების გამძაფრებული დაცვით, რასაც ხელისუფლების საპასუხო რეპრესიები მოსდევდა სისხლით, გადასახადებით, მოქრთამვით – თანამდებობებით, პრივილეგიებით, ორდენებით და ა.შ.

* * *

ზუსტად ასეთი პოლიტიკა საქართველოს მიმართ გაგრძელდა მეოცე საუკუნეშიც. საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ანექსიის წინ თუ შემდეგ.

1921 წლის 26 აპრილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშე გენერალი პავლე სიტინი საიდუმლო მოხსენებაში წერდა ბოლშევიკური რუსეთის მთავრობას:

„...Надо немедленно продвинуть границу РСФСР до правого

берега реки Бзыби, т.е. до непосредственного соседства с Абхазией; Такой акт, кроме его огромного политического и стратегического значения для России, передаст в наши руки значительнейшие природные богатства...

...Отделение Абхазии от Грузии диктуется всеми соображениями, и замедление осуществления этого может быть чревато самыми нежелательными последствиями. Абхазия может примкнуть к Горской республике и тогда, в случае осложнений РСФСР имеет перед собой преграду от моря до моря".

„...Вслед за Абхазией надо обратить внимание на Мингрелию, страну, которая непосредственно граничит по реке Ингури с Абхазией к югу до Риони, эта территория с устьем Риони, при котором давно спроектировано строительство большого порта, могушего заменить Батум, территория, чрезвычайно большая в стратегическом отношении, она тоже может быть подчинена непосредственному влиянию РСФСР"...

„...Вот этот путь расчленения Грузинской республики на ряд автономных единиц – тем более подчиненных влиянию РСФСР, чем эти единицы меньше – заслуживает большего внимания... Для проведения этих идей в жизнь есть готовая организация".

„...Мы должны также указать, что понятие о Грузии, как об едином государственном организме, условно, и это понятие так, как оно употребляется в Западной Европе – здесь неприменимо"...

„Нельзя надеяться, что внутри Грузии пройзойдет решающий взрыв, без нашей помощи ее советизация невозможна... Повод для нашего вмешательства имеется. Для этого не нужно прямое нападение на Грузию. Имеем возможность начать движение в Абхазии", – საქმის ცოდნით აძლევენ რეკომენდაციას რსფსრ კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს ბოლშევიკურ. რუსეთის ელჩი საქართველოში სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე.

რუსეთის ფედერაციის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ ყურად

იღო ეს რჩევანი და იმპერიის ტრადიციების ზუსტი დაცვით და ახალი სახელმწიფოს მორალისა და შეხედულებების საფუძველზე დაარღვია მის მიერ აღიარებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წელს დადებული ხელშეკრულება და 1921 წელს რეგულარული არმიის მეშვეობით საქართველოს ანექსია მოახდინა.

როგორც ლეონიდ მლეჩინი შენიშნავს თავის წიგნში (Леонид Млечин, МИД Министры иностранных дел... გვ. 26): „Некоторые принципы советской внешней политики были заложены в первые же месяцы после революции. Это глубокое неуважение суверенитета других государств и презрение к международным договорам. Советские руководители исходили из того, что пролетарское государство имеет право на красную интервенцию, походы Красной Армии являются распространением социализма, пролетарской власти, революции“, – ეს ბოლო სიტყვები ეკუთვნის ნიკოლოზ ბუხარინს, გაზეთ „პრავდის“ რედაქტორს, პოლიტბიუროს წევრს და ნათქვამია კომინტერნის IV კონგრესზე. გასაკვირია, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, მენშევიკებმა თავიანთი რუსი კოლეგების ეს „სახელმწიფო აზროვნება“ არ გაითვალისწინეს რუსეთთან 1920 წელს ხელშეკრულების დადების დროს.

მაშინ საბჭოთა რუსეთის მეშვეობით ჯერ სომხეთი და აზერბაიჯანი დაეცა და ამიერკავკასიაში დამოუკიდებელ ქვეყნად მხოლოდ საქართველო რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ჩანდა, საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება მხოლოდ სატყუარა იყო და საშუალება, ბოლშევიკებსა და მათ აგენტურას საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად ემოქმედათ, თავდასხმა მაინც მოულოდნელი იყო. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებისა და მასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხალხმა ირწმუნა, რომ მის შინაურ საქმეებში რუსეთი ასე უხეშად ვეღარ ჩაერეოდა.

მოკლედ, 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია.

მაგრამ ამას წინ პირველი ქართული რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორია უძღოდა.

* * *

პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერიის დაშლამ საქართველოს მისცა შანსი, აღედგინა თავისი სახელმწიფოებრიობა. ასეთივე შანსი მიეცა სომხეთსა და აზერბაიჯანს, ნაკლებად მდიდარ ქვეყანას, მაგრამ სანამ ცალ-ცალკე გავიდოდნენ, მათ სამი რესპუბლიკის დამოუკიდებელი გაერთიანების შექმნა სცადეს.

„ეს ფორმალური გამოსვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან... გამოწვეული იყო პრაქტიკული აუცილებლობით და იმ ფაქტით, რომ ამიერკავკასიამ არ აღიარა 25 ოქტომბრის (1917 წ.) ბოლშევიკური გადატრიალება. ამიერკავკასიის ხალხებმა აშკარად გამორიცხეს საკუთარი თავი ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოს ფარგლებიდან“ (ზურაბ ავალიშვილი).

ცხადი იყო, რომ ამიერკავკასიის ხალხებს შეეძლოთ თავად გაეკვლიათ გზა თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისკენ და თურქეთის მხრიდან სამხედრო მუქარას მხოლოდ ერთობლივი ძალებით გამკლავებოდნენ, მაგრამ გარდა ისტორიული მეზობლობისა და ბოლშევიკების მიმართ საერთო სიძულვილისა, მათ ერთ ბანაკში თითქმის არაფერი აერთიანებდათ. ეთნიკური, რელიგიური და იდეოლოგიური აზრთა სხვადასხვაობა განუხრელად უბიძგებდა ძლივს აღმოცენებულ ფედერაციულ სახელმწიფოს დაშლისკენ.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ, 1918 წელს, თურქეთი შემოიჭრა ამიერკავკასიის ფარგლებში. დაეცა არდაგანი, მერე ყარსი და ბათუმი. იმედები, რომელიც თითქოს ჩასახა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, ეს-ესაა გაიფანტებოდა, მაგრამ დახმარება მოულოდნელი მხრიდან მოვიდა.

აკაკი რამიშვილი, რომლის მამაც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი გახლდათ, ამის თაობაზე შენიშნავს: „გერმანია უკვე დიდი ხანია ავლენდა დაინტერესებას ამიერკავკასიის და, განსაკუთრებით, საქართველოს მიმართ. მას არ უნდოდა, რომ ქართული მანგანუმი და ბაქოს ნავთობი მოხვედრილიყო მისი თურქი მოკავშირეების ხელში. ამიტომ, მიუხედავად დიდი

პოლიტიკური უხერხულობისა, გერმანიამ ყველაფერი იღონა ამიერკავკასიაში თურქეთის ექსპანსიის აღსაკვეთად".

ბათუმის კონფერენციაზე, 1918 წლის 11 მარტს, სადაც თურქები ცდილობდნენ მიეღოთ თავიანთი ტერიტორიული შენაძენების დადასტურება, ამიერკავკასიაში გერმანიის სამხედრო წარმომადგენელმა გენერალმა ფონ ლოსოვმა აცნობა ამიერკავკასიის საგარეო საქმეთა მინისტრს აკაკი ჩხენკელს, რომ გერმანია მზადაა აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა და შესთავაზოს მას დაცვა, თუ საქართველო აღიარებს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ართვინის, არდაგანისა და ბათუმის დაკარგვას.

ორი თვის შემდეგ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ არ გააჩნდათ არავითარი გამოსავალი გარდა იმისა, რომ მიეღოთ გერმანიის წინადადება.

აქვე დავძენ, რომ მიუხედავად ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებისა, თურქეთი არ წყვეტდა საომარ მოქმედებებს. 1918 წლის 20 მაისს თურქებმა შექმნეს საქართველოს შიდარეგიონების, მათ შორის, თბილისის დაპყრობის საშიშროება. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციაში არ იყო ერთიანობა — მასში წარმოდგენილი თითოეული რესპუბლიკა საბანს თავისკენ ექაჩებოდა. ფედერაცია იშლებოდა. 25 მაისს ფონ ლოსოვმა განაცხადა მისი ინტერესების დაცვის შეუძლებლობის შესახებ ფედერაციის ფაქტობრივი დაშლის გამო. თურქეთის არმია თბილისს უახლოვდებოდა. 26 მაისს თურქეთმა ახალი ულტიმატუმი წამოაყენა. საჭირო იყო მოქმედება და ამის პასუხად 1918 წლის 26 მაისს, დღის მეორე ნახევარში, მიღებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ნოე ჟორდანიამ განაცხადა:

„მოქალაქეებო! დღეს თქვენ აქ იყავით იშვიათი ისტორიული და მასთან ერთად, ტრაგიკული აქტის მოწმე. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამ დარბაზში იქმნება სხვა სახელმწიფოს ფუნდამენტი. საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს იქმნება, არ წავა რომელიმე ერის, ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ, მისი მიზანია გადაირჩინოს თავი თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში".

თურქეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის მიუხედავად, ჯორდანიას დეკლარაციამ რესპუბლიკაში ეიფორიის ტალღა გამოიწვია.

„მთავრობის სახლის წინ შეიკრიბა უამრავი ხალხი, — იგონებს თვითმხილველი, — თითქოს მთელი საქართველო შეიშალა სიხარულით. თბილისში ერთი ცნობილი მოღვაწე (დეპუტატი ელასა მგელაძე — ე. შ.) გაიქცა მთაწმინდის მთაზე, წმინდა დავითის ეკლესიისაკენ. მან მონახა მღვდელი და სთხოვა, დაერეკა საეკლესიო ზარები. მალე მთელი ქალაქი მოიცვა ზარების რეკვამ. ამბობენ აგრეთვე, რომ ეს რეკვა გავრცელდა სოფლებში და დღის ბოლოსკენ მთელი საქართველო ზარების ხმამ მოიცვა. როცა თბილისში ბინდი ჩამოწვა, მთაწმინდისკენ დაიძრა სანთლებიანი გიგანტური მსვლელობა, რომ მადლობა მიეძღვნათ განგებისათვის, რომელმაც საქართველოს თავისუფლება დაუბრუნა“.

დოკუმენტურ რომანში ერთ-ერთი თვითმხილველი წერს: „საქართველოს დედაქალაქ თბილისის სასახლის ბანზე, მაღლა ჰაერში, მშრომელთა წითელი დროშა ფრიალებდა, ნიშანი საერთაშორისო ძმობა-ერთობისა, ხოლო სასახლის აივნის ბჭეზე ქართველთა ეროვნული სამფეროვანი დროშა, ნიშანი შავბნელი წარსულისა, ნათელი აწმყოსი და ბრწყინვალე მომავლისა“. (იოსებ იმედაშვილი, „განახლებული სიცოცხლე, რომანი ქართველ-სომეხთა ომიდან“, თბილისი, 1919, გვ. 5.)

ახალი სახელმწიფოს წინაშე უზარმაზარი სიძნელეები იდგა. თურქები განაგრძობდნენ ქვეყნის მთავარი საზღვაო ნავსადგურის — ბათუმის ოკუპირებას, სახალხო მეურნეობა და შიდაკავშირები ომითა და რევოლუციით იყო მოშლილი, ქვეყანას აწუხებდა ეთნიკური, კლასობრივი, რელიგიური დაპირისპირებები. გარდა ამისა, გერმანული ოკუპაციის სიმსუბუქის მიუხედავად, საქართველოს სუვერენიტეტი მაინც თავიდანვე შეზღუდული იყო.

ამის მიუხედავად, ქართველები გერმანელ ჯარისკაცებს, როგორც მხსნელებს, ისე უყურებდნენ. ამის შესახებ წერდა ვიქტორ ხომერიკი, რომლის მამა დემოკრატიული საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი გახლდათ:

„გერმანელები ქართველების მიმართ ძალიან კეთილმოსურნედ იქცეოდნენ. ქართველების დასაცავად საქმე მოკავშირე თურქებთან

შეტაკებამდეც კი მიეიდა. როცა გერმანელებმა ომი წააგეს და საქართველოს ტოვებდნენ, მოკავშირეებმა მოითხოვეს გერმანელების გადაცემა, ქართველებმა კატეგორიული უარით უპასუხეს. თითქმის მთელი თბილისი მივიდა სადგურზე, რომ გაეცილებინათ გერმანელები, რომლებიც უკრაინის გავლით სამშობლოში ბრუნდებოდნენ".

1918 წლის ნოემბერში საქართველოს სანანებლად გაუხდა თავისი პროგერმანული ორიენტაცია. გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და რამდენიმე კვირის შემდეგ ამიერკავკასიაში ინგლისელები შემოვიდნენ, როგორც აკაკი რამიშვილი განმარტავს, მათ მთლად გასაგებად არ ჰქონდათ წარმოდგენილი, რა მიზნებს ისახავდნენ ისინი ამიერკავკასიაში:

„ეს იყო ორმაგი პოლიტიკა. ერთის მხრივ, ისინი ეხმარებოდნენ დენიკინს, რომელიც არ აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მიაჩნდა იგი ერთიანი და განუყოფელი რუსეთის ნაწილად. მეორე მხრივ, ინგლისელები არ თანაუგრძნობდნენ დამოუკიდებლობის იდეას, მაგრამ ისე იქცეოდნენ, თითქოს მათ მოჰქონდათ საქართველოსთვის ეს დამოუკიდებლობა. ისინი ერეოდნენ ქვეყნის შინაგან საქმეებში და მის ხელმძღვანელებს როგორც კოლონიზატორები, ისე ელაპარაკებოდნენ."

როგორც სტივენ ჯონსი მიუთითებს, ინგლისის პოზიციას საქართველოში სხვადასხვა ფაქტორის შეხამება ედო საფუძვლად:

„ისინი ფრიად სკეპტიკურად უყურებდნენ საქართველოს რესპუბლიკას, რადგანაც დამოუკიდებლობა მან გერმანიის შემწეობით მიიღო. გარდა ამისა, მისი მთავრობა სოციალისტური იყო, რაც ინგლისელებს არ მოსწონდათ. ქართველებმა მაშინვე ვერ მიაღწიეს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარებას ინგლისელებისგან, რომლებიც სხვადასხვაგვარად უყურებდნენ პატარა სახელმწიფოებს. პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბალფური მხარს უჭერდნენ დენიკინს, თავდაცვის მინისტრი ლორდი კერზონი ცდილობდა ბოლშევიკებისაგან დაეცვა ბრიტანეთის ინტერესები მესოპოტამიაში, იქ ბუფერული სახელმწიფოების დაფუძნებით."

1920 წლისთვის ლოიდ ჯორჯმა მოიგო ეს დავა. ბაქოს ნავთობით ინგლისის დაინტერესების გამო, რომელიც 1920 წლის დამლე-

ვისათვის უკვე საბჭოთა კონტროლს ექვემდებარებოდა, საქართველო გაწირეს.

მაგრამ ამ მომენტამდე ჯერ შორს იყო. საქართველოს კოალიციურმა მთავრობამ წარმატებას მიაღწია ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ერთი წლის განმავლობაში სამთავრობო დაწესებულებები გადავიდნენ ქართულ სამუშაო ენაზე. იგი სახელმწიფო ენა გახდა. დასასრულ, 1919 წლის თებერვალში, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ერთ წელზე ნაკლები დროის გასვლის მერე, საერთოეროვნული არჩევნები გაიმართა.

ამომრჩევლების უმეტესობამ ხმა მისცა სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს: მათ დამფუძნებელ კრებაში 130 ადგილიდან 109 მიიღეს.

არჩევნების შემდეგ რეფორმების დრო დადგა: სამთავრობო დაწესებულებების, ეროვნული განათლების სისტემის, ადგილობრივი მმართველობისა და არმიის, სოფლის მეურნეობის. ყველაფერი ეს ხდებოდა ეკონომიკური ქაოსის ფონზე, რომელიც 1919 წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა იმის გამო, რომ საქართველოს არ უშვებდნენ რუსეთის ბაზარზე, მაგრამ ხალხი უყოყმანოდ მიჰყვებოდა სოციალ-დემოკრატებს.

ლევან ფანცხავა, რომელიც შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაურის ნოე ჟორდანიას სიძე გახდა, იგონებს, როგორ ზეიმობდნენ თბილისში დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლისთავს:

„იმ დღეს ყველა კარი და ფანჯარა ღია იყო. უცნობი ადამიანები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ზეიმობდნენ 26 მაისს. თითქმის მთელი თბილისი გამოვიდა ქუჩაში და ყველგან ჟღერდა სიმღერები“.

ხალხს სჯეროდა, რომ საქართველო ხედებოდა ახალი „ოქროს საუკუნის“ განთიადს და მზად იყო, მოეთმინა ყველა გაჭირვება.

დენიკინისადმი თავგანწირული წინააღმდეგობის პირობებში, რომლის მიერ მოწყობილმა საქართველოს ნავსადგურების ბლოკადამ, ფაქტობრივად, ქვეყნის მსოფლიო ბაზრისაგან იზოლირება გამოიწვია, ჟორდანიამ გააბშირა ლაპარაკი ეროვნულ ერთობასა და

სახელმწიფოსადმი ერთგულებაზე. იმის საშიშროებაც კი გაჩნდა, რომ მის ლაპარაკს ველარ გაარჩევდნენ მისი ოპონენტების – ნაციონალისტების მსჯელობისაგან. თუმცა, ჟორდანიას კარგად ესმოდა, რამდენად სარისკო იყო ასეთი პოლიტიკა მრავალეროვან საქართველოში.

მთავრობა დიდ ენერგიას ახმარდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაკმაყოფილებას, მაგრამ არაქართველები ყოველთვის როდი იყვნენ მზად ასე მოთმინებით გადაეტანათ სიძნელეები, როგორც მათ ქართველ თანამემამულეებს. ეროვნული ინტერესები ჯერ არ იყო აყვანილი სახელმწიფო ინტერესთა რანგში.

უკმაყოფილო გლეხთა გამოსვლები იმ რაიონებში, რომლებიც დასახლებული იყო ეროვნული უმცირესობებით, ხშირი მოვლენა ხდებოდა და მათი ჩახშობის მცდელობები მხოლოდ აძლიერებდა მღელვარებას. 1919 წელს დაიწყო ოსების შეიარაღებული გამოსვლა შიდა ქართლში.

1919 წლის დამლევს ქართველებს მოეჩვენათ, რომ გვირაბის ბოლოში მათთვის თითქოს სინათლე გამოჩნდა. თეთრმა მოძრაობამ რუსეთში მარცხი განიცადა. ამან წერტილი დაუსვა ბლოკადას და საქართველოს საერთაშორისო აღიარების გზაზე არსებული ძირითადი დაბრკოლებაც გადაილახა. 1920 წლის 21 იანვარს ანტანტის უმაღლესმა საბჭომ საქართველო დე ფაქტო აღიარა, რამაც საქართველოში სახალხო ზეიმის აფეთქება გამოიწვია.

მოხალისეთა არმიის დამარცხებამ და მოკავშირეების წინაშე წარმოშობილმა აუცილებლობამ, მოლაპარაკებოდნენ ბოლშევიკებს, საშუალება მისცა საქართველოს მოეწესრიგებინა ურთიერთობა მოსკოვთან. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ თუ ლენინი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაშინ სხვა დიდი სახელმწიფოებიც აღიარებდნენ მას დე იურე და ამის შემდეგ ერთა ლიგაში მიიღებდნენ.

როგორც სტივენ ჯონსი განმარტავს, მოვლენათა ასეთი მსვლელობა მოსკოვისთვის გარკვეულ მოგებას უზრუნველყოფდა:

„1920 წელს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია მთლიანად დემორალიზებული იყო. მე მგონი, საქართველოში ბოლშევიკების რიცხვი მაშინ 500-ზე მეტი არ იქნებოდა. მოსკოვში მიიჩნიეს,

რომ საქართველოსთან ხელშეკრულება მათ საშუალებას მისცემდა, რომ გადაჯგუფებულიყვნენ. თანაც იგი ხელს გაუხსნიდა წითელ არმიას, რომელიც კონცენტრაციას მოახდენდა იმისათვის, რომ პოლონელები უკრაინიდან განედევნა“.

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

რუსეთის ფედერაციამ უსიტყვოდ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და უარი თქვა მის ტერიტორიასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე, დაეთანხმა, არ ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში. თუმცა იმავდროულად გამოიკვეთა პირობებიც, მათ შორის საქართველოში კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის შესახებ. თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა, მაგრამ რუსეთ-საქართველოს შორის ეს ხელშეკრულება კიდევ ერთი დიდი სიცრუე იყო — ეროვნული ტრაგედიისა და კატასტროფის დასაწყისი. მრავალსაუკუნოვანი მოდელი — საქართველოსთან ხელშეკრულების დადებისა და შემდეგ მისი დარღვევისა — განმეორდა.

აკაკი რამიშვილს მიაჩნია, რომ სწორედ ამ პირობებმა შეასრულა საბედისწერო როლი:

„ამ ხელშეკრულების თანახმად საქართველო იძულებული იყო გაეყვანა ინგლისის ჯარები, შეეცვალა თავისი საზღვრები რუსეთის სასარგებლოდ, მოეხდინა არმიის დემობილიზაცია, გაეთავისუფლებინა ადრე დაპატიმრებული ბოლშევიკები, მიეცა კომუნისტებისათვის პროპაგანდის უფლება, ნება მიეცა რუსეთისათვის გაეხსნა საქართველოში საელჩო და რუსეთის სამასი, ეგრეთ წოდებული, დიპლომატი შეუდგა კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებას და ქვეყანაში ძირგამომთხრელ საქმიანობას, მის სხვადასხვა კუთხეებში ამბოხებათა პროვოცირებას“.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ცნობილი არ არის, იყვნენ თუ არა ბოლშევიკები ერთსულოვანნი იმაში, როგორ ემოქმედათ საქართველოში.

1920 წლის ნოემბერში საქართველოს დაზვერვა ატყობინებდა თავის მთავრობას, რომ არსებობდა აზრთა არსებითი სხვადასხვაობა: ერთი თვალსაზრისით, ხელშეკრულების პირობები განუხრელად უნდა

შესრულებულიყო, მეორეთი კი, რომელიც კავკასიელ (მათ შორის ქართველ) ბოლშევიკებს ეკუთვნოდა, უნდა მოძებნილიყო საქართველოში შეჭრის საბაბი.

კავკასიელ ბოლშევიკებში კი, სტალინისა და ორჯონიკიძის გარდა, კიდევ ბევრი ქართველი იყო, სწორედ მათი ხელით აკეთებდა ბოლშევიკური იმპერია თავის შავ საქმეს (შემდეგ ბევრი მათგანი ბოლშევიკურ ტერორს შეეწირა).

რონალდ სუნი იზიარებს ამ მოხსენების ავტორების თვალსაზრისს:

„7 მაისის შემდეგ შექმნილი სიტუაციის დაკვირვებული ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ აზრთა სხვადასხვაობა ბოლშევიკებს შორის მოსკოვსა და საქართველოში იმ სტრატეგიის მიმართ, რომელიც მათ უნდა დაეცვათ ამიერკავკასიაში. საინტერესოა ის, რომ ყველაზე ნაკლებ სურვილს, ძალის გამოყენებით დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, ლენინი ავლენდა. მან შემდეგი პოზიცია დაიკავა: საბჭოთა რუსეთს სჭირდება კავშირების გაფართოება დასავლეთთან. ზოგიერთ რეგიონს უნდა მიეცეს მეტი ავტონომია, რომ ამ გზით გაადვილდეს ვაჭრობის ორგანიზება დასავლეთთან. ამ კონტექსტით იგი ბევრს ლაპარაკობდა განსაკუთრებით საქართველოზე. მაგრამ ორჯონიკიძე და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის ბიურო აღსავსე იყვნენ მისწრაფებით, ძალის გამოყენებით დაეპყროთ საქართველო იმის მიუხედავად, სურდა ეს ლენინს თუ არა“.

ზემოხსენებული დაზვერვის მოხსენებაში მითითებული იყო, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო სარდლობა აზერბაიჯანსა და სომხეთში, რომლებიც 1920 წელს საბჭოთა კონტროლქვეშ აღმოჩნდნენ, აპირებს საქართველოში შემოჭრას საქართველოსა და სომხეთს შორის ტერიტორიული დავისა და ბორჩალოში გლეხთა აჯანყების საბაბით, საქართველოს სამხრეთ საზღვარზე არსებულ

რეგიონში, სადაც უპირატესად სომხები სახლობდნენ. სწორედ ასე მოხდა. 11 თებერვალს წითელი არმია გასაბჭოებული სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შეიჭრა საქართველოში და ამით რუსეთის სახელშეკრულებო ვალდებულებები დაარღვია. მეთერთმეტე არმიის პარალელურად საქართველოში რუსული ჯარის შეჭრა სამი მიმა-

რთულებით განხორციელდა: ჩრდილოეთიდან, დარიალიდან ლევან-დოვსკის წინამძღოლობით, მამისონის უღელტეხილიდან — სერგეი კიროვის ხელმძღვანელობით და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, აჭარის მხრიდან — ცხენოსანთა კორპუსით, ჟლობას მეთაურობით.

მანამდე, სუნის მტკიცების საწინააღმდეგოდ, სწორედ ლენინი იძლეოდა არაორაზროვან მითითებას: „...შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყოვნებელი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაევალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ამხ. ტროცკი, ამხ. ჩიჩერინი, ამხ. სტალინი... მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს... მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის“...

ქართველმა სტალინმა, „ლენინის მოწაფემ“, სწორად გაიგო ბელადის მითითება და ქართველ ორჯონიკიძეს ბაქოში დეპეშა გაუგზავნა: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გაწიოს მოსამზადებელი მუშაობა საქართველოში სამხედრო ჩარევისა და ოკუპაციისა... რა ძალები დაგვჭირდება კიდევ, რომ უეჭველად დავამარცხოთ საქართველო“.

ცოტა ხნის შემდეგ, 15 თებერვალს, კვლავ სტალინის დეპეშა ორჯონიკიძისადმი, უკვე ქართულად, რომ სხვამ, არაქართველმა, არ გაიგოს: „ახლავე შეუტიე. დასტურია, აიღე ქალაქი“. (ქართველებმა იცოდნენ — საქართველოში „ქალაქს“ თბილისს ეძახდნენ).

და კიდევ, იმავე 15 თებერვალს, მოუთმენლობით სავსე მისივე მითითება: „სამ დღეში ველოდები ტფილისის აღების ამბავს“.

სამ დღეში არა, მაგრამ 25 თებერვალს ორჯონიკიძე უკვე რუსულად აგზავნის მოსკოვში დეპეშას: „Москва. Кремль. Ленину, Сталину – Над Тифлисом реет красное знамя Советской власти. Да здравствует Советская Грузия – Орджоникидзе“.

ვიქტორ ხომერიკი, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა, იგონებს, როგორ თანდათანობით უახლოვდებოდა ომის გრგვინვა ქალაქს:

თავდასხმა მოულოდნელი იყო, თუმცა მთავრობამ იცოდა, რომ რაღაც მზადდებოდა, მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ

ხალხს ოპტიმისტური განწყობილება დაეუფლა. „ბოლოს და ბოლოს, – მსჯელობდნენ ბევრნი, – რუსეთმა ფორმალურად გვაღიარა, ხელშეკრულება გაფორმებულია, ახლა ყველაფერი რიგზე იქნება, არავინ ჩაერევა ჩვენს შინაურ საქმეებში“.

თავდასხმა მოხდა იმ მომენტში, როცა საქართველოში დემობილიზაცია მიმდინარეობდა, რის გამოც ფრონტზე პირველები გაიგზავნენ სამხედრო სასწავლებლის კურსანტები და მოხალისეები.

როცა შოკმა გაიარა, ქართული არმიის წინააღმდეგობა უფრო გაძლიერდა, მაგრამ ბევრი რამის გაკეთება ველარ მოხერხდა. შემოტევა აზერბაიჯანის მხრიდან იყო, ხოლო როცა წითელმა არმიამ გახსნა „მეორე ფრონტი“ და შეტევა ჩრდილოეთიდანაც წამოიწყო, თავდაცვა დაირღვა.

ქართველი ნაციონალისტები ამაში ადანაშაულებენ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც, როგორც მათ მიაჩნიათ, „მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობდნენ სახალხო გვარდიას, რომელსაც ქირაობდნენ მუშებისა და გლეხებისგან, ხოლო პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა.

სოციალ-დემოკრატები ქვეყნის დაცვას ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. თუმცა საქართველოს კარგად მომზადებული არმია რომც ჰყოლოდა, 1921 წელს მაინც ვერ მიიღებდა დასავლეთის დახმარებას. იმ დროისათვის ბაქოს ნავთობის სარეწები უკვე საბჭოების ხელში იყო. მოკავშირეებმა ინგლისის ინიციატივით მიიღეს გადაწყვეტილება თავისი ინტერესების გათვალისწინებით – წინ არ აღდგომოდნენ რუსეთის აგრესიას საქართველოში“.

„მტრის მიერ დაპყრობილი თბილისი ნაღვლიანად გამოიყურებოდა... რუსეთის ჯარის შემოსვლას დედაქალაქი სამარისებული სიჩუმით შეხვდა, ქართველი ხალხი ქუჩებიდან გაქრა, სახლებში ჩაიკეტა, თეატრები, სინემა, გასართობი ადგილები უცხოელებით გაივსო, ქალაქში ვიგინდარები ურცხვად იღრიჭებოდნენ. ქართველი ბოლშევიკები ნაცნობ ქართველებს დაძმარებულნი ეხვეწებოდნენ, ქუჩებში გამოდით, თქვენ ხელს არავინ გახლებთ, თეატრში იარეთ, რუსის ჯარს დაენახვეთო... ქართველობა ბოლშევიკებს ზიზღით უყურებდა, მათ ერიდებოდა... რუსეთიდან შემოჭრილი დამშეული ჯარები სახელმწიფო დაწესე-

ბულებებში დაბანაკდა, კერძო ბინებზე და ოჯახებში მოთავსდა. მრავალ საუკუნეობით მოწყობილი ოჯახები განადგურდა, სიწმინდე და ზნეობა შეირყვნა... ყოველგვარი ავეჯეულობა და ოჯახის სამკაულები ავტომობილებით თბილისის სადგურზე დღიან-ღამიანად გაქონდნენ... თვალცრემლიანი დედები, კუთხეში მიკუნჭულები შეშინებული გასცქეროდნენ გამხეცებულ, ძაბრიან ქუდში შეჭურვილ ველურებს... ჯარი შეესია საწყობებს... გაძარცვეს და რუსეთში გაზიდეს თბილისის სამხედრო არსენალი... არ გადარჩა გაუქურდავი არც ერთი ქარხანა"... (ვლასა მგელაძე, რუსეთის დაბრუნება საქართველოში, პარიზი, 1936; თბილისი, 1991, გვ. 4-5).

მოკლედ, გამარჯვებულმა წითელმა არმიამ გაძარცვა საქართველო.

რაც თბილისს სჭირდა, იგივე სჭირდა მთელ ქვეყანას, მაგრამ ხალხი არ დათრგუნვილა, არ შეშინებულა, სულიერად არ დამარცხებულა. ეს ყოველ ნაბიჯზე ჩანდა, ერთი მკაფიო გამოვლენა კი ამ დაუმარცხებელი და შეუშინებული სულისა მაშინ გამოვლინდა, როდესაც საქართველოს ოკუპაციის შემდეგ თბილისში ჩამოსულ სტალინს მუშები შეხვდნენ:

„ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის მუშათა სასახლეში მთელი რევოლუციური მუშათა კლასი შეიკრიბა. დარბაზში ტევა არ იყო. ეზო მშრომელი ხალხით აივსო. ჩეკისტები და გადაცმული ჯაშუშები ზღვა ხალხში დაძვრებოდნენ... ნელის ნაბიჯით, სცენაზე სტალინი, თფილისის მუშების კარგა ნაცნობი სოსო ჯუღაშვილი — „კობა" შემოიპარა, ფარდებიდან გამოძვრა... მთელი დარბაზი სამარისებული სიჩუმით, კრიჭა შეკრული შეხვდა, მხოლოდ ჩეკისტებ-ჯაშუშების და თითოოროლა თანამებრძოლთა ნაძალადევი ტაშისცემა გაისმა, რომლის პასუხად დედები გაიძახოდნენ: „წყეული, შეჩვენებული, მელაკუდა!"...

სტალინი აქ არ ჰგავს მაღალი, საკაცობრიო იდეალებით გატაცებულ მებრძოლს, გაშლილი სახით, გაბრწყინებული თვალებით როჭ გამოიყურება... სოსო ნაძალადევად იღიმება, გაუბედავად ლაპარაკობს, მობოდიშებული კილო აქვს, ნახევრად თვალდაჭუტული შეპარვით, თფილისის რევოლუციურ მუშებს ათვალიერებს... აქ მას

ყველა იცნობს, მათ ოჯახებში იმალებოდა, ნაპურმარილევია; რამდენ დედას მისთვის საჭმელი უჭმევია, დაუმალავს, პატივი უცია, შვილივით მიუღია... დღეს კი თავისუფლება მოუსპო, სიცოცხლე გაუმწარა, ხვალ კიდევ უარესს მოელის...

მიუხედავად ფრთხილი და მორიდებული მოხსენებისა, სტალინს სიტყვას აწყვეტინებენ, შეკითხვას შეკითხვაზე აძლევენ, „თავისუფლებისა და სოციალიზმის სახელით ლაპარაკს როგორ ბედავ, რუსეთი ხომ არ გგონია, აქ თფილისის რევოლუციონურ მუშებთან გაქვს საქმეო“. ყოველი მხრიდან უყვირიან, ღელავენ, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევენ, განრისხებული მუშების მოღერილ მუშტებით შემკრთალი ჩეკისტებ-ჯაშუშები საგონებელში ჩავარდნილან, რაღაც ბრძანებას ელიან, მარა სტალინი მომტკბარი ლაპარაკობს, ვითომ შეურაცხყოფას არ გრძნობს, თავს იკატუნებს, ის გაბედული რაინდი არ არის, მოთმინება იცის, შურის საძიებლად სხვა დროს უცდის...

დარბაზი ქუხდა, ღელავდა, პროტესტებში ლანძღვა-კრულვა ისმოდა, ყოველივე აირია – კრება მისით დაიხურა. სტალინი ჩეკისტებმა გააპარეს.

ასე შეხვდა თფილისის მუშები სტალინს... მეორე დღეს შურისძიებით შეპყრობილი, ღვარძლიანი სტალინი თავის ხელქვეითებს ეუბნებოდა: „თფილისს ოქტომბრის რევოლუციის უთო უნდა გადაესოსო“ და მაშინვე მის სისრულეში მოყვანას შეუდგენ...“ (ვლასა მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, გვ. 22-24).

17 მარტს, საქართველოში მე-11 წითელი არმიის შემოჭრიდან სულ რაღაც ექვსი კვირის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ დატოვა ბათუმი. ამით დამთავრდა საქართველოს მოკლე ცდა პარლამენტური დემოკრატია აეშენებინა, საქართველოში დამყარდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი.

გემზე, რომელიც კონსტანტინოპოლისაკენ მიემართებოდა, იმყოფებოდა ვიქტორ ხომერიკიც, რომელიც წლების მერე, 1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გაიხსენებს:

„ვფიქრობ, ის ხალხი იმედს არ კარგავდა, ყოველ შემთხვევაში, დასაწყისში, და ის, რაც ახლა ხდება, ამართლებს მათს ოპტიმიზმს. მე ვნახე თბილისის 26 მაისის ზეიმის ვიდეოჩანაწერი და მან

გამახსენა 1919 წლის 26 მაისი, დამოუკიდებლობის პირველ წლისთავზე, როცა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თბილისზე გავლით ჩვენი ბელადების პორტრეტებით მიდიოდა მთელი საქართველო. მე მახსოვს ის აუწერელი მღელვარება და აღტაცება. და ახლა, როცა დავინახე, თუ როგორ ზეიმობენ ამ დღეს თბილისში, მე მივხვდი, რომ ყველაფერ ამას ჰქონდა აზრი".

1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იყო მასობრივი დაჭერები, 1924 წლის სახალხო აჯანყების სისხლში ჩახშობა და ყველა ის რეპრესია, რომელიც დაატყდა თავს მთელ საბჭოთა კავშირს.

* * *

ასეთია ძალზე ზოგადად ის მტკივნეული წარსული ურთიერთობანი, რომელიც გინდა დაივიწყო, რადგან მათ გარდა ამ ორი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ბევრი კარგიც იყო — იყო სიყვარულიც და ჭირში თანადგომაც და მომავალი თუ ახლანდელი ურთიერთობანი ამ ორ ხალხს შორის სწორედ ამ სიყვარულსა და თანადგომაზე უნდა აშენდეს. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ საქართველომ, მართალია რუსეთის იმპერიის საზღვრებში და მისი მიზნებისათვის, მაგრამ რუსეთის მეშვეობით მაინც დაიბრუნა თავისი დაკარგული ტერიტორიების ნაწილი.

რუსეთის მეშვეობით საქართველო გავიდა ევროპაში. რუსეთის მეშვეობით ჩამოყალიბდა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების ევროპული სისტემა. რუსეთისავე მეშვეობით ბევრმა ქართველმა მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთში და დიდ სპეციალისტებად იქცე ჩამოყალიბდნენ. მათი ცოდნა, უნარი და სახელი დიდად გამოადგა საქართველოს. რუსეთი უვსებდა და ახლაც უვსებს საქართველოს იმ ენერგეტიკულ დეფიციტს, რომლის გარეშეც ჩვენთან ვერ განვითარდებოდა წარმოება, რომლის გარეშეც არსებობა გაგვიჭირდებოდა და უახლოეს მომავალში კვლავაც გაგვიჭირდება. დაბოლოს, რუსეთი ყოველთვის იყო და იმედია, ასეთად დარჩება კიდეც — იმ უკიდეგანო ბაზრად, სადაც ქართული პროდუქტი და ნაწარმი შეზღუდვის გარეშე იყიდება.

ისიც უნდა ვთქვა, ქართველებიც ყოველთვის აქტიურად და პატიოსნად მონაწილეობდნენ რუსეთისა თუ საბჭოთა იმპერიების ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, სადაც მათ შესამჩნევი კვალი დატოვეს, იქნება ეს პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, მედიცინა, სამხედრო საქმე თუ უმაღლესი ტექნოლოგიები. არც ბრძოლაში დაუხევიათ ქართველებს უკან (გავიხსენებ თუნდაც რუსეთის 1812, 1828-29, 1877-78, 1939-45 წლების ომების ქართველ გმირებს), არც თავისი ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსები დაუნანებიათ და ერთადერთი, ორივე ქვეყნისათვის მომგებიანი გზა, ერთმანეთის ინტერესების ერთმანეთთან პატიოსანი თანამშრომლობის გზაა. ერთი კია, საქართველო აღარასოდეს იქნება რუსეთის კოლონია, იგი მხოლოდ ერთგული პარტნიორი და კარგი მეზობელი შეიძლება იყოს.

მაგრამ რა ეშველება იმას, რომ რუსეთის ორპირული პოლიტიკა საქართველოს მიმართ ისევ გრძელდება? რა ეშველება რუსეთის მუდმივ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში? რა ეშველება რუსეთის ღია მცდელობებს დაითავისოს აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი? რა ეშველება ბევრის მიერ გაცხადებულ და უკვე თითქმის რეალობად ქცეულ სიტყვებს, რომლებიც 1993 წლის მაისშია დაწერილი:

„Россия не Сомали, и уже тем более не государство-новодел, какие расплодились после насильственного и преступного уничтожения СССР... Во внешней политике у нас есть проверенные и оправданные традиции и ориентиры, и в соответствии с ними она объязана взять под покровительством Абхазию и для ее исторического будущего и для свободы маневра в Черном море и для контроля за Кавказской политической обстановкой. Для реализации такой политики у России сколько угодно средств – экономических, политических, военных. Причем в соответствии с духом и нормами международного права. Во всяком случае в Абхазии должны знать, что патриотическая Россия жива (1993 год, Май)".

ვიმეორებ, ეს 1993 წელსაა დაწერილი, ცხინვალისა და აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ.

„პატრიოტული" იმავე იმპერიულს ნიშნავს. გადის საუკუნეები

და წლები, მეფის რუსეთს ცვლის კომუნისტური რუსეთი, რუსეთის თავადებსა და ეგზარქოსებს — კომისრები, იმპერიული პოლიტიკის დომინანტი კი უცვლელია და შეურყეველი. მას თხზავენ სტრატეგიული მიდრეკილებები და ამბიციები (კავკასიისა და შავი ზღვის კონტროლი), საქართველოს „წვრილ ავტონომიურ ერთეულებად" დანაწევრების იდეები, პასაჟები მისი ერთიანი სახელმწიფოებრიობის პირობითობისა და ხელოვნურობის, ოცნება ადგილობრივი მოსახლეობის განდევნისა და მხარის „გარუსების" შესახებ, უცვლელია ეთნოკონფლიქტური ბანქოს ქაღალდების გათამაშების პოლიტიკა გეოპოლიტიკური ბატონობის შენარჩუნებისათვის.

ყველა ეს ბატონი თუ ამხანაგი — გოლიცინები, ვეიზენბაუმები, სვიატოპოლკ-მირსკები, ვორობიოვები, დენიკინები, კიროვები, ორჯონიკიძეები, სიტინები, ვოლოდინები, ასევე ეგზარქოსებიც და სხვები და სხვები ერთნაირები არიან, ისინი შეიძლება ერთმანეთის მტრები იყვნენ, იყვნენ სხვადასხვა ბანაკში — დაწყებული „თვითმპყრობელურით" და „დემოკრატიულით" დამთავრებული, მაგრამ „ერთიანისა და განუყოფლის გადარჩენის" საკითხში ისინი კუბოს კარამდე სისხლისმიერ ძმებად რჩებიან.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ანექსიის წინ, პავლე სიტინმა, მეფის ყოფილმა ოფიცერმა, ხოლო იმხანად წითელმა გენერალმა, გააცოცხლა და ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებას მიაწოდა იდეა: დანაწევრდეს საქართველო მთელ რიგ ავტონომიურ ერთეულებად — რამდენადაც პატარები იქნებიან ეს ერთეულები, მით უფრო დაექვემდებარებიან რუსეთის გავლენას. ახლაც, ოცდამეერთე საუკუნეში, აღდგენილი დამოუკიდებლობის პირობებში, რუსეთის იმპერიალისტური იდეალების სასარგებლოდ ისევ ცდილობენ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს წინანდებურად დანაწევრებას, ისევ მოქმედებენ ამფეთქებლები საქართველოს ყოფილ ავტონომიებში, რომლებიც რუსეთის გავლენის გასამყარებლად შეიქმნა. გენერალ სიტინის მიერ აღორძინებული იდეა ახლაც ცოცხლობს და მუშაობს, როგორც საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის ლაიტმოტივი და სანამ რუსეთი მასზე ოფიციალურად უარს არ იტყვის, ჩვენი ურთიერთობა ვერ აეწყობა.

გამოუცხადებელი ომი რუსეთთან

ჯერ კიდევ მოსკოვში ვიყავი, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკებში დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გაძლიერებასთან ერთად ეროვნებათაშორისი კონფლიქტები დაიწყო. თითქოს ვიღაცამ ყველას ერთად მისცა დავალება შიდაამბოხზე: დნესტრისპირეთში (მოლდოვა), აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში (საქართველო). ამბოხებული რეგიონის ზოგი ლიდერი (საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „სოიუზის“ წევრები) მოსკოვიდან იმართებოდა.

ახლა რომ ვაანალიზებ ფაქტებს და ერთმანეთს ვუსადაგებ, მკაფიოდ იკვეთება დროითა და სივრცით ერთმანეთთან დაშორებული მოვლენების მჭიდრო კავშირი, ხოლო რაც შეეხება საქართველოს... დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, რომ მის გარშემო მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ქართველთა დასათრგუნავად და საქართველოს დასაშლელად მიზანმიმართული მუშაობა ქვეყანაში მცხოვრებ სომეხთა, აზერბაიჯანელთა, აფხაზთა და ოსებს შორის სეპარატისტული განწყობილებების გასაღვივებლად.

1988 წლის 17 ივნისს საკავშირო კომპარტიის XIX საკავშირო კონფერენციას აფხაზი მწერალი ალექსი გოგუა და აფხაზი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები უგზავნიან „აფხაზურ წერილს“, რომელშიც მოითხოვენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოსვლას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკიდან და მის გარდაქმნას საკავშირო რესპუბლიკად.

1989 წლის 18 მარტს აფხაზური ორგანიზაციის „აიდგილარას“ ორგანიზებითა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, სოფელ ლიხნში ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგი, რომელმაც გორბაჩოვს მიმართა მოთხოვნით – აფხაზეთისთვის მიეცათ საკავშირო რესპუბლიკის სტატუსი და მასში შემოღებულიყო ცენტრიდან „საგანგებო მართვის“ რეჟიმი.

მიტინგი მრავალათასიანი იყო, მაგრამ მის ორგანიზა-

ტორებს არ გაუთვალისწინებიათ ავტონომიაში მცხოვრები დაახლოებით სამასი ათასი ქართველისა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების აზრი, ისევე, როგორც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის აზრი. ეს ზუსტად გათვლილი ის პროვოკაცია იყო, რომელმაც შემდეგ სისხლიან კონფლიქტამდე მიგვიყვანა.

1989 წლის 20 მარტიდან 8 აპრილამდე მთელ საქართველოში მიმდინარეობდა „ლიხნის მოთხოვნის" საწინააღმდეგო მიტინგები, რომელთაც საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა მხარს არ უჭერდნენ. მიტინგები არ იყო სანქცირებული. მალე ამან მასობრივი შიმშილობის ხასიათი მიიღო და ანტისაბჭოთა მშვიდობიან მოძრაობაში გადაიზარდა, რაც 9 აპრილის ცნობილი ტრაგედიით დასრულდა – სადამსჯელო ოპერაციით – დახოცილებით, დაჭრილებით, მოწამლულებით.

სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ უფრო გაძლიერდა სხვადასხვა ტიპის პირდაპირი, ირიბი თუ ფარული თავდასხმები საქართველოზე. ქვეყნის განაპირა რეგიონებში: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ოლქში, სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში – სეპარატისტულმა მოძრაობამ იფეთქა. უზბეკეთში, ფერღანაში დაარბიეს ორმოციან წლებში საქართველოდან დეპორტირებული მაჰმადიანები, საცხოვრებლიდან აყარეს და საქართველოსკენ, აფხაზეთისკენ გამოუშვეს. მათი უმართავი შემოსვლა ააფეთქებდა ქვეყანას...

1989 წლის 8 ივლისს აფხაზეთის სახალხო ფორუმი „აიდგილარა" მიმართავს სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, დაუყოვნებლივ შემოიღოს აფხაზეთში მმართველობის განსაკუთრებული ფორმა – ცენტრისადმი უშუალო დაქვემდებარებით.

1989 წლის 14-15 ივლისს ღამით, სოხუმის ცენტრში დაშალეს თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალური სტენდი და ამით გამომწვევად შეურაცხყვეს დაღუპულთა ხსოვნა.

1989 წლის 15-18 ივლისს სოხუმში ხდება „აიდგილარას" ბოევიკების მიერ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის საწინააღმდეგო გამოსვლა (ადრეც და შემდეგაც სოხუმში არსებობდა აფხაზური უნივერსიტეტი), რომელიც სისხ-

ლიან შეტაკებაში გადაიზარდა, დაიღუპა 17 კაცი (11 ქართველი, 5 აფხაზი, 1 ბერძენი), 448 დაიჭრა. ამ სისხლიანი კონფლიქტის მასშტაბის გაზრდა საქართველოს ხელისუფლებამ და არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებმა მაშინ თავიდან აიცილეს, თუმცა, ეს პროვოკაცია სერიოზული რეპეტიცია გახლდათ 1992 წლის ომისთვის.

1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში შედგა კავკასიის ხალხთა პირველი ფორუმი – აბაზების, აფხაზების, ადიღეების, ინგუშების, ყაბარდოელების, ჩერქეზებისა და ჩეჩნების არაფორმალური ორგანიზაციების მონაწილეობით. ფორუმზე მიიღეს გადაწყვეტილება კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის ჩამოყალიბების შესახებ კავკასიის მთიელთა სახელმწიფოს შექმნის მიზნით, რომლის დედაქალაქი სოხუმი იქნებოდა. ეს იყო პირდაპირი მოწოდება დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ანექსიისაკენ.

1989 წლის 10 ნოემბერს პრესაში გაჩაღებული იდეოლოგიური მომზადების შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ და ამით თავად გააუქმა ავტონომიური ოლქი. საპასუხოდ, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება.

ცხინვალის ქართველი მოსახლეობის მხარდასაჭერად ზვიად გამსახურდიას მოწოდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არაფორმალურ გაერთიანებათა დიდი კოლონა დაიძრა, რომელსაც ცხინვალის შესასვლელთან გზა გადაუკეტეს შეიარაღებულმა ოსმა ბოევიკებმა და რუსმა სამხედროებმა.

ქრონოლოგიას წინ გავუსწრებ და სურათის სრულად წარმოსაჩენად შევნიშნავ, რომ 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთმა საქართველოსგან დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკად გამოაცხადა თავი. 1990 წლის 10 დეკემბერს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ კი გააუქმა ორივე გადაწყვეტილება. ამით კანონთა ომი თითქოს დამთავრდა, მაგრამ დაპირისპირება სისხლიან კონფლიქტში გადაიზარდა. 1991 წლის 5-6 იანვარს მოსახ-

ლეობის დასაცავად და წესრიგის დასამყარებლად ცხინვალის რეგიონში საქართველოს მილიციისა და გვარდიის ნაწილები იქნა შეყვანილი, რომლებსაც ადგილობრივი და ჩრდილო კავკასიის ბოევიკები დაუპირისპირდნენ. მათ უკან და მათ გვერდით რუსეთი იდგა თავისი რესურსებითა და სამხედროებით. კონფლიქტში რუსეთის ჩართვის მასშტაბი უფრო და უფრო იზრდებოდა. ქართველმა და ოსმა მოსახლეობამ მასობრივად დატოვა რეგიონი.

ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს მოხდა, მე მაშინ მოსკოვში გახლდით.

კონფლიქტს სასწრაფოდ წერტილი უნდა დასმოდა. 1992 წლის მარტში მე სამშობლოში დავბრუნდი და ჩემი უპირველესი საზრუნავი საომარი მოქმედების შეწყვეტა და ლტოლვილთა პრობლემა გახდა. ქვეყანა არეული იყო, საჭირო იყო ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაწყნარებულიყო ყველაფერი. 1992 წლის ივნისში დაგომისში ჩემი და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრის უპირველესი მიზანი – ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედების შეწყვეტა იყო. ხელშეკრულებით შევთანხმდით კიდეც, ხოლო ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლის დასაწესებლად სამმხრივი კომისია შევქმენით, რასაც ოსებიც დაეთანხმნენ. ცეცხლი შეწყდა, მაგრამ კომისიამ ვერ შეძლო რეგიონში დიდი შეიარაღებისა და ბოევიკების სისტემური შემოსვლის ბლოკირება.

ეს რეგიონი დღესაც რჩება საქართველოში დესტაბილიზაციის ერთ მთავარ წყაროდ და ქართველები თავიანთ საცხოვრისში დღესაც ვერ დაბრუნებულან.

1990 წლის 31 მაისს სოხუმში გამართულმა კავკასიის მთიელთა მიტინგმა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა მოითხოვა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არალეგიტიმურმა სესიამ რეგლამენტის დარღვევით (138 დეპუტატიდან სხდომას ესწრებოდა 68) მიიღო: „Декларация о государственном суверенитете Абхазской Советской Социалистической Республики“ და დადგენილება „О правовых гарантиях защиты государственности Абхазии“.

მეორე დღეს, 1990 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით გააუქმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 25 აგვისტოს აქტები, როგორც არასამართლებრივი და შენიშნა, რომ ისინი არღვევენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეწინააღმდეგებიან მის კონსტიტუციას.

როგორც ვხედავთ, საქართველოში და მის გარშემო უკვე ამოქმედებულია საქართველოს წინააღმდეგ წინასწარ მომზადებული საომარ სიტუაციათა მოდელები, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისი იყო.

1991 წლის 9 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების თანხმობით (ეს საყურადღებოა!) მიიღო აპარტეიდული საარჩევნო კანონი, რომელმაც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მოსახლეობის აფხაზური უმცირესობის (მოსახლეობის 17%) უმრავლესობა უზრუნველყო, რაც რეალურად გაფორმდა კიდეც 1991 წლის დეკემბრის არჩევნებით, როდესაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა – ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსები, ესტონელები, შესაბამისი დეპუტატებით – საპარლამენტო უმცირესობაში აღმოჩნდა – უზენაეს საბჭოში მათ ორნახევარჯერ ნაკლები ადგილი მიიღეს, ვიდრე 17-მა პროცენტმა აფხაზმა.

სწორედ ამ აპარტეიდული მექანიზმის წყალობით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომლის პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა აფხაზები და მათი მხარდამჭერნი იყვნენ, მიიღო კანონები და დადგენილებანი, რომლებითაც შეზღუდეს აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკის კანონთა მოქმედება და პოლიტიკურ-სამართლებრივი და სამხედრო საფუძველი მოუმზადეს 1992-93 წლების ომს.

გარდა ამისა, ქართული სახელმწიფოს სივრციდან აფხაზეთის თანდათანობითი გასვლის წინა პირობად იქცა პერსონალური ფაქტორები: სახელმწიფოს მართვაში სრულიად გამოუცდელი დისიდენტი ზვიად გამსახურდია 1991 წელს საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო სსრკ სახალხო დეპუტატი, რეაქციული ბლოკ

„სოიუზის“ ერთ-ერთი ლიდერი ვლადისლავ არძინბა, გამსახურდიასთან შეთანხმებით, 1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით — „აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ“ — არძინბას ხელში აფხაზეთში განლაგებული ყოფილი სსრკ-ის შეიარაღებული ძალების მართვის სადაველები გადავიდა. ეს უკვე დიდი ძალა იყო.

სეპარატისტული ძალების კონსოლიდაციის პროცესის პარალელურად საქართველოში განვითარდა შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობანი, დაიშალა მმართველი პოლიტიკური გაერთიანება — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“, ეროვნული გვარდია განუდგა და დაუპირისპირდა ქვეყნის პრეზიდენტს. დაპირისპირება რუსეთის სამხედროთა მატერიალური დახმარებით სისხლიან ამბოხში გადაიზარდა, რასაც ზვიად გამსახურდიას მიერ თბილისის დატოვება მოჰყვა — მთელი საქართველო სამოქალაქო ომის ქაოსში გაეხვია, ქვეყანა დაშლისა და დაღუპვის პირას მივიდა. მოხდა ის, რაც საქართველოს მტრებს სურდათ.

მოსკოვში ვიყავი მაშინ და შეშფოთებით ვადევნებდი თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, ვხედავდი, როგორ ითრევდნენ ქვეყანას სისხლიან მორევში და შვებით ამოვისუნთქე, როდესაც ემოციურმა და მოუფიქრებელმა ნაბიჯმა, 1992 წლის თებერვალში ქართული სამხედრო შენაერთის მყისიერმა მარშმა მდინარე ფსოუმდე უსისხლოდ ჩაიარა. მაშინ მოსკოვში, ჩემს პოლიტიკურ გაერთიანებაში აფხაზები მოვიდნენ, შეშფოთებას ვერც ისინი მალავდნენ, ხედავდნენ, საით მიექანებოდა ყველაფერი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმ დროისთვის საქართველო მსოფლიო მასშტაბით სავსებით იზოლირებული იყო, მხოლოდ უკრაინასთან არსებობდა კავშირები, ისიც მეორეხარისხოვან საკითხებზე.

სწორედ ასეთ დროს ჩამოვედი საქართველოში. რღვევის პროცე-

სი ღრმად იყო წასული. თბილისის ცენტრი ნანგრევებად იყო ქცეული, ქალაქი – „საძოების“ სათარეშოდ. ბლოკირებული იყო ფოთის პორტი, რკინიგზა, ხოლო აფხაზეთის მიმართულებით გადაზიდული როგორც ადგილობრივი დანიშნულების, ისე რუსეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ტრანზიტული ტვირთები მუდმივად და გამიზნულად იძარცვებოდა. დანაკარგის ღირებულება 11 მილიარდამდე მანეთს შეადგენდა. ქვეყანა შიმშილის პირას იდგა. ყოველივე ამას დაემატა ყოფილი პრეზიდენტის მომხრეების თუ თავად აფხაზების მიერ ადამიანთა გატაცებანი. აფხაზეთი კრიმინალურ ანკლავად იქცა, ტერორისტთა და მძარცველთა თავშესაყარად. საჭირო იყო სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღება.

ნელ-ნელა, ძნელად, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც დავიწყეთ გაჩაღებული სამოქალაქო ომის ცეცხლის ჩაქრობა, კანონიერების აღდგენა. ბუნებრივია, ეს პროცესი შეეხო აფხაზეთსაც, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა თავს არიდებდა ნებისმიერ მოლაპარაკებას, რადგან „აიდგილარას“ გაცხადებული ჰქონდა: „ურთიერთობა აფხაზეთსა და საქართველოს შორის შეიძლება იყოს მხოლოდ როგორც ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის“. და მაინც, როდესაც კი შევძლებდით რაიმე მოლაპარაკებას, ის ყოველთვის ირღვეოდა: ომამდეც, ომის დროსაც და ომის შემდეგაც.

ყველაფერ ამას დაემატა ვითარების გართულება თავად თბილისშიც, რაც სხვა მოვლენებთან კოორდინირებული დანაშაულებრივი გეგმის კიდევ ერთი გამოვლენა იყო.

ზემოთ უკვე შევეხე 1992 წლის 24 ივნისის ეპიზოდს – თბილისში ზვიად გამსახურდიას მომხრეთა რაზმმა იერიში მიიტანა შინაგანი ჯარების ლეგიონის ყაზარმებზე, ხელში ჩაიგდო ტანკი და რამდენიმე ასეული ცეცხლსასროლი იარაღი, შემდეგ კი დაუბრკოლებლად გადაჭრა მთელი ქალაქი და დაიკავა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს შენობა. მეამბოხეთა მოთავეები ეთერში გამოვიდნენ და მოსახლეობას მოუწოდეს „კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა“ და „შევარდნაძის სისხლიანი ხუნტის დამხობისაკენ“.

იმ დღეს, 24 ივნისს, დაახლოებით იმავე დროს, მე უნდა გავფრენილიყავი სოჭში რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან შესახვე-

დრად, რათა მოგველაპარაკა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების მექანიზმის შესახებ... შეხვედრის დამთავრების შემდეგ ორივენი უნდა გავფრენილიყავით სტამბოლში, სადაც იხსნებოდა შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია.

წინა დღით მოვიდა ცნობა, რომ რუსეთი ბლოკავდა გაეროში საქართველოს წევრად მიღებას. ჩემ წინაშე დადგა საკითხი: ასეთ გარემოებაში უნდა შევხვდე თუ არა პრეზიდენტ ელცინს. ტელეფონის ზარმა სოჭიდან რამდენადმე გამიფანტა ეჭვი: „ვიღაცას ძალიან სურს ჩაშალოს მომავალი შეხვედრა სოჭში“, — უთხრა ანდრეი კოზირევმა თავის ქართველ კოლეგას...

მოვლენებს ცოტა წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ სოჭის მოლაპარაკებათა მსვლელობისას მკაფიოდ გამოვლინდა რუსეთის მისწრაფება — დაეკავშირებინა საქართველოს გაეროში მიღების საკითხი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებასთან.

ეს მხოლოდ სხვათა შორის, არსი კი ის არის, რომ 24 ივნისს თვით სოჭის შეხვედრა აღმოჩნდა სათუო.

თბილისში ამბოხებულებს წარუდგინეს ულტიმატუმი წინააღმდეგობის შეწყვეტისა და იარაღის ნებაყოფლობით დაყრის შესახებ. დანიშნული დროისთვის პასუხი არ იყო. მძიმე გადაწყვეტილება უნდა მიმეღო.

ამ დროს მოვიდა ცნობა: სოხუმში მონონაციონალური აფხაზური გვარდიის ქვედანაყოფი აპირებს იერიში მიიტანოს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე, რათა იქიდან „განდევნოს“ (არძინბას გამოთქმაა) ქართველი მინისტრი გივი ლომინაძე, რომელიც აფხაზ ხელისუფალთა ცალმხრივი გადაწყვეტილებით უკანონოდ გაათავისუფლეს პოსტიდან მხოლოდ იმისთვის, რომ ის ქართველი იყო. ზვიადისტების გამოსვლა თბილისში და სოხუმის „აქცია“ აშკარად სინქრონიზებული ჩანდა.

მომენტის უკიდურესი დაძაბულობისა და სიტუაციის გაურკვევლობის მიუხედავად, ვითხოვე, შევეერთებინე არძინბასთან და სიტყვასიტყვით შემდეგი ვუთხარი:

— თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რა ხდება თბილისში. აქ ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, ბეწვზე ჰკიდია. ადამიანურად გთხოვთ, ნუ

განახორციელებთ ჩანაფიქრს, გააუქმეთ ბრძანება, ჩვენ შევძლებთ ყველაფერზე მოლაპარაკებას.

არძინბამ რაღაც გაუგებარი ფრაზებით მიპასუხა. გაანგარიშება ზუსტი და უბრალო იყო: ზვიადისტების გამოსვლა წარმატებით დაგვირგვინდება და ამიტომ თბილისის ხელისუფლება მხედველობაში მისაღები არ არის, რადგანაც მისი არსებობის წუთები დათვლილია.

მერე გაირკვა, რომ ჩვენს საუბრამდე არძინბას უკვე განეხორციელებინა თავისი ჩანაფიქრი, იერიშით აეღო შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა და იქიდან „განედევნა" მისთვის არაკეთილსაიმედო ქართველი მინისტრი, თანაც მანამდე სასტიკად სცემეს. იმავე დღეს სოხუმში გავრცელდა ხმები, რომ თბილისში ხელისუფლება დაამხეს და „შევარდნაძე გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა".

თბილისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის სწრაფი ჩახშობის შემდეგ სოჭში გადავფრინდი, სადაც ელცინს მოველაპარაკე და ხელი მოვაწერეთ დაგომისის შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამმხრივი სამშვიდობო ძალების შეყვანის შესახებ. მაშინ ასე მოჩანდა: ეს „სუფთა თამაში" იყო. ყველაფერთან ერთად, რუსეთმა ივალდებულა საქართველოს გაეროში მიღებისათვის ხელშეწყობა. გულიდან თითქოს ლოდი მომწყდა, მაგრამ მაინც მაწუხებდა განგაშის განცდა. მივხვდი, რომ 24 ივნისის სოხუმის ინციდენტს ძალიან მალე მოჰყვებოდა სხვებიც, რომლებიც ისევ და ისევ სინქრონიზებული იქნებოდა ზვიადისტების გამოხდომებთან.

წინათგრძნობამ არ მიმტყუნა. ერთი თვეც არ იყო გასული და კვლავ საბედისწეროდ დაემთხვა ერთმანეთს სხვადასხვა ავისმომასწავებელი მოვლენა.

9 ივლისს „ზვიადისტებმა" საქართველოს ვიცე-პრემიერი ალექსანდრე კაესაძე გაიტაცეს და მის გასათავისუფლებლად სამეგრელოში მომიწია ჩასვლამ. ამის თაობაზე 22 ივლისს ტელევიზიით განვაცხადე კიდეც.

მთავარზე მთავარი კი ის იყო, რომ 1992 წლის 23 ივლისს არძინბას მიერ ერთპიროვნულად კონტროლირებულმა აფხაზეთის

ავტონომიის პარლამენტმა ხმათა უბრალო უმრავლესობით შეწყვიტა 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება. პრაქტიკულად, ეს ნიშნავდა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლას.

ამ კონსტიტუციური ხასიათის დადგენილებამ – „О прекращении действия Конституции Абхазской АССР 1978 года" – აღადგინა 1925 წლის აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და ავტონომიური რესპუბლიკა თითქოს იურიდიულად გამოეყო საქართველოს, მაგრამ დადგენილება სწორედ იურიდიულად იყო არამართლზომიერი, რადგან მის მიღებას დეპუტატთა კვალიფიცირებული უმრავლესობის (ანუ ორი მესამედის) ნაცვლად ხმა მისცა უბრალო უმრავლესობამ (43-ის ნაცვლად 36-მა დეპუტატმა). მე სასწრაფოდ ჩამოვედი თბილისში.

25 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საბჭომ ხსენებული დადგენილება გააუქმა.

ჩემი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მოლაპარაკებებს ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან ჩემი ნდობით აღჭურვილი პირები აწარმოებდნენ და ამჯერად (11 აგვისტოს) სწორედ ისინი, 11 კაცი აიყვანეს მძევლად – შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი მოადგილე, ჩემი მრჩეველი და სხვა ოფიციალური პირები. მძევლები აფხაზეთში, გალის რაიონში, სოფელ კოჩარაში გადაიყვანეს.

13-14 აგვისტოს სადგურ ინგირთან სარკინიგზო ხიდი ააფეთქეს. აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ საქართველოსთან ახლა მხოლოდ საავტომობილო გზა აკავშირებდა და თუ ამ გზაზე ავტოხიდსაც ააფეთქებდნენ, ეს მთლიანად მოწყვეტდა ქვეყნის ამ ორ ნაწილს ერთმანეთისაგან, აღმოსავლეთ საქართველოს – შავი ზღვის პორტებისგან, ქვეყანა დაიმშეოდა.

მოკლედ, ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ საქართველო არეულიყო და აფხაზეთი ან მშვიდობიანად, ან ძალით ჩამოეშორებინათ ქართული სახელმწიფოსთვის.

აკი დასახა მთავარი მიზანი ჯერ კიდევ 1990 წელს „კავკასიის პარლამენტის" მომავალმა თავმჯდომარემ იუსუფ სოსლანბეკოვმა: „Мы пойдём на все, чтобы вернуть Абхазию в лоно Кавказской Федерации, а Кавказской Федерации вернуть её столицу – го-

род Сухуми" (Юсуп Сосланбеков, „Затянувшаяся прогулка по краю пропасти", Кавказ, 1990, 1 Октября).

ეს კი შეუძლებელი იქნებოდა ქართველთა ერთიანობის პირობებში, განსაკუთრებით, აფხაზეთის უშუალო მეზობლად, სამეგრელოში სიწყნარისა და სტაბილურობის შემთხვევაში. სწორედ ამიტომ 1992 წლის ზაფხულის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში განუწყვეტლივ გრიალებდა აფეთქებები. დივერსიების გეოგრაფია მოიცავდა სამეგრელოს ვრცელ რეგიონს, მაგრამ გამოხდომები უპირატესად ხდებოდა მეზობელი აფხაზეთის ტერიტორიიდან. სწორედ იქ, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში, განლაგდა დივერსიული საქმიანობის ძირითადი ბაზები. ყოველთვის იქით მიიმალებოდნენ დივერსიული ჯგუფები, როდესაც მათ მთავრობის სამხედრო ნაწილი დაედევნებოდა ხოლმე, რადგან იცოდნენ, რომ არსებობდა ბრძანება აფხაზურ ფორმირებებთან შეტაკებისაგან თავის არიდების თაობაზე.

რამდენიმეჯერ დავურეკე არძინბას და შევთავაზე ერთობლივი ძალებით მოგვეხდინა ბაზების ლიკვიდაცია. იგი მპასუხობდა, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა ამ საქმეს თვითონ გაართმევდა თავს.

სამეგრელოსა და აფხაზეთში, გაგრის, ბზიფის, განთიადის, გუდაუთის, დრანდის, გალის, აჩიგვარას, სალხინოს, სოხუმის, ეშერას, ოჩამჩირის, ინგირის, ზუგდიდისა და სხვა რკინიგზის სადგურებიდან შეიარაღებული თავდასხმით გაიტაცეს სხვადასხვა სახელმწიფოსთვის განკუთვნილი მილიარდობით მანეთის პროდუქცია, რის შესახებაც ზემოთ უკვე ითქვა. მარტო 1992 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა თავდასხმებისა და აფეთქებების 1142 ფაქტი. ძარცვავდნენ გაჩერებულ მატარებლებსა და ავტოტრაილერებს, რამდენიმეჯერ თავს დაესხნენ საერთაშორისო წითელი ჯვრის ტრანსპორტს. სამრეწველო ცენტრების მოსახლეობისათვის ისეთი დეფიციტური პროდუქტი, როგორიცაა ფქვილი, შაქარი, ზეთი, აგრეთვე, ჰუმანიტარული დახმარება – მედიკამენტები და ბავშვის საკვები, ათასეულობით ტონა რომ შემოდიოდა საზღვარგარეთიდან, ყაჩაღთა ხელში ხვდებოდა. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, ჰქონდათ შეტყობინებისა და ინფორმაციის ფართოდ გაშლილი ქსელი.

საომარი მოქმედების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, აფხაზეთის

ტერიტორიაზე მისი მოსაზღვრე რეგიონიდან დაიწყო „მოხალისეების", კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯგუფების შეგზავნა. ისინი ჩამოდიოდნენ სხვადასხვა კულტურულ-ეთნოგრაფიული ფესტივალის და „მეგობრობის ზეიმის", ექსკურსიების საბაბით, როგორც კერძო მოგზაურები და სახლდებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ბინებში, რომ შეიარაღებული კონფლიქტის პირველივე დღიდან ჩაბმულიყვნენ საბრძოლო მოქმედებაში.

ამავე დროს, იგეგმებოდა დივერსიულ-ტერორისტული აქტები. მაგალითად, ცნობილია გუდაუთის რაიონში შექმნილი „შურისგების ჯგუფის" ე. წ. „სამაგიეროს მიზღვის" დოკუმენტაცია, სადაც ჩამოთვლილია იმ აფხაზებისა და ქართველების გვარები, რომლებიც განადგურებას ექვემდებარებოდნენ „აფხაზი ხალხის ღალატისათვის" და რომელთა უმრავლესობა შემდეგ გაანადგურეს კიდეც.

გუდაუთაში დაბეჭდილი ფურცლების მიხედვით, ომის სულის-ჩამდგმელები და ბელადები თავიანთ მთავარ საქმედ ქართველთა განადგურებას ხედავენ: „მტრის განადგურება გარდაუვალი გახდება".

სწორედ ამ მიზნით, ბოლო წლებში აფხაზეთში და მის გარეთ დიდძალი ფული გროვდებოდა პროპაგანდული კამპანიისათვის და იარაღის შესაძენად, ხოლო თავად ავტონომიურ რესპუბლიკასა და ჩრდილო კავკასიაში შესაბამის ბაზებზე ბოევიკებს ამზადებდნენ. ბევრი მათგანი, მათ შორის შამილ ბასაევი — აფხაზეთის ომის „გმირი", შემზარავ ტერაქტებს დღეს თავად რუსებს უწყობს.

1992 წლის ივნისში აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ კონტრაქტი გააფორმა საზღვარგარეთულ ფირმასთან „აფხაზეთის რესპუბლიკის" მოქალაქეთათვის პასპორტების დამზადების შესახებ. „მოცემული ნაკეთობის ტირაჟი, — ნათქვამია კონტრაქტში, — უნდა იყოს ხუთასი ათასიდან მილიონამდე და იგი მოგვიანებით დაზუსტდება".

რატომ ასე ბევრი? აფხაზეთის მთლიანი მოსახლეობა ხომ ბევრად ნაკლებია, შევუდაროთ ამ კონტრაქტს კიდევ ერთი დოკუმენტი — აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი — „მოქალაქეთა სურვილის მიხედვით გვარისა და ეროვნული კუთვნილების შესახებ ანკეტური მონაცემების შეცვლის ნებართვის შესახებ"...

ესეც ამ საერთო გეგმის კონტექსტში ჯდება – დემოგრაფიული სურათის შეცვლა – ქართველთა განდევნისა და გაწყვეტის შემდეგ მათ საცხოვრისზე უცხოელთა ჩამოსახლება. აფხაზეთის კოლონიზაციის, იქიდან მკვიდრი ქართველი მოსახლეობის განდევნის გეგმები ხანგრძლივი პერიოდისთვის იყო გაანგარიშებული. პასპორტების ტირაჟი დაზუსტდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამხედრო ძალადობით საბოლოოდ გაწმენდდნენ „სასიცოცხლო სივრცეს“ იმ მილიონი მოქალაქისათვის, ვინც აფხაზად ჩაეწერა.

ამ ჩანაფიქრის განხორციელება სეპარატიზმის მესვეურთა მიერ კონტროლირებად აფხაზეთის რაიონებში ეთნიკურ წმენდამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. 1990-92 წლების განმავლობაში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეგმაზომიერად ასახლებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულებს. „მოხალისეებს“ ჩრდილო კავკასიიდან და რუსეთის სამხრეთიდან დამქირავებლები მიწის ნაკვეთებს სთავაზობდნენ.

რისი ან ვისი იმედით? უფრო სწორად – ვისი კარნახითა და დაჟალებით?

ასეა თუ ისე, 1992 წლისთვის აფხაზეთის ომის პარტია უკვე მზად იყო ომისთვის – მას ჰქონდა იარაღიც, ფულიც, ჰყავდა მებრძოლებიც და ჰქონდა რუსეთისა და ჩრდილო კავკასიის მხარდაჭერაც, რაზეც ყოველგვარი მორიდების გარეშე უკვე მაშინ განუცხადეს რუს მეცნიერს სვეტლანა ჩერვონნაიას: „У нас уже все готово. Мы поставим под ружье за полчаса весь народ. Наши арсеналы уже полны вашим же, российским, оружием и в любой момент мы можем их удвоить и утроить. У нас налажены связи с казачеством, вы сами все скоро увидите: как только здесь начнется война, весь Кавказ придет в движение, а за ним и вся Россия. У нас свои эмиссары за рубежом – в Турции, в Арабских странах. Нас поддержит весь мир. Ну, а кто не захочет быть с нами, с тем поступим по законам военного времени (С. М. Червонная, Абхазия –1992, Посткоммунистическая грузинская вандея. М., 1993, გვ. 9).

ყველა და ყველაფერი მზად იყო აფხაზეთში ომის დასაწყებად და საქართველოს დასაშლელად. რუსეთის ჩანაფიქრით მხოლოდ ახლა თუ დაიშლებოდა საქართველო, მაშინ, როდესაც ქვეყანაში

სამოქალაქო დაპირისპირებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ხოლო ჯერ შეუმდგარ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არც ჯარი ჰყავდა, არც ვინმე დამხმარე.

მხოლოდ ახლა შეიძლებოდა აღსრულებულიყო ჯერ კიდევ 1919 წელს დენიკინის მიერ გაცხადებული სურვილი სოხუმის ოლქის საქართველოდან ჩამოცილებისა და „განუყოფელ რუსეთთან" მიერთებისა.

* * *

სისხლიან დაპირისპირებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1992 წლის 3 აპრილს, ჩემმა თანაშემწემ საფოსტო კორესპონდენციებიდან ერთი დეპეშა მომაწოდა, რომელიც შეიძლებოდა გვერდზე გადაგვედო, როგორც რაღაც კურიოზული და ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ ინტუიციამ მიკარნახა, რომ დაკვირვებით წამეკითხა იგი.

„თბილისი. მთავრობის სახლი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს შევარდნაძეს. მოვითხოვთ გადამწყვეტი ზომების მიღებას, რომ შეწყდეს პროვოკაციები აფხაზეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენ ვაპირებთ მივაღწიოთ ელცინისაგან, დსთ-ის უმაღლესი საბჭოსგან და სარდლისგან დაუყოვნებლივი ზომების მიღებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ვითარების სტაბილურობა. ფრაქცია „როსიას" კოორდინატორი ბაბურინი".

დეპეშის გამომგზავნის სახელი მეტისმეტად კარგად იყო ცნობილი, რომ ეს „ნაწარმოები" შემთხვევით მოვლენად ჩაგეთვალა: სერგეი ბაბურინი წითელ-ყავისფრების ერთ-ერთი ლიდერი რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოში და ელცინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე გახლდათ.

ერთი შეხედვით, ეს ავტორი აშკარად უპირისპირდებოდა ელემენტარულ ლოგიკას. იგი მოითხოვდა „შესაძლებელი პროვოკაციების შეწყვეტას", ნაცვლად იმისა, რომ მოეთხოვა მათი თავიდან აცილება თუ, რა თქმა უნდა, ფლობდა რაღაც მტკიცებას მათი მზადების შესახებ. დეპეშაში მას მოჰყავდა რესპუბლიკის სახელწოდება, რომელიც იმ მომენტისათვის არსებობდა მხოლოდ მისი ახალი კონსტიტუციის პროექტში. ბოლოს, იგი უშვებდა აშკარა შეცდომებს თავი-

სი დეპეშის მისამართსა და ტონში, როცა ერეოდა ჩვენს საშინაო საქმეებში და გვეშუქრებოდა ჩარევის ესკალაციით რუსეთის უმაღლეს სახელმწიფო და სამხედრო-პოლიტიკურ დონეზე.

დეპეშის მოსვლის მომენტში არაფერი აჩვენებდა სიტუაციის გამწვავებას – იგი ისედაც მწვავე იყო. ჩვენ ვაკეთებდით ყველაფერ შესაძლებელს, რომ აფეთქება არ დაგვეშვა. მე რეგულარული სატელეფონო კავშირი მქონდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ვლადისლავ არძინბასა და სხვა აფხაზ ლიდერებთან, ვთავაზობდი, გაგვემართა მოლაპარაკება. არძინბა ყოველთვის უარს ამბობდა და სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა. სხვები, ასე ვიტყვი, ზოგიერთები, ჩამოდიოდნენ თბილისში და ჩვენ ადვილად ვპოულობდით მათთან საერთო ენას და ყოველთვის მივდიოდით დასკვნამდე, რომ შეტაკება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეშვა. სოხუმში იყო ჩასული სახელმწიფო საბჭოს ავტორიტეტული დელეგაცია, მან მოლაპარაკება გამართა ქართული და აფხაზური პოლიტიკური დაჯგუფებების ხელმძღვანელებთან. ჩვენ გვარწმუნებდნენ თანხმობისა და მშვიდობისაკენ მისწრაფებაში. სინამდვილე კი საპირისპიროს მოწმობდა და მიუხედავად ამისა, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ კომპრომისს მივაღწევდით.

და უცებ – ბაბურინის დეპეშა...

სხვათა შორის, ბაბურინი ახლა რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერია და ფაქტობრივად პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი ის პირი, რომელიც ღიად და აქტიურად ერევა აფხაზეთის შინაურ საქმეებში (ამდენად საქართველოს შინაურ საქმეებშიც).

ვიცოდი, რა ძალებიც იდგნენ ამ ფიგურის უკან და ეს დეპეშა მთელი სერიოზულობით ულტიმატუმად ჩავთვალე.

ეს იყო შეტევის სიგნალი, რომელიც გაახმოვანეს იმაზე ადრე, ვიდრე რუსეთის რეაქციის აფხაზური ავანგარდი ღია შეტევაზე გადმოვიდოდა.

* * *

აფხაზეთის ომისთვის მზადებამ რამდენიმე სტადია გაიარა, რომელთაგან თითოეულს თავისი მიზანი და შესაბამისი შინაარსი ჰქონდა:

პირველი, ყველაზე ხანგრძლივი, რომელიც რამდენიმე ათწლეული

გრძელდებოდა, მიმართული იყო აფხაზთა კოლექტიური ცნობიერების ფსიქოლოგიურ დამუშავებაზე, მასში „მტრის“ ხატისა და გაუცხოების მყარი სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე. ვალდებული ვარ ვთქვა, რომ ქართველოფობიის თესლი ნოყიერ ნიადაგში ეცემოდა. სეპარატიზმის კოცონს ტოტალიტარული სისტემა უმატებდა საუცხოო საწვავ მასალას: ოციანი და ოცდაათიანი წლების რეპრესიები, რომელსაც გარკვეული პერიოდი საბჭოთა კავშირშიც და საქართველოშიც აფხაზეთში დაბადებული ქართველი ლავრენტი ბერია ახორციელებდა, თრგუნავდა როგორც აფხაზთა, ისე ქართველთა ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტს. ეს იყო ყველა ხალხის ხვედრი, მაგრამ სეპარატისტებს ხელს აძლევდათ ისე წარმოეჩინათ ეს პოლიტიკა, როგორც სპეციფიკური ქართული ნაციონალიზმის გამოვლენა. პოზიციის არჩევითობა აშკარა იყო: როცა რუსეთს სთხოვდნენ, დაეცვა აფხაზეთი საქართველოსაგან, აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები განგებ აჩუმათებდნენ იმ ამბავს, რომ რუსეთის მეფის ადმინისტრაციამ კავკასიის ომში შამილის მხარეზე მონაწილეობის გამო — ათასობით აფხაზი სამშობლოდან თურქეთში გააძევა და, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზები „დამნაშავე ერად“ გამოაცხადა, ხოლო საბჭოთა რეპრესიების დროს ქართველი ხალხი არანაკლებ დაზარალდა, თუ მეტად არა.

შემდეგ სტადიაზე დაიწყო ფსევდოსამართლებრივი არგუმენტაციის შემუშავება საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლის სასარგებლოდ, ყალიბდებოდა კანონების ფუნდამენტი, რომელსაც ორი ხალხი უშუალო შეტაკებამდე უნდა მიეყვანა.

დასასრულ, მესამე სტადია: მატერიალურ-ტექნიკური, ორგანიზაციული, სამხედრო-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მომზადება შეიარაღებული დაპირისპირებისათვის, რომელიც ორიენტირებული იყო შიდაკონფლიქტში გარე ძალების, აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიურად და ეთნიკურად მონათესავე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დანგრევაში უშუალოდ დაინტერესებული ძალების მონაწილეობაზე. რაც გაკეთდა კიდეც „ჩრდილო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ შექმნით, გაკეთდა უმაღლეს დონეზე, უნდა ვაღიარო, საქმის ცოდნით, წიგნიერად, საფუძვლიანად. დარჩა მოენახათ ომის საბაბი და მოეხდინათ შეტაკების პროვოცირება.

ფაქტობრივად, მთელი დრო ჩემი საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როცა სასტიკი ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალურ-სულიერი კრიზისით დასუსტებული ქვეყანა იძულებული იყო რამდენიმე ფრონტზე ებრძოლა, დაეძლია შიდატერორიზმი და გარეშე ზემოქმედება, მოეწესრიგებინა კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში, გაერღვია საერთაშორისო იზოლაციის წრე, ამით იყო დაღდასმული.

იძულებულნი გავხდით, და ვალდებულნიც ვიყავით, ყველა საშუალებით დაგვეცვა როგორც რკინიგზა აფხაზეთის მიმართულებით, ისე ფოთის პორტი – სხვაგვარად ხალხი შიმშილით ამოიხოცებოდა.

სამხედრო საბჭოზე დაისვა შესაბამისი საკითხი. როგორც მოგახსენეთ, საბჭოს წევრები ვიყავით: თენგიზ სიგუა – პრემიერ-მინისტრი, თენგიზ კიტოვანი – თავდაცვის მინისტრი, ჯაბა იოსელიანი – გასამხედროებული ორგანიზაციის „მხედრიონის“ ლიდერი და მე – რომელიც საბჭოს თავმჯდომარედ კი ვითვლებოდი, მაგრამ მთავარსარდალი არ ვიყავი. ეს კი ბევრად ზღუდავდა ჩემს კონტროლს სამხედრო ძალებზე, რამაც შემდეგ ბევრი გაუგებრობა წარმოშვა, მეტიც – უბედურებამდე მიგვიყვანა.

მოკლედ, 1992 წლის 10 აგვისტოს მიღებულ იქნა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ“, რომელიც რკინიგზისა და სარკინიგზო შემადგენლობების შეიარაღებულ დაცვას გულისხმობდა.

ხაზგასმით უნდა ვთქვა, ჯარის გადასროლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გავაკეთე საგანგებო დაზუსტება იმის თაობაზე, რომ სამხედრო ნაწილებს აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკრძალებოდათ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში შესვლა. ამასთან, განისაზღვრა სარკინიგზო შემადგენლობათა სამხედრო გამცილებლების კონცენტრირების სამი პუნქტი: პირველი – დიდ სარკინიგზო კვანძთან სამტრედიაში, მეორე – სოხუმის გარეუბანში, და არა თავად ქალაქში, და მესამე – რუსეთის საზღვართან, ლესელიძეში.

საბჭოს წევრები ამაზე შევთანხმდით.

დავურეკე არძინბას და ვუთხარი, რომ რკინიგზაზე ძარცვასთან

დაკავშირებით საქართველოს კანონიერი პრეტენზიებით მიმართავს რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თავად საქართველოც დიდ ზარალს განიცდის და ვალდებული ვართ, რკინიგზა დავიცვათ. დავიცვათ ერთობლივად, ჩვენ შემოვიყვანთ ჯარს, თქვენ ჩართეთ გვარდია და სამტრედიიდან ლესელიძემდე ერთობლივად გავაცილოთ შემადგენლობები-მეთქი.

შევთანხმდით. არძინბამ დაამატა, ვინმე ჩამოვიდესო დეტალების შესათანხმებლად.

ვუთხარი, სიგუა და კიტოვანი აუცილებლად ჩამოვლენ-მეთქი.

ჩემი დიდი შეცდომა სწორედ ეს იყო: მაშინვე უნდა გავფრენილ-, იყავი, მაგრამ თბილისშიც მძიმე მდგომარეობა იყო და ვერ დავტოვე დედაქალაქი.

გავიდა ერთი დღე, ატყდა ხმაური, — გალის რაიონში სროლააო: მოხდა შეტაკება ქართულ პოლიციასა და აფხაზებს შორის. კი მაგრამ, ვინ შეიყვანა იქ ქართული პოლიციის ნაწილები? კიტოვანმა? თუ ვინმე სხვამ? ვერ ვარკვევდი... დრო იყო ასეთი — უდისციპლინობისა და თვითნებობის დრო, ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა, ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო დალაგებული.

მეორე დღისთვის სოხუმში უნდა ჩასულიყვნენ კიტოვანი და სიგუა, მაგრამ ვერ ჩავიდნენ. მე არ მინდა კიტოვანი დავადანაშაულო, რადგან იგი ახალციხეში იმყოფებოდა, რუსეთის მეთექვსმეტე დივიზიიდან შეიარაღება, მათ შორის ტანკები, უნდა გადმოებარებინა, ამით იყო დაკავებული და ამბობდა, როგორც კი ამ საქმეს მოვრჩები, მაშინვე წავალო.

სიგუა მხოლოდ მესამე დღეს ჩავიდა. არძინბამ ისარგებლა ამ დაყოვნებით და თავი აარიდა მასთან შეხვედრას, რუსების სასაზღვრო ნაწილს შეაფარა თავი. მიუხედავად დიდი მონდომებისა, სიგუამ ვერ მოახერხა მასთან შეხვედრა. დანარჩენ ლიდერებს კი ესაუბრა — ბაღაფშს, ნადარეიშვილს, ანქვაბს, მაგრამ ისინი არძინბას გარეშე ვერ წყვეტდნენ ვერაფერს.

ამ დროს კიტოვანის განკარგულებით აფხაზეთში ჯარი შევიდა, თითქმის მთელი შემადგენლობით, სოხუმთან დაბანაკდა. ეს არძინბასთან შეთანხმების დარღვევა იყო.

მაშინ სოჭში ისვენებდა ელცინი, დამირეკა და მითხრა: „სოხუმში

ჯარის შეყვანა არ შეიძლება, უნდათ შეგაცდინონ და არ აჰყვეთ, ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ იქ რუსეთის ჯარიც დგას და თუ შეტაკება მოხდება, შემდეგ ამას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს".

დავეთანხმე და ვუთხარი, რომ მეც წინააღმდეგი ვარ სოხუმში ჯარის შეყვანის და რომ ჩემი განკარგულებით სოხუმის გარეუბანში უნდა დაბანაკებულიყო მხოლოდ ერთი შენაერთი, მეორე – ლესელიძეში, მესამე – სამტრედიაში და ისიც, როგორც სარკინიგზო შემადგენლობების გამყოლი დაცვა.

თენგიზ კიტოვანის თქმით, 14 აგვისტოს აფხაზეთში შეიარაღებული ნაწილის გადაადგილება არაორგანიზებული იყო, არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო საბჭოს მითითებანი.

„ჩვენ წინ „ჟიგულითა" და სხვა მსუბუქი მანქანებით პოლიცია მიდიოდა, – იხსენებს კიტოვანი, – სამტრედიაში შევხვდი თბილისის პოლიციის უფროსს – ზეიკიძეს და გავაფრთხილე, რომ არ იყო საჭირო ასე... მაინც ჩვენ წინ წავიდნენ. ცხინვალიდან გამოვიყვანე სოსო ახალაიას ბატალიონი და ის დავაყენე კოლონის თავში. შევარდნაძე რეკავდა თბილისიდან და ყველას აფრთხილებდა, რომ თუ შეიარაღებულ მსვლელობას გავაგრძელებდით, მთელი მსოფლიო ფეხზე დადგებოდა".

ერთი ტყვიაც არ იყო ჯერ გასროლილი, როდესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ არძინბას მეთაურობით ეს ყველაფერი „აგრესიად" და „აფხაზეთის მიწის" მიტაცების მცდელობად შეაფასა. მან მთელ აფხაზეთს მოუწოდა „სამამულო ომისკენ" და 14 აგვისტოს მობილიზაცია გამოაცხადა. 15 აგვისტოს გაზეთ „პრავდაში" ამ „თავდასხმის" შესახებ საოცარი ოპერატიულობით გამოქვეყნდა არძინბასა და ზარანდიას დეპეშა, რომლის გამოქვეყნება დოკუმენტალისტ სვეტლანა ჩერვონნაიას თქმით, „ვერ მოესწრებოდა, თუ წინასწარ არ იქნებოდა მომზადებული". (С.М. Червонная, Абхазия – 1992 М. 1993, გვ. 133.)

მაშინვე, 15 აგვისტოს, კონფლიქტის მხარეთა მონაწილეობით შეიქმნა ერთობლივი კომისია, მაგრამ აფხაზები დროს წელავდნენ, ისინი მზად იყვნენ ამ ომისთვის, რაც სრულიად აშკარა იყო. ამას

მარტო მე არ ვხედავდი, მაგრამ ჩვენი და პირადად ჩემი სისუსტე ის იყო, რომ ომი თავიდან ვერ ავიცილეთ.

კომისიის ერთ-ერთი წევრი, თემურ ლომაია შემდეგ წერდა: „14 აგვისტოს სოხუმის სახელმწიფო აგარაკზე ვიყავით... შევარდნაძემ დარეკა. კიტოვანმა თქვა, რომ იგი არ დაელაპარაკებოდა მას. ყურმილი სახელმწიფო მინისტრმა, გოგა ხაინდრავამ აიღო, რომელმაც სატელეფონო ლაპარაკის მერე გვითხრა: შევარდნაძემ გვიბრძანა ჯარის შეჩერება. კიტოვანმა უპასუხა, მე მაინც წინ წავალ. დანარჩენებმა, მათ შორის მეც, ვთქვით, რომ შევარდნაძე მართალს ამბობდა“.

დაახლოებით იმავეს შენიშნავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ო. ბენიძე: „დილის ათი საათიდან, ყოველ ათ-თხუთმეტ წუთში შევარდნაძე რეკავდა და მოითხოვდა, რომ მთავრობის ჯარები არასგზით არ შესულიყვნენ სოხუმში... ეს დამღუპველი და გამოუსწორებელი ნაბიჯი იქნებაო.“

ახლა რომ ვფიქრობ, კიტოვანმა რამდენიმე დღე შეიცადა და ჩემგან რომ ვერ მიიღო სოხუმში ჯარების შეყვანის ნებართვა, თავად გასცა ბრძანება და შევიდა პირდაპირ სოხუმში.

აფხაზებმა რომ გაიგეს, ჯარი მოადგაო სოხუმს, დატოვეს ქალაქი და გუდაუთას შეეფარნენ. სოხუმში რამდენიმე ოჯახი დარჩა, მათ შორის ისინი, ვინც ქვეყნის მთლიანობას უჭერდა მხარს. უკონტროლო ჯარი შეესია ქალაქს და მოსახლეობას, აფხაზურსა თუ ქართულს, ძარცვა დაუწყო, ბევრი გაძარცვეს...

მერე მდინარე გუმისთაზე ქართული ბატალიონები ჩააყენეს, — ზვიადისტების ბატალიონები იყო, სხვათა შორის, კარგი ბიჭები იყვნენ და შემდგომაც კარგად იბრძოდნენ, სანამ ზვიადი დაბრუნდებოდა ჩეჩნეთიდან და აუკრძალავდა...

მოკლედ, შევიდნენ სოხუმში, მიადგნენ მთავრობის სახლს და აფხაზეთის დროშა ჩამოხსნეს.

— სოხუმი აღებულია, — მომახსენა კიტოვანმა.

სოხუმი კი აღებულია, მაგრამ მერე რას ვშვრებით?

— კარგი ბიჭები არიან, კარგი მებრძოლები, შენ ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება.

არადა, როგორ იქნება კარგად, მე ხომ ვგრძნობ, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვა, ეს უკვე ქართულ-აფხაზური ომია და არა „რკინიგზის დაცვა.“

აფხაზეთში ამ ყველაფრისთვის, როგორც ვთქვი, კარგა ხანს ემზადებოდნენ, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან. ჩემი წინამორბედის, მჟავანაძის ნაამბობი მახსენდება: 1956 წლის თბილისის ტრაგედიის დროს ხრუშჩოვი გაბრაზდა და დაემუქრა, თუ ქართველები ჭკუით არ იქნებით, აფხაზებს მოგისევთო. მოსკოვი, მისი სპეცსამსახურები დიდი ხანია ქმნიდნენ ფსევდომეცნიერულ, იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ წინა პირობას აფხაზებში ქართველთა მიმართ სიძულვილის გასაღვივებლად, ქართველთაგან მოძალადისა და დამპყრობის ხატის შესაქმნელად. გროვდებოდა ფული, იარაღი, გროვდებოდა სიძულვილი და მითოლოგიური გამონაგონები ქართველების აფხაზეთში გვიანი განსახლების თაობაზე. იყო სხვა კურიოზული ფაქტებიც, თუნდაც ასეთი: 1924 წელს რუსულად გამოვიდა რუსი ავტორის ბროშურა, იმის მტკიცებით, რომ ქართველებმა აფხაზებს ანბანი წაართვეს, 1926 წელს იგივე მითი გაიმეორა უკვე აფხაზეთის განათლების მინისტრმა თავის ბროშურაში. როგორ შეიძლება ერს ანბანი წაართვა, თან ისე, რომ ამ ანბანით ერთი წინადადება არ იყოს დაფიქსირებული აფხაზურად და მხოლოდ ქართული წარწერები და წერილობითი ძეგლები იყოს შემორჩენილი?

ეს მხოლოდ ერთი ფრაგმენტია იმ აბსურდული მექანიზმისა, რომელსაც რუსეთი ათწლეულების განმავლობაში იყენებდა აფხაზეთში ქართველების საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური კლიმატისა და განწყობის შესაქმნელად.

მე ჩავედი სოხუმში, მაგრამ არძინბას ვერ შევხვდი — თავს მარიდებდა, გაქრა, ჩემთან შეხვედრა არ უნდოდა. ამასობაში, აფხაზებმა, როგორც ითქვა, მობილიზაცია გამოაცხადეს და ჯერ კიდევ ჩემი სოხუმში ყოფნისას ბრძოლებიც დაიწყო.

სამხედრო თვალსაზრისით, თავდაპირველად, თითქოს არ იყო ცუდად საქმე: გუმისთასთან ხუთი ბატალიონი იდგა, — ერთი-ერთი, ძალიან ძლიერი ბატალიონი ე. წ. „ფუნიკულიორს“, ფაქტობრივად, სოხუმის კარიბჭეს იცავდა.

ყოველღამე თათბირებს ვატარებდი. კიტოვანიც ესწრებოდა ხოლმე. მეტად თავისებური კაცი იყო. ბრძოლის ველი მიატოვა და ოჩამჩირეში წავიდა, ჯარს შევკრებ და დამატებითი ძალებით ჩამოვალო.

მარტო იგი არ იყო ასეთი — თავნება, მკაცრი სახელმწიფო წესრიგისაგან თავისუფალი პიროვნება, მისი გარემოცვაც ასეთი გახლდათ. სხვათა შორის, ომის დამთავრების შემდეგ, 1995 წლის იანვარში, კიტოვანმა სწორედ ამ თანამებრძოლებთან, მათ შორის, ვიცე-პრემიერთან ერთად, „იკარუსის“ ტიპის რამდენიმე ავტობუსში განლაგებული მცირერიცხოვანი სამხედრო შენაერთის მეშვეობით მოინდომა აფხაზეთის დაბრუნება. უშიშროების მაშინდელი მინისტრის, იგორ გიორგაძის მეშვეობით იძულებული ვიყავი ეს ავანტიურა აღმეკვეთა და მეთაურები დამეპატიმრებინა, მაგრამ ეს მერე მოხდა, ომის დროს კი არც ძალა მქონდა და არც შეძლება, რომ ჩემი ბრძანება უსიტყვოდ შესრულებულიყო.

სამხედრო მეთაურთა შორის მინდა გამოვყო გია ყარყარაშვილი, რომელმაც ძალიან კარგად იომა — ნამდვილი პატრიოტი და გულადი მეომარია. ირაკლი ბათიაშვილიც, უშიშროების მინისტრი, ჩვენთან იყო, — არც მას დაუზოგავს თავი. გენო ადამიაც, ქალაქის სამხედრო გარნიზონის მეთაური, საუკეთესო მებრძოლი, თავგანწირვით იბრძოდა. წარსული მასაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც ჯაბა იოსელიანს, და მასავით გაბედული და შეუდრეკელი მებრძოლიც იყო, ჩემი ერთგულიც — მერე, როდესაც სოხუმი დაეცა, ბოლომ დატოვა ქალაქი, მარტო მოდიოდა გზაზე და მოკლეს.

2 სექტემბერს ელცინმა დამირეკა მოსკოვიდან: — მოდი, შევიკრიბოთ და ამ ომს ბოლო მოვუღოთო. უნდა ჩამოხვიდე, ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერებს დავუძახებ და აქ მოვილაპარაკოთ, როგორ ჩავაწყნაროთო ყველაფერი.

ჩავედი. არძინბაც ჩამოვიდა. დიდხანს ვილაპარაკეთ. არძინბა ბევრ რაღაცას არ ეთანხმებოდა, ერთ საკითხზე ძალზე გაჯიქდა და ელცინმა გვერდით ოთახში გაიხმო, არ ვიცი, რა უთხრა, მაგრამ დაითანხმა. ბოლოს და ბოლოს, მივიღეთ გადაწყვეტილება ომის შეწყვეტისა და შერიგების პროცესის დაწყების შესახებ.

ამ დროს ჩვენი ჯარი გაგრაში იყო შესული, ლესელიძეშიც...

გუდაუთაში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი: ეს აფხაზური წინააღმდეგობის ცენტრი იყო და იქ შესვლას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა, რაც შავ ფურცლად შეეიდოდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიაში.

მოსკოვის მოლაპარაკებაზე ომი დამთავრებულად გამოვაცხადეთ, რაც თათბირის მონაწილეების, მათ შორის, ჩემი, არძინბასა და ელცინის (როგორც გარანტის) ხელშეკრულებაზე ხელმოწერითა და ხელის ჩამორთმევით საჯაროდ დაფიქსირდა. ეს მოხდა 1992 წლის 3 სექტემბერს – საქართველო ზეიმობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ეს 3 სექტემბერი იქცა ქართველთა დამარცხების დასაწყისად.

რომ გამოვაცხადეთ, ომი დამთავრდაო, ქართულმა ნაწილებმა გაგრა და გაგრის მისასვლელები დატოვეს. სანამ ჯაბა იოსელიანი იყო გაგრაში, მანამდე არა უშავდა, მაგრამ როცა ჯაბამ თქვა, თუ ომი დამთავრდა, მე აქ რაღას ვაკეთებო და დატოვა გაგრა, ჯარის ნახევარზე მეტი გამოვიდა გაგრიდან. ქართველების დატოვებული პოზიციები, ხელშეკრულების დარღვევით, აფხაზებმა დაიკავეს. ქალაქში მხოლოდ ადგილობრივი შეიარაღებული მოხალისეები დარჩნენ.

სხვათა შორის, 3 სექტემბრის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული აფხაზეთიდან ჩვენი ჯარის გამოყვანა. ჯარი არ უნდა გამოსულიყო აფხაზეთიდან, მაგრამ ბიჭები თავისით, უნებართვოდ გამოვიდნენ, მიატოვეს პოზიციები (ფაქტობრივად, ეს არ იყო რეგულარული ჯარი, აქედან გამომდინარე შედეგებით).

ამ დროისთვის საქართველო ინფორმაციულ, ეკონომიკურ და საომარ ალყაში იყო მოქცეული და სწორედ ამ ალყის გასარღვევად 25 სექტემბერს ჩავფრინდი ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაში მონაწილეობის მისაღებად. მთელ მსოფლიოს უშუალოდ ჩემგან უნდა გაეგო, რა ხდებოდა საქართველოში. მართალია, საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა იყო, მაგრამ მე არ შემეძლო ჩემი ქვეყნისთვის დამეკარგა ერთადერთი შანსი და არ მემცნო მსოფლიოსთვის იმ შეთქმულების შესახებ, რომელიც ჩემი ქვეყნის დანაწევრებასა და მის ხელახლა დამონებას ისახავდა მიზნად და იმ იმედებისა და ჩანაფიქრების შესახებ, რითაც იგი სულდგმულობდა. მე უნდა მეთქვა სიმართლე და სააშკარაოზე

გამომეტანა სიცრუე. მსოფლიოსთვის ისიც უნდა დამენახვებინა, რომ ტერორიზმი, სეპარატიზმი, მძევალთა მასობრივი აყვანა და დივერსიული აქტები, რომლითაც ებრძოდნენ საქართველოს, მხოლოდ მის მთლიანობასა და სახელმწიფოებრიობას კი არ ემუქრებოდა, არამედ მსოფლიოსაც და თუ დროულად არ შემუშავდებოდა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები და არ გადაიდგმებოდა რეალური ნაბიჯები ამ ყოველივეს აღმოსაფხვრელად, კავკასიის ერთ პატარა ქვეყანაში დაწყებული ეს მძიმე ინფექცია მსოფლიოს ეპიდემიად მოედებოდა. მაშინ ისიც ვთქვი, რომ „ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროებისთვის მოითხოვს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, ფინანსურ, ეკოლოგიურ დარგებში საერთო ძალისხმევის შეთანხმებასა და კოორდინაციას. ამ პროცესების მართვის ოთხ ურთიერთდამოკიდებულ დონეზე – შიდასახელმწიფოებრივ, რეგიონულ, სუპერრეგიონულ და საერთო-მსოფლიო დონეზე“.

ჩემი გამოსვლა მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცა. ამა თუ იმ ქვეყნის დელეგაციათა წარმომადგენლები მოდიოდნენ, მადლობას მიხდიდნენ, ხოლო გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მოადგილემ იური პეტროვსკიმ, რომელიც სპეციალურად მეწვია, გაეროს ხელმძღვანელობის სახელით ხაზგასმით მითხრა, რომ ჩემი მოხსენების „მთელი რიგი დებულებები სესიის შემდგომი მუშაობის ტონის მიმცემი გახდა“.

მაგრამ მაინც არ მტოვებდა წუხილი და შეშფოთება იმის გამო, რომ დიდმა სახელმწიფოებმა საქართველოს მოვლენებში ვერ დაინახეს მსოფლიო მასშტაბის ბოროტების მარცვლები, რომელთაც შემდეგ – 2001 წლის 11 სექტემბერის ტრაგედიასა და ბესლანის ჯოჯოხეთურ აქციაში გამოიღეს ნაყოფი. ტერორიზმისა და სეპარატიზმის ეპიდემია მხოლოდ წლების შემდეგ მიაღწევს დიდ ქვეყნებამდე, მანამდე კი მისი ვირუსი ისეთ პატარა ქვეყნებში გამოჩნდა, როგორიც საქართველოა.

ამ ეპიდემიის გავრცელებას კი თავად რუსეთმა შეუწყო ხელი. საქართველოს დაშლისა და მისი ტერიტორიის მითვისების იმპერიულმა სურვილმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი დეპუტატ ს. ბაბურინის ინიციატივით მოწვეულ რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს

მეხუთე სესიის სხდომაზე (1992 წლის 20-25 სექტემბერი), სადაც განიხილეს საკითხი – „აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ და ისეთი დადგენილება-განცხადება მიიღეს, რომელიც სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში მათ უცერემონიო ჩარევას ადასტურებდა, მეტს არაფერს (შემდეგ თავად რუსეთს მიუბრუნდება ბუმერანგივით ეს ყველაფერი).

სწორედ ამიტომ იყო, რომ ადრე დავტოვე გაეროს სესია და სასწრაფოდ გადავფრინდი მოსკოვს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ბორის ელცინთან შესახვედრად. ეს კონფიდენციალური ერთსაათიანი შეხვედრა, რომელზეც ელცინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, დამაიმედებელი იყო, მაგრამ სულ მალე ისიც გამოჩნდა, რომ კარგი სიტყვები სხვა იყო, ცუდი საქმეები კი სხვა. გრძელდებოდა ის ორმაგი პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი თავის ნებისმიერ გამოვლენაში ყოველთვის ახორციელებდა საქართველოს მიმართ.

თუმცა რუსებს რა უნდა ვუსაყვედუროთ, როდესაც თავად ქართველები, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეები, ყველაფერს აკეთებდნენ ქვეყნის დასაშლელად და რუსეთის ზრახვათა განსახორციელებლად.

პირველ ოქტომბერს გამწვავდა მომხრეებმა, რუსებსა და ჩრდილოკავკასიელებთან ერთად, სამეგრელოს ქალაქი ხობი დაიკავეს.

2-3 ოქტომბერს აფხაზეთის მხარემ დაარღვია 3 სექტემბრის შეთანხმება და აფხაზთა, რუსთა და ჩრდილოკავკასიელთა რაზმებმა ახალი რუსული სამხედრო ტექნიკით, ტანკებითა და ავიაციით გაგრას შეუტიეს. ზღვის აკვატორია რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ იყო ბლოკირებული. რუსეთის სამხედრო გემები СКР „Безукоризненный“, „КИЛ-25“, „ВТН-38“, „ВМ-66“, „ГА Головин“, 345-ე სადესანტო ბატალიონი, 529-ე საავიაციო (Су-25, Су-27, Ми-8) და 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, გენერალ-პოლკოვნიკ გ. კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ გაგრის ოკუპაციაში.

მოწინააღმდეგეს დიდი უპირატესობა ჰქონდა და ქართველთა

თავგანწირვის მიუხედავად, გაგრა დაეცა. სწორედ აქ გაჟლიტეს მასობრივად ქართველები დიდიან-პატარიანად და აქ – გაგრის სტადიონზე, მათი მოჭრილი თავები აგორავეს.

სხვათა შორის, ამ მხეცური მოქმედებისთვის, რომელშიც რა თქმა უნდა, ჩეჩნებიც მონაწილეობდნენ, ჩეჩნეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა მთელი მსოფლიოს გასაგონად მოიხადა ბოდიში მისი თანამემამულეების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

მოგვიანებით, 1995 წელს, სანქტ-პეტერბურგში გამოვა იული კალინინის წიგნი „Распятая Грузия", სადაც ავტორი დაწერს: „Абхазия начала войну, имея 2 БТР и 1 БМП. Летчик у них был один, квалифицированных артиллеристов вообще не было. Через месяц, 1 октября 1992 года, они штурмовали Гагра с множеством танков, гаубиц и БМП. Личный уполномоченный Президента России в зоне грузино-абхазского конфликта Борис Николаевич Пастухов в тот же день в приватной беседе поведал о том, что у абхазцев уже появились установки „Игла" и „Град". На вопрос „откуда?" Пастухов ответствовал, что „это – не проблема, были бы деньги".

„Откуда они взяли деньги? Мы же знаем бюджет Абхазии, там не было перед войной ни копейки" (გვ. 175).

ამავე წიგნიდან: 1992 წლის 25 სექტემბერს რუსეთის უმაღლესმა საბჭომ თავისი განცხადებით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა აფხაზეთს. მაშინ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ხვდებოდა მოსკოვში შევარდნაძეს, მოსკოვშივე რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე იური სკოკოვი ვლადისლავ არძინბას ხვდებოდა.

ყოველი ასეთი შეხვედრის შედეგი ის იყო, რომ აფხაზებს უჩნდებოდათ ტყვია-წამალი, მძიმე ტექნიკა, ფული.

„Россия предоставила Абхазии кредит на 14 миллиардов рублей. В Москве даже был открыт специальный банк" (იქვე, ციტირებულია თამაზ ნადარეიშვილის წიგნის მიხედვით – Геноцид в Абхазии, 1998, Тбилиси, გვ.98).

თუმცა, ამ ომის დროს ბევრი აფხაზი იფარავდა ქართველებს, ისევე როგორც ბევრი ქართველი იფარავდა აფხაზებს (კონფლიქტის სისასტიკის ფონზე ეს ნამდვილი გმირობა იყო. მოვა დრო და ამ გმირთა გვარებსაც გამოვაქვეყნებთ), მაგრამ ვაი რომ ქართველებზეც ბევრი ნადირობდა, მათი ბინის, ქონების და უბრალოდ, ქართველობის გამო. ამ ბარბაროსობის უპირველესი მიზანი — აფხაზეთში ქართველთა სახსენებლის ამოძირკვა — თითქოს მიღწეულია კიდეც მშვიდობიანი მოსახლეობის შეძრწუნებით, წამებით, შეურაცხყოფით, სამშობლოდან განდევნით, დახოცვით, მაგრამ ამით მხოლოდ ძალადობის პირველი თესლი დაითესა, რომლის ყვავილმაც, ჩვენი მტრის გასახარად, შეიძლება ჩვენი (ქართველებისა და აფხაზების) შვილები და შვილიშვილები შეიწიროს.

ჩვენ მხოლოდ ერთი, საერთო სამშობლო გვაქვს და ამ სამშობლოში დაბრუნების ინსტინქტს საბოლოოდ ვერაფერი დათრგუნავს და ჩვენ ვალდებულნი ვართ, მშვიდობიანი გზით ავაცილოთ ჩვენს შთამომავლობას ახალი სისხლიანი დაპირისპირების საშიშროება.

თუ აფხაზები იცავენ აფხაზეთში ცხოვრების უფლებას, ასეთი უფლების დაცვა ქართველებსაც აქვთ.

სულაც არ მინდა ვთქვა, რომ აფხაზეთში მეომარი ქართველები, ყველანი, ანგელოზები იყვნენ, ბევრი მათგანიც ძარცვავდა ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც აფხაზებს, ასევე ქართველებსა და სომხებს, მრავალ სხვა დანაშაულსაც სჩადიოდნენ და ჩვენ ვერ ვახერხებდით ყოველივე ეს თავიდან აგვეცილებინა. სამწუხაროდ, თვით ამ უაზრო ომის ხასიათში იყო ჩადებული დანაშაულებანი, როგორც ერთი მხრიდან, ასევე მეორიდანაც. ჩემი მცდელობა, თავიდან ამეცილებინა ეს უმსგავსობანი, ყოველთვის შედეგიანი არ იყო.

* * *

412 სანამ სოხუმს შემოუტევდნენ, რუსებმა (და არა აფხაზებმა, რომლებსაც არც ბომბდამშენები ჰყავდათ და არც ამდენი სამხედრო პილოტი) სოხუმის სისტემური დაბომბვა დაიწყეს: 5 დეკემბერს, 9 დეკემბერს (პირდაპირი დამიზნებით ჭურვები ქალაქის ბაზარს დაყარეს. დაიღუპა 13 მოქალაქე, მათ შორის — 3 რუსი).

10 დეკემბერს რუსებმა დაბომბეს ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალდაბა, სადაც არავითარი ბრძოლები არ მიმდინარეობდა. დაიღუპა სოფლის 11 მოსახლე.

1993 წლის 13 მარტს სოხუმი ორჯერ დაბომბა Cy-25-მა.

14 მარტს კვლავ დაიბომბა სოხუმი. დაინგრა 20 საცხოვრებელი კორპუსი, დაიღუპა 2 მოქალაქე, 12 დაიჭრა, მათ შორის – 2 ბავშვი.

16 მარტს რუსული „სპეცნაზის" წინამძღოლობით სოხუმს უკვე ყოველი მხრიდან შემოუტიეს. საარტილერიო და საავიაციო დაბომბვა მთელ ღამეს გრძელდებოდა. ათეულობით ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა, დაინგრა უამრავი სახლი.

17 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიმართა გაეროსა და ევროპარლამენტს, მსოფლიოს პარლამენტებს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს. მიმართვაში ითქვა, რომ 16 მარტის თავდასხმაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სეპარატისტებს ამოფარებულმა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და რომ აგრესიის მიზანი საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილებაა.

საქართველოს პარლამენტმა კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოითხოვა.

* * *

1993 წლის 17 მარტს ორმა მოიერიშე თვითმფრინავმა Cy-25-მა ქალაქ სოხუმის თავზე მანათობელი რაკეტების გირლანდები ჩამოჰკიდა და სამიზნეები გაანათა, მერე კი მათ ნახევარტონიანი ბომბები დააყარა. ერთ-ერთი ბომბი იმ შენობიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით აფეთქდა, რომელიც იმ ღამით ჩემი თაეშესაფარი იყო.

ეს სამსართულიანი სახლი, გოთური კოშკითა და კლასიკური ფასადით, რომელიც დიდებულმა რუსმა კაცმა ნიკოლოზ სმიცკიმ, მეოცნებე ფანტაზიორმა და ჭკვიანმა მეწარმემ ააშენა, ხალხურმა გადმოცემამ სტალინის აგარაკად მონათლა.

სმიცკიმ სახლი გორაკის თავზე დადგა. მისივე გაშენებული შესანიშნავი დენდროპარკის უმაღლეს წერტილზე, მანდარინის კორომისა და მარაოსებრი პალმების შუაგულში. ფანჯრებიდან და

აივნებიდან ზღვაზე სასწაულებრივი ხედი იშლება, რომლის ნაპირებზე, მამჩნის და კოდორის კონცხებს შორის განლაგებულია ძველი ბერძნების სახელდებით დიოსკურია, ხოლო ძველქართულად ცხუმი, ანუ სოხუმი.

1948 წელს სასწრაფოდ შეუდგნენ სახლის გადაკეთებას. დარბაზებისა და საძილე ოთახების კედლები ძვირფასი კოპიტის პანელებით გააწყვეს. გაიყვანეს სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობა და „პატრონს“ დაელოდნენ.

სულ ორჯერ – 1949 და 1952 წლებში მოკლე დროით აქ იმყოფებოდა სტალინი, მაგრამ ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს შენობა სამუდამოდ დაეკავშირებინათ მის სახელთან.

ბომბი შენობასთან ახლოს აფეთქდა. სიტუაციის მთელი დრამატიზმის მიუხედავად, თავი ვერ შევიკავე და ჩამეცინა. ბედის ირონია: რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები ბომბავდნენ მიზანს, რომელსაც აიგივებდნენ რუსეთის კომუნისტური იმპერიის შემქმნელთან, სტალინთან. ისინი ბომბავდნენ ავტონომიის დედაქალაქს, ერთ-ერთ იმათგანს, შენელებული მოქმედების ბომბების ფუნქციით რომ დამუხტა სტალინმა. მან ასეთივე ბომბებით დამუხტა მთელი იმპერია და ეს დაბომბვა მხოლოდ პოსტიმპერიული ნგრევის საერთო სურათის ფრაგმენტია, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია.

რუსეთის სამხედროებმა უარყვეს თავიანთი მონაწილეობა სოხუმის დაბომბვაში. ბომბორას ავიაბაზაზე მოკალათებულმა რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ჯგუფის სარდლობამ უარით უპასუხა ჩემს მოპატიჟებას, ჩამოსულიყვნენ სოხუმში და ერთად განგვეხილა სიტუაცია.

მინდოდა ერთი უბრალო კითხვა დამესვა ბომბორელი გენერლებისთვის: „თუ ეს მოიერიშეები თქვენი არ არის, მაშ ვისია?“ მანამდე ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა: „ჩვენი არ არის – ჩამოაგდეთ!“ ჩამოგდებას, რა თქმა უნდა, დიდი დრო არ უნდოდა, მაგრამ მაშინ ეს იქნებოდა არა უბრალოდ ქართულ-რუსული ინციდენტი, არამედ ქართულ-რუსული აშკარა ომი!

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ ბომბორაში დააწესა უშიშროების ზონა – 50-კილომეტრიანი რადიუსი ავიაბა-

ზის გარშემო და 9 კილომეტრი სიმაღლეში. ნებისმიერი თავდასხმა რუსეთის საჰაერო ხომალდებზე ამ ზონაში ნიშნავს ომის დაწყებას იმ ქვეყანასთან, რომელსაც არ დაუკარგავს არც სამხედრო ძლიერება და არც „დერჟავული სულისკვეთება“, ქვეყანასთან, რომელთანაც ომი არავის უნდა არა მარტო მისი ატომური იარაღის გამო, არამედ იმიტომაც, რომ როგორც მეორე მსოფლიო ომში, იგი საკუთარ მსხვერპლსაც კი არ დაითვლის.

— კეთილი, — ვეტყოდი მე ბომბორელ გენერლებს, — დავუშვათ, რუსეთის მოიერიშეები არ არიან და ისინი აფხაზებს ეკუთვნით, თუმცა იმის დაშვება ძნელია, რომ მათ ჰყავდეთ პილოტები, რომლებსაც შესწევთ უნარი მართონ ისეთი რთული მანქანა, როგორიცაა Cy-25. ჩვენი მონაცემებით, შტურვალებს უსხედან რუსი დაქირავებულები — რუსეთის არმიის ყოფილი ან ახლანდელი სამხედრო მოსამსახურეები. შეიძლება ჭეშმარიტებად მივიღოთ ცნობაც იმის შესახებ, რომ აფხაზებმა გაამაგრეს ბომბორის მახლობლად გამავალი გზატკეცილის მონაკვეთი და იქ მოაწყვეს თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, მაგრამ როგორღა ავხსნათ აფხაზთა თვითმფრინავების გამოჩენა თქვენ მიერ გამოცხადებულ უშიშროების ზონაში? რატომაა, რომ თქვენ ხელს უშლით ქართულ ავიაციას, იმოქმედოს საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში და ამავე დროს ნებას რთავთ სეპარატისტებს, თავისუფლად დაბომბონ სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობა?

და კიდევ, მინდოდა მეჩვენებინა მათთვის ღამის ავიათავდასხმების შედეგად დანგრეული ქალაქის კვარტალები, დახოცილი და დაჭრილი მოქალაქეები, მომესმენინებინა ამ კოშმარის გადამტანი ადამიანების მონათხრობი.

17 მარტს, დილით, მოვიდა პასუხი ჩემს წინადადებაზე: გენერლები სიგუტკინი და სოროკინი გუდაუთაში არ არიან, რუსეთის ჯარის ოპერატიული ჯგუფის სარდალი აფხაზეთში, გენერალ-ლეიტენანტი ჩინდაროვი ცენტრს ემორჩილება და მისი ნებართვის გარეშე სოხუმში ჩამოსვლა არ შეუძლია.

არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, რომ გენერალი ჩინდაროვი დაჰკავშირებოდა მოსკოვს და ეთხოვა ნებართვა, მოსკოვს

კი ნება დაერთო მისთვის, შეხვედროდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელს იმ საკითხების ადგილზე განსახილველად, რომლებზეც ამდენი რამ და ამდენი ადამიანის სიცოცხლე იყო დამოკიდებული.

სამწუხაროდ, მოსკოვი ამით არ დაინტერესებულა, შესაბამისად – არც არავის უთხოვია და ნებართვაც არავის გაუცია. ეს არის რუსულ-იმპერიული სამართალი: თუ გაუვა, აკეთებს იმას, რაც სურს.

იმ დღეს ორჯერ შევეცადე, დავკავშირებოდი პრეზიდენტ ელცინს. უშედეგოდ. მპასუხობდნენ, დაკავებულიაო. წინათ ასე პასუხობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნებს, როცა მათ გენერალურ მდივანთან საუბარი სურდათ. თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ელცინი ნამდვილად დაკავებული იყო. მას მძიმე დრო ედგა. რუსეთის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა, სპიკერ რუსლან ხაზბულატოვის მეთაურობით, პრობლემებს უქმნიდა. ძალიან ბევრი რამ წყდებოდა იმ დღეებში და ეტყობა, ელცინს ჩემთვის მართლაც არ ეცალა, მაგრამ არავის ძალუძს დამარწმუნოს იმაში, რომ მან ვერ მოიცალა საქართველო-რუსეთის ურთიერთობისთვის: რამდენადაც პატარაა საქართველო რუსეთთან შედარებით, იმდენად განუზომელია ეს სიდიდეები ძალთა პოლიტიკურ განლაგებაში – ისტორიამ ისე მკვიდრად დაუკავშირა ისინი ერთმანეთს, რომ დღევანდელი შეცდომები ორივესთვის შეიძლება ტრაგიკული იყოს.

ელცინი დუმდა. გენერლებმა არ მიპასუხეს. დანგრეულ კვარტალებში მე მათ გარეშე გავედი.

– როცა თვითმფრინავები გამოჩნდნენ, ბავშვები სარდაფში ჩავიყვანე. დილით გამოვფორთხდით – სახლი აღარ იყო, აფეთქების ტალღამ დაანგრია, – ახალგაზრდა ქართველი ქალი ცრემლებით სავსე თვალებით დაბნეულად მიყურებს და ვედრებით მეკითხება, – რაღა უნდა ვქნათ ახლა?

ამ კითხვას მე ჩემს თავსაც ვუსვამ.

– სამოცდაორი წლის ვარ, – ამბობს მეორე ქალი, რომელიც გარეგნულადაც და ლაპარაკითაც რუსია, – მთელი ცხოვრება ვშრომობდი, რომ სახლი ამეშენებინა და აგერ, შეხედეთ – სახლი აღარ არის. გააკეთეთ რაღაც, რომ ამ უგუნურებას ბოლო მოეღოს.

იმ დღეს სოხუმში ორმოცდასამ თანაქალაქელს ასაფლავებდნენ, რომლებიც ორი ღამის საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიღუპნენ. სულ კი საჰაერო დაბომბვებისას ას თერთმეტი სოხუმელი დაიღუპა — ქართველები, რუსები, სომხები, აფხაზები, ბერძნები...

მძიმეა თანაგრძნობა გამოუცხადო ადამიანებს, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს არა ბრძოლის ველზე, არამედ საკუთარი სახლის ნანგრევებში. არაფერია უფრო ძნელი, ვიდრე მათთვის თვალის გასწორება, როცა მათ მზერაში კითხულობ: „რატომ არ გვიხსენი ამ უბედურებისგან“?

რით ან როგორ უნდა ანუგეშო უბედურები? ხომ არ დაუწყებ იმაზე ლაპარაკს, რომ ისტორიის განმავლობაში უკვე მერამდენედ ისინი რუსეთის იმპერიის დიდი პოლიტიკური თამაშის მსხვერპლნი არიან.

* * *

როდესაც 1993 წლის 20 თებერვალს სოხუმს სარაკეტო ბომბებით დარტყმა მიაყენეს, ჩვენი პროტესტის პასუხად რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ ეს იყო შურისგების აქტი სოხუმის მახლობლად, სოფელ ეშერაში განლაგებული №24-ე სამხედრო ლაბორატორიის საარტილერიო დაბომბვისათვის.

ეს ლაბორატორია, საიდუმლო სამხედრო ობიექტი, რომელიც მოწოდებულია დააფიქსიროს ბირთვული აფეთქებები, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გლობალური ბირთვული დაპირისპირების დროს ააშენეს, ახლა კი იგი ასრულებდა „ტროას ცხენის“ ორმაგ როლს: ფორმალურად ამართლებდა რუსეთის 901-ე სპეციალური სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის აქ ყოფნას და ამავე დროს სეპარატისტების პოზიციების ფარის როლსაც ასრულებდა, — სეპარატისტები კი აქვე, მახლობლად ახდენდნენ მძიმე ტექნიკის კონცენტრირებას და ცეცხლს უშენდნენ ქართულ პოზიციებსა და ქალაქის საცხოვრებელ კვარტალებს. ნებისმიერი სროლა მათი საცეცხლე წერტების ჩასახშობად 901-ე ბატალიონთან შემთხვევითი „შეხების“ საშიშროებას შეიცავდა. მაშინ კი დაუცველი ქალაქის თავზე უმალ გამოჩნდებოდნენ რუსული მოიერიშეები...

თითქოს პრობლემა არ იყო რთული – რუსული ბატალიონი უნდა გაეყვანათ ქვედა ეშერიდან და საქმეც დამთავრდებოდა. ამ მიზნით რამდენიმეჯერ იქნა მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ჩვენი მხარე მას ყოველთვის განუხრელად იცავდა, მაგრამ ბატალიონი ძველებურად იქვე დარჩა და იმდენად ლაბორატორიის მიწისქვეშა მოწყობილობას როდი იცავდა, რამდენადაც „ამართლებდა“ რუსეთის მხარის საჰაერო და საარტილერიო მეკობრეობას.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი ტრადიციული იმპერიული მზაკვრობით არ ეთხოვება თავის სტრატეგიულ ობიექტებს და არც თავის სტრატეგიულ ინტერესებს თმობს.

ერთი დღე-ღამის შემდეგ, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის წინ, რომელსაც ახლა რუსეთში დღესასწაულობენ, როგორც მამულის დაცვის დღეს, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა პავლე გრაჩოვმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს განახორციელოს გუდაუთასა და ბათუმში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების ინსპექტირება. გავოცდი: მეტისმეტად უმნიშვნელო წილს წარმოადგენს ეს ქვედანაყოფები რუსეთის სამხედრო ბალანსში, რომ მათ ინსპექტირება გაუწიოს ისეთი მაღალი თანამდებობის სამხედრო პირმა, როგორიცაა ჯერ კიდევ დიდი სამხედრო სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრი. როცა ცნობის ჩანაწერი გადმომცეს, ვიფიქრე, სრული არ არის, მასში გამორჩენილია მითითება იმის შესახებ, რომ გრაჩოვი უნდა შეხვდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას-მეთქი... მაგრამ არა, ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი: გუდაუთასა და ბათუმში წასასვლელად რომ ემზადებოდა, გრაჩოვს არ შეუზღუდავს ვიზიტის მიზანი რამდენიმე ბატალიონისა და ერთი დივიზიის დათვალიერებით. მას დაგეგმილი ჰქონდა შეხვედრები გუდაუთის რეჟიმისა და აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობასთან. ყველაფერი ნათელი იყო: ეს იყო არა საინსპექციო მოგზაურობა, არამედ სამხედრო-პოლიტიკური დემარში. მეტიც: „ომის პარტიისთვის“ რომ ესიამოვნებინა, პავლე გრაჩოვმა ჟურნალისტებს განუცხადა: „რაც შეეხება ჩვენს ნაწილებს

საქართველოში, ბათუმში, გუდაუთასა და სხვა ადგილებში, ეს რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. სხვანაირად ჩვენ შავ ზღვას დავკარგავთ"...

* * *

1993 წლის 28 მარტს, განთიადზე, საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებით სოხუმის მახლობლად ჩამოგდებულ იქნა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავი Cy-27. მფრინავი, მაიორი ვაცლავ შიიკო, დაიღუპა. რუსეთის მხარემ განაცხადა, რომ იგი გეგმურ ფრენას ასრულებდა, რომელიც არ იყო დაკავშირებული საბრძოლო დავალების შესრულებასთან.

მე ვიყავი თვითმფრინავის ჩამოგდების ადგილზე, თოვლიან მთაში (მარუხის უღელტეხილზე), და შემიძლია დავადასტურო: ამ თვითმფრინავის საბორტო „ჰაერი-ჰაერის" ტიპის ათი რაკეტიდან შვიდი გაშვებული იყო. საბორტო ქვემეხის ჭურვების უმრავლესობა — გასროლილი.

მითითება მივეცი, რომ მისი ცხედარი ბომბორაში გადაეგზავნათ და ოჯახისთვის ჩემი თანაგრძნობა გადაეცათ. მეორე დღეს კი მოსკოვის ტელეგადაცემიდან გავიგე, რომ კატაპულტირების მომენტში მფრინავი ვითომდა ცოცხალი იყო და იგი ხმელეთზე მოკლეს. კვლავ სიცრუე იმპერიული სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების, „ახლო საზღვარგარეთის" ჟანდარმის საეჭვო დიდებისთვის! იზრდება აგრესია, იზრდება ტყუილის მასშტაბები და მასში ჩართული ადამიანების რიცხვი, დიდი და ბინძური ტყუილი დგება ჩვენ შორის.

ყოველივე ზემოთქმულს მივყავარ ერთ, ჩვენთვის მძიმე დასკვნამდე — ჩემი ცოდნა და გამოცდილება მკარნახობს, რომ რუსეთი შეეცდება, არ დათმოს აფხაზეთი, იმდენად დიდია მისი სტრატეგიული ინტერესები შავ ზღვაზე.

გამოსავალი? გამოსავალი ერთია — ქართველებმა და აფხაზებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ საკუთარი ეთნოსების ფიზიკურ და სულიერ გადარჩენაზე. ეს კი დღეს ნამდვილად არ შედის რუსეთის იმპერიულ ინტერესებში და ის ყველაფერს გააკეთებს ამ

კონფლიქტის შესანარჩუნებლად. ამდენად, მედიატორად და მშვიდობისმყოფლად იგი ვერ ივარგებს.

ურთიერთობანი, უპირველეს ყოვლისა, თავად აფხაზებსა და ქართველებს შორის უნდა აეწყოს. აქ კი, პირველ რიგში, ორი უმთავრესი პრობლემაა გადასაჭრელი — ეკონომიკური და ჰუმანიტარული.

უნდა აღდგეს ეკონომიკური ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის და მის პარალელურად არა მარტო გალის რაიონში, არამედ მთელ აფხაზეთში ინტენსიური გახდეს დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება, მათი უსაფრთხოების ერთობლივი და საერთაშორისო გარანტიებით.

როდესაც ეს პროცესი აეწყობა და განვითარდება, პოლიტიკურ პრობლემათა გადაჭრის დროც დადგება და შესატყვისი გზაც მოიძებნება. ადამიანთა შორის ურთიერთობანიც სხვაგვარი ჩამოყალიბდება, ნდობის ფაქტორიც აღდგება და ორივე მხარეც, ალბათ, უფრო მოუფრთხილდება თუნდაც მყიფე მშვიდობას, რადგან ახალი ომი ორივე მხარისთვის დამღუპველი იქნება, რადგან მხოლოდ ის მხარე გაიმარჯვებს, რომელიც უაფხაზებო და უქართველებო აფხაზეთზე ოცნებობს.

ნუ გავახარებთ ჩვენს მტრებს!

მსოფლიო თანამეგობრობამაც უნდა შეცვალოს თავისი დამოკიდებულება ასეთი კონფლიქტებისადმი. ხომ ფაქტია, რომ დღეს, ასე ვთქვათ, ჩამქრალი კონფლიქტი, ხვალ დიდ, საერთაშორისო მასშტაბის ომში გადაიზრდება. ეს კონფლიქტი, დიდ ომად გადაქცეული, იმათ სახლებსაც მიაკითხავს, რომელთაც შეიძლება არც კი იციან, სად არის აფხაზეთი.

* * *

420

„სტალინის აგარაკზე“ კაბინეტის ფანჯრები შუქშენიღბვისთვის, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, დაფარულია სქელი შავი ფოტოქაღალდით. ქალაქი მოკლებულია ელექტრობას, წყალს; მოსახლეობა შიმშილობს, ეპიდემია ემუქრება.

სწორედ იმ დღეებში მივიღე ლორდი ნიკოლას ბეტელი, ევროკავკასი-

ის რეგიონის საქმეთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. ჩვენ აფხაზეთზე ვლაპარაკობდით.

– დასავლეთისთვის ეს უცნობი ომია, – თქვა მან, – ჩვენთან ბოლომდე ვერ აფასებენ იმ საფრთხეს, რომელიც მას მოაქვს და არა მარტო საქართველოსთვის. ამ კონფლიქტის გარშემო ჩამოყალიბდა ინფორმაციული ვაკუუმი, რისი სიცრუით შევსება სულაც არ არის ძნელი.

არ ვიცი, როგორ არის დასავლეთში, მაგრამ რუსეთში სწორედ ასე ხდება. ყველაფერს თავდაყირა წარმოაჩენენ, სურათი მახინჯდება, კონფლიქტის ჭეშმარიტი მიზეზები და ფესვები, მისი ინსპირატორები ჩრდილში რჩებიან. როცა პრესას კითხულობ, უსმენ რადიო და ტელეგადაცემებს, ამჩნევ, როგორ ერთდებიან ერთ ნაკადად თითქოს ერთმანეთისაგან შორს მყოფი პოლიტიკური მიმდინარეობები, ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების შესახებ როგორ ერთნაირად აზროვნებენ და მსჯელობენ, ვთქვათ, ულტრამემარცხენეები და ლიბერალი მემარჯვენეები. ყველაფერი, რაც არ ეტევა იმპერიული აზროვნების სტერეოტიპებსა და მოდელებში, ანომალიად ცხადდება.

შეუმცდარია, ჩემი აზრით, ერთი ჩემი თანამემამულე პოლიტოლოგის დასკვნა, რომ რუსეთის ბევრმა დემოკრატმა ვერ შეძლო ეროვნული ცნობიერების მოდელის შემუშავება და უკრიტიკოდ გაიგრძო იმპერიული აზროვნების ტრადიცია.

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს თავად რუსებისა და რუსეთის პრობლემაა. ჩვენ დაგვანებონ თავი, მეტი არაფერი.

– რა უნდათ ჩვენგან ამ რუსებს? – მეკითხება მტირალი რუსი ქალი თავისი სახლის ნანგრევებთან, სოხუმში.

– თქვენ ხომ თვითონ რუსი ხართ! – უნებურად წამომცდა მე.

– მე ვამბობ „ამ“! განსხვავებას ვერ გრძნობთ?

სწორია, განსხვავება არის. იგი იმაში არ მდგომარეობს, რომ „ქარგებს“ ყოველთვის და ყველგან უპირისპირდებიან „ცუდები“ ეს ქალი ბავშვობიდან ცხოვრობს მრავალეროვან ქვეყანაში, სადაც ისტორია, რომელმაც ერთად შეკრიბა სხვადასხვა ეთნოსი, ასწავლის მათ შემწყნარებლობას და ადგილობრივი მრავალეროვნული ცხოვრების წესს აჩვევს.

* * *

1993 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიმართვა გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს ბუტროს-გალის, რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს, რომელშიც ატყობინებდა მათ, რომ რუსეთის მხარემ დაარღვია რუსულ-ქართული შეთანხმება.

6 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია კონფლიქტის ზონაში ორმოცდაათი სამხედრო დამკვირვებლის გაგზავნის შესახებ. ვლადისლავ არძინბა უარყოფითად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, რაც გამოხატა კიდეც თავის საპასუხო წერილში.

აფხაზურ მხარეს, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდა ნეიტრალური და ობიექტური საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოსვლა, რადგან ისინი დააფიქსირებდნენ აფხაზების მიერ აქამდე ხელმოწერილი ყველა ხელშეკრულების დარღვევას.

და მაინც, 27 ივლისს სოჭში, სისხლის ღვრის შესაჩერებლად, რუსეთის, როგორც გარანტის მონაწილეობით ხელი მოეწერა შეთანხმებას — „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ".

1-20 აგვისტოს ქართულმა მხარემ ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მდინარე გუმისთის ფრონტზე დამკვირვებელთა მხოლოდ ორი პუნქტი დაიტოვა, დაიწყო ბატალიონების დაშლა და სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებებით მძიმე ტექნიკის გამოყვანა (გარკვეული მანძილით).

24 აგვისტოს არძინბა ჩადის მოსკოვში და ხვდება ელცინს.

28 აგვისტოს გამსახურდიას მთავარსარდალი ლოთი ქობალია თავს ესხმის სენაკსა და ხობს და იკავებს მათ, — ფაქტობრივად, ხსნის მეორე ფრონტს.

7 სექტემბერს ქობალია ცდილობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს გალის რაიონი.

15 სექტემბერს ქობალია გურიის დალაშქვრას იწყებს.

18 სექტემბერს მიმართვით გამოვედი — „ჩემი ქვეყნის ყველა მეგობრისადმი", სადაც ვთქვი:

„მინდა მსოფლიომ იცოდეს, რომ აფხაზეთი არის იმპერიის სისხ-

ლიანი რევანში, დენთის კასრი, რომლის მეშვეობითაც სურთ ააფეთქონ არა მხოლოდ შევარდნაძის საქართველო, არამედ ელცინის რუსეთიც. ამ დღევანდელი ჯოჯოხეთის შემხედვარე ყველა მოვლენა ერთ ლოგიკურ მწკრივში დგება. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოვაწერეთ დასკვნით დოკუმენტს. მელანიც კი არ იყო შემშრალი ამ დოკუმენტზე, რომ იგი გათელეს დაქირავებულთა ჩექმებმა, რომელთაც შტურმით აიღეს განიარაღებული გაგრა.

1993 წლის 14 მაისს მოვილაპარაკეთ ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ სოხუმი კვლავ გახდა სამიზნე ხმელეთიდან, ზღვიდან, ჰაერიდან, ოჩამჩირის რაიონში კი კბილებამდე შეიარაღებული დესანტი გადმოსხეს, ქალაქი ბლოკადაში აღმოჩნდა. დაბოლოს, უკვე მერამდენედ, ვენდეთ რუსეთის სამშვიდობო მისიას, მისი, როგორც გარანტის, შუამავლის როლს და ჩვენ ხელი მოვაწერეთ 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებას და სამაგიეროდ კვლავ ღალატი მივიღეთ"...

არადა, ხალხმა დაუჯერა ამ ხელშეკრულებას: 1-15 სექტემბერს, აფხაზეთში, განსაკუთრებით სოხუმში მასობრივად დაბრუნდნენ დევნილები. ეს დიდ ეროვნულ ტრაგედიად შემოგვიბრუნდა. ეს ჩვენი შეცდომაც იყო, არ უნდა მიგვეცა ლტოლვილებისთვის ჯერ კიდევ აფორიაქებულ ქალაქში დაბრუნების უფლება, მაგრამ მათი შეჩერებაც შეუძლებელი იყო.

ხელშეკრულების დარღვევა იმდენად აშკარა იყო, რომ რუსეთი თავისი პრემიერ-მინისტრის, ჩერნომირდინის 19 სექტემბრის განკარგულებით – „О мерах в связи с нарушением абхазской стороной Сочинского соглашения" – შეეცადა გამოეჯნოდა იმ ყველაფერს, „Если абхазская сторона и впредь не будет соблюдать Сочинского соглашения, применить к ней предусмотренные международным правом меры, в частности, прекратить энергоснабжение Абхазии с территории России" (Лабиринт Абхазии... Тб.2000, გვ. 134),

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები იყო და მეტი არაფერი, იმ ტანკებთან, ქვემეხებთან, თვითმფრინავებთან, გემებთან და პროფესიონალ მკვლელებთან შედარებით, რომელნიც იპყრობდნენ აფხაზეთს და ხოცავდნენ ქართველებს.

რუსეთმა, ამჯერად ელცინის რუსეთმა, გააგრძელა ის პოლიტიკა – მზაკვრობისა და უპირობისა, რომელსაც იმპერატორების, მეფეების თუ გენერალური მდივნების რუსეთი ატარებდა საქართველოს მიმართ.

* * *

როგორც აღვნიშნე, 1992 წლის 3 სექტემბრიდან იწყება საქართველოსთვის საბედისწერო მოვლენების განვითარება. ჩვენ ვენდეთ – მათ მოგვატყუეს, უფრო სწორად – მომატყუეს. საერთაშორისო ურთიერთობებში პატიოსანმა თამაშმა მიმაჩვია, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, მით უფრო, თუ მას დიდი სახელმწიფოს პირველი პირი აწერს ხელს – ხელშეკრულების დადების ინიციატორი და მისი გარანტი.

ახლაც მიჭირს ვიფიქრო, რომ ელცინი ტყუოდა და მას არ უნდოდა ამ ომის მშვიდობიანად დამთავრება, მაგრამ მოლაპარაკების ინიციატორი რაკიღა ის იყო, რაკიღა მისი მოქალაქეები და მისი სამხედროები, მისი ჯარი ომობდა და რაკიღა ის იყო მთავარსარდალი და ქვეყნის პირველი პირი, პასუხისმგებლობაც ამ მზაკვრობაზე მას ეკისრება.

ეს მეტად სამწუხარო ფაქტია, მაგრამ სად გაექცევი...

რუსეთის პოლიტიკაში საუკუნეთა განმავლობაში არაფერი შეცვლილა, ყველა და ყველაფერი შეიცვალა გარშემო, რუსეთის პოლიტიკის სტილი – დამყარებული სიტყვის გატეხაზე, ხელშეკრულების დარღვევასა და მზაკვრობაზე – იგივე რჩება.

დაკარგეს ყირიმი, ოდესა, სევასტოპოლი და შეეგუვნენ; დაკარგეს ნავსადგურები ბალტიის ზღვაზე და შეეგუვნენ. აი, საქართველოს კუთვნილი მიწისა და შავი ზღვის დაკარგვას კი ვერ ეგუებიან, რადგან აქ მათი დასაყრდენია, გეოპოლიტიკური ბერკეტი მთელი ჩრდილო კავკასიის საკუთარ სივრცეში შესანარჩუნებლად. თანაც ერთგული შთამომავლობა წინაპართა ანდერძს იცავს – რუსი ჯარისკაცის ჩექმადადგმული მიწა არ დათმოს.

მაშინ აფხაზეთის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი იყო, აფხაზეთის მთავრის, შარვაშიძის შთამომავალი. იგი,

არძინბას მოადგილე, ოპოზიციაში ედგა არძინბას. მებრძოლი კაცი იყო, მაგრამ გულით ავადმყოფი – ცუდად გახდა და თბილისში გამოვაგზავნე. ჩემი წინადადებით მის სანაცვლოდ თბილისიდან გიორგი ხაინდრავა ჩამოვიდა – თავის პოლიტიკოს ძმასა და მამასთან ერთად. გიორგი ხაინდრავამ 1989 წლის 9 აპრილს გამოიჩინა თავი, როცა თბილისის ცნობილი ხოცვა-ჟლეტა ვიდეოფირზე აღბეჭდა. გარკვეულწილად ამანაც განაპირობა ჩემი არჩევანი.

თავდაპირველად იგი მონდომებით ხელმძღვანელობდა სოხუმის დაცვას, მაგრამ მერე ძალზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა – მძიმე, რადგან გამსახურდია დაბრუნდა საქართველოში და უკვე ორ ფრონტზე გვიწევდა ბრძოლა – აფხაზ-რუს-ჩეჩნებსა და „ზვიადისტებთან."

არც ვიცი, ღირს თუ არა ამის დაწერა, მაგრამ ისტორია მაინც ისტორიაა...

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ, რომელიც ახლოს იყო ზვიად გამსახურდიასთან, მითხრა: „მივწერე, რომ არ ჩამოსულიყო, მაგრამ მაინც ჩამოვიდა". ამ ჩამოსვლამ კი ის გამოიწვია, რომ ვინც კი ზვიადისტი იყო, ყველა მოიხსნა ქართული ფრონტიდან... ღამე თათბირი ჩავატარე, ყველა ბატალიონის მეთაური ესწრებოდა, სხვათა შორის, ე. წ. „ფუნიკულიორის" ბატალიონის მეთაურიც, შესანიშნავი მებრძოლი, გვარად ვეკუა, რომელიც აღარ არის ახლა ცოცხალი, – მან დიდად დამაიმედა, მტერს არ შემოვუშვებთო, მაგრამ დილით გამსახურდიას შემონათვალი განკარგულებით – ოჩამჩირეში შევიკრიბოთო, ისიც და სხვებიც მოიხსნენ პოსტებიდან.

ჩვევად მქონდა, დილით ადრე გავიდოდი ხოლმე ქალაქში, პოსტებს ჩამოვუვლიდი, ქალაქს დავხედავდი. ამ დილითაც გავედი, ვხედავ: ქალაქი ცარიელია, ქალები ბარგს კრავენ, ვეკითხები – სად მიდიხართ? – ქალაქს ვტოვებთ, აბა რა ვქნათ, ჯარი აღარ არისო ქალაქში.

მანამ, სანამ სიტუაცია გამწვავდებოდა, გრაჩოვს, რომელიც გუდაუთაში იმყოფებოდა, რამდენჯერმე ვთხოვე შეხვედრა, მაგრამ არ მოხერხდა. შემდეგ, როცა სიტუაცია ჩვენდა საზიანოდ დაიძაბა,

თვითონ დამირეკა, ადლერში ვარ და შევხვდეთო. ჩავედით ადლერში მე, თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი ბათიაშვილი. ჩვენი თხოვნა იყო: „აფხაზეთში დიდი რაოდენობით მყოფმა რუსეთის სამხედროებმა, თუ ჩვენ არ დაგვეხმარებიან, ნეიტრალიტეტი მაინც დაიცვან“. მაშინ გრაჩოვმა მთელი პრინციპულობით დააყენა საკითხი: „აფხაზეთის პრობლემას მოგიხსნით, საჭიროა მხოლოდ ორი სრულფასოვანი დივიზია შემოვიყვანოთ.“

ეს რომ ყარყარაშვილმა და ბათიაშვილმა გაიგეს, პროტესტის ნიშნად ორივემ გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება და გადადგნენ კიდეც. ისინი სწორად ჩასწვდნენ გრაჩოვის მიზანს: შემოიყვანდა ორ დივიზიას და გზა გაეხსნებოდა სამეგრელოსა და ფოთზე, აღარც ფოთი იქნებოდა ჩვენი, აღარც ზუგდიდი, აღარც სენაკი. სრულ ბლოკადაში მოგვაქცევდა.

ამ დროს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მეთაური უკვე ჟიული შარტავა იყო. მე დავნიშნე. გარდა იმისა, რომ სანდო, გამოცდილი და ნიჭიერი ხელმძღვანელი იყო, აფხაზებში ბევრი მეგობარი და მოკეთე ჰყავდა, ბევრი გამოზარდა როგორც კომკავშირის ცეკას პირველმა მდივანმა. რაც მერე მოხდა — მისი არაადამიანური მკვლელობა — არასგზით ველოდი. ახლაც ძნელი დასაჯერებელია, როგორ დაირღვა მის მიმართ ძმობისა და მეგობრობის კავკასიური ტრადიცია...

მოკლედ, რომ ვნახე ბატალიონები მოხსნილია და დამცველი კაცი არ არის, მთავრობის სახლში შევედი. ჟიული ჯერ არ იყო მოსული. დაურეკეს, მეთაური მოვიდაო, ხუთ წუთში იქ გაჩნდა, მან უკვე იცოდა ყველაფერი. კარგად მახსოვს და ტელეკადრებიც არსებობს, როგორ დაურეკა ელიავას, სენაკის შეიარაღებული ნაწილის უფროსს, „ზვიადისტს“. აკაკი ერქვა სახელად: „ვიცი, მანდ ძალიან მაგარი ბიჭები გყავს, ჩვენთანაც არიან, ოჩამჩირიდანაც, ვიცი, ბევრს უნდა წამოსვლა, იქნებ წამოხვიდეთ და ამ დამსახურებას არ დაგიკარგავთ, ახლა რომ გელაპარაკები, სახელმწიფოს მეთაურიც აქ არის“...

არ დათანხმდა. უარი უთხრა — ვერ გავაკეთებ, პრეზიდენტის (ე. ი. ზვიად გამსახურდიას) ბრძანება თუ არ მექნება, ვერ გავაკეთებო.

არ ჩამოვიდნენ, აქ ვინც იყო, ისინიც მოიხსნენ.

წინა ღამით „ფუნიკულიორის“ ბატალიონის ხელმძღვანელმა ვეკუამ რომ პირობა მომცა და დამაიმედა – „ფუნიკულიორისკენ“ ნუ გამოიხედავთო, – თურმე უკვე გაყიდული ვიყავით...

ირაკლი ბათიაშვილმა ერთი ოცი ბიჭი შეკრიბა და წავიდა, „ფუნიკულიორს“ დავიკავებთო, მაგრამ ასეთი ადვილი დასაკავებელი არ იყო. ქართველების მიტოვებული ადგილი მოწინააღმდეგეს უკვე დაკავებული ჰქონდა. ისინი ზემოდან შესანიშნავად ხედავდნენ ყველაფერს, ყოველი მეტრი გამოთოფილი ჰქონდათ და ვერაფერი გამოუვიდა, რამდენიმე მებრძოლი დაკარგა კიდეც.

„ფუნიკულიორი“, მთავარი სიმაღლე და სოხუმში შემოსასვლელი, დავთმეთ.

ჟიული შარტავა და მისი გარემოცვა მთავრობის სახლში დარჩნენ. ბრძანება გადავეცი – დაუყოვნებლივ დატოვე მთავრობის სახლი და გამოდი ზონიდან-მეთქი.

– ვერ გამოვალ, უკვე შემოვიდნენ ქალაქში.

კიდევ ერთი ბატალიონი უნდა ყოფილიყო ქალაქში, თუ არ ვცდები, 52-ე სკოლის შენობაში, მაგრამ, ეტყობა, იმანაც დატოვა ქალაქი. არადა, რომ ყოფილიყო, ჟიულის გადაარჩენდა.

შტაბში 10-15 კაცი ვართ, მათ შორის გია ყარყარაშვილიც. სულ სამი ტანკი დგას შტაბის წინ. გიამ თქვა: „მე ამ სამ ტანკს წავიყვან, ალყას გავარღვევ და ჟიულის გამოვიყვან“.

წავიდა, მაგრამ ვერ გააღწია, ისინი უკვე ძალიან ბევრნი იყვნენ და თან ჰაერიდანაც ბომბავდნენ, გზად პატარა ხიდიც იყო გადასასვლელი, ისიც ნახევრად ჩანგრეული...

ჟიულიმ არ დატოვა მთავრობის სახლი. მასთან ერთად ვინც იყო, ნაწილი დაიღუპა, ნაწილმა გამოაღწია. გმირულად დაიღუპნენ ჟიული შარტავა და მისი თანამებრძოლები.

ელიავასთან ლაპარაკით არაფერი გამოვიდა, მაგრამ მის გარდა ოჩამჩირეში იყო კიდევ 3-4 ათასი კაცი – უმრავლესობა „ზვიადისტები“.

ვურეკავდით, ვემუდარებოდით – „გადმოდით, სოხუმი გადავარჩინოთ“. ვერაფერს გაუხდით. სამწუხაროდ, პარტიულმა თუ პიროვნულმა

სიმპათიებმა დაჩრდილა საქვეყნო ინტერესები. ისინი რომ დაგვხმარებოდნენ, სოხუმიდან ჩვენი ბატალიონები რომ არ გამოსულიყვნენ, სოხუმი არ დაეცემოდა, არც ამხელა მსხვერპლი იქნებოდა და არც აფხაზეთს დავკარგავდით...

მანამდე, 27 სექტემბრამდე, რუსეთის არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა კოლესნიკოვმა სახელმწიფო დუმაში განაცხადა: „სოხუმი რამდენიმე დღეში დაეცემა“, რიცხვიც თქვა. იმ დღეს არა, მაგრამ სამი დღის შემდეგ მართლა დაეცა. მის შტაბში იყო ეს ოპერაცია დაგეგმილი.

გია ყარყარაშვილი წავიდა, კოდორი გადალახა, სამასი ერთგული კაცი მოაგროვა, მეგობრები, ძმაკაცები და უკანვე გადმოვიდა, მაგრამ სამასი კაცით რას უშველიდა. ეს არაფერს ნიშნავდა.

ეს უკვე დამარცხება კი არა, კატასტროფა იყო — ყველა განწირული ვიყავით, ყველა ქართველი, რომელთაც განურჩეველად ასაკისა და სქესისა უმოწყალოდ ხოცავდნენ.

ბოლო წუთს გამომარიდეს იქიდან.

25-28 სექტემბერს ჯარი და მოსახლეობა ორი მიმართულებით იხევდა უკან — მოსახლეობის ერთი ნაწილის ევაკუაცია ზღვით მიმდინარეობდა. ბოლო სამაშველო გემი რუსული სადესანტო ხომალდი იყო, რომელმაც სოჭში ორასი ლტოლვილი გადაიყვანა. იყო საჰაერო ხიდიც — ბოლო თვითმფრინავმა დრანდიდან თბილისში გადაიყვანა 120 ბავშვი, ქალი და მოხუცი. ლტოლვილების ძირითადმა მასამ კი კოდორის ხეობით უშველა თავს. ეს მაღალმთიანი გზა (მერხეული — წებელდა — ლათა — აჟარა — გენწვიში — ჩხალთა — საკენი) მრავალთათვის გოლგოთის გზად იქცა: ჭუბერის უღელტეხილზე დაახლოებით ოთხასი ქართველი დაიღუპა. ყინავდა, საშინელებას გამოქცეულ ადამიანებს არ ჰქონდათ თბილი ტანსაცმელი, არ ჰქონდათ სასმელი... ჰუმანიტარული კატასტროფა იყო და ხელისუფლებამ დახმარებისთვის მსოფლიოს მიმართა. უკრაინამ და სომხეთმა ვერტმფრენები გამოგვიგზავნეს, რითაც ლტოლვილებს პურს, კონსერვებს, თბილ ტანსაცმელს ვაწვდიდით.

მთელ ამ ოპერაციას, უღელტეხილზე გადასვლას, მაშინდელი

პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია ხელმძღვანელობდა, თავს არ ზოგავდა.

უკან დახევის დროს, ჯარის ნაწილთან ერთად, რომელსაც ჯაბა იოსელიანი მეთაურობდა, ერთ-ერთ სოფელში გავჩერდით — სოხუმის მახლობლად, აგუძერაში. სულ ერთი-ორი საათით შევჩერდით. რადიოსიგნალით გადმოგვცეს, მოწინააღმდეგეები აეროპორტს უახლოვდებიანო. იქ ჩემი თვითმფრინავი იდგა, ЯК-40.

27 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა თავისი განცხადებით მომიწოდა, თბილისში დავბრუნებულიყავი, რათა თავიდან აგვეცილებინა უფრო დიდი სისხლის ღვრა და სამოქალაქო ომი. ჯაბა იოსელიანმაც მითხრა, ჩვენ აქ ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, მაგრამ აფხაზეთი მთელი საქართველო არ არის, ქვეყანას მიხედვა უნდა და თბილისში უნდა გაფრინდეთო.

აღარ გამიწევია წინააღმდეგობა. მანქანით ჩავედით აეროდრომამდე. თვითმფრინავი კი იყო, მაგრამ ეკიპაჟი არ ჩანდა. ვიღაცას ეთქვა, შევარდნაძე სვანეთით წავიდაო...

ისევ აეროპორტის ხელმძღვანელმა იყოჩაღა, მგონი, ბერულავა იყო გვარად. ერთი ეკიპაჟი უნდა იყოსო სადღაც. მოძებნეს. ეძინათ. მათი თვითმფრინავიც იქვე იდგა, Ту-134, მაგრამ — ნავთი არ გვეყოფა თბილისამდეო. იქნებ ხონამდე ჩავფრინდეთ-მეთქი, არც ხონამდე გვეყოფა, ბათუმამდე კიდევ გავრისკავთო.

ჩავსხედით, დაახლოებით თხუთმეტი კაცი ვიქნებოდით, მათ შორის კონტრდაზვერვის უფროსი ავთო იოსელიანი, უშიშროების მინისტრი ირაკლი ბათიაშვილი, თბილისის მერი კოტე გაბაშვილი, ვიცე-პრემიერი სანდრო კავსაძე, ავთო ჯორბენაძე, მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი, დაცვის თანამშრომლები, ჟურნალისტი რეზო ეგაძე, ლტოლვილები.

ზღვიდან ცეცხლი გაგვიხსნეს, მაგრამ მფრინავმა იყოჩაღა. გადავრჩით.

საწვავი ბათუმამდე გვეყო. ბათუმში რომ დავჯექით, ვხედავთ, აეროდრომზე 30-40 კაცი დადის და შორიდან გვითვალთვალებს — იცოდნენ, რომ იქ დავჯდებოდით და ფანჯრებში იყურებოდნენ ქვემოდან: „ვინ არის, ვინ დაფრინდა?“. თვითმფრინავიდან ორი-სამი

კაცი ჩავიდა. უთხრეს, დაჭრილები გვყავს და დღესვე უნდა გადავფრინდეთო თბილისში, – ის კი არ უთხრეს, სახელმწიფოს მეთაური არისო ჩვენთან. დამხვდურები მაინც უნდობლად უტრიალებდნენ გარშემო თვითმფრინავს. ბოლოს ფარდა გადავწიე, დამინახონ-მეთქი. მართლაც დამინახეს, გაცვივდნენ და, ეტყობა, ასლან აბაშიძეს დაურეკეს. ასლანი არ მოსულა, მაგრამ ავიანავთი კი მაშინვე ჩაგვისხეს და თბილისში გამოვფრინდით.

გაუბედურებული მივედი სახლში. ამ დროს პარლამენტი შეკრებილია და მელოდებიან. მე სახელმწიფოს მეთაურიც ვიყავი და პარლამენტის თავმჯდომარეც.

ნანული დამხვდა შინ, ვუთხარი: „ცოცხალი თავით იქ ვერ წავალ, სასიკვდილო განაჩენი რომ გამომიტანონ, მაინც არ წავალ“.

პარლამენტიდან რამდენიმე დეპუტატი გამომიგზავნეს – მთელი პარლამენტი გელით, გთხოვთ, მოხვიდეთო.

რა მექნა, გამოსავალი აღარ იყო, გინდა აქ გამასამართლონ, გინდა იქ-მეთქი და წავედი.

შევედი პარლამენტის დარბაზში, ვხედავ, მთელი დარბაზი ფეხზე დგას და ტაშს მიკრავს, ეტყობა, იმიტომ, რომ მათ დაძახებულზე მივედი და რომ ცოცხალი ვარ. რაღაც იმედი მაინც იყო – შევარდნაძე ცოცხალია.

მეც დამინდვეს, იცოდნენ, აქ ცოცხლად ჩამოსვლას იქ სიკვდილი მერჩივნა.

* * *

ომი რუსეთთან აფხაზეთში ერთ-ერთი ბინძური, შეუბრალებელი და არაადამიანური ომი იყო, რომლის დროსაც, ქართველობის ნიშნით, სასტიკად აწამებდნენ და ხოცავდნენ ყველას, უწვავდნენ სახლებს, ართმევდნენ ქონებას და აიძულებდნენ, დაეტოვებინათ აფხაზეთი. ნადირობდნენ ჩემზეც, მაგრამ მე რა სათქმელი ვარ, როდესაც ამ საშინელი ომის დროს დაიხოცა, დასახიჩრდა, თოვლიან უღელტეხილზე ფეხით გადმოსვლისას გაიყინა და დაიღუპა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა ათიათასობით მოქალაქე – ბავშვი, ქალი, მოხუცი.

ეს იყო აშკარა და დაუფარავი ეთნოწმენდა, რომლის დამადასტურებელი უტყუარი მასალებიც ჰააგის ტრიბუნალს უკვე გადაეცა.

აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა:

1. 1991 წლის 17 მარტიდან 1992 წლის 14 აგვისტომდე – გუდაუთის რაიონიდან (სოფლები ოთხარა, ახალსოფელი, აბღარხუჭი) იმ ქართველების გამოსახლება, რომელთაც აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტიდან ქართველ სპეციალისტთა გამოძევება (ისინი კი ამ დიდი ინსტიტუტის უმრავლესობას შეადგენდნენ). სუბტროპიკული ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობის ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობის გამოძევება და მათ საცხოვრებლებში აფხაზური მონოეთნიკური გვარდიის წევრების ჩასახლება.

2. 1992 წლის 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე დასრულდა ქართველთა გამოძევება გუდაუთის რაიონიდან.

3. 1992 წლის 2 ოქტომბრიდან 1993 წლის 16 სექტემბრამდე ჩატარდა ქართველთა ეთნიკური წმენდა გაგრის ზონაში.

4. 1993 წლის 16 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე გამოდევნეს ქართველები სოხუმიდან, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებიდან და ქალაქ ტყვარჩელის ზონიდან.

5. 1993 წლის სექტემბრიდან დღემდე გრძელდება ქართველთა წმენდა გალის რაიონში, სადაც ომის დამთავრების შემდეგ ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქეა მოკლული და უამრავი გატაცებული.

დახოცილთა და დახვრეტილთა რიცხვი 1992-1998 წლებში: გაგრა და გაგრის ზონა – 442, გუდაუთის რაიონი – 134, სოხუმი – 897, ტყვარჩელი – 25, გალის რაიონი 1025. სულ მთლიანობაში არაზუსტი მონაცემებით – 4465 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ გარდა, დაკარგულია 147 კაცი. მეორე მხარესაც ხომ იყო დიდი მსხვერპლი?

რეალობაში გაცხადდა აფხაზი ექსტრემისტის შემაძრწუნებელი ფრაზა: „Грузинам здесь уже не жить, в Абхазии они могут только умирать“ („Комсомольская правда“, 1992, 19 Декабря).

იმ დროისთვის, როდესაც ჩემი წიგნი დაიბეჭდება, ეს ციფრები

უკვე მოძველდება, რადგან სისტემურად ცნობილი ხდება გენოციდის უცნობი ფაქტები, თანაც გენოციდი გრძელდება – დღე არ გავა ისე, რომ ვინმე ქართველი არ მოკლან, დააყაჩაღონ, სცემონ, შეურაცხყონ. დღეს აფხაზეთში „ქართველი“ ადამიანურ უფლებას მოკლებულ მეორეხარისხოვან მოქალაქეს ნიშნავს.

რამდენი ზარალი ნახა აფხაზეთმა და მთლიანად საქართველომ? ღირდა კი ეს ყველაფერი იმად, რომ ყველას ერთად აგვესრულებინა რუსეთის ტრადიციული და ადრე გაცხადებული იმპერიული ზრახვები? ღირდა კი ეს აფხაზეთის ასეთ „თავისუფლებად“, იმად, რომ რუსეთს ბაბურინის გადასაწყვეტი გაეხადა აფხაზთა ბედი?

დასასრულ, ღირს ეს ყველაფერი იმ დიდ სისხლის ღვრად, რომელიც მომავალში პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის უგულებელყოფას მოჰყვება?

* * *

სოხუმის დაცემის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა დასავლეთ საქართველოში: ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა, დაქირავებულებთან ერთად, დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური ფოთი, რითაც ხელში ჩაიგდეს ქვეყნის პროდუქტებით და, უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულით მომარაგების ჭიშკარი – იმ მომენტისათვის ელევატორებში დარჩენილი იყო ხორბლის მხოლოდ ორი-სამი დღის მარაგი. მეამბოხენი ცდილობდნენ ჩვენთვის ბლოკადით გადაეკეტათ ჟანგბადი. რეგიონის თითქმის ყველა მსხვილი დასახლებული პუნქტი და საქართველოსა და სომხეთის რუსეთთან დამაკავშირებელი ამიერკავკასიის რკინიგზის ნაწილი მოწინააღმდეგეების ხელში აღმოჩნდა. ვერც ბათუმიდან შემოგვქონდა ვერაფერი, რადგან ბათუმშიც თითქმის ისეთივე პრობლემები შეიქმნა, როგორიც ფოთში.

სხვათა შორის, როცა „ზვიადისტებმა“ ფოთი დაიკავეს, ისინი მარტონი არ იყვნენ: მათ შორის იყვნენ რუსები, ჩეჩნები, კაზაკები და სხვებიც, ვინც აფხაზეთის ომში იბრძოდა, დიდი რაზმი იყო.

მდგომარეობა გამოუვალი გახდა, რუსეთმა თავისი შავი საქმე გააკეთა – ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სიტუაცია

უალტერნატივო იყო, შექმნილი ვითარება მაიძულებდა კომპრომისზე წასვლას: საქართველო რუსეთის მიერ კონტროლირებად „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ წევრობას უნდა დათანხმებულიყო (ჩემი მეგობრები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრეზიდენტებიც მირჩევდნენ თანამეგობრობაში შესვლას – აქ თუ იქნები, უფრო დაგეხმარებითო).

სწორედ ამის გამო გავემგზავრე მოსკოვში, დსთ-ის მეთაურთა თათბირზე. ელცინს ჩვეულებად ჰქონდა, სამ კაცს, კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, გვტოვებდა ხოლმე სათათბიროდ. მართლაც ცალკე დავსხედით – ალიევი, პეტროსიანი, ელცინი და მე.

ელცინს ვუთხარი, რაღაცით უნდა გვიშველოთ, ფაქტობრივად, საქართველო ბლოკადაშია. დაგვეხმარეთ, რომ ფოთი გავათავისუფლოთ და რკინიგზის უსაფრთხოება ერთად უზრუნველვყოთ. გამცილებლები სამხედროები უნდა იყვნენ, რომ ჩვენ გარდა რკინიგზით ვერავინ ისარგებლოს. ეს თქვენს ინტერესებშიცაა, ისევე როგორც აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტერესებში-მეთქი.

მოშორებით რუსეთის თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი იჯდა.

– Дайте мне карту, – უთხრა გრაჩოვს ელცინმა.

გრაჩოვი ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, გადაშალა რუკა და ხელი დაადო: საქართველო წითელი ხაზით შუაზე იყო გაყოფილი, ხაზი გადიოდა წიფის გვირაბთან, სადაც დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთდება.

– Другого выхода нет, – მითხრა, – пускай Звиад сидит в западной Грузии, а ты – в столице.

– Что вы, это серьёзно? – გაოცებულმა და აღშფოთებულმა ვკითხე.

– Я со всей серьезностью говорю, другого выхода я не вижу.

– Это не помощь.

– Хороший совет тоже помощь, – უკმეხად მიპასუხა.

თავის შეკავება შეუძლებელი იყო, კარი გამოვიჯახუნე და აეროპორტისკენ გავეშურე.

მაშინვე გამოვფრინდი მოსკოვიდან – საქართველოში მდგომარეობა ყოველ წუთს რთულდებოდა. ქუთაისთან, კოპიტნარის აერო-

დრომზე ჩამოვფრინდი, იქიდან მანქანით — აბაშაში, სადაც სპეციალურად მოწყობილი ვაგონი იდგა, ყველაფერი იყო — ტელეფონები, კავშირგაბმულობის სხვა საშუალებანი და ა.შ.

სასოწარკვეთა დამეუფლა, ვფიქრობდი, რა მექნა, სად იყო გამოსავალი... უცებ უკრაინა გამახსენდა — მისგან დახმარება რეალური მეჩვენა და ამავე დროს უკიდურესად პოლიტიზებული ქართველი საზოგადოებისათვის მისაღებიც. უკრაინასთან საქართველოს ტრადიციულად, ჯერ კიდევ მეათე საუკუნიდან, განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. ახლაც, პირველმა ხომ მან ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მეც მეგობრული ურთიერთობა მქონდა უკრაინის პრეზიდენტთან კრავჩუკთან. იმ ვაგონიდანვე დავუკავშირდი და შევჩივლე:

— მძიმე დღეში ვარ, ფოთი ბლოკირებულია, საქართველოში მალე შიმშილი დაიწყება. ფლოტით უნდა დამეხმაროთ. სხვა გზა რომ იყოს, არ შეგაწუხებდით, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ, ჰუმანიტარული დახმარება რომც გამოგვიგზავნოთ, მაინც ვერ მივიღებთ.

— ელცინისთვის ხომ არ დაგირეკავთ (მაშინ შავი ზღვის ფლოტი ორმაგ დაქვემდებარებაში იყო — რუსეთისა და უკრაინის — ე. შ.)? ან ხომ არ შეგიძლიათ, რომ დაურეკოთ?

ვუთხარი, რომ ვერ დავურეკავდი, ისიც ავუხსენი, რატომ:

— ელცინმა მირჩია, ორად გაყავითო საქართველო... შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ასეთი აბსურდი, რომ თქვენ უკრაინის ორად გაყოფა შემოგთავაზონ?!

— მშვენივრად მესმის, — მიპასუხა, — არსად დარეკვა აღარ გჭირდებათ, მე გავცემ განკარგულებას და თუ საჭირო გახდა, ელცინსაც მე შევუთანხმებ. ან სულაც, იყოს მანდ ფლოტი რამდენიმე დღე, სანამ ელცინი გაიგებს, ამასობაში პრობლემაც მოგვარდება.

რამდენიმე ხანში ისევ დამირეკა:

— განკარგულება გაცემულია, მალე სამხედრო გემები ფოთის პორტისკენ დაიძრება.

ავთო მარგიანი, ჩვენი პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სასწრაფოდ ჩავიდა ადმირალ ბალტინთან და ყველაფერი გააკეთა, რომ დროუ-

ლად წამოსულიყვნენ. არ შემიძლია მას ეს დამსახურება დავუკარგო.

და მართლაც, დღენახევარში, საღამო ხანს, ფოთს ოცამდე გემი მოადგა, ჯარისკაცებითა და არტილერიით. თავისი პოსტები დააყენეს საკვანძო ადგილებზე — ერთი გასროლაც არ ყოფილა. სენაკი ჩვენ დავიკავეთ, ზუგდიდი „ზვიადისტებს“ დარჩათ, მაგრამ რაკი ფოთი და სენაკი გათავისუფლდა, ზუგდიდისკენ გზაც გაიხსნა.

მე და ჯაბა იოსელიანი სამტრედიაში ვიყავით. ღამის პირველის ნახევარი იქნებოდა. ჯაბამ გია ყარყარაშვილს უთხრა:

— შენს მეტი ზუგდიდში ვერავინ შევა...

— ვერ წავალ, — უპასუხა გიამ, — სამი კაცი მყავს მოკლული ზუგდიდში, ჩემი სამი უახლოესი ძმაკაცის სამაგიეროდ. მე რომ იქ გამოვჩნდე, უბედურება დატრიალდება.

დათო თევზაძემ თქვა, შემდგომში ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა, სხვათა შორის — კარგმა მეომარმა:

— გიას წასვლას, სჯობია, ზუგდიდში მე წავიდე.

გადავეხვიე და მადლობა ვუთხარი.

დათო თევზაძეს დაახლოებით სამასი მეომარი ჰყავდა, მთელი ღამე ტყით, უცნობი გზებით იარეს და გამთენიისას მოულოდნელად შევიდნენ ზუგდიდში. მოწინააღმდეგენი დაიფანტნენ და ეს ამბავიც მშვიდობიანად დამთავრდა. ამ საქმეში თევზაძის დამსახურება დიდია.

* * *

ზემოთ უკვე ითქვა, 1992 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე მე მოვუწოდე მსოფლიო გაერთიანებას მხარი დაეჭირა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ დემოკრატიული რუსეთისთვისაც, მისი დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, რადგან ჩვენი მომავალი უსაფრთხოება მაშინაც და ახლაც დემოკრატიულ რუსეთს უკავშირდება. იმავე დღეს რუსეთის პარლამენტმა მიიღო განცხადება „აფხაზეთის შესახებ“, რომელიც მიმართული იყო როგორც საქართველოს, ისე ელცინის მთავრობის წინააღმდეგ.

ფაქტობრივად, რუსეთის პარლამენტარებმა გზა დაულოცეს ინტერვენციას მშვიდობისმყოფელთა დროშით. მათ მიერ მიღებული დოკუმენტები იყო მანდატი, რომელიც მისცეს სეპარატიზმს და წაახალისეს ექსტრემიზმი და ტერორიზმი. ისინი შეეცადნენ, დაეფარათ კონფლიქტის ჭეშმარიტი მიზეზები და ჩრდილში დაეტოვებინათ მისი ნამდვილი სულისჩამდგმელები.

თავისი გადაწყვეტილებებით რუსეთის პარლამენტმა დაადასტურა იმპერიული პოლიტიკის მხარდაჭერა – „დაყავი და იბატონე“, რომელიც სტიმულს აძლევს აგრესიულ ნაციონალიზმს და საკუთარი ინტერესებისათვის მის მანიპულირებას ეწევა.

დავაზუსტებ: აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ომს აწარმოებდა იმპერიული რევანშის ის სამხედრო და პოლიტიკური ძალა, რომელიც შემდეგ უკვე თავად რუსეთსაც დაემუქრა ძალაუფლების ხელში ჩაგდებით და ტოტალიტარული სისტემის აღდგენით.

ასეთი დაზუსტების შემდეგ იმედი მაქვს, ყველა ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტი კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის შესახებ სწორად იქნება გაგებული და მართებულად განმარტებული.

აკი გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტს დაუფარავად განუცხადა კიდეც ერთ-ერთმა ბოევიკმა, რომელიც სეპარატისტების მხარეზე იბრძოდა: „მე აფხაზეთში გამომგზავნა რუსეთის ნაციონალისტურმა პარტიამ, რომელიც ახლა აქტიურ მუშაობას ეწევა არა მარტო სხვადასხვა ტერიტორიაზე, არამედ რუსეთის არმიაშიც, შინაგან საქმეთა სამინისტროში, სპეცსამსახურებში. ჩვენ გვინდა ძალაუფლება რუსეთსა და კრემლში. ჩვენ კარგად გვესმის, რომ რუსეთი დიდი ძვრების ზღურბლზე დგას, სამოქალაქო ომი შეიძლება წელსვე დაიწყოს, ამიტომ აქ ვაყალიბებთ რაზმებს, ვიძენთ საბრძოლო გამოცდილებას და როცა დადგება დრო, ჩვენი პარტია იქნება ერთადერთი, ვისაც ექნება სამოქალაქო ომის წარმოების გამოცდილება. ჩვენ სლავებს ვიცავთ ყველგან, სადაც მათ საფრთხე ელის. ჩვენი ხალხი იყო დუბოსარში, ისინი თავის ვალს იხდიან სერბეთშიც. მე კი აქ ჩამოვედი ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებით“.

აქვე დავამატებ: გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში რუსეთის ორი ათასი მოქალაქე იბრძოდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, იქ მათივე თქმით, მუსლიმანებისაგან სლავ ძმებს იცავდნენ. ოცდაათი ათასი „გარეული ბატი“ გაფრინდა რუსეთის ფედერაციიდან „ცხელი წერტილებისაკენ“, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და თითოეული მათგანი ამტკიცებდა, და იქნებ ხშირად სავსებით გულწრფელადაც, რომ „იდეისთვის“ იბრძოდა.

ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მხოლოდ ერთი ეპიზოდია, რუსეთის უშედეგო მცდელობით, საქართველო დააბრუნოს იმ მდგომარეობაში, როდესაც იგი რუსეთს შეუერთდა — შვიდ ნაწილად დაშლილი — და როგორც ერთიანი სახელმწიფო, ფაქტობრივად გააუქმოს.

ამის ნათელყოფა იყო, ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს სამეგრელოში შემოგდებული პროკლამაციები ქართველთა მიერ მეგრელთა ჩაგვრის მტკიცებით და სამეგრელოს ცალკე გამოყოფის იდეით. ასეთივე მცდელობა იყო აჭარაში — მცდელობა არა მარტო ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლისა, არამედ ერთიანი ქართული ცნობიერებისაც.

ამ ვერაგული ომის შემდეგ საქართველო იძულებული შეიქნა, დსთ-ში გაწევრებულიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამასვე მირჩევდნენ ჩემი კოლეგები, დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტები. ვხედავდი, რომ ამ გაერთიანებას მომავალი არ ჰქონდა. თუმცა, ჩემს ქართველ ოპონენტებს დსთ ლამის ახალ საბჭოთა კავშირად წარმოედგინათ და მასში შესვლას ძალზე მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ ერთი რამ მამოძრავებდა: დსთ-ში თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შედიოდა, მათი პრეზიდენტები კი ჩემი მეგობრები იყვნენ. როგორც აღვნიშნე, ისინიც მირჩევდნენ: „აქ რომ შემოხვალ, უფრო დაგეხმარებით, რუსეთზე აქტიურ ზეწოლას მოვახდენთ.“

მართლაც, მახსოვს, დსთ-ის მეთაურთა ერთ-ერთი ბოლო სხდომა, რომელსაც ელცინიც ესწრებოდა. აფხაზეთის საკითხზე დისკუსია ჩემი გამოსვლით დაიწყო. ყველა მეთაურმა ელცინს კატეგორიუ-

ლად მოსთხოვა პრობლემის მოგვარება. მათი გამოსვლები სიმწვავით გამოირჩეოდა. ახლაც მახსოვს, ელცინი წამოდგა და განაცხადა: „გაძლევთ პირობას, აფხაზეთის საკითხს უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ“. დავუჯერე, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე მომატყუა – 1992 წლის 3 სექტემბერს. ამჯერადაც შევცდი.

აფხაზეთის საკითხი მრავალ სხდომაზე განვიხილეთ, მაგრამ – უშედეგოდ. ჩემს კოლეგებს ხშირად ვეუბნებოდი – ხვალ თქვენი ჯერი დადგება-მეთქი.

მოკლედ, ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ, თუმცა მაინც არ მიმაჩნია, რომ დსთ-ში შესვლა შეცდომა იყო. ვინ იცის, რამდენჯერ ავიცილეთ თავიდან რუსეთის აგრესია – მათ ხომ გაცილებით მეტი ჰქონდათ ჩაფიქრებული. ამის შესახებაც ვიტყვი.

სხვათა შორის, რუსეთს დსთ-ის კართან რომ დაეტოვებინა თავისი იმპერიული ზრახვები, ეს გაერთიანება მართლაც შეიძლებოდა გადაქცეულიყო ქმედუნარიან სტრუქტურად, რომელიც საბჭოთა ეკონომიკური სივრცის ნგრევით გამოწვეულ უარყოფით მოვლენებს შეანელებდა. „დერჟავული“ ფსიქოლოგიისათვის წარმოუდგენელია თანაბარი პარტნიორობა – ამით მას ღირსება ელახება, არადა ოცდამეერთე საუკუნეში სხვაგვარი დამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის წარმოუდგენელია.

აფხაზეთის ომი და მასში დამარცხება გამოწვეული იყო რუსების ორმაგი თამაშით, ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა ადამიანური რესურსებით, რუსული იარაღისა და ფინანსების უწყვეტი მიწოდებით, თავად რუსი სამხედროების მონაწილეობით საომარ მოქმედებებში, სეპარატისტების აშკარა თუ ფარული დახმარებით, რუსეთის გენშტაბში საქართველოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვითა და რუსების მიერვე განხორციელებით, დადებულ ხელშეკრულებათა მუდმივი დარღვევით და რაც არანაკლებ მტკივნეულია, ქართველთა გათიშულობითა და ღალატით და რაც მთავარია – აფხაზებში ჩამოყალიბებული ეროვნული იდეით: ჯერ დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოს, შემდეგ კი კავკასიური კონფედერაციის შექმნით, რასაც თავისი არსებობით ქართველი ხალხი და საქართველოს სახელმწიფო უშლის ხელს.

პრობლემა იმდენად მწვავეა, რომ ახლო მომავალში იგი შეიძლება უდიდესი სისხლის ღვრისა და კავკასიაში დემოგრაფიული სურათის შეცვლის მიზეზად იქცეს.

ვიმეორებ, მშვიდობიანი გამოსავალი ერთია – უნდა აღდგეს ეკონომიკური კავშირები და მის პარალელურად ლტოლვილი მოსახლეობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და ერთობლივი დაცვის გარანტიით უნდა დაბრუნდეს შინ, აფხაზეთში, ხოლო თავად აფხაზეთი უნდა დაუბრუნდეს ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეს აფხაზეთის ეთნოსის განვითარებისთვის აუცილებელი გარანტიებით, ერთიანი სახელმწიფოს აშენებაში აქტიური მონაწილეობით. მოკლედ, იმ მრავალსაუკუნოვანი მოდელით, რომლითაც ეს რეგიონი ყოველთვის იყო ერთიანი და განუყოფელი ქართული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მხარე.

სხვაგვარი გადაწყვეტის ისტორიულ პერსპექტივას ვერ ვხედავ. ასეთია სამართლიანობის ლოგიკაც, ჩემი შეუსრულებელი სურვილიც და შთამომავლობისთვის შესასრულებლად დატოვებული ჩემი ანდერძიც.

ბოლოს და ბოლოს, ყველა ერს, მრავალრიცხოვანსა თუ მცირერიცხოვანს, ერთნაირად აქვს არსებობის უფლება, თავისი თავის, კულტურის, ტერიტორიის, ტრადიციების, წარსულისა და მომავლის დაცვის ერთნაირი უფლება.

ასეთი უფლება აქვთ ქართველებსაც.

არ ვიცი, გინესის რეკორდების წიგნში შეჯა თუ არა, მაგრამ ჩემს მოსაკლავად სამი ტერაქტი მოაწყვეს:

პირველად – 1992 წლის 3 ოქტომბერს აფხაზეთში გამოუცხადებელი ომის დროს;

მეორედ – 1995 წლის 25 აგვისტოს, ქვეყნის ახალი კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიალის წინ;

მესამედ – 1998 წლის 9 თებერვალს – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საქართველოზე გავლის გადაწყვეტილების მიღების დროს.

ჩემი ფიზიკური განადგურების მცდელობა ქართული სახელმწიფოსათვის გადამწყვეტ მომენტში ხდებოდა. ეს გახლდათ, ასე ვთქვათ, „უმაღლეს დონეზე“ მიზანმიმართული ტერაქტები, რომლებიც ერთი კაცის კი არა, მთელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იგეგმებოდა ქვეყნის შიდა თუ გარე ძალების მიერ. ასე ჩანდა მაშინ ეს ყველაფერი და წლების მერეც ასე ჩანს.

პირველი ტერაქტი

1992 წლის 3 ოქტომბერს სოხუმიდან გავფრინდი განთიადსა და ლესელიძეში, საითაც დაიხიეს სამთავრობო ჯარის ნაწილებმა, როდესაც მოწინააღმდეგის მიერ ომის შეწყვეტის თაობაზე 3 სექტემბრის ხელშეკრულების დარღვევისა და აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მოულოდნელი შეტევის შედეგად იძულებულნი გახდნენ, გაგრა დაეტოვებინათ. მათთან ერთად ქალაქი და ახლომდებარე სოფლები დატოვა ათასობით მშვიდობიანმა მცხოვრებმა – ქართველებმა, აფხაზებმა, რუსებმა, სომხებმა. მათ მიაშურეს მათთვის უკანასკნელ თავშესაფარს საქართველოს ტერიტორიაზე – რუსეთთან მის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს.

ვერტმფრენი Ми-8, უკვე მზად იყო სტარტისათვის, როცა

დაზვერვის ადგილობრივი ბიუროს ხელმძღვანელმა მაცნობა, რომ სამხედრო აეროდრომ ბომბორას (გუდაუთა) რაიონში დისლოცირებული რუსეთის საჰაერო-სადესანტო ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა არ იძლევა ფრენის უსაფრთხოების გარანტიას.

თავისთავად საკითხის ასე დასმა აბსურდული ჩანდა და ახალ კითხვებს ბადებდა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური ახორციელებს გადაფრენას თავისი ქვეყნის საჰაერო სივრცეში და მისი უსაფრთხოება შესაბამისი რესპუბლიკური სამსახურების საქმეა. რით ვიმსახურებდი რუსი სამხედროების ამგვარ „ყურადღებას“?

მანამდე, 2 ოქტომბერს, სოხუმში მძიმე საუბარი მქონდა გენერალ გიორგი კონდრატიევთან, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან. ვუთხარი, რომ გაგრის ტრაგედია ინსპექციისა და კონტროლის განმახორციელებელი კომისიის რუსული ნაწილის სინდისზეა. კომისია 1992 წლის 3 სექტემბერს შეიქმნა მოსკოვში გამართული ჩემი, ელცინისა და არძინბას შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის დებულებათა შესრულების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა კონდრატიევმა და მისმა ხელქვეითებმა ჯერ კიდევ მოლაპარაკების დროს მიიღეს ცნობა გაგრის შტურმის მზადების შესახებ, მათ არაფერი იღონეს მის აღსაკვეთად და კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისათვის გამიზნულ ღონისძიებათა გასაგრძელებლად.

რამდენიმე თვით ადრე იმავე კონდრატიევმა უბრძანა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენებს, იერიში მიეტანათ ქართველი გვარდიელების პოზიციებზე ცხინვალის რეგიონში.

რა თქმა უნდა, ყველა საფუძველი მქონდა, არ ვნდობოდი მას და მის ზოგიერთ კოლეგას.

ჩემთან ერთად ვერტმფრენში კიდევ თხუთმეტი-ოცი კაცი იყო — სამთავრობო დელეგაციის წევრები, ჩემი თანაშემწეები, ჟურნალისტები, დაცვა.

უკვე ლესელიძეში რომ მივფრინავდით, პილოტებმა ზღვაში შეამჩნიეს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო დაცვის ოთხი ხომალდი მაღალი სიზუსტის რაკეტული შეიარაღებით.

განთიადსა და ლესელიძეში ჩვენ რამდენიმე საათი დავყავით.

გაგრის დამცველებსა და ლტოლვილებთან საუბარი აუტანლად დამთრგუნველი იყო. უკან მძიმე განწყობილებით ებრუნდებოდი.

აფრენა ერთბაშად ვერ მოხერხდა. ნახევარ საათზე მეტი დროის განმავლობაში ვერ დავამყარეთ კავშირი გამცილებელ ვერტმფრენებთან, რომლებიც სოხუმში იმყოფებოდნენ: გაგრასთან ზღვაში მყოფი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდიდან მომავალი რადიოჩახშობა არ გვაძლევდა საჭირო კონტაქტის დამყარების საშუალებას. დაახლოებით იმავე დროს მოვიდა გაფრთხილება: საქართველოს ყველა საჰაერო ხომალდს, იქნებოდა ეს სამოქალაქო თუ სამხედრო, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ხომალდებთან მიახლოების შემთხვევაში დღისით 5 კილომეტრზე, ხოლო ღამით – 15 კილომეტრზე, რუსები შეუტევდნენ.

მუქარა? შეშინების მცდელობა? არა მარტო. ჩვენ გვაიძულებდნენ ზღვისაკენ შორს გავსულიყავით.

ვიცოდით, რომ აფხაზებს უკვე ჰქონდათ საზენიტო-სარაკეტო დანადგარები. სწორედ მათი რაკეტებისკენ გვერეკებოდნენ ჩვენი მეზობლები.

ბოლოს და ბოლოს გამცილებელი ვერტმფრენები მოგვიახლოვდნენ და ჩვენც ავფრინდით.

...მკვეთრი დარტყმა ვიგრძენი, მერე დაიწყო ვარდნა. ვერტმფრენი სიმაღლეს კარგავდა. ზოგი ჩემი თანამგზავრი იატაკზე აღმოჩნდა. ფეხზე მდგომმა ტელეკომპანია „იბერვიზიის“ ოპერატორმა ამირან მურვანიძემ კამერა ილუმინატორის მინას მიაყრდნო და ასე იღებდა.

უცხო ვერტმფრენის მუქი სილუეტი გაგრის მხრიდან გვიახლოვდებოდა. ეს იყო Ми-24 – რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საცეცხლე მხარდაჭერის ძირითადი მანქანა, რომელიც ამოსაცნობი ნიშნების გარეშე მიფრინავდა – მხოლოდ შუქურის სიგნალები ენთო წინა ნაწილსა და კუდზე. როცა ჩვენს ვერტმფრენს ორმოცდაათ მეტრზე მოუახლოვდა, პილოტმა შუქურები ჩააქრო და ასე გაგვიარა კორპუსის ქვეშ.

რას ნიშნავდა ეს? მერე ავიატორებმა ამიხსნეს – ჩვენი ვერტმფრენის ქვეშ უნდა წარმოქმნილიყო უჰაერო სივრცე და წყალში ჩავცვივდებოდით.

მაგრამ, სანამ მოწინააღმდეგის ვერტმფრენის ეკიპაჟი ამ მანევრის

შესრულებას შეუდგებოდა, ჩვენი გამცილებელი ვერტმფრენის ეკიპაჟმა (პილოტის გვარი მახსოვს – მაისურაძე, რომელიც ამ ომში დაიღუპა, იგი ჭეშმარიტი გმირი იყო) უბრძანა ჩვენს ეკიპაჟს, რაც შეიძლება ჩქარა და სასწრაფოდ ზევით აფრენილიყო. ყველაფერს წამები წყვეტდა და სწორედ ამ წამებმა გადაგვარჩინა.

ვირეშმაკული და ცივი გონებით გამოთვლილი მკვლელობის მცდელობა იყო, თანაც ისეთი მკვლელობისა, რომელიც კვალსაც არ დატოვებდა, მხოლოდ ზღვის ფსკერზე თუ აღმოაჩენდნენ ჩაძირულ ვერტმფრენს და მასთან ერთად ჩვენს ცხედრებს.

ამ გადარჩენას ჩვენს მფრინავებს უნდა ვუმადლოდეთ, მათ გმირობასა და მოხერხებულობას, სხვა შემთხვევაში, როგორც მოგახსენეთ, ზღვაში ჩაცვენა არ აგვცდებოდა.

მოგვიანებით ჩვენმა ავიატორებმა იდუმალი ვერტმფრენის პილოტზე მითხრეს – რა თქმა უნდა, ის ფრენის ოსტატი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეძლებდა ასეთი მანევრის შესრულებასო.

აფხაზებს ნამდვილად არ ჰყავდათ ასეთი პილოტი და არ ჰქონდათ ასეთი ვერტმფრენი.

რა მოხდა იმ დღეს აფხაზეთის ცაში? როცა ამ ამბავს ბოლო დროის მოვლენებთან ერთად ვაანალიზებდი, მე გამახსენდა მოსკოველი პოლიტოლოგის გაფრთხილება: „უმაღლესი ოფიცრების რისხვა მიმართულია პერსონალურად შევარდნაძისკენ“... დიდი ფიქრი არ სჭირდებოდა რუსეთის ნაციონალ-პატრიოტების „ორმაგი ანგარიშსწორების“ მიზეზთა გარკვევას. ისინი თვითონვე ხსნიდნენ ამას, როცა ამბობდნენ: „შევარდნაძემ დაანგრია საბჭოთა კავშირი, დაე, ახლა დაინგრეს მისი საქართველო“...

მეორე ტერაქტი

როდესაც 1992 წლის 7 მარტს თბილისში დავბრუნდი, მაშინვე ვიცოდი ჩემი უმთავრესი სამართლებრივი მიზანი რაც იყო – კონსტიტუციის მიღება და არჩევნების ჩატარება.

პარლამენტის არჩევნები ჩავატარეთ, პარლამენტთან ერთად ხალხ-

მა მეც ამირჩია, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ პარლამენტმა – სახელმწიფოს მეთაურად. ლეგიტიმაცია მოხდა, მაგრამ სახელმწიფოს აშენება დროის შესაბამისი კონსტიტუციის გარეშე შეუძლებელი იყო.

ჩემი 1993 წლის 16 თებერვლის წინადადებით საქართველოს პარლამენტმა შექმნა 118-კაციანი საკონსტიტუციო კომისია და მას დაავალა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის არსობრივად რედაქტირებული ვარიანტის მომზადება. ამ კომისიის თავმჯდომარე მე ვიყავი.

კომისია პარლამენტივით ჭრელი იყო და მასთან მუშაობა ძალიან ჭირდა. აქ, პარლამენტის არ იყოს, სხვადასხვა შეხედულებისა და სხვადასხვა მიზნის მქონე ხალხი იყო თავმოყრილი. ბევრი იყო მათში მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ვინც ყოველმხრივ ცდილობდა სასურველი შედეგისათვის მალე მიგველწია, მაგრამ, როგორც აქ, ისე პარლამენტში შემთხვევითი ხალხიც გვერია. ეს ართულებდა საქმეს და იქნებ ამიტომაც დიდხანს გაგვიგრძელდა მუშაობა.

სამი წლის დაძაბული და მძიმე მუშაობის შემდეგ, 1995 წლის მაისში კონსტიტუციის პროექტი წარედგინა კომისიას. იმავე წლის 2 ივლისს იგი გადაეცა პარლამენტს, ხოლო 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუცია მიიღო.

დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი ფორმალური რამ, კონსტიტუციის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 25 აგვისტოს, ღღის 16 საათზე, „ახალგაზრდობის სასახლეში“, – რუსეთის მეფისნაცვლისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილი რეზიდენციის შენობაში, რუსთაველის პროსპექტზე.

ჩემი ოფისიც და პარლამენტიც განთავსებული იყო ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში, რომელიც ასევე რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობს – „სასახლის“ შენობიდან ხუთასიოდე მეტრის მოშორებით. სწორედ ამ ხუთასი მეტრის გავლა გახდა ჩემთვის კინაღამ საბედისწერო.

მიუხედავად დიდი სიხარულისა – ჩემი ცხოვრების ერთ დიდ საქმეს ვამთავრებდი – ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა და მთელი ღღე მისგან ვერ გავთავისუფლდი.

10-15 წუთით ადრე იმ გასასვლელიდან ჩავედი ეზოში, რომლითაც ყოველთვის ვსარგებლობდი ხოლმე. დახურულ ეზოში უცხო მანქანა „ვოლგა“ შევნიშნე, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, დაცვამ კი ალბათ იფიქრა, „მხედრიონის“ ან სხვა თანამშრომლის თუ არისო....

ჩავჯექი მანქანაში, ჩემთან იყვნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და სახელმწიფო კანცელარიის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე.

ის იყო, მანქანა დაიძრა ჭიშკრისაკენ და ზემონახსენებ „ვოლგას“ გაუსწორდა, აფეთქების გამაყრუებელი ხმა გაისმა. ჩვენი მანქანის საბარგულს ხანძარი გაუჩნდა. აფეთქების ტალღამ შენობის კედელი ჩამოანგრია და ქვის ნატეხები დაგვეცა – მათ სახე დამიზიანეს... მანქანიდან გადასვლა ვცადე, მაგრამ კარი გაიჭედა... აქ კი მძღოლმა გელა თანდაშვილმა იმარჯვა, კარი გამოგლიჯა და მანქანიდან ძლივს გადმოვედი. მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია...

მერე გავიგე, რატომ გადავრჩით და ვისი ხელით გვიშველა განგებამ.

იმ მანქანაში, რომელიც შორიახლოს იდგა და რომლიდანაც ჩვენი მანქანის მოძრაობას თვალყურს ადევნებდნენ და აფეთქების პროცესს მართავდნენ, ორნი ისხდნენ: ერთი – საჭესთან, მეორე კი დეტონირების პულტთან. ისეთ მომენტში უნდა აფეთქებულიყო „ვოლგა“, რომ ტალღა გვერდიდან მოგვხვედროდა, მაშინ ვერაფერი გვიშველიდა, ყველანი ამოვწყდებოდით, მაგრამ როგორც ჩანს, ის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც პულტზე თითი უნდა დაეჭირა, ოდნავ შეყოვნდა, ან შეშინდა, და მის ნაცვლად მძღოლმა დააჭირა თითი ღილაკს – რამდენიმე წამით დააგვიანა და სწორედ ამ რამდენიმე წამმა გვიშველა, იგი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კრიტიკულ ზონას გავცლოდით და აფეთქება თავის თავზე მანქანის საბარგულმა მიიღო.

შენობის ეზოდან ქუჩამდე სულ რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი. საოცარია, რომ არავინ გვესროლა. გასისხლიანებულებმა ეს მანძილიც გავირბინეთ, მანქანებში ჩაგვსხეს და საავადმყოფოში წაგვიყვანეს.

სხვათა შორის, ჭკუა იხმარეს, რაკიღა შეიძლება კიდევ გამეორებულიყო თავდასხმა, ჩვეულებრივ საავადმყოფოში მიგვიყვანეს და არა იქ, სადაც ინსტრუქციით გათვალისწინებული იყო. რესპუბლიკური

საავადმყოფოს ექიმებს სახეზე გაოცება ეხატათ, ასე მოულოდნელად და გასისხლიანებულები რომ დავადექით თავზე. სასწრაფოდ მომბანეს ჭრილობები, იქვე მომაკითხა ჩემმა მეუღლემ. სხვებიც მოვიდნენ, ჩემი თანამებრძოლები და ხალხში პანიკა რომ არ ატეხილიყო, ასე დაკაწრულს, უმკლავო მაისურის ამარას ტელევიზია დამადგა თავს. სწორედ მაშინ იყო გულნატკენმა დანანებითა და ირონიით რომ ვთქვი: „ამ უბედურებს ესეც კი არ შეუძლიათ". მერე გავიგე, ჩემდა უნებურად დე გოლის მსგავსად რომ მითქვამს, რომელიც ასევე გადაურჩა ტერაქტს – „ამ ვაჟბატონებმა სროლაც კი არ იციან ხეირიანად" (დაახლოებით ასე იყო ნათქვამი).

მაინც რა მოხდა.

როგორც გამოძიებამ დაადასტურა, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ პირები ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან.[29] გამოძიების მასალების მიხედვით, ტერაქტზე უსიტყვო თანხმობა მისცა ჯაბა იოსელიანმა – კაცმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საქართველოში ჩემი ჩამოსვლისთვის და თავგანწირვით იბრძოლა აფხაზეთში, მაგრამ ვერ შეეგუა პარლამენტის არჩევის შემდეგ სახელმწიფო აპარატში თავისი უფლებების კანონიერ შეზღუდვას. გაუტკბა, რომ რასაც იტყოდა, უსიტყვოდ ასრულებდნენ. ძალაუფლების ბანგით მოიწამლა და იფიქრა, რომ სახელმწიფო თვითონ იყო. მე მას, რა თქმა უნდა, ხელს ვუშლიდი, უკვე ზედმეტი ვიყავი.

ძნელია ძალაუფლებით თრობას გაუძლო: ეს ბევრს ემართება და, როგორც წესი, ცუდად მთავრდება.

როდესაც საქართველოში ჩამოვედი, ვიცოდი, რომ თუ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გვსურდა, თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ან უნდა ჩამომეშორებინა სახელმწიფოს მართვისთვის, ან კანონით უნდა შემეზღუდა მათი ანარქიული აზროვნებისა და მოქმედების წესი.

მე და ჯაბას განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთ-

---

[29] უშუალო შემსრულებელი, ჩემდა გასაკვირად, აფხაზეთში თავდადებითა და შესანიშნავად ნაბრძოლი ერთი „მხედრიონელი" იყო. ტერაქტში მონაწილეობისათვის იგი გაასამართლეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ გარკვეული ხნის შერე შეიწყალეს. 2003 წელს, ჩემი გადადგომის შემდეგ, სანახავადაც კი მოვიდა ჩემთან – ესეც ქართული ხასიათის ერთი შტრიხი.

თან, მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა მაინც შეუძლებელი იყო, ამიტომაც უხმოდ, თავის დაკვრით დაეთანხმა ჩემი ლიკვიდაციის განზრახვას. სხვათა შორის, ორიოდე წლით ადრე, ჯაბასთან მწვავე უთანხმოების გამო გადადგომაც კი ვცადე, მაგრამ ქუჩაში შეკრებილი ხალხის თხოვნით დავრჩი. და კიდევ კარგი, რომ დავრჩი; სხვაგვარად, თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის ხელში ყველასგან იზოლირებული და ზურგშექცეული ქვეყანა ძალადობის ქაოსში დაინთქმებოდა.

შეიქმნა ტერაქტის გამოსაძიებელი კომისია უშიშროების მინისტრ იგორ გიორგაძის ხელმძღვანელობით. თითქოს რაღაც ჯგუფს მიაგნეს კიდეც, მაგრამ მალე გიორგაძის, ავღანეთში ნაბრძოლი და რუსეთის ნდობით აღჭურვილი პირის, გადაყენება მომიხდა. თავად ის იმხილებოდა ტერაქტის ხელშეწყობაში. შემდეგ ძიებას დაემალა – ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზიდან თვითმფრინავით გააპარეს.

მესამე ტერაქტი

ამ ეპიზოდის თხრობა მცირე შესავლით მინდა დავიწყო.

საქართველოში ჩამოსვლის ჩემი უმთავრესი მიზანი ქვეყნის მარტო ამწამიერი პრობლემების გადაწყვეტა კი არ იყო – იქნებოდა ეს კრიმინალური სიტუაციის ჩაწყნარება, ენერგომატარებლებისა და ხორბლის პრობლემების გადაწყვეტა, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ეკონომიკის გარდაქმნა და ა.შ., არამედ საქართველოსთვის იმ ფუნქციის შეძენა, რომლის გამოც იგი მსოფლიოსთვის საჭირო გახდებოდა.

როგორც აღინიშნა, ეს უნდა ყოფილიყო „აბრეშუმის გზის“ აღდგენა, რომელზეც ჯერ კიდევ ვლადივოსტოკში ვილაპარაკე საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს. თუმცა მაშინ ეს გზა საბჭოთა სივრცეში მოიაზრებოდა, – საქართველო ხომ ამ სივრცის ნაწილი იყო და საქართველოზე ნავთობსადენებისა და გაზსადენების გატარება მთელ კავშირს გულისხმობდა. შემდეგ, როცა კასპიის ზღვაში დიდი ნავთობი და გაზი აღმოჩნდა, „აბრეშუმის გზის“ იდეა ჩემთვის ერთ უმთავრეს საზრუნავად იქცა.

ეს იყო ჩემი ქვეყნისთვის ისტორიული შანსი, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. თუ საქართველო ამ საერთაშორისო ასპექტში თავის ადგილს იპოვიდა, მაშინ იგი მრავალი ქვეყნისთვის, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით, საჭირო გახდებოდა.

ამ პროექტით ჩემს ქვეყანას გაუჩნდა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და ნავთობითა და გაზით დაინტერესებული სახელმწიფოები აზერბაიჯანთან ერთად საქართველოს თავის პარტნიორად მიიჩნევენ. რაც დრო გავა, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეს ფუნქციები კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება. ამას კი ჩვენი ქვეყნის არა მარტო პოლიტიკური მნიშვნელობის, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდაც მოჰყვება.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ამ პროექტის განხორციელებაში უდიდესი როლი ითამაშა აზერბაიჯანის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, რომელიც აზერბაიჯანის ისტორიაში იმ დიდ სახელმწიფო მოღვაწედ შევიდა, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფო ფეხზე დააყენა.

თავის დროზე ჰეიდარ ალიევის არჩევას აზერბაიჯანის კომპარტიის პირველ მდივნად და განსაკუთრებით შემდეგ მის მოღვაწეობას დიდი ხმაური მოჰყვა საბჭოთა კავშირში. იგი პირველ რიგში იმით გახდა ცნობილი, რომ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ნეგატიურ მოვლენებს: მექრთამეობას, გამომძალველობას, მიწერებსა და სხვა სახის დანაშაულებს. იმ მძორე გარემოში, როცა თითქმის ყველა რანგის ხელმძღვანელი კმაყოფილი იყო თავისი მდგომარეობით და ზედმეტი პრობლემების შექმნა არავის სურდა, – ეს აფეთქება იყო.

ალიევის მოღვაწეობა, ხმაურიანი სასამართლო პროცესები, მისი საჯარო გამოსვლები ბევრის შეშფოთებას იწვევდა, მაგრამ ყოველივე ამას მოსახლეობა მიესალმებოდა. მე იმ დროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ანალოგიურად ვებრძოდი ყოველგვარ სიმახინჯეს, მაგრამ ალიევის შესაძლებლობები, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი იყო.

ალიევი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვით სამუშაოებს. მოგვიანებით, როცა ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, არაერთხელ უთქვამს, კასპიის ზღვაში დიდი მოც-

ულობის ნავთობისა და გაზის საბადოებიაო, მაგრამ მაშინ მან ხელმძღვანელობის დარწმუნება ვერ შეძლო. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით კი რუსეთი, მდიდარი იყო ნავთობითა და გაზით და სავალუტო შემოსავლების ძირითად წყაროსაც ეს წარმოადგენდა და, მათი აზრით, ეს სავსებით საკმარისი იყო. მოკლედ, მაშინ საბჭოთა კავშირისთვის ეს საკითხი არ იყო აქტუალური.

მოხდა ისე, რომ მე და ალიევმა მთელი ათი წელი ვიმუშავეთ ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელ პირებად. ეს იყო ძმობისა და მეგობრობის უნიკალური წლები. მოსკოვში ყოფნისას მე და ალიევი ოჯახებით დავაახლოვდით – ჩემს მეუღლეს, ნანულის გულწრფელად უყვარდა ქალბატონი ფატიმა, ალიევის მეუღლე, შესანიშნავი პიროვნება, ექიმი, პროფესორი.

მინდა გავიხსენო, რომ ალიევს, სხვა საკითხებთან ერთად, ხშირად ავალებდნენ საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების მოგვარებას სხვადასხვა რეგიონში, რასაც იგი დიდი პასუხისმგებლობითა და წარმატებით ასრულებდა. ნებისყოფიანი და მცოდნე მოღვაწე გახლდათ და მთელი კავშირის მასშტაბით სწრაფად მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი.

გარკვეული დროის შემდეგ ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანში დაბრუნდა, ჯერ თავის მშობლიურ მხარეში, ნახიჩევანში ცხოვრობდა და მუშაობდა, შემდეგ გადავიდა ბაქოში და მოხდა ის, რაც ლოგიკურად უნდა მომხდარიყო – ხალხის სიყვარულმა და რწმენამ მისი პიროვნების მიმართ თავისი საქმე გააკეთა და ოდნავ მოგვიანებით, იგი კვლავ პირველი კაცი გახდა. ალიევმა, როცა ამის საშუალება მიეცა, დღის წესრიგში დააყენა კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის პრობლემა, მოიზიდა უცხოური კომპანიები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ კასპიის ზღვაში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგი არსებობს.

ამის შემდეგ ნავთობი და გაზი ჩვენთვის, ორიენტირებისთვის, მთავარი საზრუნავი ხდება. ალიევმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ენერგომატარებლების მთავარ მარშრუტს საქართველოზე გაევლო.

პირველი საცდელი ნავთობსადენი ბაქო-სუფსა სულ რაღაც 6-7 თვეში აშენდა. მის საზეიმო გახსნას, 1999 წელს, ესწრებოდით ჰეიდარ ალიევი, ლეონიდ კუჩმა, უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტი და მე.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობამ, რომელიც საერთაშორისო ინტერესისა და აშშ-ისა და თურქეთის აქტიური მხარდაჭერის ობიექტად იქცა, საქართველოს მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფუნქცია შესძინა.

დღეს ჰეიდარ ალიევის საქმესა და ჩვენი ქვეყნების ძმობის ტრადიციას მისი შვილი ილჰამ ალიევი აგრძელებს — ღრმად განათლებული, მრავალმხრივ ერუდირებული ახალგაზრდა სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ღირსეულად უძღვება მამის მემკვიდრეობას და უკვე მოიხვეჭა დიდი ნდობა და ავტორიტეტი, როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში.

აქვე არ შემიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო, რომ ამ პროექტის მხარდაჭერასა და საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და შემდეგ პრეზიდენტმა — სულეიმან დემირელმა და პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისმა შემცვლელმა ქალბატონმა თანსუ ჩილერმა.

სულეიმან დემირელი საქართველოში პირველად (პრემიერ-მინისტრის რანგში) 1992 წლის ივლისში ჩამოვიდა. უაღრესად წარმომადგენლობითი დელეგაციით გვეწვია — თან ახლდნენ მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, ის პირები, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოდან თურქეთში გაასახლეს, მათ ისლამი მიიღეს, მაგრამ ბევრმა მათგანმა ქართული ენა შეინარჩუნა.

დელეგაციების საერთო შეკრებაზე ერთ-ერთი მათგანი, დეპუტატი რეფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე), სიტყვით გამოვიდა და დამსწრენი გააკვირვა ქართულის შესანიშნავი ცოდნით.

ძირითად ხელშეკრულებებს სწორედ მაშინ მოეწერა ხელი. შემდეგ მე თერთმეტჯერ ვიყავი თურქეთში (მათ შორის, ოთხჯერ ოფიციალური ვიზიტით). მქონდა გამოსვლა მეჯლისში, შეხვედრები საზოგადოებასთან.

თანსუ ჩილერი კი, პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან ერთად, დაესწრო ახალციხე-არდაგანის საკონტროლო-გამშვები პუნქტის საზეიმო გახსნას. შემდეგ იგი თბილისს ესტუმრა ოფიციალური ვიზიტით. თურქეთ-საქართველოს ხელმძღვანელთა და საზოგადოებრიობის წარ-

მომადგენელთა შეხვედრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. სულეიმან დემირელის ვიზიტი საქართველოში პრეზიდენტის რანგში ოთხჯერ შედგა (1994, 1995, 1997 და 2000 წლებში). ყოველივე ამან ჩვენი ურთიერთობანი მართლაც არნახულ დონეზე აიყვანა.

ჩვენი ქვეყნისათვის ასე მნიშვნელოვანმა, მაგრამ მშვიდობიანმა ჩანაფიქრმა და შემდეგ უკვე რეალურმა პროექტმა ბევრი მტერი შემძინა. რუსეთისათვის ის აბსოლუტურად მიუღებელი იყო, ამიტომ ყველაფერი გააკეთა აშკარად თუ ფარულად მის ჩასაშლელად.

პროექტის საბოლოო კონტურები და წინასწარგანზრახულებანი 1998 წლისათვის უკვე ცნობილი გახდა. ისიც საბოლოოდ დადასტურდა, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი და თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი პროექტის განხორციელებას უჭერდნენ მხარს, მათ შორის კი, როგორც პროექტის ინიციატორი, მეც ვიყავი. პროექტის აქტიურ მხარდამჭერთა შორის იყო ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევიც.

ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა და აი, უცებ აქ, სრულიად მოულოდნელად, ისევ ტერაქტი — ჩემი ფიზიკური განადგურებისა და ჩემი საქმის მოსპობის მიზნით.

* * *

ის დღე, 1998 წლის 9 თებერვალი, ორშაბათი, კარგად მახსოვს. როგორც ყოველთვის სამსახურიდან, სახელმწიფო კანცელარიიდან სახლისკენ, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციისაკენ, გვიან გავედი: როგორც შემდეგ ძიებისას დაზუსტდა — 23 საათსა და 20 წუთზე.

ჩემი ესკორტი რამდენიმე მანქანისგან შედგებოდა — წინ პოლიციისა და დაცვის მანქანები მიგვიძღოდნენ, უკანაც დაცვის მანქანა მოგვყვებოდა. ინსტრუქციის თანახმად, დიდი და არათანაბარი სიჩქარით მივდიოდით.

სამასი არაგველის ობელისკთან მიახლოებისას აფეთქების ხმა შემომესმა და ჩემს „მერსედესის“ ფირმის დაჯავშნულ ავტომობილს წინიდან ნაღმსატყორცნით ნასროლი ორი ჭურვი მოხვდა, საქარე მინის ოდნავ ქვემოთ, ძრავაში. ჯავშანმა დარტყმა თავის თავზე

მიიღო, ამან გადაგვარჩინა. გაისმა ავტომატის ჯერის ხმა და მანქანის საბარგულს მესამე ჭურვიც მოხვდა. ძრავა ჩაქრა, ასფალტზე სამუხრუჭე სითხე გადმოიღვარა და დაახლოებით ასი მეტრი ინერციით ვისრიალეთ. მძღოლი ბრმად მართავდა ავტომობილს, რადგან საქარე მინის ზედა ფენა დაიბზარა და აღარაფერი ჩანდა. ცდილობდა, ძრავა აემუშავებინა, მაგრამ რას აამუშავებდა, როდესაც თურმე ერთიანად დამტვრეული იყო.

ამ დროს მანქანაში ვისხედით მძღოლი გივი ელიზბარაშვილი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ვახტანგ ქუთათელაძე და მე.

დაცვის ბიჭები ბრძოლაში ჩაებნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ტერორისტთა ყურადღება მათზე გადავიდა და ჩემი გასრიალებული მანქანა მათი ყურადღების მიღმა დარჩა. ერთი ტერორისტიც რომ ყოფილიყო წინ, როცა გავჩერდით, იქვე ამოგვხოცავდა. მანქანას ცეცხლი ეკიდა და შიგ დარჩენა შეუძლებელი იყო, გადასვლაც — სახიფათო. ჩვენ არ ვიცოდით, ტრასაზე კიდევ ვინმე თუ იყო ჩასაფრებული. გველოდნენ, მაგრამ უკვე შორიდან, — იქ, ჩვენ უკან, დიდი ბრძოლა იყო და ჩვენთვის აღარ ეცალათ. მით უფრო, რომ ჩემს დაცვასაც, რომელსაც უკვე გასთავებოდა ტყვია-წამალი, ცენტრიდან გამოძახებულმა დამხმარე ძალამ მოუსწრო, ტერორისტები უკვე თავის გადარჩენისთვის იბრძოდნენ.

როცა ჩვენი მანქანა გაჩერდა, ვახტანგ ქუთათელაძემ შორიახლო გაჩერებული საგზაო პოლიციელი მოიხმო თავისი პატარა მანქანით.

იგი გაოგნებული იდგა, მაგრამ მაინც იყოჩაღა, თავისი მანქანა ისეთი კუთხით მოაყენა „მერსედესს“, რომ მე ტყვია არ მომწვდენოდა და მასში გადავსულიყავი. გადავსხედით იმ მანქანაში და სწრაფად წავედით კრწანისისკენ. გარიკ სიმონიანი იყო ეს პოლიციელი, თბილისელი სომეხი.

დღესაც ტკივილად მაქვს, რომ ამ ტერაქტს ჩემი დაცვის ორი წევრი შეეწირა, შესანიშნავი ბიჭები — კახა შევარდენიძე და დავით კოკაური. მძიმედ დაიჭრნენ და ძლივს გადარჩნენ ლადო კახეთელიძე და არჩილ საბედაშვილი. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, მანქანაში ყველას ამოგვხოცავდნენ...

ტერორისტთაგან ერთი კაცი დაიღუპა – რუსეთის მოქალაქე, რომელმაც, როგორც შემდგომში გაირკვა, ჩეჩნეთის ერთ-ერთ რუსულ ბაზაში გაიარა მომზადება. დანარჩენები გაიფანტნენ – სავარაუდოდ, ისინიც რუსული სამხედრო ბაზიდან გააპარეს.

ჩვენს გადარჩენაში, რა თქმა უნდა, მძღოლის, გივი ელიზბარაშვილის სიმშვიდემ და მოსაზრებულობამაც ითამაშა როლი, მაგრამ გადარჩენას არანაკლებ უნდა ვუმადლოდე თავად ჩემს მანქანას, შავი ფერის ჯავშნიან „მერსედესს“, რომელმაც, როგორც ცოცხალმა არსებამ, თავის თავზე მიიღო ნაღმსატყორცნიდან გამოსროლილი სამი ჭურვი, გაუძლო ავტომატის ტყვიების წვიმას, სალონში გაჩენილ ცეცხლს და ჩვენ არაფერი დაგვშავებია, მხოლოდ მძღოლი დაიჭრა მსუბუქად.

„მერსედესი“ და დაცვის კიდევ რამდენიმე ავტომანქანა ამერიკელების ნაყიდი იყო, აშშ-ის პრეზიდენტის განკარგულებით – მათ თავის თავზე აიღეს ჩემი დაცვაც და შესაბამისი ხარჯებიც. მერე ეს მანქანა „მერსედესის“ ქარხნიდან ჩამოსულმა ექსპერტებმა დაათვალიერეს, ვნახე მეც და გავოცდი – როგორ გადავრჩით და რამ გადაგვარჩინა. „მერსედესის“ კომპანიამ შემდეგ სამაგიერო დაჯავშნული მანქანა გამოგვიგზავნა, რისიც დიდი მადლიერი ვარ: იგი თითქმის ისეთივეა, ოღონდ ფერით ოდნავ განსხვავებული და ახლაც შესანიშნავად მემსახურება, მაგრამ იმ დამსხვრეული მანქანის მიმართ მაინც უფრო თბილი გრძნობა მაქვს – იგი ახლა ავტოფარეხში დგას, როგორც მატერიალური მოწმე კარგად მომზადებული და დაგეგმილი, მაგრამ ვერგანხორციელებული ტერაქტისა, რომელსაც, როგორც გაირკვა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის სამხედრო ბაზებში, ჩეჩნეთში ამზადებდნენ.

სხვათა შორის, ეს ტერაქტი წინა დღეს უნდა მოეწყოთ, მაგრამ ისე სწრაფად და მოულოდნელად გავედი იმ დღეს სამსახურიდან, რომ ტერორისტებმა, სიგნალის მიღების მიუხედავად, ვერ მოასწრეს ადგილზე გასვლა.

ტერაქტიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა, თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა, ევგენი პრიმაკოვმა, სამხედრო ტექნიკის დათვალიერების

დროს იქედნურად ჰკითხა სამხედროებს: „ეს ნაღმსატყორცნები თუ ტანკებს ანადგურებს, ჯავშნიან „მერსედესს“ ვერ ააფეთქებს?“

რა გითხრათ?... დამტვრეული მანქანა აქ არის და გადარჩენილი კაციც აქ ვარ. ღმერთმა გადამარჩინა.

რამდენიმე დღის შემდეგ, 13 თებერვალს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს ვუთხარი: „თავისი მასშტაბით, შესრულების დონით, ხარისხით, პროფესიონალიზმით ასეთი ტერაქტი მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმის ძალების დონეზე შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ ეს ძალები ძალზე ძლიერია, ჩვენ კი ცოტანი და ჯერჯერობით უძლურნი ვართ იმისათვის, რომ მათ შევეჭიდოთ. ყოველივე ეს ისეთ სფეროებშია დაგეგმილი, რომ მიუახლოვდე, კიდევ დრო არის საჭირო.“

მიუხედავად იმისა, რომ ტერაქტის ზოგი მონაწილე დავაკავეთ და გავასამართლეთ კიდეც, დამკვეთები მაინც უცნობნი დარჩნენ.

სხვათა შორის, ისევე როგორც უცნობნი დარჩნენ სომხეთის ერთერთი ბრწყინვალე ლიდერის, პარლამენტის თავმჯდომარის, კარენ დემირჭიანისა და პრემიერ-მინისტრ ვაზგენ სარქისიანის მკვლელობის დამკვეთნი: 2000 წელს მკვლელები შეიჭრნენ სომხეთის პარლამენტში და დამოუკიდებელი აზროვნებისა და დამოუკიდებელი კურსის გატარების სურვილის გამო ავტომატის ჯერით დაცხრილეს ისინი და პარლამენტის სხვა წევრები.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მე მეტად გულითადი ურთიერთობა მქონდა მაშინდელი სომხეთის ლიდერთან, კარენ დემირჭიანთან — დიდად განათლებულ და შინაგანი კულტურის მქონე ადამიანთან. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ იგი მცირე ხნით თავის სპეციალობას დაუბრუნდა — ინჟინერი იყო, მაგრამ შემდეგ პარლამენტში აირჩიეს. მისი დაკარგვა ჩვენი მოძმე ხალხისთვის დიდი დანაკლისი იყო. კარენ დემირჭიანის დაკრძალვის დღეს საქართველოში არჩევნები ტარდებოდა, ყველაფერი მივატოვე და ერევანში ჩავფრინდი, ჩემს მეგობარს გამოვეთხოვე.

ვიცი, სომხეთის დღევანდელი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბოლომდე მოეფინოს ნათელი ამ შემზარავ მკვლელობას, მინდა მას წარმატება ვუსურვო.

ტერაქტის მეორე დღეს თათბირს ვატარებდი, როდესაც თანამშრომელმა მითხრა, პირველ სართულზე უნდა ჩაბრძანდეთ, ელცინი გირეკავთო. ჩავედი და გავესაუბრე – გადარჩენა მომილოცა, მომიკითხა, მადლობა ვუთხარი. მისი ზარი არც გამკვირვებია – ადამიანურად ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებდა ერთმანეთთან და როგორც პიროვნება და სახელმწიფო მოღვაწე ჩემგან დავალებულიც კი იყო. თბილად მომიკითხა და როცა ის იყო, გამომშვიდობება დავაპირე, მითხრა: „მოიცადე, ნუ ჩქარობ, საქმე მაქვს“...

საუბარი კასპიის ზღვის ენერგომატარებლებს შეეხო. მითხრა: „ვიცი, თქვენ დაინტერესებული ხართ კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებით დასავლეთის მიმართულებით. იცოდეთ, რომ ეს არ მოხდება საქართველოზე გავლით“. როცა ვკითხე, რატომ-მეთქი, მიპასუხა: „იმიტომ, რომ ენერგომატარებლების ტრანსპორტირება მოხდება რუსეთის და არა საქართველოს ტერიტორიით“.

მე თავი ქუდში მქონდა: სულ მალე უნდა ამოქმედებულიყო ნავთობსადენი ბაქო-სუფსა, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა უკვე შეთანხმებული იყო. პროექტირების სტადიაში იყო ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი და მისი მშენებლობაც მალე დაიწყებოდა. ამიტომ ელცინთან კამათი არ დამიწყია, ერთი კი ვუთხარი, საქართველოს არც ნავთობი აქვს და არც გაზი, ხოლო თუ ვინმე ჩვენს ტერიტორიაზე გაატარებს ნავთობსადენსა და გაზსადენს, უარს ვერ ვეტყვით-მეთქი. გულში კი ვიფიქრე: „გიგანტური ქვეყანა ხართ, უდიდესი სატრანსპორტო პოტენციალით, დიდძალ ნავთობსა და გაზს ყიდით, მარცვლეულის პრობლემა არ გაგაჩნიათ და ელექტროენერგიის, ამ პატარა საქართველოს რას ჩააცივდით-მეთქი“. აღარ ვუთხარი არაფერი, საკითხი გადაწყვეტილი იყო და ასეც რომ არ ყოფილიყო, ჩეჩნეთის მოახლოებული ომის გამო პრობლემა თავისთავად იხსნებოდა დღის წესრიგიდან.

მთავარი მაინც ის იყო, რომ რაგინდ მუქარა წამოსულიყო რუსეთიდან, არ შემეძლო მეღალატა საქართველოს ინტერესებისთვის და ალიევისთვის მიცემული პირობა გამეტეხა, ზურგი შემექცია ამერიკისა და თურქეთისთვის, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ.

სამწუხაროდ, ელცინი ამ საუბრის დროს კომპარტიის ცეკას პირველი

მდივნის სტილში მელაპარაკებოდა, თითქოს რესპუბლიკის კომპარტიის მდივანს დირექტივას მაძლევდა. არადა, არ გვქონდა ასეთი ურთიერთობა. ყველაზე დიდი საფრთხის დროს მე, სიცოცხლის რისკის ფასად, მის გვერდით დავდექი.

თუმცა, მარტო მას არ დამართნია ასე. თითქოს სულითა და ხორცით რუსი დემოკრატები ველიკორუს შოვინისტებად გადაიქცევიან, როგორც კი საქმე რუსეთის იმპერიის ინტერესებს შეეხება: ხანდახან ასეც ხდება, რუსეთის დემოკრატია ხშირად მხოლოდ უცხოეთის თვალის ასახვევად მორგებულ ნიღაბს უფრო მოგაგონებთ.

არ შევუდგები იმის განსჯას, რამდენად იყო რუსეთი დაინტერესებული ჩემს წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტებით. ამ თავდასხმებს გაცილებით ფართო და შემაშფოთებელი კონტექსტი აქვს – ეს თანამედროვე ცივილიზაციაზე ტერორიზმის შეტევაა.

* * *

ტერორიზმის[30] ეპიდემიამ დღეს უკვე მსოფლიო მოიცვა. ეს, ფაქტობრივად, ახალი მსოფლიო ომის გამოცხადებაა, რომელშიც არ ჩანს მტერი და რომელსაც შეიძლება ყველა ემსხვერპლოს. ტერორისტი, ყველა რელიგიური დოგმისა და ეთნიკური იმპერატივის საწინააღმდეგოდ, არ ინდობს არავის – არც სხვასა და არც საკუთარ თავს.

უშუალოდ ტერორისტებთან ბრძოლა სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია იმ სოციალურ და პოლიტიკურ მიზეზებთან ბრძოლაც, რომლებიც ტერორიზმს ბადებს, ადამიანებს მკვლელობისა და თვითმკვლელობის იქით სხვა გზის დანახვის უნარს უსპობს.

როგორც ზემოთ ითქვა, თავის დროზე ჩეჩნები და, საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, რომელთაც მეფის რუსეთი „ველურებს“ უწოდებდა და შესაბამისად ეპყრობოდა, ჩრდილო კავკასიის ყველაზე ნოყიერ მიწებზე ცხოვრობდნენ – დაბლობზე. რუსეთმა ისინი ამ მიწებიდან განდევნა და მთებში არეკა. ეს იყო კავკასიური ომების ათწლეულები (1817-64), რომელთაც სხვადასხვა დროს რუსეთის

[30] წაკითხულია 2004 წლის 23 ოქტომბერს, მიუნხენში, საერთაშორისო კონფერენციაზე.

ყველაზე ცნობილი მხედართმთავრები ხელმძღვანელობდნენ – სუვოროვი, ერმოლოვი და სხვები. გენერლების ერთი ნაწილი რომ კავკასიას იპყრობდა, მეორე ამბოხებულ პოლონეთს არჯულებდა. დრო იყო ასეთი, დაპყრობებისა და მიწათშეკრების დრო. აქ არაფერი ხდებოდა ისეთი, რაც სხვაგან არ მომხდარა, მაგრამ ხდებოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და შეურიგებლობით.

დღევანდელი მუსლიმანური ექსტრემიზმის და აქედან ტერორიზმის სათავე ჩრდილო კავკასიაში იქნებ იქიდანაც მოდის, იმ შეურიგებლობიდან, როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ – ჩრდილოკავკასიელი, აფხაზი თუ ქართველი მოსახლეობის მუსლიმანური ნაწილი სახელმწიფოდან გაასახლეს და მუჰაჯირებად აქციეს. ამ ომებისა და უბედურების შედეგად საერთოდ გაქრა, მაგალითად, ერთერთი ჩრდილოკავკასიელი ხალხი – უბიხები, ისევე როგორც უამრავი ხალხი გაქრა რუსეთის აღმოსავლეთის სიღრმეში, ციმბირში.

იმპერატორების დაწყებული საქმე მოგვიანებით სტალინმა გააგრძელა, როდესაც არალოიალურობის საბაბით და მისი ბრძანებით, მეორე მსოფლიო ომის დროს ჩეჩნები და კავკასიის სხვა ხალხები ერთ ღამეში ყაზახეთსა და ცენტრალური აზიის ტრამალებში გადაასახლეს. სტალინის სიკვდილის შემდეგ უკან დაბრუნებულ ჩეჩნების ოჯახებს თავიანთ სამოსახლოზე სხვები დახვდნენ.

ეს ამბები ევროპაში ნაკლებად იციან. კავკასიაში იშვიათად დადიან ტურისტები, ხოლო კავკასიის ისტორია არ წარმოადგენს დასავლეთის ისტორიის იმ ნაწილს, რომლის ცოდნაც საშუალო ევროპელს მოეთხოვება. სამწუხაროდ, ბევრი ევროპელისთვის კავკასია უცხოა.

ამგვარად, ჩეჩნეთში შეფარულად თუ აშკარად მუდმივად ფეთქავდა ტკივილი ისტორიული უსამართლობის გამო, თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა მოკლული, დასახიჩრებული ან დაპატიმრებული წინაპარი. ჩეჩნებისა და რუსების მომავლისათვის საჭირო იყო, ორივე მხარე გათავისუფლებულიყო წარსულის ამ კოშმარისგან. შესაძლებელი იყო თუ არა ეს? დარწმუნებული ვარ, შესაძლებელი იყო, თუკი თანმიმდევრულად და განუხრელად გაგრძელდებოდა ის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთში „გლასნოსტის“ სახელით იცნობენ.

ამ პოლიტიკას საფუძვლად ედო მიდგომა, რომელიც საკუთარზე

ზრუნვასთან ერთად, განსხვავებულის პატივისცემასაც გულისხმობს. ის, რაც „აქ" და „ახლა" „სხვაა" ჩემთვის – არსებობს, მიუხედავად იმისა, მომწონს თუ არა და ანგარიშს გავუწევ თუ არა, ჩემივე მომავლისათვის უმჯობესია, თუ ამ „სხვის" გაცნობასა და შეცნობას შევეცდები. ასეთი მიდგომა მშვიდობის უფრო ძნელად მისაღწევი, მაგრამ ამასთან უფრო მყარი გარანტიაა, ვიდრე ძალადობასა და დათრგუნვაზე დაფუძნებული სტრატეგია. „გლასნოსტი" სხვა არაფერია, თუ არა წარსულის რეალურად გააზრება, სხვასთან დიალოგი, მიჩქმალულის წარმოჩენა და ახალი აზროვნება ხანგრძლივი, მტკიცე მშვიდობისათვის.

რუსეთს შეეძლო ჩეჩნებისათვის ბოდიში მოეხადა მათ წინააღმდეგ წარსულში განხორციელებული ეთნოწმენდის გამო. დიპლომატია და მოლაპარაკებები შეზღუდავდა ჩეჩენი ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში ჩარჩენილი ამ ტკივილის ხელახალი გაღვივებისა და შურისძიების მოთხოვნილებად ქცევის შესაძლებლობას. რუსეთის იმპერიულმა გათვლებმა კი პირიქით, სწორედ აგრესიისა და სეპარატიზმის წაქეზება მოახდინა, ოღონდ ამ ინსპირირებული აგრესიისათვის მიმართულება უნდა შეეცვალათ: სამიზნე რუსეთის მაგივრად სხვა ქვეყანა უნდა გამხდარიყო, კერძოდ, საქართველო, სამხრეთ კავკასიაში მდებარე უძველესი კულტურის პატარა ქვეყანა, რომელმაც რუსეთის მიერ მის მიმართ განხორციელებული ანექსიიდან 70 წლის შემდეგ ის-ის იყო, კვლავ აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავი დააღწია ძალადობით თავს მოხვეულ დიქტატს.

რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა – ანუ რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ხალხთა – კონფედერაცია, რომლის დედაქალაქადაც, როგორც ზემოთ ითქვა, სხვა ქვეყნის, საქართველოს ერთ-ერთი მიწის – აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი გამოცხადდა. კონფედერაციას ერთი „უმნიშვნელო" დეტალიღა რჩებოდა შესასრულებელი – ხსენებული ქალაქისა და მიწის დაპყრობა. პარალელურად, რუსეთის სპეცსამსახურები ყოველმხრივ აქეზებდნენ სეპარატიზმს ეთნიკურ აფხაზთა შორის, რომლებსაც საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლის საფასურად ჯილდოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შემადგენლობაში ჰეგე-

მონის როლს ჰპირდებოდნენ. ასე დაიწყო რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც აფხაზეთ-საქართველოს ომის სახელით შევიდა ისტორიაში და რომელშიც რუსეთმა თავისი იარაღით ქართველების წინააღმდეგ, დაქირავებული რუსი მეომრების გარდა, ძირითადად, ჩეჩენთა შეიარაღებული ფორმირებები აომა.

რუსეთში ამით ორ კურდღელს იჭერდნენ: 1. თავიდან იცილებდნენ ჩრდილოკავკასიელთა შეიარაღებულ გაერთიანებებს – მოსახლეობის აქტიურ და დაუსაქმებელ ნაწილს; 2. ქმნიდნენ წინა პირობას შავ ზღვაზე გასასვლელი პლაცდარმის – აფხაზეთის – ხელში ჩასაგდებად.

ორივე მიზანი მიღწეულ იქნა. ის, რაც აფხაზეთში მოხდა, იყო უმაღლეს დონეზე დაგეგმილი და დაფინანსებული სახელმწიფო ტერორი საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთმა მოახერხა აფხაზეთის ფაქტობრივი სეპარირება დანარჩენი საქართველოსგან, ხოლო ახლახან აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგებით, სატრანსპორტო მიმოსვლის გახსნითა და უძრავი ქონების მასობრივი შესყიდვით რუსეთმა უკვე დაუფარავად მოახდინა თავისი ჩანაფიქრის დემონსტრირება.

სამას ათასამდე ეთნიკური ქართველი გამოდევნეს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მიწიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ. უკვე ითქვა, რომ ბევრი მათგანი მთიან გზაზე სიცივისა და შიმშილისაგან დაიღუპა. ეს იყო რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების, საზღვაო-საავიაციო და სახმელეთო შენაერთების მონაწილეობით წარმართული ომის შედეგი.

ჩემ მიერ გაეროს სესიაზე 1992 წელს წარდგენილი მოხსენება იყო ახალი, მაგრამ ნახევრად დანგრეული საქართველოს მეთაურის პირველი გამოსვლა ამ ორგანიზაციაში. სწორედ ამ გამოსვლაზე გავაფრთხილე მსოფლიო საზოგადოება იმ გლობალური საშიშროების შესახებ, რომელიც სეპარატიზმში, ტერორიზმში, დივერსიებსა და მძევლად აყვანაში ელინდება და მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოვუწოდე. შემდეგ კიდევ ორჯერ, სხვადასხვა დროს, ჩემი მოთხოვნით მოიწვიეს უშიშროების საბჭოს ორი სხდომა, რომლებზეც იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებს ვეხებოდი. ვერ კიტყვი, რომ რეაქცია არ მოუხდენიათ – ოცდარვა რეზოლუცია მიიღო უშიშროების საბჭომ, ოღონდ ეგ არის, ფაქტობრივად, არც ერთი არ შესრულებულა.

მსოფლიო ისტორია გვასწავლის, რომ ყველა დიდ მოვლენას თან სდევს საწინააღმდეგო, საერთო ჯამში, კაცობრიობისათვის მიუღებელი ტენდენციებიც.

მაგალითად, „ცივი ომის“ დამთავრებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წარმოქმნის ფონზე არნახული მასშტაბები მიიღო სეპარატისტულმა მოძრაობამ და ტერორიზმმა. ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ საბოლოო ჯამში ერთი წარმოშობს მეორეს, ხოლო მეორე, ე. ი. ტერორიზმი, ხშირად იკვებება აგრესიული სეპარატიზმის ნოყიერი ნიადაგით. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიომ ვერ დააკავშირა ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან, ამიტომაც მე დავასკვნი — სანამ იარსებებს აგრესიული სეპარატიზმი, როგორც მოძრაობა, ტერორიზმის საფრთხისგან არ ვართ დაზღვეულები. ამასთან, პირველ რიგში, სწორედ სეპარატიზმის ხელშემწყობი სახელმწიფოები და ხალხები ზარალდებიან, გარდა ცალკეული გამონაკლისისა.

2004 წლის სექტემბერში საქართველოს ახალი პრეზიდენტიც გამოვიდა გაეროს სესიაზე და ყველა საკითხი, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე, მწვავედ დააყენა. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამას.

იქნებ იმხანად, 1992 წელს, რუსეთის მიერ ჩეჩნეთის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ ვინმემ პოლიტიკური მოქნილობის ეტალონადაც კი მიიჩნია, მაგრამ ჩემთვის ამ მანევრის დღემოკლეობა იმთავითვე ცხადი იყო. უზნეო პოლიტიკა უპერსპექტივოა. ისტორიულ უსამართლობას — წარსულში რუსეთის მიერ ჩეჩნეთში გატარებულ ეთნოწმენდას, ვერ გააწონასწორებდა ახალი უსამართლობა — ჩეჩნების მონაწილეობით ჩატარებული ეთნოწმენდა საქართველოს ერთერთ კუთხეში. ამიტომაც მივმართე 1993 წელს რუსეთს მთელი მსოფლიოს გასაგონად: ყველაფერი ეს თქვენვე ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ-მეთქი. ასეც მოხდა, სამწუხაროდ, ჩემი წინასწარმეტყველება ახდა. დაიწყო ჩეჩნეთ-რუსეთის ომი.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის გამოცდილება ჩეჩენი ეროვნების ტერორისტებმა აფხაზეთში ქართველთა განადგურებისას სრულყვეს, არც მე და არც ქართველ ხალხს არ გაგვიიგივებია ჩეჩნეთი და ტერორიზმი. ჩვენ შევიფარეთ ჩეჩენი ლტოლვილები, როდესაც ისინი რუსმა შეიარაღებულმა ძალებმა ზამთარ-

ში სამშობლოდან საქართველოში გამოდევნეს (დაახლოებით 10 ათასი კაცი). გვიჭირდა, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, ლტოლვილი დაჭრილების, ქალების, ბავშვებისა და მოხუცებისთვის საზღვარი ჩაეკეტა ან საკუთარი მწირი ულუფა არ ეწილადა. ისიც უნდა ვთქვა, რომ როდესაც რუსეთმა აქეთ შემოგვიტია მათ გამო, ტერორისტებს იფარავთო, ყველა ჩეჩენი მამაკაცი, ვისაც კი სიარული შეეძლო, თავად გაერიდა საქართველოს, რათა ჩვენთვის პრობლემები არ შეექმნა.

ვშიშობ, რომ ევროპა არც საქართველოს იცნობს კარგად, რაც ერთობ დასანანია. საქართველო წინათაც და ახლაც ევროპის ნაწილად თელიდა თავს თავისი წინარექრისტიანული და ქრისტიანული კულტურით, თავისი მენტალიტეტით, თავისი სახელმწიფოებრივი მიზნებით და ამიტომ იმ გლობალურ საშიშროებასთან ბრძოლა, როგორიც ტერორიზმია, მისი, როგორც ევროპული ქვეყნის უპირველესი ვალია. ტერორიზმი იმ კულტურას ანგრევს და სპობს, რომელსაც სწორედ ევროპულ ცივილიზაციაში აქვს ფესვები გადგმული.

საერთაშორისო ტერორიზმის დაძლევაში ყველა ცივილიზებულმა ქვეყანამ უნდა თქვას თავისი სიტყვა, მაგრამ გამორჩეული როლი მაინც ევროპასა და აშშ-ს ეკისრებათ. ჩემი წინადადებაა, ევროპაში შეიქმნას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ცენტრი სათანადო ფილიალებით ყველა იმ ქვეყანაში (მათ შორის, საქართველოშიც), რომელიც მართალია, ევროკავშირის წევრი არ არის, მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი სისტემის წევრობას მოინდომებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით, ეს ორგანიზაცია უნდა გახდეს ძლიერი სტრუქტურა, რომლის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულო იქნება უკლებლივ ყველა მონაწილე ქვეყნისთვის. ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ტერორიზმის ნაირსახეობების, მათი კერებისა და წარმომშობი მიზეზების შესწავლისა და მიღებული დასკვნისა თუ ინფორმაციის გავრცელების ფართომასშტაბიანი პროგრამა. ასეთი ორგანიზაცია:

1. ხელს შეუწყობს ტერორიზმის წინააღმდეგ ევროკავშირის ქვეყნების კოორდინირებულ და შეთანხმებულ ქმედებას;

2. დააჩქარებს იმ ქვეყნების კულტურის, ტრადიციებისა და ისტორიის ყველაზე არსებითი ასპექტების შესახებ ადეკვატური ცოდ-

ნის გავრცელებას ევროპაში, რომლებიც არ შედიან — ან ჯერ არ შედიან — ევროპის კავშირში.

დარწმუნებული ვარ — „სხვათა", ჩვენგან განსხვავებულთა, ჩაღრმავებული გაცნობითა და შესწავლით აღმოვაჩენთ, რომ ის, რაც უცხოა ჩვენთვის, ასევე უცხო და მიუღებელია მათთვისაც, ვის ეროვნებასაც ან რელიგიასაც არიან ამოფარებულნი ტერორისტები. ისლამი განსხვავდება ქრისტიანობისაგან, მაგრამ დიალოგი დაგვარწმუნებს, რომ 11 სექტემბრის შემზარავი და გამანადგურებელი ფანატიზმი და ბესლანის საშინელება მხოლოდ ქრისტიანებისთვის კი არ არის მიუღებელი, არამედ მუსლიმანებისთვისაც. აგრესიული ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი ისევე მტრობს ისლამს, როგორც ქრისტიანობას.

ბესლანის შემაძრწუნებელი ტრაგედია მხოლოდ ჩვენთვის კი არ არის დაუჯერებელი კოშმარი, არამედ უპირველესად იმ ხალხისთვის, რომელთა წარმომადგენლებიც ამ ტერაქტის უკან მოიაზრებიან — მთის კავკასიური ღირსების კოდექსის მიხედვით ბავშვი ხომ უმაღლესი და ხელშეუხებელი ფასეულობაა.

გაერთიანებული ევროპის თითოეული ქვეყანა თავისებური და სხვისგან განსხვავებულია, მაგრამ სხვაობის მიუხედავად, ისინი უცხონი არ არიან ერთმანეთისთვის. ევროპის ქვეყნებს არ დაუძლევიათ სხვაობა, მაგრამ დაძლიეს უცხოობა. ეს არის ახალი ევროპის უდიდესი, სამაგალითო მიღწევა და სწორედ ამ დიდებული სამშვიდობო მუხტით უნდა მიიღოს ახალმა ევროპამ ახალი საუკუნის მთავარი გამოწვევა და დასძლიოს საერთაშორისო ტერორიზმი.

სრულიად ბუნებრივია, რომ ახალი ევროპა ახლა საკუთარი თავით არის დაკავებული. აი, მაგალითად, გერმანიაში ფართომასშტაბიანი რეფორმები მიმდინარეობს. ვიმეორებ, ყველასათვის გასაგებია, რომ ევროპა ახლა „თავის თავშია ჩაკეტილი", მაგრამ სულ მალე ის კვლავ „გაიხსნება". ჩემი მეგობარი ჰანს-დიტრიხ გენშერი — ეს სრულიად გამორჩეული პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე — დამემოწმება, რომ როცა კოლეგებთან ერთად საზღვრებს ეხსნიდით და ახალი მსოფლიო წესრიგის კონცეფციას ხორცს ვასხამდით, ის როდი გვქონდა დასახული მიზნად, რომ გერმანიის გაერთიანებისა და

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დასავლური ღირებულებების დანერგვის შემდეგ გაერთიანებული ევროპა „თავის თავში ჩაკეტილიყო.“ როცა „ცივი ომის“ დაძლევა დავისახეთ მიზნად, ეს ჩვენთვის „ცივი ომის“ დასრულების პროცესს ნიშნავდა და არა „ცივი ომის“ ფრონტის ხაზის გადაადგილებას.

ჩემი წიგნის დასასრულს, მსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ მწამს – მსოფლიო ევროპისგან ელის წამყვანი როლის შესრულებას ტერორიზმის დაძლევაში, ხოლო გზა შიშისაგან თავისუფალი, მშვიდობიანი მსოფლიოსკენ, კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგზე და ისევ და ისევ დიალოგზე გადის (უფრო დეტალურად – ჩემს „ბოლოთქმაში“)

ეს არის რწმენა ადამიანისა, რომელიც მასზე განხორციელებული ტერორისტული აქტების მიუხედავად, სამჯერ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს; ადამიანისა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში განუწყვეტელი ცილისწამების სამიზნე იყო (მე ამას მორალური ტერორი ვუწოდე) და რომელიც ამაყობს იმით, რომ კრიტიკულ ვითარებაშიც კი უსისხლოდ ახერხებდა ადამიანთა ბედის განმსაზღვრელი მოვლენების მართვას, თუნდაც პირადი ძალაუფლებისა და მდგომარეობის დათმობის ხარჯზე; ადამიანისა, რომელიც ამ ყველაფრის გამო დამარცხებულად კი არ გრძნობს თავს, არამედ – გამარჯვებულად; თანაც არა მარტო მორალურად, არამედ პოლიტიკურადაც, რადგან დარწმუნებულია, რომ ის მსოფლმხედველობა, რომელსაც თავის კოლეგებსა და თანამოაზრეებთან ერთად ხორცს ასხამდა, მალე კვლავ იდეალად დაისახება და ჩვენი საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკური თანაცხოვრების ნორმად გადაიქცევა.

ბოლოთქმა
ანუ ბარათი შთამომავლობას

ამ ბარათს ჩემი თანამედროვეებისა და შორეული შთამომავლობისთვის ვწერ, ოცდაშვიდე საუკუნის გარიჟრაჟზე, კრწანისის ჩემს რეზიდენციაში. თბილისური შემოდგომის თბილი დილაა, საოცარი სიწყნარეა ირგვლივ, თითქოს ფოთლების გადაჩურჩულებაც ისმის, გინდა გაირინდო და სამყაროს სიჩუმეს ყური მიუგდო, სამყაროს დიდსა და მდუმარე ფიქრს, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მოდის და საუკუნეების იქით გრძელდება, ჩვენ კი, ამქვეყნად დროებით მოსულთ, მხოლოდ ის დაგვრჩენია, ამ მიმქროლავ წამში გავირინდოთ და ვიგრძნოთ მისი სიდიადე. ეს არის და ეს.

მოგონებათა ამ წიგნში ჩემი დროის, მსოფლიოს, ჩემი ქვეყნის, ჩემი ოჯახის, ჩემი საქმის, ჩემი თანამებრძოლების, მტრებისა და მეგობრების შესახებაა მოთხრობილი. მინდა მკითხველმა იცოდეს, რაც იყო და როგორც იყო. ისტორიული მეხსიერების გარეშე ხომ არც აწმყო არსებობს და არც მომავალი.

იყო დრო, როდესაც ვფიქრობდი, რომ ცივი ომის დამთავრებას, სამხედრო ბლოკების დაპირისპირების დაძლევას, საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა დათბობას დასავლეთთან თუ მსოფლიოს სხვა რეგიონებთან, გერმანიის გაერთიანებას, საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაციას, ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას სამუდამო თუ არა, ხანგრძლივი და გარანტირებული მშვიდობა მაინც მოჰყვებოდა. თითქოს ასეც ჩანდა, მაგრამ ეს ამოსუნთქვა დროებითი და ხანმოკლე გამოდგა, ერთი ტიპის კონფლიქტებს, მეორე ტიპის კონფლიქტები ჩაენაცვლა. მართალია, „ბოროტების იმპერია“ დაინგრა, მაგრამ მის მიერ მსოფლიოში დატოვებულმა ნაღმებმა პერმანენტულად დაიწყეს აფეთქება ზუსტად გათვლილ ადგილსა და დროში, უპირატესად საბჭოთა იმპერიის ადგილზე წარმოშობილ სახელმწიფოებში. თხუთმეტია ასეთი სახელმწიფო, დემოკრატიის თავისი გაგებითა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების თავისი ძნელი გზით.

ჩემი საქართველო ამ თხუთმეტიდან ერთ-ერთია და მისი აწმყო და მომავალი ჩემთვის იმ ტკივილად და დარდად რჩება, რომელიც სიბერეს გაუსაძლისს ხდის, რადგან ველარაფერს შევცვლი, სა-

ფრთხეებს თავიდან ვერ ავიცილებ. ახალ დროს ახალი ადამიანები სჭირდება.

ამ წიგნმა იქნებ ჩააფიქროს ამ ყოველივეზე ის ჩვენი ლიდერები, რომელნიც ხვალ მოვლენ ახალი ქვეყნის შემოქმედად, თავიანთი ხალხების გამორჩეულ წარმომადგენლებად, ფორმალურ თუ არაფორმალურ ხელმძღვანელებად, თავიანთი დროისა და ქვეყნის ინტერესთა საუკეთესო გამომხატველებად, მსოფლიო ცნობიერების ადამიანებად. მათ სრულად უნდა გაიაზრონ წარსული, რომ აწმყოს მართვა და მომავლის განჭვრეტა შეძლონ. მათ უნდა ი ც ო დ ნ ე ნ, რომ ახლანდელ თუ მომავალ პრობლემათა და საფრთხეთა ნაწილი ლოკალურია და მხოლოდ ჩემი ქვეყნითა და ხალხითაა ზღვარდადებული, მაგრამ არის პრობლემები და საშიშროებანი, რომელთაც გლობალური ხასიათი აქვთ და ჩემი ქვეყნის გარდა მთელ მსოფლიოს ემუქრებიან, მეტიც, უკვე ახლა იმ უბედურებად გვევლინებიან, ასიათასობით ადამიანის სიცოცხლეს რომ იწირავენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განვითარებად თუ განვითარებულ ქვეყნებში.

რა იქნება ორმოცდაათი-ასი წლის შემდეგ? როგორი იქნება მსოფლიო? როგორი იქნება მსოფლიოს დემოგრაფიული და პოლიტიკური სახე? როგორი იქნება ადამიანი? რას იტყვიან ჩვენი შთამომავალნი წარსულსა და ჩვენზე?

ბევრი რამ, რაც დღეს დიდ ვნებათაღელვას იწვევს, ალბათ არც დააინტერესებთ, ბევრი რამ ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ორ პწკარში ჩაეტევა, ზოგჯერ სულაც მშრალ სტატისტიკურ ინფორმაციად („2005 წელს ცუნამიმ, ქარიშხლებმა და წყალდიდობებმა აზიასა თუ ჩრდილოეთ ამერიკაში ასიათასობით ადამიანი იმსხვერპლა და მილიონობით დოლარის ზარალი მიაყენა ამ რეგიონების ქვეყნებსა და მსოფლიოს ეკონომიკას“) და გლობალური დათბობით გამოწვეული ამ კატასტროფის პიროვნული ტრაგედიები მაშინ აღარავის შეძრავს, მათთვის ძალზე შორეული და სტატისტიკური ხასიათის იქნება ეს ყოველივე. მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, იმ ხუთი პწკარის წამკითხველიც შეიძლება აღარ დარჩეს. 2005 წლის მოვლენები დიდი გაფრთხილებაა მსოფლიო წარღვნის წინ, ისევე, როგორც გაფრთხილებაა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი.

დღევანდელ მსოფლიოს, სამწუხაროდ, ეს ტრაგიკული რეალობა სრულად გააზრებული არა აქვს, იგი ბრმა სიჯიუტითა და უფრო დიდი ინტენსივობით აგრძელებს იმ საქმიანობას, რაც გლობალური დათბობის ეფექტს უფრო და უფრო დამანგრეველსა და შეუქცევადს გახდის: ერთნაირად გაწყდება ყველა, ყველა თაობის ადამიანი, ყველა რელიგიის აღმსარებელი, კეთილიცა და ბოროტიც, ჯანმრთელიცა და ავადმყოფიც, ქალი და კაციც, ტერორისტიცა და ტერორიზმის მომავალი მსხვერპლიც.

გამოსავალი აქ ერთადერთია – ყოველი ადამიანისთვის, ყოველი სახელმწიფოსთვის, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, გაეროსთვის, იუნესკოსთვის, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გლობალური დათბობის პრობლემა უპირველეს სასიცოცხლო პრობლემად უნდა იქცეს, ყველა რესურსი უნდა მოხმარდეს ამ მოვლენის შეჩერებას და გლობალური დათბობის თავიდან აცილება პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა დაკანონდეს – ყველასათვის, ყველგან და ყოველთვის.

უნდა შედგეს მსოფლიო პროგრამა – თავისი მეცნიერული ეკონომიკური და ფინანსური უზრუნველყოფით, უნდა შეიცვალოს თავად ადამიანთა ცხოვრება, ბუნებისგან გაუცხოება უნდა შეცვალოს ბუნებასთან ერთობის განცდამ. ჩვენ დავივიწყეთ ის, რაც იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და უნდა აღვიდგინოთ ეს ყოველივე.

ეს არის პრობლემათა პრობლემა, რომელსაც უკვე თქვენ უნდა მოერიოთ – ოცდამეერთე საუკუნის თაობები, განსხვავებული მენტალიტეტის, განსხვავებული შესაძლებლობების, განსხვავებული პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები.

მსოფლიოს მომავალზე ბედის განმსაზღვრელ გავლენას იქონიებს მეორე გლობალური საკითხი – დემოგრაფიული პრობლემა, რომელსაც უკვე თავისი კორექტივები შეაქვს მსოფლიო გადანაწილებაში, რასებისა და ცივილიზაციათა ბედში. უმართავი დემოგრაფიული პროცესები ოცდამეერთე საუკუნეში შიგნიდან ააფეთქებს ადამიანურ ცივილიზაციას, რადგან „სარეცელზე მოპოვებული გამარჯვებანი თუ დამარცხებანი“ ფაქტობრივად განსაზღვრავს კაცობრიობის მომავალს და აქ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმას, ვის რა წვლილი აქვს შეტანილი კაცობრიობის ისტორიაში, როგორია მისი ინტელექტუალური თუ ტექნოლოგიური პოტენციალი, ვინ უფრო

ძლიერია, ვინ უფრო მდიდარი და ა.შ. ევროპას, ისევე როგორც რუსეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იაპონიას და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება და მათი კულტურა, ამ კულტურათა წარმომადგენლებთან ერთად მოისპობა, თუ რაღაც პრინციპულად არ შეიცვალა და რაღაცამ რადიკალურად არ იმოქმედა ამ პროცესზე.

საქართველოსაც და ქართულ კულტურასაც იგივე ემუქრება. დემოგრაფიული მონაცემებით „დღეისათვის საქართველოს მოსახლეობა ოთხ მილიონს შეადგენს". საბჭოთა კავშირის დროს 5 მილიონზე მეტი იყო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვარაუდით – 2025 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3.745 მილიონი იქნება, ხოლო 2050 წლისთვის - 2.756 მილიონი. რა იქნება 3000 წელს? ვიქნებით თუ არა?

რუსეთის მოსახლეობა 2050 წლისთვის 147 მილიონიდან 114 მილიონამდე შემცირდება, ხოლო მის მეზობლად ჩინეთის მოსახლეობა 250 მილიონით გაიზრდება (Патрик Дж. Бьюкенен, Смерть Запада, АСТ, М., 2004, გვ.147). მოსახლეობის სერიოზულ ზრდას ექნება ადგილი სხვა აზიურ ქვეყნებშიც.

ნებისმიერ ერს უნდა ჰქონდეს გარანტია იმისა, რომ მის არსებობას, მის კულტურას, მის ტერიტორიას საფრთხე არავისგან დაემუქრება, არც გარე და არც შიდააგრესიისგან. მას უნდა ჰქონდეს საკუთარი უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერის იმედი.

ადგილობრივ ეთნოსსა და კულტურასთან ვერშეთვისებული ეთნოსი და კულტურა ადრე თუ გვიან იწყებს მასთან ბრძოლას საუკეთესო ადგილისათვის, საუკეთესო ისტორიისთვის, ტერიტორიისთვის. სწორედ ასე ხდება ადგილობრივი ეთნოსის ისტორიის დავიწყება.

იმიგრანტთა და მათ შთამომავალთა შეჯახება აბორიგენული მოსახლეობის კულტურასთან არის ცივილიზაციათა იმ ომის ერთი გამოვლინება, რომელიც უკვე მიმდინარეობს და ამ საუკუნეში უფრო გამძაფრდება.

თუ რაიმე პრინციპულად არ შეიცვლება, თუ მიზანმიმართულად არ წარიმართება პროცესი აბორიგენული და მოსული კულტურებ-

ისა და ეთნოსების დაახლოებისა, საერთო-სახელმწიფოებრივი ფასეულობების მონახვისა, საერთო-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისა, მაღალი კულტურის ევროპული ერები ევროპაში უმცირესობაში აღმოჩნდებიან და დამარცხდებიან. 2005 წლის პარიზის ცეცხლიანი ნოემბერი ამ მოვლენის მწვავე ნიშანია და აშკარა გამოწვევა. თუ ევროპას უნდა თავი გადაირჩინოს, ამ გამოწვევას ადეკვატურად უნდა უპასუხოს.

იფიქრეთ და იზრუნეთ ამაზე.

იფიქრეთ, როგორ შეინარჩუნოთ ოჯახის, სიყვარულის, მეგობრობის, ადამიანურ ურთიერთობათა ეროვნული ტრადიციები, გაუფრთხილდით ეროვნულ თავისებურებებს, რისთვისაც მსოფლიოს მოსწონხართ, ნუ იქნებით შეუწყნარებელნი, მაგრამ ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, ეროვნული ფასეულობებისა და მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვართა თანხმობაში იცხოვრეთ, იმ ფასეულობათა შესაბამისად, რომელთაც თქვენი ქვეყანა და თქვენი ერი ოცდამეერთე საუკუნეში მოიყვანეს.

თქვენ ბედნიერები ხართ, რომ ღვთის ნებით სწორედ თქვენ მოევლინეთ ამ მშვენიერ ქვეყანას და ეცადეთ სრულად გამოავლინოთ თქვენში ღვთით ჩადებული მადლი, ეცადეთ იყოთ სანიმუშო წარმომადგენლები თქვენი ერისა, ისწავლეთ თქვენი ქვეყნის და სხვა ხალხების სიყვარული და თქვენს შთამომავლობასაც ასწავლეთ.

ადამიანთა სიყვარული კონკრეტული ადამიანის სიყვარულით იწყება, მსოფლიოზე ზრუნვა — საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვით და კაცობრიობის გადარჩენა — საკუთარი ერის გადარჩენით. ეს ყველაფერი ძველი შეგონებანია, ისევე როგორც ის, რომ მათ უგულებელყოფას უბედურების მეტი არაფერი მოუტანია კაცობრიობისთვის.

სწორედ ამ გზით შეიძლება დაიცვათ თქვენი ერი და კულტურა იმ კიდევ ერთი საფრთხისგან, რომელსაც გლობალიზაცია ჰქვია. გლობალიზაციის პროცესი უდიდეს გავლენას ახდენს დღევანდელ მსოფლიოზე თავისი არსებითად დადებითი, მაგრამ უარყოფითი გამოვლინებითაც. ამას დიდი სიკეთეც მოაქვს და დიდი ბოროტებაც, გააჩნია, როგორ მიესადაგები, სად და როგორ მოძებნი შენს ადგილს იმ რთულ ეკონომიკურ, ფინანსურ, პოლიტიკურ პროცესში, რომელიც ამდიდრებს და აღარიბებს ქვეყნებს, აძლიერებს და ასუსტებს ეკონომიკას,

სპობს და ავითარებს ეროვნულ კულტურას, მოქმედებს პოლიტიკაზე, მორალზე, საზოგადოების მენტალიტეტზე.

მოკლედ, საფიქრალი ბევრია, ერთად საფიქრალი და გასაკეთებელიც — ბევრი. ყველა ქვეყანამ აქ თავისი გზა უნდა მოძებნოს და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ერევიან ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში, უნდა გაითვალისწინონ ჩვენი ეროვნული ტრადიციები, თავისებურებანი და შესაძლებლობანი.

საქართველოსა და ქართველებისთვის გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული გადარჩენის გზა იმ მეცნიერული, კულტურული თუ ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებასა და გაძლიერებაშია, რაც საუკეთესოდ გამოარჩევდა საქართველოს სხვა სახელმწიფოებისგან.

მსოფლიოში სახელგანთქმული სამეცნიერო სკოლები, კულტურული ცენტრები შენარჩუნებულ უნდა იქნეს, ტრადიცია — გაგრძელებული, ახალგაზრდობა ყმაწვილობიდანვე შერჩეული, განსწავლული და წახალისებული.

ეს ყველაფერი ჩემი ქვეყნისთვის ერთ მთლიან კულტურულ-სამეცნიერო-საგანმანათლებლო-ეკონომიკურ და ფინანსურ სახელმწიფო პროგრამად უნდა იქცეს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება თაობათა სისტემური მონაცვლეობის მექანიზმი, რათა თაობათა შორის წყვეტა გამოირიცხოს. ამის ტრადიცია ქვეყანას აქვს და მისი გაგრძელება აუცილებელია.

გლობალიზაციის ერთ-ერთი უარყოფითი გამოვლენა ისიც გახლავთ, რომ ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები თავისი ტექნოლოგიების მიღმა და მათი მეშვეობით ხშირად უპირისპირდებიან ტექნოლოგიურად განუვითარებელი ან ნაკლებგანვითარებული ქვეყნების კულტურებს. ეს პროცესი უნდა შეჩერდეს და მასში უპირატესობა მიეცეს იმ ფასეულობების მოფრთხილებასა და გადარჩენას, რომელნიც ამა თუ იმ ერს უნიკალურ და განსხვავებულ ერთეულად აქცევს მსოფლიოს ხალხებს შორის. ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული ქვეყნების კულტურა აგრესიულად არ უნდა დაუპირისპირდეს ტექნოლოგიურად განუვითარებელ ან ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს ან ხალხებს.

ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობა სულაც არ ნიშნავს კულტურულ უპირატესობას.

ამის სრულად გაცნობიერება, განსხვავებულ ცივილიზაციასთან ასეთი მიდგომა, მისი გაგების, პატივისცემისა და შენარჩუნების სურვილი გარკვეულწილად გამოაცლის ნიადაგს საპასუხო აგრესიას, გამოაცლის ნიადაგს ტერორიზმს, ფაქტობრივად, „მესამე“ მსოფლიო ომის კიდევ ერთ ულმობელ გამოვლინებას.

ეს ომი უკვე დაწყებულია და თუ არ შეჩერდა, მაშინ გამარჯვებული არავინ იქნება, რადგან მისი არეალი და მასშტაბები უფრო და უფრო დიდდება, იზრდება მის მსხვერპლთა რაოდენობა, იზრდება მატერიალური თუ მორალური ზარალი და კაცობრიობა მიდის იმ ზღვრამდე, რომლის იქით გლობალური კატასტროფა ატომური თუ ბიოლოგიური იარაღის, ნარკოტიკების გამოყენების შედეგი იქნება.

არავინ უნდა მოახვიოს თავს არავის თავისი ცხოვრების წესი, არავინ არავის არ უნდა განუსაზღვროს ამა თუ იმ ფასეულობათა რაობა, თავის არჩევანში ყველა თავისუფალია, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ ეს თავისუფლება სხვა ადამიანებს, ხალხებს თუ ქვეყნებს არ ღაემუქრება. დადგა დრო, როდესაც სხვადასხვა ცივილიზაციათა, კულტურათა თუ რელიგიათა გავლენიანი წარმომადგენლები უნდა მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და მოიძიონ მსოფლიოს ხსნის ის ერთადერთი გზა, რომელიც გადაარჩენს ჩვენს მომავალს, ამ წიგნის პირდაპირ ადრესატს.

ამ შეხვედრაზე თავის ადგილს მონახავს განხილვა აგრესიული სეპარატიზმის რაობისა, რომელიც ასევე ერთ-ერთი მკვებავი ნიადაგია ტერორიზმისა და ეთნოკონფლიქტებისა.

სამწუხაროდ, დღევანდელი საერთაშორისო გაერთიანებანი, გაერო იქნება ეს თუ სხვა, დიდი სახელმწიფოები, პატარებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვერ უპირისპირდებიან შესაბამისად ვერც ტერორიზმსა და სეპარატიზმს და ვერც აკონტროლებენ მათ წარმომშობ მიზეზებს.

იქნებ მე ძველი ყაიდის კაცი ვარ, არც არის გასაკვირი, ჩემს ასაკში კონსერვატორი უნდა იყო, მაგრამ ღვთისკენ სავალი გზის მუდმივი ძიება და რელიგიური შემწყნარებლობა, შენგან განსხვავებული რწმენის ადამიანთა გაგების სურვილი უმაღლეს დონეზე უნდა ავიდეს და მსოფლიოს თანაარსებობის მთავარ პრინციპად

იქცეს. არც ერთი რელიგია არ ქადაგებს კაცის კვლას და განსხვავებულთა ხოცვა-ჟლეტას. ახლა შუა საუკუნეები არ არის. ოცდამეერთე საუკუნემ უნდა შეძლოს რწმენათა განსხვავებულობის მორიგება, გარკვეული სისტემისა და მექანიზმების შექმნა, რომელიც არ დააბრუნებს კაცობრიობას შუა საუკუნეების სიბნელეში.

რელიგიათა დროშებით ყოველთვის იქმნებოდა დიდი საკაცობრიობო ფასეულობანი, მაგრამ იმავე დროშებით ომებიც ჩაღდებოდა და ხალხებსაც ანადგურებდნენ. დღეს სხვა დროა და რწმენის განსხვავებულობა მრავალფეროვანი მსოფლიოს გადარჩენის საშუალებად უნდა იქცეს. რელიგიურ სიბნელეს ღმერთთან არავითარი კავშირი არ აქვს.

დაბოლოს, ჩემმა შთამომავლებმა მინდა იცოდნენ, რომ ქართველი ერი „ვეფხისტყაოსანზე" იზრდებოდა, რომ მათი ძირები ქართულ ტრადიციებსა და ქართულ ოჯახშია, სამთაობიან ოჯახში, სადაც შვილიშვილსა და შვილს, დედასა და მამას, პაპასა და ბებიას თავიანთი ადგილი, პატივი და ზრუნვა აქვთ, თავისი სიყვარული, თავიანთი უფლება და თავისუფლება.

ისიც მინდა იცოდეთ, რომ ქართულ ოჯახში ქალი ყოველთვის დაფასებული იყო თავისი ქალობის გამო, ხოლო კაცი თავისი კაცობის გამო.

ოჯახმა მოიყვანა საქართველო დღემდე.

სწორედ ოჯახია ღვთის მიერ შექმნილი შთამომავლობის გასაგრძელებლად და ერის თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. გაუფრთხილდით მას და მის ღირსებას.

აი, ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა.

თქვენ წინაა ჩემი ცხოვრება და ჩემი დროც, ავიც და კარგიც.

ამ წიგნშია ის, რაც შევძელი და რაც — ვერა.

ჩემში ღვთივჩადებული ნიჭითა და უნარით მე მხოლოდ ის გავაკეთე, რისი საშუალებაც დრომ და გარემოებებმა მომცა და ღმერთსა ვთხოვ, ჩემზე მეტის გაკეთება თქვენ შეძლოთ თქვენი ქვეყნისა და ხალხისთვის, მსოფლიოსა და ადამიანებისთვის.

ეს წიგნიც ამ სურვილმა დამაწერინა.

პაატა შევარდნაძე

წამი, წამიერება, წამება

წინამდებარე წერილი ნამდვილად არ ისახავს მიზნად ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიზს. მე მიმაჩნია, რომ ასეთი პიროვნებები სცილდებიან ჩვეულებრივ ადამიანურ ღირებულებებს და იძენენ, ან თავიდანვე შეძენილი აქვთ, სრულიად სხვა, „ასტრონომიული“ ფასეულობები. ერთხელ უკვე ვთქვი – ედუარდ შევარდნაძე დღევანდელობას ხვალიდან უყურებს, აკვირდება და მხოლოდ ასე მოქმედებს. ეს არის კოსმოსური მისტიკა, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავი, ალბათ, გარდაცვალების შემდეგ თუ აღმოაჩენს.

ხშირად გვითქვამს, „ადამიანი წამისაა“, გვითქვამს, და შემდეგ არც კი გვიფიქრია, რამხელა სიბრძნე დევს ამ გამოთქმაში. წამი, წამიერება, წამება. ადამიანის ცხოვრება მართლაც წამია, უფრო ზუსტად კი, წამებისაგან „აკინძული“ ერთი წამი. ამ უკანასკნელს წამიერებას დავარქმევდი, ხოლო წამება იგივე წამია, ოღონდ მგრძნობელობითი, განცდითი. წამება წამის მიწიერი გამოხატულებაა. მახსენდება ანრი ბერგსონის „ხანიერება“, „გრძეობა“. ბერგსონის მიხედვით, მომავალი არ არსებობს, სხვაგვარად, მომავალი იმ წამიერებაშია მოცემული, რასაც აწმყო ჰქვია. ასე მიჰყვება წამი წამს აწმყოში და იმ ქართულ, უნიკალურ ცნებას უკავშირდება, „წუთისოფელი“ რომ ჰქვია. წუთიც ხომ წამია.

შენიშვნა: ამ წიგნის წერას რომ შეუდექი, ჩემს შვილს, პაატას, ვთხოვე, გეერდით დამდგომოდა. იგი იუნესკოში მოღვაწეობს, პარიზში და ბევრ მოვლენას სხვაგვარად აფასებს.

მან თავისი აზრები „შენიშვნებად“ ჩამოაყალიბა და გამომიგზავნა, ზოგი რამ ახალი, საინტერესო, კუთხით დანახული შემომთავაზა. მსურს მის მოსაზრებებს თქვენც გაეცნოთ. იგი ხომ იმ ახალი თაობის წარმომადგენელია, რომლის აზრები საინტერესოა ჩემთვის და ალბათ საინტერესო იქნება მკითხველისთვისაც.

როდესაც დედას ამ ცხოვრებიდან ვაცილებდით, ყველაზე მძაფრად ზემოთქმულს სწორედ მაშინ განვიცდიდი. მახსენდებოდა დედის მიერ მონაყოლი თუ განცდილი მისი ყოველი წამი თუ წამიერი, მეტწილად გატანჯულობითა და უარყოფითი ემოციებით რომ იყო „გაჟღენთილი“. და მაინც, უზომოდ მეცოდებოდა ის წამიც და წამებიც. უზომოდ „მეცოდებოდა“ ის წამიც, როდესაც ჩემი პატარა ნანული დაიბადა, ოღონდ ეს „შეცოდება“, ამჯერად, უზომო სიხარულს უკავშირდება.

კოსმოსური წამი არ არის ამქვეყნიური წამი. იმ წამში ბოროტება და სიკეთე არ არსებობს. იქ, მხოლოდ მშვენიერია. გარდაცვალების ყველაზე დიდი მისტერია არსებითად ბოროტისა და კეთილის განზომილებიდან მშვენიერში გადასვლას გულისხმობს. ასევეა დაბადებაც ამქვეყნად, ოღონდ საწინააღმდეგო მნიშვნელობით. და ძალიან ცდება ის, ვინც ამბობს, „ღმერთი არ გაპატიებს ან ღმერთს არ გაუხარდება“. ეს დიდი აბსურდია. ღმერთი ჩვენი მშვენიერია და ერთადერთი, რასაც ის გვაძლევს, წამიერი, ყოველწამიერი სილამაზეა.

ისტორია ამქვეყნიური წამიერებაა. ის განუწყვეტლივ უერთდება კოსმოსს და ტანჯვის მიუხედავად, მშვენიერში გადადის. იობის ბიბლიური ამბავი სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა. იობი კეთილი ან ბოროტი კი არ ხდებოდა თავისი გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, არამედ ყოველ ახალ ტანჯვასთან ერთად ის ღმერთს უახლოვდებოდა. იობი მშვენიერის, სილამაზის განზომილებაში გადადიოდა. ამ კუთხით თუ ვიმსჯელებთ, ისტორია ამქვეყნიურიდან იმქვეყნიურში „წამებ-წამებად“ გადასვლის ის გზაა, საბოლოოდ დროიდან სივრცის აბსოლუტურობას რომ იძენს. ასე უნდა იყოს სწორედ. დროის საბოლოო „ნავსაყუდე-

ლი“ კოსმოსური სივრცეა. კოსმოსში ამქვეყნიერი დრო ხომ არ არსებობს.

ხელოვნება, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით, დედამიწაზე ღმერთის, კოსმოსურის მიმანიშნებელია. როდესაც დოსტოევსკიმ თქვა, „ისტორია ფაქტების გროვაა და მეტი არაფერი“ – სწორედ დროის კოსმოსური განზომილება – სივრცე იგულისხმა.

არსებობენ ღმერთის მიერ განსაკუთრებული მისიით მოვლენილი ადამიანები. როგორც წესი, ისინი ხელოვნების, შემოქმედების სფეროში მოღვაწეობენ. მაგრამ, განა დიდი პოლიტიკა იმავე ხელოვნებას არ წარმოადგენს? არსებითი განსხვავება პოლიტიკის სოციალურად აღმატებულ პასუხისმგებლობას უკავშირდება. პოლიტიკოსები, რომლებიც ისტორიას ცვლიან, სწორედაც რომ დიდ ხელოვანთა, შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნებიან.

მოდი, ასე დავსვათ საკითხი: ედუარდ შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა მსოფლიო და მისი სამშობლო საქართველო? ნუ ვიდავებთ, უკეთესი ის ნამდვილად არ იქნებოდა. ყველაფერი ნეგატიური, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ისეთი პოლიტიკოსების არარსებობით და დეფიციტითაა გამოწვეული, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა. კაცმა, რომელმაც მსოფლიო წესრიგი შეცვალა, ადამიანს, რომელსაც ახალი ევროპის (და არა მარტო ევროპის) არქიტექტორად მოიხსენიებენ და პიროვნებამ, რომელმაც, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავის სამშობლოს, მსოფლიო გეოსტრატეგიული დანიშნულება მიანიჭა (გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გარეშე ვის სჭირდებოდა საქართველო?) ბევრად მეტი დაფასების ღირსია. თუმცა ისტორია ხომ მაინც იტყვის. ჩემი ოცნება კი ის გახლავთ, რომ მამა ამას სადღაც იმ ქვეყანაზე ყოფნისას კი არა,

სწორედ ახლა, ჩვენს დროში მოესწროს. პიროვნება, რომელიც ასეთი წარმოუდგენელი, მე ვიტყოდი, არაადამიანური ნებისყოფით, საკუთარი რისკის, სიბრძნის, მამაცობის ხარჯზე აფუძნებდა და დააფუძნა კიდეც ჩვენი ქვეყანა, სრულიად განსხვავებულ შეფასებას იმსახურებს.

ამბობენ, პოლიტიკა ბინძური საქმეაო. მე სხვა პოლიტიკა ვიცი, ეს ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკაა – მაღალზნეობრივი, მორალური და ბოლოს და ბოლოს, კაცური. ედუარდ შევარდნაძეს მე დონ კიხოტს შევადარებდი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის გამოგონილ ქარის წისქვილებს კი არა – ამქვეყნად არსებულ ბოროტების წისქვილებს „ებრძოდა“ და იმარჯვებდა კიდეც. გულსატკენი მხოლოდ ის არის, რომ კარიერის ბოლოს მას სანჩო პანსამ უღალატა. მახსოვს ბავშვობაში, დილით მძინარეს დამადგებოდა და შემომძახებდა: „აბრძანდით, ბატონო, თქვენ საგმირო საქმეები გელით!“ ასეთი იყო ყოველთვის და დღესაც ასეთად რჩება ედუარდ შევარდნაძე. ის ყოველთვის საგმირო საქმეებისთვის ემზადებოდა.

პოლიტიკაში ყოფნა მხოლოდ ხალხისა და ქვეყნის სამსახურს ნიშნავს. ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა მოწოდება, ტალანტი, ბოლოს და ბოლოს, ცოტაოდენი ნიჭი და ჭკუა მაინც. პოლიტიკას არ უყვარს არასერიოზულობა, ზედაპირულობა. პოლიტიკას უნდა გრძნობდე. წამიერად უნდა იღებდე ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის კვალი დიდი ხნის განმავლობაში დარჩება და გამოადგება შენს ქვეყანას. პოლიტიკა თამაში არ არის (აქ არანაირად არ ვგულისხმობ ნამდვილ რეალურ თამაშს, რასაც კანტმა წარმოსახვასა და განსჯას შორის თავისუფალი, თამაშისებური ურთიერთობა დაარქვა, ხოლო თომას ელიოტმა კატისებური თამაში უწოდა). „თამაში“ იმ პოლიტი-

კოსების ნაწილს ეხება, რომელმაც ვერაფრით თუ ვერანაირად ვერ დაუკავშირა თავი პოლიტიკას და სრულ გაუგებრობაში აღმოჩნდა. ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს გარემოება გადაიქცევა ხოლმე ორმაგი სტანდარტის მიზეზად. ორმაგი სტანდარტი დღევანდელი მსოფლიოს ტრაგედიაა. საქართველოსთვის ეს ტრაგედიას კი არა, ნამდვილ თვითმკვლელობას, თვითლიკვიდაციას უდრის.

ნამდვილი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებას და მათ დაბალანსირებას გულისხმობს. ბრძენს უთქვამს, პოლიტიკა შესაძლებლის გამოხატვის ხელოვნებააო. აქვე დავაზუსტებ – არა შეუძლებლის, როგორც ეს ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა განაცხადა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში. არ ვიცი, იქნებ სხვა რამე იგულისხმა, ან უბრალოდ შეეშალა. და თუ მაინც არ შეეშალა, მაშინ შევეცდები ავხსნა ამ ფრაზის არათუ უაზრო, არამედ უსაზღვროდ საშიში ხასიათი. პოლიტიკოსი ყოველთვის უნდა ცდილობდეს გამოიყენოს ყველა ხელთ არსებული ინტელექტუალური, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსი. თუ შენ დიდი პოლიტიკოსი ხარ, უნდა იცოდე, გარკვეულ მომენტში იმაზე მეტს ვერ გააკეთებ, ვიდრე ამის საშუალებას მოცემული სისტემა გაძლევს. თუმცა მაქსიმუმი, ყოველ მიზეზგარეშე უნდა გაკეთდეს და განხორციელდეს ისე, რომ შენმა ქვეყანამ და ხალხმა გადაწყვეტილების ოპტიმალური შედეგი მიიღოს. ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ გარკვეული დროის შემდეგ ის შეუძლებელი შესაძლებელი არ გახდეს. გამგები გაიგებს, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ მოცემულ მომენტში შეუძლებელს ვერ განახორციელებ და თუ სულმა მაინც წაგძლია და ამის გაკეთებას შეეცადე, როგორც პოლიტიკოსი სასაცილო ხდები, ხოლო ქვეყანას გადაჩეხისაკენ უბი-

ძგებ. ასე რომ, პოლიტიკოსმა თავი უნდა შეიკავოს ამგვარი, თითქოს უწყინარი, მაგრამ რადიკალური გამოთქმებისაგან და მით უმეტეს, მათი განხორციელების მცდელობისაგან. ამგვარი გამოცდილება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, საუბედუროდ, არაერთხელ გამეორებულა.

ჩემ მიერ ზემოთქმული არანაირი ქილიკი არ არის. ეს მხოლოდ გულისტკივილია და იმის წინათგრძნობა თუ განცდა, რომ საქართველო, შეიძლება, სამუდამოდ დაემშვიდობოს რეალურ დამოუკიდებლობას, თორემ არარეალური საბჭოთა კავშირის დროსაც ხომ გვქონდა.

დღევანდელი მსოფლიო და მასთან ერთად საქართველოც ძლიერ შეიცვალა. გლობალიზაცია ყველას საზრუნავი გახდა. თანამედროვე გაგებით, ჩემთვის გლობალიზაცია 70-იან წლებში, ბილ გეითსის DOS-ის პროგრამული სისტემის შექმნით იწყება. მეოცე საუკუნის ბოლოს კი სამყარო საბოლოოდ გამოემშვიდობა ინდუსტრიალიზაციის ეპოქას და ინფორმატიკის გლობალურ „ჯუნგლებში“ გადაეშვა. ფრანგი ისტორიკოსის, ბერტრან ჟილესის არ იყოს, ინდუსტრიულიდან სამყარო შემეცნებით ეპოქაში გადავიდა. მისივე თქმით, ეს არც ცუდია და არც კარგი. ეს უბრალოდ შემაწუხებელია. ის, რაც ჟილესისათვის შემაწუხებელია, პატარა ერებისათვის, ენებისათვის, კულტურათათვის თუ უბრალოდ პიროვნებისათვის შესაძლოა სრულიად დამანგრეველი აღმოჩნდეს. აქ ყველა ფხიზლად უნდა იყოს. უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული გამქრალი ერი ცივილიზაციას სრული განადგურებით ემუქრება. ჭადრაკის დაფაზე ერთი უჯრა რომ ამოტეხო, ჭადრაკს სრულფასოვნად ველარ ითამაშებ. ერთ უჯრას აუცილებლად მეორე მიჰყვება და ასე შემდეგ. თუმცა, საბედნიეროდ, არსებობს საწინააღმდეგო ვარაუდიც: ახალმა ტექნოლოგიებმა, შესაძლოა, პიროვნებისა და

ერების განვითარებას შეუწყოს ხელი. მე ამ თვალსაზრისით ოპტიმისტი ვარ და მჯერა: 21-ე საუკუნე ჰუმანური, თავისუფალი, იმპროვიზაციული მიდგომების ხანა იქნება. მე მას შევნებულად „რომანტიკულ“ საუკუნეს დავარქმევდი, რადგან ეს იქნება კაცობრიობის შემოქმედებითი ენერგიის გამოთავისუფლებისა და რეალიზაციის საუკუნე. საუკუნე ადამიანთა მარადიული ოცნებების ახდენის და ახალი, ჩვენთვის ჯერ კიდევ თვისებრივად უცნობი, გამოწვევების, მიზნებისა და ოცნებების ჩასახვისა. აი, როგორ საუკუნეს ვხედავ მე. აი, როგორ საუკუნეს ჩაუყარეს საფუძველი ისეთმა მოღვაწეებმა, რომელთა რიცხვსაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ედუარდ შევარდნაძე მიეკუთვნება. ოცნება ხომ მომავლის ჭვრეტაა. ედუარდ შევარდნაძე სწორედაც რომ მომავლის მჭვრეტელია.

დასაწყისში უკვე ვახსენე, არის მხოლოდ წამი და არა მომავალი. თუმცა ისიც ვთქვი, რომ ნამდვილი მომავალი მხოლოდ წამში გვეძლევა, გვეძლევა, როგორც ღმერთის მიერ მონიჭებული უმაღლესი მადლი. გავუფრთხილდეთ თითოეულ წამს და ამით გავუფრთხილდებით არა მარტო ჩვენს თავს, არამედ ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს. ჩემი ღრმად რწმენით, ედუარდ შევარდნაძე სწორედ ასეთია: წამიერი — მაგრამ მუდმივი, მეოცნებე — მაგრამ რეალისტი, ფრთხილი — მაგრამ გულადი.

მე მჯერა, რომ ჩვენი საუკუნე კვლავ დაბადებს ასეთ მოღვაწეებს და სწორედ ეს გახდება ჩვენი ქვეყნის საბოლოო დამოუკიდებლობის, განვითარების და რეალური დემოკრატიის შეუქცევადობის პირობა.

წამი, წამიერება, წამება.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე ასლან 23, 24, 425, 430

აბაშიძე მემედ 24

აბაშიძე გრიგოლ 70, 92, 93

აბაშიძე ირაკლი 56, 58, 70, 92

აბულაძე თენგიზ 64, 68, 107, 108, 109, 110, 111, 114

აგაპოვი ანატოლი 54

ადამია გენო 407

ავალიშვილი (ავალოვი) ზ. 361, 362, 371

აიტალი 272

აკინო კორასონ 187, 188, 191

ალექსანდრე (იმერეთის მეფე) 354

ალექსანდრე I (იმპერატორი) 349, 362, 363

ალექსი (ეგზარქოსი) 367

ალექსი მიხეილის ძე 345

ალიევი ჰეიდარ 101, 330, 433, 448, 449, 450, 451

ალიევი ილჰამ 450

ალიევა ფატიმა 443

ალილუევა სვეტლანა 106, 107

ამაშუკელი ელგუჯა 65, 67, 99

ამაშუკელი რეზო 71, 92, 96

ამირანი 29

ამირეჯიბი ჭაბუა 67

ანდრიაძე ირაკლი 116

ანდრია პირველწოდებული 27

ანდროპოვი 103, 104, 119, 120, 245

ანთიმოზ ივერიელი 221

ანქვაბი 403

აპრაკსინი 345

არძინბა ვლადისლავ 391, 393, 394, 396, 400, 402, 403, 404, 406, 407, 411, 425, 441

არჩილ მეფე 360

ალა-მაჰმად-ხანი 34, 304, 356, 360

ახალაია სოსო 404
ახვლედიანი ნინო 12
ახმადულინა ბელა 62
ახრომეევი 213

ბ

ბაბურინი სერგეი 399, 400, 409, 432
ბაგრატ მეხუთე 287
ბაგრატიონი პეტრე 38, 366
ბაგრატიონი ალექსანდრე 364
ბაგრატიონები 81, 357, 367, 368
ბათიაშვილი ირაკლი 295, 407, 426, 427, 429, 435
ბაკატინი ვადიმ 273
ბალფური 374
ბალტინი 434
ბანძელაძე გელა 62
ბარაკი იეჰუდ 79
ბასაევი შამილ 397
ბაქრაძე აკაკი 92, 93
ბაღაფში 403
ბეიკერი ჯიმ 21, 131, 166, 167, 168, 170, 171, 202, 203, 214,
241, 244, 245, 246, 261, 275, 295, 327, 328, 329, 330, 333, 338
ბენიძე ო. 405
ბერგსონი 472
ბერია ლავრენტი პავლეს ძე 39, 49, 50, 51, 53, 76, 77, 89, 98, 101, 287, 401
ბერულავა 429
ბერძენიშვილი დევი 350
ბერძენიშვილი მერაბ 67
ბესსმერტნიხი ალექსანდრ 122, 123, 215, 217
ბეტელი 420
ბიკონსფილდი 314
ბიუკენენი პატრიკ 467
ბოგოლუბსკი იური 353
ბოდიული 101
ბონაპარტი 300
ბოჭორიშვილი ანგია 62

ბრეჟნევი 89, 94, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 119, 125, 182
ბრეიტუეიტი როდრიკ 319
ბუაჩიძე თამაზ 62
ბუაჩიძე თენგიზ 64
ბურბულისი 252
ბურნაშოვი 360
ბურჯანაძე ნინო 22
ბუტკოვი 355, 359, 361, 367
ბუტროს ბუტროს-გალი 422
ბუში ჯორჯ (უმცროსი) 19, 28, 219, 330
ბუში ჯორჯ (მამა) 124, 136, 152, 165, 171, 172, 207, 261, 313, 330
ბუხარინი ნიკოლოზ 370

გ

გაბაშვილი კოტე 429
გაბრიაძე რეზო 67, 92
გამსახურდია ზვიად 281, 284, 285, 286, 288, 289, 290, 291,
295, 292, 293, 294, 295, 297, 299, 305, 308, 309, 310, 311, 313,
332, 335, 338, 388, 389, 390, 391, 392, 395, 405, 425
გამსახურდია კონსტანტინე 281, 286, 288, 321
გამყრელიძე თამაზ 228
განდი ინდირა 308
გახოკიძე სერგო 296
გეითსი ბილ 477
გენშერი ჰანს-დიტრიხი 133, 199, 200, 201, 202, 205, 206, 208, 209,
210, 211, 212, 214, 237, 241, 244, 261, 295, 312, 314, 315, 317, 318, 462
გიგინეიშვილი მანანა 92
გინესი 7, 440
გეფტლერი მიხეილი 236
გილაშვილი 98
გიორგაძე (მიხეილი) 106, 107
გიორგაძე იგორ 407, 447
გიორგი ბრწყინვალე 287
გიორგი მეთორმეტე 362
გოგიბერიძე სესილი 225
გოგუა ალექსი 387

გორბაჩოვი მიხეილ 74, 75, 105, 111, 112, 113, 118, 120, 121, 124, 125, 129, 130, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 141, 146, 147, 149, 150, 152, 154, 155, 157, 159, 162, 165, 169, 170, 171, 176, 181, 183, 187, 192, 193, 196, 201, 203, 204, 205, 206, 208, 211, 212, 213, 214, 215, 219, 220, 221, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 231, 232, 234, 235, 237, 238, 240, 243, 245, 246, 248, 250, 251, 252, 253, 255, 256, 257, 258, 262, 265, 267, 269, 271, 273, 274, 275, 276, 277, 289, 290, 291, 387
გორბაჩოვა რაისა მაქსიმოვნა 74, 112
გორდეზიანი შოთა 43
გორდეზიანი რისმაგ 92, 94, 99
გრაჩოვი პავლე 416, 425, 426, 433
გრომიკო ანდრეი ანდრეევიჩი 120, 121, 128, 139, 137, 232, 242
გუგუშვილი ეთერ 68
გუდავა თენგიზ 310
გულოვიჩი 356, 358, 360, 361
გულიაბზოი 139
გულუა ბაკურ 78
გურანდუხტი 353
გურიელი მამია 367

დ

დავით აღმაშენებელი 33, 217, 353
დავით სოსლანი 353
დალჰოფი გიუნტერ 318
დე გოლი შარლ 296, 446
დემეტრე პირველი 353
დემირელი სულეიმან 450, 451
დემირჭიანი კარენ 454, 460
დენიკინი 317, 374, 375, 398
დიზრაელი 314
დიუმა როლან 203, 241, 314
დობრინინი 124, 139
დოსტოევსკი 474
დოჩანაშვილი გურამ 67
დუბროვინი 362, 364
დუმბაძე ნოდარ 50, 51, 67
დურმიშიძე სერგი 70, 71

ე

ეგაძე რამაზ 429
ევტუშენკო ევგენი 62
ელიავა აკაკი 426, 427
ელცინი 234, 235, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 258, 263, 266, 267, 271, 272, 273, 274, 275, 276, 295, 333, 389, 392, 393, 394, 398, 403, 407, 410, 411, 416, 422, 424, 433, 434, 435, 437, 441, 439, 440, 443, 460, 461
ელჩიბეი 102
ეკატერინე მეორე 346, 356, 357
ელიზბარაშვილი გივი 452, 458
ენვერ ხოჯა 189
ერეკლე მეორე 61, 304, 354, 355, 356, 357, 358, 359
ერისთავი კონსტანტინე 42
ერმოლოვი 346, 457
ესენკი 272

ვ

ვალენსა ლეხ 219
ვაჟა-ფშაველა 38
ვასაძე ნათელა 55
ვასილი (სტალინის უმცროსი ვაჟი) 107
ვაქილი ა. 139
ვახტანგ მეექვსე 317, 354, 355
ვეიდენბაუმი 368
ვეკუა ილია 70
ვეკუა 425
ვილაიეთი 147, 149, 150, 266
ვირსალაძე ელისო 72
ვისოცკი ვლადიმირ 67
ვიშნევსკაია გალინა 72
ვლადიმირ მონომახი 353
ვოზნესენსკი ანდრეი 62
ვოიტილა 219
ვოლინსკი 355
ვოლსკი არკადი 248
ვორობიოვი 368
ვორონცოვი 362, 367

ზ

ზაიკინი ლევ 239
ზარანდია 404
ზაქარიაძე სერგო 71
ზეიკიძე 401
ზუბალაშვილები (ძმები) 116

თ

თამარ მეფე 142, 217, 353
თანდაშვილი გელა 445
თარხან-მოურავი 360
თევზაძე გურამ 62, 42
თევზაძე დათო 435, 441
თეიმურაზ მეფე 354
თუმანიშვილი მიხეილ 67

ი

იაზონი 29
იაკობი (სტალინის უფროსი ვაჟი) 107
იაკოვლევი ალექსანდრ 113, 136, 166, 206, 231, 233, 238, 248, 258
იაკუბი 139
იანაევი გენადი 239
იარუზელსკი ვოიცეხ 219, 220
იაროსლავ ვლადიმირის ძე 353
იაშვილი 362
იენგ სარი 175
ივანოვი იგორ 11, 130
ივანე მრისხანე 354
ივანიშვილი ბიძინა 116
იზაბელა კასტილიელი 317
იზიასლავ მსტისლავის ძე 353
ილია მეორე, კათალიკოს-პატრიარქი 115, 220, 300
ილიესკუ 221
ილიჩოვი 232, 233
იმედაშვილი კობა 11, 92
ინაური ალექსი 68, 96

იოანე მინჩხი 32
იოანე ლაზი 81
იოსელიანი ოთარ 67
იოსელიანი ჯაბა 299, 310, 323, 332, 339, 402, 407, 408, 429, 435, 446, 447
იოსელიანი ავთო 429
იოანე-პავლე მეორე 220, 225
იური ბოგოლუბსკი 357
იუშენკოვი სერგეი 261

კ

კავსაძე ალექსანდრე 394, 429
კაკუეი ტანაკა 182
კალანდაძე ანა 67
კალინინი იული 411
კანტი იმანუილ 217, 475
კაპიტონოვი ივან 85, 89, 98
კასტრო ფიდელ 218, 224
კატუსევი 228
კახეთელიძე ლადო 452
კახიანი მ. 287
კახიძე ჯანო 67
კებიჩი 252
კერზონი 374
კვერნაძე ბიძინა 67
კვიცინსკი 211
კიმ ირ სენი 189, 190, 191
კიმ ჩენ ირი 189, 190, 191
კირილენკო 98, 99
კიროვი სერგეი 278, 369, 379
კისინჯერი ჰენრი 158, 242, 243, 244, 245, 295
კიტოვანი თენგიზ 281, 282, 283, 299, 310, 320, 332, 334, 337, 402, 403, 404, 405, 407, 447
კლიმენტ XI 317
კლინტონი ბილ 145, 330, 451
კნორინგი 363, 364
კობახიძე მიხეილ 67

კოენი უილიამ 331
კოვალიოვი ანატოლი 154, 233
კოზირევი ანდრეი 272, 275, 316, 393
კოკაური დავით 452
კოლბინი 94, 96
კოლესნიკოვი გ. 54, 410, 428
კოლი ჰელმუტ 133, 204, 205, 208, 210, 211, 212, 213, 216
კონდრაშოვი 334
კონდრატიევი გიორგი 441
კორბო ვირჯილიო 81
კოსიგინი ალექსი 75, 76, 77, 78, 103
კოსტავა მერაბ 282
კოჩეტოვი 225
კოჩუბეი 362
კრავჩუკი ლეონიდ 235, 249, 251, 254, 268, 269, 272, 434
კრიუჩკოვი ვლადიმირ 139
კულუმბეგოვი ტორეზ 323
კუპაძე გიორგი 275
კუჩმა ლეონიდ 449

ლ

ლაპინი სერგეი 109
ლაპტევი 248
ლაპუ-ლაპუ 186
ლალიძე 116
ლაშა-გიორგი 81
ლევან კახთა მეფე 354
ლევანდოვსკი 379
ლეკიშვილი ნიკო 218
ლენგი დევიდ 354, 359, 367
ლენინი 49, 89, 249, 260, 349, 376, 378
ლი 190
ლიგაჩოვი 112, 113, 114, 130, 132, 154, 214, 224, 225
ლითანიშვილი ოთარ 295
ლინ ვან ნგუენი 183
ლიონიძე სოლომონ 61

ლიხაჩოვი დიმიტრი 240
ლოიდ ჯორჯი 374
ლომაია თემურ 405
ლომინაძე გივი 335, 393
ლორთქიფანიძე გიგა 67
ლორთქიფანიძე მარიამ 93
ლუდოვიკო XIV 317
ლუდოვიკო XVI 354
ლუკიანოვი ანატოლი 207, 289, 293
ლუკინი ვლადიმირ 261
ლუქკოვი 250

მ

მაიაკოვსკი ვლადიმერ 29
მაგელანი 186
მაისურაძე 448
მაკიაველი 261
მამარდაშვილი მერაბ 62, 294, 310
მამრაძე პეტრე 450
მამულია 287
მანსური 351
მარგიანი ავთო 434
მარიამ დედოფალი 364
მასხადოვი ასლან 411
მახარაძე ფილიპე 287
მგელაძე გურამ 78, 249
მგელაძე ა. 287
მგელაძე ვლასა 373, 381, 382
მედეა 29
მედვედევი 132
მეირი გოლდა 79
მეიჯორი ჯონ 199, 314
მენაღარიშვილი ირაკლი 227
მენთეშაშვილი თენგიზ 106, 107
მეტლოკი ჯეკ 132, 231, 305
მეტრეველი როინ 350

მინდიაშვილი არჩილ 117
მირიან მეფე 30
მიტერანი 203
მიუსო მირეი 242
მიქაელ მოდრეკილი 32
მლეჩინი ლეონიდ 119, 156, 215, 217, 370
მოლოტოვი ვიაჩესლავ 232
მჟავანაძე ვასილ 53, 54, 56, 57, 58, 69, 101, 406
მუგაბე რობერტ 218, 222
მურვანიძე ამირან 442
მუსავი 147
მუსხელიშვილი ნიკო 70, 71, 72
მუჰამედ დაუდი 142, 144

ნ

ნადარეიშვილი თამაზ 403, 411, 424
ნაზარბაევი ნურსულთან 295, 451
ნაკასონე იასუჰირო 295
ნალბანდიანი 260
ნაპოლეონი 296, 346, 362
ნაჯიბულა (ნაჯიბი) 139, 141, 142, 181
ნეთანიაჰუ ბენიამინ 80
ნესელროდე 120
ნიქსონი რიჩარდ 144, 145
ნობარი ანი ხეირ 151

ო

ოლგა (სვეტლანა ალილუევას ქალიშვილი) 106, 107
ორჯონიკიძე სერგო 49, 278, 369, 378, 379
ორჯონიკიძე იზა 92

ორბელიანი სულხან-საბა 220, 317
ოშუპი 260

პ

პავლე I 362
პალმერსტონი 308

პანინი 358
პანკინი ბორის 255
პარსონსი რობერტ 327
პასკევიჩი 349, 350
პასტერნაკი ბორის 61, 62
პასტუხოვი ბორის ნიკოლაევიჩი 411
პატარიძე 98
პატეიშვილი გლახუნა 38
პატეიშვილი სოფიო 40
პატიაშვილი ჯუმბერ 97, 111, 222, 225, 226, 227, 228
პაჭკორია ოტია 64
პერესი შიმონ 79, 80
პეტრე იბერი 81
პეტრე პირველი (დიდი) 34, 270, 355, 360
პეტროვსკი იური 409
პლეშაკოვი კ. 265
პომპიდუ 100, 101
პოპოვი გავრიილ 248, 273
პრიმაკოვი ევგენი 171, 453
პრომეთე 29
პუტინი ვლადიმირ 161, 332, 343
პუშკინი 38

ჟ

ჟვანია ზურაბ 26
ჟილესი ბერტრან 477
ჟირო 296
ჟლობა 379
ჟორდანია ნოე 372, 375, 376

რ

რაზუმოვსკი 228, 230
რაიმონდ ჟან-ბერნარ 133
რამიშვილი აკაკი 371, 374, 377
რამსფელდი დონალდ 331
რაფი 139

რაფსანჯანი 147, 149, 151
რეზა ფეჰლევი 146
რეიგანი როლანდ 124, 125, 127, 134, 135, 136, 152, 162, 196, 276
როდიონოვი 225
როსტროპოვიჩი მსტისლავ 72, 73, 74, 250
რუცკოი ალექსანდრ 248, 326, 334
რჩეულიშვილი ვახტანგ 445

ს

სააკაძე გიორგი 52
სააკაძე პაატა 95
სააკაშვილი მიხეილ 19, 23, 302
საბედაშვილი არჩილ 452
სადამ ჰუსეინი 151, 171, 174
სავეტსილა სიტი 175, 176
სარაჯიშვილი 116
სარქისიანი ვაზგენ 454
სახაროვი 168
საჯაია ნუგზარ 21
სემიჩასტნი 103, 104
სელიმი 354
სვიატოპოლკ-მირსკი 368
სვიმონ კანანელი 30
სიაოპინი დენ 161, 191, 192
სიგუა თენგიზ 281, 310, 327, 402, 403
სიგუტკინი 415
სიმონოვი კონსტანტინ 50, 51
სიმონიანი გარიკ 458
სიტინი პავლე 368, 385
სკოკოვი იური 411
სმიცკი ნიკოლოზ 413
სობჩაკი ანატოლი 227, 228, 248
სოიფერი ვალერი 19
სოლომონ (იმერეთის მეფე) 359, 367
სოროკინი 415
სოროსი ჯორჯ 18, 19

სოსლანბეკოვი იუსუფ 395
სტალინი (იოსებ ჯუღაშვილი, „კობა“) 34, 36, 42, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 576, 77, 89, 101, 104, 106, 107, 189, 201, 217, 233, 270, 275, 287, 349, 378, 379, 381, 382, 413, 414, 420, 457
სტაროვოიტოვა 238
სტეპანოვი-მამალაძე თეიმურაზ 11, 122, 123, 248, 249
სტრაუსი ბობ 242, 245, 295
სტურუა რობერტ 67
სუვოროვი ალექსანდრ 344, 350, 457
სულეიმანი 358
სუნი როლანდ 378, 379
სუსლოვი 89, 91, 94, 95, 98

ტ

ტაკესიტა 184, 185
ტარასენკო სერგო 11, 122, 123
ტეთჩერი მარგარეტ 124, 125, 195, 198, 199, 203, 224
ტერ-პეტროსიანი ლევონ 295, 433
ტიხონოვი ნიკოლოზ 78, 103
ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე 38, 352
ტოლსტოი მიხეილ 265
ტოტლებენი 358, 359
ტრავკინი ნიკოლოზ 263
ტროცკი 379

უ

უნო 183, 185

ფ

ფანჯიკიძე გურამ 67, 71
ფანცხავა ლევან 375
ფარაჯანოვი სერგო 65, 66, 67, 68, 69
ფარტაძი 312
ფაცაცია ოთარ 429
ფერდინანდი 317
ფოკინი 252

ფონ ლოსოვი 372
ფოფხაძე ნუგზარ 109, 223, 249

ქ
ქარუმიძე ზურაბ 12
ქარმალი ბაბრაქ 137
ქე'შიმანდი 139
ქინქლაძე ოთარ 64
ქობალია ლოთი 422
ქორ'არიანი რობერტ 454
ქუთათელაძე ვახტანგ 452

ღ
ღოღობერიძე ლანა 228
ღოღობერიძე ლ. 287

ყ
ყაზი მოლა 347
ყანჩელი გია 67
ყარყარა'შვილი გია 407, 426, 428, 435

შ
შამილი 348, 401
შარაძე გურამ 40
შარვა'შიძე 424
შარვა'შიძე საფარ-ბეი 367
შარლ VII 317
შარონი არიელ 80
შარტავა ჟიული 426, 427
შაურო 67, 110
შაჰ-აბას I 95
შაჰინი (ლორთქიფანიძე) რეფაიდინ 450
შევარდნაძე ამბროსი 40
შევარდნაძე გიორგი 40
შევარდნაძე ევგრაფი 40
შევარდნაძე აკაკი 40, 200

შევარდნაძე იპოკრატე 40
შევარდნაძე პაატა 11, 26
შევარდნაძე მანანა 11
შევარდნაძე დავით (დათიკო) 37, 39
შევარდნაძე დიმიტრი 39
შევარდენიძე კახა 452
შელეპინი ალექსანდრ 54, 55, 103, 104
შენგელაია ელდარ 67
შენგელაია გიორგი 67
შეყილაძე მანანა 12
შიიკო ვაცლავ 419
შირაკი ჟაკ 241, 242, 295
შოთა რუსთაველი 81
შულცი ჯორჯ 79, 123, 124, 125, 126, 128, 129, 132, 133, 134, 135, 196, 243, 247
შუშკევიჩი 235, 249, 251, 252, 254, 269, 272
შჩერბიცკი ვლადიმირ 65, 66, 155
შჩოლოკოვი ნიკოლოზ 60, 73

ჩ

ჩაზოვი 103
ჩარკვიანი ჯანსულ 64, 92, 95, 96, 225
ჩარტორიისკი 362, 363
ჩებრიკოვი 240
ჩერვონნაია სვეტლანა 398, 404
ჩერნენკო კონსტანტინ 89, 105, 106, 119, 120
ჩერნომირდინი 422
ჩერქეზიშვილი ნიკა 65
ჩერჩილი 261, 308
ჩინდაროვი 415
ჩილერი თანსუ 450, 451
ჩიქობავა არნოლდ 92
ჩიქოვანი სიმონ 62
ჩიჩერინი 379
ჩიხლაძე ციცო 12
ჩოლოყაშვილი ქაქუცა (ქაიხოსრო) 37
ჩოლოყაშვილი 360

ჩხეიძე ოთარ 67
ჩხეიძე თემურ 67
ჩხეიძე რუზო 67, 68, 110, 121
ჩხეიძე ნოდარ 67
ჩხეიძე თამრიკო 311, 312
ჩხენკელი აკაკი 372
ჩხიკვაძე რამაზ 295
ჩხიკვიშვილი დავით 93

ც

ცაგარეიშვილი ნანული – შევარდნაძე 12, 45, 46, 49, 99, 108, 117, 218, 249, 250, 430, 449
ცაგარეიშვილი რაჟდენ 46
ცაგარელი ალექსანდრე 359
ციციაშვილი აბონ 79

ძ

ძიძიგურები შოთა და აკაკი 70
ძემინი ძიან 193

წ

წერეთელი აკაკი 38
წმინდა ნინო 30
წულეისკირი ნოდარ 92

ჭ

ჭავჭავაძე ილია 38, 311
ჭავჭავაძე ნიკო 62, 63
ჭითანავა ნოდარ 225
ჭილაძე ოთარ 67
ჭილაშვილი ლევან 31

ხ

ხაინდრავა გოგა 405, 425
ხაინდრავა ივლიანე 282
ხაბეიშვილი სოლიკო 97

ხაზბულატოვი რუსლან 333, 416
ხათემი 151
ხომერიკი ვიქტორ 373, 379, 382
ხოშტარია 116
ხრუშჩოვი ნიკიტა 50, 52, 53, 57, 69, 77, 78, 100, 103, 232, 270, 406

ჯ

ჯავად-ამოლი 146
ჯავახიშვილი გივი 57, 58
ჯავახიშვილი ივანე 349, 350, 356, 357, 364, 366, 367
ჯანელიძე თამაზ 62
ჯაფარიძე რეზო 92
ჯონსი სტივენ 374, 376
ჯორბენაძე ავთო 429
ჯოხთაბერიძე გია 12
ჯუ დე 53, 193

ჰ

ჰამენეი 147, 149
ჰამზათ ბეგი 347
ჰაუ ჯეფრი 133, 195, 197, 198, 203, 224, 241
ჰებელსი 133, 204
ჰერდი დუგლას 314
ჰიროჰიტო 183
ჰიტლერი 233
ჰომეინი 145, 146, 148, 149, 151

აუდიოჩანაწერი გაშიფრეს
მანანა ნასიძემ და თეა გუგუციძემ

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ლანა შენგელია, მურთაზ სიჭინავა,
მარინა დავითაშვილი

ყდაზე გამოყენებული ფოტოს ავტორი
სერგო ედიშერაშვილი

საგამომცემლო სახლი
„პალიტრა L“, 2006

გამომცემლობის რედაქტორი
ლია შარვაშიძე

კორექტორები
ნანა კვიცარიძე, ხათუნა ჩიმაკაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო ჭიჭინაძე

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტში“